

მურმან თაველიშვილი

რუსთველოლოგიური
კრიტიკა

III



მურმან თავდიშვილი

რუსთველოლოგიური
კრიტიკა

III



გამომცემლობა „უნიონისალი“
თბილისი 2024

რედაქტორი **რევაზ მიშველაძე**,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

© მ. თავდიშვილი, 2024
ავტორის უფლებები დაცულია

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. პოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-787-1

რუსთველოლოგიური კრიტიკის ეპოქა

შოთა რუსთველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“ მურმან თავდიშვილმა ლამის მთელი სიცოცხლე მიუძღვნა.

ჯერ კიდევ ჭაბუკი ჩაება იგი პოემის ტექსტის სრულყოფისათვის ბრძოლაში და ეს საშური საქმე ახლახან განასრულა „რუსთველოლოგიური კრიტიკის“ სამი მოზრდილი ტომის გამოცემით.

წიგნიდან წიგნამდე გულდასმით ვადევნებდი თვალს თავგადაკლული რუსთველოლოგის მუხლჩაუხრელ რუდუნებას და ამ ნაშრომების წაკითხვამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ პროფესორი მურმან თავდიშვილი თანამედროვე რუსთველოლოგთა შორის უპირველესია.

დგას იგი ახლა შუბლზე ოფლგადამდინარე თავის უანგარო ნაღვანთან და თამამად შეუძლია თქვას, რომ ჭარმაგმა მკვლევარმა ქართველთა უპირველესი წიგნისა და მისი ავტორის წინაშე თავისი ღვთიური ვალი უკვე მოიხადა.

დავწერე, მოიხადა-მეთქი, და ვიგრძენი, რომ ეს სიტყვა წარსულისაკენ მექაჩება. ამიტომაც აქვე დავძენ: იგი დღესაც ცერბერივით სდარაჯობს

„ვეფხისტყაოსნის“ ყოველ სტრიქონს და პოემის გამყალბებლებს რისხვად ევლინება.

მაინც რა იყო ეს გზა და ვისგან სჭირდებოდა რუსთველს დაცვა?

ჯერ იყო და XII-XIII საუკუნეთა გზაგასაყარზე შექმნილი ეს გენიალური პოემა ჩვენი ისტორიის „ოქროს ხანაში“ ისე მიჩუმათდა, რომ ეპოქის მემკვიდრეთა თვალსაწიერშიც ვერ მოხვდა. ვარდუა მკითხავის დონეზე ვიციტ პოემის ავტორის ბიოგრაფიაც. ამაოდ დაშვრნენ სახელგანთქმული ფილოლოგები.

რა სამსალა ასვა ულმობელმა ჟამმა რუსთველს ისეთი, რომ თითქმის მისი თანამედროვე სპარსელი პოეტების ფირდოუსისა და ნიზამი განჯევის ბიოგრაფიები მისხის მისხამდე ვიციტ, ხოლო რუსთველი ისე დაუძვრა ისტორიას ხელიდან, რომ დიდი ხნის შემდეგ მისი ღვთაებრივი სახე პალესტინის ქართული ჯვრის მონასტერში იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის გიგანტურ ფრესკათა ფერხთით სპეტაკთეთრწვეროსანი მოხუცის სახით ამოტივტივდა და ისიც რეზუსული ნარწერის ამარა: „ამის დამხატავსა შოთას შეუნდოს ღმერთმა, რუსთველი“. ძნელად გაიგებ, შოთა რუსთველია ფრესკაზე დახატული თუ ინკოგნიტო რუსთველი მადლობას უხდის მხატვარს.

მერე იყო და, სანამ ვახტანგ მეექვსის ძალის-
ხმევით „ვეფხისტყაოსანს“ მისი ნაწილობრივ გა-
დამრჩენი სტამბის საღებავი ეღირსებოდა, იგი კე-
თილშობილი გადამწერლების ხელში აღმოჩნდა,
ხოლო ზოგ კალიგრაფს, რომ იტყვიან, სული
სძლევდა და გადანერის დროს ან რედაქტორობის
ჟინი მოუვლიდა და უზადო ქმნილებას თავისი
„მოკლე ჭკუით“ შეკვეც-შემოკვეცდა ან, რაც უფ-
რო უარესი გახლდათ, თავის ნახელავს ჩაუმატებ-
და. მერე მოვიდოდნენ მეცნიერები და ამ ჩამატებ-
ლებს მოფერებით „ინტერპოლატორებს“ შეარქმე-
დნენ. რაკილა ეს მეცნიერები (რომელთაც ამ სტრი-
ქონების ავტორი დიდ პატივსა სცემს) ნიჭითა და
გაქანებით ცა და მიწასავით შორს იდგნენ გენია-
ლური რუსთველისაგან, „ჩამატებულთაგან“ ზოგ
სტრიქონს ბაჯალლო ოქროდ მიიჩნევდნენ, ზოგს კი
ცხვირაბზუებით განზე მოიხროდნენ.

უფრო მაგარი კი ის გახლდათ, რომ ბეჯითი
ტექსტოლოგები ზოგჯერ ნაბან წყალს ბავშვსაც
გადააყოლებდნენ ხოლმე.

ასე და ამრიგად, ყოვლად უსაბუთოდ და უსა-
მართლოდ განდევნეს „ვეფხისტყაოსნიდან“ ფენო-
მენალური

**„კარვის კალთა ჩახლართული ჩაფქერ-ჩავაქარაბაკე,
ყრმასა ფერხითთ მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“.**

ასევე „ვეფხისტყაოსნის“ ძუძუს მონყვეტილი აღმოჩნდა

**„მოვიდიან შესამკობად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი,
ცით მფრინველნი,
ინდო არაბ-საბერძნეთით, მაშრიყნი და მალრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპ-
ტელნი“.**

ხომ ნაფიცი აკადემიკოსები იღვწოდნენ რვაას ორმოცდაათი წლის გენიოსის დასახმარებლად, რათა „ვეფხისტყაოსანი“ ცრუკალმოსანთა ხელყოფისაგან გადაერჩინათ, მაგრამ ახლა შეიძლება თამამად გავიმეორო: ბევრი მათგანი ამოდ დაშვრა. „საწუხ არს ესე!“

რალა შორს წავიდე – ვერც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა აკადემიურმა კომისიამ გაუნია პოემას ღირსეული სამსახური. მის მიერ 1988 წელს გამოქვეყნებული აკადემიური „ტექსტი“ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

სალიტერატურო პრესაში დროდადრო იბეჭდებოდა მურმან თავდიშვილის წერილები „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯებათა წინააღმდეგ. ამ წერილებს სამი რამ უმაგრებდა ზურგს: ავტორის ნიჭიერება, ტექსტის ზედმიწევნითი ცოდნა და ზომიერი

სითამამე (ანუ ე.ნ. ავტორიტეტთა ნააზრევის ზედმეტ თავმდაბლობას მოკლებული კრიტიკა).

თუ „აკადემიკოსებს“ მურმანის „ნკიპურტები“ და „ნკეპლიკები“ თავდაპირველად ნერვებს უშლიდა, მერე და მერე შიგადაშიგ ირკვეოდა, რომ ეს „ახალგამოჩეკილი“ მეცნიერი მართალი ყოფილა.

მაღალმეცნიერულმა კოჰორტამ მურმან თავდიშვილის კეთილშობილური სურვილი მაშინ ირწმუნა, როცა რუსთველოლოგიური მეცნიერების ჰორიზონტზე გამოჩნდა ექვსასგვერდიანი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ (1991 წ.).

ამ წიგნით მურმან თავდიშვილმა „ვეფხისტყაოსანს“ დაუბრუნა 60 უსამართლოდ, უსაბუთოდ განდევნილი სტროფი და, რაც მთავარია, პოემის აბსოლუტურად ორგანული ნაწილი — „ინდო-ხატაელთა ამბავი“.

ახალგამოცემულ სამტომეულში მოთავსებული გამოკვლევების სტილი ღრმადმეცნიერული და პოლემიკურია.

ავტორი კოლეგებს ეკამათება მაგალითებით, საქმიანად, მათი ღირსების შეცნობითა და შენარჩუნებით; ეკამათება გაუანჩხლებლად და ცდილობს, ლოგიკის რკინის კანონებით დაუმტკიცოს ობიექტური ჭეშმარიტება.

რაც შეეხება პოლემიკას, აქაც ზომიერია მკვლევარი, თანაც უნდა დავსძინო: იგი თვით ბრძანდება ჩინებული მოქართულე და გახმაურებული მწერალი (ავტორია რომანებისა „კეისარი“, „ფირდოუსი“, „რეპეტიტორი“, „მშვენიერი გეიშა“) და სრულიად ბუნებრივია, რომ მისი ერთობ ორიგინალური წერის მანერა გაჯერებულია ხატოვანი თქმებითა და შთამბეჭდავი პასაჟებით.

აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვანვლით:

1. პ. მარგველაშვილს რომ აკრიტიკებს, მკვლევარი დასძენს: „ერთი ქვეთავის სათაური ისევე გაურკვეველია, როგორც ეთიოპელის სახე – ლამით“ (I, 778).

2. „მახათაძე რუსთველოლოგიაში მახათივით შეიჭრა, ოღონდ ამ მახათს ბოლოში ძაფი არ აღმოაჩნდა. ამიტომაცაა, ვერც ვერაფერი გახადა „კერული“ (I, 137).

3. „იმედია, ამ გაკრიტიკებისათვის ბ-ნი გრივერ ფარულავა არ გამინაწყენდება, წყლიდან ჭერეხზე ამოგდებული კალმახივით არ ასხმარტალდება, მით უფრო, თუ გაიხსენებს ერთ ყურნალში დაბეჭდილ ჩემს შეგონებას: აგებს ომში დამარცხებული, თორემ კამათში დამარცხებული იგებს, რაკილა თავის ცოდნასა ზრდის“ (I, 168).

4. „ყველა, ვინც კი ამას წაიკითხავს, გაცბუნდება, გასახტავდება, რადგან გამოკვლევამ აქ ისე შავი ბოლი ამოუშვა, გეგონება, რომის პაპი ვერ აურჩევიათ და ყომრალი კვამლიც ამას მოასწავებსო“ (II, 143).

5. „მე განსაკუთრებით მენიაზა ავტორის სამუშაო ტერმინი „მთხრობელი ინსტანცია“. ხომ მაგარია?! დიახ, მაგარია, რადგან ერთი რუსული სამეცნიერო ტერმინის უბადრუკი და უგერგილო თარგმანია. ამიტომაც გამოვიდა ასტეროიდ მუამუასავით უფორმო და საშინელი“ (II, 455).

დარბაისლური მეცნიერულ-მხატვრული აზროვნება მაშინაც არ ტოვებს სამტომეულის ავტორს, როცა აშკარა უვიცობას ან ფაქტების გაყალბების მცდელობას ნაანყდება. აქ ჭეშმარიტების დასაბუთებას შეერევა ხოლმე უკომპრომისო მოკამათის თავშეკავებული მრისხანება. ეს სრულიად სამართლიანი და გულის მოსაფხანი ტენდენცია კრიტიკოსის სჯას აშკარად ეტყობა პარმენ მარგველაშვილის, ზურაბ კიკნაძის, ალექსი ჭინჭარაულისა და ფელიქს კურცვაილის შესახებ თხრობისას.

მე, ერთი მკითხველი, მურმან თავდიშვილს ამ შემთხვევაშიც აბსოლუტურად ვეთანხმები.

აბა, როგორ გინდა მშრალი გონებით, ირონიისა და სარკაზმის თვინიერ იმსჯელო „მეცნიერზე“, რომელიც ირანში გამომავალ რუსულენოვან ელექტროჟურნალში თავს ნებას აძლევს, მკითხველს ასეთი „სიბრძნე“ შესთავაზოს:

„შოთა რუსთველი მხოლოდ და მხოლოდ ნიჭიერი მთარგმნელია სპარსული პოემისა „ვეფხისტყაოსანი“ და არა ავტორი“.

ამ ოპუსის ავტორის გონებრივი სიბეცე იმდენად არ მაკვირვებს, რამდენადაც ირანელ მეცნიერთა დუმილი ამ გამონათქვამზე. ყველა-ყველა და მათ ხომ მშვენივრად უნციან, რომ არავითარი „ვეფხისტყაოსანი“ არ არსებობს სპარსულ (და არა მართო სპარსულ) ლიტერატურაში არც პოეტური და არც პროზაული სახით.

სამწუხაროდ, სარეცენზიო წერილის ფორმატი ნებას არ მაძლევს „რუსთველოლოგიური კრიტიკის“ აშკარა მეცნიერულ ღირსებებზე უფრო ვრცლად ვისაუბრო, თუმცა არ შეიძლება ხაზი არ გავუსვა იმ გარემოებას, რომ მკვლევარს ღრმად შეუსწავლია ვაჟა-ფშაველასა და ზვიად გამსახურდიას რუსთველოლოგიური ნიაღვრები და სამტომეულს მეცნიერულ ღირსებას მათებს ორი ბრწყინვალე გამოკვლევა: „ვაჟა-ფშაველა – როგორც

რუსთველოლოგი“ და „ზვიად გამსახურდია – რუსთველოლოგი“.

ზემოთ აღვნიშნე, მურმან თავდიშვილი სიტყვის ოსტატია-მეთეი და ამის დასამტკიცებლად თუნდაც წერილთა სათაურებისათვის თვალის გადავლებაც იკმარებდა:

მაგალითად: „აბანოში რა გინდოდათ?“ „უნვერული წვეროსანი?“ „დავთრები დაბნევიათ“, „გაუხსნელი ტექსტობრივი პარამუტები“, „გაჭენებული ცხენიდან დანახული“, „სანამ ამიგო გამიგებდეს“, „ყმანვილი აღარ ხუმრობს“, „არა ოდენ ნადილითა ერთითა“, „ჩავარდნილი კლავიში“, „მგლოვიარე ქარავანი“, „როგორ გაძარცვეს ვეფხისტყაოსანი“, „დაბნეული „ქარავანი“ და სხვ.

ჩემეული დასკვნა ასეთი გახლავთ:

თანამედროვე საქართველოს უბედო ბედისა და ისტორიული პერიპეტიების გადაძვიდე რუსთველოლოგიური მეცნიერება, რომელსაც უკანასკნელ წლებში გარემოებათა გამო არაერთი მეცნიერი (ფიზიკურადაც და გონებრივადაც) გამოაკლდა, ერთგვარად გააცოცხლა პროფესორ მურმან თავდიშვილის „რუსთველოლოგიურმა კრიტიკამ“ (ტ. I, ტ. II, ტ. III). ამ სამტომეულმა ცხადყო ორი რამ: პირველი ის, რომ რუსთველოლოგია არსებობს და ფილოლოგიის ამ ურთულეს სფეროში დღეს მურმან

თავდიშვილი პირველკაცობს; მეორე დასკვნა ის გახლავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სრულყოფისათვის დღესაც უამრავი, მართლაც რომ ხელდასაკაპინებელი სამუშაოა შესასრულებელი და ეს საქმე ნათელი გონებისა და სუფთა ხელების მქონე მწერალ-მეცნიერებმა უნდა აკეთონ (და არავითარ შემთხვევაში რუსთველოლოგიაში ოდენ ერთუზიაზმის იმედზე შემოხეტებულმა დილეტანტებმა).

„ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო ტექსტის დადგენის საჭიროებას უფრო აჩქარებს ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, კომერციით ტვინგაბანგული ზოგი გამომცემლობა ჯიუტად განაგრძობს რუსთველის პოემის შერყვნილი ტექსტის ბეჭდვას. არადა უკვე 2016 წელს პირველად გამოქვეყნდა პოემის სრული აკადემიური ტექსტი (მ.თავდიშვილის რედაქცია).

რევაზ მიშველაძე,
საქართველოს სახალხო მწერალი
2024 წ.

გ ა ზ ა ა ს ე ზ ა
„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის
დამდგენი კომისიისა
და მურმან თავდიშვილისა

„ვინ მარტომან ასთა ავნის“
რუსთველი

1962 წელს ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია. ტექსტის დადგენისას ფორმდებოდა სათანადო ოქმები. ეგ ჩანაწერები მოგვიანებით გამოსცეს რუსთველოლოგებმა გურამ კარტოზიამ და გიორგი არაბულმა. მასალამ შეადგინა დიდი ფორმატის ორი წიგნი. 1973-1979 წლების ჩანაწერები გამოიცა 2011, ხოლო 1979-2006 წლებისა – 2013 წელს.

მე, მურმან თავდიშვილი, როგორც „უკანონო რუსთველოლოგი“ (ჩემივე ტერმინია), კომისიას ახლოსაც არ გამაკარეს. არადა რამდენ შეცდომას, გადაცდომას, ბავშვურად გულუბრყვილო გააზრებას აირიებდნენ. ახლა კი დადგა დრო, მკაცრად

ვაგებინო პასუხი იმ სასააცილო შეცდომებისა და ხარვეზებისათვის.

* * *

კომისიაში წარადგინეს განსახილველი პროექტი, რომელშიც იყო ასეთი სახის სტროფი – ავთანდილი თავის მონებს პატრონად შერმადინს უტოვებს:

მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს,
სიკვდილსა და სიცოცხლესა სადამდისცა ჩემსა
სცნობდეს,
ყოვლთა მზეებრ მოგეფინოს, ვარდს არ ზრვიდეს, არ
აჭნობდეს,
შემცოდესა ყველაკასა ვითა ცვილსა დაადნობდეს.
(I ნიგნი, 14)

ყურადღება მიაქციეთ ტაეპს: შერმადინიო „ყოვლთა მზეებრ მოგეფინოს, ვარდს არ ზრვიდეს, არ აჭნობდეს“.

ამასთან დაკავშირებით კომისიაში ატყდა კამათი:

„ი. გიგინეიშვილი: ნაკითხვა – „ვარდს არ ზრვიდეს, არ აჭნობდეს“ – იუსტინე აბულაძის კონიექტურაა. ხელნაწერებში გვაქვს „ვარდსა ზრვიდეს, არ აჭნობდეს“, რაც უნდა აღდგეს კიდევ... ჩვენ

სრულად არა გვაქვს გათვალისწინებული **დაზრვა** ზმნის ყველა მნიშვნელობა“ (14).

სწორია პროფესორი, რომელიც მე ყოველთვის ფრიადებს მინერდა და, როგორც გამორჩეულ სტუდენტს, თავისი ორთოგრაფიული ლექსიკონი ავტოგრაფითურთ მაჩუქა.

დიახ, სწორია, ოღონდ ვერ დავფარავ: ჩემი ძვირფასი მასწავლებელი ამ საკითხს უჩემოდ მაინც ვერ გადაწყვეტდა და აკი ვერც გადაწყვიტა!

კერძოდ, საკმარისი გახდა აკად. შოთა ძიძიგურის ნაივური მოსაზრება და მიუღებელი კონიექტურა დატოვეს. შ. ძიძიგურმა კი ბრძანა: „**დაზრვა** და **ჭნობა**“ აქ, შესაძლოა, სინონიმური მნიშვნელობით არ იხმარებოდეს. შეიძლება ასეთი აზრია გადმოცემული: „ვარდს ზრვიდეს, მაგრამ არ აჭნობდეს“.

ასე დარჩა ტექსტში ყოვლად მიუღებელი კონიექტურა (ხელოვნური ჩასწორება).

იქ რომ **მ. თავდიშვილი** ყოფილიყო, აი, რას იტყოდა: „აკადემიკოსებო, თქვენ სულ არ გაგონდებთ რუსთველის ერთი პოეტიკური ხერხი. ამ ხერხს უცხოურად ეწოდება ჰენდიადისი, ხოლო ჩვენებურად – ერთიორითი, სადაც ერთი იდეა ორი გზით, ორი საპირისპირო ცნებით იშლება. აქედან პარალელიზმის პირველი წევრი დადებითი ცნებაა, მეო-

რე – უარყოფითი. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, სხვებს ჩემს შემოქმედებით საიდუმლოდ გადავინახავ:

ვითა მართებდა, პურობდეს, **ღვინოსა სმიდეს, არ დოსა.**

დააკვირდით: პირველია დადებითად გამოხატული იდეა: **ღვინოსა სმიდეს**; მეორეა ამის საპირისპირო ცნება – **არ დოსა**. ეჭვი არაა, ვაჟკაცურ სასმელ **ღვინოს** უპირისპირდება ჩვილთა და უსუსურთა სასმელი **დო**. აქედანაა სიტყვა **დოყლაპია!**

სწორედ ასეთი ვითარებაა საძიებელ ტაეპშიც. ხელნაწერებში ყველაფერი სწორად წერია და ჩასწორება და მკრეხელობა საჭირო არაა. იქ მითითებულია:

შერმადინი ასე უნდა იქცეოდესო – ყველა თქვენგანს მზესავით მოეფინოს და **ვარდსა ზრვიდეს, არ აზრობდეს**, ანუ ვარდს **აცოცხლებდეს** და არ **ყინავდესო**.

მეორეც, იქ წერია არა **ზრვა** (გაყინვა), არამედ **ზვრა** (ზვარი).

ძველი ქართული სიტყვა **ზვრიდეს** კი ნიშნავს იმას, რასაც **აცოცხლებდეს, ზროს, ღეროს უძლიერებდეს**.

საძიებელი სიტყვის ძირზე აგებული ერთი ფორმა „ვისრამიანშიცაა“ ნახსენები. ესაა **მეზვრე**

(ქართული მწერლობა, 3, 111), ასევე **ვამეზვრე** (3, 256). აქ **ზვარ** ძირი შეკუმშულა: მე-**ზვრ**-ე; ვამე – **ზვრ**-ე. სწორედ ამ ძირზეა დაყრდნობილი ზმნა **ზვრ**-ი-დ-ეს.

მაშასადამე, იმის გამო, რომ ჯეროვნად ვერ გაითვალისწინეთ რუსთველის პოეტური ხელოვნება, მიიღეთ ფშუკი!

თქვენ, რა თქმა უნდა, ვერც მომდევნო სტროფში ხედავთ ჰენდიადისს. არადა ის იქაც მკაფიოდ მჭვირვალეებს. გავსინჯოთ მეოთხე ტაეპი:

მე თუ დრომდის არ მოვიდე, **გლოვა გმართებს, არ სიცილი.**

აქ პოზიტიურ **გლოვას** უპირისპირდება ნეგატიური **არ სიცილი**.

ჰენდიადისის პოეტიკური კანონის გაუთვალისწინებლობამ სხვა დროსაც ჩააგდო კომისია სასაცილო მდგომარეობაში. განსახილველად გამოიგანეს სტროფი, რომლის წინა ორი ტაეპი ასეთია:

**ზედ წაადგა, შეექცევის, დროთა, დღეთა ანგარიშობს;
თვენი ესხნეს ორანილა, ამაღ სულთქვამს, არა იშობს.**

კომისიაში გაიმართა კამათი. „ი. გიგინეიშვილი: ბ-ში წაკითხვა „არა იშობს“ მიუღებელია. „იშობს“ მწუხარების გამომხატველი ზმნაა, ამიტომ უპირა-

ტესობა უნდა მივცეთ ხელნაწერებში დადასტურებული ვარიანტს – „ამად იშობს“.

გ. კარტოზია: „იშობს“ ზმნა ნაწარმოებია „იშ“ შორისდებულისაგან, რომელიც პოემის ძირითად ტექსტში ორგან გვხვდება და ორგანვე აღტაცების, სიხარულის გამომხატველია... ამიტომ უცვლელად უნდა დარჩეს ტაეპში ნაკითხვა: „ამად სულთქვამს, არა იშობს“.

ი. გიგინეიშვილი: ფატმანის ნათქვამში (1194₄) **იშ** აუცილებლად აღტაცებასა და სიხარულს არ გამოხატავს. 327₄-ში კი მას ასეთი მნიშვნელობა მართლაც აქვს. **იშ** შორისდებული პოემაში, როგორც ჩანს, ორივე მნიშვნელობით იხმარება: გამოხატავს სიხარულსაც და მწუხარებასაც. სადავო ადგილას მწუხარების გამომხატველი უნდა იყოს“ (ოქმების I ნიგნი, გვ. 24).

მურმან თავდიშვილი: „ჯერ ერთი, ცდება ჩემი მასწავლებელი, როგორც ენათმეცნიერიც. პოემაში მკაფიოდ უპირისპირდება ერთურთს გლოვის გამომხატველი **ვაი**, **ვამე** და სიხარულის მაცნე **იში**; მეორეც, ერთმანეთს ეპაექრებოდნენ ენათმეცნიერები. მაშ, საკითხი დაყვანილი იყო გრამატიკულ დონეზე, რის წინააღმდეგაც მუდამ გამოვდიოდით ორნი: ქ-ნი მარიამ კარბელაშვილი და მე. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ კომისიას მუდამ აკლდა

ლიტერატორი – რუსთველოლოგი. მე, მაგალითად, ამ ენათმეცნიერულ კამათს საერთოდ არ გავამართვინებდი, როცა ავუხსნიდი, რომ ამ ადგილას რუსთველს გამოყენებული აქვს მის მიერ ვირტუოზულად მომარჯვებული ჰენდიადისი (ერთიორითი). კერძოდ, აქ იმაზეა საუბარი, რომ ავთანდილს უცხო მოყმის ძებნაში 3 წელი შემოეხარჯა, უკვე ორი თველა დარჩა და აღარ იცის, რა გზას დაადგეს: ისევ წინ წავიდეს თუ უკან დაბრუნდეს. მაშ, ის გასაჭირშია. აი, აქ რუსთველი იყენებს ერთიორითს:

თვენი ესხნეს ორანილა, **ამად სულთქვამს, არა იშობს.**

სპასპეტის გასაჭირი ერთიორითულად არის გამოხატული: ჯერ დადებითი იდეის გამოყენებით (**ამიტომ ვაებს**) და შემდეგ უარყოფითი, თქმულის საპირისპირო იდეით: **არა იშობს**, ანუ **არა მხიარულობს**.

ამრიგად, რუსთველის მხატვრული ილეთი გვეუბნება, რომ **სულთქვამს** არის **გლოვა**, ხოლო **იშობს** არის **სიხარული**.

მაგრამ კომისიაში არ აღმოჩნდა კაცი, რუსთველის ეს პოეტიკური ილეთი სცოდნოდა და დამაჯერებლად დაედასტურებინა ხელნაწერთა უმეტესობის სიმართლე”.

კომისიამ იმსჯელა სტროფზე:

თვალთა ახმადცა ზარედვა, სრულად მიჰხდოდა ცნობასა,
მიახლებოდა სიკვდილსა, მოშორებოდა ნობასა.
ყმა სახელდებით უყივის, ლამის სიტყვითა კრთობასა,
ველარ ასმინა, გარდიჭრა, ძმა გამოაჩენს ძმობასა!

ხაზგასმულ ტაეპში **ნობასა** შეიცვალა ნაკითხვით **თმობასა**. რედაქციის წევრებმა აღნიშნეს: „**ნობა** საკრავის მნიშვნელობით აქ შინაარსობრივად შეუსაბამოა; წესის, რიგის აღმნიშვნელად კი ვეფხისტყაოსანში **ნობათი** იხმარება და არა **ნობა**. პროექტი ამ ცვლილებებით მიღებულ იქნა“ (I, 283).

მ. თავდიშვილი: „ასე გაუხსნა გზა კომისიამ საშინელ შეცდომას, შეიძლება ითქვას, მკრეხელობასაც კი!

საქმე ისაა, რომ მგოსანს დაუნგრის სასწაულებრივად აწყობილი მხატვრული ფიგურა, ერთობ საინტერესო პოეტური ხერხი **ერთიორითი**. არადა რუსთველი **ჰენდიადისის** დიდოსტატია. გრამატიკოსებით გაჯერებულმა კომისიამ კი ეს ვერ შენიშნა, რადგან აქ უკვე ლიტერატურულ-პოეტიკური ნაკითხობა იყო საჭირო. ასე ჩანერეს ტაეპში **თმობა**, განდევნეს **ნობა** და მოგვცეს განმარტება: გონნასული ტარიელი „**სიკვდილს მიახლოებოდა, მოთმინების ძალა გამოლევოდა (გამძლეობა დაჰკარგოდა)**“. იხ. I, 283.

ხელთ შეგვრჩა გრამატიკულად გამართული უბრალო ფრაზა, რომელსაც ნებისმიერი დიასახლისი იტყოდა, ოღონდ არა რუსთველი. მაშ, რა უნერია შემოქმედს? ჰენდიადისის დიდოსტატი გვეუბნება: ლომგმირი **მიახლებოდა სიკვდილსა, მოშორებოდა ნობასა**, ანუ სიკვდილს დაახლოებოდა და ნობა (საკრავი იარაღი და მუსიკა, ცეკვა-თამაში და მხიარულება) მიეტოვებინაო.

ამ ადგილის მთელი მხატვრული ეშხი სწორედ ისაა, გვითხრას ერთიორითული ამბავი: მიახლოებოდა **სიკვდილს, გლოვას, ვაებას**. ესაა იდეის **პოზიტიური** გაშლა, ხოლო იმავე იდეის **ნეგატიური** გაშლაა ამის საპირისპირო გრამატიკული პარადიგმა. მოშორებოდა **ნობას, მუსიკით ტკბობას, საკრავით სულის მოლხენას**. მარტივად რომა ვთქვათ, მიახლოებოდა **გლოვას** და დაშორებოდა **ლხენასა**.

ერთი სიტყვით, კლასიკური ერთიორითია!

რაც შეეხება ცნება **ნობას**, იგი პოეტს გამოყენებული აქვს არაერთხელ. მაგალითად, „მეფე მინდორს ეკაზმოდა, მოემზადა დაბდაბ-**ნობი**“; „იკრეს **ნობსა** და დაბდაბსა“; „ჰკარით ბუკსა და **ნობასა**“ და ა.შ. მაგრამ კომისიისათვის მთლად მომაკვდინებელია ის, რასაც ახლა ვიტყვი: მისმა წევრებმა კარგად არ იციან პოემის ტექსტი, რასაც მათ მე მუდამ

ვუკიჟინებდი! მათ რომ ტექსტი ხსომებოდათ, პოე-
მაშივე მოძებნიდნენ საძიებელი ტაეპის თავისებურ
პარადიგმას, იოლად ამხსნელ მაგალითს. მომყავს
ეგ მაგალითი: ნესტანი ხელთ იგდო გულანშაროს
ხელმწიფე მელიქ სურხავმა, დაატყვევა და მცვე-
ლად ხადუმები მიუჩინა. ტყვე ქალმა ხადუმებს უთ-
ხრა: – გონს მოდით, თქვენი რძალი და დედოფალი
არასოდეს გავხდები; თქვენი პატრონი მოტყუებუ-
ლია; **ჩემი მოპოვებით გახარებული ტყუილად უკ-
რავს ბუკს, ტაბლაკსა და ნობასა** (იხ. ოქმების ტ.
II, 22).

მაშასადამე, გახარებულ-გალაღებული მელიქ-
სურხავი **მიახლებულა ნობას და დაშორებია სიკ-
ვდილსა, ვაგლახსა და ვასა!**

სწორედ სურხავის საპირისპირო მდგომარეო-
ბაშია ტარიელი, რომელიც **მიახლოებია სიკვდილ-
სა და დაშორებია ბუკსა, ტაბლაკსა და ნობასა.**

ანუ ის, რისი დამტკიცებაც გვეწადა.

ღირიკულ ინტერმეცოსავით:

პოემაშია ცნობილი ერთიორითი: **მართლად
გითხრობ, არა ჭრელად.**

ამის პროტოსახე იძებნება „ვისრამიანში“: „ყვე-
ლა **მართალი გითქვამს და არა გიხლათავს სიჭ-
რელითა**“ (3, 74).

ამრიგად, ქართველ ერს დღემდე დავუკარგეთ მისი შვილის მხატვრული აზროვნების ერთი ბრწყინვალე სხივი”.

გრამატიკოსთა დაუძლეველ სიმაგრეს მიადგა კომისია კიდევ ერთგან. ასმათმა დამნუხრებული ტარიელი ქვაბში მიიღო.

ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან, დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან; **შეჰხსნა, შეილო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან;** დადუმდეს, ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიშრისა დანამან.

ამ სტროფს მოსდევს ასეთი საბოლოო გაშინა-არსება:

„ამარტისფრად (=ყვითლად) შეცვალა ბროლი – პირისახე ცრემლით ბანამ. დიდხანს იტირეს მოყმემ და იმ შაოსანმა ქალმა; **შეხსნა (ქალმა მოყმეს) იარალი და შეიტანა გამოქვაბულში, ცხენიც შეიყვანა;** დადუმდნენ, შავი გიშრის დანამ (=წამწამებმა) ცრემლები მოჰკვეთა (=ტირილი შეწყვიტეს)“ (იხ. ტომი I, გვ. 61).

ლექსის საძიებელი ტაეპი და მისი განმარტება საგანგებოდ შავად დავბეჭდე, როგორც კომისიის სირცხვილი და თავისმოჭრა. აი, რას ვეტყოდი მას.

მ. თავდიშვილი: „აკადემიკოსებო, როგორ არა გრცხვენიათ? თქვენ ხომ ამ კომენტარით აღიარეთ,

რომ წარმოდგენაც არა გაქვთ ტარიელის ცხენზე, არ გცოდნიათ, რომ საბრძოლო ცხენი, ჩვეულებრივ, შეაბჯრულია, შეჯავშნულია.

ეს სამარცხვინო საქმე კი იმად დაგემართათ, რომ ნაკითხულიც კი არა გაქვთ „შაჰ-ნამე“. ფირდოუსის ეგ პოემა რომ ცალი თვალით მაინცა გქონდეთ გადახედული, ნახავდით:

ქალის ერთ-ერთ საპატიო მოვალეობად იყო მიჩნეული რაინდის ცხენის მოვლა-პატრონობა, ულაცისათვის საომარი აბჯარ-ჯავშნის მოხდა. ეგ კურიოზი კი იმად მოგივიდათ, რომ ვერც კი წარმოგედგინათ, თუ **ცხენებიც შეაბჯრული დადიოდნენ**. ამიტომაც გულუბრყვილოს სითამამით განმარტეთ – **„შეხსნა (ქალმა მოყმეს) იარაღი და შეიტანა გამოქვაბულში, ცხენიც შეიყვანა“**.

არა, ბატონებო, აქ თქვენ მაგრად გეფუცათ!

ამჯერად ასმათმა რაინდის მერანს შეხსნა აბჯარი, შეიტანა ქვაბში, მერმედ გამობრუნდა და ცხენიც თან შეიყვანა.

ეს კურიოზი სხვაგანაც დაგემართათ, კერძოდ, იქ, სადაც საჭირო იყო კომენტირება ცნობილი ტაეპისა:

ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა;
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნავირსა...

ხაზგასმულ ტაეპში ზემოაღნიშნულის გამო თქვენი ეჭვი გამოიწვია ცხენის აღკაზმულობაში ლაგამ-უნაგირს შორის **აბჯარ** სიტყვის მოქცევამ. თქვენ ხომ **ვერც კი წარმოედგინათ შეაბჯრულ-შეჯავშნული ცხენი**. ამიტომ კომენტარიც შესაბამისია: **„გ. ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა დაემატოს ი. გიგინეიშვილის ვარაუდი ლაგამთ-აბჟანდ-უნაგირის თაობაზე“** (გ. II, გვ. 267).

სწორედ თქვენმა ამ უმართებულო იდეამ შეცდომაში შეიყვანა ცნობილი მწერალი და ირანისტი, მრავალი ჩემი წიგნის რედაქტორი და რეცენზენტი, ჩემი გულითადი მეგობარი ნომადი ბართაია, რომელმაც გამოაქვეყნა ნაშრომი „სპარსულიდან შემოსულ აღმოსავლურ თემატურ ნასესხობათა შესახებ ქართულში“ (2021). იქ მან წამოაყენა ი. გიგინეიშვილის მსგავსი იდეა. **ლაგამსა და უნაგირს** შორის უნდა ყოფილიყო **ავშარა**. ამ მკვლევარსაც ვერ წარმოედგინა, თუ ცხენი შეჯავშნული შეიძლება ყოფილიყო, და მე იძულებული ვიყავი მიმეთითებინა, რომ ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ გატენილია მაგალითებით, როცა ცხენები სხედან ჯავშანში, ხოლო ეს ჯავშანი ხშირად ძვირფასი თვლებითაა მორთული. ვისაც აღნიშნულის ნიმუშები აინტერესებს, წაიკითხოს ჩემი სტატია – „საკითხის დაყენე-

ბის უფლებაც კი არა გვაქვს!“ (იხ. ნიგნში „რუსთვე-
ლოლოგიური კრიტიკა, II, გვ. 441).

კიდევ მეტი, იქვე ვუჩვენე ის, რაც კომისიის
წევრებმა ყურმოკვრითაც არ იციან: არა მარტო
„შაჰ-ნამეშია“ გამოყვანილი შეჯავშნულ-შემკული
ცხენები, არამედ თვით „ვეფხისტყაოსანშიც“. იმავე
წერილში მითითებულია პოემის ადგილები, სადაც
საუბარია ტარიას **შეაბჯრულ მერანზე**.

ახლა კომისიას კიდევ ერთი ბრალდებაც უნდა
წაუყუენო. მის წევრებს, როგორცა ჩანს, არც „ამი-
რანდარეჯანიანი“ წაუკითხავთ: რომ წაეკითხათ,
მაშინ შენიშნავდნენ – საბრძოლო ცხენები აქაც
რკინაში სხედან. აი, მაგალითები: „გამოვიდა მესა-
მეცა ბუმბერაზი; **დაეკიდნეს რკინანი ცხენისად**
სატკივართა ადგილთა და თვითცა ჩამოეკიდნეს
რკინანი“ (2, 331); „შემოსილიყო **ცხენი და კაცი**
რკინითა“ (2, 360). აღნიშნულის შესახებ მიწერია
ნიგნშიც „ნიზამი და რუსთველი“, გვ. 106, სადაც
მსგავს მაგალითად მომყავს ნიზამის კომენტარი:
„მეფეს შაბდიზიდან ჩამოხტომაში უშველოს – ეს
საპატიო სამსახურია“ ქალისაო.

ამიტომაც თუ იყო: მუდამ ვუკიჟინებდი კომი-
სიაში გრამატიკოსთა სიმრავლეს, ხოლო აღმოსავ-
ლური მწერლობის მცოდნეთა სიმცირეს. არაერთ
ნიგნში (და არა სტატიაში) მიმითითებია: „ვეფხისტ-

ტყაოსანი აღმოსავლური (სპარსული) პოემაა. ფირდოუსი, ნიზამი, რუსთველი – ეს სამება ღმერთმა შეაკავშირა და ამ კავშირს კაცის ხელი ვერ განყვეტს-მეთქი (იხ. ჩემი „ნიზამი და რუსთველი“, გვ. 217).

ფირდოუსისა და ნიზამის ქმნილებების უცოდინარობის სუსხი კომისიას აპრილის თაკარაში ჩატარებულ სხდომებზეც კი ზრავს. 1975 წლის 25 აპრილს განიხილეს პერსონაჟის სახელის „დამახინჯებული“ ფორმა **ტარიერსა**. „მოენერა: „რამაზ მეფე წიგნსა გინერ **ტარიერსა**“.

კომისიამ ადრე არსებული **ტარიელსა** გაასწორა ფორმით **ტარიერსა**, ოღონდ მტკიცებულება იყო პრიმიტიული, ისეთი, არავითარ ლიტერატურულ ცოდნას რომ არ საჭიროებდა: სხვა ტაეპების სარიტმო კლაუზულა მთავრდება ბგერათკომპლექსით **იერსა** და ამიტომ უნდა დარჩესო „დამახინჯებული“ სახელი **ტარიერსა** (ტ. I, გვ. 118).

გაუგებრობა კიდევ უფრო გააღრმავა გ. არაბულმა. 1997 წ. გამართულ სხდომაზე ფორმას **ტარიერისა** მან „არასწორი“ უწოდა. „არასწორი ფორმა (ტარიერისა) მეორეულია და სასურველია გასწორდეს“ (ტ. II, გვ. 296).

არ დაუფერეს, „მახინჯი“ **ტარიერისა** დატოვეს და მართებულადაც მოიქცნენ, ოღონდ, რატომ მო-

იქცნენ მართებულად, აზრზეც კი არ იყვნენ. და ეგ გამოჩნდა 1998 წელს გამართულ სხდომაზე, როცა მიადგნენ მეორე „დამახინჯებულ“ სახელს **ნესტან-ჯარ**. პირდაპირ ვიხარხარე, როცა საამდროო კომენტარები წავიკითხე:

„ა. გვახარია: ეს ფორმა რუსთველის ტექსტში მიუღებელია.

გ. კარტოზია: ალბათ, გვიანდელი დამახინჯებაა. იქნებ კონიექტურით გასწორდეს.

ც. კიკვიძე: შეიძლება საერთოდ გვიანდელი ტექსტი იყოს. მაშინ გამოდის, რომ ჩვენ ვაკეთილშობილებთ ნაყალბევ ტექსტს.

ბ. ბრეგვაძე: უკვე დასასრულისაკენ მივდივართ და აქ ბევრია გვიანდელი ჩანარები“ (ტ. II, გვ. 298).

კომისიის ოთხი წევრის სახელი საგანგებოდ ხაზგასმით დავბეჭდე, რათა მკითხველმა კარგად დაიხსომოს, თუ ვითარ მოიჭრეს თავი, როგორც რუსთველოლოგიურად უნიგნურებმა, ოღონდ მანამდე კიდევ ერთი ძალად მაცხონე რუსთველოლოგი უნდა გამოვიწვიო მივინყების ბურანიდან და ჩემს წითელ პასტა-კალამს, როგორც უღმობელ ჯალათს, თავმოსაჭრელად მივუგდო – ეს გახლავთ ალექსი ჭინჭარაული. ეგ ენათმეცნიერი იოლად ერწმუნა კომისიის ყალბ თვალსაზრისს და ასე გაი-

სარჯა: მთელ პოემაში დაძებნა ის სტროფები, რომლებშიც „დამახინჯებული“ საკუთარი სახელება ახმინანებული და ყველა ნაყალბევად, ინტერპოლაციად გამოაცხადა. ფაქტობრივად პოემიდან გაყრა მოუხდომა 8-10 სტროფს.

მაშასადამე, ჩემი კალამჯალათი ელოდება არა ოთხეულს, არამედ ხუთეულს. ესენი არიან: ალექსანდრე გვახარია, გურამ კარტოზია, ცოტნე კიკვიძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ალექსი ჭინჭარაული.

აქედან არავინ მებრალება, გარდა ერთისა. ის ერთი კი გახლავთ **ირანოლოგი ალექსანდრე გვახარია**. თუ რატომ, ახლავე მიხვდებით.

დანარჩენებს რომ „შაჰ-ნამე“ არ წაუკითხავთ, ეს ადრეც ვიცოდი და ახლაც ვიცი, ოღონდ, თუ ბატონი ალექსანდრეც იმ უნიგნურთა მარაქაში გაერეოდა, არაფრით მეგონა!

პირდაპირ გაოგნებული ვარ, როგორ დასცდა ა. გვახარიას ასეთი სისულელე: **„ეს ფორმა რუსთველის ტექსტში მიუღებელია“**.

არადა ბ-მა ალექსანდრემ შესანიშნავად იცის: რუსთველი ზედმინევნით იცნობს „შაჰ-ნამეს“, მისი მთავარი პერსონაჟი როსტომი თავისი პოემის დასაწყისშივე ახსენა, ხოლო ფირდოუსის აქვს ასეთი წესი (რაც ხალხური წესია და საქართველოშიც მოქმედებს): გმირთა სახელები წარმოითქვას

მთლიანადაც და ელიზირებულადაც, ვთქვათ, ასე: ნიკოლაოზი→ნიკოლოზ→ნიკო; მურმანოსი→მურ- მან→მური და ა.შ.

ავიღოთ „შაჰ-ნამეს“ გმირი **ფულადვენდი**. პო- ემაში ის ხან **ფულადი** გახლავთ, ხანაც **ფულადვენ- დი**; სახელი **ზუვი** ხშირად შეკვეცილია ასეგვარად – **ზუ**; სახელი **ჟენდერეზმი** ზოგან ასეა წარმოდგენი- ლი – **ჟენდი**; **დარაბი** ხდება **დარა** და ა.შ. (იხ. ჩემი „ფირდოუსი და რუსთველი“, გვ. 11).

მეორე ალექსანდრეს, რომელსაც არათუ რუს- თველოლოგიური ლიტერატურა, არამედ გრამატი- კის სახელმძღვანელოც კი არ წაუკითხავს ჯეროვ- ნად (და ამაზე მივუთითე კიდევ 2010 წ. დაწერილ ნერილში – იხ. რუსთველოლოგიური კრიტიკა, I, გვ. 694. სტატია „არცოდნა არს ცოდვა“), ისე არ ვადა- ნაშაულებ, როგორც პირველს, რადგან გამოდის: ალ. გვახარიას, ცნობილ ირანისტს, რომლის ერთ- ერთ ნიგნსაც მე ვრცლად და კეთილად გამოვეხმა- ურე (იხ. სტატია „ნიგნი ქართულ-სპარსულ ლიტე- რატურულ ურთიერთობებზე, ვეფხისტყაოსანზე და სხვათა შესახებ“, მონოგრაფიაში „ვეფხისტყა- ოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, 2000, გვ. 234), თურმე ფირდოუსის ტექსტი არ წაუკითხავს! და, თუ წაუკითხავს, მაშინ როგორაა: სპარსელ პოეტს უფლება აქვს რიტმისა და მეტრის, ასევე ბგერნე-

რის მოთხოვნისამებრ შეამოკლოს სახელები და ქართველს კი ეს ეკრძალება? ის მაინც ეთქვა ცხონებულს, რომ ფირდოუსი ასე იქცეოდა და, ეგების, რუსთველიც იმასა ჰბაძავსო!

ოლონდ, რაც არ იცოდა, როგორ იტყოდა, თორემ კომისიის წევრთა წინაშე რა თავმოსანონები იქნებოდა ამგვარი ცოდნის გამოჩენა და რუსთველის მიერ მომარჯვებული „დამახინჯებული“ სახელების რეაბილიტაცია-დაცვა.

და აქ მე უნებლიეთ, კაცმა არ იცის, რატომ, მაგონდება ცნობილი ფრაზა: „**შენც, ბრუტუს?!**”

ბაჩანა ბრეგვაძეს კი, ჩვენს ქებულ ბაჩანას, დამატებით სხვა კურიოზიც მოსდის, ამბობს: „უკვე დასასრულისაკენ მივდივართ და აქ ბევრია გვიანდელი ჩანართები“. ამას ამბობს **ნესტანჯარ** ფორმასთან დაკავშირებით. აქედან ჩანს: მან პოემის შინაარსიც არ იცის ჯეროვნად და კომისიის წევრობას კი სთანხმდება. პატივცემულო ბაჩანა: სანამ **ნესტანჯარ** ელიზირებულ ფორმას იხმარდა ავტორი, მანამდე, ანუ პოემის დასაწყისსა თუ შუაში, არაერთხელ მოიმარჯვა შეკვეცილი ფორმები. თქვენ კი გგონიათ, რომ მხოლოდ დასასრულისკენაა მსგავსი ფაქტები?!

ბ-ნ ბაჩანას ისევე მკაცრად უნდა მოვთხოვო პასუხი, როგორც ალ.გვახარიას. ამის მიზეზს ახლა-

ვე ავხსნი. იმ ხუთი კაციდან არც ერთს არ აქვს პრეტენზია, იყოს ერუდიტი და ესთეტი, მხატვრული ფაქტის დამნახველი და შემეფასებელი. ვგონებ, სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ბ-ნი ბაჩანაც. და რა მივიღეთ? მივიღეთ ფშიტი! სწორედ აქ ჰქონდა ბატონ ესთეტს თავის გამოჩენის დრო და შესაძლებლობა, ანუ მას უნდა გაეკეთებინა ის, რაც გავაკეთე მე. და რა გავაკეთე ასეთი?

ყოველი ელიზირებული ფორმა კონტექსტის თანხლებით განვიხილე და ვუჩვენე: ზოგჯერ ელიზირება მოითხოვს საზომმა და რიტმმა, ზოგჯერ – ბგერწერის მიღწევის მცდელობამ, ხანდახან ეს კეთდება რითმის სინმინდის დაცვის მიზნით და ა.შ. (იხ. „რუსთველოლოგიური კრიტიკა“, I).

აი, ბ-ნო ბაჩანა, რატომ უნდა ვყოფილიყავი კომისიის წევრი მე და არა თქვენ!

ასეთია ჩემი პასუხი უცნაურ კურიოზთან დაკავშირებით, ოღონდ წერტილს ვერც აქ დავსვამ.

საქმე ისაა, რომ ჩვენი ქებული ესთეტი, როგორცა ჩანს, არა ოდენ რუსთველოლოგიური ლიტერატურისა და ტექსტის ცოდნაში ჩამორჩება, არამედ გემოვნებითაც ვერ დაიტრაბახებს. სამსჯელოდ გახადეს სტროფი:

როსტანს სიტყვა ასულისა მოენონა, ეკეთაცა;

პირი ხელით დაუჭირა, გარდაჰკოცნა კვლა და კვლაცა;

**უბრძანა, თუ: „დაგმორჩილდე, რაცა მითხრა, ეგრე
ვექმნაცა.**

იგივეა ჩემი მხსნელი, ვინცა მინა განმაკაცა!“

(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პოემის სრული ტექსტი.
მურმან თავდიშვილის რედაქცია, გამოდის პირველად,
2016, გვ. 32)

წარმოდგენილი სტროფის ავთენტურობის თაობაზე ჩემი მოსაზრება ნაუკითხავთ გ. კარტოზიასა და ალ. გვახარიას. მათ აღნიშნულ პოეტურ აზრებს მხარი დაუჭირეს.

„გ. კარტოზია: სტროფი ჩანართად არის მიჩნეული რუსთველის პირველი საიუბილეო (1937) კომისიისა და ჩვენი რედაქციის მიერაც. არგუმენტები, რომ ის სიუჟეტის განვითარებისათვის აუცილებელი არ არის, რომ -ცა ნაწილაკის გამოყენება სართიმო ზმნურ ფორმებში რუსთველის სტილი არაა, სტროფის სიყალბის დასადგენად საკმარისი არ არის.

ა. გვახარია: მ. თავდიშვილს მიაჩნია, რომ ამ ეპიზოდის სხვა სტროფებში (რომლებიც აგრეთვე ჩანართებად ითვლება) ჩანს თინათინის გონიერება, სიბრძნე და მჭევრმეტყველება, რამაც როსტევეანი გაახარა. სწორედ მეფის კმაყოფილება და აღტაცება არის გადმოცემული სადავო სტროფში. ამიტომ, მისი აზრით, ეს და კიდევ მისი თანმხლები სამი სხვა

სტროფი უნდა იქნეს შეტანილი ძირითად ტექსტში“ (ტ. II, 304).

მაშასადამე, გამოჯანდრულმა გრამატიკოსმა და გასმენილმა ირანოლოგმა ამ სტროფში ვერანაირი ნაყსი ვერ აღმოაჩინეს, ჩემს მტკიცებულებებს მხარი მისცეს და, აი, აქ გამოდის ჩვენი გემოვნებიანი ესთეტი, რომელსაც სწორედ მხატვრობის დადგენა-განსაზღვრა ევალება და შემდეგსა ბრძანებს: „სხვა სტროფები რამდენად საჭიროა, არ ვიცი. ამ სტროფის ენა და სტილი კი ნამდვილად არ ვარგა. „პირი ხელით დაუჭირა, გარდაჰკოცნა კვლა და კვლაცა“ – ამის ავტორად რუსთველის მიჩნევა მისი პოეტური გენიის შეურაცხყოფა მგონია“ (იქვე).

უნინარეს ყოვლისა, ისა ვთქვათ, რომ ბოლო ტაეპი გენიალური აფორიზმია, რომელიც დამყარებულია ბიბლიურ წარმოდგენაზე, ხოლო, უდიდესი რუსთველოლოგი ვ. ნოზაძე ამტკიცებს: რუსთველის წარმოდგენები ემყარებაო ბიბლიას. ნოზაძემ პოემისა და ბიბლიის მიმართებას მთელი წიგნი უძღვნა.

მაშასადამე, ჩვენმა ესთეტმა სრულიად ვერ შენიშნა ბიბლიურ წარმოდგენებზე დამყარებული უკვდავი რუსთველური აფორიზმი: **„იგივეა ჩემი მხსნელი, ვინცა მინა განმაკაცა“**. ეს იგივეა, რაც

სხვაგან სხვაგვარად გამოთქმული სიბრძნე: „კაცსა ღმერთი არ გასწირავს, თუცა კაცი შეიგებდა“, ან კიდევ: „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან (წუთისოფელო) განაწირსა“ და ა.შ.

სხვათა შორის, აქვე შევნიშნავ იმას, რაც, შესაძლოა, ბ. ბრეგვაძეს არ ესმოდა: რუსთველი აფორიზმად ჩამოკვეთილ თავის კონკრეტულ ღვთისმეტყველებით სიბრძნეს სხვადასხვა ფორმით არაერთგზის იმეორებს.

ბარემ აქვე ითქვას: განა მწერლებს მ. თავდიშვილსა და ბ. ბრეგვაძეს ამ აფორიზმის ფარდი აფორიზმი ოდესმე შეუქმნიათ?

მეორეც, ესთეტიკა სრულიად ვერ აღიქვა სასწაულებრივად ჟღერადი რითმა: **ეკეთაცა – კვლა და კვლაცა – ეგრე ვქმნაცა – განმაკაცა**. არადა, მე რომ კაცმა მკითხოს, ასე ჟღერადი და ესთეტიკური რითმა პოემაში ბევრი როდია!

ახლა განვჩხრიკოთ ამ რითმების ძალი და ესთეტიკა, ანუ შევასრულოთ ის პოეტიკური სამუშაო, რომელიც კისრად უნდა ელო ჩვენს ესთეტს. გარეშე თვალი ვერ შეამჩნევს, თორემ სპეციალისტი მყისვე მიხვდება, რა პოეტიკურ ხიმანკლობას მიმართავს ავტორი. ლექსი აგებულია მაღალ შაირზე. ყოველი სიტყვა ორმარცვლიანია ან ამ რიტმულ იმპულსს ექვემდებარება. ამ შემთხვევაში რითმა,

ნესით, უნდა გამოვიდეს ორმარცვლიანი. ასეცაა, სარიტმო კლაუზულა ასეთია: **თაცა – კვლაცა – ვქმნაცა – კაცა**. წმინდა სარიტმო კომპლექსია **აცა**, ოლონდ რუსთველი (და მე ამაზე მთელი ვრცელი გამოკვლევა მაქვს დანერილი) აქ იყენებს თავისებურ პოეტურ ილეთს და რიტმას ამდიდრებს სარიტმო სიტყვისწინა სიტყვებში ერთნაირი ორი ხმოვნის საგანგებოდ მოქცევით. ამ ვითარებაში კი რიტმა გამოდის არა 2, არამედ 4-მარცვლიანი. მაშ, ავტორი თითქოსდა გვანვდის ორმარცვლიან, ოლონდ სინამდვილეში შემოგვაპარებს ხოლმე 4-მარცვლიან რიტმას; ვთქვათ სხვაგვარად: გვახდევინებს ორმარცვლიანის ფასს, სინამდვილეში კი შინ გვატანს ოთხმარცვლიან რიტმას. ამ სიურპრიზს ჩვენი მუსიკალური შეგრძნების ორგანოები კარგად იღებენ და ასე იზადება წარმოუდგენლად დიდი ესთეტიკური სიამოვნება. ახლა ვნახოთ, კონკრეტულად როგორაა რეალიზებული ყოველივე ეს. ამ სტროფში ერთურთს ეხმატკბილება I–III და II–IV ტაეპები. პირველშია სიტყვა ეკე-თაცა, საიდანაც სარიტმო ჰარმონიის შექმნაში მონაწილეობს არა ორი (როგორც თვალი ხედავს), არამედ ოთხი (როგორც ყური ისმენს) ხმოვანი. აი, ისინი: ე – ე + ა – ა. იგივე ხდება მეორე წყვილელელის შემთხვევაშიც: ეგრე + ვქმნაცა = ე – ე + ა – ა. მაშ, ხელთ შეგვრჩა

ოთხხმოვნიაანი უმდიდრესი რითმა და მისი თან-
მხლები ჰარმონია; ახლა გავსინჯოთ II – IV ტაეპე-
ბის შეხმატკობილება. აქაა ასეთი შეპირისპირება:
კვლა და კვლაცა და განმაკაცა. ხმოვნები ასე გან-
ლაგდნენ: პირველის ა – ა + ა – ა, მეორის ა – ა + ა –
ა.

ამრიგად, ხელთ შეგვრჩა სასწაულებრივად
მდიდარი რითმა და მის მიერ მოგვრილი წრეშეუნე-
რელი სიამოვნება, რომლის მიმართაც ბაჩანა ბრეგ-
ვაძე შეუვალა აღმოჩნდა.

ახლა სულ სხვა რამეს მივაქციოთ ყურადღება:
რა ოსტატურადაა დაჯრილი სტროფის მეორე ნა-
ხევარში მოქმედების გამომხატველი და ამიტომაც
ემოციურად დამძაბველი სიტყვები:

- ... მოენონა, ეკეთაცა;
- ... გარდაჰკოცნა კვლა და კვლაცა;
- ... რაცა მითხარ, ეგრე ვქმნაცა;
- ... ვინცა მიწა განმაკაცა.

ბ. ბრეგვაძე ვერ ამჩნევს იმასაც, რა მარჯვედ,
შეფარულად და შეპარულად არის ალიტირებული
სტროფში მეტად ჟღერადი ნაწილაკი **ცა**. ეგ „ცა“
მეორდება **შვიდჯერ** და ჩვენს ცნობიერებაში გა-
ნუნწყვეტილ ვიბრირებს. ჩაქრება მხოლოდ მაშინ,
როცა გარდავიცვლებით.

კიდევ ერთ რამეს ვერ ხედავს ჩვენი ესთეტი, არადა უნდა შეემჩნია: ინტერპოლატორი ნამდვილად ვერ გაბედავდა მეფის სახელი შეეკვეცა და ასე ელიზირებული წარმოედგინა: „**როსტანს** სიტყვა ასულისა მოენონა, ეკეთაცა”. ამას აკეთებს თავად პოეტი. აქ ის მისდევს და ჰბაძავს ფირდოუსის; მაგრამ ფირდოუსის ცოდნას ბ-ნ ბაჩანას, მიუხედავად მისი დიდი პატივისცემისა, ვერ მოვთხოვ.

ამდენ სიკეთეს ვერა ხედავს ჩვენი კომისიონერი. სამუქფოდ, ხედავს ჩემთვის სულაც არა, ოღონდ ზოგათათვის ოდნავ საჩოთირო გამონათქვამს „**პირი ხელით დაუჭირა**”. ჩემთვის ეს ცოცხალი, დინამიკური სურათის შემქმნელი თქმაა, როგორებიცაა, ვთქვათ, იდიომები: **თვალი თვალში გაუყარა; მხარი დაუჭირა** და ა.შ. არც ერთი იდიომი ესთეტიკურად ლამაზი და მწყაზარი არაა, ოღონდ თავის საქმეს (ხატოვანების შექმნას) წარმატებით ახერხებს.

ამ შემთხვევაში ბატონ ბაჩანასწაირებს მე ვურჩევდი: „ვაჟკაცს შუბლში უნდა შეხედო, ჩემო ნომრევან, და არა კოჭებში”, ანთუ კვალში არ მიჰყვე იმ კაცს, რომელზედაც მგოსანმა ბრძანა: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა!”

ან კი დასტურ დავასრულე წამოჭრილ საკითხზე კომისიასთან მასლაათი”.

აქა დახატე, მხატვარო, სულაკაურთა ჯიშისა:
სურათი მოთხრილთ ვაების, გამარჯვებულის იშისა!



საინტერესოა 1998 წელს გამართული სხდომა. განიხილეს ავთანდილ-თინათინის პირველი შეხვედრის სცენა. შეგახსენებთ მას:

ერთგან დასხდეს, ილალობეს, საუბარი ასად აგეს,
ბროლ-ბალახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს;
ყმა ეტყვის, თუ: „შენთა მჭვრეტთა თავი, ხელი ა, სად აგეს!
ცეცხლთა, შენგან მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს”.

გიორგი არაბულმა სტროფი ჩანართად აღიარა, ბრძანა: „ეს თინათინისა და ავთანდილის (მეფე ქალისა და სპასპეტის) პირველი და საქმიანი შეხვედრაა, როდესაც ორივე იცავს ოფიციალურ ეტიკეტ-

სა და ქცევის წესს. ასეთ სიტუაციაში წარმოუდგენელია მათი ერთად (გვერდიგვერდ) დასხდომა და „ლალობა“, რაც მხიარულებასა და სასიყვარულო ალერსს გულისხმობს. სტროფში ასეთ მოქმედებას ხედავენ როგორც რიგითი მკითხველი, ასევე მკვლევარებიც (დ. ჩუბინაშვილი, ვ.ბერიძე, ა. ფოცხიშვილი, შ. ნუცუბიძე და სხვ.), რომელთაც სხვადასხვა დროს წერილობით დააფიქსირეს I-II სტრიქონების აზრი, თითქოს თინათინმა და ავთანდილმა იმხიარულეს და დაუწყეს ერთმანეთს კოცნა. ამრიგად, ამ სტროფის ავტორი არასწორად, დამახინჯებულად წარმოადგენს პოემის პერსონაჟების ქცევას, მათ მორალსა და ეტიკას“ (II, 305).

იმავე მკვლევარმა წარმოადგინა ჩანართობის მეორე არგუმენტიც. იგი შეეხებოდა ამ სტროფში მომარჯვებულ მაჯამას; კერძოდ, რაკი ჩვენში მაჯამები XVI-XVIII საუკუნეებშია გავრცელებული, ის რუსთველს არ ექნებოდა და ამიტომ ინტერპოლატორთა ნახელავიაო (იქვე). იგივე აზრი განავითარა მან სხვა მაჯამასთან დაკავშირებით იმავე ტომის 290-ე გვერდზე.

ახლა სიტყვა მივცეთ იმას, „ვინ მარტომან ასთა ავნის“.

მ. თავდიშვილი: „არაბულის პირველი არგუმენტი ყოვლად მიუღებელია. ავტორი განგებ ფა-

რავს და მალავს მნიშვნელოვან ფაქტს. **ამ სხდომამდე ზუსტად 10 წლით ადრე დაიბეჭდა** ჩემი წერილი ასეთი სათაურით – „თინათინ-ავთანდილის ხვევნა-კოცნის წინააღმდეგ“, რომელიც გამოქაზებულია ალ. ფოცხიშვილის სტატიისა. ფოცხიშვილის წერილი კი აერთიანებდა ყველა ზემოდასახელებული ავტორის იდეას, თითქოსდა, ამ სტროფის მიხედვით, თინათინი პირველსავე შეხვედრაზე ჰკოცნიდეს სატროფოს.

გაგაცნობთ იმ ჩემი სტატიის ძირითად თეზისებს: ა) აღნიშნული სტროფი რუსთველისაა; ბ) პოემის მიხედვით, თვით „მსუბუქი“ ყოფაქცევის ფატიმანიც კი პირველ შეხვედრაზე არ ჰკოცნის ავთანდილს და სპეტაკი თინათინი მით უფრო ვერ დაუწყებდა ლაცის; გ) ამ ნამდვილად რუსთველურ სტროფშიც წყვილი არ ჰკოცნის ერთმანეთს და მეტიც: ნესტან-ტარიელის კოცნაც კია, პოემით, გადმოცემული, ოღონდ ავთანდილ-თინათინის სიახლოვე საერთოდ არსადაა გამოსახული; დ) ამ პოეტურ აბზაცში წყვილის ხვევნა-კოცნა ზემოდასახელებულ მკვლევრებს მოეჩვენათ და ამის მიზეზიც დადგენილია: მათ თინათინ-ავთანდილად წარმოიდგინეს თანამედროვე ქართველი ქალ-ვაჟი, რომელთაც სახეს არც ჩადრი უფარავთ და არც რაიმე ვუალი. ამიტომაც „ბროლ-ბალახში შეხვეული და

გიშერი“ რომ ასადაგეს, ანუ მოიხსნეს, მოიბოშეს არაბულ წესზე შებურული პირსახე და თმები – ეს შეხვეული თავ-პირის გამოჩენა და ხალვათად ყოფნა-საუბარი ხვევნა-კოცნად შერაცხეს. მ.თავდიშვილს მოჰყავს არაბული სამყაროდან მაგალითები, თუ როგორ დადიან იქაური ახალგაზრდები დღესაც კი სახე და თმაშებურულნი. ამით დგინდება, რომ წყვილმა პირისახე ასადაგა, გაიმარტივა, ჩადრ-ვუალისაგან გამოაჩინა, რათა უკეთ გაიცნონ და დაინახონ ერთმანეთი; ე) წყვილი სახელმწიფო საქმეებზე ხშირად ხვდება ერთმანეთს და, თუ პირველივე შეხვედრაზე კოცნაობა გამართა, მაშინ მეორე-მესამეზე ხელს რაღა დაუშლიდა?! ოღონდ ამგვარი რამ არსადაა; დ) **კოცნა** რუსთველს ურთიერთობის ერთობ მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია და ამიტომაც ამ პროცესის დროს ყველგან მკაფიოდ მიუთითებს, მათ **აკოცეს** ერთურთსაო, და საქმეს სამარჩიელოდ არ ტოვებს. რაღა აქ დატოვებდა?! და ა.შ.

ბ-ნ ფოცხიშვილს ეგ პასუხი იმდენად დამარწმუნებელი ეჩვენა, თუმცა კი ფეთქებადი და ფხუკიანი პიროვნება გახლდათ, თავისი მოსაზრება აღარ დაუცავს (თავდიშვილის სტატია პირველად „სკოლა და ცხოვრებაში“ (1988), ხოლო მეორედ

„რუსთველოლოგიურ კრიტიკაში“, I, დაიბეჭდა 2023 წ.).

როგორცა ვთქვით, ყველაფერი ეს გ. არაბულმა საგანგებოდ დამალა.

მაშასადამე, პირველი არგუმენტი მოხსნილია.

კიდევ უფრო მსუბუქი და იოლად მოსახსნელია მეორე არგუმენტი: რუსთველი არ იცნობდა მაჯამის ხერხს და მისი ეგ მაჯამაც ყალბიაო (305 გვ.), ესე იგი, იგულისხმება, რომ ასევე ჩანართებია ის სხვა მაჯამები, რომლებიც საკმაოდაა პოემაში და გამოირჩევა დიდი მხატვრული ოსტატობით.

ამაზე კი რაღა გვეთქმის?

აი, ჩემი პასუხიც:

იმავე სხდომაზე ა. გვახარიასთან დაკავშირებით ისევ ვიხილეთ გამოგნებელი კურიოზი: ბატონმა გ. კარტოზიამ წამოაყენა წინადადება: „ვთხოვოთ ა. გვახარიას, მოიძიოს მასალა სპარსულ პოეზიაში მაჯამის დამკვიდრების ისტორიისა და ქართულ მწერლობაში გავრცელების გზების შესახებ“ (II, 306).

სავსებით გონივრული სვლაა!

ოღონდ, ვიმეორებ, გამოგნებელია პროფესორის, ირანოლოგის, თითქოსდა „შაჰ-ნამეს“ მცოდნე, ფირდოუსის რედიფებზე წერილის გამომქვეყ-

ნებლის უსიტყვო და მორჩილი თანხმობა, რომ საკითხს შეისწავლიდა.

მე კი, მე კი რას ვიზამდი?

მე, არაირანოლოგი, სპარსულის არმცოდნე კაცი, ავბობოქრდებოდი და ყველას გასაგონად, საკითხის ყოველგვარი შესწავლის თვინიერ, დავიყვირებდი:

ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, რომელსაც რუსთველი ზედმიწევნით იცნობდა, გატენილია ტავტოლოგიური რითმებით-მეთქი!

ფრიად და ფრიად გამაოგნა იმან, რომ ცნობილ ირანოლოგს „შაჰ-ნამე“ ნაკითხულიც არა ჰქონია!

მკითხველი ხვდება:

ა) თუ „შაჰ-ნამე“ გატენილია მაჯამებით, ტავტოლოგიური რითმებით, შეუძლებელია რუსთველს ეს ბრწყინვალე და უეფექტურესი პოეტური ილეთი არ გადმოელო და რამდენიმე ადგილას მაინც არ გამოეყენებინა; ბ) ფირდოუსი ქმნიდა X-XI საუკუნეებში, ხოლო რუსთველი – 2 საუკუნის შემდეგ. სპარსულ-ქართული პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის მაშინდელი სიცხოველე უსათუოდ განაპირობებდა იმას, რომ ქართველებსაც გადმოელოთ ეგ ილეთი და XIII საუკუნის დამდეგისათვის მას კარგად დაუფლებოდნენ. ასეც არის, ჩახრუხადის „თამარიანი“ სწორედ ამას მოწმობს. აჟ

უკვე გვაქვს მშვენიერი მაჯამები, ხოლო ჩახრუხაძე რუსთველს წინ უსწრებს. მე დიდად გამკვირვებია, რომ კომისიაში არვის გაახსენდა ჩახრუხაძის მაჯამები. მე კი ამ მხრივ სენსაციურ მაგალითზე მივუთითებ. ერთი ჩახრუხაული მაჯამა პირდაპირ, შეუცვლელად გამოუყენებია რუსთველს. აბა, შევადაროთ!

79. შენ მწუნობი ხარ მნათობთა, არ ისასმენლებ, **არიდენ**;
შენ შუქნი ეღვა-ეთერთა მზისა მწვერვალთა **არიდენ**;
შენ სისხლთა შენთა ურჩთასა უზლო-უმსგავსოდ **არ იდენ**,
არცა ნათლისა ისარი მჭვრეტთა გულეხსა **არიდენ**!

ახლა ეროვნული ეპოსის ცენტრალურ გმირ ნესტანს მოვუსმინოთ. იგი ტარიელსა სთხოვს:

თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად **არ იდენო**,
ამას იქით ნულარ **იდენ**, გულსა ჭირნი **არიდენო**;
შენნი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ, **არ იდენო**;
რომე წელან მოგეხვივნეს, იგი ჩემთვის **არიდენო**.

როგორცა ვხედავთ, კლასიკური მაჯამაა, ხოლო ამ სტროფის ავთენტურობაზე საუბარი ზედმეტია. მას ამერიკული ტრაქტორი „მუსტანგიც“ კი ძვრას ვერ უზამს, რადგან უამსტროფოდ ტარიელი სატროფოს ცნობილ ქათიბს ვერ გაუგზავნის.

რაც შეეხება რუსთველის სხვა მაჯამურ სტროფებს, ისინიც გამოირჩევა ბუნებრიობით, რაც მა-

ჯამისათვის წაყენებული პირველი პირობაა. სწორედ ასეთია „ასადაგეს“.

მაგრამ საკითხთან დაკავშირებით მაქვს კიდევ ერთი საბუთი და რატომაც არ გამოვიყენო?!

ვანის ქვაბთა წარწერები, თუ უფრო ადრე არა, XV საუკუნეში მაინცაა შეთხზული. პოეტ ქალ **თუ-მიანს** ეკუთვნის მაჯამური რითმები: **სადარად-სადარად-სადარად** და კიდევ უფრო რთული ტავტოლოგიური რითმა **და ხევნართა – დახევ ნართა**. აი, ეს უკანასკნელიც კონტექსტითურთ:

ქალთ მზეო, გშვენის წალკოტი ხილითა და ხევნართა,
უნწყლოდა მოკლავ მიჯნურსა და გულსა დახევ ნართა!

აქედან კარგად ჩანს: **მაჯამომანია** კარგად ყოფილა გავრცელებული და განვითარებული საქართველოში ადრეც და მავანის განცხადება, რომ იგი XVII-XVIII საუკუნეებში მოედო სამწერლო ასპარეზსაო, არის ყალბი და რიოში!

ვიტყოდი მეტსაც:

XVII საუკუნეში არათუ მაჯამას, თვით მაჯამის უკიდურესად განვითარებულ სახეობას ფორმალისტურ **მუამასაც** კი ლანალუნით წერს და შტამპავს იაკობ შემოქმედელი.

ასე რომ, XIII საუკუნის დამდეგის საქართველოში მაჯამის არსებობა ეჭვს არ იწვევს.

აი, აღძრულ საკითხზე კომისიისადმი ჩემი პასუხი”.

კომისიის ერთობ სერიოზული წევრები ზოგჯერ მეტისმეტად ნაივურ იდეას ავითარებენ, ისე გულუბრყვილოს, გაოცებული დარჩებით. ახლა შევაფასოთ აკადემიკოსების ალ.ბარამიძისა და ელ. მეტრეველის საამრიგო სჯა. განიხილავდნენ სტროფს:

**ავთანდილ იგი მინდორი ოთხახმით გადაიარა,
დააგდო ზღვარი არაბთა, სხვათ ზღვართა არე იარა,
მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა;
თქვა: „თუ მე მასმცა ვეახელ, ან ცხელსა ცრემლსა
ვღვრი არა”.**

ოქმში ცხადად წერია: „ა. ბარამიძესა და ე. მეტრეველს მიაჩნიათ, რომ მას (მასმცა ვეახელ) გულისხმობს ტარიელს, სხვების აზრით, აქ თინათინი იგულისხმება“ (1, 20).

ახლა ასპარეზი მივცეთ პოლემიკოსს.

მ. თავდიშვილი: „მართლაც გაოცდები კაცი, რომ ასე სწორ ველზე ორი აკადემიკოსი ესდენ უხერხულად წაგვექცა. საქმე ისაა, რომ ავთანდილი ჯერ ტარიელს საერთოდაც არ იცნობს, არათუ ისე, რომ მასთან ახლოს ყოფნა გაამხიარულებდა, კარგ ხასიათზე დააყენებდა და ცხელ ცრემლს აღარ და-

აღვრევიანებდა. ამგვარი მხურვალე დამოკიდებულება ამირბარის მიმართ არაბ მოყმეს მოგვიანებით, ახლო გაცნობის შემდეგ, მართლაც ჩამოუყალიბდა, ოღონდ ახლა საიდან?!

სწორედ ამაზე თუ იტყვიან: „საიღამ სადაო, ჩემო საბაო?!“

რა თქმა უნდა, ამჟამად სპასპეტი დარდობს იმ პიროვნებაზე, რომლის სიყვარულითაც ის გათანგულია. ამ დროს კი მას თანგავს ერთი ასულის ტრფობა და ეგ ასული არაბეთის ახალგაზრდა ხელმწიფეა!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, III და IV ტაეპები ხომ ერთსა და იმავე პირს ეხება და ერთსა და იმავე ტკივილს გადმოგვცემს: მაგრამ მის მზისა (თინათინისა) გაყრამან რაინდს სიცოცხლე გაუნახევრა. ამიტომაც თქვა: მე რომ მასთან (თინათინთან) ახლოს ვყოფილიყავი, ასე ცხელი ცრემლი ხომ აღარ დამდინდებოდაო!

მაშასადამე, III და IV ტაეპები ეხება მხოლოდ თინათინსა და მისდამი რაინდის ტრფიალს. აქ სხვაგვარი აზრის გაჭაჭანების მცირე შანსიც კი არ იყო და ორი აკადემიკოსის ესოდენ გაურკვეველი ჩავარდნა მეტად მოულოდნელია”.

კომისიამ უსწოროდ განმარტა პოემის კიდევ ერთი, თითქოსდა ნათელი და იოლგასაგები სცენა:

ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე მისივე, კაცისა,
ულვაშაშლილი, წვერგამო, „ნუთუ მზეაო, თქვა, ცისა?“

ამას მოსდევს მოულოდნელი და უცნაური გან-
მარტება: „ავთანდილმა ახლოს კიდევ ნახა მისივე,
კაცისავე, სახე **ახალულვაშაშლილი, წვერგამომავალი...**“ (1, 46).

სიტყვა ბაასის მტეს დავუთმოთ.

მ. თავდიშვილი: „პოემაში არსად წერია და ამ
სტროფშიც არაა ხაზგასმული, რომ ტარიელი არის
ახალულვაშაშლილი და წვერგამომავალი, ანუ
პირშელინლული. და ეს ვერც იქნებოდა მითითე-
ბული, რამეთუ ამ დროს ის საკმაოდ ხნიერია, არ-
ცთუ მთლად ჯველია. კომისიის წევრებს არც კი
უცდიათ, დაეანგარიშებინათ ამ დროისათვის გმი-
რის ასაკი. ვცადოთ ჩვენ. 15 წლის ყმაწვილს მამა
გარდაეცვალა, ერთ წელიწადს საგლოველ სენაკში
იჯდა; ამის მერე ამირბარად დანიშნეს და თავის
საქმეს აკეთებდა. ვიანგარიშოთ კიდევ ერთი წელი-
წადიც; 17 წლისას შეუყვარდა ნესტანი; მერე ხატა-
ეთი დალაშქრა, რასაც 3 თვე მოანდომა. ამასობაში
ერთი წელიც გაილია. მაშ, რაინდი გახდა 18 წლისა.
ამ ასაკში იყო, ხორეზმელი სასიძო რომ მოკლა. ავ-
თანდილს რომ შეხვდა, აუნყა, ნესტანი „ან ათია წე-
ლიწადი ინდოეთით რა წასრულაო“. მაშ, ავთანდი-

ლისა და ტარიელის გაცნობისას ამირბარი უკვე 28 წლისაა. ამ ხნის მამაკაცს კაი **მოოდოშდერებული წვერ-ულვაში** აქვს და არა **ახალულვაშაშლილი და წვერგამომავალი სახე**. ასეთი ამგზობას მხოლოდ ავთანდილი შეიძლება იყოს, რაკილა ტარიელთან პირველი შეხვედრისას ის **„ჯერთ უწვერულია“**. იმ „ჯერთ-უწვერულობის“ შემდეგ 4 წელი გავიდა და ან უკვე მეორედ შეიყარნენ ისინი. სწორედ „ჯერთ-უწვერულს“ გაუხდებოდა 4 წლის შემდეგ **ახალულვაშაშლილი წვერგამომავალი სახე**.

ტარიელის სახის ამგვარმა ბუნდოვანმა განსაზღვრებამ ბევრი დააბნია”.

კომისიის წვერთა კამათი გამოიწვია სარითმო სიტყვის – **დავისობინო** – დანერილობამ. ხელნაწერებში არის მეორენაირი ფორმაც – **დავასობინო**. ზოგმა პირველი ფორმა მოიწონა, ზოგმა – მეორე. ბოლოს დატოვეს **დავასობინო**, ოღონდ ამ სიტყვის მოწინააღმდეგენი თავიანთ სიმართლეში ვერ დაარწმუნეს, თუ რატომ? სწორედ ამას აგვიხსნის გაბაასების ინიციატორი.

მ. თავდიშვილი: „კამათისა და მსჯელობის პროცესში სწორ ფორმას დაუჭირა მხარი ე. მეტრეველმა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ **დავასობინო** უკეთესია რითმის თვალსაზრისითაც. შდრ. დანარ-

ჩენი ტაეპების სარიტმო სიტყვები: **რა ვაჯობინო, ვაამბობინო, გავაბრჭობინო**“ (1, 46).

ოლონდ, რაკი ქალბატონი მეცნიერის იდეას არა ჰქონია მყარი მეთოდური და სისტემური ხასიათი, ეს მითითება ყურად იღეს, მას მხარიც დაუჭირეს, ოლონდ ამ თავისთავად სწორ განცხადებას მეტოქენი არ განუიარაღებია. კერძოდ, „ც. კიკვიძეს, ს. ცაიშვილს, გ. კარტოზიას მიაჩნიათ, რომ ტექსტში უნდა დარჩეს **დავისობინო** – კაუზატივის სათავისო ქცევის იშვიათი ფორმა“ (46).

მე კი ისეთ რასმე განვაცხადებდი, მოწინააღმდეგენიც უმალ ირწმუნებდნენ ჩემი მიდგომის სისტემურ ხასიათს და თავიანთ არჯალ მოსაზრებას უკან გაიწვევდნენ.

მაშ, ასე, აქ მარტო ის როდია საკმარისი, განაცხადო: ჩემი ფორმა სხვა სარიტმო სიტყვებს უკეთ შეეხამება და ამიტომ უნდა მიენიჭოს უპირატესობაო. ვახტანგ მეექვსე აცხადებდა: „ისეთ სიმართლეს რას აქნევ, რომელი არვის სჯეროდესო“. აუცილებელია დაინახო ის პოეტიკური კანონები და კანონზომიერებები, რომლებიც დიმიტრი მენდელეევის პერიოდული სისტემისამებრ ქსელავს მთელ პოემას და რომლებიც მიუთითებენ, ამა თუ იმ ადგილას რომელი სიტყვა და ფორმა უნდა ყოფილიყო. აქ უკვე მავანის გემოვნება და გაგება კი

არაა გადამწყვეტი ფაქტორი, არამედ თვით კანონისა და კანონზომიერების ობიექტური განაჩენი.

სწორედ ამგვარ ვითარებას გადავეყარეთ ამ შემთხვევაში. მაშასადამე, ქალბატონი მკვლევრის ნაცვლად რომ მე ვყოფილიყავი კომისიაში, **„უკეთეს სარიტმო ფორმას“ სისტემურ და მეთოდურ საფუძველს გამოვუძებნიდი.**

გადავიდეთ საქმეზე!

აღმოჩნდა, რომ პოემის ტექსტს თავიდან ბოლომდე მსჭვალავს არაერთი კანონი და კანონზომიერება. ერთ-ერთი ასეთია **რითმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემა**. მისი არსი გამოიხატება შემდეგით: ავტორი ცდილობს თავისი ისედაც კარგად ორგანიზებული და ჟღერადი ზუსტი 2 და 3-მარცვლიანი რითმა გააძლიეროს და გაზარდოს წინ საგანგებოდ დახვედრებული ხმოვნით ან ხმოვნებით. მაგალითად, ვთქვათ, სარიტმო კლაუზულაა **იანი**. მგოსანი მას ოთხივე ტაეპში წინ უხვედრებს ერთსა და იმავე ხმოვანს, ვთქვათ, ბგერას „უ“. მაშინ სამმარცვლიანი კლაუზულა გახდება ოთხმარცვლიანი, ანუ კიდევ მეტად გამდიდრდება, კიდევ უკეთესად აჟღერდება. ამ ვითარებაში გვექნება ასეთი სურათი: **უ-იანი, უ-იანი, უ-იანი, უ-იანი**. შეიძლება შეგვხვდეს ვითარება, როცა **იანი** ძლიერდება ოდეს არა ერთი, არამედ **ორი** ან **სამი** ხმოვნი-

თაც. მაშინ კიდევ უფრო საინტერესო მუსიკალურ სურათს გადავანყდებით, მაგალითად, ასეთს:

ა + ა - იანი, ა + ა - იანი, ა + ა - იანი, ა + ა - იანი.

„ჩემი ამ დაკვირვებისათვის სისტემური ხასიათი რომ მიმეცა, აღნიშნული თვალთახედვით საგანგებოდ გამოვიკვლიე პოეტის ზემოხსენებული მიდრეკილება და დავადგინე:

1. აღნიშნული წესი გახლავთ ყოვლისმომცველი ტენდენცია და შეპირობებულია რითმის გამდიდრებისა და მუსიკალურ-აკუსტიკური მხარის მონესრიგების ბუნებრივი ავტორისეული მოთხოვნილებით.

2. კანონზომიერება გატარებულია სტროფთა დაახლოებით 95-96 პროცენტში.

3. იგი არ ჩანს (მისი საჭიროება ვერ უცნია ავტორს) საყრდენთანხმოვნიანი რითმების შემცველ სტროფებში.

4. დანარჩენ შემთხვევებში (სწორედ ეს შეადგენს 95-96 პროცენტს) სარიტმო კლაუზულისნინა ხმოვანი ოთხივე ტაეპში გვხვდება ყველაზე ხშირად (დაახლოებით 50 პროცენტი), სამ ტაეპში – უფრო იშვიათად (დაახლოებით 30 პროცენტი), ხოლო ორ ტაეპში – ყველაზე ნაკლებად (20 პროცენტი).

5. ამ თვალთახედვით ტაეპთა „შერიტმვა“ რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდებარება: ერთმანეთს „ეხმატკბილება“ I, II, III და IV; I, II და III; I, II და IV; II, III და IV ტაეპები“ (მ. თავდიშვილი, რითმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემა, წიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, 2000, გვ. 153).

აღნიშნული სისტემის მიხედვით, სამსჯელო სტროფი შედის **რიტმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემის საუკეთესო, პირველ ქვეჯგუფში, სადაც ოთხივე სტრიქონში სარიტმო კლაუზულას ამდიდრებს არა ერთი, არამედ ორი ხმოვანი.**

სამსჯელო პოეტური აბზაცის სარიტმო მუსიკალური სურათი ასეთი სახისაა: **ა – ა + ობინო, ა – ა + ობინო, ა – ა + ობინო, ა – ა + ობინო.**

მაშასადამე, ბოლო სარიტმო სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს არა **დავისობინო** (ა – ი + ობინო), არამედ **დავასობინო** (ა – ა + ობინო).

აი, თეორემა, რომლის დამტკიცებაც გვეწადა!”

მავანმა შეიძლება დასვას კანონიერი კითხვა: ოქმებში სხვა მსგავსი შემთხვევებიც ხომ არ არის, რომელთა შედეგების გაკმარვა ან შექება შეიძლებაო?

მ. თავდიშვილი: „ორივე შემთხვევაში, ქება იქნება თუ ძაგება, ჩემი ბაასის ტონი კრიტიკული იქნება, რამეთუ შევნიშნავ: მაშინაც კი, როცა პროფესორები სწორ რჩევას იძლევიან, ჩვეულებრივ, არ არიან დარწმუნებული, რომ მათ ნათქვამს ობიექტური საფუძველი მოეპოვება. უფრო მეტად კი არ უწყიან, რომ მათ ნათქვამ სიმართლეს დიდი და სისტემური საფუძველი აქვს. შევეცდები წინას მსგავსი მაგალითები კვლავ მოვიყვანო და გიჩვენოთ, რომ მეცნიერებმა არც კი იციან, რა საინტერესო ფაქტებსა და მოვლენებს ჩაუარეს გვერდით. მაგალითად, სამსჯელო გახადეს სტროფი, რომელშიც განრისხებული მამიდა დავარი სცემს ნესტანს.

**ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა,
დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა.
მან პასუხი ვერა გასცა, ოდენ სულთქვნა, ოდენ უშნა,
ქალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა.**

აკად. ალ ბარამიძემ შენიშნა: მე სარწმუნოდ მიმაჩნია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ელგუჯა ხინთიბიძისა, რომ აქ **მოიქუშნა** კი არ უნდა იჯდეს, არამედ ფორმა **მოუქუშნა**. პროფ. ივ. გიგინეიშვილმაც ამ აზრს კვერი დაჰკრა (I, 178). სამივე ეგ პროფესორი ამ მართებულ ტექსტოლოგიურ აზრამდე მივიდა გრამატიკული და ხელნაწერუ-

ლი მონაცემების საფუძველზე, ოღონდ ერთსაც არ უფიქრია, მოემარჯვებინა პოეტიკური მონაცემი, კერძოდ, ჩემ მიერ აღმოჩენილი **რითმისწინა გახმოვანების რუსთველური კანონზომიერება**. ეს კანონზომიერება მიუთითებს, რომ სარიტმო სიტყვად უნდა იჯდეს არა სათავისო ქცევის, არამედ სასხვისო ქცევის ზმნა, არა **მოიქუშნა**, არამედ **მოუქუშნა**. საქმე ისაა, რომ სტროფში გვაქვს სამჯერადი რითმისწინა გახმოვანება: **დაუფუშნა, მოუქლუშნა, დაუშუშნა**, ანუ **უ-უშნა, უ-უშნა, უ-უშნა**. ერთმანეთს „შეეხმატკბილა“ I, II და IV ტაეპები.

ეჭვი არაა, გრამატიკულ და ხელნაწერულ მტკიცებულებებზე უმნიშვნელოვანესია პოეტიკური მტკიცებულება, რადგან რუსთველი მხატვრული სიტყვის დიდოსტატია და არა გრამატიკოსთა არქიმანდრიტი!

ამგვარი მიდგომა გვიადვილებს სარიტმო სიტყვათა ტექსტოლოგიური სახის დადგენას და ეგ კიდევ გაკეთებულია სტატიაში „რითმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემა“. იხ. ნიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, 2000 წ.

რაკი მითითებულ სტროფზეა საუბარი, ბარემ ესეც შევნიშნოთ: „ქალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა“ გახდა საცილობელი. ზოგს აქ ნახსენები **ქალი შავი** ასმათი ეგონა (ა. ბა-

რამიძე, გ. კარტოზია), ს. ცაიშვილს კი – ზანგი მომ-
ვლელი ქალი, ოღონდ მთავარი არგუმენტი მხედვე-
ლობიდან ყველას გამოეპარა, თვით მართალ ს. ცა-
იშვილსაც. საქმე ისაა, რომ ამ სტროფში წარმოდ-
გენილ სიტყვებს ამბობს თავად ასმათი, რომელიც
თავის თავზე ვერ იტყოდა, „ქალმან შავმან ვერა
არგო“ ნესტანსო. რა თქმა უნდა, ამას ასმათი ლაპა-
რაკობს დამლაგებელ აბისინიელ („შავნი მართ ვი-
თა ფისანი“) ქალზე.

ჩემ მიერ მიგნებული ამ რუსთველური პოეტი-
კური კანონზომიერების გამოუყენებლობის ტიპუ-
რი მაგალითი სხვადა გვაქვს. კომისიაში ცხარე კა-
მათი გამოიწვია ერთი ტაეპის ბოლო სამი სიტყვის
დანერილობამ:

**გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთი ხენი ვით ხენ!“
მერმე მითხრა: „მოგახსენებ, ან სიტყვანი რომე მკითხენ,
იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე ვითხენ,
უკაზმავსა მილაღატეს, საჭურველი გარ ვერ ვითხენ“.**

იკამათეს, იდავეს, ითათბირეს და ბოლოს „და-
ადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: **საჭურველნი
ვერ გარ ვითხენ“** (I, 184).

ასე შერყვნეს ტექსტი, ასე დაადგნენ ქმნილე-
ბის პროფანაციის გზას.

კაცს არ მოსვლია აზრად, **რითმისწინა გახმოვანების რუსთველური კანონზომიერება** მოემარჯვებინა!

სტროფში რითმისწინა გახმოვანების წესი მოქმედებს 3 ტაეპში. ესაა II, III, IV ტაეპები. კლაუზულას **ითხენ** სამივე შემთხვევაში წინ უნდა დახვდეს „ე“ ხმოვანი. მაშინ მუსიკალური სურათი ასეთ სახეს მიიღებს: **ე – ითხენ, ე – ითხენ, ე – ითხენ**. ეს ჰარმონია ირღვევა, თუ ბოლო ტაეპის სამ სიტყვას ისე დავალაგებთ, როგორც კომისიამ დაალაგა: **ვერ გარ ვითხენ**. ამ შემთხვევაში გვეძლევა **ა – ითხენ**. არადა პროექტში ყველაფერი სწორად იყო: **გარ ვერ ვითხენ**, ანუ **ე – ითხენ**.

მაშასადამე, სწორად წარმოდგენილი სიტყვათა წყობა საქმის მთავარი არსის არცოდნის გამო წაახდინეს და შერყვნეს.

მკითხველი ჩემს ნაუქეზებლადაც ხვდება: მე რომ იქ ვყოფილიყავი, ეგ საქმე არ გაფუჭდებოდა!

საბოლოო დასკვნა კი ასეთია: აღნიშნულ ტექსტოლოგიურ სექტორში (რითმისწინა სიტყვათა სექტორში) კომისია ხან სწორ დასკვნას გვთავაზობს, ხან – მცდარს, ოღონდ ორივე შემთხვევაში მოქმედებს ბრმად, შემთხვევით, ალაღბედზე, რადგან წარმოდგენაც არ აქვს **რითმისწინა გახმოვანების ყოვლისმომცველ რუსთველურ წესზე**.

კომისიის წევრთა ალაღბედზე მუშაობის კიდევ ერთი კაშკაშა მაგალითი უნდა გავათვალსაჩინოოთ. განიხილეს პოეტური აბზაცი:

**კაცნი იხმნა მასვე წამსა, ესე საქმე დავიურვეთ,
უბრძანა, თუ: „ნავებითა წადით, ზღვა-ზღვა მოიცურვეთ,
მოგვინახეთ, საყვარელსა მისსა მისთვის მოასურვეთ,
თავსა ჭირი უათასეთ, რადმც უშვიდეთ ანუ ურვეთ?“**

ზოგ ხელნაწერში „ანუ ურვეთ“ ასეა წარმოდგენილი: **„რადმცა ურვეთ?“** ამის გამო, „ალ. ბარამიდის წინადადებით, დ-ს მეორე ნახევარი ასე შეიცვალა: **რადმც უშვიდეთ, რადმცა ურვეთ?** პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა“ (I, 197).

სწორია, მართებულია, რუსთველურია **რადმცა ურვეთ** და არა **ანუ ურვეთ**, ოღონდ არც ბატონმა ალექსანდრემ, არც კომისიის დანარჩენმა წევრებმა არ უწყოდნენ ამ სიმართლის მთავარი საფუძველი – ესაა რითმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემა. კერძოდ, სტროფი აგებულია პარალელური შერითმვის პრინციპზე. ეს ნიშნავს: რითმისწინა გახმოვანება **ერთნაირია I და II ტაეპებში**, ხოლო მეორენაირია **III და IV სტრიქონებში**. I და II ტაეპებში ასეთი მუსიკალური სურათია: **დავიურვეთ – მოიცურვეთ**, ანუ **ი-ურვეთ** და **ი-ურვეთ**; სამაგიეროდ, სხვა რითმისწინა ხმოვანი აერთიანებს III და

IV ტაეპთა რითმებს: **მოასურვეთ**, ანუ **ა-ურვეთ**, და **რადმცა ურვეთ**, ანუ **ა-ურვეთ**. იმ შემთხვევაში, თუ პროექტით წარმოდგენილ არარუსთველურ სიტყვა **ანუს** დავტოვებდით, სარიტმო ჰარმონია სასტიკად დაირღვეოდა, რამეთუ გვექნებოდა ასეთი სარიტმო ნყვილელი: **ა-ურვეთ** და **ანუ ურვეთ**, ესე იგი, **უ-ურვეთ**.

ბრმად და ალაღბებზე, ჩემ მიერ მიგნებული კანონზომიერების გამოუყენებლად რომ საქმიანობს კომისია, ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს კაშკაშა მაგალითი. მან მიიღო პროექტით წარმოდგენილი ტექსტი:

**დავეთხოვე და გამიწყრა, მეფე მიეცა ჭმუნვასა.
დავყარენ ჩემნი ლაშქარნი, მით იძახიან მუნ ვასა;
გამოვიპარე, დავეხსენ სისხლისა ცრემლით წურვასა,
ან ვექებ მისთა წამალთა, ვიქ იქით-აქათ ბრუნვასა.**

რითმისწინა გახმოვანების რუსთველური კანონზომიერების თვალსაზრისით, მივიღეთ უცნაური სურათი, აბა, ვნახოთ:

I ტაეპი: მიეცა ჭმუნვასა,	ანუ ა – უნვასა.
II ტაეპი: იძახიან მუნ ვასა,	ანუ ა – უნვასა.
III ტაეპი: ცრემლით წურვასა,	ანუ ი – ურვასა.
IV ტაეპი: აქათ ბრუნვასა,	ანუ ა – უნვასა.

ვხედავთ უცნაურ სურათს: რითმისწინა გახმოვანების წესს არღვევს მესამე ტაეპი, კანონს ტეხს **ი-ურვასა**. არადა ვხვდებით, რომ პოეტური აბზაცი იდეალური მაგალითია ოთხჯერადი გახმოვანებისა, ანუ ოთხივე შემთხვევაში უნდა გვექონდეს **ა-უნვასა**. ამ ჩემი მითითების შემდეგ დიდი ნიჭი როდი სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ხელნაწერებში უსათუოდ იქნება ჩვენთვის საჭირო **ა-ურვასა**. მე, პირადად, ჩემს სამწერლო დაზგასთან ვზივარ და ცხადად ვხედავ არაერთ ხელნაწერს, რომლებშიც ნაცვლად სინტაგმისა **ცრემლით წურვასა** წერია **ცრემლთა წურვასა**, ანუ **ა-ურვასა**.

მართლაც, ხელნაწერთა უმრავლესობა მხარს უჭერს კანონზომიერების აღმდგენ ვარიანტს **ცრემლთა წურვასა**.

საგულისხმოა, რომ პოემაში ძალიან ბევრია ოთხჯერადი გლობალური გახმოვანება. მხოლოდ ერთ კლასიკურ ნიმუშს წარმოვადგენ:

ლაშქართა შიგან შეიქმნა ხმა **ტირილისა დიდისა**,
ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან **სრევა რიდისა**.
ფრიდონ ტირს, მოსთქვამს ხმამაღლად, გაყრილი **წლისა**
შვიდისა:
„უხანობა და სიცრუე, ვა, **სანუთროსა ფლიდისა!**“

მუსიკალური სურათი ასეთია: **ა-იღისა, ა-იღისა, ა-იღისა, ა-იღისა, ა-იღისა.**

მითითებული კანონზომიერების გაუთვალისწინებლობით კომისიამ პოემის არაერთი ადგილი გააფუჭა. მოვიყვან რამდენიმე საამრიგო მაგალითს. განიხილეს შემდეგი ტექსტი:

**თუ ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვამცივნებს,
მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს?
მაგრა კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ ატკივნებს,
წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს ანუ
გაამსივნებს.**

(I, 310)

როგორცა ვხედავთ, ყველაფერი წესრიგშია, იდეალური გლობალური რითმისწინა სუპერგახმოვანებაა:

- | | |
|--------------------------|--------------------|
| I ტაეპი: გაგვამცივნებს, | ანუ ა +ა – ივნებს. |
| II ტაეპი: რად არ ივნებს, | ანუ ა +ა – ივნებს. |
| III ტაეპი: არ ატკივნებს, | ანუ ა +ა – ივნებს. |
| IV ტაეპი: გაამსივნებს, | ანუ ა +ა – ივნებს. |

ამრიგად, გამოდის 4-მარცვლიანი რითმა!

კომისიის წევრებმა იმსჯელეს, იდავეს, იკამათეს (მხოლოდ გრამატიკის ფარგლებში, თითქოსდა რუსთველი გრამატიკული წესების სახელმძღვანელოს ავტორი ყოფილიყოს) და საბოლოოდ მიიღეს

მცდარი გადანწყვეტილება: „დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა „არაოდეს არ იტკივნებს“ (I, 311).

მაშასადამე, მესამე სტრიქონის სარითმო სიტყვის ევფონია დააკოჭლეს. მაგათი ნაფოჯოლავები ტექსტით ახლა ასე გამოდის:

ა + ა – ივნებს

ა + ა – ივნებს

ა + ი – ივნებს

ა + ა – ივნებს

ასე დაურღვიეს მგოსანს სასწაულებრივი ჰარმონია!

გავსინჯოთ მეორე საამრიგო მაგალითი.

პროექტით წარმოადგინეს და კიდევაც დაამტკიცეს ასეთი ტექსტი:

**ვარდი ამას ვით იაზრებს: მზე მომშორდეს არ დავჭნეო,
ანუ ჩვენ, გლახ, რა გვერგების, რა ჩასვენდეს გორსა
მზეო?**

**გულო, გიჯობს, გაუმაგრდე თავი სრულად გაიკლდეო,
ნუთუ მოგხვდეს ნახვა მისი, სულთა სრულად ნუ დალეო.
(I, 300)**

რაზე მოაწერეს ხელი კომისიონერებმა?

რაზე და დააკოჭლებულ ჰარმონიაზე. აი, როგორ გამოიყურება ეს „მახინჯი ჰარმონია“:

- I ტაეპი: **დავჭნეო**, ანუ ა – ეო.
 II ტაეპი: **გორსა მზეო**, ანუ ა – ეო
 III ტაეპი: **გაიკლდეო**, ანუ ი – ეო.
 IV ტაეპი: **ნუ დალეო**, ანუ ა – ეო.

ვისაც ჩემ მიერ მიგნებულ კანონზომიერებაზე წარმოდგენა აქვს, მყისვე მიხვდება: სტროფში მომარჯვეებულია ოთხჯერადი რითმისწინა გახმოვანება და უნდა არსებობდეს ისეთი ხელნაწერები, რომლებშიც შემორჩენილი იქნება რუსთველისეული ავთენტური ფორმა, და გუმანი არცუდად ნაუხდება. DWZI და სხვა ხელნაწერებში დაცულია ჩვენი კანონისათვის საჭირო სიტყვა **გააკლდეო**, ანუ **ი-ეო** წყობის შემცვლელი **ა-ეო**.

მაშასადამე, თეორემა დამტკიცებულია!

უკანონოდ და ბრმად რომ მუშაობენ კომისიის წევრები, ამას წიგნის იგივე გვერდი კიდევ ერთხელ დასტურყოფს. მართალია, ახლა სწორ ტექსტს ამტკიცებენ, ოღონდ არ იციან, რატომ, არ უწყიან, რომ მათს წვრილმან მსჯელობებსა და მტკიცებებს უკან უდგას უზარმაზარი პოეტიკური საფუძველი.

წარმოადგინეს ასეთი სახის ტექსტი:

ავთანდილსცა მოეგონა მისი მზე და საყვარელი;
იტყვის: „ჩემო, ვით ვეგები მე უშენოდ სულთა მდგმელი?
შენ არ გახლავ, ჩემი ჩემთვის სიცოცხლეა სანანელი,

გითხრამცა ვინ, რა მჭირს ანუ რა ცეცხლი მწვავს,
როგორ ცხელი”.

სარიტმო-მუსიკალური სურათი არეულია:

- | | |
|--------------------------|--------------|
| I ტაეპი: საყვარელი, | ანუ ა – ელი. |
| II ტაეპი: სულთა მდგმელი, | ანუ ა – ელი |
| III ტაეპი: სანანელი, | ანუ ა – ელი. |
| IV ტაეპი: როგორ ცხელი, | ანუ ო – ელი. |

როგორცა ვხედავთ, მეოთხე რიტმამ ჩვენს კანონს უღალატა. ყველგანაა **ა-ელი**, ხოლო მეოთხე ტაეპში მოულოდნელად გამოგვეცხადა **ო-ელი**. არადა ბევრ ხელნაწერში შემონახულია მგოსნის ხელიდან გამოსული ჰარმონია **რაგვარ ცხელი**, ანუ ოქროს გულამბარევით საძიებელი **ა-ელი**.

და რას აკეთებენ ჩვენი რუსთველოლოგები?

მსჯელობენ ყველაფერზე, ოღონდ არა **რით-მისწინარე გახმოვანების პოეტიკურ კანონზე**. აი, ეგ მსჯელობაც: „**როგორ** შეიცვალა რაგვარ ფორმით. ა. ბარამიძემ, ი.გიგინეიშვილმა, გ. კარტოზიამ აღნიშნეს **როგორ** გვიანდელი ფორმაა და რუსთველის დროისათვის მოულოდნელი. ამასთან, ი. გიგინეიშვილმა მიუთითა, რომ **რაგვარ** ალიტერაციის თვალსაზრისითაც უკეთესი ნაკითხვაა“ (I, 300).

მაშასადამე, ნვრილმანსა ხედავენ, მსხვილმანს
– არა; ხეებს ხედავენ, ხეების უკან ტყეს – არა!

თუ მკითხველი არ გადავღალე, კიდევ ერთ მა-
გალითს გაახლებთ.

მოყვანილია ტექსტი:

**ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუმცა ცრემლსა არ
ინურვებს: –
მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა
შეიურვებს!**

იქვე ნათქვამია: იყო **ვერ ინურვებს** და გავას-
ნორეთო ასე – **არ ინურვებს**.

რა თქმა უნდა, ესაა სწორება ბრმად, უანგარი-
შოდ. რითმისწინა გახმოვანების წესი აქ მოითხოვს
სწორედ იმ ძველ ფორმას – **ვერ ინურვებს**. აბა, ჩა-
უკვირდით: **ვერ ინურვებს**, ანუ **ე-იურვებს**; მეორე
ტაეპშიც, შესაბამისად, არის **შეიურვებს**, ანუ **ე-
იურვებს**.

ორი სხდომა დასჭირდა იმ საკითხის გარკვევას,
რომელსაც პირველსავე სხდომაზე გადავწყვეტიდი.
პროექტის ტექსტი ასეთი იყო:

**რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა, გაავცნობდა,
ფერი ჰკრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეაშთობდა.**

იკამათეს, თუ რომელია სწორი – **გაავცნობდა**
თუ **გაუცნობდა**. ბოლოს ავთენტიკურ ფორმას და-

უჭირეს მხარი, ოღონდ ანგარიშმიუცემლად, ალალ-ბედზე (I, 249). ის არავის მოსვლია აზრად, რომ აქაც **რითმისწინა გახმოვანების წესი** მოქმედებს:

გაავცნობდა, ანუ **ა – ობდა** და მისი მეწყვილე ფორმა **შეაშთობდა**, ანუ **ა – ობდა**. რომ მიეღოთ **გაუცნობდა**, რუსთველის რაფინირებული ჰარმონია დაირღვეოდა, გვექნებოდა არაჰარმონიული წყვილი: **უ – ობდა** და **ა – ობდა**!

აი, რა ხიფათს ავცდით. ვივა ღმერთს, ვავა კომისიას!

ქაჯეთის მეფის მთავარსარდლის ვინაობას გვაცნობს სტროფი:

გვესმა ამბავი, ზღვათ იქით სიკვდილი დისა მათისა,
შეიჭირვებდეს ვაზირნი, დაშალეს ქმნა ხალვათისა:
„ვითა ვჰკადროთო დავსება პირისა, ხმელთა მნათისა?“
როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრის ათისა.

აქ საცილობელი გახდა საკითხი: **ბევრის ათისა**, რომელიც თითქოსდა გარეგნულად უკეთ ჯდება რითმების საერთო მარაქაში, თუ გარეგნულად შედარებით შეუწყობელი **ბევრ ათასისა** (II, 291). ბოლოს ორი საკმაოდ მძლავრი არგუმენტი მოიყვანეს **ბევრ ათასისას** სასარგებლოდ: ა) ხელნაწერთა სიის უმრავლესობაში რატომღაც სწორედ ეს გარეგნულად შეუწყობელი სინტაგმა იხილვის; ბ) ძვე-

ლი ქართული ლიტერატურის ტექსტებში ნამდაუნუმ გვხვდება **ბევრ ათასი** და არსად ჩანს **ბევრის ათისა**.

ვადასტურებ, ნამდვილად ასეა და ეს ორი არგუმენტი დიახაც საკმარისია სწორი გადანწყვეტილების მისაღებად; დიახ, მართებულა დასკვნა: „**ბევრის ათისა** ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობის ჩვენებით გასწორდა ასე – **ბევრ ათასისა**“ (II, 291); მაგრამ სასაცილო და სახოხმარიკო სწორედ ისაა, რომ საკითხის პოეტიკური მხარე, ანუ პოეტიკური კანონზომიერება, მთლიანად გამოეპართათ მხედველობიდან. აღნიშნულის შესახებ გამონვლილვითი მსჯელობა იხილეთ ჩემს საგანგებო სტატიაში „**რითმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემა**“, წიგნში „**ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი**“ (2000, გვ. 150), ხოლო აქ სქემატურად გიჩვენებთ სარიტმო ხმოვანთა განლაგების თავისებურებას ორივე შემთხვევაში.

ავილოთ ვარიანტი **ბევრის ათისა**:

დისა მათისა,	ანუ ა – ათისა.
ხალვათისა,	ანუ ა – ათისა.
ხმელთა მნათისა,	ანუ ა – ათისა.
ბევრის ათისა,	ანუ ი – ათისა.

ვხედავთ: ბოლო ტაეპში სარიტმო ჰარმონია აიძვრა, რადგანაც რითმისწინა გახმოვანების

გლობალური რუსთველური წესი დაირღვა: უნდა ყოფილიყო „ა“ და გვაქვს კი „ი“ ხმოვანი! ჰარმონია აღდგება სინტაგმის ბევრ ათასისა შემთხვევაში.

ა – აისა

ა – აისა

ა – აისა

ა – აისა

ანუ ის, რისი დამტკიცებაც გვენადა!

ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა კიდევ ერთ სენსაციურ საბუთზე მივუთითო. ვანის ქვაბთა წარწერებში ყელყელაობს ერთი ასეთიც:

მრავალ-თვალნი ანგელოსნი შენგან ძრწიან ძალნი დასნი,
ჯოჯოხეთით მოციქულნი გამოვიდეს ბევრ-ათასნი.
(ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 7, 1959, გვ. 36)

როგორც ტორეადორი აუფრიალებს ხარს ნითელ ქსოვილს, ისე მინდა ავუფრიალო ნაფიც რუსთველოლოგებს ეგ მაგალითიც.

იმსჯელეს ნესტანის სიტყვებზე –

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ

გარდასწვდებიან,

გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად

მოედებიან.

აქ სამსჯელოდ გახადეს პირველი სართმო სიტყვა **გარდასწვდებიან**, რადგან რამდენიმე ხელნაწერსა და ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერაში იკითხებაო **შემოსწვდებიან** (II, 70-71).

გამოითქვა საყურადღებო მოსაზრება: „გ. კართოზია: მართალია, ეს წარწერა ქრონოლოგიურად უსწრებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს, მაგრამ ნაკითხვის სიძველე ყოველთვის როდი ნიშნავს მის პირვანდელობას“; „ი. გიგინეიშვილი: არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღნიშნული წარწერა ზეპირად არის შესრულებული და პოემის ტექსტი აქ შეცვლილ-დამახინჯებულია“; „ც. კიკვიძე: **გარდასწვდებიან** უმჯობესი ნაკითხვაა, რამდენადაც იქ ნესტანის თვალსაზრისია გადმოცემული“ (II, 71).

სამივე მოსაზრება მართებულია, მათი გაღრმავებაც კი შეიძლება, ოღონდ საგულისხმიერო სწორედ ისაა, რომ, რაც უმთავრესია რუსთველისათვის, ანუ მხატვრულ-ესთეტიკური მხარე, სრულიად იგნორირებულია. აბა, ახლა რითმისწინა გახმოვანების რუსთველური წესის მიხედვით შევხედოთ სტროფს.

I ტაეპი: გარდასწვდებიან ,	ანუ ა – ებიან.
II ტაეპი: ზედა დგებიან ,	ანუ ა – ებიან
III ტაეპი: არ დასცდებიან ,	ანუ ა – ებიან.
IV ტაეპი: ცეცხლად მოედებიან ,	ანუ ე – ებიან.

მაშასადამე, რუსთველს აქა ჰქონია სამჯერადი რითმისწინა გახმოვანება და, რაკილა კომისიამ **გარდასწვდებიან** შეცვალა სიტყვით **შემოსწვდებიან** (ო-ებიან), ამით სასწაულებრივი **სამჯერადი** ჰარმონია დაურღვია, დაუყვანა ის **ორჯერადზე**.

აი, ასე „ნაეხმარნენ“ ავტორს ნანერის ესთეტიკურ დახვეწაში!

ბარემ ამასაც დავსძენ, **შემოსწვდებიან** დაცულია მდარე ხელნაწერებში.

მაქვს სხვა არგუმენტიც.

როგორც არაერთხელ აღმინიშნავს, ტექსტოლოგები სულ არ იცნობენ რუსთველისწინა ლიტერატურას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთობ საინტერესოა „ამირანდარეჯანიანის“ მონაცემი. აღწერილია დიდძალი ლაშქარი და იქაც გამოყენებულია ზმნა **გარდასწვდებიან**: „და არა **გარდასწვდებოდეს** თვალნი სიდიდესა ლაშქართასა“ (2, 502). მაშ, „ამირანდარეჯანიანშია“ „**გარდასწვდებოდეს თვალნი**“, ხოლო პოემაში – „**თვალნი ძლივ გარდასწვდებიან**“.

ვისაც ტექსტოლოგთა ამგვარი გადაცდენების უფრო ფართო წრე აინტერესებს, უნდა წაიკითხოს ზემოდასახელებული „რიტმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემა“.

იმსჯელებს ცნობილ სცენაზე:

ყმამან უთხრა: „დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს;
ველარ მივხვდით უამიერად, ჩვენ ვისნიცა ცეცხლნი
გვწვიდეს“.

ესე თქვა და მკერდსა ხელნი იკრნა, ცრემლნი
გარდმოსწვიმდეს.

ქალი შებნდა, მოეხვია, ერთმანერთსა სისხლი სწმიდეს.

პროექტში იგი ჩანართადაა მიჩნეული (I, 43).

ძირითადი შენიშვნები ასეთია: ა) უხერხულია გამოთქმა „ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს“; ბ) ოთხივე ტაეპი სხვადასხვა რითმითაა წარმოდგენილი: **ივდეს, იდეს, იმდეს, მიდეს.**

აქედან ერთი შენიშვნა ბრწყინვალედ მოხსნა სპარსულის მცოდნე ალ.ბარამიძემ: „ზღვაზე ხიდის ჩაცვენა“ სულაც არ არის უხერხული გამოთქმა. „ზღვა“ აქ „დიდ ნყალს, დიდ მდინარეს“ ნიშნავს (შდრ. სპარსული **დარია**, რაც მდინარესაც ნიშნავს და ზღვასაც“ (I, 43).

ჩემი მხრივ, დავძენ: მე რაც ყოვლის უფრორე ესთეტიკურად და მაღალმხატვრულად მიმაჩნია, სწორედ ეგ გამოთქმაა, ჰიპერბოლური იდიომი: **ხი-დი ზღვაში ჩაგვიტყდა.** ვფიქრობ, გემოვნებიანი მკითხველი აქ სწორედ ამ გამოთქმას დააგემოვნებს!

ბ-ნი ალ. ბარამიძე ბოლოს მოკრძალებით დას-
ძენს: „რაც შეეხება რითმის დარღვევას, ეს მარ-
თლაც დამაფიქრებელია“.

აქ კი მე უნდა ჩავერთო: ეტყობა, ბ-ნი ალექსან-
დრე არაა დაკვირვებული, რომ „ვეფხისტყაოსანს“
ახასიათებს მცირე ბგეროვნული აცდენა რითმის
აგებისას, ოღონდ **ეგ ეხება თანხმოვნებს და არა-
ვითარ შემთხვევაში ხმოვნებს**. ჯადოქრული სმე-
ნის მქონე მუსიკოსმა იცის: თანხმოვანთა მცირე
გამიჯვნა რითმაში დიდი ცდომილება როდია, სა-
მუქფოდ, კატასტროფის ტოლია ხმოვანთა აცდენა!
მსგავსი მცირე (განსაკუთრებით სონორი თანხმოვ-
ნებისა) უზუსტობა სხვაგანაც არაერთი შეინიშნე-
ბა. ამიტომაც ეგ ხარვეზი სავსებით შეიძლება დაჰ-
ბრალდეს მგოსანს. სამაგიეროდ ახლა ისა ვნახოთ,
რას აკეთებს კალმის ოსტატი რითმისწინა გახმოვა-
ნების ასპარეზზე. აღმოჩნდა, რომ აქ ჩვენ გვეძლე-
ვა სამჯერადი რითმისწინა გახმოვანების მაგალი-
თი:

- | | |
|-----------------------------|--------------|
| I ტაეპი: ჩაგვიცვივდეს, | ანუ ი – იეს. |
| II ტაეპი: ცეცხლნი გვწვიდეს, | ანუ ი – იეს. |
| III ტაეპი: გარდმოსწვიმდეს, | ანუ ო – იეს. |
| IV ტაეპი: სისხლი სწმიდეს, | ანუ ი – იეს. |

სტროფის სასარგებლოდ იძებნება კიდევ ერთი
არგუმენტი.

შენიშნული მაქვს რუსთველის საგულისხმო მანერა: როცა რომელიმე გმირი რაღაც ამბავს იტყვის და სამნუხარო სათქმელს დაასრულებს, ამის შემდეგ მნუხარებას ხელების მოძრაობითაც გამოხატავს – მათ ან მკერდზე იცემს, ან თავზე, ან სახეში და ა.შ. მოვიყვან პარადიგმულ ნიმუშებს. აქ ასეა: – **ესე თქვა და მკერდსა ხელნი იკრნა, ცრემლნი გარდმოსწვიმდეს.** სხვაგან ვკითხულობთ: – **ესე სიტყვა დაასრულა, ფატმან იკრნა პირსა ხელნი.** ჩემგან აღდგენილ ერთ-ერთ სტროფშიც სწორედ ამდაგვარი ვითარებაა: ტარიელი ავთანდილს უყვება თავის თავგადასავალს, ამთავრებს სათქმელს და – **ყმამან პირსა ხელი იკრა, რა ამბავი დაასრულა.**

ისიც საგულისხმოა, რომ ყველა ამ შემთხვევაში მთხრობელს გლოვაში აჰყვებიან მსმენელნი.

ესაა ე.წ. რუსთველური შტამპი.

მაშასადამე, საანალიზო პოეტური მონაკვეთი რუსთველის ნაკალმარია”.

კომისიამ ერთ სტროფში გამოიყენა კონიექტურა, რაც ყოვლად დაუშვებელია. აი, ეგ მონაკვეთი:

**გამოეგება ტარიელ, მართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე
დარად,
რომე მათთანა აღვისა ხეცა ვარგიყო ხედ არად,**

**ჰვანდეს შვიდთავე მნათობთა, სხუადმცა რისად
ვთქვი მე და რად!**

აქ სიტყვა დავუთმოთ კრიტიკოსს.

„მ. თავდიშვილი: კონიექტურა უნდა მოვიმარჯვოთ მხოლოდ მაშინ, როცა აღარავითარი გამოსავალი აღარაა. აქ კი ამის საჭიროება სულაც არ იყო. მეორე სარიტმო სიტყვების მაგივრად ენერა სრულიად მისაღები **ქვე ბარად** და ჩანერეს **ქვე დარად** (I, 67).

უკვე ითქვა და უჩემოდაც კარგად ცნობილია: ზოგჯერ რუსთველი არ უფრთხის რითმაში თანხმობნების აცდენას. ამის რამდენიმე (ხუთი-ექვსი) მაგალითი გვაქვს. აქაც მშვენიერი რითმებია **მზე დარად, ქვე ბარად, ხედ არად, მე და რად** (ეაა, ეაა, ეაა, ეაა).

მაგრამ ყველაზე მკაცრ შენიშვნას იმსახურებენ იმის გამო, რომ არ ახსოვთ (თუ არ იციან?) პოემის ტექსტი. ამის არაერთ მაგალითს მოვიყვან და ერთ-ერთია ამ სტროფთან დაკავშირებული ამბავი. **ქვე ბარი** და **ქვე ბარად** სხვაგანაც აქვს ავტორს ნათქვამი. მაშ, ამ სტროფის გამოთქმა იმის შესატყვისია, პარადიგმაა. ეს უკვე ავტორის მანერაზე, ანუ შტამპზე, მიგვანიშნებს. აი, ის ტაეპიც 1348-ე სტროფისა:

ვითა ზემთისა წყარომან, მორწყე ყვავილი ბარისა.

კონსტრუქცია ორივეგან ერთნაირია – მოქმედება მიმართულია ზევიდან ქვევით, მთიდან ბარისაკენ. პირველ შემთხვევაშია:

**ანუ ცით მთვარე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად, ხოლო მეორე შემთხვევაშია:
ვითა ზემთისა წყარომან, მორწყე ყვავილი ბარისა.**

არის იმავე კონსტრუქციის მესამე ფრაზა. იქაც ტაეპების I კარედში **ცა და მზე, ანუ სიმაღლე**, არის წარმოსახული, მეორე კარედში – **დაბლობი და ბარი**:

მზემან გაყრითა დაგაჭნე, ვითა ყვავილი ბარისა.

ამრიგად, ტექსტოლოგიური წარმატების მისაღწევად პოემის შინაარსის კარგად დახსომებაც აუცილებელია”.

ოქმებში საგანგებოდ საუბრობენ მაჯამურ სტროფებზე. ტექსტოლოგთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მაჯამა ჩვენში შემოვიდა XVI-XVII საუკუნეებში. ამიტომ რუსთველის პოემაში არ უნდა იყოსო.

მ. თავდიშვილი: „მაჯამური სტროფი „არდანაბადია“ მცდარად მიიჩნის ჩანართად. მხოლოდ ალ. ბარამიძე უარყოფდა ასეთ აზრს, ამბობდა, მაჯამურ-

რი რითმა არ შეიძლება ჩაითვალოს სტროფის ჩანართობის საბუთად. ზემორელე მე სასტიკად გავაქილიკე ალ. გვახარია, ირანოლოგი, რომელსაც, ნესით, უნდა სცოდნოდა, რომ „შაჰ-ნამე“ გატენილია მაჯამების მსგავსი ტავტოლოგიური რითმებით, ხოლო, თუ ეს ასეა, მაშინ იოლი მოსალოდნელია, „შაჰ-ნამეს“ უებრო მცოდნე რუსთველსაც მოემარჯვებინა ეგ ფორმა, თანაც ისიც არის ყურადსაღებები, რომ ფირდოუსის დროიდან რუსთველის დრომდე მთელი ორი საუკუნეა განოლილი. ამ დროს ისე ცხოველი ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები იყო საქართველო-სპარსეთს შორის, შეუძლებელია, მაჯამა ჩვენში მაშინვე არ შემოსულიყო. ამის მაგალითს გვაძლევს ფორმა **მუამა**. **მუამა** სპარსულ ლიტერატურაში გაჩნდა მე-16 ასწლეულში, ხოლო მე-17 საუკუნის შუა ხანებში მას ვირტუოზულად იყენებს იაკობ შემოქმედელი (მიტროპოლიტი).

ასე რომ, ყოვლად მიუღებელია ივ. გიგინეიშვილის აზრი: „სტროფი ჩანართი უნდა იყოს. ჩანართობას მონმობს მისი მაჯამები“ (I, 77).

აქვე ვაცხადებ: რუსთველი შორსაა ფორმალიზმისაგან. **მაჯამა** ფორმალიზმის წინააღმდეგ, **მუამის** საფანელია. ამიტომაც იყო, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ეგ ფორმა ცოტაა, ოღონდ რაცაა (3-5

სტროფი), ის დანამდვილებით რუსთველისაა. ისიც სათქმელია, რომ პოემის მაჯამები ბუნებრივია, დამარწმუნებელია, მათ არ ეტყობა ხელოვნურობა. ესეც იმის დასტურია, რომ ისინი რუსთველისაა.

მაშასადამე, ზემოთქმულიდან გამომაქვს დასკვნა: ქართულ ეპოსში მაჯამის უარმყოფელნი, ჩვეულებრივ, არ იცნობენ „შაჰ-ნამეს“.

კომისიამ ეჭვი შეიტანა შემდეგი სტროფის ავთენტიკურობაში:

**ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბისა ცილისა!
ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შლილისა;
ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლვა, მართ ვითა სილისა;
არა ჰგაოდის ფარსადანს მისი არასმა შვილისა.**

ბევრი ფიქრობდა, რომ 5 წლის ბავშვი ლომს როგორ მოკლავდაო! ნამეტანი დიდი ჰიპერბოლაა, თანაც მეტისმეტად დაწვრილებითაა მსჯელობა 5 წლის პერსონაჟზეო და ა.შ. (I, 86).

ვინ ამბობს ამას?

რა თქმა უნდა, ის, ვისაც „შაჰ-ნამე“ არ ნაუკითხავს; ვისაც ნაუკითხავს, ამის თქმას ვერასოდეს გაბედავს, რამეთუ იქ ბევრი გმირის სწორედ ყმანვილკაცობაში გამოჩენილი გმირობაა ასახული, ხოლო სპარსულ ეპოსს ზედმინევნით იცნობდა რუსთველი. კერძოდ, 9 წლის როსტომი გოლიათსა

ჰგავდა (I, 8099); მისი შვილი ზურაბიც მცირეწლოვანი იყო, როცა ხმალსა და შუბს წაატანა ხელი: სამი წლისა უკვე ნადირსა ხოცავდა, ათისა კი იმ მხარეში ყველაზე ძლიერი გახლდათ (2, 2715-6); ათი წლისა გახლდათ ქეი-ხოსროვი (სიავეუშის ძე), ლომებს რომ მუსრს ავლებდა; გოლიათი როსტომი ომში მტრის რიგებს რიგებზე აწვენდა: „მწკრივს მწკრივზე აწვენდა“ (1, 10672). ასეა ტარიელიც. ხატაეთის ომში ის როსტომივით იქცევა. თავადვე გვიამბობს: „ერთობ სრულად ამოვნყვიდე წინა კერძო რაზმი ორი“ (გვ. 107). 5, 7, 9 წლის გმირებზე მსჯელობს ნიზამიც (იხ. მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, 2011, გვ. 86, 136).

აწ კი მწადია, პროფესორებს კიდევ ერთხელ ავუწიო ყური – ისინი არ იცნობენ და ამიტომ ვერთვალისწინებენ „ამირანდარეჯანიანის“ მონაცემებს. არადა რუსთველი ამ სარაინდო რომანზე აღიზარდა. სწორედ ამ თხზულებაშია საუბარი ხუთი, შვიდი და თხუთმეტი წლის პერსონაჟის გმირობებზე (2, 320-321).

ამ სტროფთან დაკავშირებით დიდად საინტერესოა რითმისწინა გახმოვანების წესის მონაცემებიც. აქ გვეძლევა სრული, ოთხჯერადი, გახმოვანება:

ამბისა ცილისა,	ანუ აია – იისა;
ვარდისა შლილისა,	ანუ აია – იისა.
მართ ვითა სილისა,	ანუ აია – იისა.
არასმა შვილისა,	ანუ ა – იისა.

ამრიგად, პოეტიკური მონაცემები გვამცნევენ ჯადოქრის ხელწერას. ამ ჯადოქარს სხვანაირად რუსთველსაც უწოდებენ!

საგულისხმოა, რომ ასევე საეჭვოდ იქცა სტროფი „წიგნი წიგნსა ეცემოდა...“ (I, 88), ამიტომ აკად. ალ.ბარამიძეს უწევდა საგანგებო ძალისხმევის გამოჩენა. ალ.ბარამიძე: „აუცილებლად საჭირო სტროფია. მასში გადმოცემულია ძეობის აღწერა, მემკვიდრის დაბადებით გამოწვეული სიხარული და ზეიმი. ამ სტროფის ამოღებით დაიკარგება მეტად საინტერესო საყოფაცხოვრებო დეტალი. საერთოდ, წარმოუდგენელია, რომ მემკვიდრის დაბადება, რასაც ასე მოუთმენლად ელოდა მთელი ქვეყანა, მხოლოდ ორი სიტყვით („შობა ქალი“) გადმოგვცა რუსთველმა...“ (I, 88).

საყურადღებოა, რომ არც სპარსულის მცოდნე პროფესორი ახსენებს „შაჰ-ნამეს“, რომელშიც მსგავსი სცენები ასევე შთამბეჭდავად არის აღწერილი.

ამასთან დაკავშირებით ვაცხადებ: კომისიაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ერთი კაცი მაინც,

ვისაც ნორმალურად ეცოდინებოდა ფირდოუსისა და ნიზამის შემოქმედება. უამისოდ ქართული პოემის ტექსტის დადგენა ფრიად და ფრიად გაჭირდება”.

საცილობელი გახდა **შვიდი ცა** თუ **ცხრა ცა** ამგვარ ვითარებაში:

ერთმანერთისა, მას აქათ, რაცა ორთავე ვიცითა,
ანცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა;
ამას შევსჯერდი დიდითა ზენართა და ფიცითა.
გეცრუო, ღმერთმან მინა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზი
ცითა!

პროფ. ს. ცაიშვილმა გამოთქვა აზრი: „ნაცვლად წაკითხვისა **ცხრითავე** უნდა მივიღოთ **შვიდთავე...** როგორც ცნობილია, რუსთველი **ცხრა ცას** არ იცნობს. მასთან ჩვეულებრივ **შვიდი ცა** გვხვდება“ (1, 123).

კომისიაში რომ ყოფილიყო, **მ. თავდიშვილი** იტყოდა: „ჯერ ერთი, საუკეთესო ხელნაწერებში (ABCD და სხვებში) მკაფიოდ წერია **ცხრითავე**; მაგრამ უმთავრესია სხვა რამ: სტროფში აბგერწერებუღია **ფიცის** უმთავრესი ფონემა „ც“. სულ ახმაურებუღია 10-ჯერ! ამიტომ ავტორი უსათუოდ იხმარდა **ცხრითავეს** და არა **შვიდთავეს**; მაგრამ, რაც უმთავრესია, იმაზე კი არავინ საუბრობს. ნეს-

ტანს უსიკვდილოდ უნდა ეხსენებინა **მეცხრე ცა** და არა **მეშვიდე**. აი, თუ რატომ: რელიგიაში **მეცხრე ცა** მიღებულია **მართალთა სამყოფლად**. ამ პოეტურ აზრაცში კი მსჯელობენ ფიცის სიმტკიცეზე, იმაზე, რომ ნესტანი უერთგულებს სატრფოს, არ მოატყუებს და, თუ მოატყუებს, მაშინ, დაე, ღმერთმა მინად აქციოს და **ნურც მეცხრე ცაზე, მართალთა სამყოფელში, ნუ მოუნის ჯდომა**. ამიტომ მცდარია კომენტარიც: „ცხრა ციდან ნურც ერთში ნუ დავჯდები“ (I, 123).

ამავე დროს, მზის მუდმივი და შეუცვლელი სრბოლა ადამიანის პირობის, ფიცის უცვლელობასა და სიმტკიცეს მოასწავებს. ამას ვ. ნოზაძეც მიუთითებს: „მზე არის აგრეთვე სიმბოლო მართალთა, სიმართლისა და თანასწორობისა“ (მზისმეტყველება, 73). მზის საუფლო იყო მართალთა მეცხრე ცა და ამიტომაც უწოდებენ მას „ცხრათვალა მზეს“.

ხატაეთში მებრძოლ ტარიელს ვაზირნი ევაზირებინან. სტროფის მეორე სტრიქონი კომისიამ ამ სახით დაამტკიცა.

მითხრეს, თუ: „ხარო ყმანვილი, ბერნი მით გკადრებთ, გლახ, ენით“.

კომისიაში ასე იტყოდა **მ. თავდიშვილი**: „რუსთველოლოგმა და უებრო მოქართულე როლანდ ბერიძემ ბრწყინვალედ გადაწყვიტა ეს საკითხი; და-

ადგინა, რომ ბერნი კი არ უნდა ეწეროს სიტყვა **ყმანვილის** შემდეგ, არამედ **ბრძენი**; ამავე დროს, გაარკვია, რომ ტაეპში ხდება ე.წ. „რაზვალი“, ანუ განსვლა, გამიჯვნა გრამატიკული და პოეტიკური ყოვნისა, პაუზის, ანუ ცეზურისა. ამრიგად, გრამატიკულად ერთი მთლიანი მონაკვეთია „მითხრეს, თუ: „ხარო ყმანვილი ბრძენი,“ ხოლო პოეტიკური უფრო მოკლეა: „მითხრეს, თუ: „ხარო ყმანვილი“.

ამრიგად, საჭიროა ეს დიქოტომია კარგად გავისიგრძეგანოთ!

ამგვარი „განსვლა“ რუსთველის სტილისათვის ჩვეულებრივია და მას ბევრგან ვხვდებით.

როლანდ ბერიძის ამ ბრწყინვალე აღმოჩენის შემდეგ მე დავინტერესდი ამ ამბით და საგანგებოდ გამოვიძიე **ბრძენი ყმანვილის** საქმე. გაირკვა ფრიად და ფრიად საგულისხმო რამ, რაზედაც როლანდ ბერიძეს წარმოდგენაც არა ჰქონია!

1. დავადგინე, ძველად ფიქრობდნენ: ვაჟკაცობაც ის იყო, ახალგაზრდა, ჭაბუკი ყოფილიყო ბრძენი, თორემ ხნოვანი ცხოვრებას ისედაც უნდა დაებრძენებინა;

2. ამ იდეას პირველად უმღერა და ხოტბა შეასხა ვერგილიუსმა „ენეიდაში“. კერძოდ, აქ გამოყვანილია ჭაბუკი **ასკანია**, ვისი სახელითაც მოგვიანებით მონათლეს გურულებმა თავიანთი ცნობილი

სოფელი **ასკანა**. ჭაბუკი ასკანია გმირია, ოღონდ, რის გამოც განსაკუთრებით აფასებენ – არის ის, რომ იგი **ჭაბუკი ბრძენია**. ამით საგანგებოდ ამაცობენ მისი მეგობრები და მამამისი;

3. მეორე ძველი ქმნილება, რომელშიც ახალგაზრდის სიბრძნეს ეთაყვანებიან, ჩემდა გასაოცრად, აღმოჩნდა გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. აქ საგანგებოდ არის ხაზგასმული ჭაბუკი გრიგოლის სიბრძნე;

4. „შაჰ-ნამეში“, სულ ცოტა, ათჯერ მაინცაა ნახსენები „ახალგაზრდა ბრძენი“;

5. რუსთველის კონცეფციით, მიჯნურს უნდა ახასიათებდეს ათი თვისება. აქედან **სიბრძნე მეორეა**. ხატაეთის ომის დროს ჭაბუკი ამირბარი უკვე მიჯნურია, მაშასადამე, ის **ბრძენია**;

6. ტაეპში სიტყვა **ბერნი** შეუძლებელია ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ საომრად ტარიელი **ბერიკაცებს** არ წაიყვანდა. მისი სარდლები ახალგაზრდები და ჯანმაგრები იყვნენ;

7. ამ შემთხვევაში ჩემი მთავარი მიგნება მაინც ის არის, რომ თვით პოემაშივე აღმოვაჩინე ჩვენი საძიებელი ტაეპის ზუსტი პარადიგმა, სადაც **დიდი ცეზურის ინტონაციური ძალდატანებაც** იხილვის და **ყმანვილს** უკან დასთრევს ეპითეტი, ზუსტად ისე, როგორც ხატაეთის შემთხვევაში. აი, ეს სენსა-

ციური პარადიგმა. ტარიელი პირველად შეეყრება დაჭრილ-დამარცხებულ ფრიდონს:

მე ვუთხარ: „დადეგ, დანყნარდი, გარდავხდეთ ძირსა ხეთასა; არ შეუდრკების **ჭაბუკი კარგი** მახვილთა კვეთასა”.

აქაც ზუსტად წინას იდენტური ვითარებაა: გრამატიკულ-სინტაქსური მონაკვეთი არ ემთხვევა პოეტიკურ მონაკვეთს. პირველი უფრო გრძელია, მეორე – მოკლე. პირველია: **არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი**. ეს ზუსტად იგივეა, რაც **მითხრეს, თუ: ხარო ყმანვილი ბრძენი**. მეორეა: **მახვილთა კვეთასა**. სწორედ ასეთია **მიტ გკადრებთ გლახენით**.

ამრიგად, ერთი მხრივ, **ჭაბუკი ბრძენი**, მეორე მხრივ, – **ჭაბუკი კარგი**.

ამ სენსაციური პარადიგმის მოძებნაში მე დამეხმარა ის, რომ, განსხვავებით კომისიის წევრი პროფესორებისაგან, ზედმინევნით ვიცი ქმნილების შინაარსი.

ტექსტოლოგის მთავარი ღირსება კი ტექსტის ცოდნაა!”

პოემის სუსტი ცოდნისა და ტექსტის ნაწილთა დაუკავშირებლობის შედეგია მცდარი კომენტარები. ხატაეთში მებრძოლი ამირბარი გვაუწყებს: **„კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე**

მიჰხდეს მზესა”. „მართ ორნივე მიჰხდეს მზესა“ ასეა კომენტირებული – „**ორივე მოშორდა მზეს**“ (I, 134).

სიტყვას იღებს **მ. თავდიშვილი**: „პირიქითაა, ორივეს – კაცისა და ცხენის – სული აფრინდა მზეზე. საქმე ისაა, რომ ძველად მიაჩნდათ: ნებისმიერ სულიერს ზეცა, მზე აძლევდა სულს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ უკანვე იბრუნებდა. „ისე, როგორც მზე იზიდავს თავისკენ და უკუაქცევს თავისაგან მნათობებს, სჯეროდათ მაშინ, რომ მზე აგზავნიდა სულს ბავშვის დაბადების წამში, რომელიც მას ასულდგმულეებდა, და ეს სული მას, გვამს, სტოვებდა სიკვდილის შემდეგ, რათა იგი თავის წიალს, მზეს, დაბრუნებოდა“ (ვ. ნოზაძე, მზისმეტყველება, 92).

შემთხვევითი როდია, ამირბარი ასე რომ ამხნევენს ხატაეთში შექრილ თავის მებრძოლებს: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, მათნი სულნი ზეცას რბიანო“. ამიტომ ტარიელსა სჯერა, რაკი ცხენი და ხატაელი მეომარი თავიანთი ხელმწიფისათვის დაიხოცნენ, მათი სულები „ზეცას რბიან“, ანუ ორივეს სულმა მზეს მიაკითხა. მაშ, „მართ ორნივე მიჰხდეს მზესა“ ნიშნავს – ორივე ეზიარა მზეს.

საამრიგო მაგალითებს, თუ საჭირო გახდა, „შაჰ-ნამედან“ დავახვავებ.

პოემის სრული ტექსტის გაუთვალისწინებლობა (ვერ დანახვა, არცოდნა!) მჭვირვალებს არაერთგან. აი, საამრიგო კლასიკური ნიმუში.

კომისიამ გამოიკვლია სტროფი –

**მას მეფესა ხატაელსა უმასპინძლა, უაღერსა,
ჟამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა.
ცისკრად მიხმეს, მიბრძანებდეს მე სიტყვასა**

ლმობიერსა:

„შეუნდობო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა“.

და დაურთო კომენტარი: ფარსადანი ტარიელს კი არ ეკითხება, შენ თუ შეუნდობ „აქანამდის შენამტერ“ ხატაელსო?! არა, საკუთარ წადილს უმჟღავნებს, მე მწადია შევეუნდოო!

გაბაასების მტე კომისიას ასეთ შენიშვნას აძლევს:

„ბევრგზის პოემის ბოლოს ხსნის და განმარტავს თავი და, პირიქით. ეს რომ მარჯვედ გამოვიყენოთ, საჭიროა პოემის როგორც წინა, ისე ბოლო ნაწილის ცოდნა და ხსოვნა. ჩვენს რუსთველოლოგებს სულ არ გახსენებიათ, რომ პოემის ბოლო ნაწილში, „ინდო-ხატაელთა ამბავში“, მეორდება აქ აღწერილი სიტუაცია. იმ გამეორებიდან კარგად ჩანს, რომ, თურმე, ფარსადანი იმას კი არ ბრძანებს, მე მინდა ვაპატიო დამნაშავესო, არამედ სხვა

რასმე: შენ, ჩემო ტარიელ, შენ თუ აპატიებ ქვეგამ-
ხედვარს ჩვენს ღალატსო; თუ შენ აპატიებ, მაშინ
მეც ვაპატიებდიო. აი, როგორ იმეორებს სიტუაცი-
ას რუსთველი „ამბავში“:

რამაზ ხატაელმა ხელმეორედ უღალატა ინდო-
ეთს, პირობა მეორედაც დაარღვია. ტარიელმა იგი
ხელმეორედ შეიპყრო. ტყვექმნილი რაინდმა დედო-
ფალს მიჰგვარა და, რაკი საფრთხის წინაშე დედო-
ფალი ისევე იდგა, როგორც ოდესღაც ამირბარი,
ჰკითხა, თუ აპატიებო?

**ტარიელ თქვა: „დედოფალო, გკადრებ ერთსა
მოსახსენსა:
შეიწყალე რამაზ მეფე, მიავალე შენსა ღმერთსა!“**

სწორედ ასე სთხოვდა ფარსადანი ხიფათიდან
თავდაღწეულ ტარიელს ხატაელის შენდობას.

მაშ, სიტუაცია გამეორდა!

ამას საგანგებოდ აკეთებს ავტორი, რაკილა
იცის, რომ ერთი და იმავე მოქმედების განმეორება
მკითხველს უკეთ ამახსოვრდება. არც ის არის შემ-
თხვევითი, რომ ორივეგან საგანგებოდაა ნახმარი
სიტყვა **ღმობიერი**. პირველ შემთხვევაშია:

ცისკრად მიხმეს, მიბრძანებდეს მე სიტყვასა **ღმობიერსა**.

მეორე შემთხვევაშია:

დედოფალმან **ლმობიერად** „შევუნდობო“, ესე ბრძანა.

ამრიგად, ფუჭი გამოდგა კომისიის კომენტარი. არადა პროფ. ალ. ბარამიძე სწორედ ამგვარად იგებდა იმ ადგილს, ოღონდ არ დაუჯერეს, არ დაუჯერეს და კიდევაც წააგეს – დაიმსახურეს ჩემი კრიტიკა და ნიშნისმოგება.

ერთიც უნდა დავძინო: პროფესორები ყურადღებას ვერ აქცევენ კონტექსტს, კერძოდ, მომდევნო პოეტურ აზრს. იგი კი დასტურ გვიმტკიცებს: ხელმწიფეს ამირბარისათვის უკითხავს, **ხომ არ შეუნდობო?** სწორედ ამგვარი შეკითხვის პასუხია მომდევნო სტროფი:

**მე ვჰკადრე: „ღმერთი ვინათგან შეუნდობს
შეცოდებულსა,
უყავით თქვენცა წყალობა მას ღონეგაცუდებულსა“.**

აქედან კარგად ჩანს: ტარიელს მეფის სიტყვები მისთვის მიცემულ შეკითხვად გაუგია!”

შინაარსის არცოდნის კლასიკური მაგალითი სხვადა გვაქვს. წარმოადგინეს საპროექტო ტექსტი:

**მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა;
იყო სიმრავლე ძაღლისა, შავარდნისა და ქორისა.
ადრე დავბრუნდით, ვიარეთ არ ეჯი გზისა შორისა.
აღარ იბურთეს, დაშლა ქმნეს თამაშობისა ორისა.**

ამას მოსდევს კომენტარი: „თამაშობისა ორისა გულისხმობს ორის (= მეფისა და ტარიელის) თამაშობას“ (I, 144).

სულ სხვა რასმე ფიქრობს **მ. თავდიშვილი**: „თამაშობისა ორისა“ მეფისა და ამირბარის მოქმედებას ვერ იგულისხმებდა. რუსთველოლოგებმა არ იციან ტექსტი და არ ახსოვთ, რომ ტარიელი ვერაფრით ითამაშებდა. რატომ? იმიტომ, რომ ხატაელთა ომში დაიჭრა და ახლა ხელი მკერდზე აქვს ჩამოკიდებული. მაშ, რაღაა **თამაშობა ორისა?** ესაა ა) ისრისა და შუბის სროლა; ბ) ბურთაობა.

შინაარსის არცოდნამ გამოიწვია ისიც, რომ სხვა პოეტურ აზნაღში დატოვეს ყოვლად უაზრო და გაუგებარი სიტყვა **მე ენიანი**, თითქოსდა ტარიელი ამბობდეს ასეთ რასმე:

ომგარდახდილსა მშვენოდეს მე ენიანი კაბანი.

საქმე ისაა, რომ ტექსტის სუსტი ცოდნის გამო არაა გათვალისწინებული ამირბარის მდგომარეობა: იგი დაჭრილია, თუმცა მეფეს ხათრი არ დაუქცია, სანადიროდ კი გაჰყვა და ამით პატივი სცა, მაგრამ სანადირო ტანსაცმელი არ ჩაუცვამს, რაკილა ვერ ინადირებდა. იმიტომაც ჩაიცვა **საგარეო, საპარადო** ტანსაცმელი. ამგვარს კი სპარსულად

ენოდება **მაემნიანი კაბანი**. მაემანი//მეემანი საგარეოსა, სასტუმროსა ნიშნავს. გადამწერებმა ვერ გაიგეს, თუ რასა ნიშნავს მათთვის რთული **მაემნიანი** და ამოიკითხეს მარტივად და გასაგებად **მეენიანი კაბანი**. ასე მოგვცა სინტაგმამ **მაემნიანი კაბანი** → **მე ენიანი კაბანი!** (დანვრილებით იხ. ჩემი „მე ენიანი“ თუ „მაემნიანი“? წიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, 2000, გვ. 162).

გარდა ამისა, კომისიას კიდევ ერთი შენიშვნა უნდა მივცე: არც ერთ სწავლულს არ ახსოვს ჩახრუხადის პოემა. იქ ხომ ეს „უცნაური“ სიტყვა ნახმარია და, რუსთველსაც რომ გამოეყენებინა, რა უშლიდა ხელს? ეს გარემოება **მე ენიანის** მედგარ დამცველ აკაკი შანიძესაც გამორჩა მხედველობიდან. აი, „თამარიანის“ სათანადო მონაცემი:

73. მოემან გებით, მოე მანგებით

ყავ ბალდადიცა გასაჩენალი...

საოცარია, რომ კომისიის არც ერთ წევრს აღარ ახსოვს „ვეფხისტყაოსნის“ წინამორბედი სიყვარულის რომანი „ვისრამიანი“, რომლის ესთეტიკაზეც გაზრდილია რუსთველი. სწორედ ამ ქმნილებაშია ნახმარი საძიებელი სიტყვა და რუსთველმაც გამოიყენა. „ვისრამიანი“: „ბრმა ხარ, ვერ ჰხედავ **მაემანსა** და სმასა ქორწილისასა“ (ქართული მწერლობა, 3, 18); ვისი რამინს ასე წყევლის: „ნურვინ **მეჰმა-**

ნი გიყოს ღმერთმან“ (იქვე, 270), ესე იგი, **მესტუმრედ** არავინ გაღირსოს ღმერთმაო; ერთი დღეც კი არ წავიდოდა ისე, დარბაზობა რომ არ გადაეხადა ვისს და „მათვის არ გაეხარებია და **მაემანი** არ ექმნა“ (3, 307).

ამრიგად, უნდა მოვსპოთ ტექსტში გაჩენილი უაზრო სინტაგმა **მე ენიანნი** და აღვადგინოთ ავთენტიკური **მაემნიანნი**”.

პოემის შინაარსის უსუსური ცოდნის მაცნეა ის, რომ ინდოეთის ამბის სულ ბოლო, დამაგვირგვინებელი სტროფი, რომელიც რუსთველის ხელოვნებას მრავალმხრივ ავლენს, პოემის მიღმა აღმოჩნდა. იგი სრულიად უკანონოდ ჩანართად შერაცხეს.

აქ სიტყვას იღებს **მ. თავდიშვილი**: „ტარიელმა ავთანდილის წინაშე დაამთავრა თავისი მწუხარე ამბის მბობა. თითქოსდა სულ ბოლო სტროფი ესაა:

**მისსა ვერ იტყვის ქებასა ყოველი ბრძენთა ენები;
მას დაკარგულსა ვიგონებ მე, სიცოცხლისა მთმენები;
მას აქათ ვახლავ ნადირთა, თავსა მათებრვე მხსენები;
სხვად არას ვიაჯ ღმრთისაგან, ვარ სიკვდილისა მქენები.**

ამ პოეტურ აზბაცს კომისიის მიერ დადგენილ ტექსტში მოჰყვება სტროფი, რომელიც ერთობ უცნაურად იწყება:

**პირსა იცა, გაიხეთქა, ღანვი, ვარდი აიხენა,
ლალი ქარვად გარდიქცია, ბროლი სრულად დაილენა**
და ა.შ.

ისმის ბუნებრივი კითხვა: **პირსა იცა რა?** ვარ-
დივით ღანვი რითი აიხენა და ბროლის პირისახე
რითი დაილენა? სხვა ამგვარ ვითარებაში ყოველ-
თვის ნაჩვენებია პირდაპირი ობიექტი: **პირსა ხელი**
იცა, მკერდსა მჯილი მოიხვედრა და სხვ.

მაშ, აქ რალაც ვერაა რიგზე!

როცა რუსთველოლოგს ყოველივე ეს გახსოვს,
მაშინ გაგიჩნდება ეჭვი – ამ ბუნდოვანი სტროფის
წინ ხომ არ აკლია ტექსტი, რომელშიც პირდაპირი
ობიექტი ნაჩვენებია? ამ ვითარებაში მომდევნო პო-
ეტური აბზაცის თქმა – **პირსა იცა** – გასაგები იქ-
ნება და **პირდაპირი ობიექტის (იარაღის)** განმეო-
რება საჭირო აღარ გახდება.

მართლაც, ამ ორ სტროფს შორის უნდა ჩავ-
სვათ აუცილებელი და საჭირო ტექსტი, რომელიც
ყოველგვარ გაუგებრობას მოხსნის. აი, ეს საოცარი
რუსთველური ნააზრევი:

**ან ათია წელიწადი, ინდოეთით რა წასრულა,
მის მთვარისა ჩემგან პოვნა ანუ ნახვა გარდასრულა;
აჰა, მიკვირს, აღმასისა გული გასძლებს ამას რულა!”
ყმამან პირსა ხელი იკრა, რა ამბავი დაასრულა.**

ვხედავთ: ამირბარს წინა სტროფში კი არ დაუსრულებია თავისი თავგადასავალი, არამედ – ამ პოეტურ აზვაცში. თანაც მივაქციოთ ყურადღება: აქაც რუსთველური წესი და მანერა დასტურდება: სამწუხარო ამბის დასრულების შემდეგ ესა თუ ის პერსონაჟი უსათუოდ **ხელს ან მჯილს** იცემს მკერდში ან პირში და აქვე უსათუოდ ჩნდება მეორე მანერაც მწერლისა: მსმენელი პერსონაჟი მყისვე თანაღმობას უცხადებს მთხრობელს.

ორივე ეს წესია დაფიქსირებული ამ სტროფში: დაასრულა რა ამბავი, ამირბარმა პირისახეში ხელი წაიშინა:

ყმამან პირსა ხელი იკრა, რა ამბავი დაასრულა.

ახლა მეორე რუსთველური წესი. მსმენელმა ავთანდილმა თანაუგრძნო მწუხარე რაინდს:

**ავთანდილსცა ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთსახე,
წა –**

ახლა ვნახოთ ამის პარადიგმები.

ფატმანმა თავისი მწუხარე ამბავი უამბო ავთანდილს, დაასრულა იგი თუ არა, მყისვე პირში ხელი იტაცა:

ესე სიტყვა დაასრულა, ფატმან იკრნა პირსა ხელნი.

ახლა მეორე რუსთველური მანერაც ვნახოთ, ანუ ის, თუ როგორ თანაუგრძნობს დიაცს მსმენელი რაინდი:

**ავთანდილსცა აეტირნეს, გარდმოყარნა ცრემლნი
ცხელნი.**

მე დავაფიქსირე კანონზომიერება: გამოუკლებლივ ყველა შემთხვევაში ერთისაგან მწუხარე ამბის მოყოლას თან მოსდევს მსმენლის თანალმობის გამოსატყვა. პოემით, არ არსებობს ერთი გამონაკლისიც კი!

რასაც ახლა ვიტყვი, ისე მნიშვნელოვანი არაა, ოღონდ კომისიის ფერმკრთალ წევრთათვის ნამდვილად დიდმნიშვნელოვანი იქნებოდა, თავში რომ მოსვლოდათ! სტროფის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი არგუმენტები: 1. რუსთველი ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, ამბავს ათარილებს, დროსა და თარიღს გამოჯანდრული ბულალტერივით ანგარიშობს. იგივე წესი ვლინდება აქაც. ავთანდილი უნდა გაემგზავროს დაკარგულის მოსაძებნად. მან უნდა იცოდეს ზოგი რამ მაინც, კერძოდ, რა ეცვა გადაკარგულს, რამდენი წელიწადია, რაც დაიკარგა და სხვ. სწორედ ამ სტროფშია მითითებული, თუ რა ხნის გამქრალ ქალს ეძებენ. ეს ყოფილა ათი წელიწადი; 2. ავთანდილი დარწმუნებუ-

ლი უნდა იყოს, რომ ტარიელმა ქალის ძებნა დაასრულა, რომ იგი საამისოდ ანი ხელს აღარ გაძრავს. ესე იგი, ამიერიდან სპასპეტმა უნდა გააგრძელოს ეგ საქმე და, აი, სწორედ ამაზეა მითითებული ამ სცენაში. ამირბარი აცხადებს:

მის მთვარისა ჩემგან პოვნა ანუ ნახვა გარდასრულა.

3. რუსთველის პოეტურ ხელოვნებას ახასიათებს შემდეგი: ხშირად სტროფში სამსჯელო მთავარი საგანი გამოდის სარიტმო კლაუზულად. რატომ? იმიტომ, რომ სარიტმო სიტყვა დიდი სამზეოა, სადაც მთავარი სამსჯელო საგანი უკეთ ჩანს და ტაეპთა ბოლოს ოთხჯერ გაჟღერებული სამარადისოდ გვამახსოვრდება. მხოლოდ ერთ მაგალითს გაახლებთ. თინათინი სიტყვას აძლევს სპასპეტს, რომ მისი **ქმარი** მხოლოდ ის იქნება, სხვა – არავინ. სარიტმო კლაუზულად ავტორს ოთხივეჯერ გამოაქვს ეგ ცნება. ამიტომაც ხდება ოთხი ასეთი სიტყვის დაჯრა: **ქმარი, შენაქმარი, დასანთქმარი, ასაქმარი**. მსგავსი რამ პოემაში არაერთხელ ხდება. თხზვის სწორედ ეს მანერა მჟღავნდება ჩვენი საძიებელი სტროფის შემთხვევაშიც. აქ მთავარია იმის ხაზგასმა, რომ ინდოეთის ამბავი **დასრულდა**, რომ თავისი ამბავი გმირმა **სრულად** გაგვაცნო. ამიტომაც სარიტმო კლაუზულაში ოთხჯერ გახმიანდა

სრულად: წასრულა, გარდასრულა, ამას რულა, დაასრულა.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ **ნესტანის** მეტაფორა **მთვარე** აქაც გვხვდება, ასევე **ტარიელის მაგარი გულის** მეტაფორა **ალმასიც**.

4. ჩემი მეოთხე არგუმენტი ალმასივით მჭრელია. სიტყვა-ფორმების **სრული, სრულად, სრულნი** სარიტმო კლაუზულად ხმარება – ეს რუსთველის გამორჩეული ხერხი და მანერაა.

აქ მრავლისაგან მხოლოდ ერთ ნიმუშს დავიმონებ. ცნობილ სტროფში ასეთი ვითარებაა:

ინადირეს, შემოიქცეს მხიარულნი, მინდორს რულნი;
შეიტანნეს დიდებულნი, თავადნი და სპანი სრულნი;
დაჯდა, დახდეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი
სრულნი,
ხმას სცემს ჩანგი ჩალანასა, მომღერალნი იყვნეს
რულნი!

როგორცა ვხედავთ, ზემორე განხილული სადავო სტროფის მსგავსად, აქაც სარიტმო კლაუზულაა **სრულნი**: მინდორს რულნი, სრულნი, სრულნი, იყვნეს რულნი.

ამრიგად, სრულად მართლდება ერთ ნიგნში დაბეჭდილი ჩემი აფორიზმი: **თუ სტროფი ნამდვილად რუსთველისაა, მის სასარგებლოდ მრავალი არგუმენტი ჩნდება!**“

ხელნაწერებში იხილვის ერთი ამგვარი პოეტური აბზაცი:

**ყმამან რაცა არვის უთხრის, კითხვად ვინმცა გამოჰპირდა?
მართალ-ა, თუ საუბარსა აძვირებდა, ძვირად ღირდა;
სმა გარდახდა, გაიყარნეს, ყმა წავიდა, მი-ცა-სჭირდა,
ველარ გასძლო, გული მისი აუჩუქდა, აუტირდა.**

პროექტის მიხედვით, ეგ მონაკვეთი მიჩნეულია ჩანართად (I, 231). ს.ცაიშვილმა დაიმონმა გ. არაბულის სტატია და შენიშვნა: ეს ტექსტი პოემაში უნდა შევიტანოთ (იქვე). იგივე აზრი განავითარა ალ. ბარამიძემაც. ეს სცენა ყველა ხელნაწერშია, თანაც უამსტროფოდ მოულოდნელია მომდევნოზე გადასვლად (იქვე).

თანხმობა განაცხადეს სხვებმაც, ოღონდ მთავარი არგუმენტი, რომელსაც უჟანგავი ფოლადის სიმტკიცე აქვს, ვერავინ წამოაყენა. ამიტომ მოვუსმინოთ გაბაასების მთავარ მტეს.

მ. თავდიშვილი: „ღიახ, მკვლევრები მსჯელობენ შედარებით მეორეხარისხოვან სამტკიცებზე, რომლებიც, შესაძლოა, სახელდობრ ამ სტროფის გადასარჩენად საკმარისი გამოდგეს, ოღონდ ვერ ხედავენ იმ გლობალურ, პოემაში თავიდან ბოლომდე გაშლილ კანონს (და არა კანონზომიერებას), რომელიც არა მარტო ამ სტროფს გადაგვარჩენი-

ნებს, არამედ ბევრ სხვასაც, რაკილა ჩემ მიერ მიგ-
ნებული კანონი მთელ პოემას წითელ ზოლად გას-
დევს და აქ ცალკეული სტროფის მავანისეულ მო-
წონება-დანუნებას არავითარი მნიშვნელობა აღარ
მიენიჭება. გავხსნათ ფრჩხილები. ჯერ კიდევ 1989
წ. დაიბეჭდა ჩემი სტატია „რუსთველური კანონზო-
მიერებანი და ტექსტის პრობლემა“. კანონი, რო-
მელზედაც ახლა წავა მსჯელობა, უკვე იქაა ახ-
სნილ-განმარტებული, ოღონდ ჩვენმა რუსთველო-
ლოგიამ ის მიღწევა დღემდე ვერ გამოიყენა.

უკვე ვთქვი და აწ კი ვიმეორებ: პოემა დაქსე-
ლილია პოეტიკური კანონებითა და კანონზომიერე-
ბებით, რაც შორეულად დ. მენდელეევის პერიო-
დულ სისტემას მოგვაგონებს. ერთი კანონი, რო-
მელსაც პრინციპული მნიშვნელობა მ. თავდიშვილ-
მა მიანიჭა, გახლავთ ასეთი: პოემაში გატარებულია
წესი – თუა ნაჩვენები გმირის **წასვლა**, ე.ი. **წა-**, აუ-
ცილებლად იქნება ნაჩვენები **მისვლა**, ე.ი. **მი-**; ხო-
ლო, თუ ნაჩვენებია გმირის **მისვლა**, ე.ი. **მი-**, მაშინ
აუცილებლად მას წინ უნდა უსწრებდეს **წასვლა**,
ე.ი. **წა-**; აღნიშნული **კანონზომიერება** კი არაა,
არამედ **კანონია**. ე.ი. ათასიდან ერთი შემთხვევაც
კი არ უნდა იყოს ამ წესიდან ამოვარდნილი, ხოლო,
თუ რომელიმე პასაჟში არის **მი-** და ამის წინ არსად
ჩანს **წა-**, ეგ ნიშნავს: ხელნაწერებში უსათუოდ მიჩ-

ქმალულია სტროფი, რომელშიც აღწერილია პერსონაჟის **ნასვლა**, ე.ი. **ნა-**. და, პირუკუ: თუ აღწერილია **ნა-** და ამის მომდევნო ტექსტში არსად ჩანს **მი-**, ეს იმის ნიშანია, რომ ნაბეჭდ ტექსტს აკლია პოეტური სცენა, რომელშიც აღწერილია **მისვლა**, ანუ **მი**. ამ კანონის ბაზაზე 1991 წ. გამოცემულ წიგნში არაერთი უსამართლოდ გამოტოვებული მონაკვეთი აღვადგინე და სწორედ ერთ-ერთი მათგანია აქ სამსჯელოდ გამოტანილი სტროფი. მასში აღწერილია ავთანდილის **ნასვლა როსტანის სუფრიდან**, ხოლო მომდევნო სცენებში ნაჩვენებია **შინ მისვლა** და გმირის განცდები, სახელდობრ: „ყმა მივიდა გულმოკლული, ცრემლი ველთა მოედინა“ და ა.შ.“

ისეც ხდება, როცა კომისიის წევრები სიტუაციას ალღოს ვერ უღებენ და ტექსტის საწინააღმდეგო კომენტარს იძლევიან. წარმოადგინეს პროექტი –

**ხამსცა, კაცმან პატრონისა საწყინარსა არ დახედნეს,
ოდენ სიტყვა უმეცრული უმეცრულად დაიყბედნეს?!
მე მაგისად მოსმენამდის რად არ ყურნი შემეჭედნეს!
შენ თუ მოგკლა, სისხლნი შენნი ჩემმან ქედმან
მიიქედნეს!**

ბოლო ტაეპის კომენტარი უკუღმართია: „შენ თუ მოგკლა, შენი სისხლი ჩემს კისერზე იყოს“ (I, 242).

სულ სხვას ფიქრობს **მ. თავდიშვილი**: „კომისიაში გაჟღერდა სწორი მოსაზრება, ოღონდ იგი მიაყურისძირეს. „ი. გიგინეიშვილის აზრით, **დ** ასე უნდა იკითხებოდეს: შენ თუ მოგკლა, სისხლნი შენნი **შენმან** ქედმან მიიქედნეს!“ (იქვე).

კომისიაში კაცი არ აღმოჩნდა, ამ მართებული გაგებისათვის მხარი დაეჭირა. ახლა ავხსნი, რატომ არის სწორი ასეთი გაგება. აქ საუბარია იმაზე, რომ, როსტევეანის აზრით, სოგრატ ვეზირმა **განუზომელი დანაშაული ჩაიდინა**. ხელმწიფე ეუბნება ქვეშევრდომს: ჩვეულებრივ ასე ხდება – ადამიანი რომ დააშავებს და მას ამისთვის მოკლავენ, მკვლელი თავად იღებს კისრად დანაშაულის გამო დაღვრილ სისხლს, ოღონდ ახლა, ჩემო სოგრატ, შენ იმხელა დანაშაული ჩაიდინე, მაიძულე მომეკალი. ამიტომ მე კი არა ვარ დამნაშავე, არამედ შენ. ამიტომაც, მე რომ ახლა შენ მოგკლა, შენი სისხლი ჩემს ქედს კი არ დაანვება, არამედ შენსავე ქედსაო. ერთი სიტყვით, მე რომ შენ ახლა მოგკლავ, შენი ბრალია და ბრალობის სისხლი ისევ და ისევ შენს ქედს დაედებაო (ამის თაობაზე იხილეთ ჩემი სტატია „ჩემმან ქედმან მიიქედნეს“? ნიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, 2000, გვ. 66).

ამიტომაც სწორად მოვიქეცი, როცა ჩემი რედაქციით გამოცემულ პოემაში ფრაზა ასე გავმარ-

თე: „შენ თუ მოგკლა, სისხლნი შენნი **შენმა**ნ ქედმან მიიქედნეს“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 2016, პოემის სრული ტექსტი, გამოდის პირველად, მ. თავდიშვილის რედაქცია, გვ. 160). აქ ხმა უნდა გავიმკაცრო: კომისიის წევრებს წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, რომ „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“ გატენილია ჩვენთვის საჭირო ნიმუშებით.

რაკი ეს პარადიგმული მაგალითები ვიცი, ბარემ იმათაც გაახლებთ. „ამირანდარეჯანიანიში“: „რადგან არ ისმინეთ, თქვენი სისხლნი თქვენსავე თავსა იყვენო!“ ზუსტად „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი სიტუაციაა: მე რომ თქვენ მოგკლავთ, ეგ თქვენი სიჯიუტის ბრალია და ამიტომ თქვენი სისხლი მე კი არ დამედება კისრად, არამედ თქვენო; ალი მოჰამედის ძემ ამირან დარეჯანისძე აიძულა, კაცი მოეკლა. როცა ამირანმა ის მსხვერპლი შეინირა, ალის უთხრა: „ამ კაცის სისხლი შენს კისერზეა, არა ჩემსაზეო: „აჰა, ალი მოჰამედის ძეო, ამისნი სისხლნი შენსა თავსაო!“ (ქართული მწერლობა, 2, გვ. 446). სხვა მსგავს სიტუაციაში ნათქვამია: „სისხლნი თქვენნი თქვენსავე თავსაო!“ (2, 430); „ვისრამიანიში“ კი პირდაპირ ისა წერია, რაც „ვეფხისტყაოსანში“: „შენნი სისხლნი თვით შენვე მიისხნე“, იმდე-

ნად, რამდენადაც ეგ ავი საქმე შენივე ბრალიაო (ქართული მწერლობა, 3, 177)”.
საკითხის ვერგაგების შედეგია ერთი სიტყვის კომენტარი. ესაა „**დაშავება**”. პროექტად გამოიტანეს ტექსტი:

ვაზირი განზილებული მივა ბედითა შავითა;
ავთანდილს უთხრა დაღრეჯით, პირითა გამქუშავითა:
„მადლი რა გკადრო, ან თქვენგან გავხასდი მე მაშა ვითა,
ვა, კარგი თავი უებრო დავკარგე, **დავაშავითა!**”

პროფ. ი. გიგინეიშვილს გაუგებარი სჩვენებია ძველი ქართული სიტყვა **დავაშავითა**. ამიტომ წინადადება შემოიტანა, ერთ ხელნაწერში დაცული ნარედაქტორალი **დანაშავითა** ჩავწეროთო და დაუჯერეს.

ან კი მოვუსმინოთ **მ. თავდიშვილს**: „ი. გიგინეიშვილს რომ ვ. ნოზაძის კომენტარი წაეკითხა სიტყვაზე **დავაშავითა**, ასე მცდარ მოსაზრებას არც როდის მოგვახვევდა თავზე. თურმე აქ არავითარი გაუგებრობა არა გვქონია. არც მეტი, არც ნაკლები, ძველი სიტყვა **დავაშავითა** იგივეა, რაც **გავაშავითა**. **დაშავება** იგივეა, რაც **გაშავება**. ვ. ნოზაძე ბრძანებს: „სიტყვას „დაშავება”, ს.ს. ორბელიანის განმარტებით, ორი მნიშვნელობა აქვს: 1) საქმის წახდენა, 2. ხეიბრად გახდომა, ანუ დასახიჩრება.

პირველი მნიშვნელობით ეს სიტყვა ვტ-ში იხმარება, როდესაც ვაზირი სოგრატი თავისი თავის შესახებ ამბობს – ვა, კარგი თავი უებრო დავკარგე, **დავაშავითა**, ანუ „შავად“ მომივიდა, „გამიშავდა“ უებრო, კარგი თავი, სიცოცხლეო. სწორედ „სიშავის“ მნიშვნელობით ეს სიტყვა ქართულ ბიბლიაშიც იხმარება, სახელდობრ – **მათე 5,36** – ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ გიძს ერთისა თმისა განსპეტაკებად, გინა **დაშავებად**; თმის განსპეტაკება – თმის გათეთრება; დაშავება – გაშავება, შავად გახდომა“ (ფერთამეტყველება, 24).

მაშასადამე, ტექსტში რომ **დავაშავითა** წერია, სწორია; რუსთველის ხელიდანაა გამოსული და მისი გადაკეთება მკრეხელობაა!

ამრიგად, სწორი გამოდგა ხელნაწერთა უმრავლესობა, ამ ფორმას რომ დაჟინებით უჭერს მხარს, ოლონდ ისევ და ისევ უნდა არჯლად შევძახო კომისიონერებს: „ვის გულისთვის, რის გულისთვის დაივიწყეთ“ ძველი ტექსტები, პოემის წინარე ტექსტებს რად არ იყენებთ, რუსთველის სამეტყველო ლექსიკა და ზოგი სიტყვიერი ფორმულა ხომ იქიდან მომდინარეობს?! ახლა ვნახოთ, რას გვეჩიჩინება ამ მხრივ „ვისრამიანი“: „პირი მასცა **გაუშავდების**“ (3, 205); „ან კარი და კედელი მისი ყველა **დააშავე** და დააბნელო“ (3, 151); „ავაზანი და ძალღნი

ქვებმითა დარყვნილან, ქორნი **დამშავებიან**“ (3. 99)“.

ავთანდილის ცნობილი ანდერძი იწყება ასე:

დაჯდა წერად ანდერძისა, საბრალოსა საუბრისად.

პროექტის ამ ფორმას **ანდერძისა** არ ეთანხმება **მ. თავდიშვილი**: „ზოგ ხელნაწერზე დაყრდნობით აკ. შანიძე მხარს უჭერს ფორმას **ანდერძისად**. მას აქ რაიმე განსაკუთრებული აზრი არა ჰქონია. გ. კარტოზია და ი. გიგინეიშვილი ფიქრობენ, რომ უფრო მისაღებია ნანათესაობითარი ვითარებითის უდონო ფორმები – **ანდერძისა, საუბრისა, მომდებრისა**, ოღონდ, იმავე გ. კარტოზიას მიხედვით, მეოთხე სართიმო სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს **ღმრთაებრისად**. ამიტომაც წინა სამიც, ბუნებრივია, დონით უნდა დასრულდესო. მიუხედავად ამისა, **ანდერძისა** მაინც ღია მარცვლით დატოვეს, წინააღმდეგ აკ. შანიძისა. მართალია, აკ. შანიძე აქ მხოლოდ გრამატიკული მიდგომით წყვეტს საკითხს, ოღონდ მაინც მართალია. ეს არის მექანიკური სიმართლე, რომლის უკან მეცნიერს მხატვრული კანონზომიერების ნატამალიც არ ეგულება. არადა ვერავინ მიაქცია ყურადღება იმ სასწაულებრივ ალიტერაციას, რომელსაც სიტყვის ჯადოქარი ამ პოეტურ აბზაცში იურვებს. **ად** ბგერათკომპლექ-

სი აქ მეორდება ძალიან ბევრჯერ და თავისებურად აბგერწერებს მთელ სტროფს. ვითარებითში ჩასმული სიტყვები პერიოდულად ჟღერენ: **წერად, ანდერძისად, საუბრისად, ძებნად, საძებრისად, შეუყრელად, მიმდებრისად, ღმრთაებრისად**. მაშ, ად აბგერწერდა 8-ჯერ! თუ იმავე ჟღერადობის სარკისებურ ფორმასაც მივათვლით საქმეს, მაშინ 8 ად ბგერათკომპლექსს მიემატება კიდევ 3 და, ხოლო მთლიანად სტროფში ყველაზე მუდერი „დ“ თანხმოვანი გამეორებულია 14-ჯერ!

მაშასადამე, **დონის** ალიტერაცია უმაღლეს დონეს აღწევს!

ამრიგად, **ანდერძისა** უნდა გასწორდეს ასე: **ანდერძისად**”.

ავტორისეული მხატვრული პრინციპები თითქმის ყოველთვის იყო მიყურისძირებული, რაკილა კომისიაში ძირითადად გრამატიკოსები, მეცნიერები და არა მწერლები ისხდნენ. აი, რას ამბობს ამის თაობაზე **მ. თავდიშვილი**: „პროექტად წარმოადგინეს სტროფი –

**არდავინყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვკგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ლალატიანსა!**

ზოგ ხელნაწერში **აუგიანსა** შეცვლილია სიტყვით **უაუგოსა**. ამიტომაც, ი. გიგინეიშვილის რჩე-

ვით, ჩანერეს **უაუგოსა**. ეგ აზრი მიიღო ც. კიკვიძე-
მაც. მხოლოდ ს. ცაიშვილი მოითხოვდა, დარჩენი-
ლიყო **აუგიანი**. ის ბრძანებდა: „**აუგიანი** სავსებით
ბუნებრივი ფორმაა. შდრ. ვტ-ის ჩანართ სტროფში:
„თავს უთხრა: „მოკვე, გიჯობსო სიცოცხლეს **აუგი-
ანსა...**“ ამიტომ ტექსტში **აუგიანსა** უნდა დარჩეს“
(I, 258).

ბოლოს დაადგინეს, მიიღეს და მერე კიდევაც
დაბეჭდეს **უაუგოსა**, ანუ მანკიანი ტექსტი!

ახლა კომისიის ერთ უცნაურობასაც მიაქციეთ
ყურადღება. არც ერთი კაცი არ ლაპარაკობს ავტო-
რის მხატვრულ ოსტატობაზე, იმაზე, თუ რა დი-
დოსტატურად არის გამოყენებული აქ შიდარითმა.
თვით ს. ცაიშვილიც კი, რომელიც მეტი მწერლური
ნიჭიერებით გამოირჩეოდა, სიტყვა რა არის, იმა-
საც არა ძრავს შიდარითმაზე.

აქ უნდა ვთქვა შემდეგი: რუსთველი, სწორედ
ისე, როგორც ფირდოუსი, არაა სიტყვის ჯამბაზი
და ფორმალისტი. ეგ ორი კალმოსანი საგანგებოდ
როდი ჯორჯლავს ტაეპს ზედმეტი, მანერული რით-
მებით, ოღონდ, თუ ეს ბუნებრივია და სერიოზულ
ხელოვნებას არ ბღალავს, მაშინ იყენებს კიდევ.
სულ რამდენიმე შიდარითმა თუ შეუქმნიათ სპარ-
სელ და ქართველ მესიტყვეებს, ოღონდ ვერც ერთ
მათგანზე ვერ ვიტყვით, მანერულია, ხელოვნურია

და, ამდენად, ყალბიაო. სწორედ ამგვარი ვითრებაა საკვლევ სტროფშიც. აქ ერთობ ლაღად, შნოიანად, ბუნებრივად დაჯდა შიდარიტმა და ამ სიკეთეს ჯადოქრული სმენის რუსთველი განაღდა ხელსაჰკრავდა? არავითარ შემთხვევაში! ამიტომაც შემოგვთავაზა ნაკადულივით მორაკრაკე შიდარიტმა, ოსტატურად შეხამებული გარეგან რითმასთან:

არდავინყება მოყვრისა აროდეს გვიზამს **ზიანსა**;
ვჰგმობ კაცსა **აუგიანსა**, ცრუსა და **ღალატინსა**!

სხვათა შორის, იგივე პოეტური ილეთი, ბუნებრივი შიდარიტმა, მოუმარჯვებია მგოსანს ანდერძის პირველივე სტროფში, ზემორელე რომ განვიხილეთ. აბა, დააკვირდით:

დაჯდა წერად **ანდერძისად**, საბრალოსა **საუბრისად**,
ვერ დავდგები **შეუყრელად** ჩემთა ცეცხლთა **მომღებრისად**.

საგულისხმოა შემდეგი:

გამოქვეყნდა ასერიგად შერყვნილი პოემა. ქართველმა ხალხმა ინტუიციით იგრძნო, რომ ქმნილება გაუფუჭეს და ყველაზე დიდი პროტესტი სწორედ **აუგიანის უაუგოთი** შეცვლამ გამოიწვია. იმ გამოცემის შემდეგ ვერვინ გაბედა **აუგიანის** შეცვლა. აქედან დასკვნა: არ უნდა გააკეთო ისეთი რამ, რასაც, კარგად იცი, ხვალვე გაგიტრიზავენ”.

ხდება, როცა ტექსტოლოგი-გრამატიკოსები გემოვნებაში „შთაიჭრებიან“ ხოლმე. მოყვანილია სტროფები:

ღმერთსა მვედრებდეს მრავალი გლახაკი

გულმხურვალები;

დამხსნას ხორცთა და სოფელსა, ნუმცა რად შევიცვალები;

კვლა ცეცხლი ჯოჯოხეთისა, ნუმცა მწვავს იგივ ალები;

მომცეს მკვიდრივე მამული მუნ ჩემი სასურვალები.

დამხსნას ბნელსა და ნათელი შემმოსოს ზესთა ზენისა;

მუნ დამიუნჯოს, წამალი სადა ძეს სულთა ლხენისა;

ჩემი არ ჰქონდეს შეძლება სოფლისა მლილთა კბენისა,

ფრთენი მომესხნენ და ძალი მომეცეს აღმაფრენისა.

საინტერესოა კომენტარი: „მიუხედავად იმისა, რომ ეგ სტროფები არის ყველა ხელნაწერში, ამ სტროფებს ჩანართად მივიჩნევთ, რადგან ისინი **პოეტურად მეტად მდარეა**“ (1, 260).

გვებაასება ის, **„ვინ მარტომან ასთა ავნის“**: „გახლავართ 4 რომანის ავტორი; ორიგინალური ლექსის დახურულ კონკურსში ორჯერ მივიღე პრემია, ხოლო ერთი ლექსის თარგმანში – ჯემალ აჯი-აშვილის პრიზი და ვაცხადებ: პოეტური აღმაფრენისა და შემოქმედებითი ოსტატობის მიხედვით ამ ორი სტროფის მსგავსი „ვეფხისტყაოსანში“ არც ერთი მონაკვეთი არაა; ამ შედეგებს რუსთველის

ვერც ერთი სხვა ლექსი ვერ შეედრება და, თუ ეგ ქმნილებები რუსთველის არაა, მაშ, გვეყოლია რუსთველზე ძლიერი უცნობი ავტორიც!

ახლა იმის შესახებ, თუ რაზეა აქ საუბარი. წინა სტროფში სპასპეტი სთხოვს როსტევიანს, თუ დაილუპა, მისი დიდძალი ქონებიდან ნაწილი გლახაკებს დაურიგოს, რათა მათ ავთანდილის სულისათვის ილოცონ. ასე დალოცვილის სული ცად აღმალღება და „ერთსა მიხვდება საზიაროდ“, ანუ ღმერთს შეუერთდება. მომდევნო ორ სტროფში კი კონკრეტულად არის ნაჩვენები, თუ როგორ უნდა „ღმერთსა მვედრებდეს მრავალი გლახაკი გულმხურვალები“, რითაც გმირის სული ხორცს დაეხსნება და ამ სოფლიდან იმ სოფელში, ზემთა სოფელში, აღფრინდება. ამ გზით იგი ჯოჯოხეთის აღს აერიდება და „მკვიდრ მამულში“, ანუ „სამარადისო სასუფეველში“, რომელიც ჩვენი „სასურვალეზია“, მოხვდება; გმირი ამქვეყნიური ბნელეთიდან ღვთაებრივ ნათელში გადავა, სადაც სულთა ლხენის წამალი ძევს; ამ გზით აერიდება იგი ამქვეყნიურ მღილთა (მატლთა) კბენას, ფრთები შეესხმება და სულიერი აღმაფრენა დაეუფლება.

ეს იდეები და მათი გამომხატველი სიტყვები კარგად არის ცნობილი ბიბლიაში, ნამეტნავად კი ძველი აღთქმის ცენტრალურ თხზულებაში, რო-

მელსაც **ფსალმუნი** ჰქვია. ორსტროფედის სულ ბოლო ტაეპი პერიფრაზია ფსალმუნისა: **რაითა ვინმე მცნა მე ფრთენი ტრედისანი და აღვფრინდე ნდომასა ჩემსა!**

რუსთველის მიერ დასახელებულ სამკვიდროს გურამიშვილიც ახსენებს, როცა ცუდ ქართველებს იმის გამო აკრიტიკებს, რომ

**ქვე სანუთროს ქვიტკირსა ზდგმენ,
ზე სამკვიდროს ფიჩხით ფაცხვენ!**

რუსთველის იდეალური გმირი კი ამ ორი სტროფით პირიქით იქცევა: ქვე სანუთროს ფიჩხსა ფაცხავს, ხოლო ზე სამკვიდროს ქვითკირსა დგამს.

აი, ამ ორი გენიალური სტროფის მთელი მათემატიკაც!

კომისია გემოვნებაში სხვა დროსაც ჩაჭრილა. ზემორე მოყვანილ გენიალურ სტროფებს რომ ჯვარი დაუსვა, იქვე აშკარად უგემოვნო, მთვრალი კაცივით მოყანყალე სტროფს თავდებად დაუდგა. ამ შემთხვევაში დიდად გამაკვირვა გრამატიკოს გ. კარტოზიას გემოვნებამ. მომყავს ეს უბადრუკი სტრიქონები:

**ტირს, იტყვის: „დადვა კაემნი ლახვარმან ჩემთვის ათმანო;
ინდოთა რაზმმან ჩემად კლვად თქვა: „ესე ტევრი
ვთხზათ,“ – მანო.**

თვალთა გიშერი ამშვენებს, სათმან რად მომკლა, სათმანო?
ბაგე-კბილო და თვალ-წარბო, მომცემდით პატიუსა, თმანო”.

აღ. ბარამიძემ, ი. გიგინეიშვილმა, ც. კიკვიძემ, ს. ცაიშვილმა მიუთითეს ამ ტექსტის ენობრივ, მხატვრულ უმწეობაზე, ოღონდ გ. კარტოზიას რატომღაც გომბეშო მზეთუნახავად მოეჩვენა და იგი რუსთველისეულად ცნო (1, 272).

ჩემი საამრიგო აფორიზმი კი ასე უღერს: „გემოვნების პეტელი ნებისმიერი თხის პეტელზე საზიზღარია!”

აქა, ზალიკო მხატვარო, სულაკაურთა გვარისა,
გთხოვ, დამიხატო თიკანი, პეტელით წანაგვარისა!



ფიცხელი ორომტრიალი და დიდი ფოციაკალი მოჰყვა ერთი სტროფის მენინავე სტრიქონის გაგებას. აი, ეს ტექსტიც:

ან ამბავი სხვა დავიწყო, – ყმასა ნავჰყევ ნამავალსა.

არ შეექმნა დარბაზობა მას დღე როსტანს

გულგამწყრალსა;

რა გათენდა, ქუში ადგა, ჰგავს, თუ ადენს პირით ალსა,

ხმობა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდეს შიშით მკრთალსა.

ამ ამბის წინ აღწერილია, თუ როგორ დააგდო ავთანდილმა თავისი მსახური შერმადინი და თვითონ ტარიელის დასახმარებლად გასწია.

პირველი ტაეპის კომენტირებისას ერთმანეთს დაეჯახა „კანონიერი“ და „უკანონო“ რუსთველოლოგების (ტერმინები შემოიღო მ. თავდიშვილმა) მოსაზრებები. „უკანონო“ რუსთველოლოგმა მახათაძემ აქ მოიმარჯვა კონიექტურა. რაკი **ავთანდილი** ნავიდა და აღარ ჩანს, **ყმასა ნავჰყევ ნამავალსა** არაა სწორი გამოთქმა. უნდა იყოს ასე – **ყმას არ ნავჰყევ ნამავალსაო**. მართლაც, ამბავი და ავტორი ავთანდილს აღარ მიჰყვებიან, ახლა მოთხრობილია როსტევანის ამბავი, მაშ, ყმას (ავთანდილს) აღარ ნავყვებიო, – ამბობს რუსთველი.

ამ აზრს დაუპირისპირდა „კანონიერი“ რუსთველოლოგია, რომელმაც ცოტნე კიკვიძის პირით (ბ-ნი ცოტნე კომისიის წევრი ბრძანდებოდა) განაცხადა ის, რაც ოქმების I ტომში, 264-ე გვერდზე, წერია: მახათაძის კონიექტურა საჭირო არაა. აზრი

ისედაც გასაგებია: „ახლა სხვა ამბავს დავინყებ, – მიმავალ მოყმეს (ავთანდილს) წავყევი (= მიმავალ მოყმეზე საუბარს შევყევიო)“.

გაბაასების ინიციატორმა ორივე მოსაზრება ბეჭებზე გააკრა, „კანონიერ-უკანონო“ რუსთველოლოგები თავისი ცოდნითა და გამოცდილებით შეარცხვინა, ცხვრის საპარსავ ბერაში გაატარა.

მ. თავდიშვილი: „როგორც კი უკუღმართად დაბეჭდილ ტექსტებს თვალი მოვაშორე და ხელნაწერებს ჩავხედე, მყისვე მივხვდი – ორივე მოდავე მხარე სასტიკად ცდებოდა: პირველი ცდებოდა იმად, რომ შემოჰქონდა კონიექტურა (ხელოვნური ჩასწორება), მეორე კი იმად, რომ იძლეოდა მცდარ, თითიდან გამომწოვილ განმარტებას – **ავთანდილზე საუბარს შევყევი და ახლა კი სხვა ამბავს დავინყებო.**

ორივე მცდარი გაგების თავწყარო ის იყო, რომ ფრაზაში **ყმასა წავჰყევ წამავალსა** ორივე მხარე ხედავდა **ავთანდილს**. სინამდვილეში აქ იგულისხმება არა **ავთანდილი**, რომელიც კარგა ხანია წასულია, არამედ **შერმადინი**, რომელიც სწორედ ახლა მიდის როსტევეანთან, რათა ავთანდილის ანდერძი წაუღოს. მაშ, **ან ამბავი სხვა დავინყო, – ყმასა წავჰყევ წამავალსა** ნიშნავს: **ახლა სხვა ამ-**

ბავს დავინყებ, ყმა შერმადინს ნავყევი, მეფეს- თან წამავალსა.

მაშასადამე, არც კონიექტურა გვჭირდება, არც კომენტარის მიჩხლართვ-მოჩხლართვა.

რატომ ვერ დაინახეს **ყმაში** შერმადინი და რად დავინახე მე? მე ხომ ნისტაგმი (თვალის უნებური ნკაპუნი) მანუხებს, ხოლო იმათ არაფერი სჭირთ?

საქმე ისაა, რომ სადავო ტაეპის წინა სტროფში **ავთანდილზეა** საუბარი და მომდევნო სტროფის I ტაეპი თითქოსდა უშუალოდ აგრძელებს სპასპეტის ამბავს. მკვლევრები ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით მსჯელობდნენ და ამიტომ წინა სტროფის **ავთანდი-
ლი** და მომდევნოს **ყმა** ერთმანეთისაგან ვერ განას-
ხვავეს. მე კი ხელნაწერებში ამ ორ სტროფს შორის
არსებული და ნაბეჭდ ტექსტებში უკანონოდ გამო-
ტოვებული პოეტური აბზაცი აღმოვაჩინე; იმ
სტროფში უკვე მთლიანად დავინყებულია წასული
ავთანდილი, მსჯელობა გადმოდის **შერმადინზე** და
მომდევნო სტროფის **ყმა** ავტომატურად გადმოდის
შერმადინი. მაშ, მე ერთი გასროლით სამი კურ-
დღელი მოვკალი: ა) დავადასტურე, რომ კონიექ-
ტურა არადსაღირალია; ბ) **ყმად** იგლისხმება არა
ავთანდილი, არამედ **შერმადინი** და ამით ც. კიკვი-
ძისა და საკომისიო ბრიგადის უაზრო კომენტარი
გავაბიაბრუე; გ) ყოველივე ამით განმიმტკიცდა

რწმენა, რომ აღმოვაჩინე კიდევ ერთი რუსთველური სტროფი, რომელიც ყოველგვარ ბუნდოვანებასა და გაუგებრობას დილის ნისლივით განამქრევს. მაშ, პოემას კიდევ ერთი პოეტური აბზაცი შევმატე.

აი, როგორი, აი, როგორი, აი, როგორი მწამს ტექსტოლოგი!”

ზოგჯერ დავინწყებულა რუსთველის ჰიპერბოლური სტილი. მაგალითად, მოყვანილია პოეტური აბზაცი:

ან ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე მის ყმისა ნაუბარსა,
მიუბნობდის, რას მოსთქმიდის, რას ტურფასა, რაზომ
გვარსა!

ზოგან თოვლი გაენითლის ვარდსა, ბრჭკლითა ნახოკარსა.
ქვაბნი ნახნა, გაეხარნეს, ზე გავიდა ქვაბთა კარსა.

ბევრი რუსთველოლოგის აზრით, აქ „თოვლი მეტაფორულად სახეს აღნიშნავს“. სამუქფოდ, „ც. კიკვიძეს, გ. კარტოზიას, ს. ცაიშვილს მიაჩნიათ, რომ **თოვლი** აქ პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი“ (1, 274).

მ. თავდიშვილი: „რა თქმა უნდა, ეგ აგრეა, მაგრამ არავის აგონდება მსგავსი ჰიპერბოლები პოემიდან. ყველას კარგად გვახსოვს ასეთი გამოთქმა: პერსონაჟს იმდენი სისხლი მოსდიოდა, მხეცები ლოკავდნენ მასო; სხვაგანაა: სისხლი ველთა მოუღ-

ვრიაო და ა.შ. ასევე ყველას გვახსოვს ჰიპერბოლები: ცრემლსა სისხლი ერეოდა; ერთმანერთსა სისხლი სწმიდეს; სისხლი ჩამოსდიოდა; სისხლი ველთა მოესხმოდა; სისხლმან მისმან კლდენი ღარნა; ველთა სისხლისა დაღებად; სისხლისა რუები; სისხლისა გუბია; სისხლითა მოერწყო ველი და ა.შ.

მაშასადამე, მხატვრული მხარე, პოეტური ფორმა სრულიად იგნორირებულია!”

პროექტით წარმოდგენილია სტროფი:

კვლა იტყვის: „მიკვირს ნავლელი კაცისა ჭკუიანისა, რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა? სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა, ან მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა, ლერწამტანისა”.

კომისიის წევრებმა **ლერწამტანად** ტარიელი მიიჩნიეს, ს. ცაიშვილმა – **ნესტანი**.

მივცეთ სიტყვა **მ. თავდიშვილს**: „ბ-ნმა სარგისმა ორი გარემოება ვერ გაითვალისწინა: ა) ამ ვითარებაში მოსაძებნია ტარიელი და არა ნესტანი. სწორედ ამის შემდეგ ჩანს, თუ ვის საძებრად მიდის სპასპეტი და ვის პოულობს კიდევ – ეს არის ამირბარი; ბ) მკვლევარი შეაცდინა ეპითეტმა **ლერწამტანი**. მას ეგონა, რომ ამ განსაზღვრებით მხოლოდ ქალებია დახასიათებული და ვაჟკაცი **ლერწამტანა** არ შეიძლება იყოს. ეს მცდარი წარმოდგენაა. პოე-

მით, **ლერნამტანაა** როგორც ქალი, ისე ვაჟი, და აქ ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ შეინიშნება. მოვიყვან ნათელ მაგალითებს. ფრიდონის სამეფო-ში ავთანდილი გამოჩნდა. მასზე ნათქვამია:

ნახონ, მჭვრეტელთა ახელებს, ტანი ლერნამობს რხევითა.

სხვაგან ტარიელის შესახებ ავტორი ასე მსჯელობს:

ლერნმისა სარსა დასდრეკდა, კაემანს მოაქარვებდა.

არის სხვა ნიმუშებიც.

მაშასადამე, მცდარი და მიუღებელია მითითებული ადგილას ნესტანის გააზრება”.

ზოგჯერ კომისიონერები ვერ ხედავენ პარადიგმულ მაგალითებს, რაც ტექსტოლოგიაში აუცილებელია. ამის გამო ზოგჯერ ამაოდ მსჯელობენ, დროსა და ენერგიას ტყუილუბრალოდ ხარჯავენ.

პროექტით წარმოადგინეს სცენა:

კვლა ეუბნების ავთანდილ სიტყვითა მრავალფერითა, ეტყვის: „რა მოჰკვდე, გერგების სიტყვითა რა ოხერთა? ნუ იქ, არა სჯობს, საქმითა ნუ ხარ თავისა მტერთა!” ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყვითა, ვერა, ვერითა.

რამდენიმე მეცნიერმა **ვერა, ვერითა** კომპოზიტად მოიაზრა – **ვერავერითა**. სხვებს „მიაჩნიათ,

რომ აქ გვაქვს რუსთველის ენისათვის დამახასიათებელი გამეორება უარყოფითი ნაცვალსახელისა“ (I, 288).

მ. თავდიშვილი: „უნინარეს ყოვლისა, უნდა ეთქვათ, რომ აქ ავტორი ვირტუოზულად იყენებს **ვერ** სიტყვას ალიტერაციის მისაღებად: ტაეპში იგი მეორდება ოთხგზის. ამით მუსიკალობაც მაღლდება და, ამავე დროს, სულიერად ავადმყოფი კაცის **სიჯიუტეც** ჩანს. ეგ სიჯიუტე უნდა დაძლიოს ავთანდილმა და აქ უნდა გამოვლინდეს მისი ნიჭიერება, უნარი და ალლო. სიჯიუტის განცდა კი მკითხველს უჩნდება **ვერა** უარყოფითი სიტყვის ბევრჯერ გამეორებით; გარდა ამისა, მკვლევარი-ტექსტოლოგი უნდა ჰგავდეს კარგ ფეხბურთელს, რომელიც არა მარტო თავის ფეხებსა და ბურთსა ხედავს, არამედ მთელ მოედანსაც. ჩვენი ტექსტოლოგები კი გლაბა მოთამაშესავით საკუთარ ფეხებს იქით არც კი იხედებიან. რომ გაეხედათ, დაინახავდნენ იმას, რაც მე შევნიშნე: ტაეპის – **ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყვითა, ვერა, ვერიტა** – ერთგვარი ამხსნელი პარადიგმა გვაქვს მომდევნო სტროფის პირველსავე ტაეპში. გაჯიუტებულ ამირბარს სპასპეტი ეუბნება:

მერმე უთხრა: „აჰა, რათგან **არ** მომისმენ **არას, არა;**
აღარ განყენს ენა ჩემი...

ვხედავთ: მომდევნო, მიდევნებულ სტროფშიც იმავე ხერხს იყენებს ავტორი. აქაც უარყოფითი სიტყვა მეორდება ოთხგზის: **არ, არას, არა, აღარ**. პირველი სტროფის ოთხ **ვერას** ეპასუხება მომდევნოს ოთხი **არა**. ეგ ალიტერაციული გადახმიანებაც ავტორს წარმოაჩენს ჩვენ წინაშე, როგორც სიტყვის გენიალურ ოსტატს.

პოემაში ბევრი მსგავსი მომენტიცაა. ერთ სტროფში (ოქმების I წიგნი, 935) წერია:

არ, უთქმელობა **არ** ვარგა, **არ** პირუტყვი ვარ მჩმუნავი,
არ ვიცი...

ვხედავთ: აქაც იგივე სტილი და მანერა – **უარყოფითი სიტყვის ოთხგზის გამეორება!**”

ზოგი კომენტარი არაადეკვატურია, რამეთუ მკვლევრებს არ ახსენდებათ ხალხური გამოთქმები, იდიომები, ანდაზები. არადა ისინი ბევრგზის სიმართლის დადგენის (ტექსტის დაზუსტების) საშუალებას იძლევიან.

პროექტით წარმოდგენილია ტაეპები:

ვითა მთვარე დაუდგომლად იარების, არ დადგების;
მასვე ცხენსა შენეულსა ზის, აროდეს გარდახდების;
არას ნახავს პირმეტყველსა, ვით ნადირი კაცთა
ჰკრთების.
ვა მე, მისსა მგონებელსა, ვა მას, ვინცა მისთვის
კვდების.

აქ კამათი გაიმართა იმაზე, თუ რომელია ავთენტური სიტყვა – **ნადირი** თუ ზოგ ხელნაწერში მის ნაცვლად ნახმარი **პირუტყვი**. ზოგის აზრით, პირუტყვი სჯობს, რადგან იქმნებაო დაპირისპირება **პირმეტყველი** და **პირუტყვი** (ა. ბარამიძე, ი.გიგინეიშვილი, შ. ძიძიგური); სხვათა ფიქრით, **ნადირი** სჯობს. გ. კარტოზიამ გამოთქვა აზრი: „შინაარსობრივად ნადირი სჯობს. ყველა პირუტყვი არ უკრთის კაცს“ (I, 328).

აი, რასა ფიქრობს **მ. თავდიშვილი**: „რა თქმა უნდა, ავთენტურია **ნადირი**. იძებნება ამის რამდენიმე არგუმენტი: ა) სიტყვა **პირუტყვი** მდაბიურია, **ნადირი** კი – უფრო პოეტური; ბ) ცამდე მართალია გ. კარტოზია: ყველა პირუტყვი როდი უფრთხის ადამიანს, მაგალითად, ძროხა, ხარი, სხვაც. ნადირი კი – აუცილებლად; გ) რაც მთავარია, მკვლევრებს სულ არ გახსენებიათ ცნობილი ხალხური გამოთქმა: **სრულიად გავნადირდი; მთლად განადირდა;** დ) ამავე დროს, უნდა ვხედავდეთ მთელ მოედანს და არა ოდენ განსახილველ სტროფს. ამ გამოთქმის პარადიგმებით გატენილია ჩვენი ეროვნული ეპოსი. აი, მაგალითები: „კაცი უჩსო ვით **ნადირსა**“; „მას აქათ ვახლავ **ნადირთა**“; „მართ **ნადირთაებრ** გაჭრასა ვირჩევ“; ე) გარდა ამისა, ხელნაწერთა უმრავლესობა მხარს უჭერს **ნადირს**.

ყოველივე ეს გვარნმუნებს, რომ ავტორის ხელიდან გამოსულ სტრიქონში ყოფილა **ნადირი**".

როგორც ითქვა, ხშირად ტექსტოლოგები ვერ უკვირდებიან საძიებელი სტროფის მომიჯნავე პოეტურ აბზაცებს. ამიტომაც ერთობ ძლიერ და მაღალმხატვრულ მომენტებსაც ჩანართად მიიჩნევენ. პროექტით წარმოადგინეს სცენა:

**ძელი მოსტყდა და ავთანდილ დარჩა ნავდაულენელი,
შეშინდეს იგი ლაშქარნი, გზა ძებნეს გარდსახვენელი;
ველარ გარდესწრნეს, გარდუხლტა მტერთა მი და მო
მლენელი;
არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ მისგან დაუფრენელი.**

საგულისხმოდ სამწუხაროა ერთი პროფესორის სჯა. ს. ცაიშვილი: „სტროფი არ არის A და D რედაქციის რიგ ხელნაწერებში, შინაარსობრივად ახალს არაფერს იძლევა, შეიცავს ტავტოლოგიურ რითმას... ყველაფერი ეს მიუთითებს მის ჩანართობაზე“ (I, 343).

მ. თავდიშვილი: „კომენტარი იმსახურებს რამდენიმე შენიშვნას. ა) ეგ ტექსტი რომ A და D რედაქციის ზოგ ხელნაწერში არაა, ბევრს არაფერსა ნიშნავს, რადგან არის თვით A და D რედაქციის ზოგ ხელნაწერსა და ასევე სხვა რედაქციებში; ბ) შეიცავს ტავტოლოგიურ რითმასო. დიახ, ოღონდ

იშვიათად ასეთი რამ ხდება პოემაში. ვრცელი ეპოსი უამისოდ ვერ იქნება. ამგვარ გამონაკლისს რუსთველი სხვაგანაც უშვებს. საგულისხმოა, რომ ასევე იქცევა მისი უფროსი თანამოკალმე და მასწავლებელი ფირდოუსი. სპარსელი პოეტი იმეორებს ერთნაირ სარითმო სიტყვებს და თვით რედიფსაც კი! რუსთველოლოგმა რ. ფირცხალაიშვილმა დაასაბუთა, რომ ტავტოლოგიური რითმა ძველად ჩვეულებრივი რამ იყო. იგი აქვს ნიზამისაც; გ) შინაარსობრივად ახალს არაფერს იძლევაო, – ბრძანებს ბატონი სარგისი. აქ კი მას მოკრძალებით უნდა ჩავუხველო. როგორც ფირდოუსის, ისე რუსთველს ახასიათებს ამბავთა პარონომაზია. ამ ხერხს აკად. ალ. ბარამიძემ ამბის გამეორება უწოდა. ამბის გამეორებისას კი **შინაარსობრივად ახალი არაფერია** მოსალოდნელი, ოღონდ აქ უკვე იცვლება ხედვის კუთხე. ამიტომაცაა: როსტანი და ავთანდილი ნადირობაში ორჯერ ეჯიბრებიან ერთმანეთს; ტარიელი ლომსა და ვეფხს ორჯერ კლავს. ასეა ამ შემთხვევაშიც – წინა სტროფს „კიოდეს იგი ლაშქარნი“ სხვა კუთხით იმეორებს სტროფი „ძელი მოსტყდა“; დ) ახლა კი მივუთითებ რუსთველის ერთ სპეციფიკურ ხერხზე, რომელიც ბ-ნ სარგის შეუმჩნეველი დარჩენია. რუსთველი არის დიდოსტატი ერთი პოეტური სცენის მეორეზე გადაბმისა. სტრო-

ფიდან სტროფში გვხვდება ერთნაირი სიტყვების გადაძახილი და ამით ერთი სტროფი მეორეს რკინის კავებით უკავშირდება. ახლა ვუჩვენებ, თუ როგორია ეგ კავები: პირველი სცენა ასე მთავრდება:

კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა, სხვით არათ არ მოსტყდებოდა.

მომდევნო პოეტური აბზაცი ასე იწყება:

ძელი მოსტყდა და ავთანდილ დარჩა ნავდაულენელი.

დააკვირდით: პირველშია **ძელი მოსტეხა**, მეორეში – **ძელი მოსტყდა**. ამ მსგავსმა სინტაგმებმა რკინის კავებით გადააბა ერთურთს მითითებული სტროფები. ამიტომ მათი განცალკევება და დაშორიშორება არ ეგების! ე) ახლა კი მივუთითებ იმაზე, თუ რად სჭირდება ავტორს ამბის პარონომაზია. ეს სჭირდება მას ამბის დინამიკური განვითარებისათვის. პირველ სტროფში ყოველთვის ზოგადადაა საქმე ნაჩვენები, მომდევნოში კი ეს საქმე გამონვლილვით აღიწერება. ამიტომაც მთლიანი ამბავი მოუწყინარია. ახლა შევადაროთ I და II სტროფები ერთურთს:

**კიოდეს იგი ლაშქარნი, ხმა მათი არ განყდებოდა,
აძგერეს ძელი, რომელსა ზედა სახნისი ჰგებოდა;
ყმა ნავის თავსა უშიშრად ქვე დგა, არ თურე კრთებოდა,
კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა, სხვით არათ არ მოსტყდებოდა.**

ესაა რაინდის მოქმედების ჩვენება. ახლა საინტერესოა, რა მოჰყვა ამას მტრის ხომალდზე, მეორე მხარეზე:

**ძელი მოსტყდა და ავთანდილ დარჩა ნავდაულენელი;
შეშინდეს იგი ლაშქარნი, გზა ძებნეს გარდსახვენელი;
ველარ გარდესწრნეს, გარდუხლტა მტერთა მი და მო
მლენელი;
არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ მისგან დაუფრენელი.**

შესანიშნავი დინამიკაა, ბრწყინვალე მოძრაობა და მინევ-მონევაა; დაკონკრეტდა მოქმედება; გამოვლინდა შედეგიც.

კიდევ მეტი:

რუსთველი მეორე სტროფშიც გვიტოვებს **გასაშლელ**, გამონვლილვით ხელმეორედ მოსაყოლს და ამით II სტროფს მესამესაც რკინის კავებით უკავშირებს. II სტროფში რომ ზოგადად გვითხრა –

არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ მისგან დაუფრენელი –

მომდევნოში უკვე ეგ ფრაზა იშლება, კერძოდ, როგორ დახოცა კონკრეტულად?

აი, თუ როგორ:

**მათ ლაშქართა გულუშიშრად ასრე ჰხოცდა, ვითა თხასა;
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ჰყრიდის შიგან ზღვასა;**

ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა
ჰკრის რვასა;
დაკოდინი მკვდართა შუა იმაღვიან, მალვენ ხმასა.

როგორცა ვხედავთ, სამივე სტროფი ერთმანეთზე ისეა გადაბმული, თითქოსდა ღმერთს გადაეზებას, ხოლო, რასაც ღმერთი შეაკავშირებს, იმას ადამიანი ვერ გათიშავს”.

ახლა კი მივადექით **დიდ მალიხიზმს**. ვისაც აინტერესებს, თუ რასა ნიშნავს დიდი მალიხიზმი, უნდა წაიკითხოს ნიზამი განჯევის „შვიდი მთიები“ ანდა მ.თავდიშვილის „ნიზამი და რუსთველი“, გვ. 170.

ავთანდილმა მეკობრენი გაანადგურა, მათი ნაძარცვი ქონება მონებს ვაჭართა ხომალდზე გადმოაზიდვინა. მოყვანილია სათანადო პასაჟი:

ან დავხოცენ მტერნი თქვენნი, გავასრულენ, რაცა
ვთქვენნი;
ნავი სრულად საქონლითა მომიღია, ვითა ძღვენი.

ამას მოსდევს კომენტარი: „...შევასრულე, რაცა ვთქვი; **ნავი მთლიანად საქონლით მომირთმევია, როგორც ძღვენი**“ (I, 345).

და აქ სიტყვა სამეცნიერო ბრუნვაში **დიდი მალიხიზმის** ცნების შემომტანს დავუთმოთ.

მ. თავდიშვილი: „სტროფის კომენტარს დასტური დასცეს ალ. ბარამიძემ, ი.გიგინეიშვილმა, გ. კარტოზიამ, ც. კიკვიძემ, ე. მეტრეველმა, ს. ცაიშვილმა, შ.ძიძიგურმა. ამ უკუღმართმა კომენტარმა კი მოგვიანებით ის გამოიწვია, რომ შეაცდინა თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ ადგილს გაეკარა. რუსთველოლოგიის ეს სცिला და ქარიბდა ვერ დაძლიეს მამია ებრალიძემ, თამარ ბარბაქაძემ, ელგუჯა ხინთიბიძემ, ასევე ჩიტირეკია რუსთველოლოგთა გუნდმა.

ნავი სრულად საქონლითა მომიღია, ვითა ძღვენი ისე გაიგეს, თითქოსდა მეკობრეთათვის ნაწარმევი ქონება ნაომარმა, მცირედ დაჭრილმა ავთანდილმა ვაჭრებს ძღვნად მიართვა და ამით დიდი გულუხვობა გამოიჩინა.

ესაა ტექსტის სრული გაუგებრობა!

სინამდვილეში უნდა ეთარგმნათ ასე: **საქონლით გატენილი მეკობრეთა ნავი საჩუქარივით მივიღე, სხვაგვარად: მეკობრეთა ნაალაფარი ქონება დღეს ღმერთმა საჩუქარივით მომიძღვნა.**

კეთილი, კომისიამ და მოშაირეთა რაზმმა საკუთრივ ფრაზა ვერ გაიგეს, მაგრამ მათ მიმართ მეორე, უფრო დიდი პრეტენზია მაქვს: რატომ არ იციან ტექსტი, პოემა ბოლომდე რატომ არ წაუკითხავთ, ხოლო, თუ წაუკითხავთ, მახსოვრობა ესდენ

როგორ დაუბლაგვდათ?! განა ავთანდილმა მეკობრეთა ეგ ქონება კარგი სამსახურის სანაცვლოდ ფრიდონის მიერ გამოტანებულ ოთხ მონას არ აჩუქა? განა იმავე კომისიას II ტომში პოემის ის ადგილიც არ აქვს განხილულ-გარჩეული?

ახლა გადავშალოთ II ტომი 77-ე გვერდზე! აქ კომენტირებულია სამი სხვადასხვა სტროფის შემდეგი ტაეპები (სპასპეტი ფრიდონის მონებს ეუბნება):

**თქვენ მოგცე ლარი ყველაი მე, ჩემი ნაალაფავი;
ან წაიღეთ ყველაკაი, მეკობრეთა წანალები;
მისცა მართ სავსე ხომალდი, რიცხვი ტურფათა ჯარისა.**

და იქვეა მართებული განმარტება: „თქვენ მოგცემთ მთელს საქონელს, ჩემს ნადავლს“; „ახლა წაიღეთ ყველაფერი, მეკობრეებისათვის წართმეული (რაც მეკობრეებს წავართვით)“; „მისცა სავსე ხომალდი, მრავალი ტურფა და ძვირფასი ნივთი“ (II, 77).

აი, როგორ გაამრუდეს საქმე, როგორ შეაცდინეს მომდევნო ხანის მკვლევრები კომისიის წევრებმა და ასე გაუხსნეს გზა რუსთველოლოგიაში **დიდ მალიხიზმს**”.

ჩემო ზალიკო, ძამიკო, ყალმის ალი ხარ, მალი ხარ,
ყოველგნით გამტყუნებული აქ დამიხატე მალიხა!



არაერთგზის გამოითქვა საყვედური, რომ ტექ-
სტოლოგებმა ამბავი მკრთალად იციან, რომ სულ

იოლად ავინყდებათ პარადიგმული ნიმუშები. ეს კი ტექსტის დადგენის საქმეს ვნებს. ამისი მკაფიო ნიმუში ბევრია და მათ რიგს ესეც მივატმასნოთ.

მოყვანილია საპროექტო პოეტური მონაკვეთი:

მოვიდა მისი მეზალე, ბალსა ეახლნეს რომელსა,
მას ყმასა უჭვრეტს შეფრფინვით პირსა, ელვათა
მკროთომელსა;
ავთანდილ უხმო, ეუბნა კაცსა არ სიტყვამცთომელსა:
„ვისნი ხართ, ვინ ხართ, რა ჰქვიან მეფესა აქა
მჯდომელსა?“

ქვემოთ ნათქვამია:

„რედაქციამ გაიზიარა ივ. გიგინეიშვილის აზრი, რომ... **კაცსა არ სიტყვამცთომელსა** ნიშნავს კაცს, **რომელსაც სიტყვა არ დასცდენია**“ (I, 349).

სხვაგვარად იგებს ფრაზას **გაბაასების** უფალი: „მკვლევრები ვერავითარ ტექსტოლოგიურ ალლოს, უნარს, გამოცდილებას ვერ ავლენენ. ისინი საერთოდ ვერ ხედავენ ამ სიტყვების ამხსნელ რეაგენტს მომდევნო სტროფში. იქ კი მითითებულია, რომ ეგ კაცი, ბალის დარაჯი, არის **პირმართალი**, რომელსაც სიცრუე და ტყუილი არ ახასიათებს. აი, ეს ტაეპიც:

რაცა ვიცო, მართლად გკადრებ, მრუდი არა არ გემცნების.

მაშასადამე, რა წერია, რას გულისხმობს **კაცსა არ სიტყვამცთომელსა?** არა იმას, რასაც ი. გიგინეიშვილი ფიქრობდა. აქ ხაზგასმულია, რომ მეზღვე იყო **პირმართალი**, რომ **სიცრუეს არ ლაპარაკობდა, მცდარად არ საუბრობდა.**

მართლაცდა, რა შუაშია აქ სიტყვის არ დაცდენა ან სიტყვაძვირობა? მეორეც, თუ არას ჰკითხავდნენ, რად უნდა დასცდენოდა სიტყვა? ხოლო, როცა ჰკითხეს, პირი მოალო და საკმაოდ წყლიანად ამეტყველდა.

ამრიგად, უსათუოდ უნდა გასწორდეს აღნიშნული ამკარა ხარვეზი!

იქვე, ქვემორელე, მოყვანილია სტროფი, სადაც ავთანდილი და ფატმანი ერთად სხედან და კოცნაობენ:

**ერთგან დასხდეს და დაიწყეს კოცნა, ლაღობა წყლიანი;
შემოდგა კარსა ყმა ვინმე კეკლუცი, ტანნაკვთიანი,
შემოვლო ახლოს, შემოჰყვა მონა ხმაღდარაკიანი.
დაჰკრთა, რა ნახა ავთანდილ: „ჰგავსო, თუ გზაა
კლდიანი!”**

კომენტარში სპასპეტზე ნათქვამია: „ავთანდილმა რომ დაინახა, შეკრთა (იფიქრა), „ეტყობა, გზა კლდიანიაო (= სახიფათოაო)“ (I, 360).

აქ არასწორადაა გაგებული სპასპეტის ბუნება და ხასიათი. ავტორი ხატავს უშიშარ, უდრეკ რაინდს, რომელსაც ვერარა მეტოქე ვერ დააშინებს. ახლაც არ შეშინებია ჭაშნაგირისა. ეს რომ ასეა, ამას გვიხსნის ქვემორელე, ცოტა მოგვიანებით, მისგანვე თქმული აღსარება, საიდანაც ჩანს, პირველი ნახვისთანავე თუ როგორ შეაფასა მეტოქე. ჭაშნაგირის მოსაკლავად მიმავალი მოყმე ფატმანს ეუბნება, ერთი მონა გამატანე, განა მისი დახმარება დამჭირდება, არა, **ის კაცი ჩემი სწორი არაა**, უბრალოდ, გზა მასწავლოსო. აი, ეს ტაეპებიც:

ფატმანს უთხრა: „კაცი მომეც მასწავლელად, წინამძღვარად, გზასა მართლად წამიყვანოს, თვარა მეშვლად მინდა არად; **იმა კაცსა ვერა ვხედავ მეომარად ჩემად დარად...**“

აქედან გამომდინარე, საჩოთირო ვითარებაში ავთანდილი კი არ შეკრთა, კი არ შედრკა, არამედ – ჭაშნაგირი. მაშ, კომენტარი უკუღმართია!

ეს კი იმად ხდება, რომ მკვლევრებმა სუსტად იციან პოემის შინაარსი; განსაკუთებით არ ესმით ის, რომ ბევრ „ბუნდოვან“ ადგილს თვით პოემა ხსნის და განმარტავს, ოღონდ ამის ცოდნასაც ცოდნა სჭირდება.

ტექსტის ვერგაგების კიდევ ერთ მაგალითს წარმოვაჩენ. მოყვანილია ტაეპი:

**მოხვალ, გითხრობ ყველაკასა, მო-ვით-გითხრა
ცრემლთა ლამით.**

განმარტება ესეგვარია: „რომ მოხვალ, ყველა-ფერს გეტყვი როგორმე ცრემლების ღვრით“ (I, 362).

აქ ასეთი რამ არა წერია. კომენტარი ასეთი უნდა გამოსულიყო: **მოხვალ და ყველაფერს მოგიტ-ხრობ. ახლა კი როგორ გითხრა, როცა ცრემლები მახრჩობს!**

ექვი არაა, ჩემეული განმარტება უფრო აზრია-ნიცაა და უფრო ემოციურიც. არც იმაში შეგეპა-როთ ექვი, რომ რუსთველი ჩემთან უფრო ახლოსაა, ვიდრე – კომისიასთან”.

ტექსტის დამდგენი ჯგუფის წევრებს: ალ. ბა-რამიძეს, ი. გიგინეიშვილს, გ.კარტოზიას, ც. კიკვი-ძეს, ე. მეტრეველს, ს. ცაიშვილს, შ. ძიძიგურს, ანუ საუკეთესო რუსთველოლოგიურ ძალებს, კატეგო-რიულად უპირისპირდება ის, „**ვინ მარტომან ასთა ავნის**“:

„წარმოდგენილია საპროექტო ტექსტი, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ მიჰყავს სპასპეტი ჭაშნაგირის სახლისაკენ ფატმანის მონა-მსახურს:

**მუნ მიჰყავს პირმზე ავთანდილ მას, მისსა წინამძღომელსა;
ხმამდაბლად ჰკადრებს: „ისია სრა მისი, ეძებ რომელსა“.**

უჩვენებს, ეტყვის: „ხედაო ბანსა ზე და ქვე მდგომელსა?
იქი წევს ძილად, იცოდი, ანუ ქვე ჰპოვებ მჯდომელსა“.

მონაკვეთი კომენტირებულია შემდეგნაირად:
„იქ მიჰყავს პირმზე ავთანდილი მის მეგზურს; **ხმა-
დაბლა** ეუბნება: „ისაა მისი სასახლე, რომელსაც
ექებ“. უჩვენებს, ეუბნება: „ხედავო ერთმანეთზე
მდგომ ბანებს? მას იქ სძინავს, იცოდე, ან მჯდომა-
რეს ნახავ“ (I, 364).

დიდ ეჭვს იწვევს ტექსტში დატოვებული ხმამ-
დაბლად, ასევე კომენტარის სინტაგმა „**ხმადაბლა
ეუბნება**“.

საქმე ისაა, რომ „მდაბალი“ მოკრძალებულსა
ნიშნავს და არა „დაბალს“, არამალალს. არადა ყვე-
ლა ხელნაწერში კომპოზიტის მეორე ნაწილად წე-
რია მხოლოდ **მდაბლად** და არა **დაბლად**; მეორეც,
დაბალი ხმით სათქმელი და საჩუმათო ფატმანის
მსახურს არაფერი ჰქონდა – ავთანდილი და იგი
ჭაშნაგირის სასახლიდან შორს იდგნენ.

ყოველ შემთხვევაში, ყოვლად შეუხამებელია
ხმა-მდაბლად. სულ სხვა რამ იქნებოდა, რომ ყო-
ფილიყო, ვთქვათ, **ხმა-დაბლად**.

მართლაც, ბევრზე ბევრი და საუკეთესო ხელ-
ნაწერი მხარს უჭერს არა **ხმა**, არამედ **ყმა** სიტყვას
(ABEGJMPTVX და სხვ.).

პოემის ეტიკეტს თუ გავითვალისწინებთ, გასაგებია, რა ურთიერთობაცაა დიდვაჭარ ავთანდილსა და ფატმანის მონა-მსახურს შორის. მსახური, ყმა დიდვაჭარს **ხმადაბლა** კი არა, **მდაბლად** ეუბნება, ანუ **ჰკადრებს**.

მართლაც, პოემის მიხედვით, მაღალი მდაბალს **უბრძანებს**, ხოლო მდაბალი მაღალს **ჰკადრებს**. აღნიშნულის მიხედვით, ავთანდილს **ყმა** მდაბლად ჰკადრებს: „ისია სრა მისი, ეძებ რომელსა“. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ხელნაწერებში **ყმა** და **მდაბლად** სიტყვებს შორის სამწერტილია ჩაგდებული. ეს კი განყოფის ნიშანია. თანაც იმავე სტროფის მესამე ტაეპიდანაც ცხადია: მსახურს არაფერი ჰქონია საჩუმათო:

უჩვენებს, **ეტყვის**: „ჰხედაო ბანსა ზე და ქვე მდგომელსა, იქი წევს ძილად, იცოდი, ანუ ქვე ჰპოვებ მჯდომელსა“.

ამრიგად, ტაეპი უსათუოდ ასე უნდა გასწორდეს:

ყმა მდაბლად ჰკადრებს: „ისია სრა მისი, ეძებ რომელსა“.

როგორცა ვხედავთ, კომისიას, რომელშიც პირველი-ორი პირი ჩემი ძვირფასი მასწავლებელია, ბევრი არაფერი გაუკეთებია მითითებული სტროფის ავთენტური სიტყვების დასადგენად“.

ყველაზე დიდი ბრალდება, რომელიც ბრიგადას უნდა წარედგინოს – ეს გახლავთ ტექსტის დადგენისას პოეტიკის საკითხების მივიწყება-მიჩქმალვა. არადა „ვეფხისტყაოსანი“ არც ისტორიული ნაშრომია, არც გეოგრაფიული ან კიდევ არც სამეცნიერო-ფილოლოგიური გამოკვლევა, არამედ ის არის **მხატვრული ტექსტი**, ხოლო ავტორის მიზანია **ხატოვანებისა და მუსიკალობის** მიღწევა.

მომდევნო საპროექტო პოეტური მონაკვეთი ასეთია:

**რაცა ვჰკითხეთ, არა ვიცი, ესმა ანუ არ ისმენდა:
ვარდი ერთგან შეენება, მარგალიტსა არ აჩენდა;
გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბალი შეღმა შე-რა-შენდა,
მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედა რადმცა გაგვიოთენდა!**

იკამათეს, იდავეს და ბოლოს ი. გიგინეიშვილის წინადადება მიიღეს – **შე-რა-შენდა** ასე გადაასწორეს: **შე-რე-შენდა** (I, 378).

მ. თავდიშვილი: „რა თქმა უნდა, სწორად მოიქცნენ, განა ცუდად! ოღონდ საოცარი სხვა რამეა: ამდენი იდავეს, იკამათეს, რაღა არ თქვეს, რა არ-გუმენტს აღარ მიმართეს, ოღონდ უმთავრესსა და უპირატესს არა და არა! კერძოდ, არავის მოსვლია თავში, გაერკვია, რატომ არის მითითებულ სტროფში „ე“ ხმოვანი მნიშვნელოვანი?“

არადა უპირველესი საძიებელი სწორედ ისაა, რომ სტროფი აგებულია „ე“ ხმოვნის აბგერწერების პრინციპზე. „ე“ ბგერის აბგერწერების აუცილებლობა კი მოითხოვა სარითმო კლაუზულის უმთავრესმა ფონეტიკურმა ერთეულმა, რომელშიც გადამწყვეტი ხმიერება ეკუთვნის ხმოვანს „ე“, აგრეთვე მაპროვოცირებელ შიდა სიტყვას **ესმა**. პირდაპირ სენსაციური ვითარებაა – **„ე“ აქ უღერს 22-ჯერ!** ამიტომაც შეუძლებელია ჯადოსნური სმენის მქონე რუსთველს ინტუიციურ დონეზეც კი არ ეგრძნო **შე-რე-შენდაში** „რე“ ბგერათკომპლექსის საჭიროება. მისი სმენა ამგვარ შეცდომას ვერც დაუშვებდა. მაშ, მთელ სტროფში აქცენტირებულია „ე“ ხმოვანი და პასაჟის ხმოვნური გახმოვანების ამირბარიც ისაა. სარითმო კლაუზულის ბგერათკომპლექსს **ენდა** ხმას უწყობენ შემდეგი სიტყვები: ვჰკითხეთ, ესმა, ისმენდა, ერთგან, შეენება, აჩენდა, გველნი, მოეკეცნეს, შეღმა, შე-რე-შენდა, მზე, ვეშაპსა, დაებნელა, ზედა, გაგვითენდა. ტექსტში განსაკუთრებით საჩინოა მესამე ტაეპი:

გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბალი შეღმა შერეშენდა.

პირველ კარედში ალიტერაციულ ბუმს ინვევს **მოშლით მოეკეცნეს**, სადაც ზმნისნინი **მო** დომინირებს; მეორე კარედში ამგვარ ბუმს ინვევს **შეღმა**

შერეშენდა, სადაც დომინირებს **შე**. I და II კარედებს კი ალიტერაციულად კრავს და აერთიანებს „შ“ მოშარიშურე თანხმოვნის ხმიერება: **მოშლით** და **შელმა შერეშენდა**; პირველი კარედის პირველ-ორ სიტყვას ბგერწერულ დონეზე აკავშირებს ნარ-ნარა „ლ“ ბგერა: **გველნი მოშლით**; მეორე კარედის პირველ-ორ სიტყვას ამგვარივე ფონეტიკური წესით აკავშირებს კოლორიტული თანხმოვანი „ლ“: **ბალი შელმა**.

ამგვარად, სტროფის ცენტრალურ ფონეტიკურ ღერძს – მესამე ტაეპს – ახასიათებს მონოლითური ბგერწერული კავშირი, საქმეში ჩაუხედავი თვალისათვის მიუწვდომელი მუსიკალური გადახმიანება, რაც ერთგვარ სასწაულად უნდა წარმოვიდგინოთ. მართალია, თვალი ვერ ამჩნევს, ოღონდ მახვილმა მუსიკალურმა სმენამ უნდა შეამჩნიოს – სტროფის **ცენტრალურ ფონეტიკურ ღერძს** განსაკუთრებულ ერთიანობასა სძენს და სიმტკიცეს ანიჭებს „ე“ ხმოვნის აბგერწერება: აქ იგი მეორდება **რვაჯერ!**

მაქვს სხვა რკინის არგუმენტიც, ოღონდ მანამდე კომისიას თავზე კიდევ ერთხელ უნდა დავყაშყაშო: პროფესორებო, აკადემიკოსებო, როგორ არ გახსოვთ და როგორ არ იყენებთ „ამირანდარეჯანნიანის“, „ვისრამიანის“ მონაცემებს?! იქ ხომ ათობითაა „რე“ კომპლექსით სიტყვათა ტმესირების მა-

გალითი და ერთი შემთხვევაც კი არაა „რა“ ბგერათკომპლექსის გამოყენებისა! აი, საამრიგო და თქვენი შემარცხვენელი ნიმუშები „ვისრამიანიდან“: „გა-რე-მიძნელოს“ (3, 284); „მო-რე-შორდეს“ (3, 239); „გა-რე-მაძლარ იყო“ (3, 236); „მო-რე-ლბა“ (3, 74); „მო-რე-ისუბუქე შეჭირვებისა ტვირთი“ (3, 62); „და-რე-სნყნარდა“ (3, 62); „გული მო-რე-უნყნარდა“ (3, 59); „და-რე-ვდევ“ (3, 49) და ა.შ.

ყოველივე ამის შემდეგ თვით რუსთველიც რომ ნამოდგეს საფლავიდან და გვიმტკიცოს, **შე-რე-შენდაში** „რე“ კი არა, „რა“ გამოვიყენო, ვერ ვერნმუნებით, ვერ დავუჯერებთ”.

ტექსტოლოგი ვერ იქნები, თუ ზოგიერთი ტექსტოლოგიური საკითხი წინდანინ არა გაქვს განჩხრეკილი და გადანყვეტილი. ამ მოსაზრებას ადასტურებს შემდეგი მაგალითი. დაბეჭდილია საპროექტო ტექსტი:

გავგზავნენ ყოვლგან ლაშქარნი, ალაფი ავალებინე,
ერთობ სავსენი მოვიდეს, თავიცა ვალალებინე;
სისხლსა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევალეზინე,
არ ვჰბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავალეზინე.

კომენტარში მითითებულია, რომ ადრე იყო **სისხლთა მებრძოლთა ჩემთასა** და ახლა ჩასწორე-

ბულიაო ასე: **სისხლსა მებრძოლთა ჩემთასა** (I, 137).

მ. თავდიშვილი: „ამ შემთხვევაში კომისიამ ვერ დაინახა და ყურადღება ვერ მიაქცია იმას, რომ ავტორს სასწაულებრივად აწყობილი ალიტერაცია დაურღვია. ფრაზაში – **სისხლთა მებრძოლთა ჩემთასა** – სამგზის ხმიანდება „თა“, მაგრამ, თუ ხელნაწერები ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი გარემოებები გვაიძულებენ, ეს მშვენიერი ჰარმონიაც კი უნდა დავარღვიოთ. ავთენტურობა ყველაფერზე მაღლა დგას, ოღონდ რა გარემოებები გვაქვს საამისოდ? – არავითარი! პირიქით, ყველაფერი იმას მოწმობს, რომ სწორია **სისხლთა**. გარდა ამისა, მე მაქვს ჩემი კონკრეტული დაკვირვება ამასთან დაკავშირებით.

ყოველივეს მოგახსენებთ, დამიმშვიდდით, დამინყნარდით!

ჯერ ხელნაწერულ მემკვიდრეობას გადავხედოთ. აქ ასეთი ვითარებაა: საუკეთესოდ მიჩნეულ ხელნაწერებში (AD და სხვ.) ყველგანაა **სისხლთა**. სისხლსა იკითხება 7 ხელნაწერში (BCKMOXA¹). სამუქფოდ, E ხელნაწერშია „მებრძოლთა **სისხლთა ჩემთასა**“, რომელიც მხარს უჭერს ფორმას **სისხლთა**. საგულისხმოა 6 სხვა ხელნაწერის მონაცემი

სისხლითა (FJRTZR¹). ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ **სისხლითა** მიღებულია ფორმისაგან **სისხლთა**.

მაშასადამე, ხელნაწერთა ნაწვალეები ტექსტები მიუთითებენ, რომ ადრე ეწერა **სისხლთა**.

ამ ფორმას მხარს უჭერს ჩემი ერთი პირადი დაკვირვება: როცა ერთმანეთს უპირისპირდება **სისხლის** მხოლოობითი და მრავლობითი ფორმები, ავტორი უპირატესობას ანიჭებს გამოთქმას **სისხლთა**. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ რუსთველის დროის ფორმა იყო **სისხლთა**, ხოლო მისი მხოლოობითი ფორმა მოგვიანებით ჩამოყალიბდა. მაშ, უფრო არქაულია **სისხლთა**, „ნეოლოგიზმია“ **სისხლსა**. ამიტომ, სადაც კი ეს ორი ფორმა ერთურთს უპირისპირდება, უპირატესობა უნდა მივცეთ დაწერილობას **სისხლთა**.

ამავე დროს, აქვე მეძლევა საშუალება, კიდევ ერთხელ გავაკრიტიკო ტექსტის დამდგენი კომისია და მე ამ ვითარებას როგორღა მივაყურისძირებ?! თანაც, თუ ეგ არ გავაკეთე, რა კარგი დახლი დამიდგება!

საქმე ისაა, რომ კომისიის წევრები იქცევიან უმართებულოდ. ჯერ ხომ ფირდოუსისა და ნიზამის ტექსტების მონაცემებს არ ითვალისწინებენ, მერეც არ ითვალისწინებენ იმ ქმნილებათა მონაცემებს, რომლებზედაც რუსთველი, როგორც ავტო-

რი, გაიზარდა – ეს გახლავთ „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“. „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ახალი ტიპის რომანი, ამ ორ „ვეშაპზე“ დგას: იგი აერთიანებს, ერთი მხრივ, „ამირანდარეჯანიანის“ რაინდობას, ხოლო, მეორე მხრივ, – „ვისრამიანის“ მიჯნურობას. ასე გახდა ჩვენი ეპოსი „სარაინდოსამიჯნურო“ რომანი. რა თქმა უნდა, აქ „ამირანდარეჯანიანის“ რაინდობაცა და „ვისრამიანის“ მიჯნურობაც თვისებრივად ახალ დონეზეა აყვანილი, ოღონდ ამ სამი ტექსტის ამ თვალთახედვით შედარება გვიჩვენებს: ტექსტობრივი თვალსაზრისით, ბევრი მათი ფრაზა, გამოთქმა, აფორიზმი თუ მხატვრული ფიგურა ერთნაირია, მსგავსია, ერთნაირი სიტყვებითაა აგებული. ამიტომ ამ მასალის გამოყენება აუცილებელია! ეს რომ ასეა, ახლავე დაგარწმუნებთ. მე მივაგენი „ვეფხისტყაოსნის“ საძიებელი ფრაზის პროტოტიპს მის წინამორბედ „ამირანდარეჯანიანში“. მაშ, ასე, რუსთველის ფრაზა **მებრძოლთა სისხლთა ჩემთასა** სწორედ ის ფორმაა, რომელიც დაცულია „ამირანდარეჯანიანში“: „შენ ხარ მესისხლე ჩემი და დღესითგან **შენ ზედა ვეძებ სისხლთა ჩემთა** და დისწულთა ჩემთასაო!“ (ქართული მწერლობა, 2, გვ. 378).

საგულისხმოა, რომ ამგვარი ფორმულით სავსეა მოსე ხონელის თხზულება, მაგალითად: „**ჩემთა**

სისხლთა ძებნა არა შეუძლიაო”; „სისხლთა ჩემთა ეძებსო”; „სისხლთა ჩემთა ძებნასა”; „სისხლთა ჩემთა და მოსორისათა“ (იქვე, გვ. 487); „სისხლთა ჩემთა ეძებსო“ (იქვე, 490); „მზისა ჭაბუკისა სისხლთა საძებრად მოსრული ხართ“ (იქვე, 493); „ესე იყო სისხლთა ძებნა მზისა ჭაბუკისა ამირანისა და სეფედავლესაგან“ (იქვე, 495); „აქა დასრულდა კარი სისხლთა ძებნისა“ (495).

იგივე ვითარებაა „ვისრამიანში“. აი, საამრიგო ნიმუშები: „ხამს ესეთისა ყმისა კაცისა სისხლთა დაღვრა და მოკლვა“ (ქართული მწერლობა, 3, გვ. 58); „ჩემთა სისხლთა ღვრითა გაუძღომელო“ (იქვე, 127); „სისხლთა შიგან მრჩვალი“ (140); „მიუმხვდარი არის ვისის სისხლთა ძებნა“ (158); „ნულარავის აძლევ სისხლთა“ (184); „არა, რომელ ღმერთი შენ გთხოვს მისთა სისხლთა“ (263); „რას პასუხს გასცემ ღმერთსა ჩემთა სისხლთა მოკიდებისათვის“ (286).

საერთოდ კი უნდა ითქვას: რუსთველის ეპოქაში მიღებული იყო სიტყვა **სისხლის** მრავლობითი ფორმა. აი, საამრიგო მაგალითები: „სისხლნი თქვენნი თქვენსავე თავსაო!“ (2, 430); „ამისნი სისხლნი შენსა თავსაო!“ (2, 446); „თქვენნი სისხლნი თქვენსავე თავსა იყვნენო!“ (2, 452). „შენნი სის-

ხლნი დასაღვრელად ალაღნია“ (3, 170); „შენნი **სისხლნი** თვით შენვე მიისხნე“ (3, 175).

რაკი სწავლებაა, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ: კიდევ რომ ყოფილიყო რუსთველის ეპოქაში მიღებული ფორმა **სისხლი** – მხოლოობითის ეს ფორმა გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოცემული იყო ამგვარი შეწყვილება: **სისხლი და წყალი** ერთნაირად სდიოდაო, ე.ი. **სისხლი** და **ცრემლი** სდიოდაო. ამ შემთხვევაში წყალს არა აქვს მრავლობითის ფორმა და შეწყვილებისას ერთნაირი ფორმები უნდა იყოს! ამავე დროს, უნდა ვიცოდეთ: როცა ფრაზაში სხვა საგნები თანიან მრავლობითშია, **სისხლი** უსიკვდილოდ შეეწყობა მათ რიცხვში. ამიტომაცაა, ფრაზაში „სისხლთა **მებრძოლთა** ჩემთასა“ აუცილებელია „სისხლთა“, რამეთუ სიტყვა „მებრძოლთა“ თანიან მრავლობითშია.

ამრიგად, კანონსაც კი არა ჰგავს (რაკილა კანონზე მეტია) ჩემ მიერ მიგნებული წესი: თუ ფრაზაში სიტყვა **სისხლის** სიახლოვეს თანიანი მრავლობითის მქონე სახელია, **სისხლი** მიიღებს ასეთ ფორმას – **სისხლთა**; ხოლო, თუ მის სიახლოვეს ნარიანი მრავლობითის მქონე სახელია, **სისხლი** მიიღებს ასეთ ფორმას – **სისხლნი!**“

მოცემულია საპროექტო ტექსტი. ბოლო ორი ტაეპი ესეგვარია:

ჯორ-აქლემი ათჯერ ასი, – ყველაკაი წვივმაგრობდა, –
დატვირთული გავუგზავნე, ამბავსაცა კარგსა
სცნობდა.

ალ. ბარამიძის რჩევა გაითვალისწინეს და მეორე ტაეპის თავსიტყვა **დატვირთული** ზოგი ხელნაწერის ჩვენებისამებრ ასე გაასწორეს – **ატვირთული**. ალ.ბარამიძის აზრით, ასე უფრო პოეტურია.

სწორია, უფრო პოეტურიცაა და სწორიცაა, ოღონდ შეცდომის (დატვირთული) მქანიზმი ვერ გაათვალსაჩინოეს.

მ. თავდიშვილი: „**დატვირთული** არა მარტო პოეტური არაა, მცდარიცაა. ძველად (და ახლაც) ასე არავინ იტყოდა. საქმე ისაა, რომ **დატვირთული** შეიძლება იყოს პლატფორმიანი, ძარიანი, ბრტყელმოდენიანი საგანი, ვთქვათ, ურემი, საზიდარი, ავტომანქანა „სტუდებეკერი“, ბორანი, ოღონდ ცხენსა და ჯორს არ აქვს რაიმე პლატფორმა, რომელსაც დატვირთავ; სახედარს, ჩვეულებრივ, ტვირთს **აჰკიდებენ** ხოლმე. ამიტომ მას **საკიდარ** ცხოველს უწოდებენ. ამრიგად, ცხენი, ჯორი, ვირი, აზავერი შეიძლება **ატვირთო** და არა **დატვირთო!**

ახლა იმის შესახებ, თუ რამე გააჩინა ფორმა **ატვირთულის** წინ „დ“ ასო-ბგერა?

ატვირთული რომ პირველი, მეორე ან მესამე ტაეპის თავკიდურ სიტყვად წერებულებიყო, არასოდეს გადაიქცეოდა **დატვირთულად**, ოღონდ, რაკი ის მეოთხე ტაეპის სანწყისი სიტყვა იყო, იოლად გახდა **დატვირთული**. საქმე ისაა, რომ ხელნაწერებში, ჩვეულებრივ, მეოთხე ტაეპს წინ ემატება სასიგნალო ზედმეტი სიტყვა „და“. ეგ **და** არვის ეგონოს კავშირი! აი, რა ფორმა ჰქონდა ბოლო სტრიქონს „ოდესმე“:

**და ატვირთული გავუგზავნე, ამბავსაცა კარგსა
სცნობდა.**

რომელიღაც გადამწერმა ეგ სასიგნალო „და“ შეუერთა ფორმას „ატვირთული“ და ასე მივიღეთ კონტამინირებული **დატვირთული (და ატვირთული → დატვირთული)**“.

საპროექტოდ წარმოდგენილი პოეტური აბზაცი ასეთია:

**ედგნეს ტურფანი კარავნი მოედანს ჩამოდგომილსა,
საუბრისა და ჭვრეტისა ჩემისა მას მონდომილსა.
მას დღესა ედვა ნადიმი მას შიგან გარდახდომილსა;
მიაღერსებდა, მიჭვრეტდა წინაშე ახლოს ჯდომილსა.**

კომისიაში საკამათო გახდა სიტყვა „მიჭვრეტდა“. ბოლოს არჩიეს ზოგი ხელნაწერის „მაჭმევდა“.

„გ. კარტოზიამ, ც. კიკვიძემ, ს. ცაიშვილმა აღნიშნეს, რომ **დ-ში** მიჭვრეტდას არსებობას ამართლებს **ბ**, სადაც მეფეზე ნათქვამია, რომ იგი ტარიელის ჭვრეტას მონატრებულია (საუბრისა და ჭვრეტისა ჩემისა მას მონდომილსა). დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: მიაღერსებდა, **მაჭმევდა**“ (I, 140).

მ. თავდიშვილი: „ამჯერად კომისიამ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. არადა გ. კარტოზიას გუნდი სწორ იდეას ავითარებდა. ჩამოვაცალიებ ჩემს აზრს ჩემივე არგუმენტების მოხმობით, სადაც, განსხვავებით კომისიის წევრებისაგან, ჯეროვანი ადგილი დაეთმოა მხატვრულ-ესთეტიკურ დასაბუთებასაც, რაც უმთავრესია და რასაც, ჩვეულებრივ, სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

ტაეპში აუცილებლად უნდა იჯდეს **მიჭვრეტდა**.

არგუმენტი I: მართლაც, **მიჭვრეტდას** ამართლებს II ტაეპი, სადაც ხელმწიფეზე ნათქვამია, რომ იგი ტარიელის ჭვრეტას დანატრებულია. ვთვეზე მეტია, რაც შვილობილი აღარ უნახავს. მაშ, აქ **ჭამა** რა სახსენებელია?!

არგუმენტი II: ჩვეულებრივ, ნადიმი იწყებოდა **ჭამა-სმის დასრულების შემდეგ**, ნიშნავდა ღვინის სმას და არა **ჭამას**. ამიტომაც აქ უფრო მოსალოდ-

ნელია **მიჭვრეტდა**. მაგ., თინათინის გამეფების დღეს ჯერ პური ჭამეს, მერე დაიწყეს ნადიმობა:

დღე ერთ გარდახდა. **პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა, ნადიმად მსხდომთა** ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა.

როგორცა ვხედავთ, თანმიმდევრობა დაცულია: ჯერ პურობა და სმა-ჭამა გამართეს, მერე ხილი მიირთვეს და, ბოლოს, ნადიმად დასხდნენ, ანუ ღვინოს მიუსხდნენ. სხვათა შორის, **სმა** და **ნადიმი** ტოლფარდ, სინონიმურ სიტყვებად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“. მაგ., „გაყარეს **სმა** და **ნადიმი**“; „დაშალეს **სმა, ნადიმობა**“; ყოველივე ეს კარგად ჩანს ფრიდონისას ავთანდილის სტუმრობის დროს. ჯერ „დასხდეს, შეიქმნა პურობა, გაამრავლებდეს მახალსა“. მერე კი **პურობას** ცვლის **ნადიმი**: „მას დღე სვეს, ჭამეს, გარდახდა **ნადიმი მსმელთა დასისა**“; ვხედავთ: ჯერ ჭამა-სმა (ანუ პურობა) და მერე – ნადიმობა მსმელთა გუნდისა.

პირდაპირ სენსაციურია „ამირანდარეჯანიანის“ ცნობა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ჯერ იმართებოდა პურობა, მერე, კაი ხნის გასვლის შემდეგ – ნადიმი, ანუ სმა. აი, ეს მონაკვეთი: „გაიყარა **პურობა** და გამოხდა ცოტა ხანი, **ნადიმად გვანვიეს...** და, თავმან თქვენმან, **მის პურობისა ჭიქა აღარა მოიღეს, – ყველა უკეთესი იყო**“ (2, 389). ხედავთ?

პურობაზე ნახმარი ქიქები კი აღარ მოიგანეს, არამედ უკეთესებიო; მომყავს „ამირანდარეჯანიანის“ უკეთესი ნიმუში: „პური მუნ ვჭამეთ და ნადიმიცა მუნ გარდავიხადეთ და წამოვედით ჩვენსა კარავსა. მეორესა დღესა დარბაზობად იგინი ჩვენსა მოვიდეს, პური ჩვენსავე ჭამეს და ნადიმიცა ჩვენსა გარდაიხადეს და ნავიდეს მათსა კარავსა“ (2, 460); ნიზამის „შვიდ მთიებში“, ისევე როგორც ფირდოუსისა და რუსთველთან, ჯერ ჭამენ, მერე ნადიმობენ: „და, როცა ბაჰრამმა შიმშილის გრძნობა მოიკლა, დაიწყო ნადიმი და ღვინის თასმაც წრე დაუარა“ (107).

არგუმენტი III: ეგ არგუმენტი უმთავრესია, კერძოდ, გულისხმობს **მი-** ზმნისწინით გამონვეულ ალიტერაციას. ასეთი რამ რუსთველს დიახაც ახასიათებს. საძიებელ ტაეპში სწორედ ზმნისწინური ბგერწერაა მთავარი: **მი-აღერსებდა, მი-ჭვრეტდა.** რაც მთავარია, სტროფი აგებულია **მი** ბგერათკომპლექსის პერიოდულ გამეორებაზე. ის აჟღერებულია 8-ჯერ. აი, **მი** კომპლექსიანი სიტყვები: **ჩამოდგომილსა, მინდომილსა, გარდახდომილსა, ჯდომილსა, ჩემისა, ნადიმი, მიაღერსებდა, მიჭვრეტდა.** ისიც სათქმელია, რომ ხმოვანი „ი“ მეორდება 15-ჯერ”.

ის ვინ არი, რომელ მკაცრად მსჯავრი დასდო და ათავნის?
დაიხატოს ის მკვლევარი, „ვინ მარტომან ასთა ავნის“!



*მურმან თავდიშვილი.
მეგობრული შარყი.
მხატვარი ზალიკო სულაკაური*

პროექტად გამოტანილი პოეტური აზრები ასეთი სახისაა:

რომე რიდენი მეშოვნეს ქალაქსა ხატაელთასა,
იგი მეხვივნეს, მშვენოდეს, ვახელებ გულსა ხელთასა.

**მეფე გარდახდა, დარბაზსა შევედით ჩემთა მზრდელთასა,
შევხედენ, დავჰკრთი ელვასა ღანვთასა მზებრ ნათელთასა.**

დატოვეს წარმოდგენილი ტექსტი, ოღონდ ბოლო სტრიქონის გამო გაიმართა კამათი. „ც. კიკვიძე: სტროფი დაბალი შაირით არის ნაწერი, დ-ის მეორე ნახევარი კი ხელნაწერთა და გამოცემათა დიდ ნაწილში მაღალი შაირითაა განწყობილი (ღანვთა მზეებრ ნათელთასა). რიტმის ამგვარი დარღვევის თავიდან ასაცილებლად გამოცემებში სხვადასხვა კონიექტურაა მოშველიებული... ჩვენ პირველი კონიექტურა ვარჩიეთ, როგორც უფრო დაახლოებული ხელნაწერთა ნაკითხვასთან“ (I, 144).

მ. თავდიშვილი ასე ებაასება კომისიის წევრებს: „გრამატიკოსი ც. კიკვიძე რუსთველის რთული რიტმული სამყაროს ლაბირინთებში გზას ვერასოდეს გაიგნებს. აქ არავითარი კონიექტურა საჭირო არაა. ამ საკითხზე მისი საუბარი არაფრად გამოგვადგება. ვისიცა ხამს, აი, სწორედ იმას მივცეთ სიტყვა. ეს გახლავთ ნამდვილი ტექსტოლოგი-რუსთველოლოგი და ქართული ლექსის რიტმული სამყაროს უებრო მკვლევარი როლანდ ბერიძე. მომყავს ერთი ადგილი რ. ბერიძეზე დაწერილი ჩემი ესეიდან: „სეგმენტთა გ. წერეთლისეულ აბსოლუტიზაციას საეჭვოს ხდის რ. ბერიძის სტატია „შევხედენ, დავჰკრთი ელვასა“. იგი ეხება „ვეფხისტყაოს-“

ნის“ ტაეპს: „შევხედენ, დავჰკრთი ელვასა ღანვთა მზეებრ ნათელთასა“.

არსებობდა მოსაზრება: აქ მეტრული სტრუქტურა დარღვეულია, ერთიმეორეში არეულია დაბალი და მაღალი შაირის ნახევარტაეპებიო (მიხ. ნერეთელი, პ. ინგოროყვა, ვ. ბერიძე, აკ. შანიძე, გ. ნერეთელი, ტექსტის დამდგენი კომისია).

მაშასადამე, ამდენმა სპეციალისტმა ტაეპს თავი და ბოლო ვერ გაუგო და ამიტომაც ზოგი მათგანი ტექსტში უხემ ჩარევას – კონიექტურას – მიმართავდა. არადა საამრიგო თურმე მშვენივრად გამართულ სტრიქონს არა სჭირდა რა; თუ მას სილაბურ-ტონური პოზიციიდან ნავიკითხავთ, ყველაფერი რიგზე აღმოჩნდება და არც საკონიექტუროდ გაგვიხდება საქმე. აი, რა ნათლიერად მსჯელობს როლანდ ბერიძე:

მთავარცეზურის მარჯვენა მხარეს, მეოთხე მარცვალთან, ტაეპის აჩქარების გამო კანონზომიერად ქრება სიტყვათშორისი მიჯნა, ხოლო მიდევნებული მარცვლის შემდგომ ტემპის ოდნავი შენელების მეოხებით კანონზომიერადვე ჩნდება ფრიად ხანმოკლე, ოღონდ რიტმულ-ინტონაციურად აურიდებელი პაუზა:

შევხედენ, დავჰკრთი ელვასა

3

2

3

ღანვთა მზეებრნა: თელთასა

2

3

3

მაშასადამე, სიტყვის მიერ გადაღახულია მუხლის (სეგმენტის) საზღვარი, რიტმი კი მაინც არ ირღვევა, რადგან სალექსო მეტყველებაში ინტონაციის მეშვეობით წესრიგდება მეტრისა და რიტმის ურთიერთობა, როგორც დინამიკური თანაფარდობის პირობა. სტროფის საერთო რიტმული კონტექსტი უზრუნველყოფს ტაეპის ექსპრესიულ-სემანტიკურ მთლიანობას. რიტმულ-ინტონაციური პაუზები ამ მთლიანობის ბუნებრივი ელემენტია. კითხვა იმპულსურად მიმდინარეობს. იმპულსი სანარმოთქმო მოქმედებაში უნებლიეთ გადადის. მისი მამოძრავებელი ძალა უშუალო შინაგანი ბიძგია. ამ უმეშვეო ქცევის საფუძველი ობიექტურად, ანუ მკითხველისაგან დამოუკიდებლად, არის შეპირობებული თვით პოეტური ტექსტით. ე.წ. „ვერსიფიკაციულ წუნს“ ხელდახელ აქრობს რიტმული სვლა – მხატვრული დროის თანამიმდევრობაში რიტმულ დამოკიდებულებათა რეგულატორი, მოლოდინისა

და მისი დადასტურების მაორგანიზებელი მიზეზი, ესთეტიკური შთაბეჭდილების უცთომელი კორელატი. გარდა ამისა, ტაეპის დამასრულებელ ექსმარცვლედში (მზეებრნა: თელთასა) გაჩენილი რიტმულ-ინტონაციური პაუზის მიუხედავად, აქ არც სინტაქსური წყობა უშნოვდება (რაკილა შეერთებული ლექსიკური წყვილი ერთცნებიან კომპოზიტად ცნობიერდება), არც სემანტიკური მხარე ზარალდება (ვინაიდან შერწყმულ ეპითეტებს შუა გაბმული შინაარსობრივი ქსელი აზრიან ურთიერთობადვე რჩება), არც აკუსტიკა ზიანდება (იმიტომ, რომ „მზეებრნა: თელთასა“ ბგერათქაოსად როდი ხმაურობს, არამედ სმენადსაამო რხევადობად შეიგრძნობა) და ფონეტიკური შედგენილობითაც უცვლელია (რაკილა ბგერის არც გადასმა ხდება, არც დაკარგვა, არც შენაცვლება).

როგორც დავინახეთ, ტექსტის დადგენაში ეფექტიანად არის გამოყენებული პოეტიკურ-ვერსიფიკაციული მონაცემები. მაშასადამე, გაცუდდა აკად. კ. კეკელიძის გაბედული განაცხადი: პოემის ტექსტობრივი პრობლემების გადაჭრაში პოეტიკური მონაცემები ვერაფერს შეგვეწევიანო („ვეფხისტყაოსნის“ კ. ჭიჭინაძისეულ გამოცემაზე დაწერილი რეცენზია). ავთენტიკური ტექსტის ვერსიფიკაციულ-ინტონაციური პოზიციიდან დადგენას, შეიძ-

ლება თამამად ვთქვათ, რუსთველოლოგიაში როლანდ ბერიძემაც დაუდო სათავე“ (მ. თავდიშვილი, ჩემიანები, 2022, გვ. 438).

მსგავსი აღრევა დაბალი და მაღალი შაირისა ც. კიკვიძემ დაინახა სხვაგანაც (II, 301).

კომისიას მოვუწოდებ: როცა პოემაში სადმე რიტმული სვლის „დარღვევას“ შენიშნავენ, ნუ იჩქარებენ, ჯერ რ. ბერიძის საამრიგო სტატიები წაიკითხონ, თუ არა და, ბოლო ბოლო მე მაინც მკითხონ აზრი!”

წარმოდგენილია საპროექტო სტროფი:

**ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი სამარის კარისა,
ორგნით ჩანს ლები მჯილისა, მართ გულსა გარდნაკარისა;
ასმათს სდის ღვარი სისხლისა, ღანვთაგან ნახოკარისა,
კვლა წყალსა ასხამს, უშველის, ხმა ისმის მუნ წკანწკარისა.**

ქვემორელე მოყვანილია აკადემიკოსებისა და პროფესორების მოსაზრებები პირველ, მათთვის ყველაზე რთულ, ტაეპზე.

ე. მეტრეველი: ა-ს შინაარსი (დაბნედილ ტარიელს მკვდარიც კი არა ჰგავდა) გაუგებარია და საეჭვო.

ა. ბარამიძე: ტაეპის აზრია – დაბნედილი ტარიელი სამარის პირზე მიმდგარ მკვდარზე უარესად გამოიყურებოდა.

ი. გიგინეიშვილს, ც. კიკვიძეს, ს. ცაიშვილს მი-
აჩნიათ, რომ ამგვარი გაგება სავსებით მისაღებია,
სულაც არ არის სახამუშო.

გ. კარტოზია: ნაკითხვას, მართლაც, ახლავს
აზრობრივი უხერხულობა. ამიტომ იქნებ კონიექ-
ტურა მოგვეშველებინა და ტაეპი ასე გაგვემართა:
ასრე წვა, რომე, არს, ჰგვანდა, მკვდარი სამარის კა-
რისა (= ისე ინვა, თითქოს მკვდარი ყოფილიყო).
შდრ. მსგავსი კონსტრუქცია: „დღე, ჰგვანდა, არს
აღვსებისა“.

დაადგინეს: ტაეპის ნაკითხვა უცვლელად დარ-
ჩეს: ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი სამარის
კარისა“ (I, 150).

მსგავსი გამოთქმა იხილვის სხვა სტროფშიც.
აი, ისიც:

**მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა.
მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა, არს აღვსებისა,
შეიქმნა გასვლა შიგანთა, ჯარია მუნ ხასებისა,
დაინყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა.**

კომენტარი ასეთია: „მოედანზე დავდგი წითელი
ატლასის კარვები. მოვიდა სიძე, ჩამოხდა (დაბანაკ-
და); თითქოს აღდგომის დღე იყო. შიგნით (ქალაქ-
ში) მყოფნი გავიდნენ, დიდებულთა ჯარი იყო იქ,

ლაშქარი დაენყო თემებად და გუნდ-გუნდად“ (I, 170).

აი, როგორ ეპაექრება აღნიშნული კომენტარების ავტორებს **გაბაასების უფალი**: „მშიერ კაცს რომ კარგად შემწვარ-შეპინკინებული გოჭის დანახვაზე ელეთმელეთი მოსდის და პირზე ნერწყვი მოადგება, აი, ისე ვარ ახლა. ეს რა კარგად „შესახრამუნებელი“ საქმე გამომიგზავნა უფალმა!

აკადემიკოსებს, პროფესორებს წარმოდგენაც კი არ აქვთ იმაზე, რომ რუსთველის მიერ აქ გამოცენებული მხატვრული ფიგურა პარალელური შედარების შედეგია, მხატვრული თვალსაზრისით, გამოსატვის უმაღლესი დონეა; არც ის იციან, რომ ეგ ფიგურა რუსთველის წინარე ლიტერატურაშიც არის გამოცენებული, ოლონდ რუსთველმა იგი ვირტუოზულ დონეზე აიყვანა; არც იმაზე აქვთ წარმოდგენა, რომ მსგავსი ფიგურა ხალხურ გამოთქმანდაზებშიც იძებნება; მათ არც ის წარმოუდგენიათ, რომ საშინელი შეცდომაა აკად. კ. კეკელიძის კონიექტურა „**დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა**“ და სწორედ ამ თარგზე სურთ გადააკეთონ რუსთველის ცამდე სწორი და ავთენტიკური ტაეპი: „ასრე ნვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი სამარის კარისა“; მათ ასევე არ იციან, რომ თვით „ვეფხისტყაოსანში“ მსგავსი მხატვრული ყალიბის ფიგურა არაერთია!

აი, ჩემი ბრალდებები კომისიის წევრთა მიმართ, აი, თუ რად ვექუში მათ მე!

აქვე ვიტყვი: ე. მეტრეველს, გ. კარტოზიას, კ. კეკელიძეს საერთოდ ვერ გაუგიათ გენიალური მხატვრული ფიგურის არსი და აზრი. ამიტომაც კონიექტურას გვთავაზობენ; სამუქფოდ, აი, როგორ უყურებენ მსგავს კონსტრუქციას სხვები: **„ი.გიგინეიშვილს, ც. კიკვიძეს, ს. ცაიშვილს მიაჩნიათ, რომ ამგვარი გაგება სულაც არ არის სახამუშო“** (I, 150).

რა გვეთქმის?

ამაზედაც გმადლობ, უფალო, ამაზედაც გმადლობ!

ხედავთ, მეგობრებო, თურმე **სახამუშო** არა ყოფილა!

ახლა ნათლად დაგიმტკიცებთ, რომ ფიგურა არათუ **სახამუშო არაა, გენიალურია, უმაღლესი მხატვრული ოსტატობის მაცნეა!**

გავარკვიოთ არსი მხატვრული ფიგურისა **„დღე ჰგვანდა არ აღვსებისა“ დღესა.**

კონტექსტი სიტყვასიტყვით ასე უნდა „ითარგმნოს“ (ეგ არაერთხელ გამიკეთებია არაერთ დაბეჭდილ წერილში): დიდი დღესასწაული იდგა; უკლებლივ ყველა ზეიმობდა; ბედნიერებისაგან ადამიანები მთვრალეbsა ჰგვანდნენ და ჰქონდათ კი-

დეც მიზეზი: უფლისწული ნესტანი ცოლად საუკეთესო სასიძოს მიჰყვებოდა. ამიტომაც **ის დღე აღარ ჰგავდა აღდგომის დღესასწაულს, რაკილა აღდგომაზე უფრო სასიხარულო გამოდგა.** აღდგომა კი ქართველი კაცისათვის ყველაზე დიდი დღესასწაულია!

„დღე ჰგავდა არ აღვსებისა“ დღესა რომ მართებულად გავიგოთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ფრაზის თითქოსდა უცნაური, ოღონდ სინამდვილეში ერთობ საცნაური აღნაგობა, რომელსაც პარადიგმები ეძებნება როგორც თვით პოემაში, ისე ხალხურ სიტყვიერებაში.

ქართველ ერს შეუქმნია ე.წ. „უარყოფითი შედარების“ ნიმუშები, მაგალითად, „ცა ქუდად **არ მიაჩნია** და დედამინა – ქალამნად“. ეს იმას კი არ ნიშნავს, რაც აქ წერია, არამედ, პირიქით, საწინააღმდეგოს, ოღონდ პლუსით. ამ ფრაზის წარმომთქმელი ვილაცაზე ასე მსჯელობს: იმ თავხედს ცა ქუდად **არ მიაჩნია** და დედამინა – ქალამნადო, ესე იგი, სწორედაც რომ **ცა ქუდად მიაჩნია და დედამინა – ქალამნად**, ოღონდ ესეც კი ეცოტავება, რადგან თავი უფრო მეტადაც კი წარმოუდგენიაო.

ამგვარი შტამპური ხალხური გამოთქმები სხვაცა გვაქვს: „შველს ისარი შიგ გულში **არ მოხვედრია?!**“

გამოთქმის ფორმა უარყოფითია (არ მოხვედრია), ოღონდ შინაარსი საპირისპიროა – **შიგ კაკალ გულში გარჭობია!**

ამგვარი „უარყოფითი შედარებები“ თვით პოემაშიც უხვადაა. ერთხელ ტარიელი დაეცა, დაბნდა, გული წაუვიდა. ავტორი კი შენიშნავს: არა ჰგავს არცა სამარის წინაშე მდებარე მკვდარსაო, ესე იგი, სამარეში ჩასაშვებ **მკვდარზე უფრო მკვდარია**, ამიტომაც აღარ ჰგავს მასო. სხვაგვარად: **ჰგავს მკვდარს, ოღონდ პლუსითო!** მოგვყავს თვით ფრაზა: **ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი სამარის კარისა**. ასე წერია 501-ე სტროფში, ოღონდ წინა პოეტურ აბზაცში პირდაპირ არის მითითებული, რომ ზუსტად მკვდარსა ჰგავდა: **პირსა დაიდვა, და-ცა-ბნდა, ქვე მკვდართა დაედასების**.

მაშასადამე, ჯერ დადებითი შედარების წესით არის ნათქვამი, რომ ლომგმირი **მკვდარს დაედასა, დაემსგავსაო**; მომდევნო სტროფში იგივე მხატვრული ფორმა (დადებითი შედარება) აღარ გაიმეორა ავტორმა და გამოიყენა უარყოფითი შედარების ხერხი: ტარიელი ისე გამოიყურებოდა, რომ მას არც სამარის პირას მდებარე მკვდარი ჰგავდა, რაკილა მკვდარზე უფრო მკვდარი იყოო.

კიდევ ერთი მაგალითი „უარყოფითი შედარებისა“. ნესტანის შესახებ ტარიელი ამბობს: **„არცა**

**მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებუ-
ლი**". ნესტანი ისე ლამაზი იყო, ისე აჭარბებდა სი-
ლამაზით მზეს, მთვარესა და ედემის კვიპაროსს,
რომ არც ერთ მათგანს არა ჰგავდაო. აი, ასეთია ეს
ჰიპერბოლიზებული „უარყოფითი შედარება“.

პოემაში არსებული სხვა ნიმუშებიდან კიდევ
ერთს გაახლებთ აქა. დავარის ბრძანებით ასმათის
თვალწინ ზღვაში გადაკარგეს ნესტანი. ამის შემყუ-
რე წინაშემდგომელი ამბობს:

ესე ვნახე და არ მოვკვე, არა მგავს არცა სიპია.

სიპის ქვაზე მაგარი ვარ, თორემ ამის მნახავი
უნდა მოვმკვდარიყავიო.

ამრიგად, ვითარება სავსებით გასაგებია,
ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „უარყოფითი
შედარების“ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ვიც-
ნობთ და ეგ მხატვრულ-ჰიპერბოლური მოვლენა
გამორკვეული გვაქვს.

ახლა კი იმის შესახებ მოგახსენებთ, რაზე წარ-
მოდგენაც არა აქვთ კომისიის წევრებს, ოღონდ მე
ხომ უნდა მქონდეს?!

არაერთხელ მითქვამს, ახლაც ვიმეორებ: „ვეფ-
ხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა შეუძლებელია იმ
„სამშენებლო მასალის“ გაუთვალისწინებლად, რო-
მელიც რუსთველის წინამორბედ ლიტერატორებს

გამოუყენებიათ. ამ შემთხვევაშიც ასეა: ჩვენთვის საძიებელი მხატვრული ჩუქურთმა უკვე გამოყენებულია „ამირანდარეჯანიანში“. აი, ისიც: „არცა სახლი სახლსა ჰგვანდა და არცა სამყოფი და საჯდომი – საჯდომსა“ (2, 389) და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ასე დიდებული და მორთულ-მოკაზმული სახლი ამის მთხრობელ პერსონაჟს მანამდის არასოდეს ეხილა. აი, თუ რატომაც არა ჰგავდა სახლი სახლსა და ტახტი – ტახტსა!

აღნიშნული ხერხი მომარჯვებული აქვს ნიზამისაც: „შვიდ მთიებში“ ერთგან ვკითხულობთ: ეს აპრიმანი დრაკონსაც კი არა ჰგავდა (237), უფრო საშინელი იყო და იმიტომაც!

ერთი საპროექტო მონაკვეთი ასეთი სახისაა:

**შევეჯე, ნავე, ბაღჩას მივე, ვითა სცნობდე ლხინთა ზომით!
ბაღჩა შეველე, კოშკი დამხვდა, ასმათ ვნახე ძირსა დგომით;
ვნახე, ვსჭვრეტდი ნატირებად, ცრემლი აჩნდა ღანვთა
წთომით;
დამიმძიმდა, არა ვჰკითხე, ჩემი სჭირდა მისლვა ნდომით.**

ამას მოსდევს კომენტარი: ი. გიგინეიშვილის აზრით, ბოლო ტაეპის თავკიდური **დამიმძიმდა** უნდა შეიცვალოს ზოგ ნუსხაში დაცული სინტაგმით **რა უმძიმდა**. ც. კიკვიძემ და გ. კარტოზიამ ეგ აზრი უარყვეს – ყველა ხელნაწერი არ უჭერს მხარს

ფორმას **რა მიმძიმდა**, თანაც ეგ უკანასკნელი ნაწვალევ ხელნაწერებში უფრო იხილვისო. ბოლოს მაინც მიიღეს **რა უმძიმდა** (I, 159).

გაბაასების მტე: „საბოლოოდ სწორი გადაწყვეტილება მიუღიათ, ოღონდ არა ჩანს დამარწმუნებელი მსჯელობა, საბუთიანობა. არადა ზოგი საბუთი იქვეა, პოემაშივე, კერძოდ, მომდევნო სტროფში; მეორე საბუთი, რომელიც ყველაფერს მზესავით ანათებს, მე მომეპოვება, ჩემი დაკვირვების ნაყოფია.

ჩემი I არგუმენტი: ამ სტროფის ბოლო ტაეპში **დამიმძიმდა** არც გრამატიკულად არის მისაღები. აქ რთული წინადადება ამ სახისაა: **თუ რა უჭირდა ასმათს, აღარ ვკითხე.**

II არგუმენტი: ამ ბოლო ტაეპის მერე მოდის ახალი სტროფი, რომლის პირველსავე სტრიქონშია ნახმარი **დამიმძიმდა**:

იგი ვნახე დაღრეჯილი, ესე მეტად **დამიმძიმდა**.

ამიტომ ამირბარი ორივეჯერ ვერ იტყოდა, ასმათის დასვედიანებამ მე დამამძიმა – დამამძიმაო.

ამრიგად, I შემთხვევაში უსათუოდ იყო **რა უმძიმდა**.

III არგუმენტი: ჩემი მესამე არგუმენტი ყველაფერს ახსნის და განმარტავს. **რა უმძიმდა** რომ I, II

და III ტაეპში ყოფილიყო, **დამიმძიმდა** ფორმად არც როდის გადაკეთდებოდა, ოღონდ მას ყოფნა მოუწია IV ტაეპის თავკიდურ სიტყვად. ამიტომ, ძველი წესისამებრ, წინ დახვდა ზედმეტი სიტყვა **და**. ამიტომ მივიღეთ ასეთი ვითარება:

და რა უმძიმდა, არა ვჭკითხე, ჩემი სჭირდა მისლვა ნდომით.

რომელიღაც გადამწერმა **და რა უმძიმდა** გაიგო **დაუმძიმდა** ფორმად, საიდანაც წარმოიშვა კონტექსტისათვის „უფრო გასაგები“ ფორმა **დამიმძიმდა**, მით უფრო, რომ **დამიმძიმდა** მომდევნო სტროფის პირველსავე ტაეპშიცაა. აი, ასე მივიღეთ მცდარი პირველი **დამიმძიმდა**.

მსგავსი რამ მოხდა ხატაეთის ომის ამბავშიც. **ატვირთული** შეიცვალა **დატვირთული** ფორმით და აქაც დამნაშავე იყო „და“ ზედმეტი ელემენტი მეოთხე ტაეპის წინ”.

ერთი მონაკვეთის საპროექტო განაცხადი ასეთია:

ასსა ვუბრძანე მონასა: „საომრად დაემზადენით!“
შევსხედით, გავვლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით.
კარავსა შევე, იგი ყმა ვითა ნვა, ზარმაც თქმად ენით,
უხისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა
დენით.

კომენტარი ასეთია: „ალ. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის წინადადებით, **დ-ში სისხლისა დენით** შეიცვალა ნაკითხვით: **სისხლთა დადენით**“ (I, 171).

მ. თავდიშვილი: „ზემორელე მკითხველმა ჩემი მთელი თეორია იხილა ძველ ქართულში ფორმის **სისხლთა** უპირატესობაზე **სისხლის** ფორმასთან შედარებით და აქ აღარაფერს ვიტყვი“.

განიხილეს საპროექტო ტექსტი:

მან უთხრა: „ნადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია; წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია!“ მათ გაეხარნეს, ხმამაღლად იყივლეს: „იპი, იპია!“ ესე ვნახე და არ მოვკვე, არა მგავს არცა სიპია.

კომენტარში აღინიშნა, რომ მონაკვეთი ყველა ხელნაწერშია. ამიტომ მისი ჩანართად ცნობა მიზანშეუწონელიაო. არავითარი აზრობრივ-პოეტუკური არგუმენტი მოხმობილი არაა (I, 179).

გაბაასების უფალი მიიჩნევს: „საჭირო იყო ის აუცილებელი კომენტარი, რომელიც ყოველგვარ ეჭვს დილის ნისლივით განამქრევს. პოემაში მე დავადგინე ასპროცენტეიანი კანონი: **მონა პატრონის თვინიერ არაფერს მოიმოქმედებს**. ასეა აქაც: **მონა-ზანგები ასრულებენ დავარის ბრძანებას**.

ამ სტროფის მეორე არგუმენტი ასეთია: მომდევნო პოეტურ აბზაცში ნაჩვენებია, რომ ზანგებმა

ტყვე ქალი ზღვისაკენ წაიყვანეს: „ზღვითვე გააფლნეს სარკმელნი“. თუ რატომ ზღვისკენ, ეგ სწორედ სადავო სტროფშია ნაჩვენები. დავარმა უბრძანა ზანგებს, ეთიოპელებს: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია!“ და ისინიც პირნათლად ასრულებენ პატრონის ბრძანებას. უამსტროფოდ გაურკვეველი იქნებოდა, რატომ მაინცადამაინც ზღვაზე გადაიან ტყვის გამტაცებლები; გარდა ამისა, აქ ორი საგულისხმო მომენტიც ფიქსირდება: გახარებული ზანგები არა ქართულად, არამედ ეთიოპურად გამოხატავენ თავიანთ განწყობას: „**იპი, იპი!**“ ქართულ შორისდებულს იშ, იში! აქ უპირისპირდება უცხოური იპი, იპი! ფსიქოლოგიაში კი ცნობილია: ადამიანი წრემეუნერელ აღტაცებასა და ტკივილს გამოხატავს მშობლიურ ენაზე და ამას აკეთებს მაშინაც კი, თუ თავისი ენის დამალვა და დაფარვა სწადია!

ბარემ ესეც ითქვას: ეთიოპური **იპი** თუ **იპ** მოგვიანებით ქართულში ფონეტიკურ გარდაქმნათა გზით (ბ-ფ-პ სამეულის წევრები ერთმანეთში იოლად გადადიან) გვაძლევს საგულისხმო ფორმას **იპ – იპ** → იფ – იფ! მაშასადამე, დღეს გავრცელებული აღტაცების გამომხატველი შორისდებულის წინაპარია ეთიოპური **იპი – იპი**.

ამ სტროფში კიდევ ერთი რამაა საგულისხმო: ზღვის ცენტრი, ანუ შუაგული, გამოხატულია მეტა-

ფორით „ზღვის ჭიპი“, რომელიც მსგავსსავე ვითარებაში ნახსენებია ჰომეროსის პოემაში.

მგონია, ამგვარი კომენტირება უფრო შეშვენოდა მითითებულ გენიალურ და მდიდარ სტროფს, ვიდრე წარმოდგენილი უხერხემლო, მშრალი, მჭლე და უგერგილო განმარტება!”

საპროექტოდ გამოტანილი 639,1 სტროფი მიჩნეულია ინტერპოლაციად:

**ზღვათა და ხმელთა არ მორჩა, გაგზავნა ყველგან
მძებნელი:**

**ზღვასა – ნავი და კატარღა, თემ-თემად – გზათა
მტკებნელი;**

**ამბავს ვუცდიდი შავგული, ახალთა ცეცხლთა მდებნელი,
ვისცა ეხილოს ნათელად ღრუბლის შეკრული მზე ბნელი!
(I, 198)**

მ. თავდიშვილი: „ეს კი არაფრით გამოვა. ახლავე ავხსნი, რატომ: თუ ამ პოეტურ აზრსაც შევევლივით, მაშინ მივიღებთ ორი სტროფის ასეთ ბმას:

**ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საპატრონოსა,
მითხრა, თუ: „მცთარვარ აქამდის, ვერ მივხვდი
გასაგონოსა:**

**ხარ დიდი მეფე ინდოთა, რა ვით ვინ მოგანონოსა!
ვინ არის კაცი, რომელმან თავი არ დაგამონოსა?!”**

**რას ვაგრძელებდე! მოვიდეს ყოვლგნით ამბისა
მცნობელნი,**

**ცუდნი და ცუდთა ადგილთა თავისა დამაშრობელნი;
ვერა ვერ ეცნა, ვერ იყვნეს ვერას ამბისა მბობელნი,
მე უფრო მდინდეს თვალთაგან კვლა ცრემლნი
შეუშრობელნი.**

მიაქციეთ ყურადღება მეორე სტროფის მენი-
ნავე სინტაგმას – „რას ვაგრძელებდე!“ პირველ
სტროფში იმდენი არაფერია ნაამბობი, რომ მისი
დამთავრებისთანავე ითქვას „რას ვაგრძელებდე!“
ეს ნათქვამი სწორედ იმას გულისხმობს, რომ პირ-
ველ-მეორე პოეტურ მონაკვეთებს შორის იყოს
სტროფი, რომელშიც მეტ-ნაკლებად ვაგრძელებუ-
ლია, გაშლილია მსჯელობა. სწორედ ასეთია ინ-
ტერპოლაციად მიჩნეული ტექსტი – 639,1:

**ზღვათა და ხმელთა არ მორჩა, გაგზავნა ყველგან
მძებნელი;
ზღვასა – ნავი და კატარღა, თემ-თემად – გზათა
მტკებნელი;
ამბავს ვუცდიდი შავგული, ახალთა ცეცხლთა მღებნელი,
ვისცა ენახოს ნათელად ღრუბლის შეკრული მზე ბნელი!**

აი, ამ სტროფში ერთგვარად გაშლილია, და-
კონკრეტებულია ფრიდონის ხალხის მოქმედება,
მათი საქმიანობა, ამ ერთგვარი „ლაყობის“, დან-
ვრილმანებული აღწერის შემდეგ იყო მოსალოდნე-
ლი ასეთი თვითკრიტიკული განაცხადი – „რას ვაგ-
რძელებდე!“

ამ სტროფის სასარგებლო მეორე არგუმენტი ასეთია: აქ იხილვის „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვის-რამიანისათვის“ ნაცნობი სიტყვები: ნავი და კატარ-ლა, თემ-თემად, გზათა მტკებნელი, შავგული, ასევე ფილოსოფიური ტერმინი **მზე ბნელი**, რომელსაც ვ. ნოზაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ გამოთქმას – **მზე ბნელი** – უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ძველი ქრისტიანული ფილოსოფიის მცოდნე პროფ. რენე დრაგე, რომელმაც ივარაუდა კიდევ, რომ რუსთველს უნდა ჰქონოდაო გამოთქმა „მზე ბნელი“ (ვ. ნოზაძე, მზისმეტყველება, 196, II სვეტი).

აი, როგორია ჩემი აზრი სადავო სტროფზე”.

ტექსტის დამდგენ კომისიაში განიხილეს პოეტური მონაკვეთი:

**მან მიუგო: „უცხოსუცხო აგრე ვითა შეგიყვარდი?
გასაყრელად გეძნელები, იადონსა ვითა ვარდი“.**

გაიმართა კამათი: გ. კარტოზია მიიჩნევდა, რომ აქ უნდა იყოს კომპოზიტი **უცხოსუცხო** და არა ორი სიტყვა. ამით ავტორს ახალი კომპოზიტი შემოაქვს და თავის ენობრივ სალაროს ამდიდრებსო; ძალიან საინტერესო აზრი გამოთქვა ს.ცაიშვილმა: „**უცხო-სუცხოს** მიღებით ირღვევა ის პარალელიზმი, რომელიც ბ-ში გვაქვს: **იადონი-ვარდი**“ (I, 209).

მ. თავდიშვილი: „საკვირველია, რომ გ. კარტოზიას მონინააღმდეგეთ არ გახსენებიათ პოემის

სხვა ადგილები, სადაც **უცხო** და **უცხო** ცალ-ცალკეა დაწერილი და არავითარი კომპოზიტი არ იგულისხმება. სათანადო ნიმუშების მოყვანა კამათის ამ ცეცხლს მყისვე დააქრობდა. აი, მე მომყავს პოემის ის ადგილები:

ავთანდილი დასძენს, ტარიელმაო

მე, **უცხოს**, **უცხო** მანატრა მოსმენა სანატრელისა.

სხვა მაგალითები ასეთია:

უცხო უცხოთა ადგილთა...

მაგრა უჯდის **უცხოს უცხო**...

რად დაგვწვენ **უცხომ უცხო**...

ესე ამბავნი **უცხონი უცხოთა** ხელმწიფეთანი...

უცხო-უცხო სიქები...

ყოველივე ამის გამო ვასკვნით: **უცხოს უცხო** დარჩეს ცალ-ცალკე, რადგან ხაზს უსვამს პარალელზმს: **იადონი-ვარდი**. ეს კი უკვე მხატვრული შემოქმედების სფეროა და გადამწყვეტი მნიშვნელობა მას უნდა მიენიჭოს. ჩვენ გვაინტერესებს არა ავტორის გრამატიკულ-ენათმეცნიერული, არამედ პოეტური მოღვაწეობა”.

საპროექტო განაცხადი ასეთი სახისაა:

წვრილად ჰკადრა, რა იცოდა, რა ნახულად, რა ნასმენად:
„ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად, მენად;

ქალი ახლავს სასურველად, სულთა დგმად და ჭირთა
თმენად”.

ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასვა
ცრემლთა დენად!

გამოითქვა აზრი, რომ სიტყვა **სასურველად** შინაარსობრივად საჩოთიროა, რომ ამას კიდევაც მოჰყვა ერთი რუსი ლიტერატორის იდეა, რომ ტარიელს ასმათთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. ამიტომ საჭიროდ მიიჩნიეს ზოგ საეჭვო ხელნაწერში არსებული „ქალი ახლავს საყვარლისა“ მიეღოთ და ასეც მოიქცნენ (I, 221).

გაბაასების ინიციატორი: „მოკამათეთა შორის გამოითქვა მართებული აზრიც. კერძოდ, „ც. კიკვიძემ და გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ **სასურველად** აუცილებლად ინტიმურ ურთიერთობას არ გულისხმობს (შდრ. ტრადიციული გაგება ამ სიტყვისა – სანუგეშოდ). ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ **საყვარლისა** მხოლოდ ნარედაქციევ ნუსხებშია. **სასურველად** რომ გადაკეთებულიყო **საყვარლისად**, გასაგებია, სანინააღმდეგო პროცესი კი ძნელი ასახსნელია“ (იქვე).

არაფრით არ შეიძლება ტექსტოლოგიური ნესები უკან დავწიოთ და იმის შიშით, ვაითუ სიტყვა სხვაგვარად გაიგონო, წინ წამოვწიოთ შეუფერებელი სიტყვა! ავთენტიკურობა, უწინარეს ყოვლისა!

ოღონდ აქ საერთოდ მიივიწყეს **პოეტიკური ავთენტურობა**, რაც **უწინარესზე უწინარესია**.

და რას გვატყობინებს ეს უწინარესი?

იმას, რომ ტექსტში თავის ადგილას უნდა იჯდეს **სასურველად**.

საქმე ისაა, რომ პოეტიკის დამვიწყებელმა კომისიონერებმა ვერ შენიშნეს ერთი რამ: **სამივე ჩამონათვალი ჩაყენებულია ვითარებით** ბრუნვაში და ამით მიღწეულია მიზნობრივი ბგერწერა: **სასურველად, დგმად, თმენად**. აბა, მოვუსმინოთ III ტაეპს:

ქალი ახლავს სასურველად, სულთა დგმად და ჭირთა თმენად.

ახლა სეგმენტურ რიტმულ მონაკვეთებს მივუგდოთ სმენა:

სასურველად // სულთა დგმად და // ჭირთა თმენად

2 + 2

2 + 2

2 + 2

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი **ად** სპეციფიკურ შიდარიტმასა ქმნის, რაც მკვლევრებს ყურადღებიდან გამოეპარათ. რუსთველი არაა ფორმალისტი, ოღონდ, თუ ბუნებრივია, მაშინ არც შიდარიტმას გაურბის (ვჰგმობ კაცსა **აუგიანსა**, ცრუსა და **ლალატიანსა** და სხვ.). აქაც იგივე ვითარებაა:

ქალი ახლავს **სასურველად**, სულთა **დგმად** და ჭირთა
თმენად.

პროფესორებმა ვერც ის დაინახეს, თუ როგორაა დაქსელილი მთელი სტროფი ვითარებითის ნიშნით – **ად**. ეს სიტყვებია: **წვრილად, ნახულად, ნასმენად, სახლად, მენად, სასურველად, დგმად, თმენად, დენად**.

მაშასადამე, სტროფში **ად** ისმის 9-ჯერ, ოღონდ არც ესაა ყველაფერი – I ტაეპშია სიტყვა **ჰკადრა**, რომელშიც ასევე შემალულია **ად**. მაშ, პოეტურ მონაკვეთში **ად** ჟღერს **ათჯერ!** მაგრამ არც ეგაა ჩემი ალიტერაციული ანგარიშის ბოლო ჯამი. **ად** ბგერათკომპლექსის სარკისებური შებრუნებული სახე **და** ასევე იღებს მონაწილეობას ჩვენს ფონეტიკურ კონცერტში. **და** ისმის სიტყვებში **იცოდა, დასვა**. მაშ, **ად-და** სტროფში ისმის **12-ჯერ!**

და მთელ ამ **ად-და** ფონეტიკურ კონცერტს ორგანიზებას უწევს და დირიჟორობს სარიტმო კლაუზულად გამოტანილი ბგერათკომპლექსი **ენად: ნასმ-ენად, მ-ენად, თმ-ენად, დ-ენად**.

ყველამ კანთიელად დაინახა: რუსთველური ალიტერაცია კატეგორიულად მოითხოვს სტროფში ჟღერდეს კიდევ ერთი ვითარებითი ბრუნვა – **სასურველად**, ხოლო რუსთველოლოგიური ტექსტო-

ლოგის საქმე არაა, ვინ გაიგებს უკუღმართულად ამ წაღმართულ სიტყვას!”

პოემაში ავთანდილზე ნათქვამია:

ყმა ტკბილი და ტკბილქართული, სიკეთისა ხელის მხდელი.

კომენტარი ასეთია: „ტკბილი და ტკბილად მოსაუბრე (ტკბილი ქართულის მოსაუბრე)“ (I, 226).

მ. თავდიშვილი: „აქ წინააღმდეგობის გრძნობას აღძრავს ყოვლად მიუღებელი განმარტება: **ტკბილქართული** არისო „ტკბილი ქართულის მოსაუბრე“. არა, ასე როდია! XII-XV საუკუნეებში რომ ქართველი მოგმართავდა, ერთი შენი ქართული გამაგონეო, – ეს ნიშნავდა: ხმა ამოიღე, ენა ამოიღე, სიტყვა გამაგონეო! მაშ, **ქართული** ნიშნავდა, არც მეტი, არც ნაკლები, – **სიტყვას**. კომენტარი უნდა ყოფილიყო ასეთი: „ყმა ტკბილი და **ტკბილსიტყვიანი, ენატკბილი**“.

საპროექტო ტექსტი ასეთი სახით წარმოადგინეს:

**თვალთათ ვითა მარგალიტი გარდმოყარა ცრემლი
ხშირი,
ადგა ასრე გულუშიშრად, ვეფხი იყო ანუ გმირი...**

კომენტარი შეეხო სარიტმო სიტყვას **გმირი**. ივ. გიგინეიშვილის აზრით, საყურადღებია D¹ ხელნაწერის ნაკითხვა შირი (ლომი). „მისი აზრით, ვეფ-

ხთან ლომის ხსენება უფრო გამართლებულია (ვეფხი იყო ანუ შირი)“ (II, 16).

მ. თავდიშვილი: „პროფესორი, ეტყობა, ქვეშეცნეულად იმასაც ფიქრობდა, რომ სარიტმო ნყვილში (**ხშირი – შირი**) შირი უკეთ აჟღერდებოდა და ეგ მართლაც ასეა. სად რითმა **ხშირი – გმირი** და სად – **ხშირი – შირი**, ოღონდ მისი ეგ ვარაუდი არ მიიღეს და სამართლიანადაც. ს. ცაიშვილის აზრით, პოემაში სხვაგანაც მსგავს კონტექსტში არაერთგზის არის მოხმობილი გმირი: **ლომო და გმირო ტარიელ; ვითა ვეფხი და გმირია...**

ეგ აგრეა და ნყალი არ გაუვა, ოღონდ მთავარი სათქმელი არვის გახსენებია. მე კიდევ ველარ მოვასწარი, ჩემი ძვირფასი მასწავლებლისათვის მესწავლებინა ის, რასაც დღეს ვუწინგნავ აბიტურიენტებსა და სტუდენტებს: საშუალო საუკუნეების სპარსულ და ქართულ ლიტერატურაში **ვერსად შეხვდებით ქალის შედარებას ლომთან**. მდედრი შეიძლება შეუდარონ ვეფხს, არწივს, ვარდს, ავაზას, ჯიქს, ყაყაჩოს, ქათამსაც კი, ოღონდ **ლომი გამორიცხულია**. და ეს იცით, რატომ? იმიტომ, რომ **ლომი მიიჩნეოდა ბერწოვნების, უშვილობის სიმბოლოდ**. ამის გამო წარმოუდგენელია ნესტანი შედარებული ყოფილიყო **შირთან, ანუ ლომთან**”.

სამსჯელოდ წარმოადგინეს ცნობილი სტროფი:

დულარდუხტი არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდია, ვისცა არ დაჰკოდს, ყმა მისი ვერავის დაუკოდია.

ტაეპთა აზრი რედაქციამ ასე გადმოიღო: „თვითონ დულარდუხტი თუ არ დაჭრის, მისი ყმა ვერავის დაუჭრია“ (II, 34).

მკვლევრებს შორის გაიმართა მსჯელობა.

აღ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური: „თვითონ დულარდუხტი თუ დაჭრის თავის ყმას, თორემ სხვას ვერავის დაუჭრია მისი ყმა“ (იქვე).

გ. კარტოზია, ც. კიკვიძე: „თვითონ დულარდუხტი თუ დაჭრის სხვას, თორემ სხვას ვერავის დაუჭრია მისი ყმა“.

ი. გიგინეიშვილი: „თვითონ დულარდუხტის ყმა თუ დაჭრის სხვას, თორემ სხვას ვერავის დაუჭრია დულარდუხტის ყმა“.

სიტყვას იღებს გაბაასების უფალი: „პირდაპირ სასაცილოზე სასაცილოა პროფესორთა ორი მკაფიო ნაკლი: **გულუბრყვილობა და პომის ტექსტის უცოდინარობა.** გულუბრყვილობა გამოიხატება შემდეგით: სწავლულებს ნაიფურად ჰგონიათ, რომ, რაკი ქაჯებზეა საუბარი, აქ ქალ ქაჯს, რაკილა ხელმწიფეა, მეტი ძალა აქვს და ხმალდახმალ შეტაკებაში ქაჯ რაინდს, თვით მთავარსარდალსაც კი, მოერევა. მათ არ ესმით, რომ ეს ქაჯური ლოგიკითაც კი გაუგებარია! როგორ შეიძლება ქაჯმა ქალმა

დულარდუხტმა აჯობოს ქაჯთა მთავარსარდალს, რაინდსა და შეტაკებებში გამონრთობილ ყმა რომაქს?! ეგ იგივეა, რომ ვთქვათ: თამარ მეფე ხმლით შერკინებაში დაძლევსო ზაქარია მხარგრძელს.

ეს ერთი.

მეორეც, პროფესორები არ იცნობენ პოემის სრულ ტექსტს. მათ არ ახსოვთ უფრო უკან, რამდენიმე სტროფის შემდეგ, რა უნერია ავტორს. ავთანდილი რომ დაავალებს ფატმანს, უფრო კონკრეტულად და გამონვლილვით მიაბზე ქაჯთა შესახებო, მდედრი უხსნის, თუ რას წარმოადგენენ ისინი. კერძოდ, ისინი არიანო

ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი.

აქ უკვე მკაფიოდ გაცხადდა ყველაფერი: ქაჯები ძალიან ძლიერნი არიან. ისინი თუ ავნებენ სხვებს, თორემ სხვანი მათ ვერას დაუშავებენო.

საგულისხმოა, რომ ივანე გიგინეიშვილი მართებულად „თარგმნიდა“ ამ არცთუ ისე რთულ ადგილს, ოღონდ არ დაუჯერეს და სულელური კომენტარი ჩამოაყალიბეს. ამ კომენტარმა თავისი შავი საქმე ხუთიანზე შეასრულა – ათობით მკვლევარი დააბნია და მცდარ გზაზე დააყენა. მე კი, მე როგორ მოვექცეულვარ?

პირველად რომ წამიკითხავს ეგ კომენტარი, იქვე მიმიწერია: ვაი ჩვენს თავს! მეორედ კი – ვაი და ვუი თქვენს თავს!”

აქ კი, ზალიკო მხატვარო, სულაკაურთა მოდემისა, უნდა დახატო სურათი პროფესორების მოთქმისა!



სამსჯელოდ წარმოადგინეს პროექტი:

გვესმა ამბავი – ზღვათ იქით სიკვდილი დისა მათისა, შეიჭირვებდეს ვაზირნი, დაშალეს ქმნა ხალვათისა, ვითა ვჰკადროთო დავსება პირისა, ხმელთა მნათისა?! როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრათასისა.

ი. გიგინეიშვილის აზრით, „რითმა უნდა გასწორდეს: თავადი მონისა **ბევრის ათისა**“. ასეაო რამდენიმე ხელნაწერში (II, 34).

„გ. კარტოზიას და ც. კიკვიძეს შესაძლებლად მიაჩნიათ არაიდენტური რითმის დატოვება. ხელნა-

ნერთა ჩვენება ამას უჭერს მხარს. გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ **ბევრათასი** ჩვეულებრივი გამოთქმაა „ვეფხისტყაოსანში“.

ბოლოს დაადგინეს და მიიღეს **ბევრის ათისა** (იქვე).

ბაასში ერთვება მ. თავდიშვილი: „პროექტის ავთენტური **ბევრათასისა** კომისიამ უსამართლოდ შეცვალა სინტაგმით **ბევრის ათისა**.

ჩემი არგუმენტები ბევრის არცოდნას გამოაშკარავებს, ოღონდ რა ჩარაა – ისარი გასროლილია და მას უკან ველარ დააბრუნებ.

ჩემი არგუმენტები ესეგვარია:

საბუთი პირველი: ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობა დაჟინებით უჭერს მხარს ფორმას **ბევრათასისა**, ოღონდ უმრავლესობასაც ვერ დავეყრდნობოდით, რომ არა ერთი გარემოება, რაც მკვლევრებს მხედველობიდან გამოეპარათ: არა მარტო პოემა, ძველი ტექსტები გატენილია ფორმით **ბევრათასი** და არ არის **არც ერთი** შემთხვევა, სადმე ჭაჭანებდეს **ბევრის ათისა**;

საბუთი მეორე და უმთავრესი: კომისიას ეს საშინელი შეცდომა იმად მოუვიდა, რომ, როგორც მუდამ მითქვამს, საერთოდ არ ითვალისწინებს პოეტიკას, ამ შემთხვევაში – ჩემ მიერ აღმოჩენილ **რითმისწინა გახმოვანების რუსთველურ კანონ-**

ზომიერებას; ოღონდ, ვიდრე ამაზე გადავიდოდე, მანამ ყურადღება მივაქციოთ მკვლევართა ზოგ გამოთქმას. ივ. გიგინეიშვილსა ჰგონია, რომ აქ გვაქვს უსწორო რითმა და აცხადებს: „**რიტმა უნდა გასწორდეს!**“ (II, 34); გ. კარტოზიასა და ც. კიკვიძეს შესაძლებლად მიაჩნიათ **არაიდენტური რითმის დატოვება**”.

ამ მეცნიერებს **ბევრათასისა** უსწორო, მცდარი, არაიდენტური რითმა ჰგონიათ და არც კი იციან, რომ ეს არის ილუზორული მოჩვენება, **თვალით და არა პოეტიკური გონიერებით დანახული საკითხი**. მათ პოეტიკური თვალთახედვით არ შეუხსნავლიათ რუსთველის რითმა. ამიტომაც იმას ამჩნევენ, რასაც ზედაპირულად ხედავს თვალი. სინამდვილეში, თუ **გონების თვალით** შევაფასებთ, აქ არც **არაიდენტური რითმაა** და არც **არაფერია გასასწორებელი** – ყველაფერი რიგზეა!

საქმე ისაა, რომ რუსთველისთვის სარიტმე ჰარმონიას ქმნის არა თანხმოვნები, არამედ – ხმოვნები, მისთვის (და საერთოდაც ასეა) მთავარია ხმოვანთა შეხმატკობილება, მათი სარიტმო ჰარმონია. თუ ამ მხრივ შევხედავთ საქმეს, დავინახავთ: სტროფში იდეალური სარიტმო ერთეულები იდეალურად ეხამებიან ერთურთს, მაშასადამე, **საკითხის სიღრმეში იდეალური წესრიგია**. ვნახოთ რით-

მისწინა და სარიტმე ხმოვანთა განლაგების ის პრინციპი, რომელიც რუსთველისთვის ჩვეულებრივია და ამ სტროფში ზედმინევნით გახლავთ რეალიზებული. სარიტმო კლაუზულის საერთო ხმოვნები ასეა წარმოდგენილი: **მათისა = აია; ხალვათისა = აია; მნათისა = აია; ბევრათასისა = აია.**

ვხედავთ: სრული ჰარმონიაა, ოღონდ რუსთველი ამაზე არ ჩერდება და რითმას ამდიდრებს კიდევ ერთი შიდა ხმოვნით. ეს გახლავთ ხმოვანი **ა**. დააკვირდით: **დისა მათისა = ა – აია; ხალვათისა = ა – აია; ხმელთა მნათისა = ა – აია; ბევრათასისა = ა – აია.**

ახლა ჩავსვათ სიტყვის **ბევრათასისა** ალაგას **ბევრის ათისა** და ვნახავთ: კლასიკური ჰარმონია დაირღვევა, ოთხმარცვლიანი რითმა გატყდება, დაკოჭლდება, რაკილა მივიღებთ დისჰარმონიას: **ბევრის ათისა = ი – აია.**

ამრიგად, სამჯრად მეორდება ხმოვანთა იდეალური თანაწყობა: **ა – აია, ა – აია, ა – აია** და მეოთხედ **ი – აია.**

აი, თურმე რა ყოფილა! თვალისათვის ზუსტი ჩანს **ბევრის ათისა**, ოღონდ ყურისათვის ზუსტი და ჰარმონიულია **ბევრათასისა**. ანუ ის, რისი დამტკიცებაც მენადა და ძალმედვა.

ყოველივე ამის თაობაზე ზემორელე უკვე ვისაუბრე, ოღონდ აქ იმად გავიმეორე, რომ გამეორება

ცოდნის დედაა და ამგვარი ლექციები კომისიის
წევრებს არ აწყენთ”.

მხატვარო, ყური დაიტკბე – ვითომც აჟღერდა არია;
სიმართლე რომ დავამტკიცე, მოგება ჩემდა აია!



სამსჯელოდ აქციეს სტროფი, რომელშიც
ჟღერს სტრიქონი:

უმისოდ ნახვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად.

ქვემოთ იხილვის კომენტარი: „ც. კიკვიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, **ნეხვი** ჩვეულებრივი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. „ვეფხისტყაოსანში“ მას ყვავილის, მცენარის მნიშვნელობა არა აქვს. ი. გიგინეიშვილის, შ. ძიძიგურის, გ. კარტოზიას აზრით, არ არის გამორიცხული, ნეხვი „ვეფხისტყაოსანში“ ყვავილის მნიშვნელობით იხმარებოდეს“ (II, 47).

ბაასში ებმება მ. თავდიშვილი: „პოემაში ნეხვი, შეუძლებელია, ჩვეულებრივ დღევანდელ გაგებას შეიცავდეს. შევიხსენოთ ქმნილების სხვა ადგილი, სადაც ნათქვამია: „**ვარდთა** და **ნეხვთა** ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა ნუმცა შენ მოგენყინების!“ აქ დაპირისპირებულია **ვარდი** და **ნეხვი**, რაც იმას მოასწავებს, რომ ორივე მცენარეა!

მთავარი სხვა რამაა: თუ ქართველ გლეხკაცს ფუნას ადარებს რუსთველი, მაშინ რაღა კაცია?! ნუთუ მაღალი სულიერებისა და მამულიშვილური პათოსის მქონე ავტორი ამგვარ მკრეხელობას ჩაიდენდა? მეორეც, განა გონიერებით, მაღალი პასუხისმგებლობით აღვსილი მეფე-მამა როსტევეანი ასეთ რასმე ასწავლის და ჩააგონებს ქალიშვილს, რომ თავადი ვარდია, გლეხკაცი – ფუნა?!

ნუ იყოფინ!

ესეც ერთი ჩემი არგუმენტი.

უფრო მაგარია მეორე.

რუსთველი პარალელიზმის დიდოსტატია. ავი-
ლოთ ცნობილი მონაკვეთი:

ვარდთა და **ნეხვთა** ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და **წვრილთა** წყალობა შენცა ნუ მოგენწყინების!

ვხედავთ, ერთი მხრივ, ერთურთს დაუპირის-
პირდა **ვარდი** და **ნეხვი**, ხოლო ამის შესაბამისად,
პარალელიზმის კანონიდან გამომდინარე, მეორე
მხრივ, ერთმანეთს დაუპირისპირდა **დიდთა** და
წვრილთა.

ვინაა დიდი და ვინაა წვრილი?

ექვი არაა, **დიდნი** გახლავან ბობოლა არაბები,
ნარჩინებულნი, დიდებულ-თავადნი, ხოლო **წვრილ-
ნი** არიან ხელოსნები, გლეხები, მუშები, ანუ წვრი-
ლი ხალხი, დაბალი ფენა, წვრილი ერი.

ამისდა კვალობაზე უნდა განვიხილოთ პარა-
ლელიზმის პირველი წყვილიც. ექვი არაა, **დიდთას**
შეესატყვისება **ვარდთა**. მაშ, დიდია ვარდი, ხოლო,
თუ **წვრილთას** პარალელს მოვძებნით, შეუძლებე-
ლია ის იყოს ფუნა, რადგან **ფუნა ვარდზე დიდია!**

მარტო ამ ლოგიკითაც კი შეუძლებელია, **წვრი-
ლი** ნიშნავდეს ნეხვს (ფუნას).

მაშასადამე, რაკილა დიდი ვარდია, ნეხვის ყოი-
ლი უნდა იყოს რაღაც მცენარე, რომელსაც წვრილი

ყვავილი აქვს, ყოველ შემთხვევაში, **დიდ ვარდზე** პატარა მაინც.

ირკვევა, ეს მართლაც ასეა და ისიც ირკვევა, რომ **ნეხვს** ჰქონია მეორე სახელიც, ისევე, როგორცა გვაქვს **ბია** და **კომში**. ნეხვის მეორე სახელი ყოფილა **წალიკა**.

„ვისრამიანში“ აღმოვაჩინე იგივე პარალელიზმი, როგორიც „ვეფხისტყაოსანშია“. იქაც **ვარდს** უპირისპირდება მასზე მდაბალი საგანი და ეგ საგანი არის ასევე მცენარე, ოღონდ ხარისხით დიდად დაბალი. აი, ეს მნიშვნელოვანი პასაჟი. ვისი აცხადებს: „**მე ვარდი** დავთესე და მისგან ნაყოფი მომივიდა, ან **ბედითსა მყრალსა წალიკასა** აღარ ვეძებო“ (3, 200).

ამრიგად, გაირკვა, რომ **სურნელოვან ვარდს** (მცენარეს) უპირისპირდება **მყრალი ნეხვიყოილი**, რომელსაც მეორე სახელად ერქვა **წალიკა**.

ახლა კი ვნახოთ, რას წარმოადგენს **წალიკა**. ეს გახლავთ ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა; აქვს მოგრძო ფოთლები და **მტევნებად ან თავთავისებურად შეკრული წვრილ-წვრილი წითელი ყვავილები**. ეგ წვრილი ყვავილები ჩარიგებულია ერთმანეთის მიყოლებით, მწკრივად; ლათინურად ეწოდება ასე – *Polygonum hydropiper* (ქეგლ-ი, ერთტომეული, 1986, 551).

აქედან არის შექმნილი სამეტყველო ერთეული **წალიკ-წალიკად**, რაიც გულისხმობს ერთიმეორის მიყოლებით, მწკრივად რაიმეს დაჯრას ან სვლას; აქედანვე მომდინარეობს სოფლის სახელი **წალიკარი** და ქალაქის სახელწოდება **წალკა** (წალიკა → წალკა).

ამრიგად, ნათელი გახდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ერთურთს უპირისპირდება **სურნელოვანი მსხვილი ყვავილი ვარდი და მდარე ხარისხის წვრილი ნეხვიყოილი, იგივე წალიკა**; პარალელისაზმის არსიც გამოიკვეთა: მსხვილ ვარდსაც და წვრილ წალიკაყვავილსაც თანაბრად ეფინება მზე და შენც, მზეო თინათინ, თანაბარი პატივი მიაგე დიდგვაროვნებსაც და წვრილ ერსაც!

როგორცა ვხედავთ, ცამდე მართალი გამოდგა ვუკოლ ბერიძე, როცა აცხადებდა: „ვეფხისტყაოსანის“ ზოგიერთი სიტყვის განმარტება მთელი გამოკვლევის დაწერას უტოლდებაო!

ასეთია ჩემი მოსაზრება აღძრულ საკითხთან დაკავშირებით”.

პროექტად წარმოდგენილია ტექსტი:

ან საყვარელსა მიუწერს გულამოსკვნილი, მტირალი, მისმანვე ცრემლმან დაუვსის, ვის ედებოდა ვის ალი!

კამათი გამოიწვია სარიტმო სიტყვებმა **ვის ალი**. პროფ. ალ. ბარამიძის აზრით, გაუმართლებელია კონიექტურები **კირ-ალი** და **ვირ ალი**, არაზუსტი რითმები პოემაში სხვაგანაც იხილვის. იგივეა აქაცო (II, 67).

რაკილა უმრავლეს ხელნაწერშია **ვის ალი**, პროექტშიც ის დატოვეს, ოღონდ **ვის** გაიაზრეს კითხვითი ნაცვალსახელის **ვის** განმეორებად: **ვის ედებოდა ვის (ვისაც) ალი**.

პასუხი მ. თავდიშვილისა: „სწორი გახლდათ ჩემი ლექტორი ალ. ბარამიძე – კონიექტურა მიუღებელია და არც საჭიროა. ისიც მართალია, რომ პოემაში საკმაოდაა ოდნავ არაზუსტი (ოღონდ მხოლოდ თანხმობის მიხედვით არაზუსტი) რითმა და, აქაც რომ იყოს, რა გასაკვირია? ოღონდ ჩემი მასწავლებელი ვერ ხსნის მეორე **ვის** ბგერათკომპლექსის საიდუმლოს, მის შინაარსს. ის დასთანხმდა იდეას, თითქოსდა მეორე **ვის** არის მიმართებითი ნაცვალსახელი **ვისაც**, მაშ, დაუშვა ტავტოლოგია (ვის (ვისაც) ედებოდა ვის (ვისაც) ალი).

ახლა ვნახოთ, რას იტყვის მისი მოსწავლე.

„**ვისაც** სიტყვის შინაარსს გულისხმობს პირველი ვის: **ვის ედებოდა ვის ალი** ნიშნავს მხოლოდ ამას: **ვისაც ედებოდა ვის ალი**. მეორე **ვის (ვისაც)** აშკარად უხეში ტავტოლოგიაა და რუსთველი შე-

ეცდებოდა, ეს არ დაემვა. მაშინ რაღას ნიშნავს მეორე ვის?

ეს საკითხი ბრწყინვალედ გადაჭრა როლანდ ბერიძემ. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ პოემაში **ვაი** შორისდებული ჩაყენებულია თითქმის ყველა ბრუნვაში. არის **ვად** იქცაო; არის **ვება**, ანუ იგივე ვაება; არის **ვა**; არის **ვაი**; არის **ვა თუ**; არის **ვამე**. პოემაშია ასეთი წინადადება: „მით იძახიან მუნ **ვა-სა**“. ამ შემთხვევაში **ვაი** დგას მიცემითში; არის ასეთი ფრაზაც: „შემესმა ხმა ტირილისა და **ვისა**“. აი, სწორედ ეს ბოლო მაგალითია საინტერესო. აქ **ვა** ანთუ **ვაი** დგას ნათესაობით ბრუნვაში. სწორედ ამ ბრუნვაშია იგი ზემორელე წარმოდგენილ საკვლევ ვითარებაში. მაშ, ასე: **ვის ედებოდა ვის ალი** ასე იშიფრება: **ვისაც** ედებოდა **ვის** (ანუ ვაის, ვაების) ალი.

ამრიგად, I ვის არის მიმართებითი ნაცვალსახელი **ვისაც**, მეორე კი – **ვაება**. ასე რომ, გვაქვს დიდებული ალიტერაცია **ვის-ვის**, ოღონდ არა ტავტოლოგია, რადგან I სულ სხვას რასმე ნიშნავს, II – სულ სხვას.

აი, ასე ხელმსუბუქად შეიძლება გაირკვეს ის, რაც თავდაპირველად ძნელი ასახსნელი ჩანდა.

აქ უნდა დამესვა წერტილი, ოღონდ ვერა ვსვამ, ისე ვარ გაოგნებული კომისიის წევრთა უნიჭობითა

და უგერგილობით. ოქმების II ტომში 2006 წ. სხდო-
მაზე კვლავ დაუბრუნდნენ ამ საკითხს. ანგარიშში
წერია: „გ. არაბული: ანგარიშგასაწევად მიმართა რ.
ბერიძის მსჯელობა და დასკვნა, რომ აქ მეორე ვის
ნიშნავს „ვაების“: ვის ალი = ვაების, მწუხარების,
ტანჯვის ალი... კონიექტურების ძებნა საჭირო არაა.

დაადგინეს: ზუსტი რითმის აღდგენის მიზნით
მიღებულ იქნას მიხ. წერეთლის კონიექტურა: ვის
ედებოდის ვირ ალი...“ (II, 368).

მეცნიერთა დაბდურობა ამაზე შორს ველარ წა-
ვა: ხელთ ოქროს უხდური უკავიათ და მაინც სანაგ-
ვე ყუთსა დაეძებენ!

რ. ბერიძემ ბრწყინვალედ გადანყვიტა პრობ-
ლემა და ესენი ისევ გადანყვეტილ პრობლემას მის-
ტირიან! მეორეც, კიდევ ერთხელ დადასტურდა: არ
ესმით რითმის ქეშმარიტი არსი, რადგან ისევ ძვე-
ლებურად ჰგონიათ, რომ რითმაში მთავარია თან-
ხმოვანთა ერთობა; მესამეც, უნიჭო გ. არაბული ამ-
ბობს, ანგარიშგასაწევია რ.ბერიძის აზრიო. ბნელო
მეგობარო: ანგარიშგასაწევი კი არაა, აუცილებ-
ლად გასათვალისწინებელია და სასწრაფოდ მისა-
ღები!”

განსასჯელად გამოიტანეს სტროფი:

ესე წიგნი, საყვარელსა მისსა თანა მინაწერი,
რა დაწერა, გარდაჰკვეთა მათ რიდეთა ერთი წვერი.

თავმოხდელსა დაუშვენდა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი, ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათათ მონაბერი.

აკად. აღ. ბარამიძემ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, **ყორნის ფრთათათ** აქ ნიშნავს იმას, რასაც **წამწამთაგან** (II, 75).

მ. თავდიშვილი: „ჩემს ლექტორს უნდა შევახსენო, რომ ბოლო ტაეპის ამხსნელ-გამხსნელი ფრაზებით გატენილია „ვისრამიანი“. მოვიყვან რამდენიმე ადგილს: ვისის „**თმათაგან** სახლი სურნელებითა სავსე იყო“ (3, 290); „ვერ გავსძლებ სურნელთა **თმათა** შენთაგან“ (3, 250); „ჩემისა საყვარელისა **თმისაგან** მუშკისა აკუმი მედგის“ (3, 241); „მერმე ვისმან წიგნი **თმათა** მოისვა და ესრე გაასურნელა, რომელ ნახევარ დღისა სავალსა მუშკისა სული მის წიგნისაგან კაცსა ეცემოდა“ (3, 231).

„ამირანდარეჯანიანსა“ და „ვისრამიანში“ ვერსად ნახავთ, სურნელი ასდიოდეს წამწამებს“.

სამსჯელოდ წარმოდგენილია ტექსტი:

ტარიელ ფრიდონ გაგზავნა მის ყმისა მოსაყვანელად; შესთვალა: „მოდი, გიბრძანებს იგი, შენ ვისად სჩან ელად; ჭირნი გარდახდეს, მოგაკლდა ცრემლი ღანვისა მბანელად, ნულარ ეშიშვი სახმილსა, შენი დამწველია ნელად“.

სტროფი მიჩნეულია ჩანართად. ამიტომაც არ ჩანს არც აკადემიურ, არცა სხვა გამოცემებში.

გაბაასების მტე: „პოემას დ. მენდელეევის პერიოდული სისტემისამებრ ქსელავენ კანონები და კანონზომიერებანი. ერთი ასეთია ე.წ. „ბრძანების კანონი“, არა კანონზომიერება, არამედ – კანონი! ამ წესრიგის მიხედვით, ეგ სტროფი ავთენტურია და პოემის სამსახურში უნდა ჩადგეს. ჩემ მიერ დადგენილი კანონის არსი ასეთია: თუ ერთად არიან პატრონი და ყმა, მაღალი და მდაბალი, არასოდეს მოხდება, უმცროსმა რაიმე იმოქმედოს, გააკეთოს პატრონის თვინიერ, მისგან ბრძანების, მითითების მიუღებლად. პოემაში ამგვარი რამ გამონაკლისის წესითაც კი დაუშვებელია. აქ რა ვითარება შეიქმნა?

ერთმანეთის წინაშე დგანან სუპერსახელმწიფოს ხელმწიფე ტარიელი, იქვეა მეორე მეფეთ მეფე, ანუ კეისარი, როსტევეანი, და იქვეა აჭარისტოლა ქვეყნის მეთაური ფრიდონი. საჭიროა ავთანდილის მოწვევა. უამსტროფოდ კი ისე გამოდის, რომ ფრიდონი თავისი ნებით, უფროსთა უკითხავად მიდის სპასპეტის მოსაყვანად. აი, როგორ იწყება ის პოეტური აბზაცი:

ფრიდონ შეჯდა, ავთანდილის მახარობლად გაექანა...

არავითარ შემთხვევაში! მან ან უნდა ითხოვოს, წავალ, ავთანდილს მოვიყვანო, ანდა რომელიმე ხელმწიფემ უბრძანოს, მოიყვანოს სპასპეტი.

ზუსტად ასე ხდება „ამირანდარეჯანიანში“, სადაც ხშირადაა აღწერილი პატრონისა და მონის (ყმის) ურთიერთობა. მაშ, როგორც ითქვა, არსებობს საკითხის გადაწყვეტის ორი პირობა – ან პატრონის ბრძანება, ანდა ყმის თხოვნა, ამა და ამ საქმეს შევასრულებო.

ვნახოთ სათანადო ნიმუშები:

„მოახსენა ინდო ჭაბუკმან: – ვნახო იგი კარავი ვისი არისო.

უბრძანა: – ნადი, ნახეო!
წავიდა ინდო ჭაბუკი“ (2, 290);

„ეგრე გვარქვა: – ზე უკუდევითო!
უკუდევით ჩვენ და გამოვიდა შეჭურვილი“ (2, 292);

„მო-რასმე-გახსენებ და ნუ გამინყრებიო.
უბრძანა: – თქვიო!“ (2, 293);

„გამოჩნდეს ორნი ლომნი. მოვახსენე: – მე მიბრძანე, დავხოცნე-მეთქი.

მიბრძანა: – მივედო!
მივედ და დავხოცენ“ (2, 295);

„მოახსენა ალი დილამმან: – მე ვნახნე ისი ლაშქარნიო.

უბრძანა: – ნახეო“! (2, 308);

„კვალად მიბრძანა: – აქა მოედ და დაჯედ!
წამოვიდგენ ოქროსა სელნი და დავჯედ“ (2, 370);

**„მე ვგრე მოვახსენე: – თუ რა მოვახსენო,
დაგიმძიმდებისო?
მან ვგრე მრქვა: – თქვი, რაცა გნადიანო!“ (2, 371).**

ახლა დგას საკითხი:

ვინ უნდა უბრძანოს ნურადინს?

საქმე ისაა, რომ ფრიდონი როსტანის სტუმარია, თანაც როსტევანი მას სწორედ ამ საათში გაეცნო. მას ნაკლებად ეკუთვნის ფრიდონის დასაქმება. სამუქფოდ, ფრიდონს კარგად იცნობს ტარიელი; ისინი უკვე დიდი ხანია, ერთურთს იცნობენ, კარგა ხანია, რაც მულლაზანზარის პატრონმა ამირბარს მონობა გამოუცხადა. ეს მაშინ მოხდა, როცა შეიტყო ამირბარის ვინაობა. აი, რა სიტყვები წარმოთქვა მაშინ მულლაზანზარელმა:

**შენ, მაღალი ინდოთ მეფე, ჩემსა რადმე ხარ მოსრული,
სახელმწიფო საჯდომი და ტახტი გმართებს, სრაცა
სრული.**

პოემით, ფრიდონი პირველი პერსონაჟია, რომელიც ტარიელს მეფედ მოიხსენიებს.

ამიტომაც გასაგებია, თუ ვის ხამს ფრიდონის დასაქმება. ესაა ინდოთ მეფე!

ასეც არის და ეგ კიდევაც ჩანს ინტერპოლაციად უსამართლოდ მიჩნეულ სტროფში, რომელიც

ისე იწყება, როგორც „ბრძანების კანონს“ შეეფერება:

ტარიელ ფრიდონ გაგზავნა მის ყმისა მოსაყვანელად.

ამრიგად, სტროფმა უნდა აღიდგინოს თავისი უფლებები!”

საპროექტო განხილვისათვის წარმოდგენილია ტექსტი:

**სამ თვე ვლეს, – ღმერთმან მათებრი სხვა ნურა ნუ
დაბადოსა!**

მოეგებნიან, მტერობა ვერავინ დაიქადოსა!

**მინდორსა შიგან სადილად გარდახდეს უდილადოსა,
ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა.**

სტროფი საექვოთა შორისაა შეტანილი.

მ. თავდიშვილი ბაასში ასე ერთვის: „ამ სტროფის ავანჩავანს ის ვერ გაარკვევს, ვინც „შაჰ-ნამეში“ ღრმად არაა ჩახედული. ღვინოსთან დაკავშირებით საგულისხმოა ქართული პოემის ერთი მომენტი – იგი უკავშირდება „ინდო-ხატაელთა ამბის“ შესამზადებელი შიგნიტექსტის სულ ბოლო ტაეპს. მას მრავალმნიშვნელოვანი ღირებულება აქვს და ერთგვარი სიგნალია, რომელიც გულისხმობს „ამბავს“, განსაკუთრებით კი მოსალოდნელ ომს „სამ-

თა მათ გმირთა მნათობთა“ და რამაზ ხატაელს შორის. აი, ეს ტაეპი:

ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა.

აქ საგულისხმოა შთამბეჭდავი ფორმულა – **ღვინოსა სმიდეს, არ დოსა.**

ზოგმა მკვლევარმა ეს გამოთქმა ვერ მიიჩნია რუსთველისეულად. ის ნაყალბევად ჩათვალა. ამით კი შიგნიტექსტსა და „ამბავს“ შორის გადებული ხიდი ჩაამსხვრია. მათი აზრით, თუ ეს სასიგნალო თქმა არ არის რუსთველისა, მაშინ „ამბავიც“ ნაყალბევია.

მე კი ვიმეორებ: **ღვინოსა სმიდეს, არ დოსა** მინიშნებაა მომავალ ომზე, თანაც იმაზე, რომ ესენი ღვინის კარგი მსმელები არიან და, მაშასადამე, ვაჟკაცები. ასე რომ, მომავალ ომში ამათი გამარჯვების სრული იმედი იქონიეთო. ეს კი თავისთავად, ავტომატურად ნიშნავს „ამბის“ აუცილებლობას.

ახლა კი ისა ვნახოთ, რა ღრმა შინაარსი დევს ამ ფორმულაში და როგორ გვეხმარება ტექსტოლოგიური ამოცანის გადაჭრაში „შაჰ-ნამე“.

საქმე ისაა, რომ ამ ქვეტექსტზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის სპარსული პოემა. იქ არის ერთი ეპიზოდი, რომელიც შედის „შვიდი გოლიათის ბრძოლის ამბავში“. თურქი აფრასიაბის სანახებში უტიფრად ნადირობენ როსტომი და მისი ექვსი ძმა-

კაცი; დაუყენებიათ დარაჯიც – გაბრაზებული აფრასიაბი მოულოდნელად არ დაგვაცხრეს თავზეო. ესენი კი ხეირიანი ნადირობის შემდეგ ქეიფობენ. უცებ მოყურიადე გორაზი მოირბენს, აფრასიაბის ლაშქარი მოდის, მტვერი ცასა უწევსო (I, 14150-60). – ნუ გეშინიათ, იმის ლაშქარს მარტოც ვეყოფი, – განაცხადა როსტომმა, – აქ კი ექვსი გოლიათიც თან მახლავსო, და ჯიქურ დაინყო სადღეგრძელობის თანამიმდევრობით „ღღევა“. ჯერ ქეი-ქაუსის სადღეგრძელო მიირთვა, მერე ღირსებით მეორისა – თუსისა, მერმე – საკუთარი ძმის ზავერისა. აქ ღვინის სმა გატოლებულია ვაჟკაცობასთან. დაცა-ლა რა მისმა ძმამ თასი, მძლეთამძლემ წარმოთქვა: „ძმა საძმო თასს ბოლომდე შესვამს; ლომიც ისაა, ვისი ყველაზე დიდი ნანადირევია ღვინით სავსე აზარფეშაო!“ (I, 14197-8)

ამის მერე როსტომი აფრასიაბის რაზმს ბდღვირს აადენს.

ღვინო ვაჟკაცობის საზომად სხვა ალაგასაც არის წარმოსახული. როსტომისავე აზრით, ვაჟკაცი ღვინოს უნდა სვამდეს; ვინც ღვინოს ვერა სვამს, ძლიერი მეომარი ვერ იქნება. ყველაზე უკეთ ეგ იდგა ჩანს **რძისა** და **ღვინის** შეპირისპირებაში: „ვგონებ, ბაგეზე მას ჯერ რძე არ შეშრობია, ხოლო,

თუ უყვარს ღვინო, დადგება მედგარი მეომარი“ („შაჰ-ნამე“, 2, მოსკოვი, 1960, სტრიქონები 975-6).

აქ საგულისხმიერო ისაა, რომ ერთურთს უპირისპირდება ბავშვის სასმელი რძე და ვაჟკაცის სასმელი – ღვინო. ღვინის დიდი მსმელია სიაუში, სხვა რაინდები (1, 579-624). ღვინო და ვაჟკაცობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული სხვაგანაც: „ომისწინა ღამე ასე გავატაროთ: პირველ ნახევარს ღვინო გავციხალისებ, მეორე ნახევარში კი საომრად მოვემზადოთ“ (3, 871-2); ღვინო ვაჟკაცობასა და გამარჯვებასთანაა წილნაყარი კიდევ ერთ ეპიზოდში (3, 1573-5). ერთი პერსონაჟი აქებს მეორეს და მისი ძლიერების საბუთად ეს მოაქვს: „ნადიმის დროს ღრმა დოსტაქანს თამაშ—თამაშით ცლისო“ (4, 1573-4); როსტომმა ბეხმენს სუფრა გაუშალა. მას-პინძელმა უზარმაზარი დოსტაქანი დაცალა, სტუმარმა მესამედიც ძლივს დალია (4, 7250); ისფენდიარმა ორთაბრძოლაში უნდა გამოიწვიოს როსტომი. ამიტომაც ყურადღებით აკვირდება მძლეთამძლეს. რაინდმა შეჭამა კრავები (4, 8116) და უზარმაზარი დოსტაქნით ღვინო შესვა (4, 8119).

ყოველივე ეს გათვალისწინებული ჰქონდა რუსთველს, როცა რძე (დო) და ღვინო ერთმანეთს შეუპირისპირა – ღვინოსა სმიდეს, არ დოსა. ესე

იგი, დოყლაპიები კი არ იყვნენ, არამედ ვაჟკაცები, ღვინის მსმელი და ხმლის მქნეველი რაინდებიო!

ამრიგად, „ღვინოსა სმიდეს, არ დოსა“ ისე მარტივი გამოთქმა როდია, მავანს რომ შეიძლება მოეჩვენოს. იგი ბრწყინვალე ხიდსა დებს პოემის შიგნიტექსტსა და „ამბავს“ შორის; მიუთითებს იმასაც, რომ მალე ომიც უნდა გაიმართოს (ასეც არის) და ამ შეტაკებაში ღვინის მსმელმა რაინდებმა გაიმარჯვონ (ასეც მოხდა).

მაშასადამე, სტროფი ავთენტურია: იგი ღვინისადმი როსტომ გმირის დამოკიდებულებასაც ითვალისწინებს და, ამდენად, ღრმა შინაარსს ატარებს; **ღვინოსა სმიდეს, არ დოსა**, როგორც სპეციფიკური რუსთველური ხერხი, ე.წ. ჰენდიადისი (ერთიორითი), დასტურია ავტორის ხელრთვისა, სტილისა. ამ ტიპის გამოთქმებით გაჯერებულია პოემა (**დასტურია, არ ნაჭორად; მართლად გითხრობ, არა ჭრელად; მართლად არს, არ კატაბანი; გლოვა გმართებს, არ სიცილი და სხვ.**)”.

საკამათოდ გამოიტანეს სტროფი:

**თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.**

კამათი გაიმართა იმის შესახებ, უნდა ეწეროს **მე
ნა** თუ **მინა**, რადგან ხელნაწერებში დაცულია **მინა**.

აღ. ბარამიძემ ბრძანა: **მინა** დამახინჯების შედეგია. აქ საჭიროა მივმართოთ კონიექტურას. **ნა** ლერწამია და იგი კონტექსტით სავსებით გამართლებულია. იგი ტანის მეტაფორაა. მოყვანილია ნიმუშები: ტანი ლერწამობს რხევითა. მაშ, რხევადია არა მინა, არამედ ნაი (ლერწამი). იქვე ნათქვამია: მიეთითოს, რომ, გ. წერეთლის აზრით, უნდა იყოსო **მინა**, მოვარაყებელი **კალამი** (II, 178).

მ. თავდიშვილი: „პროფესორი სავსებით მართებულად მსჯელობს, ოღონდ გაუგებარია, რად არ მოჰყავს სპარსული ლიტერატურის მაგალითები? ალ. ბარამიძე ხომ სპარსულისა და, საზოგადოდ, აღმოსავლური ლიტერატურის მცოდნეა! ამიტომაც მიკვირს ეს ამბავი. აკადემიკოსი არც კი ახსენებს ფირდოუსის. განა რითი წერენ მისი გმირები? – რა თქმა უნდა, ლერწმის კალიამით; ახლა ნიზამის ნაწერებს ჩავხედოთ .

ფირდოუსის, ნიზამის, რუსთველის დროს საწერ კალმად ჯერ კიდევ არა ხმარობდნენ ბატის ფრთას. იმ ხანებში წვერს წაუმახავდნენ ლერწმის ღეროს და იმას ჩაანებდნენ მჭვარტლის ნაყენში. ნიზამი პირდაპირ მიუთითებს: ჩემი კალიამი იყო შაქრის ლერწამიო. კალამი რომ ლერწმისაა, ამის დასტურმყო-

ფელია „ისქანდერ-ნამე“ (583). განჯევის ამ ბოლო პოემაში „შავი მჭვარტლიც“ არის ნახსენები: ჩაანოს თავისი კალიამი შავ მჭვარტლიო (684).

უაღრესად საინტერესოა ის, რაც „ვეფხისტყაოსანში“ არა ჩანს, ხოლო ნიზამი, რომელიც უფრო ვრცლად ლაპარაკობს, ვიდრე რუსთველი, გვიხსნის და გვინიგნავს – ხარისხიანი ლელნამი **გახლიჩა** მან გერგილიანადო („ისქანდერ-ნამე“, 684).

აქედან ირკვევა: ლერნმის კალმის წვერი, სანერი ნანილი, ყოფილა **ორად გახლეჩილი**, როგორც ეს იყო ამ ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ, **კალმოსნობის ეპოქაში**: ფოლადის კალმები გაპობილი იყო ორად, რათა გადახრა-გადმოხრისას იოლად დამორჩილებოდა ხელს და ნანერიც უფრო კობტა გამოსულიყო.

აი, რამდენ რამეს გვიხსნის და განმარტავს აზერბაიჯანელი ბრძენკაცი!

აქვე საგანგებოდ აღსანიშნავია: ფირდოუსისა და ნიზამის ნაწერებში კალმად არსად ფიქსირდება მინა – არც მოვარაყებულის, არც მოუვარაყებელის და სადა. ფირდოუსი მიუთითებს: „რაც შაჰინშაჰმა ბრძანა, დაწერილი იყო ყალიამით“ (6, 5595). ეს „ყალიამი“ რომ ლერნმის დეროა, ჩანს სხვა ადგილიდან: „ლერნამი, წვერ-ნამახული, მან მოიმარჯვა“ და წერას შეუდგაო (6, 8547)“.

მოყვანილია სტროფი:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ლაღმან და
ლაღმაზმა ნები.

საყურადღებოა ბოლო სტრიქონის „თარგმანი“:
„ჩემმა გამშმაგებელმა, ლაღმა (=ამაყმა) და **ნაზმა**,
თავისი ნებისა დამმართოს (= რაც უნდა, ის მიყოს)“
(II, 179).

მ. თავდიშვილი ასე გაეკამათა კომენტატორებს: „აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული და ვიცი, ეს „ფიასკო“ რამაც გამოიწვია. ეს გამოიწვია მთელი სტროფის შინაარსის უკუღმართულმა გაგებად. მკვლევრებს ჰგონიათ, რომ ამ პოეტურ მონაკვეთში შექებულია ნაზი ლაღმაზმანი ქალი მეფე თამარი. ამიტომაც „ნაეხმარნენ“ ავტორს და შემოიტანეს ახალი სიტყვა **ნაზი**: „ლაღმა... და **ნაზმა**“; რაკი სტროფში ხელმწიფე ქალი გააჩინეს, ტაეპის **დამმართოს** ასევე უკუღმართულად გაიგეს – „რაც უნდა, ის მიყოს“.

სინამდვილეში ფრაზა ძალიან მარტივად „იშიფრება“, თუ ვიცით, რომ იგი გულისხმობს არა ქალ ხელმწიფეს, არამედ პოემის ცენტრალურ

გმირს, ვისთვისაც ხელობს და გიჟდება ავტორი, – ტარიელს, ინდოეთის სპა ჯარის უფროსსა და მბრძანებელს. მაშ, რა უნდა ამოკითხულიყო ამ ტა-ეპში? აი, თუ რა: **ჩემმა ხელმძღვანელმა და გამაგი-ჟებელმა, ლალი და ლამაზმა ტარიელმა, ნება დამართოს** (დამმართოს ნები = წინათ ნიშნავდა ხე-ლისგულის, ანუ ნების, ქვევით დამართვას, დანე-ვას, თანხმობის ნიშანს) **მისი ამბის გალექსვისა და გამოქვეყნებისა.**

შევნიშნავ: **ლალი** და **ლამაზი** დიახაც ითქმის რუსთველის მამაკაც გმირებზე, ოღონდ **ნაზი** – არამც და არამც! **ნაზი** მხოლოდ სადიაცო ეპითე-ტია, ხოლო **ლალი** და **ლამაზი** – ორივე სქესისა!

ამრიგად, რუსთველის რთული ინტელექტუა-ლური რომანის ტექსტის დასადგენად არ კმარა არც ოდენ გრამატიკული ცოდნა, არცა ოდენ ლი-ტერატურული ნაკითხობა. კიდევ რაღაცაა საჭირო და ის „რაღაც“ ჩვენს ტექსტოლოგიურ ძმობას ფრიად და ფრიად აკლია”.

სამსჯელოდ გამოტანილია სტრიქონები:

**მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა
მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.**

კომენტარში სიტყვა **მოცალებობა** განმარტებულია, როგორც **მოცლილობა** (II, 183).

სიტყვას ითხოვს გაბაასების თამადა: „რუს-თველოლოგებს მე მუდამ ვუკიჟინებდი პოემის ტექსტის უცოდინარობას. ჩემი მოთხოვნა ყოველთვის იყო ქმნილების ზედმინევენით ცოდნა და ეგ არჯლურ მოთხოვნად არვინ მიიღოს! ტექსტი რომ დაადგინო, აუცილებელია იცოდე მხატვრული სამშენებლო მასალის ის საწყობი, საიდანაც ესოდენ უხვად იმარაგებს თავს ჩვენი ავტორი. ეს **საწყობია:** ფირდოუსის, ნიზამის ტექსტები; „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“ და, უნინარეს ყოვლისა, თავად „ვეფხისტყაოსანი“. ჩვენი ტექსტოლოგიენათმეცნიერები კი ჯეროვნად თვით ამ ახლომდებარე მასალასაც არ იცნობენ. პროლოგში ნახმარ ტერმინ **მოცალებ** ეგების პოემის სხვა ნაწილში მომარჯვებული პარალელური ფორმა (ან ფორმები) ცვლიდეს და ენაცვლებოდეს? აი, ამგვარად ჩვენი მკვლევრები საკითხს არც აყენებენ! რომ აყენებდნენ, მაშინ ხომ ჩემსავით **მარტივად** გადაწყვეტდნენ მათთვის ესოდენ **რთულ** პრობლემას!

ახლა კი ვნახოთ, როგორ გადაგვანწყვეტინებს **მოცალებობის** რთულ განტოლებას თვით პოემის ტექსტი.

ქმნილების დასაწყისში (პროლოგში) დაყენებულია მიჯნურთა მოცალეობის, ანუ **შესაფერისობის, ჯუფთობის, შესატყვისობის** საკითხი. პოემის შუაგულში ნათქვამია, რომ **ფატმანი და ავთანდილი** არ არიან ერთმანეთის შესატყვისნი, რომ დიდვაჭრის ცოლი ყვავია, სპასპეტი – ვარდი; ვარდის შესატყვისი კი არის ბულბული; და, აი, მივადექით ნაწარმოების ბოლო ადგილებს, სადაც უნდა გაირკვეს, ბოლოს და ბოლოს, შეუერთდნენ შესატყვისები შესატყვისებს თუ არა? და სწორედ რომ ბოლო ნაწილში მოცემულია პროლოგის იდუმალი სიტყვის შიფრი. აქ ნათქვამია და არაერთხელაა გამეორებული, რომ **შესატყვისი ქალი შესატყვის მამრს შეუერთდა, ხვდა წილადო**. მომყავს ჩვენთვის საინტერესო ტაეპები:

ტახტა ზედა ერთგან მსხდომნი ტარიელ და ცოლი მისი ერთმანერთსა შეჰფერობდეს, ქალი ყმისა შესატყვისი.

როგორცა ვხედავთ, ერთ ტაეპში ჩვენთვის საინტერესო ორი სიტყვაა: **შეჰფერობდეს** და **შესატყვისი**. აქ ჩვენი ამოცანა მკაფიოდ არის ამოხსნილი: ერთმანეთის მოცალეა, ერთმანეთს შეეფერება ნესტანი და ტარიელი, რომ **ქალი არის ყმისა შესატყვისი**.

ყველაფერი ეს კი ნათქვამია 1682-ე სტროფში (იხ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, მ. თავდიშვილის რედაქცია, 2016).

არის სხვა მაგალითიც.

ფატმანი ნესტანსა სწერს:

ღმერთსა უნდეს, მოყვარენი **შესაფერნი** შეგაზავნე!

აქ ხაზგასმულია, რომ ტარიელი და ნესტანი **შესაფერნი** არიან, სხვაგვარად – ერთურთის **მოცალენი** არიან.

ფრიდონმა რვადლიანი ქორწილი გადაუხადა ტარიელსა და ნესტანს. ამ ქორწილის აღწერისას ნათქვამია:

აჰა, **მიხვდეს შესაფერნი** ყმა ქალსა და ქალი ყმასა.

აქ მომარჯვებულია ტერმინი **შესაფერნი** (იხ. ვეფხისტყაოსანი, მ.თავდიშვილის რედაქცია, 2016, სტროფი 1507).

უნდა მივუთითო კომისიის დაბნეულ წევრებს: საზოგადოდ პოემაში ხშირადაა ნახმარი გამოთქმები: საქმისაცა **შესაფერი**; მოყვარენი **შესაფერნი**; მიჰხვდეს **შესაფერნი**; მათ კბილთა **შესატყვისონი**; ორთავე **შესატყვისითა**; საქმისაცა **შესატყვისი**; მათისა **შესამსგავსისა**; მათი **შესადარები**; მათისა

შესაგვანისა; მამისა შესაგვანსა; არს თქვენი შესაგვანია; არ ჩემი შესაგვანია...

აქვე უნდა გავითვალისწინოთ სპარსელი ონსორის იდეა: ბედნიერებაა, როცა მოცალე მოცალესა ხვდებაო, მაგრამ რალა შორს გავიჭრეთ: რა წერია იმ პოემაში, რომელსაც რუსთველი ძალიან კარგად იცნობს? – ეს არის ჩახრუხადის „თამარიანი“. აქ პირდაპირ ასე წერია: ჩემი გმირი არისო „ჯავარ მოცალე“, ანუ მარგალიტის ტოლი და ჯუფთი, მენყვილეო (97, 1).

ღირიკულ გადახვევასავით:

რუსთველი გაზრდილია „ვისრამიანზე“. მას ყური გამოჭედილი ჰქონდა ასეთი გამოთქმებით: „ყრმისათვის ყრმა თქმულა და ბერისათვის ბერი“ (3, 33); „რამინ შენი შესაფერია და შენ - მისი“ (3, 73); „იგი შენი შესაფერი და უებროა“ (3, 77); „ესეთი ცოლი შეირთე, რომელ თქვენი შესაფერი იყოს“ (3, 96); „რად დამაგდე უჯუფთო?..“ (3, 98); „მით მოგენყინა უჯუფთობა“ (3, 158).

მაშასადამე, რუსთველი იზიარებს „ვისრამიანის“ იდეასაც, რომ **ჯუფთი ჯუფთს უნდა შეურთდეს, მოცალემ ცალი, ტოლმა ტოლი უნდა იპოვოს.**

საგულისხმოა, რომ ჩვენს პროფესორებს „ვისრამიანის“ მონაცემები არც კი გახსენებიათ.

ამრიგად, შევაჯამოთ: მიჯნურს უნდა ახასიათებდეს **მოცალეობა** ნიშნავს: მიჯნური უნდა იყოს სამიჯნუროს შესატყვისი, ჯუფთი, მენყვილე, შესაფერისი; ქალი ყმას უნდა შეეფერებოდეს”.

სამსჯელოდ გამოიტანეს პოეტური აბზაცი:

**მეფე ლალი და წყლიანი გამხიარულდა მეტადრე,
სიცლით უთხრა ავთანდილს: „შვილად გზრდი, მით
შემეკადრე;
იცი, არ გინყენ, გაზრდილო, მით შემომიხვე ზედადრე;
თუ არ გასწილდე, მაჯობო, ბედი გეყოფის ბედადრე”.**

ამ მონაკვეთს ახლავს კომენტარი: „არის ოთხივე რედაქციის ნუსხებში. მაინც მიჩნეულია გვიანდელ ჩანართად“ (II, 194).

გაბაასების მტე მურმან თავდიშვილი: „ტექსტის დამდგენი კომისიის წევრები, რა თქმა უნდა, არ იცნობენ პოემის ტექსტის შინაგან მექანიზმს. კერძოდ, დიდი ხანია (1988 წ.) დავადგინე: ეპოსს დ. მენდელეევის პერიოდული სისტემისდარად მსჭვალავს არაერთი კანონი და კანონზომიერება. ჩამოგითვლით არა ყველას: „ბრძანების კანონი“, წასვლა-მოსვლის კანონი, თანალმობის კანონზომიერება და სხვ. ერთი მათგანია ე.წ. „კითხვა-მიგების კანონი“ (ტერმინი მე შემოვიღე). ეგ წესი პირველად შენიშნა და აღწერა კიდევ ი. კენჭოშვილმა, ოღონდ

მას კატეგორიული დასკვნა არ წარმოუდგენია, რადგან საკითხი ძირისძირობამდე არ გამოუძიებია; რომ გამოეძია, დაადგენდა გლობალურ კანონს და პოემაში ჩემსავით აღმოაჩენდა აქ საძიებელი შემთხვევის კიდევ ორ მსგავს შემთხვევას.

მაშასადამე, მე აღნიშნული ერთი შემთხვევა, რომელიც ზემორელე წარმოდგენილ სტროფშია, განვაზოგადე და ავიყვანე არა კანონზომიერების, არამედ კანონის რანგში.

ახლა კი მოგახსენებთ, თუ რატომაა სამსჯელოდ გამოტანილი პოეტური მონაკვეთი რუსთველისა და რატომ უნდა აღუდგეს მას თავისი კანონიერი უფლებები.

პოემის ერთი წესი, რომელსაც მე „კითხვა-მიგების კანონი“ ვუწოდებ, ასეთია: ტექსტში **არც ერთი შემთხვევა** არ უნდა იყოს, სადაც არაა გატარებული ასეთი წესი – ჯერ აუცილებლად მითითებული უნდა იყოს, თუ ვინ ამეტყველდა. ამ ამეტყველებულის ნათქვამი უნდა მოექცეს ბრჭყალებში, ხოლო მოპასუხის ნათქვამს წინ აუცილებლად უნდა დაერთოს რემარკა: ამა და ამ პერსონაჟმა ჰკადრა ესა თუ ისო.

მაშ, ასე: ჯერ რემარკა „როსტან ბრძანა“, მერე მისივე სიტყვები; ამის შემდეგ უსათუოდ იქნება

რემარკა „ავთანდილ ჰკადრა“, მერე კი – სპასპეტის სიტყვები.

არ შეიძლება ისე, როგორც თანამედროვე რომანებშია: ნახევარი გვერდის მასალას ლაპარაკობს პერსონაჟი და მერეა მინიშნებული, თუ ვინაა ეგ პერსონა.

ასეთი რამ შუა საუკუნეების რომანში, მით უფრო რუსთველის ქმნილებაში, წარმოუდგენელია!

ამ ჩემი კანონის შუქზე თუ ნაიკითხავთ ეპოპეას, შენიშნავთ: ეგ წესი გატარებულია ყველგან, ოღონდ **სამ შემთხვევაში ეს უნივერსალური კანონი ირღვევა**. გონიერი მკითხველი მაშინვე იგრძნობს: ამ სამ შემთხვევაში რაღაც ვერაა რიგზე – ან რუსთველს შეეშალა რაიმე, ან – ტექსტოლოგებს.

სინამდვილეში ავტორს არაფერი შეშლია – იგი ყველა შემთხვევაში იცავს საკუთარ მანერას, არსად არღვევს მას. შეეშალათ ტექსტის გამომქვეყნებელ რედაქტორებს, რომლებმაც ხელნაწერულ მემკვიდრეობას ვერ მოუარეს, იგი ჯეროვნად ვერ გამოიყენეს, რატომღაც ის სტროფები გამოტოვეს, რომლებშიც საავტორო რემარკა **როსტან ბრძანა ან ყმამან ჰკადრა** არის დაცული.

ახლა აქ წარმოდგენილ სტროფზე ვიმსჯელოთ.

ამ ტაეპებს თუ გამოვტოვებთ, მივიღებთ უცნაურ სურათს, რუსთველური კანონის წყვეტას. მომდევნო პოეტური მონაკვეთი იწყება „უთავოდ“. იგი ჰგავს **უთავო მხედარს**:

– „მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისსა დაცილებასა.
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქო შედრეკილობა-კლებასა,
კარგთა კაცთასა ვიქმოდეთ მონმად ჩვენ თანა ხლებასა,
მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა!“

ეგ არის პასუხი ავთანდილის სიტყვებისა, ნავიდეოთ, ვინადიროთ და ნახავთ, მე თუ არ გააჯობოთო.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ზემორე წარმოდგენილ სტროფში ხელმწიფე ამეტყველდა, ოღონდ სადაა იმის გარანტია, რომ ყოველივე ამას ხელმწიფე ამბობს და არა იგივე ავთანდილი?

იმისათვის, რათა ეს „უთავო“ სტროფი არ მივანეროთ სპასპეტს, საჭიროა აღვადგინოთ მკვლევართაგან უაზროდ მიგდებული კანონიკური ტექსტი, რომელშიც გამოჩნდება, თუ ვინ ამეტყველებულა ამჯერად – ეს ყოფილა როსტევეანი!

დავინტერესდი, კითხვა-მიგების კანონის თვალსაზრისით, რა სურათს იძლევა ფირდოუსისა და ნიზამის შემოქმედება. გამოვლინდა ის, რასაც კიდევაც მოველოდი – აღნიშნული კანონი მოქმედებს ირანელი ავტორების ტექსტებშიც. აქ ვერ

იპოვით დიალოგს, მითითებულ კანონს არ იცავდეს. მაგალითად, „ხოსროვსა და შირინში“ არის საგანგებო თავი „ხოსროვის, შირინის, შაფურისა და ქალწულების მიერ იგავების მოყოლა“. აქ ყველა პერსონის მიერ ნათქვამ ფრაზას წინ უძღვის საავტორო რემარკა: „პირველმა ქალწულმა თქვა“, „მეორე ქალწულმა უპასუხა“; „შირინმა წარმოთქვა“, „ხელმწიფემ ბრძანა“; „ქალწულთა ჰკადრეს“ და ა.შ.

აღნიშნული კუთხით საგულისხმოა „შვიდი მთიები“. აქ ყველგან გატარებულია მითითებული კანონი. გავსინჯოთ 101-ე გვერდი. ყოველი მოლაპარაკე აღნიშნულია თავშივე: „შაჰმა უთხრა“ და შემდეგ – რაც უთხრა; მერეა „მონა ქალმა უპასუხა“ და შემდეგ – რაც უპასუხა. ასე გადის მთელი დიალოგი ბოლომდე!

იგივე ვითარებაა სხვა ქმნილებებშიც.

ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს: რუსთველიც ამ ტექნიკურ ხერხს იყენებს და ამ კანონიდან გამონაკლისსაც კი არ უშვებს. თუ სადმე ასეთი გამონაკლისია – ეს არის ნაბეჭდი ტექსტისა და მისი რედაქტორის ცოდვა და არა ნაკლი ხელნაწერული მემკვიდრეობისა.

სტროფის ტაეპი „მეფე ლალი და წყლიანი გამხიარულდა **მეტადრე**“ ყურადღებას იქცევს იმიტაც, რომ ერთობ კოლორიტული სიტყვა **მეტადრე**

ნახმარია „ვისრამიანშიც“ (3, 138). ესეც იმას მონ-
მობს, რომ სტროფი ავთენტურია, რამეთუ რუს-
თველი ხშირად იყენებს და ეყრდნობა „ვისრამიანი-
სეულ“ თქმებს, სიტყვებს, ხერხებს, ერთი სიტყვით,
„საშენ მასალას“.

ანუ ის, რისი დამტკიცებაც გვინდოდა.

ამრიგად, „მეფე ლალი და წყლიანი“ აუცილებ-
ლად უნდა აღდგეს.

შევნიშნავ, ჩემს დიდ წიგნში „ვეფხისტყაოსნის
დაფანტული სტროფები“ ამ წესს ეწოდება „თავია-
ნი სტროფის კანონი“.

მე, როგორც ღვთისნიერი ათეისტი, ამდენ
ცოდნას კომისიის გრამატიკულ მხედრიონს ვერ
მოვთხოვ, მაგრამ იმდენს ხომ უნდა მიმხვდარიყო,
კომისიის წევრად მივეწვიე?!”

საკამათოდ აქციეს ეპოპეის ეს მონაკვეთი:

**მეფემან ბრძანა: „ვინ არის უცხო პირად და ტანადო?!
უბრძანა ერთსა მონასა: „ნადი ფიცხლად და ჯანადო,
გიბრძანებს, უთხარ, ვერ გიცნობ ჩემთა ლაშქართა
თანადო,
ვინცა ხარ, მოდი წინაშე შენ ჩვენგან მონაყვანადო!”**

კომენტარი ასეთია: „არის ყველა დაუზიანებელ
ხელნაწერში. მიჩნეულია გვიანდელ ჩანართად“ (II,
200).

გაბაასების წამომწყები: „აქ უკვე მივაღქვით ჩემ მიერ აღმოჩენილ სხვა კანონზომიერებას, რომელსაც ჯერ კიდევ 1989 წელს ვუნოდე „ბრძანების კანონზომიერება“. უნდა ვაღიარო: მაშინ ახალბედა „უკანონო რუსთველოლოგი“ გახლდით და შემეშინდა, მთლად არ გამეგიჟებინა „კანონიერნი“. ამიტომაც მოკრძალებული სახელი გამოვიგონე – „ბრძანების კანონზომიერება“, სინამდვილეში, მეგობარო მკითხველო, არავითარი კანონზომიერება ეს არ გახლავთ – ეს არის ასპროცენტიანი კანონი. აი, მისი არსი: თუ ერთად არიან პატრონი და ყმა, მონა პატრონის უნებურად ვერაფერს მოიმოქმედებს, არაფერს გააკეთებს. მის ამოქმედებას აქვს ორი საფუძველი: ან პატრონის უშუალო ბრძანება, ანდა თვითონვე უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და პატრონს ნება გამოსთხოვოს ამა თუ იმ მოქმედების განსახორციელებლად.

ამრიგად, ათასიდან ათასივე შემთხვევაში ასე ხდება: მონა მოქმედებს პატრონის ბრძანებისა-მებრ.

ჩვენს შემთხვევაში რა ხდება?

თუ ამ სცენას გამოვტოვებთ, მაშინ ერთმანეთს ებმის ორი ასეთი სტროფი. პირველი ბოლოვდება ტაეპით:

ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა.

და ამ სტრიქონს უშუალოდ აგრძელებს სტროფი, რომელიც იწყება ამგვარად:

წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდულარისად.

გავარჩიოთ ეს ვითარება: წინა სტროფის ბოლო ტაეპის აზრია – **მეფეს ახლოს გაცნობა მოუნდა საკვირველი კაცისა.**

ეს არის ხელმწიფის სურვილი, წადილი, დამარხული მის გულში; ეს წადილი ხმამაღლა მას არ გამოუხატავს, მისი ეს ნდომა სიტყვიერად არვის მოუსმენია. მაშ, რად მიდის ვილაც ერთი მონა უცხოს მოსაყვანად?!

მეორეც, ათობით იქ მყოფი მსახურიდან რატომ ერთი მიდის და არა ორი?!

მესამეც, რატომ მაინცადამაინც ის **ერთი** მიდის?!

ყველა ამ უხერხულ კითხვას პასუხს აძლევს ჩემ მიერ აღდგენილი და მტვერში უსამართლოდ გადასროლილი სტროფი, რომელიც ასე იწყება: **„მეფემან ბრძანა“.**

ამ მონაკვეთში უკვე ჩანს, რომ ხელმწიფემ სახალხოდ **განაცხადა** თავისი წადილი: **„ვინ არის**

უცხო პირად და ტანადო?” აქვეა „ბრძანების კანონი“: „**უბრძანა ერთსა მონასა**“.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ მაინცადამაინც ის **ერთი მონა** მიდის „უცხოს“ მოსაწვევად – „წავიდა მონა საუბრად“ – და არა ორი ან ხუთი კაცი.

ოქმების II ტომის 267-ე გვერდზე ისევ შეეხნენ ამ სადავო სტროფის – „მეფემან ბრძანა: „ვინ არის“ – ავთენტიკურობის საკითხს.

აქ მოყვანილი კომენტარი ასეთია: „სტროფი დარჩა ჩანართად, თუმცა მისი ჩანართობის მტკიცებას არგუმენტაცია აკლია. აღინიშნა, რომ სტროფის ავთენტიკურობის საბუთად მ. თავდიშვილი თავიდან ბოლომდე იმეორებს კ. ჭიჭინაძისა და ნ. ნათაძის აზრებს (მათ დაუსახელებლად). ე.ი. მას ახალი არგუმენტები არ აქვს“ (II, 267).

აქ კი მკაცრად და კატეგორიულად უნდა განვაცხადო: თუ ვინმეს აქვს არგუმენტები, სწორედ მე მაქვს, თორემ „სხვა რა მაქვს სადაო?!“

მართალია, დაუსახელებლად, მიუთითებლად გამოვიყენე კ. ჭიჭინაძისა და ნ. ნათაძის მოსაზრებები, ოღონდ არა იმიტომ, რომ პრიორიტეტი მომეპოვებინა, არამედ იმად, რომ მე ჩემი გზით მივედი აქამომდე: არც ჩემგან შექებულ ჭიჭინაძეს და არც ჩემგან შექებულ ნ. ნათაძეს (იხ. ვეფხისტყაოსნის

დაფანტული სტროფები, 1991) თავში არ მოსვლიათ ის, რასაც მივაგენი მე: პოემის ტექსტში აღმოვაჩინე დ. მენდელეევის სისტემისმაგვარი კანონები და კანონზომიერებები, რომელთა შორის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანია. კერძოდ, ერთი სადოქტორო თემის წონა აქვს „ბრძანების კანონზომიერებას“. ეს არის კანონთა და კანონზომიერებათა მთელი სისტემიდან ერთ-ერთი პირველი, რომელიც ყველაზე ადრე გავხსენი. ამიტომაც ამ კანონის აღმოჩენით ფრიად და ფრიად ვამაყობ. აი, სწორედ ამ მიზეზით არ მიხსენებია ის ტექსტოლოგები ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

კანონი კანონად, ოღონდ მართალია ის, რასაც კომისიაში აცხადებენ? აცხადებენ კი, აი, რას: **„მას ახალი არგუმენტები არ აქვს“**.

ეს არის ბლეფი, სრული სიცრუე. ამას ახლავე დაგიმტკიცებთ.

ჯერ ერთი, სრულიად ახალი, მავანთათვის დღესაც კი მიუწვდომელი არ არის „ბრძანების კანონი“?!

ამაზე ახალი განაღა მათ კი რა ბრძანეს?

განა ეს კანონი იმჟამად ზეახალი და დღესაც კი მათთვის ახალი არაა? მათ ხომ ეგ კანონი ვერ მოიხმარეს, ვერც გაიგეს, ხოლო „არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?“

თუ ჩემი კანონი მათთვის „დაფარულ საუნჯედ“ არ დარჩა, რად ვერ აღმოაჩინეს, გარდა აქ სამსჯელო სტროფისა, კიდევ ორი სხვა სტროფი, რომლებიც ამ კანონის შუქზე პოემის კუთვნილებაა და მათ მიერ გამოცემულ პოემაში კი არ ჩანს? ეს ერთი, მეორეც, წესიერად რომ გაეგოთ ჩემი კანონის არსი, ხომ მიხვდებოდნენ – ეს შემთხვევა შემთხვევითი ამბავი არაა და ეს კანონი სხვაგანაც „ტყდება“, ე.ი. – გლობალური მოვლენაა? რა თქმა უნდა, მიხვდებოდნენ, ოღონდ მიგნებული კანონის სიმალლეზე ჩვენი ჩანჩურა ტექსტოლოგ-გრამატიკოსები ვერ აცოცდნენ.

მაგრამ სასაცილო და სახოხმარიკო სხვა რამეც არის.

განა ჩემი კანონის შინაურ მტკიცებულებათა ამარა დავრჩი და გარეთ არ გამიხედავს?

ეს ჩვენი ტექსტოლოგები ჰგვანან გლახა ფეხბურთელს, მხოლოდ საკუთარ ფეხსა და ბურთს რომ ხედავენ და მთელ მოედანს – ვერა. მე, მეგობარო მკითხველო, ცოტა სხვაგვარი ტიპის მკვლევარი გახლავართ. მაგათგან განსხვავებით, სწორედ მე შემომაქვს სამეცნიერო ბრუნვაში ფირდოუსის, ნიზამის, ონსორის ჩვენთვის საჭირო მონაცემები. ამ მონაცემებით გაძეძგილია ჩემი წიგნები („ფირდოუსი და რუსთველი“, „ნიზამი და რუსთველი“);

გარდა ამისა, სწორედ მე ვიყენებ გერგილიანად რუსთველის სიტყვა-გამოთქმათა უღვეველ სან-ყობს („ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“). ასე რომ, ჩემი „ბრძანების კანონი“ სამეცნიერო ასპარეზზე მარტოკინა არ გამომიშვია. მას ახლავს არაერთი სხვა, სუპერახალი არგუმენტი, კერძოდ:

ა) დავადგინე, რომ **ბრძანების კანონი** ყოფილა საერთაშორისო წესი, შუა საუკუნეთა რომანის აუცილებელი ატრიბუტი. საამისო მაგალითად მოვიყვანე რუსთველის ეპოქის ფრანგი რომანისტი კრეტიენ დე ტრუა. **ბრძანების კანონის** თვალთახედვით განვიხილე მისი ნაწერები და დავადგინე: ზუსტად იგივე ვითარებაა ფრანგი მწერლის შემოქმედებაშიც. კიდევ მეტი: მივაგენი სენსაციურ ფაქტს – **რუსთველის მიერ აღწერილი სიტუაცია** (როსტან-ტარიელის პირველი შეხვედრის სცენა) თითქმის ზედმინევნით მეორდება კრეტიენ დე ტრუას რომანში. ამ რომანს ეწოდება „პერსევალი“. ჩემი სტატია ჯერ პრესაში გამოქვეყნდა, შემდეგ მთელის პომპით დაიბეჭდა წიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“ და მისი სათაურიც, ვფიქრობ, დამაინტრიგებელია: **„ბრძანების კანონ-ზომიერება“ რუსთველისა და კრეტიენ დე ტრუას რომანებში”**.

მკითხველს კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდი ჩემი გლახურ-გლახურ-პროვინციული მოკრძალების გამო – რა კანონზომიერება, რისი კანონზომიერება! ეს გახლავთ ასპროცენტრიანი მამალი კანონი და მხოლოდ კანონი!

ძირს პროვინციული სიმორცხვე!

გიფასებდეს ვინმე მაინც.

აგერ მაგალითი, ვით დამიფასეს ქვეშეფსია ტექსტოლოგებმა: ახალი მაგალითები ვერ მოჰყავს მ. თავდიშვილსაო!

მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა ჭიჭინაძისა და ნათაძისადმი, ისინი ვერ მისწვდნენ კრეტიენ დე ტრუელის მაგალითს და ვერც მისწვდებოდნენ; ვერც მე მივწვდებოდი, ოღონდ მე მიშველა იმან, რომ ვარ პირველი (ქრონოლოგიით) ვიკტოროლოგი და სწორედ ვ. ნოზაძემ დამაყენა კრეტიენ დე ტრუას კვალზე.

ბ) მაგრამ მე, ვითარცა რუსთველის სიტყვაცნებათა სანყოფის გამგე და კლიტე-გასაღების მცველი, მარტო ფრანგი მწერლის მაგალითით როდი დავკმაყოფილდი: რაკი ვიყნოსე, რომ ეგ კანონი მსოფლიო კანონია, მყისვე დავძებნე მსგავსი მაგალითები „ამირანდარეჯანიანსა“, „ვისრამიანსა“ და „შუშანიკის წამებაშიც“ კი! (იხ. მითითებული წერილი კრეტიენ დე ტრუაზე!)

არადა ვიეთნი ასე აცხადებენ: მ. თავდიშვილს ახალი მაგალითები ვერ მოჰყავსო!

გ) არ დავჯერდი არც ამ მასალებს და აღნიშნული თვალთახედვით შევისწავლე კრეტიენ დე ტრუას სხვა რომანი. ესაა „ერეკი და ენიდა“ და აქაც სენსაციურ ფაქტს გადავანყდი: თითქოსდა ფრანგ მწერალს რუსთველის პოემიდან გადაენეროს: ტარიელ-როსტანის I შეხვედრის სცენა ზედმინევით მეორდება ამ რომანშიც (იხ. სტატია „ბრძანების კანონზომიერება“ რუსთველისა და კრეტიენ დე ტრუას რომანებში“).

ერთი სიტყვით, დიდი ვინმე **კრეტინი** უნდა იყო, რომ **კრეტიენის** რომანების ჩემეული განხილვის შემდეგ დაწერო: „მ. თავდიშვილს ახალი არგუმენტები არა აქვსო“.

ამრიგად, „ბრძანების კანონის“ ძალით თავის უფლებებში უნდა აღდგეს ჩემ მიერ უკვე 1989 წ. თავის უფლებებში აღდგენილი პოეტური მონაკვეთი.

მკითხველი ჩემი წაბიძგების თვინიერ მშვენივრად ხვდება: ტექსტის დამდგენ ჯგუფში თუ არა თავკაცად, ერთ რიგით წევრად ყოფნის ღირსი მაინც გახლდით ჯერ კიდევ 1989 წლიდან.

ყოველივე ამის შემდეგ რა უნდა გააკეთონ კომისიის წევრებმა? – ერთმანეთს სიმწრისაგან თავი თავზე უნდა ურახუნონ”.

აქ კი დახატე, ზალიკო, სულაკაურთა სახლისა, ერთი სწავლული მეორეს როგორ თავზე თავს ახლისა!



არეოპაგის წინაშე აღმოჩნდა სტრიქონები:

ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ
აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს...

ამას მოჰყვება მკვლევარ გიორგი არაბულის კომენტარი: „ამ სტრიქონების „თარგმანი“ (შინაარსი) არაზუსტია. **ბრკობა** („ბრკუმა“) ნიშნავს დაბრკოლებას, შეფერხებას, შეცდომას; მაგრამ ამ კონტექსტში ძალდატანებითი ჩანს ასეთი განმარტება:

„ამაოდ არ აფერხებდეს (აჩერებდეს) [ერთის გარდა სხვაზე]“. ძნელდება „შეფერხებისა“ და „შეჩერების“ ცნებების მისადაგება პოეტურ შემოქმედებასთან. ამიტომ ცდილობენ კომენტატორები „ბრკობას“ მოუძებნონ კონტექსტის შესაფერი ნიუანსი (დახარჯვა, გაფანტვა, გაბნევა...).

მეორე სტრიქონში გაიგივებულია მიჯნურობა და აშიკობა (თარგმანშიც ორივე გამოხატულია ერთი ცნებით – „ტროფობა“), რაც ამ სტროფის რუსთველურობას სადავოს ხდის.

კომენტარის ერთი წინადადება – „არ არის აუცილებელი, მიჯნურობა და აშიკობა ყოველთვის სრულ სინონიმებად გავიგოთ“ – კიდევ უფრო აბუნდოვანებს საკითხს. მართლაც, არ უნდა გავიგოთ სინონიმებად! რუსთველისა და მისი პერსონაჟებისათვის მიჯნურობასა და აშიკობას სხვადასხვა შინაარსი აქვს და ერთი პიროვნების მიმართ ორივე ტერმინის გამოყენება მათთვის დაუშვებელია. სტროფის ეს ორაზროვნება ან უნდა აიხსნას როგორმე, ან უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ავტორი არა რუსთველი, არამედ სხვა პიროვნებაა, რომლისთვისაც მიჯნურობას დაკარგული აქვს რუსთველური შინაარსი და ის აშიკობას, ვერაგულ საყვარლობას უთანაბრდება“ (II, 271).

გაბაასების ინიციატორს სული მისდის, ისე ეჩქარება კამათში ჩართვა:

„რაც აქ ნათქვამია, გახლავთ სრული სისულელე, სამეცნიერო ბლეფი, რადგან ყველაფერი უკუღმაა გაგებული!

ჯერ ორიოდ სიტყვა ამ მოსაზრების ავტორზე.

გ. არაბული კი იყო ჩემი მეგობარი, ოღონდ სიმართლე ჩემი უფრო დიდი მეგობარია. უნდა ვაღიარო: იგი დიდი უნიჭობით გამოირჩეოდა, არც გემოვნება უვარგოდა; ლექსი არათუ ხევისურივით ესმოდა, ამ მხრივ შინიდან გარეთ გამოგდებულ გურულზე დაბლაც კი იდგა; ყოველივე ამას ისიც ზედერთვოდა, რომ ჰქონდა ერთი არჯალი წესი: თუ რაიმეს ვერ გაიგებდა რომელიმე სტროფში, იმ წამსვე იმ პოეტურ მონაკვეთს საეჭვოდ მიიჩნევდა და არასოდეს ეჭვდებოდა იმაში, ეგების მე ვერ ვწვდები რუსთველის ნათქვამის სიღრმე-სიგანესო?

ეს მსჯელობა წარიმართა 1997 წელს.

ეს თარიღი კიდევ იმას მოწმობს, რომ გ. არაბულს არც ნაკითხობა უწყობდა ხელს და არც მახსოვრობა. არადა ჩემი ხელითა და სათანადო წარწერით ვუძღვენი 1991 წ. გამოსული წიგნი „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, სადაც გარჩეულია საძიებელი სტროფი და დამარწმუნებლად დადგენილი: **ამ მონაკვეთში არავითარ სიყვა-**

რულზე არაა მსჯელობა. აქ ავტორი საუბრობს იმაზე, რომ ჭეშმარიტმა მოშაირემ ერთი თემა უნდა აიღოს და მთელი თავისი ცხოვრება მის დამუშავებას, დახვეწას, გამდიდრებას მონადომოს; ეს ერთადერთი თემა უნდა ჰქონდეს სამიჯნუროდ, მას უნდა აშიკობდეს; მისგან კიდე სხვა არა უნდოდეს რა. ერთი სიტყვით, როგორც სიყვარულის ერთადერთობას მოითხოვს, ისე მოითხოვს ერთი და იმავე თემისადმი ერთგულებას. აი, რა წერია გ. არაბულისათვის ნაჩუქარ იმ წიგნში. ჯერ მოყვანილია სათანადო სტროფი:

ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, – მისთვის ენამუსიკობდეს.

და ამას მოსდევს შემდეგნაირი მსჯელობა:

„ნუ დაგვაბნევს აქ ნახმარი გამოთქმა – „ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს“. იგი სულაც არ გულისხმობს მიჯნურობას, სიყვარულს ქალ-ვაჟს შორის. არა! აქ საუბარია მელექსის დამოკიდებულებაზე დასამუშავებელი თემისადმი, საწერი მასალისადმი ავტორის ერთგულებაზე“ („დაფანტული სტროფები“, გვ. 26); ხოლო ქვემოთწერილს მსჯელობა ასე გრძელდება: რუსთველი აკრიტი-

კებს სამი ყაიდის ლექსს. ერთია წვრილ-წვრილი ლირიკული ლექსები, მეორეა წვრილ-წვრილი პოემები, ვთქვათ, „აღუდა ქეთელაური“, „გამზრდელი“; მესამეა სახუმარო-სათრეველი „შაირები“. და ბოლოს აცხადებს: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. ესე იგი, „ჭეშმარიტი მოშაირე ვრცელ პოემას, პოემა-ეპოპეას უნდა თხზავდეს. სწორედ ასეთია „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ერთი ეპიზოდი – ავთანდილის მიერ მეკობრეთა განადგურება – „აღუდა ქეთელაურს“ აღემატება როგორც მოცულობით, ისე ემოციური და აზრობრივი ძალითაც. ამრიგად, რუსთველი მაქსიმალისტია. ის გუნდრუკს უკმევს უმაღლეს ტალანტს. მან გვიჩვენა სამი ტიპის ლექსის არსი და ყველა დაინუნა. ამის შემდეგ, როგორც ეს რუსთველის შემოქმედებით სტილს ახასიათებს, უნდა მოდიოდეს ყოველივე ზემოთქმულის განზოგადება. ასეც არის. აი, ეს სტროფი:

**ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას
ამკობდეს, –
მისგან კიდე ნურა უნდა, – მისთვის ენამუსიკობდეს.**

როგორც მოგახსენეთ, ამ სტროფში ზემომოყვანილი სამი სტროფიდან გამომდინარე აზრი გაღრმავდა და განზოგადდა: ჭეშმარიტი პოეტი ვერ დააქუცმაცებს საკუთარ ნიჭს ლირიკულ ლექსებზე („მერი“, „მესაფლავე“...), მას არც „ცოტაი ლექსი“, „ნაწილი მოშაირეთა“ („ალუდა ქეთელაური“, „განდეგილი“...) ეყოფა სარბიელად; ხოლო სახუმაროსალალობო პოეზია ხომ დიდი, სერიოზული პოეზიის დესერტია და არა თვით პოეზია. ამიტომაც საჭიროა, მეღექსე თავის „ნაჭირებს“ (ჭირნახულს), ნაშრომს ცუდად არ აქუცმაცებდეს. მან ერთი თემა უნდა აიღოს დასამუშავებლად, იგი შეიყვაროს, იგი ჰქონდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სამიჯნუროდ, მხოლოდ ამ თემას „აშიკობდეს“ მთელი თავისი სიცოცხლე; მას ერთგულებდეს, ყოველგვარ ოსტატობას (რიტმა, რიტმი, ეპითეტი, მეტაფორა, ალიტერაცია...) მას ახმარდეს; მას ამკობდეს, ერთხელ არჩეულ პერსონაჟებს აქებდეს; სხვა თემას ხელი აღარ უნდა მოჰკიდოს, სხვაზე აღარ გადართოს გრძნობა-გონება; მთელი ნიჭისა და უნარის კონცენტრაცია ამ ერთ თემაში მოახდინოს; მისთვის „ენამუსიკობდეს“ და „მისგან კიდე ნურა უნდა“; მის მეტი სხვა რამ თემა აღარ უნდა აინტერესებდეს; ამ ერთხელ და სამუდამოდ შთაგონებული თემითა და იდეით იყოს გვემულ-ნამებული.

ამრიგად, აქ დადგა უზარმაზარი პრობლემა: გამოდის, რომ რუსთველი საკუთარი პირით აცხადებს – პოეტმა ერთი ქმნილება უნდა დაწეროს; იმ ერთში ჩადოს მთელი თავისი პოეტური „ალტერ ეგო“, მთელი თავისი პოტენცია.

– მაშინ, – იკითხავს მკითხველი, – რუსთველს ხომ, „ვეფხისტყაოსნის“ მეტი, სხვა სერიოზული ქმნილება არც უნდა დაეწერა? დიახ, ეს ასეცაა! პოეტმა მხოლოდ ერთი ვრცელი პოემა-ეპოპეა შეთხზა და მთელი თავისი სათქმელი ამ ქმნილებით გამოხატა, მთელი თავისი სიცოცხლე ამ „ნაჭირვების“ გაჩაღხვას შესწირა და შეაღია, ოღონდ ამის თაობაზე რაიმეს უფრო მკაფიოდ, თვალსაჩინოდ ხომ არ გვეუბნება? დიახ, გვეუბნება და გვეუბნება მომდევნო სტროფში, გვეუბნება მკაფიოდ, გასაგებად, ოღონდაც არ უნდა წავუყრუოთ, უნდა გავუგოთ! ჯერ ხომ თეორიულად დაასაბუთა, თუ რა „ხამს“ ქეშმარიტ მოლექსეს, მომდევნო სტროფში კი კონკრეტულად საკუთარ პრაქტიკაზე ლაპარაკობს, საუბრობს იმაზე, თუ ვით განახორციელა ზემორე თეორიულად ჩამოყალიბებული იდეა კონკრეტულად მან:

**ჩემი ან ცანით ყველამან, მას ვაქებ, ვინცა მიქია:
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!**

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია; მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

კომენტარი: მეც ისე ვიქცევი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. ჩემი საქმე ასეა: ამ პროლოგშიც, ამ სტროფშიც იმას ვაქებ, ვინც პოემის შიგნიტექსტში უკვე ვაქე (ეს კაცი ტარიელია). ის, რომ ტარიელის მეტი პერსონაჟი, ტარიელის ამბის მეტი სხვა ამბავი არ გამილექსავს, სხვა პოემისათვის ხელი არ მომიკიდია, ჩემდა თავად დიდ და სასახელო საქმედ მიმაჩნია („ესე მიჩს დიდად სახელად“, რომ ჩემი თავი, ჩემი ნიჭი არ დამიქუცმაცებია ცალკეულ ნვრილ-ნვრილ ლექსებსა და კნინ პოემებში, ანუ „თავი არ გამიქიქია“); ტარიელიანი არის ჩემი სიცოცხლე; ვეფხისტყავიანის საქმე და ამბავი უწყალო ჯიქივით ფლეთს მთელ ჩემს სიცოცხლეს; ტარიელის სახელი შეფარვით ქვემორე (პოემის შიგნიტექსტში) მითქვამს, მიქია. **შეფარვით თქმა** ნიშნავს სიტყვა **ვეფხისტყაოსანს**. ვეფხისტყაოსანი – ეს არის შეფარვით ნათქვამი სიტყვა, რომელიც შეუფარავად ტარიელს გულისხმობს...

ამრიგად, რუსთველს ეამაყება, რომ ერთი პოემის მეტს იგი ხელს არ ახლებს, რომ გამოიჩინა „მელექსის ერთგულება“ და მთელი თავისი სიცოცხლე

ამ „უნყალო ჯიქს“ შეალია“ („დაფანტული სტროფები“, გვ. 29-31).

ყოველივე ეს უნდა ხსომებოდა გ. არაბულს და მაშინ ზემორე მოყვანილ სულელურ სიტყვებს აღარ დაახვავებდა! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკვე არსებული მოსაზრება ხომ უნდა გააბათილო, ვიდრე მის ადგილას ახალს ააგებდე?!


ეგ ხომ მაინც არაა სადავო?

მკითხველმა რომ არ იფიქროს, თითქოსდა მე ან უკვე გარდაცვლილ კაცს ვეკამათები, მოვახსენებ: ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, როდესაც იგი საღ-საღამათი გახლდათ, „მოვთხარე და ვათრიე“ პოემის ცალკეულ ადგილთა სრული ვერგაგებისა გამო და მას პასუხად კრინტი არ დაუძრავს (იხ. „სანამ ამიგო გამიგებდეს“ – 2003 წ. – წიგნში „რუსთველოლოგიური კრიტიკა“, I, გვ, 478; ასევე „მგლოვიარე ქარავანი“ – 2002, იქვე, გვ. 322).

ამრიგად, რუსთველი რომ სტროფში საწერი თემისადმი ერთგულ მიჯნურობასა და აშიკობაზე მსჯელობს, მკვლევარ არაბულს იგი ქალისადმი მიჯნურობად და აშიკობად წარმოუდგენია.

მაშასადამე, უკვე 1991 წელს აღებული სიმაღლე 1997 წელსაც კი შეუმჩნეველი დარჩა და გიორგი არაბული ქარის ნისქვილებს „წარმატებით“ ებრძვის”.

აქა, ზალიკო, ძამიკო, სულაკაურთა კარისა,
დახატე: ერთი მკვლევარი ვით ებრძვის წისქვილს ქარისა!



საკომენტაროდ გამოტანილია ტაეპი: „იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია“ და მიჯნურის ათი თვისებიდან ერთ-ერთი – სიმდიდრე.

განმარტება ასეთია: „კომენტარში დაემატოს დ. ქუმსიშვილის სხვაგვარი გაგება, რომ პოეტის ეს ფრაზა გულისხმობს არა თამარ მეფეს, არამედ რუსთველის შემოქმედებას, რომელიც მისი (ავტორის) სიცოცხლის არსს წარმოადგენს“ (II, 272). იქვე მითითებულია, რომ ეს იდეა ავტორს გასჩენია 1968 წელს.

ოქმების წიგნში იმავე გვერდზე ბატონი დ. ქუმსიშვილის კიდევ ერთი იდეაა გამოქვეყნებული:

„სიმდიდრეს კომენტარში დაემატა დ. ქუმსიშვილის აზრი (როგორც მცდარი), რომ **სიმდაბლე** ენი-ნაალმდეგება მიჯნურის თვისებას”. ეგ აზრი ბატონ ქუმსიშვილს გასჩენია 1988 წელს.

ბაასში ერთვის მ. თავდიშვილი: „დიდად სასი-ამოვნოდ დამირჩა, რომ მთელ საქართველოში ერთი კაცი მაინც გამოჩნდა, რომელსაც სწორად გაუგია არცთუ ისე ძნელად გასაგები სტროფი და მისი ცენტრალური დებადი – იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია. რა თქმა უნდა, ფრაზა გულისხმობს არა თამარ მეფეს, არამედ რუსთველის შემოქმედებას, კერძოდ, „ტარიელიანს”, ანუ „ვეფხისტყაოსანს”. ჩემს წიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ შესულია უზარმაზარი სტატია, 59-გვერდიანი, რომლის სათაურია „მართალი სიტყვა ვეფხისტყაოსნის პროლოგზე”, სადაც პოემის მე-8 სტროფის გაშიფვრას დიდი ადგილი ეთმობა და ბოლოს დადგენილია: აქ თამარ მეფეს კი არ გულისხმობს ავტორი, არამედ ტარიელს, ვისაც ემორჩილება ინდოეთის სპა-ჯარი-მეთქი (იხ. გვ. 17); კომისია ამ იდეას მაშინვე უნდა ჩასწვდომოდა და ორივე ხელით ჩაბლაუჭებოდა, ოღონდ, სამწუხაროდ, ამისი უნარი მას არ აღმოაჩნდა.

ბატონი ქუმსიშვილი მეორე შემთხვევაშიც მართალია, თუმცა ეგ აზრი კომისიამ მცდარად ჩა-

უთვალა, ოღონდ, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, დია იამაყებდა, რომ მე მივიჩნევ აღნიშნულ აზრს ცამდე მართალ მოსაზრებად. ვფიქრობ ის, როგორც გონიერი კაცი, ჩემს შეფასებას უფრო დიდ ფასს დასდებდა, ვიდრე – კომისიონერი გრამატიკოსებისას.

მთელი ჩემი სიცოცხლე ნ. ნათაძეს ვუმტკიცებდი, რომ უმიზეზოდ გაუძევა რუსთველს სტრიქონიდან ამაყი **სიმდიდრე** და მის ადგილას ნამოუყელყელავა დაჩვენული **სიმდაბლე**. არადა იქვეა ნათქვამი, რომ მიჯნური უნდა იყოსო უხვი. ახლა კი ეს მიბრძანეთ: თუ ადამიანი მდიდარი არაა, უხვი როგორ იქნება?! მეორეც, ამ საკითხში ეს მერამდენედ ვეკუშტები „კანონიერ“ რუსთველოლოგებს: **მათ პოემის შინაარსი ჯეროვნად არ იციან**. რომ იცოდნენ, გაიხსენებდნენ, რომ პოემაში ცნება **მდიდარი** დადებითი შინაარსისაა და ამკობს ყველა დადებით გმირს.

უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი.

ყურადღება მიაქციეთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: **სიუხვე** მიჯაჭვულია ცნებაზე მდიდარი – „უხვი, **მდიდარი**“.

ავტორს სწაღია, მთელი სილამაზითა და ელვარებით დაგვიხატოს ფრიდონის ქალაქი. აქ უკვე ერ-

თმანეთს გადაება ორი დადებითი ეპითეტი – **ტურ-
ფა და მდიდარი.**

მივედით, ვნახეთ ქალაქი მისი **ტურფა და მდიდარი.**

ბაღდადელი ვაჭრების სიკეთეთა შორის გამო-
ირჩევა სიტყვა მდიდარნი:

საქონელ-სრულნი, **მდიდარნი**, არ ლარნი გვექონან ნაჭარნი.

სავაჭრო ქალაქ გულანშაროში კარგ საქმედ
არის მიჩნეული, რომ

გლახა თვე ერთ **გამდიდრების...**

მიჯნურის ათი თვისების ჩამოთვლისას **სიუხვე
და სიმდიდრე** ერთმანეთის მოსაზღვრე სიტყვებია.
არც ეგაა შემთხვევითი:

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, **სიუხვე, სიმდიდრე**, სიყმე და მოცალეობა...

ამრიგად, ჩვენი ავტორისათვის **სიუხვე და სიმ-
დიდრე** განუშორებელი ცნებებია.

ასე რომ, მცდარი კი არ ყოფილა ბატონი ქუმ-
სიშვილის მოსაზრება, არამედ **ცამდე მართალი!**”

საკამათოდ გამოტანილია სტროფი:

**ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,**

გული ერთსა დააჯეროს – კუმტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა,
მტლამამტლუში.

კომენტარად მინერილია გ. არაბულის სიტყვები: „ეს სტროფი 24-ის აზრობრივი გაგრძელებაა და, მის მსგავსად, ბანალური აზრების განმეორებით ხასიათდება, ხოლო ორიგინალობას იჩემებს უარყოფითი ზედსართავ-ეპითეტების ჩამოთვლაში, რომლებიც ნამდვილ მიჯნურს არ უნდა ახასიათებდეს. მესამე სტრიქონი: „გული ერთსა დააჯეროს...“ პერიფრაზია 27-ე სტროფიდან მესამე-მეოთხე სტრიქონებისა: „...დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა...“ ის არაფერს ჰმატებს მიჯნურობის რუსთველისეულ გაგებას, რომელიც სრულად და ნათლად არის ჩამოყალიბებული მე-20-23-ე სტროფებში“ (II, 273).

მასლაათში სასწრაფოდ ჩართვას მოითხოვს მ. თავდიშვილი: „ჩემი სანყალობელი მეგობარია გიორგი არაბული. სანყალობელი კი იმად არის, რომ ახლა ტყავს გავაძრობ და მით ქალამანს შევიკერავ. ამ მოსაზრებაში რამდენი სიტყვაცაა, ორი იმდენი სისულელეა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საცოდავი ებრძვის მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფიურ აზრს, გენიალურ აფორიზმს:

მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა,
მტლაშამტლუში.

ასევე ებრძვის საოცარ პედაგოგიურ დამოძღვრას: **„გული ერთსა დააჯეროს!“**

საცოდავს არ ახსოვს პოემის შინაარსი და ამიტომაც ვერ ხედავს: ტაეპი – **„რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში“** ერთგვარი ზოგადი დებულებაა, რომელიც პოემაში ზუსტად სრულდება: როცა ტარიელი შორდება ნესტანს, ამრავლებს სულთქმა-უშს; ავთანდილი როცა შორდება თინათინს, ხშირად სულთქვამს, „უისა“ და „ვაის“ გაიძახის; ფატმანი როცა შორდება ავთანდილს, ხშირად ნუხს და ოხრავს.

მაშასადამე, თეორია („რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში“) აღმასის ჯაჭვითაა გადაბმული პრაქტიკულ ყოფასთან (ნესტანტარიელის, ავთანდილ-თინათინის, ფატმან-ავთანდილის ქცევა).

და კაცი ამას ვერ ხედავს. მკვლევარია რალა!

და ყველაზე შემადრწუნებელი უცოდინარობა: რუსთველოლოგ-ტექსტოლოგს წარმოდგენაც კი არ აქვს რუსთველის მიერ ვირტუოზულად დაურევებულ პოეტიკურ ხერხზე, რომელსაც **ჰენდიადისი**, ქართულად კი **ერთიორითი** ეწოდება.

რუსთველი ვირტუოზია ჰენდიადისისა. კომენტარი იხ. წიგნში „რუსთველოლოგიური კრიტიკა, I. აქ მხოლოდ ნიმუშებს გაახლებთ:

მერმე ჩემი მიჯნური ხარ, **დასტურია, არ ნაჭორად;**
ჩვენ ყოვლთა გემართებს ნეტარძი ათასი, **არ ერთხელები;**
იცინოდით და იმღერდით, ნუ ცრემლი აწანწკარითო;
კვლა ჭურჭელი თვალთა თლილთა, არ კოვზები, არ
ჩამჩები...

ვხედავთ, სტრიქონის პირველ ნაწილში სათქმელი **პოზიტიურადაა** გამოხატული, მეორეში – **ნეგატიურად**. ეს კი ქმნის წრეშეუწერელ ეფექტს, მხატვრულ მოულოდნელობას. ცალი ხელით სატირალი ჩვენი მკვლევარი კი ბავშვის გულუბრყვილობით ამბობს: „სტროფი... ბანალური აზრების განმეორებით ხასიათდება, ხოლო **ორიგინალობას იჩენს უარყოფითი ზედსართავ-ეპითეტების ჩამოთვლაში**”.

მაშ, მკვლევარმა არ იცის, რომ აგინებს რუსთველის ერთ ყველაზე მეტად გამორჩეულ და საყვარელ ხერხს – ერთიორითს:

ხამს მიჯნური ხანიერი (პოზიტივი) და
არ მეძავი, ბილწი, მრუში (ნეგატივი).
რა ითქმის ამის შემდეგ?
აი, რა:

გ. არაბული იყო ალექსანდრე სარაჯიშვილის მონაფე და მიმდევარი. შემთხვევითი როდია, რომ არაბული მას ხშირად იმონმებს. ალ. სარაჯიშვილი კი გახლდათ რუსთველოლოგიაში სრული უვიცი, მეტად უგემოვნო და უუნარო პიროვნება. მონაფეც პედაგოგს დაემსგავსა, რამეთუ „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“. მასწავლებელმა რა იცოდა, შეგირდმა რა უნდა იცოდეს! „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა“.

ბარემ ერთ ლაზათიან ნიხლსაც მივაზელ ოსტატსა და შეგირდს: განა კი რა შეუქმნიათ მთელი თავიანთი ცხოვრების განმავლობაში მოძღვარსა და მონაფეს იმ მხატვრული ღირებულებისა, როგორიც ეს ზღაპრული აფორიზმია? –

მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშამტლუში.

მეორეც, გ. არაბული აზრზეც არაა, რომ ამ სტროფის I ტაეპი გამოძახილია „ვისრამიანის“ პერსონაჟ ვისის იდეისა, რომ მიჯნური უნდა იყოს **ხანიერი**, არადა რამინი გამოდგა **უხანო**. „ვისრამიანში“ მთელი გვერდები ეძღვნება ვისის ჩივილს **უხანო** სიყვარულის გამო. მიტოვებული ქალი გულდანყვეტილი სწერს ყოფილ სატროფოს: ვერასოდეს პოვებ „ჩემებრ **ხანიერსა** მოყვარესა სიყვარულიანსა“ (3, 226); იგივე ჩივის: „**უხანოისა** კაცისა მინდობა

არა ხამს“ (3, 241); „მე შენებრსა **უხანოსა** მოყვარესა“ სხვას ვისა ვპოვებო (3, 225); „ერთისა **უხანოისა** მოყვრისათვის ეგრე გასლვა რად უნდაო“ (3, 217); „რათგან შენი საქმე **უხანობაა**“ (3, 216) და ა.შ.

გ. არაბულმა რომ ეგ იცოდეს, ასე თამამად ვერ ილაპარაკებდა. მაშ, მისი სითამამე – ეს უცოდინარობის სითამამეა.

აი, ჩემი მოსაზრება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით”.

საცილობელი გახდა სტროფი:

**ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად „ჰა-ჰას“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა
მოიღებდეს.**

კომენტარს აყალიბებს გ. არაბული: „აქ და მომდევნო სტროფებშიც კვლავ გრძელდება მომაბეზრებელი დიდაქტიკა და ზნეობრიობისკენ მოწოდება. ამასთან ერთად, იცვლება ტერმინოლოგია: **მიჯნურის** ნაცვლად **მოყვარე** ან **სიყვარული** გამოიყენება; „მოყვარეთა“ ურთიერთობა კი აშიკობის ან უფრო ვულგარული ფორმის – საყვარლობანას – დონეზე განიხილება. მოკლედ, 29-31 სტროფებში რუსთველურ მიჯნურობაზე აღარ არის ლა-

პარაკი, აქ შეცვლილია მსჯელობის თემაც და მისი შეფასების კრიტერიუმიც. აქ სხვა ზნეობრივი ნორმები მოქმედებს. საყვარლების, ანუ „მოყვარეთა“, ურთიერთობის მუდმივი თანამდევია „გამჟღავნება“ და „მოყვინება“, რაც რუსთველური მიჯნურობის კოდექსში არ ფიგურირებდა. ამის გამო დასახელებული სტროფების ავთენტიკურობა საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დგას. არაერთხელ დაუყენებიათ ეს საკითხი ა. სარაჯიშვილს...“ და სხვებსო (II, 274).

გ. არაბულის ჩასაყლაპავად მზად არის და სულმოუთქმელად ცქმუტავს მ.თავდიშვილი: „მეგობარო მკითხველო, ზემორეთქმულიდანაც შესანიშნავად მიხვდით, რომ გიორგი არაბულის არც ერთი სიტყვა სარწმუნო არაა. არა ოდენ რუსთველოლოგიაში, საერთოდ ლიტერატურაში მას არაფერი დაეჯერება, რადგან ბრიყვია, ანუ უნიგნურია, თითქმის არაფერი აქვს წაკითხული; ამას ზედ ერთვის უნიჭობაც. ოლონდ არც მარტო ეგაა. ნათქვამია: უბედურება მარტო არ მოდისო. აქაც ასეა: ზემოჩამოთვლილ ნაკლს ზედ ერთვის უნიადაგო ამბიცია და სიამაყე. სიამაყის რქა რომ ზეცისაკენ ეწევა მკვლევარს, უნიჭობის ასფუთიანი ხუნდები მიწას ანებებს.

ახლა მითითებული პოეტური მონაკვეთი განვიხილოთ ყოველმხრივ, უწინარეს ყოვლისა, პოემის პერსონაჟთა ქმედებებთან მიმართებით.

პირველი, შეყვარებული, რუსთველის აზრით, „**ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს**“. პროლოგის ეს თეორიული დებადი კონკრეტულ სახეს იღებს თუ არა საკუთრივ პოემაში? რა თქმა უნდა, ზედმინევენით სრულდება: ტარიელი ყოველნაირად ფარავს და მალავს თავის გრძნობას. სიყვარულის გამო რომ დაბნდა და დაეცა, ფარსადან მეფის პალატაში დააწვინეს, არ იცოდნენ, რა სენი სჭირდა და მკურნალობდნენ. ლომგმირმა ყველაფერი გააკეთა, რათა საკუთარ სახლში გადაეყვანათ, რადგან ეშინოდა, არ გამჟღავნებულიყო მისი გრძნობა. აი, საამრიგო ტაეპები:

ვთქვი, თუ: „ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯა ჩემი შეისმინე, მომეც ძალი დათმობისა, ცოტად ვითა აღმადგინე, აქა ყოფა გამამჟღავნებს, სახლსა ჩემსა მიმანინე!“

მაშასადამე, პროლოგში გამოთქმული ზოგადი იდეა კონკრეტულად ხორციელდება პოემაში. მაშ, პროლოგის ტაეპი და პოემა ამ მხრივ ერთიანია.

რაინდი სხვა დროსაც ცდილობს დამალოს თავისი გულის მურაზის ვინაობა და, საერთოდ, სიყვარულის ამბავი.

ახლა ვნახოთ, ამ მხრივ რასა სჩადის ავთანდილი.

ისიც ტარიელისამებრ ირჯება, ცდილობს სიყვარული დამალოს, საკუთარ თავს ასე არიგებს:

მაგრა დამალე, არ გაჩნდეს შენი ცეცხლისა კვლა დება, ავად შეჭფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება!

და ასეა სხვა დროსაც.

მაშასადამე, ყალბი, რიოში, უსაგნო და უნიადაგო გამოდგა გიორგი არაბულის ერთი დებულება.

მეორეც, პროლოგის მიხედვით, ამაოდ და ტყუილუბრალოდ, უაზროდ არ უნდა გაჰკიოდეს შეყვარებული „ჰაისა“ და „ჰუის“ და ამით სატრფოს სახელს უტეხდესო.

სწორედ ასე ირჯებიან რაინდები: საზოგადოებაში ყოფნისას ისინი ცდილობენ ჰაი-ჰუი არ იძახონ, ხოლო ტყეში და ველზე ყოფნისას, სადაც არავინაა შემსწრე, კიდევ ოხრავენ და კიდევ ავლენენ თავიანთ გრძნობებს. ამის მაგალითებით სავსეა პოემა. ორივე შეყვარებული ზედმინევნით ასრულებს პროლოგის მოთხოვნას: „არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს“. თვით ავთანდილის გულის მესაიდუმლე შერმადინმაც კი მხოლოდ მაშინ გაიგო პატრონის სიყვარულის ამბავი, როცა უცხო მოყმის საძებრად წასვლის მიზეზი ამცნო სპასპეტმა. აი, როგორ მალავდა ჭაბუკი თავის გრძნობას.

მესამეც, პროლოგის მომდევნო მოთხოვნა ასეთია: „**მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს**“.

განა ნესტანის ჭირი (ათნლიანი ტყვეობა) საკუთარ ჭირად არ გაიხადა ამირბარმა? განა ამ ათი წლის განმავლობაში გამალებული არ დაეძებდა დაკარგულს? განა მისთვის ცეცხლი არ მოიღო?

იგივე ითქმის ავთანდილზე: განა სატრფოს დავალებით არ იხადილა და იტანჯა სამი წლის განმავლობაში? და მარტო სამი წელი? მეოთხეც ხომ გაატარა ტყეში, ღრეში, შიშსა და ფეთებაში? იქით ტყის მხეცებს იგერიებდა, აქეთ ზღვის ყაჩაღებს ებრძოდა და ამ დროს კიდევაც დაიჭრა! შემდეგ ჭაშნაგირის სისხლიც კისრად იღო და ა.შ.

ამრიგად, სრულიად აცდენილია სიმართლეს გ. არაბულის იდეა.

ერთსაც დავძენდი: გ. არაბულმა დაბეჭდა სხვა სტატია, რომელშიც ამ სტროფს იმისთვისაც იწუნებდა, რომ ტერმინ **მიჯნურს** აქ გვიანდელი ტერმინი **მოყვარე** ენაცვლებო.

მე დავსტამბე სტატია, სადაც ვუჩვენე, რომ გ. არაბულს ნაკითხულიც კი არ აქვს პოემის წინამორბედი ტექსტები. კერძოდ, მას წარმოდგენაც არა ჰქონია, რომ „ვისრამიანში“ ერთმანეთს წამდაუნუმ ენაცვლება **მიჯნური** და **მოყვარე, საყვარელი** და **სამიჯნურო** (იხ. რუსთველოლოგიური კრიტიკა, I).

აი, ასეთი მკვლევარი გვიდგენს პოემის ავთენ-

ტიკურ ტექსტს, აი, ასეთი არაკომპეტენტური პირი იკავებდა ტექსტის დამდგენ კომისიაში ჩემს ადგილს”.

საცილობლად გამოიტანეს სტროფი „ბალჩა ვნახე უტურფესი”.

იქვე დასტამბულია კომენტარები: „ა. გვახარია: ამ სტროფს ა. ჭინჭარაული გვიანდელ ჩანართად თვლის. მეც მიმაჩნია, რომ მისი არგუმენტები ანგარიშგასაწევია.

გ. არაბული: სტროფს სიყალბის ნიშნები აქვს. მას თუ არ ამოვიღებთ, მაშინ ძირითად ტექსტში უნდა შევიტანოთ ნუსხებში მისი მიმყოფი სტროფი: „ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი...”, თორემ მართლაც კურიოზული სიტუაცია იქმნება (იხ. მ. თავდიშვილი 1991, 163).

გ. კარტოზია: კიდევ შევაჯეროთ ერთმანეთთან ა. ჭინჭარაულისა და მ. თავდიშვილის არგუმენტები და შემდეგ გადავწყვიტოთ საკითხი“ (II, 279).

ბაასის თავადი მ. თავდიშვილი: „გ. არაბულს მხედველობაში აქვს ჩემი წერილი „აბანოში რა გინდოდათ?!“ (იხ. რუსთველოლოგიური კრიტიკა, I), ოღონდ ამჟამინდელი ჩემი სათქმელი სხვაა. მუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა გ. კარტოზიასადმი, უნდა ვკადრო: ბ-ნო გურამ, არა გრცხვენიათ, ჭინჭარაულს რომ მაღარებთ? შეიძლება ერთურთს

შეადარო 3 და 5 (ისიც მაშინ, თუ ხუთი მე ვარ),
ოღონდ ერთმანეთს როგორ უნდა შეატოლო 3 და
30 (ანუ მე)?

ენათმეცნიერი ალ. ჭინჭარაული თვით თავის-
სავე სფეროში, გრამატიკაში, არაერთხელ გამომი-
ჭერია. მან ენობრივი ნორმებიც კი არ იცოდა ჯე-
როვნად (იხ. რუსთველოლოგიური კრიტიკა, I) და
რუსთველოლოგიის რთულ ლაბირინთებში ხომ
ბალღვით იბნეოდა. არც ერთ მის რუსთველოლო-
გიურ სტატიაში არ იხილვის ფირდოუსის, ნიზამის,
ონსორის დამონშება; არსად არ გამოუყენებია
რუსთველამდელი ლიტერატურის ენობრივი მონა-
ცემები („ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“); აღა-
რაფერს ვამბობ კრეტიენ დე ტრუასა და სხვა ევ-
როპელ ავტორებზე. ცნობილი აქსიომაა: გრამატი-
კა უნიჭოთა თავშესაფარია და ამ თავშესაფრის ბი-
ნადრებში უკეთ გამოიყურებოდა ალ. ჭინჭარაული.
„განა რითა, ძმანო?“ იმით, რომ წერდა მახვილ კა-
ლამბურებს და იცოდა ხევსურული დიალექტი;
გრამატიკიდან – ზოგიერთი კატეგორია, თუმცა
არა ვარ დარწმუნებული, შეძლებოდა საშუალ-ვნე-
ბითი გვარის ზმნის საშუალ-მოქმედებითისაგან
გარჩევა. მაინც უკეთეს შედეგს რუსთველოლოგია-
ში მაშინ მიაღწია, როდესაც პოემის ცალკეულ ლექ-
სიკურ ერთეულებს იკვლევდა. ამ მხრივ ნიმუშად

უნდა დავასახელო პოემისეული **ჭერი**. მომყავს კონტექსტი:

ავთანდილ მჭვრეტთა აშვენებს ტურფითა აერ-ფერთა,
მელნისა ტბათა მიჯარვით ჰბურავს **გიშრისა ჭერთა**.

სპასპეტის მელნის ტბებს = შავ თვალებს ზევი-
დან ეხურებაო **გიშრის ჭერი**. ბარელთათვის გაურ-
კვეველი ჭერი დიდებულად ახსნა მთიელმა ჭინჭა-
რაულმა – ეს არისო **გიშრის წამნამები**, ოლონდ მე-
ტაფორა **ჭერი** ნიშნავსო მორებს, გათლილ ლატ-
ნებს; ძველად თურმე ჭერს აკეთებდნენ ხის წვრილ-
წვრილი მორებით და არა ფიცრებით. ეს გაგება
ხევსურულში დღესაც შენარჩუნებული ყოფილა.
ასე რომ, სრული შესაძლებელია **ხელის თითებზე**
მეტაფორულად ასე ვთქვათ – **ხელის ჭერი**. ამიტო-
მაცაა, პოემის სხვა ადგილას კიდევაც გვხვდება **ხე-
ლის ჭერი**:

ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს ხმითა შვენიერთა,
ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხოვს **ბროლისა**
ჭერთა.

„ვთარგმნი“ მეორე ტაეპს: მტირალი ავთანდი-
ლი სიმწრისაგან ყორანს, ანუ კუნაპეტ შავ თმას,
ხშირად იგლეჯს და იწენავს **ბროლის ჭერთ**, ანუ

თეთრი, ფითქინა თითებით. ერთურთს მიწყობილი
თეთრი თითები – ბროლის ქერი!

თუ არა ალექსი ჭინჭარაული, ამ ამოცანას ან
საერთოდ ვერ გადავწყვეტდით, ან გადავჭრიდით
მეტისმეტად გვიან. მაინც ჭინჭარაულს არ ეყო ნი-
ჭი, საკითხი ბოლომდე გაერკვია. ამას ვაკეთებ მე:

ხელის ხუთი თითის **ქერად** წარმოდგენამ წარ-
მოშვა ზმნა **ვიჭერ** (ჭერა). **ვიჭერ** გულისხმობს **თი-
თის ქერით** (თითის ხუთი ლატნით) რაღაც საგნის
დაკავებას, დაჭერას, შეკავებას.

რა თქმა უნდა, დაჭერა მხოლოდ ხელით შეიძლე-
ბა, რაკილა ადამიანს არავითარი სხვა ისეთი ორგანო
არ მოეპოვება, მით რაიმე დაიკავოს, დაიჭიროს.

ამრიგად, **ჭერმა** წარმოშვა ზმნა **ვიჭერ**: ჭერი
→ ჭერა, დაჭერა, შემოჭერა, გადაჭერა...

ვიმეორებ, რათა არავის არაფერი შეეშალოს:
მკვლევარ ალ. ჭინჭარაულს ზოგი რამ დაეჯერება
ლექსიკის სფეროში, არაფერი დაეჯერება პოეტური
ტექსტის დეფინიციისა და დადგენის ასპარეზზე”.

საცილობელი გახდა ფრაზა „ოფლნი ქვე
მკრდამდის ჩადიან”.

კომენტარი: „ბ. ბრეგვაძეს და თ. ცქიტიშვილს
უკეთესად მიაჩნიათ **მკერდამდის** ვარიანტი, ქვეს
ფუნქცია აქ გაურკვეველიაო.

გ. კარტოზია: **მკერდამდის** მიღებულია უფრო ძველი ნაკითხვის (ქვე მკრდამდის) გამარტივების გზით, პირუკუ პროცესი კი მოსალოდნელი არაა. ამიტომ უნდა დარჩეს „ქვე მკრდამდის“ (II, 287).

გაბაასების ორგანიზატორი: „კომენტირებისას მკვლევრები ყველაფერზე მსჯელობენ, ოღონდ არას ამბობენ რუსთველის წინარე ლიტერატურის მონაცემებზე. არადა უეჭველია: პოემის ავტორის სიტყვიერი სალარო და საწყობია ის ტექსტები, რომლებზედაც იგი გაიზარდა. ახლა კი ვნახოთ, ეს და მისი მსგავსი ფორმები რა სახითაა წარმოდგენილი „ამირანდარეჯანიანში“.

რატომ მაინცადამაინც ეს თხზულება?

საქმე ისაა, რომ სარაინდო რომანში ბევრგან გვხვდება გმირის სიძლიერის ჩვენება, თუ ვით ჩაკვეთს ხოლმე ის მოწინააღმდეგეს თავიდან მკერდამდე.

მართლაც, მოსე ხონელის თხზულებაში ამის არაერთი შემთხვევაა აღწერილი. აქვე შევნიშნავ: ყველგან არის **მკერდამდის** და არც ერთხელ – **ქვე მკრდამდის**. აგერ მაგალითები:

1. „ჰკრა ჩაბალახსა ზედა ხრმალი და **გულამდის** ჩაჰკვეთა“ (2, 299);

2. „შემოუტივა, ჰკრა ხრმალი ჩაბალახსა ზედა, **ყელამდის** ჩაკვეთა და ფიცხლად მოკლა“ (2, 359);

3. „ჩაბალახსა ზედა ხრმალი ვკარ და... **მკერდამდის** ჩავკვეთე და მოვკალ“ (2, 410);

4. „ფიცხლა შეუტივა ცხენი და ჰკრა ჩაბალახსა მისსა ზედა ხრმალი... **მკერდამდის** ჩაჰკვეთა და მოკლა“ (2, 434);

5. „**წელიწდამდის** ლამოდა დაჭირვასა“ (2, 442);

6. „ჰკრა ხრმალი ჩაბალახსა ზედა და... **წელამდისი** ჩაჰკვეთა“ (2, 446);

7. „ჰკრა ხრმალი ჩაბალახსა ზედა და **მკერდამდის** ჩაჰკვეთა და მოკლა“ (2, 493);

8. „ჰკრა დარეჯანისძემან ჩაბალახსა ზედა ხრმალი და **მკერდამდის** ჩაჰკვეთა და მოკლა ბალხამ ყამისძე“ (2, 505).

ამრიგად, პოემაშიც უნდა იყოს ფორმით მსუბუქი და უფრო პოეტური **მკერდამდის** და არა უშნო, უსახური, მძიმე და მოუხეშავი **ქვე მკერდამდის**. ეს მძიმე ფორმა არ ჩანს პროზაში და მით უფრო მიუღებელია ეგ ენის გასატეხი პოეზიაში!

აი, რა კეთილად გვემსახურება რუსთველის სიტყვიერი მარაგის სალარო-საწყობის ადგილმდებარეობის ცოდნა!”

საკამათოდ და საცილოდ გამოტანილია სტრიქონები:

სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის:
გილიზლებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,
მართ ანაზდად გილალატებს, გაჰკვეთს, რასცა დაესობის,
მით დიაცსა სამალავი არას თანა არ ეთხრობის.

კომენტარი გ. არაბულისა: „მე ეს სტროფიც ჩანართად მიმაჩნია. მისი მორალისტურ-დიდაქტიკური თვალსაზრისი ზოგადად ქალის შესახებ შეუძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ეკუთვნოდეს“. რედაქციის წევრებმა არ გაიზიარეს ეს აზრი და ეგ ლექსი დარჩა პოემაში“ (II, 287-288).

გვებაახება მ. თავდიშვილი: „რედაქციის წევრებს არ გაუზიარებიათ გ.არაბულის აზრი, რადგან ეგ მუშაკი პოემიდან ნახევარ ტექსტს მაინც აძევებს. მას, როგორც ხევსურს, სწადია პოემა-ეპოპეა ხევსურული ბალადის მოცულობაზე დაიყვანოს. როგორცა ჩანს, ბოლოს რედაქციის წევრები მაინც მიხვდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე და გ. არაბულის არც ერთი რჩევა აღარ გაუთვალისწინებიათ.

ასეც უნდა მომხდარიყო – ამას ადრევე უნდა მიმხვდარიყვნენ. მე ხომ მივხვდი? მე, რა თქმა უნდა, კომისიის წევრებს ჩემსავით სხარტ აზროვნებასა და მყისიერ მიხვედრილობას ვერ მოვთხოვ. იმაზედაც გმადლობ, უფალო, რომ ბოლოს მაინც მიხვდნენ!

ახლა ამ უბადრუკ კომენტარს დავურიალოთ.

ასე უარყოფითი თვალსაზრისი ქალის შესახებ შეუძლებელია ავტორს მივანეროთო, – არაბულმა.

მას ერთი რამ ავიწყდება და მეორე რამ, რაც უმნიშვნელოვანესია, არ იცის.

რა ავიწყდება?

ავიწყდება ის, რომ აქ **ქალი** კი არაა გატრიზა-ვებული, არამედ **დიაცი**, ხოლო **დიაცსა** და **ქალს** შორის, აკად. აღ. ბარამიძის აზრით, დიდი მანძილია! აკად. აღ. ბარამიძე პოემაში ცალკე გამოყოფს ე.წ. **დიაცურ სიყვარულს** და მასზე საგანგებოდ მსჯელობს.

ახლა კი იმის თაობაზე, რაც არაბულმა არ იცის და არც არასოდეს სცოდნია – ის საერთოდ არ იყენებს „შაჰ-ნამეს“ მონაცემებს.

არადა ქართული ეპოპეის ბევრ ადგილს ბრწყინვალედ ხსნის და განმარტავს ფირდოუსის ქმნილება. ზუსტად რუსთველისდარად კიცხავს სპარსელი გენიოსი დიაცურ ბუნებასა და სიყვარულს.

ფირდოუსის პერსონაჟი ბეჟანი აცხადებს: **ხომ ვიცით, რომ დიაცის ენას ძვალი არ აქვს** (3, 5434). სწორედ ამასვე იმეორებს ავთანდილი, როცა ფატმანის (დიაცის) სასიყვარულო უსტარს მიიღებს: „დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა... რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს

სრულსა”. სხვათა შორის, მსგავსი აზრი დიაცზე სხვაგანაც გამოუთქვამს სპასპეტს. ანდერძში იგი აცხადებს: „კაცი ჯაბანი რითა სჯობს **დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?**“

ახლა კი რას იტყვის გ. არაბული?

ფირდოუსის ზედმინვენით მცოდნე რუსთველსაც რომ გამოეხატა სპარსელი მასწავლებლისა და წინამორბედის მსგავსი იდეა, არ შეიძლებოდა? იქნებ ფირდოუსი რუსთველზე ნაკლებ ფიგურად წარმოუდგენია ჩვენს დაბდურ მკვლევარს?!

აი, რამდენ ფათერაკს შეგყრის უნიჭობა, თუ მას ზედ სიბრყვეც (უნიგნურობა) დაერთვის”.

სამსჯელოდ გამოიტანეს პოეტური აბზაცი:

**უსენ მივიდა, ხელმწიფე დახვდა ნადიმად მჯდომელი –
უსენ არიფი მეფისა, მეფეცა მისი მნდომელი –
წინა მიისვა, შეიძღვნა, ძღვენი მიართვა რომელი.
ან ჰნახო მთრვალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, ჰრომელი.**

ბოლო ტაეპის სულ ბოლო სიტყვად ზოგ ხელნაწერშია **მსწრომელი**, ზოგშიც – **მცთომელი**, არის **მსტრომელიც**.

ბოლოს დატოვეს მსწრომელი (მეტიჩარა, ენაჭარტალა) (II, 289).

გაბაასების თავადი: „ყველაფრიდან ჩანს, ბოლო სიტყვად მჯდარა **რომელი**. გადამწერლებს შე-

უნიშნავთ: III ტაეპის რითმა **რომელი** პირწმინდად მეორდება IV სტრიქონის ბოლოსაც – **რომელი**. გადამწერლები ცდილან ამ „ხარვეზის“ გამოსწორებას. რაკილა III ტაეპში „რომელი“ მკაფიო და გასაგებია, ხოლო მეოთხის **რომელი** გაურკვეველი და ბუნდოვანი, ამიტომაც ამ „გაურკვეველსა“ და „ბუნდოვანს“ დაუნყეს შესწორება. ერთ ვარიანტში გვაქვს ასეთი ფორმაც კი – **ჰრომელი**, ანუ **რომაელი**. ერთი სიტყვით, მივედით აბსურდამდე. ამ ჩიხიდან ბრწყინვალედ გამოგვიყვანა ჩემმა დაუფინყარმა მეგობარმა როლანდ ბერიძემ. რა ოსტატობითაც გაარკვია მან „ყმანვილი ბრძენის“ საიდუმლო, იმგვარივე ოსტატობით გაგვირკვია ეს საიდუმლოც. „რას ვაგრძელებდე!“ ვიტყვი მოკლედ: თურმე არც კონიექტურაა საჭირო და არც სიტყვათა გადასმადმოსმა, არც ბგერათკომპლექსის **რომელი** შეცვლა **მსწრომელი**, **მცთომელი** და მსგავსი ფორმებით. მაშ, **რომელი** III ტაეპის რითმაც არის და IV ტაეპისაც, ოღონდ ამ უკანასკნელის **რომელი** ყოფილა არა ერთი, არამედ ორი სიტყვა → **რო მელი**. ახლა რასა ნიშნავს **რო მელი**? **რო მელი** იგივეა, რაც **როგორც მელი**, **ვითა მელი**, **მელივით**, **მელის მსგავსად**, **მელიასამებრ**...

ამრიგად, აქ ჩვენა გვექონია შედარება: **ვითა მელი**. ფორმის „**როგორც**“ ელიზირებული, შეკვეცილი

ფორმები ქართულში ცნობილია, ხოლო მთის დიალექტებში დღესაც მოქმედებს. ჩანერილია არაერთი ფშაური და ხევსურული ლექსი, რომლებშიც გვხვდება შედარება **რო მელი**, ანუ **რო(გორც) მელი**.

აი, რანაირად უნდა „ითარგმნოს“ მეოთხე ტაეპი: „ან ჰნახო მთრვალი ვაჭარი, ცქაფი, უნრფელი, რო მელი“ = ახლა კი ნახეთ მთვრალი ვაჭარი, ცქაფი და უნრფელო, როგორც მელია!

ჩემმა მეგობარმა როლანდ ბერიძემ მთელი კომისია პირში ჩალაგამოვლებული დატოვა, რითაც მე ფრიად და ფრიად გამახარა. ისიც დიდად მეამაყება, რომ პირველად ფორმა **რო მელი** ჩემი რედაქციით გამოსულ „ვეფხისტყაოსანშია“ აჟღერებული (იხ. „ვეფხისტყაოსანი“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 239, სტროფი 1202).

როლანდ ბერიძის ბრწყინვალე მიგნების შემდეგ განსაკუთრებით ყურადღებით გადავათვალიერე რუსთველის დიდი მეგობრისა და სულიერი ნინაპრის ფირდოუსის „შაჰ-ნამე“.

აღმოჩნდა, რომ მელისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ზუსტად რუსთველისნაირად არის გამოსატყულები სპარსულ ეპოპეაშიც. საგულისხმოა: „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიებიც გვიდასტურებს,

რომ სარითმო სიტყვად იქაც გამოუყენებიათ „როგორც მელი“, თანაც უარყოფითი კონტექსტით:

მათ უჯობთ, აწვე წავიდენ, ვით გაიპარონ მელია (838, 4).

ვხედავთ: გაიპარონ ვით (რო) მელიაო!

სხვაგან ვკითხულობთ:

შეშინდეს და გარდიხვენეს, დაემსგავსენ მისგან მელსა (2806, 4).

მესამეგან ასეთი ვითარებაა:

ცხენსა შესვეს, გარდიხვენა, გაიპარა ვითა მელი (545, 4).

აქაც „ვითა მელი“ ზუსტად ის არის, რაც „რო მელი“ (როგორც მელი).

კიდევ ერთგანაა: „ჩამოაგდო ვითა მელი“ (2276).

ახლა „შაჰ-ნამეს“ რუსული თარგმანი გავსინჯოთ. ერთგან ვკითხულობთ: „განა მელზე მშიშრები ვართ? (3, სტრ. 648). იგივეა სხვაგანაც (ტ. 3, 3641).

ათობით მაგალითიდან კიდევ ერთს დავასახელებ: ერთგან დახატულია მოღალატე და მშიშარა შეგადი, რომელმაც ვერაგულად მოაკვლევინა როსტომ-გმირი. იგი შეპირისპირებულია მძლეველთან: შეგადი „საძაგელი მელია, როსტომი – ამაყი ლომი“ (4, 10293). საგულისხმოა რუსთველური შეპირისპირებაც. ფატმანი, როგორც ქალი, ერთმა-

ნეთს ადარებს თავის ქმარს, პირისგამტეხ უსენს, და სიტყვის ერთგულ ავთანდილს. დიაცის თვალთახედვით, ავთანდილი ლომია, მისი ქმარი კი – მშიშარა, უწრფელი, ფლიდი და საზიზღარი მელი. სხვათა შორის, მელა ფლიდ, უპირო არსებად წარმოუსახავს სომეხ ფავსტუს ბუზანდაცს. სპარსეთის მეფე რისხვით მიმართავს ვასაკ მამიკონიანს: „აჰ, შე მელო, შენა!“ (სომხეთის ისტორია, 1953, გვ. 130). და, ბოლოს, რაღა შორს გავიჭრეთ, იქვე, „ვეფხისტყაოსანშია“ – როსტევანის მიერ გალახულ-გათრეული სოგრატ ვეზირი პატრონის კაბინეტიდან „გამოდრნა და გამომელდა“.

მხატვარო, ძმაო ზალიკო, – ერთადერთი ხარ, რომელი, აქ კომისია დახატე, ფლიდი, მზაკვარი, რო მელი!



სამსჯელ-საცილობლად გამოიტანეს პოეტური
აბზაცი:

მუნ ატირდეს ყველაკანი, რა ტირილად იგი ნახეს,
რაცა ვისცა დაჰკლებოდა, მათ ტირილით,
სულთქემით ახეს;
დადუმდეს და მოახსენეს: „რათგან ბრძენთა მზეებრ
გსახეს,
თქვენთა მჭვრეტთა მღერა ჰმართებს, რასათვისმცა
ივაგლახეს!“

ამ პოეტურ მონაკვეთს ახლავს მინანერი: „კომენტარში აღინიშნოს, რომ ალ. ჭინჭარაულს ჩანართად მიაჩნია“ (II, 296).

მ. თავდიშვილი: „ყოველივე ეს კარგი, მაგრამ იქვე არაა აღნიშნული, რომ ენათმეცნიერის ამ ტიპის მოსაზრებები ხელის ერთი დაკვრით გაანადგურა და ქარსა და ნიავს გაატანა მ. თავდიშვილმა (იხ. „რუსთველოლოგიური კრიტიკა“, I, გვ. 325; 333-349; 354-355; 406, 420, 489, 536-539; 545; 551-570; 575-579, 581-583; 694-697; 701-709).

კონკრეტულად ამ პასაჟზე ზოგ რასმე მაინც ვიტყვი: ჯერ ერთი, ყველა ტერმინი, გამოთქმა, ნიუანსი, სიტყვის მიმოხრა რუსთველურია. კერძოდ, რუსთველურია „ყველაკანი“, „ტირილად ნახეს“, „რაცა ვისცა დაჰკლებოდა“, „სულთქემით ახეს“,

„მზეებზე გსახეს“, „თქვენთა მჭვრეტთა“, „რასათვისმცა ივაგლახეს!“

გარდა ამისა, სწორედ ამ სტროფშია გამოხატული ჩემ მიერ პოემაში დადასტურებული „თანალმობის კანონზომიერება“. დიდი ინდოეთის ხელმწიფე ატირდა და მის ირგვლივ მყოფნიც უნდა ატირებულიყვნენ (ამის თაობაზე ჯერ კიდევ 1988-1991 წლებში ვწერდი. იხ. „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, 1991, თავი „თანალმობა ძველ საქართველოსა და ვეფხისტყაოსანში“).

ალ. ჭინჭარაული და გ. არაბული ვერ ხედავენ, ოღონდ მე, როგორც რუსთველის მამასა და პატრონს, არ შემეფერება ვერ ვხედავდე პოეტის მკაცრ კანონს, რომელიც პოემაში უკლებლივ ყველა შემთხვევაში ტარდება: **თუ ერთი ტირის, მას თანალმობას უცხადებს მეორე**. ეს წესი, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო დიდი ძალითა და ემოციურობით სრულდება მაშინ, თუ ტირის ხელმწიფე და ირგვლივ იმყოფებიან მისი ქვეშევრდომები.

სხვათა შორის, „თანალმობის კანონი“ მოქმედებს იმ რომანში, რომელზედაც აღზრდილია რუსთველი. ეს გახლავთ „ამირანდარეჯანიანი“. მრავალთაგან მოვიყვან ერთ მაგალითს: „ჯერეთ ატირდა კაცი იგი, პირსა ხელნი იკრნა. ატირდა ამირანდარეჯანისძეცა. და ჩვენ ყველანი ავტირდით,

ძნელად დაგვიმძიმდა. და დიდი ხანი ვიტირეთ“
(2, 487).

მეგობარ მკითხველსა ვთხოვ: ამ თვალთახედ-
ვით კიდევ ერთხელ გადაიკითხოს პოემა და, თუ ჩემ
მიერ მიგნებული „თანალმობის კანონი“ ერთხელ
მანც სადმე გატყდება, სახალხოდ ბოდიშს მოვიხ-
დი და რუსთველოლოგიურ საკითხებზე მეტად
კრინტსაც აღარ დავძრავ”.

„საკამათებლად“ გახადეს პოეტური მონაკვეთი:

სრულნი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხალოდიან:
„თქვენგან გვჭირს კარგი ყველაი“, – მართ ამას

მოიტყოდინან,
ვითა პატრონსა სჭვრეტდიან, რაც სწადდის, მას იქმოდინან,
სადარბაზებლად ნიადაგ მათ წინა მოვიდოდინან.

პროექტი ამ სახით მიიღეს და დაამტკიცეს (II,
249).

გაბაასების თავადს სულ სხვა აზრი აქვს: „შე-
უძლებელია, რუსთველს ავთანდილი და ფრიდონი
ოდენ **მწედ, შემწედ** გამოეყვანა. მეტად კნინი ეპი-
თეტია ამ ორი რაინდისათვის **შემწეობა**, როცა მათ
ფაქტობრივად გადაარჩინეს არა მარტო ტარიელი
და მისი ცოლი, არამედ მთელი ინდოეთი. ეგ შეფა-
სება კიდევაც გაცხადდა ინდოელ დიდებულთა
მხრიდან – **თქვენგან გვჭირს კარგი ყველაიო**. მაშ,

აღნიშნულ კონტექსტში ძალიან სუსტი, უბადრუკი და ფერმკრთალია სიტყვა **მწედ**. არადა ქართველ კაცს აქვს ამ შემთხვევისათვის ზედმინევნით შესაფერისი მძლავრი და აღმატებითი სიტყვა. კეთილისმყოფელს იგი ეუბნება: **შენ ჩემი ღმერთი ხარო! როგორ ღმერთივით გამომეცხადეო!** და ა.შ.

ახლა კი შევათვალეოთ ხელნაწერული მემკვიდრეობა, რომელსაც ჩვენი სწავლულნი ჯეროვნად ვერ იყენებენ. საუკეთესო ხელნაწერებში (A B E K L U X) წერია **ღმრთად**: „სრულნი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს **ღმრთად** ხადოდიან”.

აი, ამ შემთხვევაში რაინდების ღვანლი ჯეროვნად შეფასდა!

ნუ დაგვავიწყდება, რომ წინ გვიდევს მხატვრული ნაწარმოები, რომლის ავტორიც გამოჯანდრული ჰიპერბოლისტია.

მითითებული სტროფის გამოთქმა **ღმრთად** მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ეპილოგის ერთ ადგილთან, სადაც დავით სოსლანის ქებაა წარმოდგენილი:

ქართველთა **ღმრთისა** დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად.

ტაეპის „თარგმანი“ ასეთ სახეს მიიღებს: ქართველთა ღმერთია დავით სოსლანი, რომელსაც მზე

(თამარ მეფე) თავს დასტრიალებს და დაჰგურგურებს.

ნამდვილად იყო დრო, როცა დავით სოსლანს **ქართველთა ღმერთს** უწოდებდნენ იმ დიდი ღვან-ლისათვის, რომელიც მან ეროვნულ საქმეებს დასდო (არაერთი ომის მოგება და ლაშა-გიორგის მოვლინება).

როგორც **დავითს** ხადოდიან ქართველნი **ღმრთად**, სწორედ ისე „სრულნი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს **ღმრთად** ხადოდიან”.

სხვათა შორის, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ დავით სოსლანიც, ავთანდილიცა და ფრიდონიც არიან მეფენი, ხელმწიფენი, ხოლო, პოემის მიხედვით, ხელმწიფე გახლავთ „ღმრთისა სწორი”, რაკილა „მისგან (ღვთისგან) არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერიტა”, ანუ **ყოველი ხელმწიფე ღვთის სახე და ხატია დედამინაზე**.

ამ ლოგიკითაც კი ინდოელთ ავთანდილ-ფრიდონისათვის ღმერთი უნდა ეწოდებინათ.

ამრიგად, ტექსტიდან უნდა ამოვარდეს უფერული და უღიმღამო **მწედ** და ჩაენაცვლოს მას ღონიერი და ამაღლებული **ღმრთად!**

აღნიშნულის თაობაზე გამონვლილვითი მსჯელობა იხილეთ წიგნში „ფირდოუსი და რუსთველი”, გვ. 91-92, სადაც იმის მაგალითიცაა მოყვანილი,

თუ „შაჰ-ნამეში“ ვითარ უწოდებენ გამოჩენილ გმირს **ღმერთს**. აქედან გამომდინარე, ჩემი თვალთახედვით, წამოჭრილი თემა უკუღმეა დანახული სხვაგანაც, სადაც წერია ასეთი რამ: **„ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე მსახურებს სარებლად**. გ. კარტოზია: ამ პუნქტუაციით ჩვენი გამოცემის რედაქცია იზიარებს ნ. ნათაძის განმარტებას, რომ „ქართველთა ღმერთში“ იგულისხმება თამარ მეფე, რომელსაც დავით სოსლანის მზე (=სიცოცხლე და მეომრული ღირსება) ემსახურება ბრძოლა-ლაშქრობაში“ (II, 302).

როგორცა ვხედავთ, ჩახლართულ-ჩაბალასინებულია როგორც პუნქტუაცია, ისე კომენტარი”.

სამსჯელოდ გახადეს პოეტური აბზაცი:

**იმა ლაშქართა უნახვან კვლა ხრმალთა ჩემთა კვეთანი;
ერთხელ შემეზნეს, დავხოცენ, შევქმენ აბჯართა ფეთანი.**

პროფ. ალ. გვახარია ბრძანა: **ფეთანი** ხომ არ შეეცვალოთ სიტყვით **ფლეთანი**? რაზედაც გ. კარტოზიამ უპასუხა: „**ფეთა** უფრო ძველი სიტყვაა... რაკილა ხელნაწერებში **ფეთანი** იკითხება... დარჩეს ეს ფორმა“ (II, 300).

მ. თავდიშვილი: „ძველად, თითქმის XVII საუკუნემდეც კი, ჩვეულებრივი იყო ფორმა **ფეთა, ფეთანი**. ზედმეტი ასო-ბგერა „ლ“ სიტყვაში ჩაემატა

ძალიან გვიან. ამ მოვლენას სამეცნიერო ენაზე ეწოდება „ენტეზისი“ – ბგერის ჩამატება.

ცნება **ფეთა** ძირისძირობამდე გამოიკვლია ჩემმა მეგობარმა რ. ბერიძემ. მან უამრავი მაგალითი მოიყვანა მთის ხალხური შემოქმედებიდან, სადაც მხოლოდ **ფეთა** და **ფეთანი** იხმარება და არა **ფლეთა** და **ფლეთანი**.

ამრიგად, მხოლოდ **ფეთანი** და არავითარ შემთხვევაში **ფლეთანი!**”

სამსჯელოდ გახადეს ვითარება ქვაბოვანში:

**წვადი შეიწვეს, შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა,
მუნ უპურობა პურობა, არ-სილიადე ჯამისა.**

კომენტარები ასეა წარმოდგენილი: ც. კიკვიძე – იქ ნადიმობა არ იყო, მაგრამ პურის ჭამა იყო, სასმისები ცოტა ჰქონდათ; ი. გიგინეიშვილი: იქ იყო უპურობა, არ იყო ჯამის სიმრავლე, მაგრამ იყო პურობა; ალ. ბარამიძე: **უპურობა პურობა** უპურო პურობას ნიშნავს; გ. კარტოზია: **უპურობა პურობა** ფრაზეოლოგიზმი ჩანს (=არანამდვილი პურობა); ს. ცაიშვილი: პურობა პურობას არ ჰგავდა და არც სასმისთა სიმრავლე იყო; შ. ძიძიგური და ე. მეტრეველი: ჭამდნენ, მაგრამ პურს არა, არც სასმელი ჰქონდათო (1, 301).

სიტყვას ითხოვს **გაბაასების ინიციატორი:**

„ვხედავთ: ამდენი პროფესორი და აკადემიკოსი უბრალო, არცთუ ისე ძნელად გასაგები ადგილის გაგებაში ვერ შეთანხმდნენ. კიდევ უფრო საგულისხმო ისაა, რომ არ ძალუძთ და არც აგონდებათ გამოიყენონ „შაჰ-ნამეს“ მონაცემები. იქნებ იმ ეპოპეაშიც არის მსგავსი სიტუაცია აღწერილი?

მე რომ კომისიის თუნდაც უბრალო წევრი ვყოფილიყავი, ზუსტად იმას განვაცხადებდი, რაც ვთქვი წიგნში „ფირდოუსი და რუსთველი“, 2009, გვ. 114:

„ავთანდილი, ტარიელი, ასმათი ქვაბში არიან. მწვადი შეწვეს, ოღონდ იქ, აბა, პური საიდანღა ექნებოდათ? ამიტომაც წერს რუსთველი:

**წვადი შეიწვეს, შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა,
მუნ უპურობა პურობა, არ-სილიადე ჯამისა.**

უპურობა პურობა არა მარტო ლამაზი ვერბალური ალიტერაციაა, არამედ სიტუაციის ზუსტად გამომხატველი სინტაგმა და იგი გვხვდება „შაჰ-ნამეშიც“. ხოსრო მეფე თავის მხლებლებთან ერთად უდაბნოზე გადადის, ხალხი დაიღალა და დაიმშა. არაფერი მოეძევათ. უცებ ქარავანს გადაეყარნენ. მექარავნე თაზიელმა (არაბმა) მსუქანი კურატი უფეშქაშა. პოემაში ვკითხულობთ: „შეიწვა მწვადი, დროა პურობისა, მუნ უპურო პურობას შეუდგა

ამალა“ (6, 16509-10). ეს სიტყვები ბანუ ლაჰუთიმ რუსულად ასე გადმოიტანა:

**Зажарено мясо, пора пировать,
Без хлеба за снесь принимается знать.**
(„შაჰ-ნამე“, VI, მოსკოვი, 1989, გვ. 365)

აი, რა ელეგანტურად და მარჯვედ გადავჭრიდი პრობლემას მე, ყადივით წამოსკუპებული, ტექსტის დამდგენ კომისიაში”.

სამსჯელოდ გამოიტანეს მონაკვეთი:

**ან მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რათ მოგეხმარები?
ვარჩევ, წავიდეთ არაბეთს, იყავ ჩემიცა მარები!
ტკბილი სიტყვითა გავმართოთ და ხმლითა – საომარები,
თუ შენ შენს ცოლსა არ შეგერთავ, მე ჩემსა არ ვეჭმარები.**

გაიმართა კამათი მესამე ტაეპისა გამო. ც. კიკ-ვიძე: ტკბილი (კარგი) საქმე სიტყვით მოვაგვაროთ და საომარი – ხმლით; ი. გიგინეიშვილი: სამეული არაბეთში საომრად ვერ წავიდოდა. ამიტომ გამოვიტანოთ ასეთი აზრი – ტკბილითა სიტყვით გავმართოთ არ ხმლითა საომარები; ალ. ბარამიძე: ტარიელი არ გამოორიცხავს, რომ, შესაძლებელია, ავთანდილისა და თინათინის შეყრას დაბრკოლება შეექმნეს. ამიტომ მზად არის, ხმლით მოავგაროს საქმე; ს. ცაიშვილი ეთანხმება ალ. ბარამიძეს (II, 135).

გაკამათების მოთავე: „მართვეული აზრი გამოთქვეს ალ. ბარამიძემ და ს. ცაიშვილმა, თუმცა III სტრიქონის უკან ავტორის უზარმაზარი ცოდნა იმალება, რასაც ჩვენი მეცნიერები ვერ ჩასწვდნენ. არ შემიძლია, ეს ცოდნა არ გაგიზიაროთ და კიდევ ერთხელ არ დაგარწმუნოთ, რა უძირო ოკეანეა „ვეფხისტყაოსანი“, კიდევ ერთხელ არ გიჩვენოთ, რომ ეგ პოემა **ინტელექტუალური რომანია**, რაკილა ბევრი მისი სტრიქონი ცოდნის ზღვას შეიცავს.

ერთმანეთის მსგავსია ნიზამის გმირის ალ. მაკედონელის ურთიერთობა ვერაგ და მატყუარა ხაყანთან და ტარიელის მიმართება იმავე ვერაგი და ფლიდი ხაყანისადმი.

ალექსანდრეც ფლიდ ხატაელთა ხაყანს ებრძვის და ტარიელიც; მაკედონელის წერილი ხაყანისადმი შინაარსითა და პათოსით ენათესავება ამირბარის წერილს რამაზ ხატაელისადმი. ნიზამის პოემაშია:

**თუ ჩემთან მოხვალ – ფარჩის ხალათს გიბოძებ,
არ მოხვალ – ჩვენი თოკის ყულფს იგემებ;
თუ არ მოხვალ, უეჭველად იცოდე, –
რომ ჩინის ზღვაში გადავისვრი ჩინს.
ასე რომ, გზავნილი წაიკითხე და არ დააყოვნო არცა წამი,
ან ომი, ან თანხმობა ჩამოვაგდოთ!**
(„ისქანდერ-ნამე“, 318)

ახლა შევადართო ამას ტარიელის მოთხოვნა:

**ესე რა ნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით;
თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით,
სჯობს, რომე გვნახნეთ, თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით!**

ხატაელი ორივე შემთხვევაში ვერაგობას იჩენს („ისქანდერ-ნამე“, 318-319).

ახლა კი ისა ვნახოთ, გამარჯვებული სარდლები ვითარ შეინყნარებენ დამარცხებულ მეტოქეებს.

რუსთა სარდალი მაკედონელმა ქართველი მეფის დუვალის (ეტყობა დვალის, ნიზამისეული „პოსტმოდერნული“ წარმოსახვით, იმავე დავით სოსლანის) დახმარებით დაამარცხა (387-389). გაბიაბრუებული მეტოქე ალექსანდრემ დიდსულოვნად შეინყნარა, მიიწვია და „საპატიო ალაგას დასვა“ (422); ბოლოს დააჯილდოვა კიდეც და ისევ რუსთა სამართავად გაისტუმრა, ოღონდ, რასაკვირველია, „ხარაჯა“ დასდო (422-423).

ახლა კი ვნახოთ, რა ხდება „ვეფხისტყაოსანში“:

**რამაზ მეფე შეპყრობილი მას წინაშე მოვიყვანე;
ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე,
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე.**

მერე კი ისე მოხდა, როგორც მაკედონელის სამეფო კარზე: ფარსადანმა აპატია დანაშაული,

ტკბილად მიიღო, საპატიო ადგილას დასვა, დაასა-
ჩუქრა და ისევ ხატაეთის სამართავად გაგზავნა,
ოლონდ „ხარაჯა“ დასდო:

**ხარაჯა დასდევს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია,
კვლა ხატაური ათასი, სხვა სტავრა, სხვა ატლასია;
მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია,
შენყალბული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია.**

მაკედონელის ხასიათის ერთი შტრიხი კარგად
არის დაცული ტარიელის ხატვისას.

„ისქანდერ-ნამეში“ ერთგან მახვილად შენიშნა-
ვენ: მაკედონელი ღვინოს კი სვამდა, ოლონდ თავს
არასოდეს კარგავდაო. ალექსანდრეო, – მოახსენეს
ფალფურს, – „ნადიმისას ყველაზე ბრძენია, თუნ-
დაც იყოს ღვინონასვამი“ (311).

იგივეა თქმული ტარიელზე, როცა იგი თინა-
თინ-ავთანდილის ქორწილში ქეიფობს და როსტე-
ვანს, მხცოვან მეფეს, ეთაყვანება:

**ჰინდოთ მეფე თაყვანსა სცემს ლალი, ბრძენი, არ მახმული;
მაღლი ჰკადრა ფხიზელურად, თუმცა იყო ღვინო-სმული.**

ისქანდერისა და ტარიელის სახეთა პარალელი-
სათვის არცთუ უმაღლოა ასეთი მასალაც: ერთ-
ერთ ომში გაიმარჯვა ისქანდერმა. ბევრი დამხმარე
და შემწე დაეღუპა. თვითონ დია დარდობს ამ ამ-

ბავს, ოღონდ დაცემულთა ნათესავები ასე აწყნარებენ: „შენთვის ყველანი განწყდებიან, სიცოცხლეს უკან არც კი მიხედავენ“ (520). ისქანდერის ამ თვისებას საგანგებოდ გამოყოფს ევგენი ბერტელსი: „ზინჯების წინააღმდეგ ომის შემდგომ ის, თუმცა ამას სხვების დასანახავად როდი აკეთებს, მწარედ დასტირის თავის დაღუპულ თანამებრძოლებს“ (ე. ბერტელსი, ნიზამი და ფიზული, მოსკოვი, 1962, გვ. 355).

ზუსტად იგივე ხდება მაშინ, როცა ტარიელი ატირდება ქაჯეთის ომში ფრიდონის ას ორმოცი მებრძოლის დაღუპვისა გამო:

**ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
ნარგისთათ იძრვის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია!**

ამირბარის ამ გლოვა-ტყეებას ფრიდონის ცოცხლად გადარჩენილმა მეომრებმა და დაღუპულთა ნათესავებმა ასე უპასუხეს:

თქვენთვის სიკვდილი დია სჯობს მიწათა ზედა რებასა.

და მივადექით ამჟამად საჭირო საკითხს:

ბერტელსი საგანგებოდ გამოყოფს მაკედონელის კიდევ ერთ სანაქებო თვისებას: „ისქანდერი ძალას მიმართავს მხოლოდ მაშინ, თუ სხვა გამოსავალი არაა. ყველა სხვა შემთხვევაში ის დასმულ

ამოცანას წყვეტს მოლაპარაკების, ხელშეკრულებისა და შეთანხმების დადების გზით“ (355).

ამ მხრივ საუკეთესო მაგალითებსა გვაძლევს ტარიელიც: რამაზ ხატაელს მან ჯერ წერილით მიმართა: მოდი, გვნახე, მოვილაპარაკოთ და ჩვენი ურთიერთობა ისე გადავწყვიტოთ; როსტევეანის მონებს ის არას უშავებდა, იჯდა თავისთვის; როცა შენიშნა, ისინი მის შეპყრობას ლამობდნენ, კი არ შეუტია და დახოცა, არამედ გაეცალა, გაერიდა, ხოლო, ვინც კი გაქცეულს მიენია და მასზე ხელი აღმართა, ყველა შემუსრა; მრავლისმეტყველია მესამე მაგალითი: ასმათმა ქვაბში ავთანდილი დამალა და ამირბარის მოსვლას დაელოდა. ის უჩვეულოდ მალე დაბრუნდა. ქალმა ჰკითხა, ასე ადრე რად დაბრუნდიო?! უპასუხა: აქვე, ახლორე, ვილაც მეფე ნადირობდა, რომ დავენახე, მონებს გამომაკიდებდა. მე კი იძულებული შევიქმნებოდი, ისინი დამეხოცა. ამიტომ უკანვე მოვბრუნდი. ჩაამთავრებენ ნადირობას, ნავლენ და მერე გავივლი იმ ადგილსაო; **საგულისხმოა მეოთხე მაგალითი: სარიდანის ძე ავთანდილს ატყობინებს: შენს პატრონს შენთვის თინათინის ხელი უნდა ვთხოვო; ჯერ ტკბილი სიტყვით ვცდი ბედს და, თუ არ გამოვიდა, მერე ხმალსაც გადავწვდებო. ფრაზაში, რო-**

მელსაც იგი ამ დროს წარმოთქვამს, წინ წამოწე-
ულია „ტკბილი სიტყვა“.

ტკბილითა სიტყვით გავმართოთ და ხრმლითა
საომარები!

აი, თუ რამდენ რამეს ფარავს და იტევს ერთი
შეხედვით უბრალო წინადადება”.

აქა, მხატვარო, დახატე ძმადუმტკიცესნი ძმობილნი,
ვეფხისტყაოსნის საქმეთა მცოდნე და გამობრძნობილნი!



გაბაასეების თავადის ბოლო სიტყვა: „ჩემი ან
ესე ნათქვამი, შესაძლოა, დღეს ცოტამ გაიგოს და
მეტი მუშტარი მას ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ გა-
მოუჩნდეს. ეს არც გამიკვირდება, რადგან საქარ-

თველოში ასეა: მკვდარს უფრო უჯერებენ, ვიდრე ცოცხალს. არა უშავს, კაცი ხომ მარტო დღეისათვის არ შრომობს, მომავლისთვისაც ირჯება ხოლმე. საერთოდ კი მერჩია, ირგვლივ მეტი გონიერი შემომხვეოდა, ვიდრე უმეცარი, რადგან, გონიერთა შორის რომ ია დათესო, ვარდი ამოვა; უმეცართა შორის ვარდიც რომ დათესო, ქაცვი აღმოცენდება. მაინც ადამიანი იმედითა ცხოვრობს და მეც მას მივენდობი გულალაღად და სასოებით”.

2023 წ.

წერილები არაფერზე და არაფრის გამომ (რუსთველოლოგია, IX)

ამ რუსთველოლოგიური კრებულის (2019) მიმოხილვას სათაურად უფრო მოუხდებოდა შემდეგი სიტყვები: „წერილები არაფერზე და არაფრის გამო ცუდი ქართულის რეჩიტატივით“, ოღონდ მეტიმეტად გრძელი გამოდიოდა, იმ მახათზე უგრძესი, რომელთან სახიფათო თამაშითაც ბევრი ავტორია გართული და ამაღ „ვარჩივე“ უფრო მოკლე ვარიანტი.

ამ შესავლის შემდეგ კი საქმეზე გადავიდეთ, თუმცა აქ ტერმინი „საქმე“ პირობითობას შეიცავს, რამდენადაც საქმე არსადაა!

გამოცემა იხსნება ნაცადი რუსთველოლოგების – პროფესორების – ელგუჯა ხინთიბიძისა და მარიამ კარბელაშვილის ნააზრევით. „ბერძნული მითოსის კიდევ ერთი დამონმება ვეფხისტყაოსანში“ ეხება ერთი ტაეპის („უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო“) გაგებას, ხოლო ქ-ნი ციალა წარმოგვიდგენს სტატიას - „ვეფხისტყაოსნის ჟანრული პოლიფონიურობა“.

ჯერ მიმოვიხილოთ პირველი მასალა.

ბატონი ელგუჯა ფიქრობს, რომ ფრაზა - „უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო“ – ბუნდოვანია, ბრძანებს: „პირადად მე კი ვეფხისტყაოსნის ბუნდოვანი და ძნელად შესაცნობი ფრაზის „საეშმაკოს“ დემონურად გააზრებამ და ნეოპლატონური კონტექსტით ინტერპრეტირებამ რუსთველის მიერ ბერძნული მითოლოგიის ეროსის დამონმებასა და პლატონის ნადიმთან მიმართებასთან დამაბრუნა“ (9).

მითითებული ტაეპი რომ „ბუნდოვანი და ძნელად შესაცნობი“ ყოფილა, ამაში მკვლევარი დაურწმუნებია „პეტრინის ფილოსოფიის ცნობილ მკვლევარ ლევან გიგინეიშვილს, რომელსაც წაუკითხავს მოხსენება „ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთ ბუნდოვან ტაეპზე - „უბოროტო ვის ასმია რაცა კარგი საეშმაკო“, სადაც თურმე „კარგი საეშმაკო ძველი ქართული ბიბლიური ტექსტების საფუძველზე დემონურ კარგად გაიაზრა“ (9). კიდევ მეტი, მკვლევარი თურმე „რუსთაველის **კარგ საეშმაკოში** ხედავს ორ ერთმანეთის სანინაალმდეგო ოქსიმორონულ ზედსართავ სახელს და მსგავსი ტიპის ოქსიმორონზე მიუთითებს იოანე პეტრინონის კომენტარებში...“ (9).

მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა ბატონი ელგუჯასადმი, უნდა ვთქვა: ჩემს დაბეჭდილ სტა-

ტიებში არაერთხელ მქონდა შესაძლებლობა, მეცნიერისათვის მოკრძალებით მიმეთითებინა, რომ არ შეიძლება ასე იოლად ვენდოთ მკვლევრებს, თორემ ხომ შეიძლება, ისინი ცდებოდნენ და მათს მცდარ პლატფორმაზე დგომისას ჩვენც მენყერმა და ღვარცოფმა ჩაგვიტანოს?

იმ ჩემი მითითების შემდეგ ბატონმა ელგუჯამ კარგად შეიგნო, თუ როგორ შეაცდინეს იგი შემთხვევითმა რუსთველოლოგებმა. ამჯერად იმ მაგალითებს არ მოვიყვან. ახალი მაგალითი კი გამონვლილვით უნდა განვიხილო.

მითითებული ფრაზა, ბატონებს ლ. გიგინეიშვილსა და ე. ხინთიბიძეს რომ ბუნდოვანი და გაუგებარი სჩვენებიათ, ჩემთვის ყოველთვის დღესავით ნათელი იყო და ეგ იმიტომ, რომ გახლავართ ნობაძეოლოგი. ბ-ნი ვიკტორის თითქმის ყველა ტომეულის მიმოხილვა მაქვს დაბეჭდილი, ხოლო ამა წლის ბოლოს გამოვა 500 გვერდიანი მონოგრაფია „ვიკტორ ნობაძის მეტყველებანი“.

ახლა რად ვახსენებ ვ. ნობაძეს?

იმად, რომ ამ ღვთაებრივ მკვლევარს ეგ საკითხი მისებურად ყოველმხრივ და სრულად აქვს გარკვეული და იქ ბუნდოვანი არა არის რა.

რატომ მოუვიდათ მკვლევრებს ესდენ დიდი კრახი?

ახლავე მოგახსენებთ.

მე გადავხედე ბ-ნი ელგუჯას დამონმებულ ლიტერატურას და, ჰოი საოცრებავ!

იქ არსად ჭაჭანებს ნოზაძის გვარი.

ახლა კი სავსებით გასაგები გახდა აღნიშნული სამეცნიერო კონფუზის არსი: მკვლევრები არც კი იცნობენ საკითხზე უდიდესი რუსთველოლოგის მოსაზრებას.

არადა ბატონი ვიკტორის თვალსაზრისი დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1963 წელს, ანუ იმ დროს, მე რომ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე და აბიტურიენტი გახლდით!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა მეცნიერული პატიოსნება არ მოითხოვს, ჯერ გააბათილო, მოხსნა არსებული მოსაზრება და შემდეგ ააგო ახალი თეორია?!

ჩვენი მეცნიერები ასე როდი მოქცეულან.

ახლა ვუჩვენოთ, რომ მითითებული ფრაზა არც ოქსიმორონია, რომ იქ არც არაფერი უპირისპირდება ერთურთს და არც რაიმე ბუნდოვანება ჭაჭანებს.

ვ. ნოზაძე გვინიგნავს: ძველად **კარგი** ორ რასმე ნიშნავდაო. ერთია ჩვეულებრივი გაგება (კარგი, კეთილი, მისაღები, პოზიტიური), ხოლო მასვე ჰქონია მეორე, უფრო საგულისხმო გაგება – ესაა **რიგი**,

კატეგორია, კლასი. მომყავს ამონარიდი: „**კარგი** ქართულში ორ სახედ განიმარტება. კარგი კეთილს რასმე ნიშნავს ... **კარგი**, ანუ **კარქი**, რიგსა ნიშნავს და, რაც რომ ეშმაკისაგან გარიგებული, ანუ განწესებული საქმე არის, ის მარადის ბოროტი არის ... ეს ეშმაკის მიერი ბოროტი განკარგულება და გარიგება იქნება; **კარგი საეშმაკო** – ეშმაკისა მიერ გარიგებული, ანუ რიგ მიცემული.

სრული უეჭველობით დამტკიცდა აქ, რომ ცნება „**კარგი**“ არის: რიგი, წესი ... მაშასადამე, ვეფხისტყაოსანის სადავოდ ქცეული ლექსი სადავო სრულებითაც არა ყოფილა“ (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, 316).

ახლა განვმარტოთ ტაეპი: „უბოროტო ვის ას-მია, რაცა კარგი საეშმაკო“ – ეს ნიშნავს: რაც ეშმაკური კატეგორისაა, ის რომ უბოროტო იყოს, არავის გაუგონია. სხვაგვარად: ეშმაკური ჯიშისა და ჯილაგის რაცაა, ყველაფერი ბოროტებასთან არის ნილნაყარი.

რა არის აქ „ბუნდოვანი და გაუგებარი“?

არაფერი!

ამის შემდეგ ვ. ნოზაძე წკეპლავს და ტყავს აძრობს მკვლევრებს, რომელთაც არაერთი თეორია შეთხზეს ამ ფრაზაზე დაყრდნობით და დიდი კვამლი და ფუტი დააყენეს, უფრო შთამბეჭდავი, ვიდრე

რამაზ ხატაელმა ხატაეთის ომში, რათა ტარიელის წინააღმდეგ მეზობელი თავისი რაზმები მოეხმო. პირში ჩალაგამოვლებული და გაკრიტიკებული დარჩნენ: მიხეილ წერეთელი, ვუკოლ ბერიძე და სხვანი, რომელთაც „ვეფხისტყაოსანის ეს ლექსი შეასწორეს და იგი ამით საპყარ ქმნეს, დააკუტეს“ (317).

მაშასადამე, სიმაღლე აღებულ იქნა ჯერ კიდევ 1963 წელს, ხოლო 2019 წელს ეს წარმატება თავდაყირა დააყენეს.

აქედან გამომდინარეობს ბ-ნი ელგუჯას კიდევ უფრო შორს მიმავალი და კიდევ უფრო მიუღებელი დებადი: ფრაზაში „ამ საქმესა მემონუმების დიონოსი ბრძენი ეზროს“, აქ **დიონოსის** მაგიერ ზოგ ხელნაწერში წერია **დევანოსი**. ეგ **დევანოსი** კი სწორედ ბერძნულ **დემონსა** ნიშნავსო (8).

სინამდვილეში ნებისმიერი ფონეტიკოსი გვეტყვის, რომ **დიონოსი** და **დევანოსი** ერთი და იმავე კერძო სახელის ფონეტიკური ვარიანტებია.

აქვე კიდევ ერთ უცნაურ ფაქტზე მივუთითებ.

აღნიშნული საკამათო ტაეპის თაობაზე სათანადო კომენტარები დიდი ხანია, რაც არსებობს. ჯერ კიდევ 2011 წ. გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები. აქ სადავო ტაეპი არაორაზროვნად არის ახსნილი:

„რადგან ამას ამბობს უსულო და დღემოკლე ვარ-
დი, მაშ, ლხინს ვინ მოიმკის წინასწარ ჭირთა გადა-
უხდელი? უბოროტო ვის გაუგონია, რაც საეშმაკო
რიგისაა, რატომ ემდური ნუთისოფელს? რა უქნია
უმაგალითო (გაუგონარი)?!“ (285). სინამდვილეში
ეს კომენტარი ბევრად უფრო ადრე გაკეთდა, ვიდ-
რე დაიბეჭდებოდა. მითითებული სხდომა ჩატარდა
1978 წელს (იხ. წიგნის გვ. 284).

იმავე წიგნში უთუმცაოდ არის დადგენილი
ისიც, რომ პოემაში ნახსენები **დიონოსი დიონისე**
არეოპაგელია. ტექსტის დამდგენმა კომისიამ
მშვენივრად გაარკვია – „ბრძენი დივნოსი“ და დიო-
ნისე არეოპაგელი ერთი და იგივეა (იხ. 21 გვ.).

მაშასადამე, ნარკვევის ავტორს საერთოდ არ
გაუთვალისწინებია არსებული მკაფიო მოსაზრებე-
ბი, რომლებიც სრულიად სხვას ამბობენ, ვიდრე –
წინამდებარე სტატია.

ბარემ აქვე დავსძენ: ბ-ნ ელგუჯას, ყველაფრი-
დანა ჩანს, არ ნაუკითხავს ჩემი რედაქციით გამო-
ცემული „ვეფხისტყაოსანი“ და ტექსტზე დართული
კომენტარები. იქ ერთგან წერია: „**კარგი** – ფილო-
სოფიურ-რელიგიური კატეგორია; რიგი, „რიადი“.
„**კარგი** საეშმაკო“ – საეშმაკო რიგისა. იგივეა, რაც
„სირა“ (იხ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პოემის

სრული ტექსტი, მურმან თავდიშვილის რედაქცია, გამოდის პირველად, თბ., 2016, გვ. 348).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: **ბ-ნ ელგუჯა ხინთიბიძის არც ერთი ადრინდელი სტატია ასე ბუნდოვანი, ძნელად დასაჯერებელი და მიუღებელი არაა; „კარგი საეშმაკო“ სულ არაა დაპირისპირებული ცნებები, ანუ ოქსიმორონი; „დევანოსი“ არ ნიშნავს დემონს. ამიტომაც არავითარი ბერძნული მითოსი პოემის ამ ადგილას არაა დამონმებული.**

ქ-ნ მარიამ კარბელაშვილის „ვეფხისტყაოსნის ჟანრული პოლიფონიურობა“ ერთობ ვრცელი მასალაა. თუ ბ-ნი ელგუჯას შესახებ ვთქვი, არც ერთი მისი ადრინდელი სტატია ასე ბუნდოვანი, ძნელად დასაჯერებელი არ არის – მეთქი, ახლა უნდა ვაღიარო: ქ-ნი მარიამის არც ერთი ადრინდელი ნაშრომი არაა ისე ეკლექტიკური, ჩახლართული და ამორფული, როგორც ეს ნაწერი. ამას ირიბად მისი სარეჩიტატივო ნაწილიც მეტყველებს (ამაზე ქვემოთაღე საგანგებოდ ვისაუბრებ).

მკვლევარი მრავალთა მოსაზრებებს განიხილავს და გამოაქვს დასკვნა, რომ ჩვენი პოემა ორი ჟანრის ნაერთია და არის სარაინდო-ფილოსოფიური რომანი (46). თუ ეს ასეა, მაშინ რაღა ვუყოთ ამბავში ასე ფართოდ გაშლილ სიყვარულის მოტივს?

მეტიც, მკვლევარს ყურადღება არ მიუქცევია პროლოგის იმ ნაწილისათვის, სადაც ჭეშმარიტი სიყვარულის მწყობრი თეორიაა წარმოდგენილი. პროლოგში მეთოდურად და მწყობრად მხოლოდ ორი თეორიაა ჩამოყალიბებული: **შაირობისა** და **მიჯნურობისა**. ეს ფაქტი ბევრ რასმე გვეუბნება. მაშასადამე, თუ შინაარსი განსაზღვრავს ჟანრს, მაშინ ჩვენი ეროვნული ეპოსი გამოდის სარაინდო-სამიჯნურო რომანი, მაგრამ მეეჭვება, ჟანრის განმსაზღვრელი შინაარსი იყოს!

ეჭვი მაქვს, ქ-ნ მკვლევარს მოსდის ის შეცდომა, რაც ბევრსა მოსვლია: რატომღაც მავანთ აღარ აკმაყოფილებთ იდეა – **ჩვენი სარაინდო-სამიჯნურო ეპნილება გენიალურია!** ამიტომაც ცდილობენ, რუსთველი მისი დროის ასტრონომებზე მეტი და უკეთესი ასტრონომი გახადონ; მისი დროის ექიმებზე უმჯობეს ექიმად გამოიყვანონ; მისი დროის ფილოსოფოსებზე უბეშთაეს ფილოსოფოსად წარმოგვისახონ და ასე უსასრულოდ.

თეორიულად ამ სენის წინააღმდეგ ბევრი იბრძოდა და იბრძვის (თ. ჭილაძე, ე.ხინთიბიძე...), მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მაშინ ეს თეორიული ხობოკვერა მყისვე მოიძრეს და გამოჯანდრულ აღმომჩენებად გამოვიდნენ. ამის საუცხოო ნიმუშია თ. ჭილაძე (იხ. მისი „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ და

ჩემი გამოხმაურება ამ წიგნზე – „არს უმჟავესი ნმა-
ხისა“ კრებულში „რუსთველოლოგიური კრიტიკა“,
I, გვ. 379).

ახლა იმის თაობაზე, თუ რა ინვეეს იმას, როცა
ზოგჯერ მხატვრული ტექსტი ფილოსოფიურ ტექ-
სტად გვეჩვენება.

სახელგანთქმულ ნოველისტ რევაზ მიშველა-
ძეს არასდროს ჰქონია მიზნად ფილოსოფიური ნაშ-
რომები შეექმნა, ოღონდ მისი საყოველთაოდ ცნო-
ბილი „ლომი“ უაღრესად ფილოსოფიური ქმნილება
გამოვიდა და ეს განაპირობა არა რაიმე საგანგებო
რთულმა მსჯელობამ, არამედ იმან, რომ უმაღლეს-
მა მხატვრულმა დონემ თავად გააჩინა ფილოსო-
ფია, სასიბრძნო სივრცე. ჯერ კიდევ 1991 წელს
ვწერდი ამის თაობაზე: „უმჯობესია იხატებოდეს
არა ფილოსოფიური პერსონა, არამედ მხატვრული
პერსონაჟი, რომლის არსებობაც თავად იქნებოდა
ცხოვრების ღირსშესანიშნავი ფილოსოფია. ამ აზ-
რით, მეჩვენება, რომ დათა თუთაშხია და ზურიკე-
ლა ან, ვთქვათ, არაინტელექტუალური პერსონაჟი
თავადის ქალი მაია უფრო მეტ ცხოვრებისეულ ფი-
ლოსოფიას გვაზიარებენ, ვიდრე მავანთა ინტელექ-
ტუალური რომანების გმირთა მკრთალი სილუეტე-
ბი“ (იხ. „წერილები ცოცხალ კლასიკოსზე“, 2020,
გვ. 20).

სწორედ ამას გულისხმობს არისტოტელეს ნათქვამი, ისტორია კონკრეტულს გვიჩვენებს, მხატვრული ტექსტი კი – ზოგადს და ამიტომაც ეს უკანასკნელი უფრო ფილოსოფიურიაო.

მაშ, „ვეფხისტყაოსანი“ ფილოსოფიური პოემა კი არაა, არამედ სარაინდო-სამიჯნურო, მაგრამ ისე მაღალმხატვრულია, რომ ქმნის თავისებურ ფილოსოფიურ ველს. უფრო შორსაც წავიდოდი. თავისი აღნაგობით, პერსონაჟთა პრიმიტიულობით „დონ კიხოტი“ ერთობ გამოსარჩევია. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“ გაცილებით რთულია, ოღონდ, ფილოსოფიურობაზე თუ მიდგება საქმე, „დონ კიხოტის“ ფილოსოფიურობას ჩვენი ეპოსის ფილოსოფიურობა თვალს ვერ გაუხსნორებს.

მაშასადამე, მართალია ის, რაც ზემორე ვთქვი: ტიპთა, სახეთა და აღწერილ სცენათა სირთულე კი არ ქმნის ფილოსოფიურ ველს, არამედ მათი მაღალმხატვრულობა. ვიმეორებ: მაღალმხატვრულად წარმოსახული ტიპი, სახე, სცენა თავისთავად, ყოველგვარი ფილოსოფიური მსჯელობის გაუშლელადაც ქმნის მძლავრ ფილოსოფიურ ველს.

სწორედ ასეთია „ვეფხისტყაოსანი“ და ამ ნიშნით მისი ფილოსოფიურ რომანად მონათვლა პრობლემის მარტვილობად მიმაჩნია.

ერთგან მკვლევარს კალამი გაჰქცევია, ვერ მოუზომავს. იგი ბრძანებს: „ავთანდილი XII საუკუნის ლიტერატურისათვის სრულიად უცნობი გმირია, ახალი ეპოქის პირმშო და იდეალია, რომელსაც პირდაპირი წინაპარი არა ჰყავს... ავთანდილის მხატვრული სახე უნიკალურია XII საუკუნის როგორც ქართულ, ისე ევროპულ ლიტერატურაში“ (კრებული, 38).

ასე თამამად ლაპარაკიც არ ვარგა, რადგან ავთანდილს ჰყავს თავისი წინაპარი – ოდისევსი!

ამ მხრივ მარტო ერთი პარალელი რადა ღირს: ოდისევსი ტროას იღებს ეშმაკობის გამოყენებით (ხის ცხენი და გალავნის შიგნით ასე **შესვლა-შეტყუება**); იმავე ხერხს იყენებს ქართველი ოდისევსიც ქაჯთა ციხის ასაღებად. თვითონვე აღიარებს, **შევალ და შევეტყუები** ვაჭრულად გადაცმულიო.

სხვაგან ქალბატონი მკვლევარი ასე მსჯელობს: „კალენდარული და სოლარული მითოლოგიის ასპექტში ნაყოფიერების ქალღვთაება აღმდგარი, ამწვანებული ბუნების მითოლოგიური სიმბოლოა. ამ ასპექტში შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მწვანე ფერის სამოსელი ნესტან-დარეჯანის ერთ-ერთი მყარი გარეგნული ატრიბუტია.

ფარდაგსა შინა მჯდომარე, შესამოსლითა მწვანითა (408);
მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტახტსა მჯდომელი (521);

თავსა რიღითა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა (1131).

ამ კონტექსტში, ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად გმირები მიდიან მაშინ, როდესაც

„მონურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსლვა მწვანისა (1328)“.

(კრებულის გვ. 37).

ვაცხადებ:

ქ-ნ მარიამსაც გადასდებია ლიტერატურის კვლევით ინსტიტუტში გავრცელებული **საყმანვილო სენი ყველაფრის ყველაფერთან დაკავშირებისა**, რაიც მე არაერთხელ გამიკრიტიკებია და გამიქილიკებია. დღესამომდე ეგ ნაკლი ქ-ნი მარიამისათვის არ შემიმჩნევია. კი, ბატონო, ეგ სენი ჩვეულებრივია მკვლევარ გონჯილაძის, ასევე ანდლულაძისათვის, ოლონდ, თუ სერიოზულ რუსთველოლოგამდეც მიაღწევდა, არა და არ მეგონა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს **სწორედ რომ შემთხვევითია!** ჯერ ერთი, ნესტანს ყოველთვის როდი აცვია მწვანე. გაბრდღვიალებული ყვითელ-ნარინჯისფერი ჯუბით იჯდა იგი საზეიმო სუფრაზე ტარიელის პირისპირ; მეორეც, ქალბატონ მკვლევარს მცირედრე დავინყებია ტექსტი. მას ჰგონია, რომ ქაჯეთის ასაღებად **ამწვანებულ გაზაფხულზე** მი-

დიან გმირები. სინამდვილეში ისინი ამ საქმეზე მიემართებიან **გათარანებულ ზაფხულში**. „მონურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსლვა მწვანისა“ აღნიშნავს იმ დროს, როცა სპასპეტი გულანშაროდან გამოდის. ესაა გაზაფხულის ბოლო ხანა, მაისის 20-22 რიცხვი. ამის მერე მან საკმაოდ დრო დახარჯა, ვიდრე ტარიელთან მივიდოდა; აქედან ცხენებით ფრიდონამდე მიღწევას ერთი თვე მაინც დასჭირდებოდა; შემდეგ ფრიდონი ლაშქარს შეკრებს და მალვა-მალვით ნავლენ ქაჯეთისაკენ. მაშ, ამ დროს **კაი გვარიანი ზაფხული** მაინცა დგას.

ან კი შევახსენოთ ქ-ნ მკვლევარს ის, რაც კარგა ხანია დადგენილია და რევიზიას არ საჭიროებს: **აღმოსავლურ ლიტერატურაში მწვანე ფერი ახალგაზრდული ფერია**. ეს არაერთს მიუთითებია და, მათ შორის, ვ. ნოზაძესაც. იხ. მისი „ფერთამეტყველება“.

აი, თუ რატომაა ამგვარი კავშირები შემთხვევითი და არამეცნიერული!

ახლა სარეჩიტატივო ნაწილიც გავსინჯოთ.

აქაც უნდა განვაცხადოთ:

დღემდე დაბეჭდილ არც ერთ სტატიაში არ მოუქუჩებია ავტორს ამდენი დაჩმორებული ფრაზა, გულშემანუხებელი ენობრივი საბრუნავი, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, კორექტურული წუნი;

განსაკუთრებით ბევრია რუსულის კალკი. ეს გასაგებიცაა: ქ-ნი მარიამი რუსულ სამეცნიერო ბაღჩას ხშირად აკითხავს და ქალამანზე აწებებული აყალოც ამას მოასწავებს. იმის დრო და ადგილი არაა, სწორი ვარიანტები წარმოვადგინო. ამიტომ მხოლოდ მცდარ და მიუტევებელ ფორმებს გაახლებთ.

რუსიციზმები და რუსული კალკებია: დერივატად თვლიდა; რომანის წარმოშობა და არსი მის მთლიანობაში (24); შედეგს წარმოადგენს; სხვადასხვა ჟანრები (25); საბოლოო ჯამში; არსებულის ასპექტში (27); პროცესის აღსანიშნავად მის მთლიანობაში; მრავალრიცხოვან ნაშრომებშია (29); ფორმულა თავის სინქრონიაში; ფუნქციონალურად (35); როლს არ თამაშობენ; შემთხვევით ხასიათს ატარებენ (44).

ორთოგრაფიული წუნია: ტიპიური (22); ერთსადაიმავე (26); დაფორმულებული (29); ანზოგადებს, ჰპოვა (32); ჰპოვა, ფუნქციონალურად (35); იგივე აღნაგობას (41).

სტილური ჩავარდნები: „დაგროვილ მასალას ანალიზი და განზოგადება ესაჭიროება ტიპოლოგიურ კვლევათა ასპექტში“ (22);

„**გამოკვლევამ** ეპიკურ ტექსტთა დინამიკური ნყობის შესახებ საყურადღებო **დასკვნები წარმოადგინა**“ (23); „თუ მკაცრად მეცნიერულ დეფინი-

ციას მივმართავთ“ (26); „ყოველგვარი კონტაქტები ისტორიულად გამორიცხულია“ (26); „ამგვარ ვითარებაში ლოგიკურად ისმის კითხვა: რა ფაქტორი განაპირობებს სარაინდო რომანის ამგვარ პოლიფონიურობას?“ (27); „ცნობილ მკვლევარს მ. ბახტინს, ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვებისა და მათი ფილოსოფიური ანალიზის ცდის შედეგად გამოტანილი აქვს... დასკვნა“ (27); „მეცნიერებათა **სხვა დარგებს**, განსაკუთრებით კი საბუნებისმეტყველო **ნაშრომებს...**“ (27); „ასეთი ბრძოლა ასოცირებულია სიკვდილთან ანუ სიკვდილთან ბრძოლასთან“ (31); „ეპოსი მითის მიმღები, „ნამხდარი ან გადააზრებული მითი კი არ არის, არამედ, როგორც მითი, ერთი და იგივე კომპოზიციური სქემის რეპრეზენტაცია“ (31); „ჯადოსნური ზღაპრის ვ. პროპისეული ფორმულა თავის სინქრონიაში ამ სამწევრიანი პარადიგმის განვრცობაა ფუნქციათა დონეზე“ (35); „ვეფხისტყაოსნის ჟანრულ პოლიფონიურობაში საფუძველს ქმნის მასში დაშიფრული ხსენებული მითოლოგემა“ (35).

ზოგ მკვლევარს მეცნიერული სტილი ჰგონია, თუ ასე პათეტიკურ-პომპეზურად იტყვის: „ჩემ მიერ ლობიო იქნა შექმული“, ხოლო არამეცნიერულად მიუჩნევია ამ ფრაზის ბუნებრივი ფორმა - „ლობიო შევჭამე“.

მსგავსი გახევებული სტერეოტიპები დავუწუნე პროფ. გრივერ ფარულავას და მოქნილი ფორმების, ბუნებრივი სამეტყველო საბრუნავების მომარჯვება ვურჩიე. ვატყობ, სხვებსაც სჭირდებათ ჩემი გაკვეთილები. აი, მსგავსი გახევებული გამოთქმები, ან, როგორც მაშინ მათ მე ვუწოდე, **გრივერიზმები**: „გამოყენებულ იქნა მკვლევარ ტიანდერის მიერ“ (23).

ქ-ნო მარიამ, გულიდან ენობრივი ღარღლი ჩამომშორდება, თუ ასე მარტივად და გასაგებად იტყვით, ანუ **ხუთის** მაგიერ იხმართ **სამ** სიტყვას: „გამოიყენა მკვლევარმა ტიანდერმა“.

სხვა გრივერიზმებია: „ტერმინი შემოღებულია ... ე. გეკელის მიერ“ (29); „ე.გეკელის მიერ 1866 წელს დაფორმებული“ (29); „მკვლევართა უმეტესობის მიერ არის გამოყოფილი“ (31). ვიტყვოდი მეტსაც: ფორმა **გეკელი** რუსულია, ქართულია **ჰეკელი**, სწორედ ისე, როგორც **ჰეგელი** და არა **გეგელი**.

წერილს ფაროსანასავით მოსდება კორექტურა. ეს მანკი იმ დონეზეა ანეული, რომ ერთგან კურობულ ვითარებასაც კი ვაწყდებით. უნდა ეწეროს „შეადარე“ და წერია „შარდი“. 35-ე გვერდზე იხილეთ: „გველი იტაცებს მეფის ასულს“ (პროპი

1984: 158), (**შრდ.**: „ნაწილიანს“ გველი სდევნის, რათა ნაწილი წაართვას”).

სხვა კორექტურები: ჩენს, პარალელს (26); ლიტერტურულ, გარასრკვევად, დრგში (27); და-რ-დნობით (29), ალბათ **დაყრდნობაო**; თოთქოს თოთქმის ყველა მითები (30); ცხენი ან ირალი (31); გარემოაბა (34); იაფრება (35); ალბათ **იფარებაო**; ცოატი ყმისადა (35), ალბათ **ცოტა ყმისადაო**; მეტეფორებს, ურთიერთობაშია (36); აგდილი უკავია (37); თარაგმანში, სულისჩამდგემელისა (39); ერთ გმირი; ლომინი რაინდი, თავლსაზრისი (40); კარბელიშვილი (41); კარბელასვილმა, აცადემია, ლიტერტაურის ინსტიტუტი, ქართლის ხცოვრება (49).

ბარემ აქვე ითქვას: სრულიად მოუწესრიგებელია პუნქტუაცია. დარწმუნებული ვარ, ქ-ნი მარიაში ამ შენიშვნებს წიგნის გამოცემისას გაითვალისწინებს.

მომდევნო წერილი ეხება მზისა და ვარდის მეტაფორებს, მათ ადგილს პოემაში. ავტორი გახლავთ ქ-ნი ნესტან სულავა. ნაშრომი მიმოხილვით ანალიზურია. აქ წამოყენებული იდეები ძირითადად კომპოზიციის რკვევას გულისხმობს. საძიებელი საკითხები პოემის ზედაპირზე ძვეს და დიდ ჩაღრმავებას არ საჭიროებს. გამოტანილია მართებული დასკვნა: „ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახე-

თა სისტემაში მზესა და ვარდს, როგორც მეტაფორას, სიმბოლოს, მხატვრულ სახეს, ალეგორიას, ალუზიასა და ენიგმას, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ. პოემის სიუჟეტს წარმართავს დამჭკნარი ვარდის ახალი ვარდით შეცვლის, დამზრალი მზის ნათლით შეცვლის სიმბოლიკა, რაც სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს შეესაბამება. ამიტომ მზისა და ვარდის მეტაფორით, სიმბოლური და ალეგორიული გააზრებით აისახება მთავარ პერსონაჟთა გარეგნობა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და მათი შინაგანი სამყარო, მძაფრი სულიერი განცდები“ (66).

ამ ნარკვევს თეორიულ-პრაქტიკული (ტექსტოლოგიური) მნიშვნელობა და მეცნიერული ღირებულება შეეძინებოდა, ქ-ნი მკვლევარი რომ ასე მოქცეულიყო: აღნიშნულის დადგენის შემდგომ ერთმანეთისათვის შეედარებინა მზისა და ვარდის მეტაფორებისადმი მგოსნის დამოკიდებულება შიგნიტექსტსა, „ინდო-ხატაელთა ამბავსა“ და დამატებებს შორის. მაშინ დაადგენდა ისეთ რასმე, რაც მკითხველსა და გარედან მოყურიადეს გულიდან ღარდილს მოაშორებდა, კერძოდ, ჩაგულისხმებული მკითხველი დაინახავდა: შიგნიტექსტი და „ამბავი“ ამ მხრივ სრულიად ეთანხმება ერთურთს, ხოლო დამატებანი როგორც არსობრივად, ისე მეტა-

ფორათა მომარჯვების ოსტატობითაც განსხვავდებიან. მათ შორის ესთეტიკური უფსკრულია განო-
ლილი.

ვფიქრობ, სწორედ ესაა ნამდვილი მეცნიერება!
ერთიც უნდა ვთქვა:

ამ პატიოსან, უპრეტენზიო, გამართული ქარ-
თულით შესრულებულ სტატიაში ერთი ადგილი ნა-
მეტნავად არ მეპატიოსნა.

„ოდესმე“ ჩემსა და ცნობილ რუსთველოლოგ
ხვთისო ზარიძეს შორის გაიმართა ცხარე კამათი.
იგი მოჰყვა ჩემს წერილს „წვიმის საიდუმლო ვეფ-
ხისტყაოსანში“ (1995წ.). აქ მე ვაანალიზებდი ვეფ-
ხისტყაოსანში აღწერილ ერთადერთ წვიმას, ვარ-
კვევდი მის ალუზიურ მნიშვნელობას. მოულოდნე-
ლად დაიბეჭდა ხვთისო ზარიძის მოსაზრება - „აგ-
რგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვა-
რითა“ მაისის ჟუჟუნა წვიმა კი არ არის, არამედ მე-
ტაფორაა და ავთანდილის პირისახესა და ტირილს
აღნიშნავსო (ხ. ზარიძე, „წვიმის საიდუმლო, თუ გა-
უხსნელი მეტაფორა“, ლიტ. საქართველო, 3 მაისი,
1996, გვ. 10).

მაშინ ქ-ნი მკვლევარი და ხვთისო ზარიძე ერ-
თად მუშაობდნენ ლიტერატურის ინსტიტუტში და
იქ გამართულ წლის რუსთველოლოგიური მონაგ-
რის განხილვაზე ნ.სულავა გამოვიდა, თანამშრო-

მელს პირისწყალი არ დაუღვარა და, მხარი დაუჭირა რა ჩემს ოპონენტს, უარყო ჩემი აზრი, რომ იქ რეალური წვიმაა და არავითარი მეტაფორა არ იგულისხმება. დღეს განსახილველ წერილში კი რა ხდება?

მკვლევარ ქალბატონს მოჰყავს საკამათო სტროფი:

**მონურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა.
სულთქენა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა.
(კრებული, 63).**

ამის შემდეგ, პოემით, მოდის სტროფი, რომელშიც აღწერილია მაისის ბოლო დეკადის თქორი:

აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა.

მართალია, ამ ტაეპს ერიდება, ოღონდ მკვლევარი მას ასე აანალიზებს: „მზის წილი **გმირები მაისის წვიმით არიან განბანილნი**“ (კრებული, 64).

მაშასადამე, ქალბატონი მეცნიერი ჩემს მხარეზე გადმოსულა, ოღონდ არსად მიუთითებია, რომ ოდესღაც უსამართლოდ (თანამშრომლის ხათრით) მიპირისპირდებოდა. მე კი, უნდა მოგახსენოთ, სამივე საყვარლის ხათრითაც კი ვერ დაგუთმოვ ვის-

მე სიმართლეს. სიმართლე კი ასეთია: რაც კი აქ მაისის წვიმასა და გმირების ბედის ცვალებასთანაა ნათქვამი, ყველაფერი უფრო ფართოდ, თვით „რამაიანას“ მსგავსი ადგილის მოხმობითაც, მაქვს ნათქვამი ამ თემაზე დანერილ სამ სტატიაში. ესენია: 1. „წვიმის საიდუმლო ვეფხისტყაოსანში“; 2. „მო, თვალნი მივსცნეთ წუხილსა“; 3. „ფიცი მწამს, ბოლო არ მაკვირვებს“ (სამივე დაიბეჭდა პერიოდულ პრესაში და შემდეგ შევიდა წიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, 2000).

მაშასადამე, რასაც მკვლევარი გმირთა სულიერ გარდაქმნა-ხელახლა დაბადებაზე 2019 წელს საუბრობს, ყველაფერი ეს უფრო ფართოდ და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტის გათვალისწინებით მე გარკვეულ-დადგენილი მაქვს უკვე 1995-1996 წლებში, ესე იგი, 25 წლით ადრე.

ვფიქრობ, მეცნიერული პატიოსნება მოითხოვს, ე-ნმა ნესტანმა უთუმცაოდ აღიაროს ეგ ამბავი!

ბარემ კიდევ ერთი პატარა შენიშვნა.

ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგებს არაერთხელ მივუთითე, დავუწიგნე, ავუხსენი და ვასწავლე, რომ ჩვენს ეროვნულ პოემაში „ძე“ არ ნიშნავს არავითარ მემკვიდრეს, ტახტის მომლოდინე უფლისწულს. წინააღმდეგ აკ. შანიძის აკვირინებული აზრისა, არაერთგზის დავამტკიცე: **ძე**, პოე-

მით, ზუსტად იგივეა, რაც **შვილი**. არც მეტი, არცა ნაკლები! და მერე რად გინდა, შეაყარე კედელს ცერცვი! ნ. სულავა ისევ ძველებურად მღერის: „ძე“ პოემაში ტახტის მემკვიდრის მნიშვნელობით გამოიყენება; შესაბამისად, თინათინის „ძედ“ ხსენება მოწმობს, რომ იგი ტახტის მემკვიდრეა“ (57).

არადა ჯერ კიდევ 2010 წელს დაიბეჭდა ჩემი სტატია „ლახუდრები რუსთველოლოგიაში“. იქ ჯეროვნად დავტუქსე, დავამუნათე თ. ხვედელიანი. მომაქვს სათანადო ამონარიდი:

„თ. ხვედელიანის სტატიაში იმდენი უხეში შეცდომაა, მათ დასათვლელად სტაჟიანი ბუღალტერია საჭირო. „როსტევიან მეფე, ავტორის აზრით, თავიდანვე სამეფოდ ზრდის თინათინს, უწოდებს მას „ძეს“... აქ საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოსდა „ძე“ ძველად ნიშნავდა ვაჟს, ვაჟიშვილს. სინამდვილეში ეს უხეში შეცდომაა. „ძე“ მე-12 საუკუნის ... ქართულში აღნიშნავდა ზოგადად შვილს, ნაშიერს; „ძე“ ეწოდებოდა ქალსაც და კაცსაც. ქალის გამოსახატავად გვარი არ გამოყოფდა რაიმე სხვაგვარ დაბოლოებას, ვთქვათ, ასე: გიორგი კოლონკელის — ძე და მზექალა კოლონკელის — შვილი. ასე და ამგვარად, მკვლევარს ტყუილად ჰგონია: როსტევიან მეფე რომ თინათინს „ძედ“ მოიხსენიებს, ეს ვაჟი მემკვიდრის აღმნიშვნელი ელემენტი იყოს, გა-

მოყენებული სამეფოდ გამზადებული ასულის მო-
მავალი სტატუსის განსაზღვრის მიზნით“ (რუსთვე-
ლოლოგიური კრიტიკა, I, გვ. 736).

აღნიშნული რომ საკმაოდ კარგ მწერალ თამაზ
ჭილაძეს არასწორად ესმოდა (იხ. ჩემი „რუსთვე-
ლოლოგიური კრიტიკა“, 1, წერილი „არს უმჟავესი
წმახისა“), ეს დასაშვებია. ის პროზაიკოსია და ამ
არცოდნას აიტანს, ბოლოს და ბოლოს მხატვრული
შემოქმედება ხომ მაინცა რჩება, მაგრამ, თუ ეგ ვერ
შეიგნო, მაშინ რაღა დარჩება ქ-ნ მკვლევარს?!

სახისმეტყველებითი ნაშრომი დაუწერია ღია
წერეთელს. ეს არის ანალიზი ტაეპისა „უწყლობა
ჰკლავს, წყალი სდის“ (კრებული, 70).

უწინარეს ყოვლისა, ისა ვთქვათ, რომ ავტორს
სწორად ესმის სიტყვა **წყლის** მეორე მნიშვნელობა.
მითითებული **წყალი სდის** მას სამართლიანად მი-
აჩნია **ცრემლის დენად**. არადა, ეს რომ ამეხსნა,
რამდენი ფიცი-მტკიცი და ცოდნა-ერუდიციის გა-
მოჩენა დამჭირდა ალექსი ჭინჭარაულის წინაშე.
ენათმეცნიერმა, რომელსაც სიტყვის სემანტიკურ
ველში ცნების ელემენტარულ-გრამატიკული არსი
კარგად ესმოდა, ოღონდ მისი მეორე (მეორეული),
ანუ მხატვრული, მხარე ვერ გაეგო, ასე გააკეთა:
პოემაში დაძებნა სტროფები, სადაც პერსონაჟები
არა ცრემლს, არამედ **წყალსა** ღვრიან და ყოველი

მათგანი ნაყალბევად გამოაცხადა. და მე დამჭირდა ძველი ტექსტების, ბიბლიური მასალის, აგრეთვე სხვა სამტკიცების მოხმობა, რათა ეს პრიმიტიული გაგება მემხილებინა და რუსთველური სტროფები დამეცვა (იხ. ჩემი „მგლოვიარე ქარავანი“ წიგნში „რუსთველოლოგიური კრიტიკა“, 1, განსაკუთრებით 349-353 გვერდები).

სტატიაში იხილვის საინტერესო დაკვირვებები, მოძებნილია პარალელები ბიბლიასთან. ეს პარალელები თუმცა კი მეტად შორეულია, ოღონდ მაინც არ ინვეს ნინააღმდეგობის განცდას, რაკილა ვიცით: რუსთველი ბიბლიის უებრო მცოდნეა! შემთხვევითი როდია, ვ. ნოზაძემ რომ მთელი წიგნი უძღვნა პოემისა და ბიბლიის ურთიერთმიმართებას (იხ. ღმრთისმეტყველება, გვ. 469-512).

ახლა იმის თაობაზე, რაც მიუღებელია.

მოყვანილია ტაეპები ეპილოგისა:

ქართველთა ღმრთისა **დავითის**, ვის მზე მსახურებს
სარებლად;

დავითის ქმნანი ვითა ვთქვენე სიჩაღბე-სიხაფეთანი –

და თავისი მოსაზრების გასაძლიერებლად აქ ნახსენებ დავითს მკვლევარი ბიბლიურ პერსონაჟად, ფსალმუნთა ავტორად წარმოსახავს.

დიახაც პატივისაღები და პატივდებულია დავით

ებრაელთა მეფე, იერუსალიმის დამაარსებელი, გენიალური საგალობლების ავტორი, ქრისტეს მამად მიჩნეული, ოღონდ არც ერთ ერს მისთვის არ უწოდებია **ღმერთი**. მათ შორისაა ქართველობაც.

ასე, რომ ტაეპებში არ იგულისხმება დავით ნინასწარმეტყველი.

მაშინ ვინ იგულისხმება?

თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ და უფრო ადრე მე პროტესტი გამოვთქვით ქართულ მეცნიერებაში **დავით სოსლანის** როლის დამცირების ნინაალმდეგ (იხ. ჩემი „რუსთველოლოგიური კრიტიკა, II“, გვ. 62).

არადა თავის დროზე თამარ მეფის ქმარი, ლაშა გიორგის მამა, სახელოვანი გმირი და სარდალი ქართველებს **ღვთად** ჰყავდათ წარმოსახული. ამის ირიბი დადასტურება პოემაშიცაა წარმოდგენილი. კერძოდ, ინდოეთში, ტარიელ-ნესტანის ქორწილში, ავთანდილსა და ფრიდონს, როგორც ინდოთა შემნეებსა და დამხმარეთ, უწოდებენ ღმერთებს. აი, ჩვენთვის საგულისხმო ტაეპი:

„სრულნი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს **ღმრთად** ხადოდიან...”

სიტყვა **ღმრთად** დაფიქსირებულია ყველაზე სარწმუნო A და B ხელნაწერებში. არის სხვებშიც, კერძოდ, 9 ხელნაწერში.

იმხანად სარდლებისა და მეფეებისათვის ასეთი მიმართვა ჩვეულებრივი იყო. ისტორიიდან ვიცით, რომ თამარი სამეხას გაუსწორეს და მის მეოთხე ჰიპოსტასად აღიარეს. მაშ, დავით სოსლანისათვის, რომელიც გახლდათ მეფე და გმირი, ავთანდილ-ფრიდონის თანასწორი სარდალი, **ღმერთი** რომ ეწოდებინათ, გასაკვირი არაა!

ახლა გადმოვცეთ სტროფის ნამდვილი შინაარსი: ქართველთა ღმერთია დავითი, ვისაც მზე (თამარი) დაჰგურგურებს თავს; ეს ამბავი მე შევთხზე მათ გასართობად, ანუ იმის მოსახმარად, ვინც არის აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე (ანუ მთელი მსოფლიოს) მპყრობელ-მბრძანებელი. ეს ფრაზა რომ სპარსულ ყაიდაზე გავმართოთ, ასეთ ფორმას მიიღებდა: ვინც არის შვიდი იყლიმის მპყრობელი, ანუ კეისარი; ვინც არის ორგულთა დამწველ-დამბუგველი და ერთგულთა გამახარებელი.

სწორედ ასეთი იყო დავით სოსლანი.

ამ იდეას ირიბად პოემის შიგნიტექსტიც ეხმიანება: ავთანდილი შედის როსტევანთან, სთხოვს, ნება მისცეს, რათა სანაპირო (მონაპირე, მოსაზღვრე) ქვეყნები მოიაროს – ურჩინი დასაჯოს, ხოლო ერთგულნი დააჯილდოოს და გაამხნეოს.

ზუსტად ეგ იდეა მჭვირვალეებს ეპილოგის ზემომოყვანილ სტროფშიც.

მომდევნო კი აგრძელებს დავით სოსლანის ქებას:

დავით სოსლანმა რაც სიჩაღბე-სიხაფეთანი (ხაფი ხმით მტერს აჯაბანებს და ამარცხებს ტარიელი) გამოიჩინა ომებში და რაც გააკეთა, იმას მე როგორ ავსახავდი, იმის აღწერას ჩემი ნიჭი სად ეყოფოდა; ამიტომ ვარჩიე, ხელთ ამელო ეს საოცარი ამბავი, საოცარ ხელმწიფეთა ცხოვრება და მათი პროზად ნათქვამი ამბავი ლექსად ვაქციეო (გაიმეორა ის, რაც უწერია პროლოგში).

ესე იგი, ამ ორი სტროფის ბიბლიურ დავით მეფსალმუნესთან დაკავშირება არ იქნებოდა სწორი.

ახლა სარეჩიტატივო ნაწილზე გადავიდეთ.

2001 წელს გამოვაქვეყნე სტატია „გაჭენებული ცხენიდან დანახული“. იქ მიმოვიხილავდი კრებულს „შოთა რუსთველი – 2000“. სტატიის ბოლოში ვწერდი: „ამჟამად ამ უხეში შეცდომებისა და ორი დღის ლაპივით უმწეო თქმების ავტორებს არ ვასახელებ, ოღონდ ვიტოვებ უფლებას, მომდევნო კრებულში წარმოდგენილ მკვლევრებს მთელი სიმკაცრით მოვთხოვო პასუხი ენობრივი პატრიოტიზმის უქონლობისა და სტილისადმი უნდილი დამოკიდებულების გამო“.

ამ დაშინებამ ურამოდ ჩაიარა!

ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები არასოდეს გამოირჩეოდნენ ენისა და სტილისადმი ერთგულებით. აქედან ორი პიროვნებაა გამონაკლისი – ცხონებული **როლანდ ბერიძე** და ან კარგად მყოფი **ლევან ბრეგაძე**. ყოფილი დირექტორების – გურამ ბენაშვილისა და ირმა რატიანის - აღზრდილ ხალხს არც მშვენიერი მოქართულე **ივანე ამირხანაშვილის** მიშველებამ უშველა. ისევ ისე ბეჩარად და უგერგილოდ წერენ. მე კიდევ დადებულ პირობას ვერ გადავალ და ჩემებურად განვიხილავ ლია წერეთლის ენობრივ გადაცდომებს.

დავინწყოთ წვრილმანით.

ავტორს არა სცოდნია, რომ **ან** და **თუ** კავშირები წინადადების წევრთა თანაბრობას აღნიშნავენ და მათ წინ არსად დაისმის მძიმე. არადა სტატიაში დასმულია: წამლავს, ან კეტავს; გიორგი, ან საყმოს რჩეული (70). ასეა ყველგან; რამინს, თუ ბიბლიურ სახეებს (71). ასეა სხვაგანაც. არადა რამდენიმე წლის წინათ მისი ინსტიტუტის თანამშრომელ ხვ. ზარიძეს ეგ წესი, თითქოსდა, კარგად ავუხსენი, როცა ჩემს წინააღმდეგ დაწერილი სტატიის სათაური ასე (ე.ი. მცდარად) გაეფორმებინა: „წვიმის საიდუმლო, თუ გაუხსნელი მეტაფორა“.

გვინერენ: „ასეთ შემთხვევაში“ (71). გამართული ქართულია „ამ შემთხვევაში“; მკვლევარს უნდა

სცოდნოდა ისიც, რომ, თუ სხვათა სიტყვის „ო“ ხმოვანს ვიყენებთ, მაშინ ბრჭყალები იხსნება. არა-და წერს: მათი დანახვა „განალამცა გაეხარნეს“ – ო“ (71). „ო“ სრულიად ზედმეტია! ორთოგრაფიული წუნია: **მონამეობრივ** გზას გადის (72). უნდა **მონამეობრივი**. ორთოგრაფიული წუნია ესეც – **პასუხობს** (73). მკვლევარს არა სცდონია, რომ ეგ გახლავთ ერთპირიანი ზმნა: კაცი კაცობს (ის); ქალი ქალობს (ის); პასუხი პასუხობს (ის); ავტორს კი სჭირდება ორპირიანი ზმნა **უპასუხებს** (ის მას); ჩართული სიტყვაა არა **ამასთან**, არამედ **ამასთანვე** ან **ამასთან ერთად**. წერილში ასეა: „**ამასთან**, ტაეპი ანტინომიას გულისხმობს“ (76). იმავე გვერდზე (ისე, როგორც ბევრგან) გაპარულია კორექტურული ხარვეზი – **სახისმეტყველებას**; იგივეა სხვაგანაც – **მხატვრული** (77); ლიტ. ინსტიტუტის თანამშრომელი არ უნდა წერდეს ასე ჩიქორთულ-ჩახლართულ-ჩაბალასინებულად: „ამჯერად ჩვენი მსჯელობისათვის იმის განსაზღვრა გვსურს, რომ რუსთველური ცრემლთაფრქვევა ღმერთთან მიახლების ნადილია“ (72).

მე, მრავალნაცადი ტექსტოლოგი, ვერ გავრკვეულვარ, რისი თქმა სწადია აქ ჩვენს ავტორს, და, რა გასაკვირია, წერა-კითხვის მცირემცოდნე ირმა რატიანმა ვერაფერი გაიგოს?

ახლა კი ეს მიზრძანეთ, რა უნდა გაიგოს ამ ჩახლართულობაში მეორე მცირემცოდნე პროფესორმა გურამ ბენაშვილმა: „**მისთვის** სულიერი წყურვილია უმთავრესი – უფლის მსახურება და მსხვერპლშენიერვა **მისთვის**“ (75).

შეცდომათა ჩემპიონი კი მაინც ეგ მონაკვეთია: „სამმა მეფის რჩეულმა მოყმემ გაარღვია ბრძოლით ფილისტიმელთა ბანაკი, ამოიღეს წყალი ბეთლების ქიდან, წამოიღეს და მოართვეს დავით მეფეს, მაგრამ მათი თავგანწირვის მიუხედავად, მწყურვალმა მეფემ წყალი არ დალია“ (75).

აქ სულ 24 სიტყვაა დაჯრილი და თავი მოიყარა რვა შეცდომამ: ჯერ ერთი, **სამი მეფე** კი არაა აქ, არამედ სამი მოყმეა. მაშ, სწორია ასე: „მეფის სამმა რჩეულმა მოყმემ“; დიდი სიბრძნე როდი სჭირდება იმის მიხვედრასაც, რომ სწორია **ბრძოლით გაარღვია** და არა **გაარღვია ბრძოლით**; შემდეგ, **სამმა მოყმემ ამოიღო** და არა ამოიღეს, როგორც წერია; ადგილს ენოდება **ბეთლემი** და არა **ბეთლები**, როგორც მითითებულია; **წამოიღეს** და **მოართვეს** უნდა შეიცვალოს მხოლოობითის ფორმებით: **წამოიღო, მოართვა**; „მათი თავგანწირვის მიუხედავად“ გახლავთ ჩართული. ამიტომ „მაგრამ“ სიტყვის შემდეგ უნდა დავსვათ მძიმე; ამავე დროს, გაპარულია უშნო გამეორება, ანუ ტავტოლოგია – **მეფე** მეორ-

დება სამგზის. ბოლო **მეფე** უნდა შეცვლილიყო სიტყვით **ხელმწიფე** და საქმეც დამში მოვიდოდა. აი, რა ლაღად და თავისუფლად გრძნობს ტექსტი თავს ჩემს ხელში: „მეფის სამმა რჩეულმა მოყმემ ბრძოლით გაარღვია ფილისტიმელთა ბანაკი, ამოიღო ბეთლემის ჭიდან წყალი, წამოიღო და მოართვა დავითს, მაგრამ, მათი თავგანწირვის მიუხედავად, მწყურვალმა ხელმწიფემ წყალი არ დალია“.

ცნობილ მკვლევარ ხვთისო ზარიძეს მცირე პარალელები დაუძებნია ჰაგიოგრაფიასა და ვეფხისტყაოსანს შორის. მომეჩვენა, რომ ეს არის ნაძალადევი ძიება, ფაქტების ერთმანეთთან ძალაყინის გამოყენებით შეპირისპირება, ერთი სიტყვით, მახათთან სახიფათო თამაში! საერთოდაც უნდა მივუთითო: ლიტ. ინსტიტუტის ბრიგადის ნაწერთა უმრავლესობა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ „კალმის ძმობის“ წევრთა უმეტესობა ნაშრომებს წერს არა იმიტომ, რომ რაიმე იდეა, მიგნება, აღმოჩენა ანუხებს და ეწერება, არამედ იმად, რათა ზემოდან მითითებული აუცილებელი სამუშაო შეასრულოს. ამიტომაც თუა, რომ ხვთისო ზარიძის ამ ნაშრომის წაკითხვის შემდეგ ვერც ვერაფერ ახალს იგებ, ვერც რაიმე ღირებულ მოსაზრებას დაიმახსოვრებ; სამუქფოდ, უხვადაა წარმოდგენილი სარეჩიტატივო მასალა. დავიწყოთ უმთავრესით. ვერც ერთი

ტაეპი რუსთველისა მკვლევარს სწორად ვერ მოჰყავს. ორიდან ერთია: ან არ იცის, ან თვალი დაღალტობს და იმად ეშლება. წერია: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირას“ (80). აქ დაშვებულია ორი უპატიებელი შეცდომა. მკვლევარს ერთმანეთში არევია გრამატიკული და პოეტიკური ყოვნი; მას არა სცოდნია, რომ პოეტური ცეზურა ყოველთვის როდი ემთხვევა გრამატიკულ-სინტაქსურს. ამგვარი დიქტომია (განყრა, განსვლა, გამიჯვნა) რუსთველისათვის ჩვეულებრივია. მაშასადამე, მძიმე (გრამატიკული ყოვნი) უნდა გადმოვიდეს წინ და გათიშოს ორი წინადადება, სადაც პირველში ერთი სიტყვაა, მეორეში – შვიდი. მაშ, ტაეპი ასე გასწორდება: **ნახეს, რომ უცხო მოყმე იჯდა...** მეორე შეცდომა ისაა, რომ ბოლო სიტყვაა არა **პირას**, არამედ **პირსა**. „პირას“ თანამედროვე, XXI საუკუნის, ფორმაა, „პირსა“ – მე-12 ასწლეულისა. ამრიგად, ტაეპი ასეთ სახეს მიიღებს:

ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა.

მცდარადაა დაბეჭდილი სხვა ტაეპიც:

„ცრემლსა **ვართი** დაეთრთვილა...“ (80 გვ.)

მართალია, **ვართი დაეთრთვილა** კარგ ალიტერაციასა ქმნის, ოღონდ მაშინ აზრი იკარგება. მაშ, უნდა ყოფილიყო **ვარდი**.

დაბეჭდილია:

„ვეფხის **ტყავის** ქუდივე იყო სარქმელი თავისა“ (80).

აქ აკლია ერთი მარცვალე და შაირი (16 მარცვლიანი ტაეპი) კოჭლდება. „ტყავის“ კი არა, „ტყავისა“ უნდა.

დასტამბულია: „ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა **აქამდისა** ჩემი შვება“ (88). ყველა ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტშია **აქამდისი**.

მომდევნო სტრიქონშია „ვერვის **ძალუძს**“ (88). **ძალუძს** თანამედროვე გამოთქმაა. მე-12 ასწლეულში ასე ამბობდნენ – **ძალუც**.

დაბეჭდილია: „მასვე მადლი! ესე იყო, წადილი და მისი ნება“ (88). „ესე იყოს“ შემდეგ მძიმე არადსადირალია!

წერია: „ესე თქვა და შემობრუნდა, **დაღრეჯითა** წამოვიდა“ (88). უნდა ეწეროს „დაღრეჯილი“; ჯეროვნად მომდევნო სტრიქონიც ვერ გადაუწერია ავტორს. არის: „არცაღა ჰკრა ასპარეზსა, **ჟამი**, ვამსა მოურთვიდა“ (88). აქ ერთბაშად ორი შეცდომაა გაპარული: **ჟამი** კი არა, უნდა იყოს **ვამი**, იგივეა, რაც **ვაიმე**; ამავე დროს, მძიმე არადსადირალია!

რ. თვარაძის წიგნი ასეა წარმოდგენილი: თხუთმეტსაუკუნოვანი **მთლიანი**. უნდა ყოფილიყო

მთლიანობა; იქვე მითითებულია, რომ ეგ ნარკვევი შესულია ნიგნში „**გადასახადი**“. კაცი ვერ გაიგებს, აქ უშვილობის გადასახადი იგულისხმება თუ კომუნალური?!

გრიგოლ ხანძთელის დახასიათება ასეა მოწოდებული: „არცა შეემთხვია თუალთა მისთა **მრუდედ** მხედველობაი“ (86). არადა ასე უნდა ყოფილიყო – **მრუმედ** (ბუნდოვნად, მკრთალად და არა შეცდომით, არასწორად).

ყველა ასეთ შეცოდებას ვერ გამოვეკიდებით, არადა რაღაა ის სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც მხოლოდ ციტირებაში ამდენი შეცდომაა დაშვებული? „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“

ავტორის უყურადღებობასა და ენობრივი პატრიოტიზმის უქონლობას ადასტურებს ისიც, რომ მოუწესრიგებელია პუნქტუაცია, ნერილი დაუბინძურებია კორექტურულ წუნს. პირველივე გვერდზე ჩართული **კერძოდ** არაა მძიმეებით გამოყოფილი (კრებული, 78). იქვე ჩართული **კეკელიძის თანახმად** გამოუყოფელია; მომდევნო გვერდზე სიტყვა **ამიტომ** უკნიდან რატომღაც ყოვნის ნიშნითაა შემორაგვეული, ხოლო ჩართული **მისი აზრით** წინიდან გამოუყოფელი დარჩენილა (კრებული, 79); მკვლევარს მხედველობიდან გამორჩენია: **რომ** კავშირის

ნინ აუცილებელია მძიმე (81); იქვე ასეთი რთული წინადადებაა: „იგი მოკლედ გვიამბობს საიდან და როდის მოსულა ევსტათი მცხეთაში“. ზმნის „გვიამბობს“ შემდეგ დასასმელია ყოვნის ნიშანი; იმავე გვერდზეა ასეთი ფრაზა: „ავტორს ჩანს ხელთ ჰქონდა“. აქ ორი შეცდომაა: აკლია მძიმე და **ხელთ ჰქონდა** სინტაგმის რთული თანხმოვნები **ლთჰქ** უნდა გამიჯნულიყო ემფატიკური ხმოვნით აი, ასე: **ხელთა ჰქონდა**. სამგან არასწორადაა დასმული ან აკლია პუნქტუაციის ნიშნები 82-ე გვერდზე.

ამრიგად, არ არსებობს უამნაკლო გვერდი.

ახლა უყურადღებობის კიდევ ერთი დასტურიც შევათვალთ. კალიასავით შესევია ნაშრომს კორექტურული ნუნი: ადამინის (78); როსტვანის (80); დამონმებული აქვს ხორენელისაც (81); სრულდება (83); ფიქრობნ (87); რმდენამდე (88).

არც ორთოგრაფიული ნაკლი დაჰკლებია ტექსტს: „ჯერ-ჯერობით“ (88). იწერება ერთად (იხ. V კლასის გრამატიკა, ასევე ორთ. ლექსიკონი, გვ. 997); „ერთფეროვანების“ (78). სიტყვა იკუმშვის. ამიტომ უნდა ყოფილიყო ასე – ერთფეროვნების.

ნაშრომს ამძიმებს, ძნელად საკითხავსა და რთულად გასაგებსა ხდის მეტისმეტად ბნელი სტილი. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. წერია: „იგი რომ მოჩვენება არ იყო, ამას მისგან შესაპყრობლად

მიგზავნილი მეომართა გვამებით მოფენილი ველი ადასტურებს“ (80).

აქ კაცი ვერაფერს გაიგებს. საჭიროა მცირე მანიპულაცია: სიტყვას **მისგან** ჩამოშორდეს **გან**.

დედის ძუძუსა და აზრს სრულიად მონყვეტილია ფრაზა: „უამბობს სიყმანვილიდან ვეფხისტყაოსან მოყმედ ქცევამდე“ (81).

წინადადება რომ ოდნავ გასაგები გახდეს, მას სჭირდება სიტყვა **ამბავს**: „უამბობს **ამბავს** სიყმანვილიდან ვეფხისტყაოსან მოყმედ ქცევამდე“. ისე კი, გულწრფელად რომ გითხრათ, არც ასე მეჭაშნიკება. ნაღდი ქართული ამგვარად აჟღერდება: „უამბობს ყმანვილის ვეფხისტყაოსან მოყმედ ქცევის ამბავს“.

აი, რამდენი შრომა და ჯახირი სჭირდება ფრაზის გვარიანად გამართვას. მავანს კი ჰგონია: რასაც დაწერს, ბაჯალლო ქართულია და დაბეჭდვის მეტი არც არაფერია საჭირო.

აღნიშნულზე უფრო ბუნდოვან-გაუგებარია ეს მსჯელობა: „ევსტათი მცხეთელის ნამებაში“ პირველზე სიუჟეტმა თუ ის ცხადყო, რამდენად მიუღებელია მაზდეანობა როგორც სარწმუნოება დაფიქსირებული და მაძიებელი ბუნების ადამიანისათვის, მეორეზე ფილოსოფიურად არის მისი სიყალბე და საბუთებული“ (83).

არათუ მკითხველი, თვითონ ავტორიც ვერ მიხვდება, რა აზრია აქ გამოხატული.

ბუნდოვანების ამ ჩემპიონს დიდად როდი ჩამორჩება ნარკვევის დასაწყისი: „ჰაგიოგრაფია კანონიკური მწერლობაა. მისი მთავარი თემა იყო წმინდანი და მას იგი მუდმივი, არსებითად ასახვის უცვლელი საშუალებებით ხატავდა საუკუნეთა განმავლობაში. ეს კი, ცხადია, დიდი ერთფეროვანების იერს უმკვიდრებდა ამ ჟანრის თხზულებებს“ (78).

ამ გაუგებრობაში ბევრი შეცდომაა. ფრაზები ჯერ გავაანალიზოთ, მერე გავასწოროთ და, ბოლოს, ნაკლი დავთვალოთ კიდევ.

ამ მსჯელობით გამოდის, რომ **ჰაგიოგრაფია ჟანრია**. ეს კი აბსურდია. ჟანრის სახეობებია ლექსი, მოთხრობა, რომანი, პიესა, ნოველა... ჰაგიოგრაფია კი არის დარგი, რომელმაც, შესაძლოა, გამოიყენოს ნებისმიერი ეგ ჟანრი. კერძოდ, „შუშანიკის წამება“ მოთხრობაა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – რომანი; „აბოს წამება“ კი ეკლექტიკური ქმნილებაა, რადგან აქ არეულია რამდენიმე ჟანრი; შესაძლებელია ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები გაფორმდეს ლექსის ან პოემის სახითაც. უნიჭიერეს პოეტ თეიმურაზ პირველს შეეძლო, პოემის ჟანრით გადმოეცა თავისი დედის – ქეთევან წამებულის – ამბავი.

პროფესორ კაცს ყოველივე ამის ცოდნა მოეთხოვება!

მეორე შეცოდება ისაა, რომ სიტყვები არეულია, მათგან ბევრი გუგულივით სხვის ბუდეში ზის. დავალაგოთ ისინი. სიტყვა **არსებითად** განმაზოგადებელი ცნებაა და უნდა იჯდეს ჩამოთვლილ ეპითეტთა წინ, კერძოდ, ასე: „იგი **არსებითად** მუდმივი, ასახვის უცვლელი საშუალებებით ხატავდა“. მესამეც, დროის გარემოება **საუკუნეთა განმავლობაში** უნდა გადავიდეს წინ, სიტყვის „არსებითად“ წინ; ერთფეროვნების იკუმშება ასე – **ერთფეროვნების**, ხოლო **უმკვიდრებდა** სტილისტურად უგემოვნო, უგერგილო და შეუსაბამოა. იგი უნდა შეცვალოს სიტყვამ **ანიჭებდა**; იქვე უნდა შეიცვალოს სიტყვა **ჟანრიც**. მის ადგილს დაიკავენ **დარგი**. ამის შემდეგლა მივიღებთ ნორმალურად გამართულ ტექსტს:

„ჰაგიოგრაფია კანონიკური მწერლობაა. მისი მთავარი თემა იყო წმინდანი და მას იგი საუკუნეთა განმავლობაში არსებითად მუდმივი, ასახვის უცვლელი საშუალებებით ხატავდა. ეს კი, ცხადია, **დიდი** ერთფეროვნების იერს ანიჭებდა ამ დარგის თხზულებებს“.

ვიტყოდი მეტსაც: მგონი, უაზრო და სრულიად ზედმეტია აქ ჩაკვეხებული ერთი ცნებაც – **დიდი**.

ამრიგად, ერთმა პატარა ტექსტობრივმა მონაკვეთმა მოითხოვა 8 თუ 9 მანიპულაცია!

ვკითხულობ ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიურ კრებულებს და თანდათან ვრწმუნდები: ამ დანესებულების თანამშრომლებმა ქართული არ იცოდნენ, არ იციან და არც არასოდეს ეცოდინებათ. ვერ უშველის მათ ჩემი მრავალწლიანი სწავლება და ჯიჯღინი. და დამწუხრებულს უნებლიეთ უკვდავი სიტყვები მაგონდება:

**მე მივაკითხავ საბას ტალავარს,
სად სიტყვა „ზაკვაც“ განიმარტების;
ვით ღრიანკალი მართლად არა ვალს,
არც ძალლის კუდი განიმართების!**

„ზემოდან კარნახით“ დაწერილად შემირაცხავს თინათინ ბიგანიშვილის ნაშრომიც. „არისტოტელეს პოეტიკისა“ და რუსთაველის ესთეტიკური თეორიის პარალელების შესახებ“ კი ეწოდება მას, ოღონდ ავტორს ვერ დაუძებნია ეს პარალელები. ამიტომაც წერილი ერთობ ფერმკრთალი და ქლექიანივით ყვითელი გამოვიდა. არ მცალია, თორემ ამ საკითხზე მცირე ლექციას ნაფუკითხავდი ავტორს. ამიტომ მხოლოდ ერთ უმნიშვნელოვანეს პარალელზე მივუთითებ, რაიც ნამდვილ მკვლევარს არ უნდა გამორჩენოდა. არისტოტელე ლაპარაკობს

ორ სინამდვილეზე – ერთია არსებული, რეალური, რაც მოხდა, ხოლო მეორე ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. აქ შესაძლებელი იყო მეტად მნიშვნელოვანი პარალელის გავლება, კერძოდ, რუსთველი ამ ვითარებას ამგვარად ითვალისწინებს: ხატავს ორივე სინამდვილეს, რაც თავს გადახდა თამარ მეფეს. ერთია მისი კრაზიანი გათხოვება გიორგი რუსზე და ამასთან დაკავშირებით გაჩენილი საქვეყნო პრობლემები, ხოლო მეორეა, როგორ შეიძლებოდა ეს სინამდვილე სხვაგვარი, უკეთესი გამოსულიყო. პირველი სინამდვილე პოემაში გამოიხატება ნესტან-ხვარაზმშას (ინდოეთის ამბავი) ხაზით, ხოლო მეორე – თინათინ-ავთანდილის ხაზით (არაბეთის ამბავი).

აი, სად შეიძლებოდა ღრმა საუბრის გაშლა, ოღონდ ეს მომენტი საერთოდ არ გახსენებია ავტორს.

აზრობრივი თვალსაზრისით, კიდევ ერთ შენიშვნას გაახლებთ. ავტორი მსჯელობს ტერმინზე **გრძელი** („მოშაირე, არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა **გრძელად**“). დიახ, არისტოტელეც საუბრობს ამაზე (ამა თუ იმ ქმნილების მოცულობაზე), ოღონდ მკვლევარს ვერაფერი საინტერესო ვერ უთქვამს და გამოუდნია ამ პარალელიდან და ეგ კი იმიტომ, რომ საერთოდ არ იცნობს ნიზამი განჯე-

ვის შემოქმედებას. ამ „გრძელზე“ მთელი ტრაქტატი აქვს დანერვილი სპარსელ პოეტს, როცა საუბრობს თავის პოემა „ისკანდერ-ნამეზე“, რომელიც მოცულობით სამჯერ აღემატება „ვეფხისტყაოსანს“. რა თქმა უნდა, იგი ამოდის არისტოტელეს მოსაზრებიდან, ოღონდ თავისებურად ავითარებს „პოეტიკის“ იდეას.

შემეცნებითი თვალსაზრისით ამის მეტს აღარაფერს ვასწავლი ჩვენს მკვლევარს. ბოლოს და ბოლოს მე ხომ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი არა ვარ?!

ამრიგად, სტატია ვერაფერს აძლევს ვერც მოცლილ მკითხველს, ვერც მეცნიერებას.

ახლა იმ სასაცილო ფრაზებს დავურიალოთ, რომლებითაც ისე განთქმულია ინსტიტუტის ბრიგადა, როგორც დიასახლისთა შორის არის სახელგანთქმული ჭოპორტის პომიდორი.

1. ავტორი ცდილობს პატივი მიაგოს და ასიამოვნოს ე. ხინთიბიძეს, მ. კარბელაშვილს, ზვ. გამსახურდიას და მოჰყავს მათი ციტატები, ოღონდ სრულიად უადგილოდ და უმიზნოდ. ამის საჭიროება ნამდვილად არ იყო. ეს უფრო ითქმის ზვ. გამსახურდიას დამონმებაზე (გვ. 102). კერძოდ, რა საჭირო იყო არისტოტელეს ზვ. გამსახურდიას მიერ „გარდათქმულ“ („პერესკაზი“) იდეებზე მითითება,

როცა პირდაპირ არისტოტელე შეიძლება მიეთითებინა?! ასევე გამსახურდიას სრულიად მიუღებელ ბავშვურ იდეას უნანავებს ჩვენი ნორჩი ავტორი 104 გვერდზე. „სამთა ფერთა“ რელიგიურობის ეს იდეა არავინ გაიზიარა, ხოლო მე სასტიკად გავაკრიტიკე (რუსთველოლოგიური კრიტიკა, II, 2023).

ავტორი გულუბრყვილობით სითამამით წერს: „დღემდე საკამათოდ რჩება რუსთაველის, როგორც მოაზროვნის, კონკრეტული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლად აღიარების საკითხი“ (90).

არაერთხელ ითქვა, რომ საკითხის ასე დაყენება მიუღებელია, მკრეხელობაა, სისულელია. რუსთველი არ გახლავთ ფილოსოფოსი, რათა რომელიმე მიმდინარეობას მივაკუთვნოთ, ხოლო უფრო მეტად რომ ნეოპლატონიკურ იდეებს იზიარებს, ეს დიდი ხანია ცნობილია. მეორეც, თვით მკვლევრის მიერვე პატივიმიგებული პროფესორი ხინთიბიძე რომ ამგვარ იდეებს სამართლიანად ებრძვის, ეს თუ იცის მონაფემ? სინამდვილეში პირველად ეგ მოსაზრება გამოთქვა პროფ. იუზა ევგენიძემ ძალიან დიდი ხნის წინათ; არაერთ ჩემს სტატიაშიცაა მითითებული. იხ. „არს უმჟავესი წმახისა“ (რუსთველოლოგიური კრიტიკა, I), და, რაც აღმაფრთოვანებ-

ლად საოცარია, კრებულის იმავე ნომერში დაბეჭდილ მასალაშიც. ნაშრომის ავტორი კი უფალი რედაქტორი ივ. ამირხანაშვილია (გვ. 118).

სამი თვის ნორჩის ლულლული ჩამესმა ყურში, ეს უმწეო და უილაჯო აზრი რომ ამოვიკითხე: „რუსთველოლოგთა შორის მეტ-ნაკლებად შეთანხმებულ ქეშმარიტებათა შორის ერთ-ერთი რუსთაველის ერუდიციის საკითხია“ (90).

ჯერ ერთი, ნათქვამი როგორ გავიგოთ: გამოირჩეოდა დიდი ერუდიციით რუსთველი თუ არა? ალბათ კი!

მეორეც, ყოჩად რუსთველოლოგებო, ასე რთული ამოცანა თუ გადაწყვიტეთ ბიგანიშვილის ნინამძლოლობით!

ზოგი პასაჟი სრულიად გაუგებარია, რადგან წინადადება შუაზეა მიტოვებული: „შესაბამისად, ვეფხისტყაოსანში არისტოტელესა და პლატონის ფილოსოფიის კვალს უშუალოდ ტერმინების, ფრაზების ფორმით თუ ვერ ვპოულობთ“ (93).

მგონია, ფრაზას ეგ „თუ ვერ“ ისევე სჭირდება, როგორც გურიაში მოდებულ ფაროსანას – საღეჭი რეზინა.

წერილი გატენილია „წვრილმანი“ შეცდომებით. ვისაუბრებ მხოლოდ პირველ გვერდზე.

წერია „პირველ რიგში“. ესაა რუსულის კალკი. ქართულია „უწინარეს ყოვლისა“; არის „ამასთან“, სწორია „ამასთანავე“ ანდა „ამასთან ერთად“; კავშირი „რომ“ ორივე მხრიდან შემორაგვეულია ყოვნის ნიშნით. უკნიდან არაფერი სჭირდება; „თუმცა“ უკნიდანაცაა მძიმით გამოყოფილი. ესეც არა სცოდნია მკვლევარს.

ასეთივე ვითარებაა ყველგან, მაგრამ პუნქტუაციური რეზუსის ნიმუში მაინც 94-ე გვერდია; 95-ე გვერდი კი იმით გამოირჩევა, რომ ტაეპი მცდარადაა მოყვანილი: **ჰე ღმერთო ერთი შენ შეჰქმენი ყოველი სული** და ეს სულელური ციტაცია ავტორმა მიაწერა მისგანვე პატივდებულ ავტორს პროფ. ე. ხინთიბიძეს.

ივანე ამირხანაშვილი კარგად გამართული ქართულით მოგვითხრობს ნიზამისა და რუსთველის ესთეტიკურ მრწამსზე. ზოგადთეორიული მსჯელობა სწორადაა წარმართული და, განსხვავებით მისგან რედაქტირებული (უფრო სწორად – არარედაქტირებული) ნარკვევებისაგან, აქ მკაფიოდ ჩანს კვლევის მიზანიც, მსჯელობის ლოგიკურობაც, დასკვნების დამაჯერებლობაც. ჩემი შენიშვნები კი ეხება შემდეგ გარემოებებს:

არ შეიძლება ფსევდონიმის (ნესბის, ზედმეტსახელის) თარგმნა. ვთქვათ, რუსმა რომ რუსთველის

ციტატა მოიყვანოს, ქვეშ უნდა მიაწეროს არა Шота из Рустави, არამედ რუსთველი. ამიტომ 116-ე გვერდზე რომ წერია ნიზამი **განჯელი** – ესაა ზედნოდების (ნესბის) თარგმანი. უნდა იყოს **განჯევი!**

110-ე გვერდზე შუა ორი აბზაცი კარგად გამართული მსჯელობაა, ოღონდ ქვეშ მინერილი უნდა ყოფილიყო ვ. ნოზაძე; 112-ე გვერდზე საუბარია „ისკანდერ-ნამეს“ პერსონაჟ ნესტან-დარჯიხანზე. ეტყობა, მკვლევარს წაკითხული არ აქვს 2011 წელს გამოსული ჩემი „ნიზამი და რუსთველი“, სადაც გამოწვლილვით და ფართოდ არის მსჯელობა იმაზე, რომ **ნესტანისა** და **ტარიელის** პროტოტიპებია „ისკანდერ-ნამეს“ პერსონაჟები ნესტან-დარჯიხანი და ვეფხისტყაოსანი მოყმე, რომელმაც ყველა რაინდს სძლია და ალექსანდრე მაკედონელს საჩუქრად გადასცა მზეთუნახავი ქალი ნესტ-ანდარ-ჯეჰანი. იქვე მთლიანად არის მოყვანილი ტექსტი ნესტან-დარჯიხანის ქებისა (იხ. ნიზამი და რუსთველი, 2011, თავი „ტარიელისა და ნესტანის ლიტერატურული პროტოტიპები“, გვ. 178).

ზემორელე გავაკრიტიკე მკვლევარი ბიგანიშვილი, რომელიც იმაზე წუხდა, რომ ვერ დაედგინა, რომელი ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენელია რუსთველი. ამის საწინააღმდეგოს ბრძანებს ივ. ამირხანაშვილი: „არ შეიძლება პოეტი

მივაკუთვნოთ რომელიმე ფილოსოფიურ მიმდინარეობას“ (118). დიახ, ეგ აგრეა და ყველაზე ადრე ეს აზრი გამოთქვა პროფ. იუზა ევგენიძემ; გაიმეორეს მ. თავდიშვილმა, ე. ხინთიბიძემ და სხვათ.

„ვეფხისტყაოსნის ალეგორიის“ ავტორი ბ-ნი თეიმურაზ ჭანტურიშვილი უნდა ერიდოს ალეგორიაზე უსამანო გამოკიდებას, რაც ერთობ სახიფათოა. ერთგან უნერია „სინამდვილესთან მიმართებაში“. ეს რუსულის კალკია. ქართულადაა – „მიმართებით“ (139); წერია „**იგივეს** ვხედავთ“, უნდა **იმავეს** (140). იმავე გვერდზე **დავარი** მხოლოდ ქალის სახელად არის წარმოსახული და განწვალულია ასე: **და ვარ**. სინამდვილეში **დავარ** სპარსული სახელია და ერქვა როგორც მამაკაცს, ისე ქალს; სწორედ იგივე ითქმის სახელზე **ვისი**. სპარსეთში ეგ სახელი ერქვა კაცსაც და ქალსაც. რალა შორს წავიდეთ, **ვარდანი** ერქვა შუშანიკის მამასაც და შუშანიკსაც; ჩიქორთულია „ხელმძღვანელობისათვის მონოდებული ლიდერი“ (144). სამუქფოდ ქართულია: „ლიდერი, რომლის მონოდებაცაა ხელმძღვანელობა“; წერია „იგივე პროლოგში“ (146). **იგივე** უნდა გადავიდეს მიცემით ბრუნვაში, რაკილა „პროლოგში“ მიცემითია. მაშ, სწორია **იმავე** პროლოგში; იქვე დაბეჭდილია: **კუპლეტში**. არა, აქ როდია საუბარი სასიმღერო სტროფზე, რომელსაც

კუპლეტი ენოდება. უნდა **სტროფი**; დასტამბულია ასეთი რამ: **მე-11-ე**. სწორია **მე-11** (იხ. V კლასის გრამატიკა, გვ. 39).

ისედაც კარგად ვიცოდით, თუ რასა ნიშნავს ხა-იაზმური მხატვრული ფიგურა და მათა ცერცვაძის საამრიგო მსჯელობა მაშინ გახდებოდა მეცნიერული ღირებულებისა, რომ ეგ ისედაც ცნობილი კონსტრუქცია კიდევ ერთხელ კი არ შეეხსენებინა ჩვენთვის, არამედ შეემონებინა ე.წ. „სადავო“ ნაწილში – „ინდო-ხატაელთა ამბავში“ – როგორ არის მომარჯვებული და ამ ასპექტით ეს სამი თავი არის თუ არა ხაიაზმური ხერხის დიდოსტატ რუსთველისა.

ასეთია **IX** რუსთველოლოგიური კრებულის ავლა-დიდება და ავანჩავანი.

2023 წ.

უმისოდ რად იმღერეთა?!

რესპუბლიკის რესთველოლოგთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ლიტინსტიტუტის საწვრთნელ ბაზაზე ემზადებოდა, გამოსცა ფართო ფორმატის უზარმაზარი ფოლიანტი (512 გვერდი). სტატიების კრებულს ასე ეწოდება – „რუსთველი და ნიზამი“.

წიგნში ნახსენებიც არაა მურმან თავდიშვილის „ნიზამი და რუსთველი“ (2011), რომლის შესახებაც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა აღტაცებული გამოხმაურება ირანოლოგი პროფესორის ნომადი ბართაიასი, სამუქფოდ დიდის ამბით წერია ასეთი რამ:

„საშუალის თემას უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ ოქსიმორონული ტაეპი: „უბოროტო ვის ას-მია, რაცა კარგი საეშმაკო?“ აქ ავთანდილი სიყვარულით გონებადაბინდულ ტარიელს უხსნის, რომ სიყვარულში ბოროტება არსებობს. ეს სენტენცია გამოძახილია ძველბერძნულ ფილოსოფიაში ცნობილი თეორიისა, რომ სიყვარული არის საშუალო ინსტანცია კეთილსა და ბოროტს შორის“ (კრებული, 348-349).

მკვლევრებს მოსვლიათ საშინელი შეცდომა – მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფიური ტერმინი „**კარგი**“ გაუგიათ, როგორც თანამედროვე ქართული სიტყვა **კარგი**. ამ ყალბ გაგებაზე კი აუგიათ შორს მიმავალი თეორია.

ეს ფიასკო კი არ დაემართებოდათ, რომ ნაეკითხათ მ. თავდიშვილის ნიგნი. იქ ყველაფერი ეს ნათლად ახსნილია, გახსენებულია ვ. ნოზაძის განმარტება, რომ „**კარგი**“ ნიშნავს რიგს, წესს, თანამიმდევრობას, რაც მთავარია, ეს ტერმინი თურმე თვით ნიჰამისაც კი ჰქონია მომარჯვებული, თანაც ზუსტად ისე, როგორც რუსთველს, და ნაკრები გუნდის წევრები აზრზეც არ არიან. თავდიშვილის მონოგრაფიაში ვკითხულობთ: „სინამდვილეში „**კარგი**“ ნახმარია ნიჰამის მეორე პოემაში და ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, რიგს. ქმნილებაში ერთგან ვკითხულობთ: „ამ **კარგის** მიხედვით ის გახდა მეუღლე“ (355). რუსულ თარგმანშია: „**На сей карге он сделался супругом**“. დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში ის ამგვარადაა განმარტებული: რიგი, წესი, რიგობა (595).

ვერ დავიჩემებ, ოღონდ, შესაძლოა, ამ „**კარგ**“-ისაგან მოდიოდეს სიტყვები – **ქარგა** და **ქარგალი**“ (მ. თავდიშვილი, ნიჰამი და რუსთველი, 2011, გვ. 114).

მაშასადამე, რუსთველის სადავო ფრაზაში არც ძველი ბერძნული ფილოსოფიის კვალია, არც ოქსიმორონია. მასში მეტად უბრალო აზრია გამოხატული: რაც ეშმაკის რიგისაა, რაც ეშმაკეულია, ის უბოროტო ვერ იქნება!

აი, რატომ იყო საჭირო, ლიტინსტიტუტში გამომავალი კრებულის მთავარ რედაქტორად მურმან თავდიშვილის მიწვევა და მისი წიგნის შესაბამისი ადგილის გამოყენება და მითითება.

ახლა კი რა შეგვრჩა ხელთ?

ხელთ შეგვრჩა ნაკრები გუნდის გამანადგურებელი ანგარიში **ათით ნული!**

მოსალოდნელია ეს წკეპლიკა სახრეიკად გადაიქცეს და ანგარიში კიდევ უფრო გაიზარდოს, როცა გამოჩენილი რუსთველოლოგი („ვინ მარტომან ასთა ავნის“) გამოაქვეყნებს თავის ვრცელ რეცენზიას ნანკეპლიკარ წიგნზე!

2024 წ.

ფორმალიზმის ქარნალებულნი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრიფით გამოვიდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივის მიერ მომზადებული ფართო ფორმატის 512-გვერდიანი კრებული „რუსთაველი და ნიზამი“. ნიგნის ძირითადი მიმართულებაა ინტერტექსტობრივი ძიებები და აღმოსავლურ-ქართული ინტერკულტურული სივრცის კვლევა. ეს თანამედროვე ლიტმცოდნეობას წინ კვლევის საინტერესო ასპარეზს გადაუშლის და ამ მხრივ საქმიანობა ბევრისაღმთქმელად გამოიყურება.

ახლა ვნახოთ, როგორ ადასრულა დასახული მიზანი ინსტიტუტის კოლექტივმა.

წინასწარი შენიშვნები

გარეგნულადაც რომ შეათვალიერებ ნიგნს, თვალში გეცემა არაერთი აშკარა უხერხულობა. ზოგი მათგანი მეთოდოლოგიური კრახიც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

1. ლიტინსტიტუტის მესვეურთ საქმე უკუღმართად წარუმართავთ – დაურღვევიათ ლოგიკუ-

რი თანამიმდევრობა. ჯერ მიზნად დაუსახავთ ნიზამისა და რუსთველის ლიტერატურულ-კულტუროლოგიური მიმართებების დადგენა-დაზუსტება. არადა ასევე ფრიად საინტერესოა რუსთველის ლიტერატურული გადახმიანება უფრო ძველ პოეტ ფირდოუსისთან. კიდევ უფრო მეტი: ქართველი მგოსანი აღიზარდა „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანის“ ესთეტიკაზე; ეს ტექსტები გახლდათ მისი ახალგაზრდობის (ვიდრე სპარსულს შეისწავლიდა და ონსორის, ფირდოუსის, ნიზამის ქმნილებებს გაუფცქვნიდა გემოს) დამატკობელი სანიაზონი. მაშ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ინსტიტუტში? უნდა მიებაძათ მურმან თავდიშვილისათვის. გურამიშვილი ბრძანებს: „კარგსა საქმეზედ ნაბაძვა არარა საძრახისია!“ ახლა ვნახოთ, როგორ მოიქცა მითითებული ავტორი: ჯერ „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანის“ მიმართებანი დაადგინა „ვეფხისტყაოსანთან“ (იხ. „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, 1991); შემდეგ განიხილა „შაჰ-ნამესა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ტიპოლოგია (იხ. „ფირდოუსი და რუსთველი“, 2009. ამ ნაშრომმა დაიმსახურა დ. აღმაშენებლის საერთაშორისო პრემია და 4 ათასი დოლარი); ბოლოს კი გაანალიზა ნიზამისა და რუსთველის ტიპოლოგიურ-პარადიგმული საკითხები (იხ. „ნიზამი და რუსთველი“, 2011. ნაშრომს გამო-

ეხმაურა ირანოლოგი ნ. ბართაია, „მწერლის გაზეთი“, 2, 2011).

აი, ეს არის კვლევის ლოგიკური თანამიმდევრობა, რადგან თავდაპირველად საძირკველი უნდა ჩაყარო, კედლები კი ამის შემდგომ ამოაშენო, რამეთუ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან მოგვედევს უკვდავი შეგონება:

**თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია!**

2. მეორე მეთოდოლოგიური კრახი ასეთია: კრებულს აქვს უკუღმართი სათაური - **„რუსთაველი და ნიზამი“**. არადა ნიზამი რუსთველს წინ უსწრებს, მასზე უფროსია, მისი წინამორბედაა. „ვეფხისტყაოსანი“ გამოქვეყნდა სწორედ განჯევის გარდაცვალების შემდეგ (ქართულ ეპოსში აშკარად იგრძნობა ნიზამის სულ ბოლო ნაწარმოების ცოდნა. განჯელმა გენიოსმა დაასრულა თუ არა „ისკანდერ-ნამე“, კიდევაც გარდაიცვალა). მაშ, ქრონოლოგიურადაც უპრიანი იყო, ჯერ დაწერილიყო **ნიზამი**, შემდეგ – **რუსთველი**; მეორეც, სპარსული პოემების ავტორი სრულიადაც არ იცნობს რუსთველის ტექსტს, ქართველი მწერალი კი ღრმადაა ჩახედული წინამორბედის შემოქმედებაში. ამიტო-

მაც ლოგიკურია, სათაური ასე გაფორმებულიყო: **ნიზამი და რუსთველი**. საგულისხმოა, რომ ამ ლოგიკას ვერ გაჰქცევია კრებულის ერთი ავტორი. ივანე ამირხანაშვილის სტატიას ასეც ჰქვია - „ნიზამი და რუსთაველი“ (გვ. 6).

3. ჩვენი მკვლევრები, ჰგავს, პატივს არ მიაგებენ მგოსნის ხსოვნას, კეთილ საქმეში არა ჰბაძავენ აკ. შანიძეს, ალ. ბარამიძეს, მ. თავდიშვილს, და პოეტს ზედწოდებას (ნესბას) უმახინჯებენ. ამით კი კვერს უკრავენ ანტონ ბაგრატიონის ახირებას: ნაცვლად მართებული და მეცნიერული ზედწოდებისა **რუსთველი**, იყენებენ მხოლოდ მცდარ ფორმას **რუსთაველი**. ჩემი აზრით, წმინდა სამეცნიერო სტატიებში უნდა ჟღერდეს მხოლოდ **რუსთველი!**

4. ლიტინსტიტუტის მუშაკთათვის არაერთხელ ამიხსნია, მისწავლება, რომ არ შეიძლება ნესბის (ზედწოდების) თარგმნა. როგორ მოგეწონებოდათ, ვთქვათ, რუსმა მკვლევარმა რომ დაწეროს „მოტა იზ რუსტავი“? რა თქმა უნდა, ნესბა არ უნდა გადააენოს! საჭიროა დაიცვას მიღებული ფორმა. იგივე წესი მოქმედებს ნიზამის შემთხვევაშიც. ნესბა არც აქ უნდა ითარგმნოს. არადა თარგმნიან: ნაცვლად სწორი ფორმისა **ნიზამი განჯევი** ხმარობენ უმართებულს – **ნიზამი განჯელი**. ქართულ ენციკლო-

პედიამი მაინც ჩაეხედათ – იქ ყველაფერი სწორადაა მითითებული!

5. ცნობილ რუსთველოლოგს აკად. ელგუჯა ხინთიბიძეს მცირე წერილიც არასოდეს დაუწერია აღმოსავლელ პოეტთა და რუსთველის ურთიერთმიმართებაზე და წიგნში 30-ჯერაა მითითებული, ჩემი 219-გვერდიანი მონოგრაფიული გამოკვლევა „ნიზამი და რუსთველი“ (2011) ერთხელაც არაა ნახსენები. საკითხის ისტორიის (13) შემსწავლელი ლია წერეთელი იხვის ჭუკივით დაბნეულა – გაგონილიც არ ჰქონია ამ წიგნის ამბავი, ე.ი. არც მრავალი გამოხმაურება წაუკითხავს მასზე. არადა მავანს შევახსენებ: ლიტინსტიტუტიდან თსუ V კორპუსამდე (სადაც აღმოსავლეთმცოდნეობითი ბიბლიოთეკაა განთავსებული) 400 მეტრია, საჯარო ბიბლიოთეკამდე – 400 მეტრი, ხოლო ლიტინსტიტუტის II სართულიდან ლიტინსტიტუტის ბიბლიოთეკამდე 4 მეტრი, რაკილა III სართულზეა მოწყობილი! ყველა ამ ბიბლიოთეკაში დევს მითითებული წიგნი!

მაგრამ აქ, მგონია, სხვა ნამწვრის სუნი ტრიალებს: რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გრანტებს (გვარიან თანხას) გასცემს ცინცხალი, ხელთუკარებელი თემების კვლევაში და, თუ ამგვარ ნაშრომში უკვე გამოცემულ მონოგრაფიულ გამოკვლევას ახსენებდნენ, მაშინ, ეტყობა, გრანტს

უნდა გამომშვიდობებოდნენ. ამიტომაც დამალეს შუბი ხალთაში, ოღონდ იგი არათუ ხალთაში, ხალთაშიც ვერ დაიმალება, რამეთუ ამ გამოსმაურებაში ერთი კაცის („ვინ მარტომან ასთა ავნის“) მიერ დაწერილი გამოკვლევა არაერთხელ შეეჯახება და შეედრება ინსტიტუტის მთელი ბრიგადის ნამუშავეს.

უკვე ამ წინასწარი შენიშვნებიდანაც იგრძნობა, რომ კრებულის მოსავალს ცუდი პირი უჩანს (შერცხვენილი პირი უჩანს), რომ ამგვარად მორწყულ-მოვლილი ჯეჯილი ვერ დავარგდება, ვერ დაპურდება, ყვითლად მოღალანე ყანად ვერ გადაიქცევა.

სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, რადგან ლიტინსტიტუტს წლების განმავლობაში განაგებდნენ წერა-კითხვის მცირემცოდნე პროფესორები: **ყელწია გურამ ბენაშვილი და ქრონოტოპოსანი ირმა რატიანი.**

ამ წინასწარი შენიშვნების გაცხადების შემდგომ გადავიდეთ კონკრეტული სტატიების სიღრმისეულ განხილვაზე, ოღონდ ამჯერად თანამიმდევრულად და ერთად განვიკითხავ რუსთველოლოგიურ და ენობრივ ხარვეზებს.

წინათქმა (9)

აქ საუბარი გაშლილია დასავლურ-აღმოსავლური კულტურების ნაკადთა შერწყმაზე ქართულ პოემაში, კომპაქტურად მოყვანილია უკვე კარგად ცნობილი მოსაზრებები და რაიმე განსაკუთრებული აზრი ან გამოთქმა არ იხილვის, სამაგიეროდ თვალი მიიტაცა ნაირგვარმა ენობრივმა წუნმა. პირველივე წინადადება გაუმართავია: „ყოველი ეპოქა ახალ-ახალი გამონწვევების წინაშე აყენებს ქვეყნის **ინტელექტუალურ მემკვიდრეობას**“ (9). ავტორს ალბათ ენადა ეთქვა: „გამონწვევების წინაშე აყენებს **ქვეყნის ინტელექტუალური მემკვიდრეობის შემსწავლელთ**“. მაშ, გამონწვევების წინაშე, ვთქვათ, „ვეფხისტყაოსანი“ კი არა დგას, არამედ – რუსთველოლოგი, მკვლევარი!

ეს რომ ასეა, ამას იქვე მიდევნებული ფრაზაც ცხადყოფს: „რუსთველოლოგიაც, ისევე როგორც ყოველი სხვა დარგი მეცნიერებისა, წინ მიიწევს...“

მაშასადამე, გამონწვევების წინაშე მდგარა არა რუსთველი და მისი პოემა, არამედ – რუსთველოლოგიის დარგი!

ამ წინათქმაშიც კომპოზიტადაა წარმოდგენილი **შუასაუკუნეები**. არადა ორი სიტყვაა! მთელს ამ ვეებერთელა წიგნში ხშირადაა გამოყენებული

ეგ მცდარი დაწერილობა. ასევე ნიზამის ნესბაც თარგმნილია – **განჯელიო (9)**, ხოლო „შემოქმედებასთან მიმართებაში“ რუსულის კალკია. ქართულია „შემოქმედებასთან მიმართებით“; აქვე იხილვის **„ბენაშვილიზმი“**, ანუ ქვემდებარესა და შემასმენელს შორის უაზრო მძიმე: „რომლებიც, განაპირობებს“; უქართულო ქართულია ესეც: „გულისხმობს პროცესის თეორიულად **გადააზრებას**“. უნდა ყოფილიყო „თეორიულად ხელახლა გააზრებას“; მე-10 გვერდზე ორ-სამჯერ გვხვდება ორთოგრაფიულად მიუღებელი **შუასაუკუნეები**, ოღონდ ამას ემატება ახალი ნაკლი. წერია „გათვალისწინების გარეშე“ (10), უნდა **გაუთვალისწინებლად**; იმავე გვერდზეა „ისინი... ვითარდება“ (ისინი ვითარდებიანო); ერთგან ვკითხულობთ რებუსს: „ახლო ურთიერთობები და საერთო გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს კულტურულ თავისებურებათა ტიპოლოგიურ ნათესაობას“ (10). აქ რა გავიგოთ? ფრაზის დასაწყისში ჩასამატებელია სიტყვები: **„საქართველო-აზერბაიჯანის...“** ასევე რუსულ ყაიდაზეა გამოჭრილი ეგ ქარგა: „კვლევის სიახლე **იმაში მდგომარეობს**“. ეს კი უკვე **„გრივერიზმია“**, ანუ ფრაზის გატენა პარაზიტი სიტყვებით. ნეტარხსენებულ გრივერ ფარულავას ეგონა: თუ ასე იტყოდა - „ჩემ მიერ იქნა გაკრიტიკებული“ – ეს მეც-

ნიერული სტილი იყო; თუ ასე იტყოდა - „მე გავაკრიტიკე“ – ეს არამეცნიერული მსჯელობა. მაშ, უნდა ეწეროს: „კვლევის სიახლეა“, ანუ ორი სიტყვა ოთხის მაგიერ; ერთი საათი ვუტრიალე ამ წინადადებას - „ქართველი, აზერბაიჯანელი და ინგლისელი მეცნიერების ცოცხალი კომუნიკაციის თვალსაზრისით კი ის სრულიად ახალ მიდგომებსაც გულისხმობს...“ (10) – და ვერაფერი გავუგე. ეგების წერილი მომწეროს ავტორმა და გამაგებინოს! სხვათა შორის, როგორც დაკვირვებულმა მკვლევარმა, დავადგინე ამ ხელმოუწერელი „წინათქმის“ ავტორი: ზუსტად ამგვარ შეცდომებს იმეორებს „საკითხის ისტორიის“ ავტორი. მაშ, ამ მოკლე ტექსტის იდუმალი ავტორი ლ. წერეთელია! იმის ნაშრომშიც იგივე შეცდომებია: შუასაუკუნეებში, განჯელიო, განჯელის შემოქმედებასთან მიმართებაშიო, თეორიულ ასპექტში გადააზრებაო (32), ჰპოვაო (28)...

ლ. წერეთელი აზრზეც არაა, რომ რუსთველის დროს არ არსებობდა ნაწილაკი „ც“, იყო მხოლოდ „ცა“. მას კი რუსთველის ციტატა მოჰყავს თანამედროვე დაწერილობით: „მისნი ვერ გასძღეს პატიჟნი ვერც კაენ ვერცა სალამან“ (17, თანაც ფრაზას მძიმე აკლია!). ფორმას ვერც პოემა არ იცნობს (იხ. აკ. შანიძის ცნობილი სიმფონია, გვ. 110-112).

კიდევ რამდენიმე ენობრივი ლაფსუსი: ლ. წერეთელი წერს: „არსებითი განსხვავება, რომელიც რუსთველის მსოფლმხედველობას ნიზამისგან განსხვავებს ისაა, რომ...“ (19).

დააკვირდით: „განსხვავება... რომელიც... განსხვავებს“ არის ენობრივი სოფიზმი, ანუ მწყაზარი არცოდნა. ამვე დროს, ფრაზას აკლია მძიმე – „განსხვავებს“ უნდა ჩაკეტოს მძიმემ; იმდენი სმენა კი უნდა ჰქონდეს ფილოლოგს, ასე არ დაწეროს: სივრცესთან და კულტურასთან გაიგივებულიო (32)...

ყველა ნაკლს ვერ გამოვეკიდებით.

ასეთია „ნინათქმის“ ავტორის „თავისებურებანი“.

ლია წერეთელი, რუსთაველი და ნიზამი:

საკითხის შესწავლის ისტორიისათვის

სტატიაში მოკლედ არის მიმოხილული არსებული ლიტერატურა ნიზამისა და რუსთველის ლიტერატურულ პარადიგმებზე, ნაჩვენებია ქართველი და უცხოელი მეცნიერების მოსაზრებანი, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები; მოხმობილია სათანადო ციტატები. ყოველივე ეს გაკეთებულია ზომიერად. მართალია, ავტორს აქ ჰქონდა საშუალება, მოყვანილ თვალსაზრისთა საკუთარი გააზრება მოეცა და ცალკეული დებულებების მიმართ კრიტი-

კული დამოკიდებულებაც გამოევიდინა, რაც მასალას უფრო დამაინტერესებელსა და გატაცებით საკითხავს გახდიდა, ოღონდ იგი ასე არ მოქცეულა.

მაკა ელბაქიძე, რუსთაველი – ნიზამის თანამედროვე

ქ-ნი მაკა ელბაქიძის წერილის სათაური ორმაგი წინააღმდეგობის განცდას აღმიძრავს. ჯერ ერთი, „რუსთაველი – ნიზამის თანამედროვე“ ვერაფერი შვილი მეცნიერებაა. მაშ, სტატიის სახელწოდება არამეცნიერულია. ის შეუფერებელია კრებულის ისე პრეტენზიულ სახელწოდებასთან, როგორიც ასე ჟღერს: **„ინტერკულტურული სივრცე: რუსთაველი და ნიზამი“**. ამ სახელწოდების წარმოთქმისას ასე გვეჩვენება, თითქოს ზუალი და მუშთარი „ერთგან შეიყარნეს“ და ამ სილამაზესა და მნიშვნელოვან მოვლენას უბრალო კაცის გონება ვერასოდეს მისწვდებაო; **მეორეც**, იგი არც ფაქტობრივად არის სწორი, რადგანაც რუსთაველის პოეტური მზე მაშინ ამობრწყინდა, როდესაც განჯევისა ჩაესვენა. ძლივს მოასწრო სპარსული სიტყვის ჯადოქარმა ბოლო პოემის („ისქანდერ-ნამე“) შეთხზვა და კიდევაც გარდაიცვალა, ხოლო ქართველი მგოსანი გამონვლილვით იცნობს ამ თხზულებას. პოემის საქართველოში ჩამოსვლას, გავრცელებას,

ნაკითხვა-შესწავლას საკმაოდ დრო დასჭირდებოდა!
მაშ, რუსთველი განჯევიზე საკმაოდ ახალგაზრდაა!

მისდომოთ ტექსტს და თანამიმდევრულად განვიხილოთ ენობრივი და რუსთველოლოგიური ნარმატიბაცა და ნაკლიც. რაკი სათაური მთავრდება სიტყვით **თანამედროვე**, სტატიის დასაწყისშივე იგივე სიტყვა გამოცდილ ფილოლოგს არ უნდა ეხმარა: „**თანამედროვე** მკითხველს...“ (41). ფილოლოგიის დოქტორის ყურს ნიადაგ უნდა ეხამუშებოდეს ორი ერთნაირი სიტყვის ზედიზედ განმეორება, ანუ უხეში ტავტოლოგია.

ქ-ნი მკვლევარი, ისე როგორც მთელი მისი „კალმის ძმობა“, მხოლოდ ასეთ არასწორ ორთოგრაფიას იცავს – **შუასაუკუნეთა** (41). შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამათ ორთოგრაფიული ლექსიკონი ხელში არასოდეს სჭეროდეთ; კიდევ უფრო მძიმე ენობრივი შეუთანხმებლობაა ამ წინადადებაში: „ისტორიულმა მწერლობამ და სახოტბო პოეზიამ თამარს მიანიჭა ისეთი ღირსებები...“ (41). ქმედება **მიანიჭა** სულიერის თვისებაა. ამიტომ უნდა ყოფილიყო მიანიჭეს: „მწერლობამ და სახოტბო პოეზიამ... **მიანიჭეს**“, ყოვლად უხერხული, უგერგილო და უვარგისია გამოთქმა: „საქართველომ აქტიური **პოლიტიკის წარმოებას მიჰყო ხელი**“ (42); ვფიქრობ, სკოლაში არც გეოგრაფია უნდა ესწავლა ქალ-

ბატონ ეკას კარგად, რაკი შემდეგსა ბრძანებს: „სწორედ საქართველოს დაეკისრა იმხანად დასუსტებული ბიზანტიის იმპერიის ნაცვლად **ახლო აღმოსავლეთში** ქრისტიანობის“ დაცვაო (42). ახლა ქართულ ენციკლოპედიას გადავხედოთ: „**ახლო აღმოსავლეთი**, სახელწოდება დასავლეთ აზიისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრიკის ტერიტორიისა, რომელზეც მდებარეობს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, სუდანი, ისრაელი, იორდანია, სირია, ლიბანი, თურქეთი, ერაყი, საუდის არაბეთი, იემენი, ქუვეითი, კატარი, ბაჰრეინი... კვიპროსი“ და სხვ.

ამ ტერიტორიებს, ქ-ნო მაკა, ატომური იარაღის მქონე რუსეთიც კი ვერ აკონტროლებს, არათუ ძველი საქართველო. ამ მხარეებში საქართველო საერთოდ არასოდეს მოიაზრებოდა და არც ამჟამად მოიაზრება (იხ. ქსე, 2, 105); „თუმცა“ კავშირია, რომელიც იწყებს დამოკიდებულ წინადადებას და **მძიმე აუცილებელია მის წინ და არა უკან**. ამ ნესის არმცოდნენი (ძირითადად ლიტინსტიტუტის წარმომადგენლები) ყოველთვის პირიქით იქცევიან; წინიდან აქრობენ ყოვნის ნიშანს, ხოლო უკან აუცილებლად ჩაარჭობენ ხოლმე. ასეა ამ სტატიაშიც: „**თუმცა, შერწყმა** არ ნიშნავს...“ (42). ჰაერზე რომ არ ვლაპარაკობ, აგერ სხვა და სხვათა ნიმუშებიც: ირმა რატიანი წერს: „**მაგრამ**, რა ხდება მაშინ...“

(215); „**თუმცა**, გვიანი შუასაუკუნეების რომანეზში...“ (216); „...რამდენადაც დაიძლევა გმირის **მიერ. მაგრამ**, სივრცე არა მარტო დაიძლევა...“ (217); „**თუმცა**ლა, ფეოდალური საზოგადოება...“ (213); „**თუმცა**, რამდენადმე განსხვავებული **აქცენტით**“ (223); „**რასაც**, რუსთველოლოგები ადარებენ სიმმაგეს“ (231); ამ მხრივ მეგობრებს ხათრს როგორ დაუქცევდა ნ. გონჯილაშვილი: „**თუმცა**, რუსთველი, ჩვეულებისამებრ, მას ახლებური...“ (248); „**ზოგჯერ**, ერთმანეთისათვის წინააღმდეგობრივი...“ (283); „**თუმცა**, სპასპეტისათვის გრძნობის სიტყვიერი გაცხადება არაა საკმარისი“ (285); „**აქვე**, მარგალიტს სიმბოლური დატვირთვა აქვს“ (298); „**თუმცა**, ამ შემთხვევაშიც...“ (422); „**შემდეგ**, ავთანდილი ფრიდონის სამეფოსკენ გაემურა“ (423); „**თუმცა**, მათი დამოყვრების უმთავრესი წინაპირობაა...“ (424); „**თუმცა**, ფრიდონი, როგორც „ძმადფიცი“, მოვალე იყო...“ (437); „**თუმც კი**, წმინდა ადამიანური თვალსაწიერიდანაც შესაძლებელია მათი განხილვა“ (447); „**თუმც**, იმედი აქვს...“ (449); „**თუმცა**, მაინც შესაძლებელია...“ (450); „**მის გამო**, არავის მიადგეს ზიანი“ (451); „**თუმცა**, მეგობრობის შესახებ გააზრებანი...“ (452); „**თუმცა**, რუსთაველი შეწყვეტილ მეგობრობას არ ცნობს...“ (453)...

საყოველთაოდ ცნობილსა და სტანდარტულ აზრს რომ აყალიბებს - „ვეფხისტყაოსანი“ მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა საერთო ქართველური კულტურის გვირგვინიაო – ქ-ნი მაკა იქვე ბრძანებს: „ამ **სიტყვის ქვეშ** იგულისხმება **ყველა** განსხვავებულ **დინებათა** ... ერთ მთლიანობად გაერთიანება“ (42).

ქ-ნი მაკა რომ ჩემი აბიტურიენტი ყოფილიყო, ერთ წინადადებაში ორი აუტანელი შეცდომისათვის სასტიკად დავსჯიდი: **სიტყვის ქვეშ** რუსული კალკია. რომ ამბობენ, **ჰოლანდიური დროშის ქვეშ** მცურავი გემი – ეს გამართული ქართული კი არ უნდა გვეგონოს, არამედ მტკიცე რუსული კალკი. „დროშის ქვეშ მცურავი გემი“ ქართულად ამას ნიშნავს: სადღაც ზღვაში აღმართულია მაღალი დროშა და მის ქვეშ და ირგვლივ დაცურავს გემი. მაშ, ქართულად ფრაზა ასე გაიმართება: „**ჰოლანდიური დროშით მცურავი გემი**“. ამრიგად, ქ-ნი მაკას სინტაგმა „**სიტყვის ქვეშ**“ ჩამოვალაბორანტოთ და გავმართოთ ჩვენებურად: ამ **სიტყვის ქვეშ** იგულისხმება → ამ **სიტყვაში იგულისხმება!**

ახლა მეორე შეცდომა გავასწოროთ: როცა მრავლობითობის შემცველ-გამომხატველი სიტყვა წინაა, მაშინ მისი საზღვრული ცნება იქნება მხოლოობითში. მაგალითად, **ბევრი ადამიანი; მრავა-**

ლი შენობა; ყველა დინება. მაშასადამე, **ყველა დინებათა** გახლავთ უდიდესი სინტაქსური შეცდომა, რაკილა სინტაგმის გაუკუღმართებას მოასწავებს.

ქ-ნი მაკა ერთი ავტორის სახელგვარულ სინტაგმას ასე აფორმებს: **მორის ბაურა** (43), ოლონდნიგნის მითითებულ წყაროში ასეა დაბეჭდილი **ბოურა** (496).

ეს შენიშვნა ეხება მას არა როგორც ავტორს, არამედ – როგორც კრებულის რედაქტორს.

როცა ამხელა კრებულის რედაქტორობას კისრულობ, მაშინ საკუთარ ნაწერში ასეთი ჩახლართული სალტო-მორტალე არ უნდა გაურიო: „ისტორიულმა ბედისწერამ არაერთხელ იმავე განსაცდელის წინაშე დააყენა, როგორისაც რუსთველის იდეალური გმირები“ (43).

ეგ წინადადება ისე ბუნდოვანია, როგორც ეთიოპელის სახე ღამით.

თითქოს ეს უხეში შეცდომა არ გვეყოფოდა, მკვლევარმა იმავე გვერდზე მყოფთ ფეხის ნაბანი წყალივით თავზე გადმოგვასხა ახალი მღვრიე ნაკადი: „**შინაარსობლივ** – ნარატიული... ქარგა“. არადა იმ ორთოგრაფიულ ლექსიკონში, რომელიც მკვლევარს ხელში არასდროს სჭერია, პირდაპირ წერია: „**შინაარსობრივი** (და არა შინაარსობლივი). იხ. თო-

ფურია-გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთ. ლექსიკონი, 1968, გვ. 850.

ბანალურ, ათასგზის გამეორებულ მოსაზრებას რომ გვაცნობს პოემის მხატვრული სინამდვილისა და რეალური სინამდვილის ურთიერთმიმართებაზე, ქალბატონი მკვლევარი იქვე დასძენს: **„მოხდა ცვლილება რომანის ორგანიზებაშიც“** (44).

ეს კი მამალი **გრივერიზმია**, რამეთუ საქმეში ჩაერთო პარაზიტი სიტყვა „მოხდა“. ქ-ნ მკვლევარსაც გრ. ფარულავასამებრ სჯერა: თუ იტყვის - „ჩემ მიერ ლობიო იქნა შეჭმული“ – მეცნიერება და მეცნიერული სტილია, რაკილა პომპეზურია, ათი დღის დამხრჩვალ ბოჩოლასავით გაბერილია, გატიკნილია! მაგრამ, თუ იტყვის უბრალოდ, აი, ასე: **ლობიო შევჭამე** ანდა **რომანი სხვაგვარად აენყო**, მაშინ დაიკარგება მეცნიერება და სამეცნიერო სტილი.

ზემორელე მეცნიერი ქალის ბუნდოვანი ფრაზა შებინდებისას შეხვედრილი ეთიოპელის სახეს შევადარე. უფრო ბნელი და გაურკვეველია მომდევნო ნინადადება: „შინაგანი კონფლიქტი ინვევს რაინდული რომანის მოქმედების „გაორებას“, **ორსაფეხურობანი სინტაგმატური** სტრუქტურის ჩამოყალიბებას“ (45).

მეგობარო მკითხველო, ყალბ თავმდაბლობას ვერ დავინყებ: ერთობ ძლიერი ტექსტოლოგი და მოქართულე-სტილისტი გახლავართ, ოღონდ ეგ შიფრი ვერაფრით გავხსენი. ეს ფრაზა ისევე ბუნდოვანია, როგორც აბისინიელის სახე კუნაპეტ ღამეში.

აი, ქ-ნო მაკა, რატომ უნდა ვყოფილიყავი მაგ კრებულის მთავარი რედაქტორი მე: რამდენ შეცდომას, შეცოდებას, სირცხვილს აგარიდებდით როგორც პირადად თქვენ, ისე თქვენს შემოქმედებით ბრიგადას!

მაგრამ ჯერ სადა ხართ!

ამ წიგნში „სამკალი ფრიად არს“.

და მე არ ვიცი, მეყოფა თუ არა ძალი, სვრელი ბოლომდე გავიტანო.

ერთგან ფორმალისტური ტერმინოლოგიით გატაცებული მკვლევარი ღვინიასავით კლდეზე გადაიჩეხა – მეტად უცანურ რასმე გვასწავლის, ჩემი ფიქრით, იმის საპირისპიროს, რაც სინამდვილეშია: „მოხეტიალე პერსონაჟების (რუსთაველის ავთანდილი ან კრეტიენ დე ტრუას ერეკი) სივრცე შეზღუდული და „შემოფარგლულია“ (45).

ვლადიმერ ულიანოვი ჰეგელს დიდად აფასებდა, ოღონდ იქვე შენიშნავდა: ის თავით დგას მიწა-

ზე. საჭიროა მისი გადმოზრუნება და ნიადაგზე ფეხებით დაყენებაო.

რალაც მსგავსი უნდა ვთქვა ქალბატონ მკვლევარზე: ჰეგელი მამაკაცი გახლდათ და თავდაყირა დგომა ისე მიძიმედ ვერ შეურაცხყოფდა, როგორც კაბიან ქალბატონს. ამიტომ ლენინზე მეტად ვჩქარობ, რათა მშვენიერი ქართველი მანდილოსანი ფეხზე დავაყენო: რუსთველისა და კრეტიენ დეტრუას გმირთა ავანჩავანი საგანგებოდ მაქვს შესწავლილი, ამ მხრივ ერთი პატარა აღმოჩენაც მაქვს გაკეთებული და უნდა მოგახსენოთ: სწორედ ოდისევის, ავთანდილის, ერეკისა და მსგავსი მოხეტიალე გმირების დახატვით ახერხებენ ავტორები, მკითხველს ახალ-ახალი სივრცეები, ლანდშაფტები, ზღვა-ოკეანეები, ქვეყნები და ქალაქები დაათვალიერებინონ. საკითხს შორს ვერ გავედევნები, მოკლედ ვიტყვი: სწორედ ავთანდილის მეშვეობით ვეცნობით ჩვენ სავაჭრო ქვეყანასა და მის დედაქალაქ გულანშაროს, ქარავანთა მოძრაობასა და სავაჭრო წესებს, მეკობრეთა ყოფასა და განდეგილი ტარიელის გამოქვაბულს, ხატაელი ძმების ურვასა და ხიფათს იოლად გადარჩენილი ბაღდადეგი ვაჭრების სიხარულს, აჭარასავით კეკლუც მულღაზანზარსა და ქაჯეთის იდუმალ ამბავს, თვით გატაცებულ-გადამალული ნესტანის ყოფასაც კი...

ოლონდ აზრობრივი შეცდომა მარტო არ მოდის. იქვეა ენობრივი მანკიც:

„დროის მდინარეზაც, ფაქტიურად, შეჩერებულია“ (45). ჯერ ერთი, სწორია „ფაქტობრივად“ (ორთ. ლექსიკონი, 742), მეორეც, ეგ სიტყვა ჩართული არაა, ზმნიზედაა და მძიმეებით შემორაგვა არა სჭირდება. ხომ არ შეიძლება ასე დავწეროთ: **კარვად, ვიყავი ანდა ასე: მშვენივრად, ვიქეიფეთ!**

აღნიშნული, როგორც დაგაგუმანეთ, **ბენაშვილიზმია.**

ვფიქრობ, საჭიროა კიდევ ერთხელ დავაყენოთ ფეხზე ქალბატონი მკვლევარი. ის გულუბრყვილოს სითამამით წერს: „წარმოუდგენელია, წრფელად გიყვარდეს და ამ გრძნობამ შენს გულში სიყვარულის სიმღერა არ დაჰბადოს“ (შდრ. „ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს, ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს, - მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“ (46).

პროფესორს რუსთველის აქ მოყვანილი პოეტური აზრაც **სიყვარულის საგალობელი** ჰგონია. სინამდვილეში პროლოგის ეს სტროფი ეხება არა ინტიმურ სიყვარულს (ღვთისა თუ ადამიანისადმი), არამედ სიყვარულს მწერლის მიერ აღებული ერთი დიდი და მნიშვნელოვანი თემისადმი, იმ ქმნილები-

სადმი, რომელსაც მთელი სიცოცხლე და მთელი თავისი ხელოვნება, ენამუსიკობა უნდა შესწიროს, მთელი ძალ-ღონე მოახმაროს და სხვა თემისაკენ, სხვა ნაწარმოებისაკენ თვალი არ გაექცეს.

ფართოდ და საფუძვლიანად ეგ საკითხი განხილულია ნაშრომში „მართალი სიტყვა ვეფხისტყაოსნის პროლოგის შესახებ“, რომელიც ჯერ კიდევ 1988 წელს დაიბეჭდა და მოგვიანებით შევიდა ჩემს დიდ წიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ (1991).

იდეურ-შინაარსობრივ შეცდომებსა და ხარვეზებს რეჩიტატივად თან გასდევს ენობრივი შეცოდებანი, იქვე, ახლორე, წერია: „ეს ურთიერთობანი... მეტწილად განპირობებული იყო დანინაურებული ფენის – რაინდობის – ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად“ (47).

მივიღეთ ასეთი სინტაქსური ბმა: **„განპირობებული იყო... მოთხოვნების შესაბამისად“**. ეს კი ჩიქორთულია. სწორი ქართული ასე აჟღერდება: **„განპირობებული იყო... მოთხოვნებით“**. კითხვა – რითი იყო განპირობებული? – გულისხმობს პასუხს: **განპირობებული იყო მოთხოვნებით**.

ოდნავ უხერხულობას კი ვგრძნობ, რომ მე, პროფესორი, მას, პროფესორს, ასე ელემენტარულ

საკითხებს ვუხსნი, მაგრამ რა ვქნა: პირფერობა ჭირის დღესავით მეჯავრება.

თითქოსდა სწორ ფორმებს გვთავაზობდეს, ავტორი პირდაპირ ცხვირში გვჩრის უმართებულო ფორმათა ტავტოლოგიას: „**შუასაუკუნეების** ქართული სოციალური ცხოვრების ინსტიტუტიც, რომელსაც პატრონყმობა ეწოდება, ანალოგიურია **შუასაუკუნეების** ფეოდალურ ევროპაში...“ (47).

ხშირად მკვლევარს საკუთარი მსჯელობის დასტურად მოჰყავს არაადეკვატური საზეპირო, წერს: მეფისადმი „მოწინება, მორჩილება და ერთგული სამსახური მართებს ყოველ ქვეშევრდომს: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“ (47).

ციტირებული ტაეპი უფრო რელიგიურ იდეას ავითარებს და არა პატრონყმურს. მეფე იგივე ღვთაებაა. ვინც ღვთაებისათვის თავს განირავს, ის ზეცაზე მოხვდება. ზეცა კი ღვთის საუფლოა. ე.ი. უკვდავი გახდება, სამოთხეს ეზიარებაო. მაშ, აქ უპრიანი იყო, მოემარჯვებინა ტაეპი: „ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად!“

წერილის თავისებურება ისაა, რომ ფართოდ არის მოყოლილი ცნობილი ჭეშმარიტებანი, ცნობილი ფაქტები; არ იხილვის არც ერთი მიგნება, აღმოჩენა, არც კრიტიკული პათოსით გამოიჩვენა, რათა

გონი მიძრა-მოძრას და სააზროვნოდ განანყოს. სამუქფოდ, თვალსა გვჭრის ენობრივი უმწეობანი. მსჯელობის ამ გადატრუსულ ტრამაღზე შემოგეფეთება, ვთქვათ, ასეთი თქმა: **„მეგობარი თუ, თუნდაც, პატრონი“** (48).

ენობრივი უმწეობა ამაზე შორს ველარ გაინევს. მე, როგორც ნაცად რედაქტორს, ამ უმწეობაზე იოლი გასასწორებელი ჯერ არაფერი შემხვედრია: აქ არც **თუ** არის საჭირო და არც ამდენი მძიმე: **„მეგობარი და თუნდაც პატრონი“**. ხედავთ, ქ-ნო მაკა, რა ლაღად ამოისუნთქა წინადადება მჩემს ხელში!

ამ ათასჯერ ნათქვამ ტრადიციულ აზრს თან მოჰყვება ორი-სამი ენობრივ-სტილური ან პუნქტუაციური შეცდომა: **„რენეანსული** იდეალი, რომლის ფორმირებაც, როგორც ვთქვით, **გვიანდელ შუასაუკუნეებში** დაიწყო, **გამოვლინდა**, პირველ ყოვლისა, პერსონაჟთა ხატვის რუსთველისეულ **მანერაში“** (48).

ჯერ ერთი, „მანერაში გამოვლინდა“ კი არა (ეს რუსულის კალკია), არამედ „მანერით გამოვლინდა“; მეორეც, არა „რენეანსული“, არამედ - „რენესანსული“; მესამეც, **გვიანდელი** შეიძლება იყოს **მოვლენა**, ხოლო შუა საუკუნეები არსებობს ორგვარი: **ადრე** შუა საუკუნეები და **გვიანი** შუა საუ-

კუნეები; მეოთხეც, **შუა საუკუნეები** ინერება ორ სიტყვად (იხ. ორთ. ლექსიკონი, გვ. 855).

ერთგან მჭვირვალებს „ვეფხისტყაოსნის“ შინა-არსის ფაფუკი („ინრო“) ცოდნა: „ავთანდილი სპას-პეტია, **ამირ სპასალარის ძე**, ტარიელი კი – **ინდოეთის მეშვიდე სამეფოს უფლისწული** და ქვეყნის ამირბარი“ (49).

აქ პირდაპირ ყვირის და გაჰკვივის ორი შუმი შეცდომა. პირველი მსუბუქია, ოდენ გაკანრავს ავტორს, მეორე მძიმე და მძიმედ დაჭრის მას.

ამირსპასალარი ერთი სიტყვაა და ცალ-ცალკერძ არ ინერება!

ტარიელი როცა დაიბადა, ინდოეთის მეშვიდე სამეფო აღარ არსებობდა. მის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, ალბათ ასე, 5-7 წლის წინათ, ის გაუქმდა, რადგან სარიდანმა ფარსადანის ექვს სამთავროს შეუერთა და ამით ინდოეთი გააერთიანა. ტარიელი გაუჩნდა არა ინდოეთის მე-7 სამეფოს ხელმწიფე სარიდანს, არამედ გაერთიანებული ქვეყნის ამირბარ სარიდანს. მაშასადამე, ის მე-7 სამეფოს უფლისწული ვერ იქნებოდა. სულ სხვა ამბავია, რომ მოგვიანებით ის ფარსადანმა იშვილა. ოღონდ ყოველივე ეს სხვა ოპერიდანაა და ახლა ამაზე მსჯელობა არ ეგების.

ასე რომ, ეგ უხეში შეცდომა აუცილებლად გასასწორებელია!

აზრობრივ-ენობრივი შეცდომები შერწყმულია ამ ამონარიდში: ავთანდილი და ტარიელი მაღალი წრის წარმომადგენლები არიან. ეს კი „ამ პერსონაჟებს გარკვეულ სოციალურ პასუხისმგებლობას აკისრებს, რაც მათ ეთიკურ სრულყოფასა და უკომპრომისო მორალში ჰპოვებს გამოხატულებას“ (49).

გამოდის აზრობრივი სოფისტიკა. ის რომ დავძლიოთ, რთული წინადადება კარდინალურად უნდა შევცვალოთ: **სოციალურ პასუხისმგებლობას აკისრებს, რაც მათ ეთიკურ სრულყოფასა და უკომპრომისო მორალის შემუშავებას აიძულებს (ან იწვევს).**

ენობრივად კი მიუღებელია: **მორალში ჰპოვებს გამოხატულებას.** აქ ერთბაშად ორი შეცდომაა დაშვებული. ჯერ ერთი, სწორია **პოვებს** და არა „ჰპოვებს“; მეორეც, რუსულის კალკია **მორალში პოვებს გამოხატულებას.** უნდა **მორალით გამოიხატება.**

არაადეკვატური დამონმება იკვეთება ამ ამონარიდშიც: „სიბრძნე... ყოველგვარ სიმდაბლეს გამორიცხავს („არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“ (50). უგერგილო ციტირებაა,

რადგან საზეპირო სულ სხვა რასმე გვეუბნება: აქ სიბრძნე კი არაა პედალირებული, არამედ **თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობა**. ფილოსოფოსთა სიბრძნე პრაქტიკულ მოღვაწეობაში უნდა გამოვიყენოთ. ქ-ნმა მაკამ შეიძლება არ იცოდეს, ოღონდ მე, როგორც რუსთველის მამამ და პატრონმა, ხომ უნდა ვიცოდე? ეგ იდეა მეორენაირადაცაა გამოხატული: „არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?!“

ამ თეორიულ-ფორმალისტურ მსჯელობათა კასკადში აქა-იქ ხშირად გამოტყვევება გასასწორებელი ფორმები: დასძლიოს, სჯობია (50); ასახვაში გამოვლინდა, კონვენციონალური (51). ამასობაში ქ-ნი მკვლევარი ასწრებს ასეთი რამეც აგვიხსნას: „არც ამ გენიალურ ტექსტს ემუქრება მივიწყების მორევში ჩაძირვა, ან განსხვავებულ ეპოქათა ლიტერატურული გემოვნებისა თუ ტენდენციების გავლენის ქვეშ მოქცევა“ (52).

აქ აზრი ისე გაგვირბის, როგორც ჰორიზონტი – მისდევ და ვერ სწვდება, ვერ მოგიხელთებია. ეს გაიძულებს, გამოთქვა აფორიზმი: ბუნდოვნად წერს ის, ვინც ბუნდოვნად აზროვნებს, ბუნდოვნად კი ის აზროვნებს, ვისაც სათქმელი არაფერი აქვს და მაინც ლამობს, სიბრძნე მოასასწაულოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

აღნიშნული სტატია „ლაყაბის“ კლასიკური ნიმუშია, ამასთანავე, ნიზამის შემოქმედებასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ასე ნებისმიერი ფილოლოგი ნებისმიერ თემაზე დაწერს, სამუქფოდ ვერც ვერაფერს ბრძანებს ღირებულს. არადა ისეთი რამ უნდა დაწერო, სხვა რომ ვერ დაწერს, თორემ ასე ზოგადთეორიულ და რეფერატულ თემას, ვთქვათ, ავთანდილის დახასიათებას, სამ დღეში სამას გვერდზე გავაშანშალებ და მერე სამ სატრფოს გადავებევვი; დიახ, საჭიროა, ისე დაწერო, 1 ახალი იდეა, 1 ახალი აზრი, 1 ახალი მიგნება მაინც ჭაჭანებდეს და თანაც ისეთი ქართულით დაწერო, ვილაც ჩანჩურა გრამატიკოსმა შენი ნაშრომი წითელი მელნით არ ააჭრელოს.

ივანე ამირხანაშვილი, ნიზამი და რუსთაველი: დრო და ესთეტიკური მრწამსი

როგორცა ვხედავთ, სათაური წაღმართულია: ჯერ ნიზამია დასახელებული, შემდეგ – რუსთაველი, თანაც მკაფიოდ არის გამოყოფილი ორი საკვლევი თემა – **დრო და ესთეტიკური მრწამსი**. მკაფიოობა, ნათელი სტილი და ლოგიკურობა ივ. ამირხანაშვილს საერთოდ ახასიათებს. ამიტომაც მცირე უზუსტობები მის ნაწერს იმდენად არ აბუნდოვანებს და ამძიმებს. მაინც სასურველია ერიდოს ასეთ

უსწორო ფორმებს: **კანონიზირება** და **უკვეთავს** (189). „ირ“ რუსული ფორმანტია. ქართულია **კანონიზება**; „უკვეთავს“ ზმნას არ აქვს თემის ნიშანი – ავ. ამიტომ კანონიერია **უკვეთს** (იხ. ორთ. ლექსიკონი, 718); პირენემდე (190) კი არა, პირენემდე, რამეთუ საწყისია პირენეი; თვისობრივად კი არა (191), არამედ **თვისებრივად**, რაკილა ამოსავალია სიტყვა „თვისება“; „აგრეთვე“ იგივეა, რაც „ც“ ნაწილაკი. ამიტომ მისი გამოყოფა მძიმით არ ივარგებს („აგრეთვე, ქალი“, 191); „პირველ რიგში“ (191) მდაბიურია, ამაღლებულ-ლიტერატურულია „უწინარეს ყოვლისა“...

პროფ. ელგ. ხინთიბიძის მსგავსად მკვლევარი სამართლიანად უვლის გვერდს ქართული რენესანსის საკითხს: „რა აღორძინდა აღმოსავლეთში, ძნელი სათქმელია. ჩვენთან მართლაც შეიქმნა თვისობრივად ახალი, მაგრამ ეს არის უფრო იმანენტური პროცესი, ვიდრე კონკრეტული რაღაცის აღორძინება. ამიტომ უმჯობესია ამ მოვლენას ვუნოდოთ ჰუმანიზმის მსოფლმხედველობა და არა მაინცდამაინც რენესანსი“ (190).

ამის დამწერი, ეჭვი არაა, იცნობს ვიკტორ ნოზაძის მოსაზრებას ქართული რენესანსის თაობაზე. ბუნებრივია, ეს უნდა მოვიწონოთ.

სტატიკაში არის ცდა, დაიძებნოს საგულისხმო პარალელები და მხატვრული დროისა და ორი შემოქმედის ესთეტიკური მრწამსის გამოსაკვეთად გაანალიზდეს. ამ აზრით ეგ მასალა ნამდვილად უპასუხებს კრებულის ამოცანას და ქ-ნი მაკა ელბაქიძის წერილივით ამორფული და კრებულის კურსიდან ამოვარდნილი როდია. ავტორის დადებით თვისებად მივიჩნევ სიფრთხილეს, რასაც იგი ხშირად იჩენს, თუმცა ზოგჯერ კიდევაც კარგავს მას. მაგალითად, წერს: „ორივე პოეტი იყენებს მწვანით შემოსილი გრძნეულის სახეს. ნიზამი პოემაში „ხოსროვი და შირინი“... ანგელოზის შესახებ წერს: „დააგდო ზეცა შემოსილითა ტანზე მწვანითა“ (ნიზამი 1964: 420). შოთა რუსთაველი: „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა“ (რუსთაველი 1966 : 235). იხ. კრებულის 192.

თითქოს საინტერესო მიგნებაა, პარალელია, ოლონდ ასეა ერთი შეხედვით. საკითხის სიღრმეში თუ შევალთ, აღმოვაჩინთ: „ვეფხისტყაოსანში“ არსად არაა ნაჩვენები, რომ **მოლი** მწვანეა, ხოლო ვ. ნოზაძემ მკაფიოდ დაადგინა – ეს არის ნაბადი, თელილი, ფერად შავი (იხ. „ფერთამეტყველება“), ხოლო ნიზამის პერსონაჟის, ანგელოზის, მწვანე სამოსზე შემდეგი უნდა ვთქვათ: აღმოსავლურ სამყაროში **მწვანე** მიიჩნეოდა ახალგაზრდულ ფერად,

სიცოცხლის საწყისი ეტაპის აღსანიშნავ საშუალებად. ამიტომაცაა, რომ ფირდოუსის, ნიზამის, რუსთველის ახალგაზრდა გმირები **მწვანე** სამოსში არიან გახვეული. აღმოსავლური და საერთო გაგებითაც ანგელოზი ყოველთვის წარმოიდგინება ახალგაზრდად. ამიტომაცაა, რომ ნიზამის ანგელოზი მწვანედ შემოსილია. რუსთველის მიერ დახატულ მიწიერ ანგელოზ ნესტანსაც ამის გამო ხშირად აცვია მწვანე სამოსი. მისი ამგვარი შემოსილობა პოემაში სულ ნაჩვენებია 4-ჯერ (იხ. აკ. შანიძის სიმფონია); ქართულ სინამდვილეშიც ანგელოზები წარმოიდგინებოდა ყმანვილთა სახით. ამ მხრივ მივუთითებ უბისის მხატვრობას, სადაც გამოსახულია ღვთისმშობელი ანგელოზებითურთ. უკლებლივ ყველა ანგელოზი ახალგაზრდაა (იხ. ბუკლეტი „უბისის ფრესკები“, 3, 4); ასევე ახალგაზრდაა თვით მთავარანგელოზი გაბრიელი, 38; ჭაბუკია მახარობელი ანგელოზიც (45); ფრთიან ანგელოზთა დასი წარმოაჩენს ახალგაზრდულ ყმანვილურ სახეებს (48); 2000 წელს გამოქვეყნდა მ. თავდიშვილის წიგნი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“. წინა გარეკანზე გამოსახულია ანგელოზის ჩამოფრენა. აქაც იგი ყმანვილკაცად არის გამოყვანილი.

ასე რომ, ანგელოზის მწვანით შემოსვა გასაგებია, ხოლო **მოლი** სიტყვის თანამედროვე (მწვანე ბალახი) გაგება მიუღებელია.

მსგავსი შეცდომა, ანუ ძველი ფილოსოფიური ლექსემის თანამედროვე გაგებით მიღება, მეორე ნერილშიც მოუვიდა ავტორს. იგი ეხება ნიზამისა და რუსთველის ტექსტთა ანტიკურ წყაროებს. იქ ბნი ივანე პირწმინდად იმეორებს პროფ. ელგ. ხინთიბიძის მცდარ თვალსაზრისს, როცა მიუთითებს: „ამავე საშუალის თემას უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ ოქსიმორონული ტაეპი: „უბოროტო ვის ას-მია, რაცა კარგი საეშმაკო?“ აქ ავთანდილი სიყვარულით გონებადაბინდულ ტარიელს უხსნის, რომ სიყვარულში ბოროტება არსებობს. ეს სენტენცია გამოძახილია ძველბერძნულ ფილოსოფიაში ცნობილი თეორიისა, რომ სიყვარული არის საშუალო ინსტანცია კეთილსა და ბოროტს შორის (ხინთიბიძე 2019:14)“ (კრებული, 348-349).

აქაც ავტორსა და დამმონმებელს მოუვიდათ ისეთი შეცდომა, ბევრს რომ მოსდის: ძველი ფილოსოფიური სიტყვა თანამედროვე შინაარსით გაიაზრეს. ეს კი უხეში შეცდომის საფუძველია. ამის თაობაზე უკვე შევნიშნე ბ-ნ ელგუჯას და იმ კრიტიკულ შეფასებას აქაც გავიმეორებ:

„ბატონი ელგუჯა ფიქრობს, რომ ფრაზა - „უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო“ - ბუნდოვანია და ბრძანებს: „პირადად მე კი ვეფხისტყაოსნის ბუნდოვანი და ძნელად შესაცნობი ფრაზის „საეშმაკოს“ დემონურად გააზრებამ და ნეოპლატონური კონტექსტით ინტერპრეტირებამ რუსთველის მიერ ბერძნული მითოლოგიის ეროსის დამონმებასა და პლატონის ნადიმთან მიმართებასთან დამაბრუნა“ (9).

მითითებული ტაეპი რომ „ბუნდოვანი და ძნელად შესაცნობი“ ყოფილა, ამაში მკვლევარი დაურწმუნებია „პეტრინის ფილოსოფიის ცნობილ მკვლევარ ლევან გიგინეიშვილს, რომელსაც წაუკითხავს მოხსენება „ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთ ბუნდოვან ტაეპზე - „უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო“, სადაც თურმე „კარგი საეშმაკო“ ძველი ქართული ბიბლიური ტექსტების საფუძველზე დემონურ კარგად გაიაზრა“ (9). კიდევ მეტი, მკვლევარი თურმე „რუსთაველის **კარგ საეშმაკოში** ხედავს ორ ერთმანეთის სანინაალმდეგო ოქსიმორონულ ზედსართავ სახელს და მსგავსი ტიპის ოქსიმორონზე მიუთითებს იოანე პეტრინონის კომენტარებში...“ (9).

მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა ბატონი ელგუჯასადმი, უნდა ვთქვა: არ შეიძლება ასე იო-

ლად ვენდოთ მკვლევრებს, თორემ ხომ შეიძლება ისინი ცდებოდნენ და მათ მცდარ პლატფორმაზე დგომისას ჩვენც შევცდეთ?

მითითებული ფრაზა, ბატონებს ლ. გიგინეიშვილსა და ე. ხინთიბიძეს რომ ბუნდოვანი და გაუგებარი სჩვენებიათ, ჩემთვის ყოველთვის დღესავით ნათელი იყო და ეგ იმიტომ, რომ გახლავართ ნობაძეოლოგი. ბ-ნი ვიკტორის თითქმის ყველა ტომეულის მიმოხილვა მაქვს დაბეჭდილი, ხოლო ამა წლის ბოლოს გამოვა 500-გვერდიანი მონოგრაფია „ვიკტორ ნობაძის მეტყველებანი“.

ახლა რად ვახსენებ ვ. ნობაძეს?

იმად, რომ ამ ღვთაებრივ მკვლევარს ეგ საკითხი მისებურად ყოველმხრივ და სრულად აქვს გარკვეული და იქ ბუნდოვანი არა არის რა.

რატომ მოუვიდათ მკვლევრებს ესდენ დიდი კრახი?

ახლავე მოგახსენებთ.

მე გადავხედე ბ-ნი ელგუჯას დამონმებულ ლიტერატურას და, ჰოი საოცრება!

იქ არსად ჭაჭანებს ნობაძის გვარი!

ახლა კი სავსებით გასაგები გახდა აღნიშნული სამეცნიერო კონფუზის არსი: მკვლევრები არც კი იცნობენ საკითხზე უდიდესი რუსთველოლოგის

მოსაზრებას ან იცნობენ და ყურადღებას არ აქცევენ.

არადა ბატონი ვიკტორის თვალსაზრისი დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1963 წელს!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა მეცნიერული პატიოსნება არ მოითხოვს, ჯერ გააბათილო, მოხსნა არსებული მოსაზრება და შემდეგ ააგო ახალი თეორია?!

ჩვენი მეცნიერები ასე როდი მოქცეულან.

ახლა კი უნდა განვაცხადო: მითითებული ფრაზა არც ოქსიმორონია, იქ არც არაფერი უპირისპირდება ერთუროს და არც რაიმე ბუნდოვანება იგრძნობა.

ვ. ნოზაძე გვინიგნავს: ძველად **კარგი** ორ რასმე ნიშნავდაო. ერთია ჩვეულებრივი გაგება (კარგი, კეთილი, მისაღები, პოზიტიური), ხოლო მასვე ჰქონია მეორე, უფრო საგულისხმო გაგება – ესაა **რიგი, კატეგორია, კლასი**. მომყავს ამონარიდი: „**კარგი** ქართულში ორ სახედ განიმარტება. კარგი კეთილს რასმე ნიშნავს... **კარგი**, ანუ **კარქი**, რიგსა ნიშნავს და, რაც რომ ეშმაკისაგან გარიგებული, ანუ განწესებული საქმე არის, ის მარადის ბოროტი არის ... ეს ეშმაკის მიერი ბოროტი განკარგულება და გარიგება იქნება; **კარგი საეშმაკო** – ეშმაკისა მიერ გარიგებული, ანუ რიგ მიცემული.

სრული უეჭველობით დამტკიცდა აქ, რომ ცნება „კარგი“ არის: რიგი, წესი... მაშასადამე, ვეფხისტყაოსანის სადავოდ ქცეული ლექსი სადავო სრულებითაც არა ყოფილა“ (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“, პარიზი, 1963, 316).

ახლა განვმარტოთ ტაეპი: „უბოროტო ვის ას-მია, რაცა კარგი საეშმაკო“ – ეს ნიშნავს: რაც ეშმაკური კატეგორიისაა, ის რომ უბოროტო იყოს, არავის გაუგონია; სხვაგვარად: ეშმაკური ჯიშისა და ჯილაგის რაცაა, ყველაფერი ბოროტებასთან არის წილნაყარი.

ვფიქრობ, აქ „ბუნდოვანი და გაუგებარი“ არაფერია!

ამის შემდეგ ვ. ნოზაძე შენიშვნას აძლევს იმ მკვლევრებს, რომელთაც არაერთი თეორია შეთხზეს ამ ფრაზაზე დაყრდნობით, კერძოდ, ესენი არიან მიხეილ წერეთელი, ვუკოლ ბერიძე და სხვანი, რომელთაც პოემის ეს ლექსი შეასწორეს და იგი ამით, ვიკტორ ნოზაძის სიტყვით, „საპყარ ქმნეს, დააკუტეს“ (317).

მაშასადამე, სწორი მოსაზრება ჯერ კიდევ 1963 წელს გამოითქვა, ხოლო 2019 წელს – მისი საწინააღმდეგო შეხედულება“ (იხ. „ლიტერატურული მესხეთი“, 2023, დეკემბერი, 13).

ასე რომ, ივ. ამირხანაშვილი უნდა ერიდოს სხვათა მოსაზრებების უკრიტიკოდ მიღებას. ისე კი მის გასაგონად დავსძენ: ასეც რომ არ ყოფილიყო, ის მაინც არ უნდა ნდობოდა ამ თეორიას. ახლავე ავხსნი, თუ რატომ. იგი ბრძანებს: „... ავთანდილი სიყვარულით გონებადაბინდულ ტარიელს უხსნის, რომ სიყვარულში ბოროტება არსებობს”.

იდეა – სიყვარულში ბოროტება არსებობს – კარდინალურად ეწინააღმდეგება სახარებას, დიონისე არეოპაგელისა და დიონისეს პლატფორმაზე მდგარი თინათინის, ავთანდილისა და, ბოლოს, რუსთველის იდეას. ესენი ხომ დიონისისტიები გახლავან? განა სწორედ თინათინი არ ეუბნება როსტევანს, ღმერთი მხოლოდ კეთილს დაჰბადებს, მისგან ბოროტება ვერაფრით გამოვაო? „ბოროტიმცარად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?!“ ბიბლიაში კი ხაზგასმით წერია: „ღმერთი არს სიყვარული”.

მაშასადამე, შეუძლებელია ღმერთი, ანუ იგივე სიყვარული, შეიცავდეს ბოროტებას. ეს არსებითად ეწინააღმდეგება დიონისტების დებადს. არადა ამ დებადს, იმას, რომ რუსთველი ამ მხრივ არეოპაგელს იმეორებს, ყველა იზიარებს და არაერთხელ იმეორებს, მათ შორის ე. ხინთიბიძეც, ივ. ამირხანაშვილიცა და სხვანიც. მაშასადამე, მარტო ამ

თვალთახედვითაც კი ეს დებადი ივ. ამირხანაშვილს ახლოსაც არ უნდა გაეკარებინა.

ერთიც უნდა დავსძინო:

თუ ნიზამის მკვლევრობას იჩემებ, მაშინ ჩემსავით უნდა იცოდე ის, რაც მე ვიცი. მომყავს ამონარიდი ჩემი წიგნიდან, რომელიც ჯერ კიდევ 2011 წელსაა გამოცემული:

„სინამდვილეში „კარგი“ ნახმარია ნიზამის მეორე პოემაში და ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, **რიგს**. ქმნილებაში ერთგან ვკითხულობთ: „ამ **კარგის** მიხედვით ის გახდა მეუღლე“ (355). რუსულ თარგმანშია: „На сей **карге** он сделался супругом“.

დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში ის ამგვარადაა განმარტებული: რიგი, წესი, რიგობა (595).

ვერ დავიჩემებ, ოლონდ, შესაძლოა, ამ „კარგ“-ისაგან მოდიოდეს სიტყვები – **ქარგა** და **ქარგალი**“ (მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, 2011, გვ. 114).

ახლა კი თქვენი ნებართვით, მეგობარო მკითხველო, ყოველივე ზემოთქმულს განვაზოგადებ:

ერთი მხრივ, აღმოჩნდა: ლიტინსტიტუტის მკვლევართა მთელი ბრიგადისათვის მე მიჯობნია შიდა მასალის ცოდნით. მე მცოდნია ის, რაც მათ არასოდეს სცოდნიათ, რომ ფილოსოფიურ-ლოგიკური ცნება **კარგი** სწორად განუმარტავთ **ჩუბი-**

ნაშვილს, ნოზაძეს, თავდიშვილს (იხ. „ვეფხისტყაოსანი“, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1916, მურმან თავდიშვილის რედაქცია, გვ. 348). მაშასადამე, ბრიგადის წევრებს არც კი წაუკითხავთ ეგ განმარტებანი;

მეორე მხრივ, აღმოჩნდა: ლიტერატურული ინსტიტუტის საუკეთესო რუსთველოლოგიური ძალები არც გარე მასალას იცნობენ; მათ ვერ მიაგნეს მათი საკვლევი მწერლის (ნიზამის) ნაწერებში მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფიურ-ლოგიკური ტერმინი „კარგი“ და ვერ დაუკავშირეს იგი მათი საკვლევი მეორე პოეტის (რუსთველის) შემოქმედებას. კიდევ მეტი: უკვე 2011 წელს, ანუ ბრიგადის მიერ გამოცემულ კრებულამდე 10-11 წლის წინათ, გამოცემულ წიგნში რომ მათი საკვლევი თემის ეგ უმნიშვნელოვანესი საკითხი გარკვეულია, ვერც ეგ შენიშნეს და გამოიყენეს.

აქედან დგინდება (ვთქვათ პირდაპირ): ერთი კაცის ნაშრომს („ნიზამი და რუსთველი“) მრავალრიცხოვანი ბრიგადის ნაშრომი („რუსთაველი და ნიზამი“) ყვერებამდეც კი ვერ სწვდება!

ამ სამართლიან აზრს კიდევ უფრო განამტკიცებს ამ გამოხმაურების მომდევნო გვერდები.

კრებულში წარმოდგენილი სტატიებიდან საკვლევი მიმართულების კურსს ყველაზე ზუსტად და

განუხრელად მისდევს განსახილველი სტატია. ამის ნიმუშია ამგვარი მსჯელობა: „ისკანდერნამეში“ არის ერთი პერსონაჟი – ნესტანდარჯიხანი, მზე-თუნახავი, რომელსაც ისკანდერს მიართმევენ. ნიზამის ნესტანდარჯიხანი და რუსთაველის მზეთუნახავი ნესტან-დარეჯანი იმითაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ ორივე ტყვედ იყო ჩავარდნილი და გმირებმა გამოიხსნეს“ (192).

ეს არის და ეს! მშრალად და მოკლედ არის მითითებული ერთ მეტად მნიშვნელოვან პარალელზე. მკვლევარი, რა თქმა უნდა, არ იცნობს წიგნს „ნიზამი და რუსთველი“, რომელშიც მსგავსი პარალელები სიღრმისეულად არის განხილული. კიდევ მეტი: დადგენილია ტარიელის, ნესტან-დარეჯანისა და ავთანდილის პროტოტიპები, ოღონდ ისინი აღმოჩნდნენ არა ისტორიული, არამედ ლიტერატურული პროტოტიპები. გავიხსენოთ მონოგრაფიის ამჟამად საჭირო პასაჟები. მომყავს რა „ლეილისა და მაჯნუნის“ და „ვეფხისტყაოსნის“ აქამდე შეუნიშნავი პარალელები (126-128), ბოლოს გადავდივარ ავთანდილისა და მისი პროტოტიპის შეპირისპირებაზე:

„ავთანდილსა და მის ლიტერატურულ პროტოტიპს შორის ბევრი პარალელის გავლება შეიძლება: ს ა ლ ა მ ბაღდადეღიღ ავთანდილივით ა რ ა ბ ი ა ;

ისიც ყმანვილია, ერთობ ახალგაზრდაა, „ჯერო უწვერულია“ და ამით მინიშნებულია, რომ წვეროსან მაჯუნზე უმრწემესია; ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“ – ტარიელი „წვერგამო“ (წვერგამოსრულია), ხოლო სპასპეტი - „ჯერო უწვერული“; არაბი სალამი ისევე შეყვარებულია, როგორც არაბი ავთანდილი; მის ყურამდე მივიდა ტანჯული მაჯუნის ამბავი და ლექსები, ამიტომაც გადანიყვიტა, გასცნობოდა და დახმარებოდა ტანჯულ ტრფიალს; როგორც სალამ ბაღდადელი დიდხანს დაეძებს ყაისს (23), ისე დიდხანს (3 წელიწადს) დაეძებს ამირბარს სპასპეტი; მაჯუნმა სალამში იოლად შეიცნო მეგობარი (237); ასევე იოლად შეიცნო ავთანდილში ტარიელმა მომავალი მეგობარი; სალამი მაჯუნს ეუბნება: შენი ერთგული მონა გავხდები და ამით ვიამაყებო. „შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა“ (ნიზამი, 3, 238). სწორედ ამასვე ეუბნება ახალგაცნობილ ტარიელს სპასპეტი, „დამიგდია სამსახური“ და „შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდაო“; უფრო გვიან კი ამასაც ეუბნება: „ვარ მუცლითგანვე დედისათ თქვენად სამონოდ შობილი“. ახლა სხვა მხარეც განვიხილოთ. სალამ ბაღდადელი მაჯუნს ურჩევს, თავი დაანებოს გლოვა-ტყეობას და შინ დაბრუნდეს, დაშოშმინდეს, თავს მოერიოს (ნიზამი, 3, 240); ამასვე ურჩევს ავთანდილი ტა-

რიელს, როცა მეორედ მიაკითხავს და მინდვრად დაბნედილს მოასულიერებს; მაჯნუნი სალამს ურჩევს, ტანჯულსა და გიჟად ქცეულს თავი მიაწებოს, შინ წავიდეს, საკუთარ ბედნიერებას ეწიოს (ნიზამი, 3, 239). იგივე ხდება ტარიელ-ავთანდილის ურთიერთობაშიც. ამირბარი ურჩევს „ჯერთ უწვერულს“, შინ დაბრუნდეს, გიჟად ქცეულს მაინც ვერ უშველის. ამიტომ უკეთესია, თავის ბედნიერებას ეზიაროს; დაჰყო რა საკმაო ხანი მაჯნუნთან, სალამმა მიატოვა ტანჯული ტრფიალი „მხეცთა თანა“ და შინ, ბაღდადს, დაბრუნდა (ნიზამი, 3, 242), რათა მერე ისევ, ხელმეორედ, დაბრუნებულიყო ამხანაგთან. პოემაში ცალკე ქვეთავიც კია გამოყოფილი ამგვარი სათაურით - „სალამ ბაღდადელი მეორეჯერ ხვდება მაჯნუნს“ (291). ამ მეორე შეხვედრისას სალამი, მაჯნუნის საცოდაობის შემყურე, მწარედ ატირდა (295). სწორედ ასე ხდება „ვეფხისტყაოსანშიც“: ავთანდილიც დროებით ტოვებს ამხანაგს „მხეცთა თანა“, მერე კი მეორედ უბრუნდება ტანჯულ ამხანაგს და, მისი საცოდაობის შემყურე, ხშირად ტირის.

ვერ მოვძებნით რაიმე ანგარიშგასაწევ არგუმენტს, უარვყოთ ფაქტი – არაბი „ჯერთ უწვერული“ სალამი „ჯერთ უწვერული“ არაბი ავთანდ

ი ლ ი ს პროტოტიპია“ („ნიზამი და რუსთველი“, 2011, გვ. 128-129).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჩემი წიგნის ქვეთავი „ისქანდერ-ნამე და ვეფხისტყაოსანი“. მომყავს მთლიანად:

„ისქანდერ-ნამე და ვეფხისტყაოსანი

დანტე ალიგიერი „ინფერნოს“ მესამე ქებაში ამბობს: „აქ შემომსვლელმა უნდა დასთმო შიში ყოველი, არ უნდა ექნეს აქ ადგილი სრულიად ყოყმანს!“

ჩვენც დავაგდოთ შიში და გაბედულად შევუდგეთ უაღრესად რთული, საინტერესო და თავისებურად სენსაციური საკითხების გარკვევას.

ავთანდილის ლიტერატურული პროტოტიპები

უწინარეს ყოვლისა, საუბარი ჩამოვაგდოთ ავთანდილზე. მისი ერთგვარი ლიტერატურული პროტოტიპები, როგორც ზემორეულე ითქვა, არის ნიზამის სამი პერსონაჟი: ნაუფალი, სალამი („ლეილი და მაჯნუნდიდან“) და ფილოსოფოსი პლატონი. ნაუფალსა და სალამზე უკვე ვიმსჯელებთ (იხ. ამ გამოკვლევის გვ. 128-129,140). ახლა კი ვნახოთ, რამდენად მართებულია, „ისქანდერ-ნამეში“ გამოყვანი-

ლი პლატონ ფილოსოფოსი ავთანდილის მესამე ლიტერატურულ პროტოტიპად დავსახოთ.

ჯერ ერთი, სწორედ ავთანდილი იმონებს პლატონის ავტორიტეტსა და ციტატას:

**„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან
სწავლა-თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცთა, მერმე –
სულსა“.**

ამის მომდევნო სტროფში კი პლატონს უსახელოდ ახსენებს:

**„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა
ბრძნობისა“.**

„ფილოსოფოსთა ბრძნობა“ აქ გულისხმობს პლატონის სიბრძნეს.

კიდევ მეტი, ამ მეორე სტროფში პირდაპირ არის ნახსენები პლატონის ცნობილი ტერმინი „მწყობრთა მწყობი“. სპასპეტი აცხადებს:

**„მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ
მწყობრთა მწყობრისა“.**

როგორც ცნობილია, პლატონი „ტიმეოსში“ (ნაწილი VI, მოსკოვი, 1879, გვ. 395) ამბობს, რომ ღმერთმა შექმნა „მწყობრთა მწყობი“ (იხ. ჯამალ მუსტაფაევი, გვ. 113).

საგულისხმოა, რომ ამ იდეას იმეორებს ნიზამიც. კერძოდ, ის აცხადებს, რომ მინაც მრგვალია, ოღონდ ის არ მოძრაობს. სიმრგვალე კი მას შესძინა უმაღლესი სფეროების წრიულმა მოძრაობამ (ჯ. მუსტაფაევი, 121).

მითითებული მოსაზრება ეკუთვნის ემპედოკლეს, ოღონდ თავის კოსმოლოგიაში იგი უფრო დახვეწა პლატონმა.

ამრიგად, ავთანდილის ანდერძში სრულიად არაა შემთხვევითი არცა პლატონის ხსენება და არც მისეული იდეების განვითარება. მით უფრო, რომ ეს იდეები უკვე შეითვისა და კიდევაც გაიზიარა რუსთველის უფროსმა თანამედროვე ნიზამიმ.

ეს ერთი არგუმენტი.

მეორე ისაა, რომ, ეს უკვე კიდევაც ვთქვით, თუ ვინმე რუსთველის პერსონაჟთაგან მწერალი, შემოქმედი და ფილოსოფოსია – ეს, უნინარეს ყოვლისა, არის ავთანდილი; ამ პერსონაჟთაგან თუ ვინმეს შეუძლია დაწეროს „ვეფხისტყაოსანი“ – ეს მხოლოდ ავთანდილია, რამდენადაც მისი ანდერძი არის პოემის ყველაზე მაღალი პოეტური მწვერვალი. ვინც ამ ანდერძს წარმოთქვამს, მას აღარ გაუჭირდება ანდერძზე უფრო სუსტი ადგილების შეთხზვა.

მესამეც, „ისქანდერ-ნამეში“ პლატონი არა მარტო ფილოსოფოსი, ბრძენკაცი, არამედ ხელოვანიცაა, მუსიკოსია, დასაკრავი ინსტრუმენტის კარგი მომხმარებელია.

ახლა ვნახოთ, არის თუ არა სპასპეტი ამგვარ მემუსიკედ, ხელოვან-შემსრულებლად გამოყვანილი?

სარდლის მოსაყვანად თინათინმა მონა-ზანგი გაგზავნა. იგი რომ რაინდის ბინაში შევიდა, იხილა ასეთი სურათი:

„ავთანდილ ჯდა მარტო სანოლს, ეცვა ოდენ მას პერანგი, **იმღერდა** და იხარებდა, **წინა ედგა ერთი ჩანგი**“.

მაშასადამე, ჩანგის ინსტრუმენტზე დამკვრელი და მომღერალი სწორედ ავთანდილია!

ამ მხრივაც ჰგავს იგი ნიზამისეულ პლატონს; მაგრამ საქმე არც ამით მთავრდება.

მეოთხე არგუმენტი.

„ისქანდერ-ნამეში“ პლატონი, როგორც პერსონაჟი, ისე ტკბილად აჟღერებს ინსტრუმენტს და თან მღერის, რომ „ვეფხნი, მელნი, ლომნი, მოისმინეს რა ეს ჟღერა, ძირს დაცვივდნენ... შემდეგ იდუმალი სიმღერით ყველა მხეცი დააღვიძა პლატონმა“ (535).

ახლა ვნახოთ, როგორ იმეორებს ყოველივე ამას ავთანდილი. იგი, მიმავალი ფრიდონისაკენ, მღერის, მაგრამ რასა მღერის!

„მიიმღერის ხმასა ტკბილსა, არ დასწყვეტდის

ცრემლთა რუსა,

მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა,
რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა ღვარისაებრ ცრემლნი სდიან,
მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
კლდით – ნადირნი, წყალშიგ – თევზნი, ზღვით – ნიანგნი,
ციით – მფრინველნი,
ჰინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი”.

აქ საგულისხმოა შემდეგი:

ჯერ ერთი, ყველაფერი ის მეორდება, რაც კეთდება „ისქანდერ-ნამეში“ – ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებიც კი აატირა ტკბილმა სიმღერამ; მეორე, ბოლო სტროფში ნახსენებია ორი ცნება-ტერმინი, რაც ნაცნობია „ისქანდერ-ნამესათვის“ – ესაა **ნიანგი** და **მოფრანგენი**. ეს უბრალო ცნებები არ გეგონოთ! მათზე ზემორე საგანგებოდ ვიმსჯელე (იხ. ამ გამოკვლევის გვ. 152-153). აქ კი ზოგადად დავსძენ: არც ამ ორი ტერმინის სწორედ აქ მომარჯვებაა შემთხვევითი. ეს ტერმინები ზედ-

მიწვევით იცის „ისქანდერ-ნამეს“ ავტორმა. მაგალითად, „ნიანგი“ ნახსენებია ამ თხზულების 309-ე, 317-ე, 318-ე გვერდებზე და სხვაგან, ოღონდ ჩვენთვის უფრო საინტერესოა 72-ე გვერდი. აქ წერია: ის ნიანგზე უფრო ბოროტია.

ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

რუსთველი გვეუბნება: ავთანდილმა არა მარტო იოლად მოსარჯულებელი და დასათრგუნველი ნადირ-ფრინველის გული მოიგო თავისი ტკბილი ხმით, არამედ თვით უბოროტესი ნიანგიც კი ცრემლით აატირაო.

ფვიქრობ, ამ პარალელით უფრო უკეთ გამოხატა რაინდის ხელოვნება და მუსიკალური ნიჭი.

ზემორელე ისიც ვნახეთ, რომ არც სიტყვა „მოფრანგენი“ არის აქ შემთხვევით გამოყენებული. ამ ტერმინს კარგად იცნობს „ხამსე“, თვით „ისქანდერ-ნამე“ და ისიც ერთგვარი პარალელის გავლების საშუალებას იძლევა.

ამრიგად, ავთანდილის ლიტერატურული პროტოტიპები ნამდვილად არიან ნაუფალი, სალამი და პლატონი – ნიზამის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პოემის პერსონაჟები.

ტარიელისა და ნესტანის ლიტერატურული პროტოტიპები

ინდოეთის ამირბარისა და შემდეგ ხელმწიფის ლიტერატურულ პროტოტიპად გვესახება „ისქანდერ-ნამეს“ პერსონაჟი – მეფე და გმირი ალექსანდრე მაკედონელი; მაგრამ, სანამ საამრიგო მტკიცებას დავიწყებდეთ, აუცილებელია უარვყოთ იური მარის მოსაზრება. ის არ იცნობდა ონსორის ტექსტებს, უფრო პოემა „ვამეყსა და აზრას“, და ვარაუდობდა: პოემა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული პროტოტიპი ონსორის ეგ პოემა არისო (ი.ნ. მარი, სპარსული პროტოტიპი პოემისა „ვეფხისტყაოსნისა“, გვ. 618-619); მოგვიანებით მისმავე მეგობარმა, ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნე კ. ჩაიკინმა გამოიკვლია ონსორის შემოქმედება და ბევრი რამ ახსნა. აქედან ჩანს, რომ საქართველოში უნდა სცოდნოდათ ონსორი, თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ პროტოტიპად ონსორის გმირთა გამოცხადება შეუძლებელია. ჯერ იმაზე გავამახვილებ ყურადღებას, რომ ონსორის პოემა რაღაცნაირ კავშირშია ხალხურ ლექს „თაფარავნელ ჭაბუკთან“. „ვამეყი და აზრას“ ერთ-ერთი საინტერესო პერსონაჟია ენდერუსი. მას უყვარდა **ხარუ**. კუნძული, რომელზედაც ცხოვრობდა ხარუ, ზღვაში იყო. ღამლამობით ხარუ ან-

თებდა ცეცხლს, რა არის, მის სატრფოს შეძლებო-
და ორიენტაციის აღება და მასთან მიცურვა. ის
მიჰყვებოდა ცეცხლის შუქსა და ნათებას. ერთხელ
ლამით ამოვარდა ძლიერი ქარი, ჩააქრო ცეცხლი და
გზაკვალარეული ვაჟკაცი დაიღუპა (კ. ჩაიკინი, „ვა-
მეყი და აზრა“, გვ. 47). ეჭვი არაა, ეს ამბავი ახლო-
საა ქართულ ფოლკლორში დაცული ლექსის ამბავ-
თან. ყოველივე ამას კი ეძებნება ახსნა: ვ. კოტეტიშ-
ვილი მიუთითებს, რომ ძველ საბერძნეთში არსე-
ბობდა მითოსი **ჰეროსა** და **ლევანდროსის** სიყვა-
რულის შესახებ. ქალი კოშკში იჯდა, ვაჟი კი ზღვის
მეორე მხარეს ცხოვრობდა. იგი ღამღამობით მო-
ცურავდა ქალისაკენ, რომელიც სატრფოს ჩირაღ-
დანს უნთებდა გზის გასაგნებად. ერთხელ ქარი
ამოვარდა, ზღვა აბობოქრდა, ჩირაღი ჩაქრა. ვაჟმა
გეზი დაკარგა და დაიღუპა. ვაჟი-უფლისწულის
ცხედარი მეზადურმა ნაპირზე გამოასვენა; ჰერომ
დაიტირა ვაჟი და თავი მოიკლა; ფაბულა პირველად
გამოუყენებია და ბალადად გადაუმუშავებია ოვი-
დიუსს. შუა საუკუნეებში ეს ფაბულა ათასნაირად
გადამუშავდა. მოგვიანებით შილერმაც შექმნა თა-
ვისი „ჰერო და ლევანდრო“, ქართულ ლექსთან უფ-
რო ახლოს ყოფილა გერმანული ხალხური ლექსი,
რომელშიც ის ავი დედაბერი ჩნდება, რომელიც
სანთელს აქრობს (ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხუ-

რი პოეზია, 1961, გვ. 329-33). აი, ეს ამბავი გამოუყენებიათ ქართველ ანონიმსაც და ონსორისაც. შეადარეთ: ონსორის **ხარუ** იგივე **ჰეროა**, ხოლო **ენდერუსი** იგივე **ლენდეროსია**.

რაც შეეხება ონსორის პოემის სიუჟეტს, იგი ასეთია (მისი შინაარსი მოყვანილია თურქი პოეტის მაჰმუდ იბნ ოსმან ლამინის (გარდაიცვალა 1531 წ.) მიხედვით:

ვამეყი ჩინის ხაყანის შვილია, აზრა – ლაზნელი მეფის ასული. ვამეყის სილამაზისა და სიქველის ამბავი მიდის ქალწულის ყურამდე. მას ვაჟი უნახავად შეუყვარდება. ძიძა ურჩევს ქალწულს, ხელკეთილ მხატვარს დაახატვინოს თავისი სურათი და ეგნახატი ვამეყს გაუგზავნოს. ვამეყიც უნახავად შეიყვარებს ნახატზე გამოსახულ არსებას. ვაჟკაცი ვაჭრულად გადაიცვამს და აზრას დაეძებს. აზრაც გარბის ლაზიდან და ვაჟს დაეძებს. დიდი ხეტიალისა და ათასი ფათერაკის გამოვლის შემდგომ ისინი ერთმანეთს იპოვიან, კეთილად დაქორწინდებიან; იქვე მეორე ნყვილიც ქორწინდება; თხრობაში შემოდის მესამე ნყვილიც (გვ. 43), რაც მთავარია, გმირნი მოძრაობენ არა ოდენ ხმელეთზე, ზღვაზეც (43-44). აზრა თავისი ამალით ორივეგან დაეხეტება და ერთხანს რომელიღაც კუნძულზე ტყვედაც კი იმყოფება (44). არის ფანტასტიკაც – ჯინებისა და

ფერიების სამეფოები (44). აქაც ასახულია ომი ზღვის პირატების წინააღმდეგ (47).

აქ ბევრი რამ ისეთია (ცალკეული ფრაგმენტების სახით, რომ მათ „ვეფხისტყაოსანშიც“ ვპოვებთ, ვთქვათ, ორივეგან ხეტიალი ხმელეთზეც და ზღვაზეც, კუნძული, ზღვის პირატები და მათი დამარცხება, მაგრამ ეს საერთო მოარული ელემენტებია. ამგვარ პარალელებზე მსჯელობა კი შეიძლება და საჭიროცაა, ოღონდ მათ **პროტოტიპის** ცნებამდე ვერ მივყავართ.

ონსორის ამ პოემის კავშირი ნიზამის მეორე პოემასთან კი ჩემთვის ცხადზე უცხადესია. შეყვარებულები რომ ერთმანეთს დაუსწრებლად შეიყვარებენ, მერე ერთმანეთს დაეძებენ და გზაში ურთიერთს ასცდებიან – ყველაფერი ეს ზედმინევნით გაიმეორა ნიზამიმ „ხოსროვსა და შირინში“. ამ ურთიერთმიმართების შესახებ მთელი დისერტაციის დაწერა შეიძლება.

აქვე უნდა ითქვას შემდეგიც: ონსორის პოემის ახლად აღმოჩენილ ფრაგმენტში ასეთი სცენები საერთოდ არ გვხვდება (ინგა კალაძე, ონსორის ეპიკური მემკვიდრეობა, 1983, რუსულ ენაზე), ოღონდ ფრაგმენტი ფრაგმენტია და არა მთელი ქმნილება!

მაინც, ამ სასწაულად შემორჩენილმა და აღმოჩენილმა ფრაგმენტმა, ვფიქრობ, საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს ერთი რუსთველოლოგიური საკითხი.

მკვლევრები კამათობენ იმის თაობაზე, თუ რასა ნიშნავს რუსთველის ტერმინი **მოცალე – მოცალეობა**.

ერთნი მასში ხედავენ **მოცლილს, თავისუფალს, მეორენი – ტოლფარდს, ჯუფთს, მენყვილს, შესაფერისს...**

კამათში მეც ჩავერიე და მხარი დავუჭირე მეორე თვალსაზრისს (იხ. „დაფანტული სტროფები“, „ტიქესტის საიდუმლოებანი“).

ონსორის პოემის ფრაგმენტების შესწავლის შემდეგ გადაჭრით ვაცხადებ: რუსთველის ტერმინი **მოცალე**, არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს **ჯუფთს, ტოლფარდს, შესამგვანს...**

საქმე ისაა, რომ XI-XIII საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტოლის ტოლთან, შესამგვანის შესამგვანთან შენყვილებას. უამისოდ ქემმარიტი სიყვარული გამოირიცხებოდა. ეგ იდეა ბევრ მგოსანს გამოუხატავს, ოღონდ კლასიკური სიცხადით დადასტურებულია ონსორის პოემაში „ვამეყი და აზრა“. აქ პირდაპირ არის გაცხადებული:

„როცა აშკი მოცალეა (თანაფარდია) მაშკისა – ეს სასიამოვნოა, რადგან მოცალე მიიღტვის მოცალისაკენ“ (ი. კალაძე, დასახელებული წიგნი „გამეყი და აზრა“, ფრაგმენტები, გვ. 117).

მაგრამ ჩვენ შორსა წავედით „და ან პირველსავე სიტყვასა აღვიდეთ!“

შეუძლებელია, „ისკანდერ-ნამე“, რომელიც ფაქტობრივად იმჟამინდელი საქართველოს ზედ უშუალო საზღვართან დაინერა და სადაც გმირად გამოყვანილია ქართველთა მეფე **დავალი** (დვალი), რომელიც მეგობრად გაუხდა მაკედონელს და ეხმარება რუსთა წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში, სადაც ისიც არის აღნიშნული, თუ როგორ დააჯილდოვა ეს დვალი მსოფლიოს მპყრობელმა ერთგული ბრძოლისათვის და შერთო მას აზერბაიჯანის ხელმწიფე-დედოფალი ნუშაბე, და სადაც საუბარია ქართველებსა და თბილისზე, რუსთველს არ წაეკითხოს; თუკი პატრიოტი კაცისათვის რაიმე იყო წასაკითხავი უცხოელთა ნაოსტატარიდან – ეს, უპირველეს ყოვლისა, „ისქანდერ-ნამეა“, სადაც ქართველთა საარსებო ინტერესების პრობლემაც არის დასმული. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ისტორიულ თხზულებაში „შარავანდედთანი“ დასახელებულია ალექსანდრე მაკედონელი, ოღონდ იცით, რა ფორმით? სწორედ ნიზამისეული ტერმი-

ნოლოგიით – **ისქანდერი**. ეს კი, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა დილარა ალიევა, ქართველთა მიერ „ისქანდერ-ნამეს“ ცოდნას მოასწავებს (დ.ალიევა, აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, ბაქო, 1958, 22).

ქვემოთ დავინახავთ, რომ ქართველ მგოსანს ზედმიწევნით სცოდნია ეს უდიდესი ძეგლი.

დავინწყით იმით, რომ მაკედონელმა „ვეფხისა ტყავის ფართო კარავი გაშალა“ (303) მაშინ, როცა თავისთან უნდა მიეღო ინდოეთის მეფის ასული, მზეთუნახავი უფლისწული.

აქ, როგორც ვხედავთ, ერთმანეთზეა გადაბმული „ვეფხისა ტყავით“ მოჩითული კარავი გმირისა და ისიც, რომ ამ კარავში იგი სწორედ **ინდოეთის** უფლისწულს შეხვდება.

სწორედ ვეფხის ტყავი აცვია ტარიელს, რომელიც ინდოეთის გადაკარგულ უფლისწულს დაექებს!

მეორე ფაქტი უფრო საინტერესოა.

„ისქანდერ-ნამეში“ სამჯერ გამოჩნდება **უცხო** მხედარი, უცნობი რაინდი; პირველად – 389-ე გვერდზე; მის ავანჩავანს ვერავინ შეიტყობს და მას ვერც ვერავინ მოერევა; ვინც შეეტაკა, ყველა ძირს დასცა.

მეორე გამოჩენა უცნობი მხედრისა აღწერილია 392-ე გვერდზე.

უფრო საინტერესოა **უცხო მოყმის** მესამე გამოჩენა – ამ გმირს, რომელსაც გარეთმიანი ვეფხის ტყავი ეცვა და ვერავინ დაამარცხა, ალექსანდრესთან მოჰყავს ხელში ატატებული მზეთუნახავი ქალი **ნესთ – ანდარ – ჯეჰანი** და მას ფეშქაშად აძლევს (407).

აქ უკვე თავი ნამოყო ნესტან-დარეჯანის პროტოტიპმა, „ისქანდერ-ნამეს“ მეორე პერსონაჟმა **ნესთანდარჯეჰანმა**.

ამის შემდეგ, რუსული ტექსტის 424-ე გვერდზე, საუბარია ალექსანდრესა და ნესთანდარჯეჰანზე. თავის სიტყვაში ქალი თავადვე განმარტავს საკუთარი სახელის მნიშვნელობას (შევიხსენოთ ზევით თქმული – ნიზამის ყველა გმირ ქალს აქვს სახელი, რომელიც რაღაც კარგსა და დადებითს გამოხატავს). ის აცხადებს: „ჩემი სახელი **ერთადერთი**“ (433), ხოლო ამ ტომის განმარტებაში ახსნილია, რომ ეგ სახელი ნიშნავს იმას, რომ ამისთანა არავინაა დედამინაზე: „ნესთანდარჯეჰანი – არ არის მსოფლიოში ამისი მსგავსი“ (737).

მართლაც, სპარსული სიტყვებით ეგ აზრი ასე გამოითქმის: „ნესთანდარჯეჰან“, ანუ სხვა არავი-

ნაა ამგვარი ქვეყანასა ზედა (იგულისხმება სილამა-ზით).

ერთგან მაქვს აღნიშნული, რომ ამგვარი ჰიპერბოლური, ზეალმტაცი და გადაჭარბებული სახელდება გავრცელებული ყოფილა ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში (სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში).

დავამტკიცოთ ეს.

„ამირანდარეჯანიანის“ გმირის სახელი თავისი გენეზისით სხვა არაფერია, თუ არა იგივე გამოთქმა, ოღონდ მამაკაცის ბუნებასთან შეხამებული. ეს არის – ამირ ანდარ ჯეჰან (ჯეჰან) – და ნიშნავს – უძლიერესი ზედა მინასა (ქვეყანასა).

მაშ, მამაკაცი შეიძლება იყოს **უძლიერესი ქვეყანასა ზედა**, ხოლო ქალი – **ულამაზესი** / ამგვარი რომ არ არის / **ქვეყანასა ზედა**.

ყველაფერი სწორია!

ახლა ვნახოთ, რა ვითარება იყო სომხეთში.

ირკვევა, რომ ჯერ კიდევ IV-VI საუკუნეების სომხეთში გავრცელებული ყოფილა ამგვარი ჰიპერბოლური სახელდება-ფორმულა, რომელიც მიემართებოდა საქებ გმირს. სიყვარულით აღწერს რა სომეხთა კათალიკოს ნერსესს, ფავსტუს ბუზანდაცი მას არაერთხელ მოიხსენიებს ასე: მისი მსგავსი

არავინ იყო; მას ტოლი არ მოეპოვებოდა და ა.შ. (იხ. ფავსტუს ბუზანდაცის „ისტორია“).

ახლა საქართველოში გადმოვიდეთ.

კიდევ უფრო განსაცვიფრებელი ამბავია, რომ ეგ ჰიპერბოლური ფორმულა გავრცელებული ყოფილა ჩვენი ნელთალრიცხვის I საუკუნეშიც კი!

მცხეთაში გათხრების დროს აღმოაჩინეს ე.წ. „არმაზის ბილინგვა“. მასზე ქართველი დიდებულის ასულის ეპიტაფიაა წარწერილი. ადრე გარდაცვლილი სერაფიტა გვიყვება თავის ამბავს და უნებლიეთ იქვე იყენებს მაშინ ხმარებულ შტამპს – და არავინ იყო ჩემი მსგავსი დედამინაზეო. ბილინგვაზე სიტყვასიტყვით იკითხება: „არავინ იყო მისი მსგავსი მშვენიერებით“.

ამგვარი შტამპურ-ჰიპერბოლიზებული სახელია ნესთანდარჯეჰანი (ნესთ ანდარ ჯეჰან).

პოემაში ნიზამი ხოტბას აღუვლენს ამ მზეთუნახავის თვალისმომჭრელ სილამაზეს. ეს აღწერა მსოფლიო პოეზიის შედეგია. ასე ძლიერ ქალის მშვენება მანამდე არავის გამოუხატავს. ასეთი გზნებით თვით ნიზამისაც კი არც ერთი ქალისათვის არ უმღერია, თვით ლეილისათვისაც კი!

აი, როგორაა გამოხატული ეგ სილამაზე და ავტორის ულმობელი სატანჯველი ამ სილამაზის მიუწვდომლობის გამო:

„ის იყო ახალგაზრდა მთვარე, კვიპაროსის ტანიანი; ლამაზმანი ისე მშვენიერი იყო, მისი წარბები მშვილდსა ემსგავსებოდა, თვალთამზერა კი ჰქონდა ისრისა; არ არსებობს ტანი უფრო აღნაგი! არ არსებობს არცა მადლი, ესოდენ სახიფათო! ოჰ, ნესთანდარჯეჰანო, რაა შენზე უფრო მწველი და მშვენი ამ სამყაროში!“ (351).

ღვთაებრივ ქალს ამკობსო სამი სანიაზო თვისება. „ნესთანდარჯეჰანს აქვს სამი გამორჩეული ღირსება: პირველი, ზეცის ნებით, მისი სილამაზე სასწაულთა სასწაულია; მეორე, ეს არის მიუწვდომელი ძლიერება; მესამე, სიმეზიანი საკრავების სიყვარული და მომაჯადოებელი სიმღერა“ (352).

სწორედ ასეთი ჯადოქრული სილამაზის ქალი ჩაიგდო ხელში ალ. მაკედონელმა.

ტომის კომენტარი კი გვამცნევს: მთვარესავით მშვენიერი და მზესავით ელვარე შეყვარებული ქალი ჰყავდაო მაკედონელს (748).

მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ ნიზამის **ნესთანდარჯეჰანი** არის რუსთველის **ნესტან – დარეჯანის** ლიტერატურული წინასახე, ოღონდ ფიზიკური სიძლიერით იგი ჰგავს ონსორის აზრას და არა ქართული პოემის უნაზეს ასულს.

როგორცა ვხედავთ, ტარიელის პროტოტიპის ძიებისას თხრობაში უნებლიეთ შემოგვეჭრა ნეს-

ტან-დარეჯანი, „და ან პირველსავე სიტყვასა აღვი-
დეთ!“

ყოფილება მივაქციოთ **უცხო მოყმის** სამგზის
გამოჩენას. ეს უცხო მხედარი ისე შემოიჭრა „ისქან-
დერ-ნამეს“ მოქმედებაში, როგორც რუსთველის
უცხო მოყმე - „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის განვი-
თარებაში.

შემდეგ, როგორც ნიზამის „უცხო მოყმე“, ისე
რუსთველის უცხო მოყმე მხედარი უძლეველია.

შემდეგ, ორივეს აცვია ვეფხის გარეთმიანი
ტყავის კაბა.

შემდეგ, ორივე მხოლოდ თავისი ნებით ემორ-
ჩილება მეფე-შაჰინშაჰებს; მათ წინაშე ისინი იძუ-
ლებით ვერავის მიჰყავს.

შემდეგ, ორივე **სამჯერ** გამოჩნდება.

სამგზის დაძახება, სამგზის გამოჩენა – ყოვე-
ლივე ეს ძველთუძველესი ტრადიციანია. ძველი მაგი-
ური შეგონება გვასწავლის: სიტყვას რომ მჭრელი
ძალა მიეცეს, იგი სამგზის უნდა წარმოითქვასო. ეს
წესი იხილვის „ტარას ბულბაშიც“.

ახლა გავსინჯოთ სხვა, ერთობ მეტყველი, შემ-
ხვედრი პარალელები.

ერთმანეთის მსგავსია ალ. მაკედონელის ურ-
თიერთობა ვერაგ და მატყუარა ხაყანთან და ტარი-

ელის მსგავსი მიმართება იმავე ვერაგი და ფლიდი ხაყანისადმი.

ალექსანდრეც ფლიდ ხატაელთა ხაყანს ებრძვის და ტარიელიც; მაკედონელის წერილი ხაყანისადმი შინაარსითა და პათოსით ენათესავება ამირბარის წერილს რამაზ ხატაელისადმი. ნიზამის პოემაშია:

**„თუ ჩემთან მოხვალ – ფარჩის ხალათს გიბოძებ,
არ მოხვალ – ჩვენს ყულფს იგემებ;
თუ არ მოხვალ, უეჭველად იცოდე, -
რომ ჩინის ზღვაში გადავისვრი ჩინს.
ასე რომ, გზავნილი ნაიკითხე და არ დააყოვნო არცა ნამი,
ან ომი, ანდა თანხმობა ჩამოვაგდო!“** (318)

ახლა შევადაროთ ამას ტარიელის მოთხოვნა:

**„ესე რა ნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით;
თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ
მოგეპარებით,
სჯობს, რომე გვნახნეთ, თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით!“**

ორივეგან ხატაელი ვერაგობას იჩენს („ისქანდერ-ნამე“, 318-319).

ახლა ვნახოთ, გამარჯვებული სარდლები როგორ შეინყნარებენ დამარცხებულ მეტოქეს (აქ ნიზამი და რუსთველი მთლიანად იზიარებენ ფირდოუსის მოთხოვნას – დამარცხებულს კაცურად მოეპყარიო! (იხ. „ფირდოუსი და რუსთველი“).

რუსთა სარდალი მაკედონელმა ქართველი მეფის დუვალის დახმარებით დაამარცხა (387-389). გაბიაზრუებული მეტოქე ალექსანდრემ დიდსულოვნად მიიწვია და „საპატიო ალაგას დასვა“ (422). ბოლოს დააჯილდოვა კიდევ და ისევ რუსთა სამართავად გაისტუმრა, ოლონდ, რასაკვირველია, „ხარაჯა“ დასდო (422-423).

ახლა კი ვნახოთ, რა ხდება „ვეფხისტყაოსანში“.

**„რამაზ მეფე შეპყრობილი მას წინაშე მოვიყვანე;
ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე,
ორგული და მოლალატე ნამსახურსა დავაგვანე“.**

მერე კი ისე მოხდა, როგორც მაკედონელის სამეფო კარზე: ფარსადანმა აპატია დანაშაული, ტკბილად მიიღო, საპატიო ადგილზე დასვა, დაასაჩუქრა და ისევ ხატაეთს გაგზავნა საპატრონოდ, ოლონდ „ხარაჯა“ დასდო:

**„ხარაჯა დასდვეს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია,
კვლა ხატაური ათასი, სხვა სტავრა, სხვა ატლასია;
მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია,
შენყალეებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია“.**

მაკედონელის ხასიათის ერთი შტრიხი კარგად არის დაცული ტარიელის ხატვისას.

„ისქანდერ-ნამეში“ ერთგან შეიმჩნევა მახვილი მინიშნება: მაკედონელი ღვინოს კი სვამდა, ოღონდ თავს არასოდეს კარგავდაო. ნიზამი წერს:

ალექსანდრეო, - მოახსენეს ფალფურს, - „ნადიმისას ყველაზე ბრძენია, თუნდაც იყოს ღვინონასვამი“ (311).

იგივეა თქმული ტარიელზე, როცა იგი თინათინ-ავთანდილის ქორწილში ქეიფობს და როსტევანს, მხცოვან მეფეს, ეთაყვანება:

„ჰინდოთ მეფე თაყვანსა სცემს ლალი, **ბრძენი, არ მახმული,**
მაღლი ჰკადრა **ფხიზელურად, თუმცა იყო ღვინო-სმული**“.

ისქანდერისა და ტარიელის სახეთა პარალელი-სათვის არცთუ უმადლოა ასეთი მასალაც: ომში გაიმარჯვა ისქანდერმა. ბევრი დამხმარე და შემწე დაელუბა, თვითონ დია დარდობს ამ ამბავს, ოღონდ დაღუპულთა მეგობარ-ნათესავეები ასე აწყენებენ: „შენთვის ყველანი განყდებიან, სიცოცხლეს უკან არც კი მიხედავენ“ (520). ისქანდერის ამ თვისებას საგანგებოდ გამოყოფს ბერტელსი: „ზინჯების ნინაალმდეგ ომის შემდგომ ის, თუმცა ამას სხვების დასანახავად არ აკეთებს, მწარედ დასტირის თავის დაღუპულ თანამებრძოლებს“ (ე.ე. ბერტელსი, ნიზამი და ფიზული, მოსკოვი, 1962, გვ. 355).

ზუსტად იგივე ხდება მაშინ, როცა ტარიელი ატირდება ქაჯეთის ომში ფრიდონის ას ორმოცი მებრძოლის დაღუპვისა გამო:

**„ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
ნარგისთათ იძრვის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია“.**

ამირბარის ამ გლოვა-ტყეხას ფრიდონის ცოცხლად გადარჩენილმა მეომრებმა და დაღუპულთა ნათესავებმა ასე უპასუხეს:

„თქვენთვის სიკვდილი ღია სჯობს მიწათა ზედა რებასა“.

ბერტელსი საგანგებოდ გამოყოფს მაკედონელის კიდევ ერთ სანაქებო თვისებას: „ისქანდერი ძალას მიმართავს მხოლოდ მაშინ, თუ სხვა გამოსავალი არაა. ყველა სხვა შემთხვევაში ის დასმულ ამოცანას წყვეტს მოლაპარაკების, ხელშეკრულებისა და შეთანხმების დადების გზით“ (355).

ამ მხრივ საუკეთესო მაგალითებსა გვაძლევს ტარიელიც. ზემორე ვნახეთ, რომ რამაზ ხატაელს მან ჯერ წერილით მიმართა: მოდი, გვნახე, მოვილაპარაკოთ და ჩვენი ურთიერთობა ისე გადავწყვიტოთ; როსტევეანის მონებს ის არას უშავებდა, იყო თავისთვის; როცა შენიშნა, ისინი მის შეპყრობას ლამობდნენ, კი არ შეუტია და დახოცა, არამედ გაეცალა, ხოლო, ვინც კი გაქცეულს მიენია და მასზე

ხელი აღმართა, დახოცა; მრავლისმეტყველია მესამე მაგალითი: ასმათმა ქვაბში ავთანდილი დამალა და ამირზარის მოსვლას დაელოდა. ისიც უჩვეულოდ ადრე მოვიდა, ჰკითხა ქალმა, ასე მალე რად დაბრუნდიო?! უპასუხა: „აქვე, ახლორე, ვილაც მეფე ნადირობდა, „დაეფანჩა მარეკი და, –“ რომ დავენახე, მონებს გამომაკიდებდა. მე კი იძულებული შევიქნებოდი, ისინი დამეხოცა. ამიტომ გზა დავიბრკოლე, უკან გამოვბრუნდი. ჩაამთავრებენ ნადირობას, ნავლენ და მერე გავივლი იმ ადგილსაო; საგულისხმოა მეოთხე მაგალითი, რომელიც ზემორელე დავასახელე კიდეც. ფარსადანის ძე ავთანდილს ატყობინებს: შენს პატრონს შენთვის თინათინის ხელი უნდა ვთხოვო; ჯერ ტკბილი სიტყვით ვცდი ბედს და, თუ არ გამოვიდა, ხმალს მერე დავწვდებო. ფრაზაში, რომელსაც იგი ამ დროს წარმოთქვამს, წინ წამოწეულია „ტკბილი სიტყვა“.

„ტკბილითა სიტყვით გავმართოთ და ხრმლითა საომარები!“

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინების შემდეგ ბერტელსი დაასკვნის: „არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ნიზამი ეძებდა ისეთ გმირს, რომლის სახითაც წარმოისახავდა „იდეალურ მმართველს“, ხელისუფალს, რომელიც შეძლებდა ხალხისათვის ბედნიერების მოტანას“ (354).

სწორედ იგივე უნდა ითქვას რუსთველზედაც. ისიც დაეძებდა გმირს, რომელიც იდეალური მმართველი და ხალხისათვის ბედნიერების მომტანი იქნებოდა. სწორედ ასეთს მიაგნო მან ტარიელის სახით. ამიტომაც ბოლოს გვიჩვენა, რომ სარიდანის ძის ძალისხმევით სამივე ქვეყანაში – უზარმაზარ ინდოეთში, საშუალო ზომის არაბეთსა და ერთ ციციქნა მულღაზანზარში – საამური ცხოვრება მოენწყო, სადაც „თხა და მგელი ერთგან სძოვდეს“.

თავის მოსაზრებას ისქანდერის სახესთან დაკავშირებით ბერტელსი კიდევ უფრო აზოგადებს და სავსებით სამართლიანად მიუთითებს: „თხრობის ცენტრში უნდა დამდგარიყო ღირსეული გმირი, რომელიც მკითხველს სამაგალითოდ უნდა დაესახა“ (421).

იგივე მიზანი ამოძრავებდა ქართველ მგოსანსაც.

ტარიელის სახით მან მოძებნა, მიაგნო და წარმოგვიჩინა თხრობის ცენტრში მოქცეული დიდი და ღირსეული პიროვნება, არაჩვეულებრივი, ამაღლებული პერსონა, რომელიც მკითხველს საოცნებო და საიდეალო გმირად ესახება.

ისქანდერის მხატვრულ სახესთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი ამგვარი მომენტიც – აზერბაიჯანის ხელმწიფე დედოფალი ნუშაბე მაკე-

დონელს ასე მიმართავს: თუ შენა ხარ ხვადი ლომი, მე ძუ ლომი ვარ, ხოლო ომში ლეკვი ლომისა სწორია – ძუ იყოს თუნდა ხვადიაო („ისქანდერ-ნამე“, 236).

ჯამალ მუსტაფაევი შენიშნავს: „ეს იდეა, იდეა ქალისა და კაცის თანასწორობისა ნიზამიმ ევროპელ ფილოსოფოსებზე ადრე იქადაგა და, სხვათა შორის, ამიტომაც აქებ-ადიდებდა ისლამამდელ ქალთა ყოფას“ (ჯ. მუსტაფაევი, 138).

იგივე იდეა ქართული სიტყვისა და პოეზიის მთელი ძალმოსილებით რუსთველმა ამგვარად გამოსატყობა:

„ლეკვი ლომისა სწორია – ძუ იყოს თუნდა ხვადია!“

ისქანდერის სახესთან დაკავშირებით კიდევ ერთ მომენტს მივაქცევ ყურადღებას.

მაკედონელმა ნახა, რომ დარიოსს ირანში კანონი და სამართალი მოეშალა, მცნებები აერივ-დაერივ, თავის საქმეს აღარავინ მისდევდა. თვითმპყრობელმა ბრძანა: მუშაკი მუშაკობდეს, მიწისმოქმედი მიწისმოქმედებდეს, მეომარი გულოვნებდეს; ყველა თავ-თავის პროფესიასა და ხელობას დაუბრუნდესო! (181).

ეს არის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პოსტულატი ცხოვრების ნორმალურად წარსამართავად.

აღნიშნული იდეა „ვეფხისტყაოსანში“ ზედმინევით არის გადმოცემული:

**„რაც ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს;
მუშა მიწყვიტ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მინურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს“.**

კიდევ ერთი მომენტი.

ისტანდერმა დაასაჩუქრა აზერბაიჯანელი ნუშაბე და შემდგომ მას შერთო ქართველი მეფე დუვალი. ქართულ ენციკლოპედიაში შეცდომა გაპარულა, წერია: მეფე მელიქ დუვალი; უნდა იყოს „მეფე“ ან „მელიქი“. საქმე ისაა, რომ მელიქი იგივეა, რაც მეფე. ან ერთი უნდა, ან – მეორე! ასევეა „ვეფხისტყაოსანში“. იქ გამოყვანილია **მელიქ** სურხავი. მელიქი საკუთარი სახელი კი არ არის, ზოგადია და ნიშნავს მეფეს. მაშ, მეფე სურხავი, მეფე დუვალი; ან სხვაგვარად: მელიქ სურხავი; მელიქ დუვალი.

ნუშაბე დედოფლისა და მელიქ დვალის დაქორწინების ცერემონიაში ყურადღება მიიქცია ერთმა საინტერესო მომენტმა: „ახლად დაქორწინებულთ თავს დაადგეს მარგალიტით მოოჭვილი

გვირგვინები და ქვეყნისმპყრობელმა საქორწინო ხელშეკრულება საკუთარი ხელით დაამონმა“ (423).

მე უკვე მქონდა საშუალება, მესაუბრა საქორწინო ხელშეკრულებასა, ე.წ. „სოლდურ დოკუმენტებსა“ და ამ წესების თანხვედრაზე ფირდოუსისა და რუსთველთან, აგრეთვე „შუშანიკის ნამებაში“ (იხ. „ფირდოუსი და რუსთველი“, გვ. 46-48).

მონაცემთა ამ წრეს ახლა „ისქანდერ-ნამეც“ შემოუერთდა.

ამჯერად აქ მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამის ადგილს განვიხილავ. პოემაში „ხელშეკრულება“ ნახსენები არ არის, ოღონდ მისი კვალი, ანარეკლი, ჩანს. როსტევეანმა ქალი მისცა ავთანდილს, ოღონდ ტარიელს „დაამონმებინა“ ზეპირი ხელშეკრულება, როცა არაორაზროვნად გამოუცხადა:

„მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვჰპოვებ ვერა;
თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა!“

აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე ამ მომენტს კარგად განმარტავდა. მშვენივრად მახსოვს მისი ლექცია, სადაც მკვეთრად განაცხადა: ამ განმარტებით როსტევეან მეფემ ტარიელს საქმის მთელი არსი გააგებინა – თინათინია მეფე, ხოლო ავთანდილი – მხოლოდ მისი თანამეცხედრე და თანამეფეო!

ასე, რომ, „ისქანდერ-ნამეში“ ნუშაბე-დვალის საქორწინო ხელშეკრულებას ამონმებს, ადასტურებს ალ. მაკედონელი, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ – ტარიელი.

ვფიქრობ, ესეც ერთობ მრავლისმეტყველი ფაქტია, რომელი კიდევ ერთხელ ადასტურებს – ტარიელის ლიტერატურული პროტოტიპი არის ისქანდერი.“

აი, რა საინტერესო პასუხი გასცა მკვლევარ ივ. ამირხანაშვილის მიერ გამოყენებულ გურამ ასათიანისეულ მარტივ, მჭლე და ზოგად მაგალითს ჩემმა ნიგნმა, რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“ სამი მთავარი პერსონაჟის პროტოტიპების საკითხი განხილულია სიღრმისეულად, საინტერესოდ და მრავალმხრივ. ამავე დროს, ხშირად იქვე გადაჭრილია ტექსტოლოგიური პრობლემებიც კი!

მითითებული მშრალი მაგალითის მოყვანის შემდეგ ამირხანაშვილი გამართული ქართულით და საქმიანად მსჯელობს ნიზამის მხატვრულ ოსტატობაზე, მარჯვედ იმეორებს მ. თოდუას, ევგ. ბერტელსის, ჰაჯიევის, ი. კალაძისა და სხვათა მოსაზრებებს. ეგ მოსაზრებები, ჩვეულებრივ, რეფერატულ-თხრობითია, საკითხში ჩაუხედავს დიდადაც დაეხმარება, ოღონდ საქმეში უკვე გათვითცნობიერებულ მკვლევრებს ახალს არაფერს აძლევს, რამ-

დენადაც აქ არც რაიმე მიგნება იხილვის, არც რაიმე საკითხის დაზუსტება ან მცდარი თვალსაზრისის უკუგდება (192-195).

მე, როგორც მკვლევარი, ცოტადრე გამოვცოცხლდი 196-ე გვერდის წაკითხვისას. უფრო მეტად მინიაზა ორი აბზაცი, რომლებსაც სიხარულით გაახლებთ:

„ნიზამის შემოქმედებაში სხვაგანაც ჩანს სუფისტური ელემენტები, მაგრამ ის არ არის სუფისტი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით (მუსტაფაევი 1962: 33)“. ამ აზრს იზიარებს და ეთანხმება ჩვენი მკვლევარი, მაგრამ უნდა მივუთითოთ: სწორედ ჯამალ მუსტაფაევის სიტყვები მომყავს და მის იდეას ვიზიარებ მეც, ოღონდ გაცილებით ადრე, არა 2021, არამედ 2011 წელს (იხ. მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, გვ. 12). აქვე დავსძენ: დიახ, იმავე მკვლევარს ვიმონებ, ოღონდ ჩემი თარგმანი უფრო ქართულადაა ჟღერს. აბა, შეადარეთ ზემოთაღნიშნულ ხაზგასმულს:

„ნიზამი ხშირად იყენებს სუფიურ ტერმინებს, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის წმინდა წყლის სუფისტია“.

ამის შემდეგ ჩემს ნაშრომში ღრმად არის გამოკვლეული „ხელისა“ და „ჭკვიანის“ დაპირისპირების სუფიურ-ფილოსოფიური არსი; მნიშვნელო-

ბა უცნაური თქმისა „ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“; ნაჩვენებია ამ მომენტში პლატონური და სუფიური იდეების თანხვედრა და ბევრი სხვა რამ. სამწუხაროდ, ამ ბოხოქარ ზღვაში დიდი ფორმატის 512-გვერდიანი კრებული ისე შორს ვერ მიდის, როგორც მცირე ფორმატის 219-გვერდიანი ნიგნი!

მითითებული გვერდის მეორე აბზაციც საყურადღებოა, თუმცა კი გარკვეულწილად იმეორებს პირველს: „როგორც ზ.ა. ყული-ზადე ამტკიცებს, პოემაში „ლეილი და მეჯნუნი“ (უნდა „მაჯნუნი“ - მ.თ.) სიყვარულის კონცეფცია არ იმეორებს არც სუფიურ და არც პერიპატეტიკურ გაგებას, თუმცა მათთან უშუალო შეხება მაინც აქვს“ (196).

იქვე, ახლოვე, ეგ სწორი აზრი გამეორებულია: „არ შეიძლება პოეტი მივაკუთვნოთ რომელიმე ფილოსოფიურ მიმდინარეობას“ (197).

ამ უთუმცაოდ მართებული იდეის განვითარებაა შემდეგი: „შეიძლება ნიზამი კარგად იცნობს (უნდა – იცნობდეს – მ.თ.) და იყენებს (იყენებდეს – მ.თ.) კიდევ სუფიზმის, არისტოტელიზმის ან ზოროასტრიზმის კონცეპტებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არის სუფიზმის, მანიქეიზმის, ანტიკური ფილოსოფიის ან ზოროასტრიზმის მიმდევარი. ასევე, რუსთაველის პოეზიაშიც შეინიშნება სუფიზმის, მანიქეიზმის, ნეოპლატონიზმის, არისტოტელიზმი-

სა და სხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ელემენტები, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ის ამ ფილოსოფიურ სისტემათა მიმდევარია, უბრალოდ, მათ იყენებს თავისი ესთეტიკური მრწამსის შესაქმნელად“ (198).

ეგ აზრი ზოგადთეორიული თვალთახედვით ძალიან დიდი ხნის წინათ განავითარა პროფ. იუზა ევგენიძემ, მერე მასზე დაწერილ გამოხმაურებაში გავიმეორე მე. სულ ბოლოს გაიზიარა აკად. ელ. ხინთიბიძემ. კარგია, რომ ბ-ნი ივ. ამირხანაშვილი ამ მართებულ თვალსაზრისს არ ასცდენია. აი, როგორ გამოხატა ეგ იდეა იუზა ევგენიძემ: „მწერალი, თუ ის ნამდვილი მწერალია, არ შეიძლება თანამიმდევრულად მისდევდეს და იცავდეს რომელიმე თეორიას, მკაცრად მოხაზულ პროგრამას ან იდეოლოგიურ დაკვეთას. მწერლის ხედვის არე ყოველთვის უფრო ფართოა, ვიდრე რომელიც გნებავთ თეორიული სისტემა“ (ი.ევგენიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 2000, 183).

ამირხანაშვილს მახვილად შეუნიშნავს ერთი აზერბაიჯანელი მკვლევრის დიდფასი დაკვირვება: „ნიზამი სიყვარულს განიხილავს არა მხოლოდ ორი პიროვნების მიერ ერთმანეთისადმი გამოვლენილ ურთიერთთანაგრძნობას, არამედ როგორც განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც მოიცავს

ყოველი არსის სულსა და გულს – უმნიშვნელო ქმნილებიდან დაწყებული გიგანტური თანავარსკვლავედებით დამთავრებული (კაფარლი 2001: 12-13)”.

ამით შემოიფარგლა ჩვენი მკვლევარი და ველარ უჩვენა ამ იდეის კონკრეტული მხატვრული დასაბუთება რუსთველის ტექსტიდან. არადა რა კარგად დააგვირგვინებდა ამ თეორიულ დებადს შესაბამისი გაგრძელება. მომყავს ამონარიდი ჩემი ნიგნიდან:

**„კიდევ ხუთი არგუმენტი „ვეფხისტყაოსნის“
ცნობილი სტროფის დასაცავად**

საქმე ეხება სადავოდ ქცეულ ერთობ პოპულარულსა და ცნობილ შემდეგ სტროფს:

**მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი,
ცით მფრინველნი,
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.**

გარდა იმ არგუმენტებისა, რაც ამ სტროფის სასარგებლოდ მეცნიერებს მოეპოვებათ, იძებნება ხუთი სრულიად ახალი დებულება. ისინი კვლავ და

კვლავ გვარწმუნებენ, რომ საძიებელი პოეტური აზ-
ზაცი რუსთველისაა.

არგუმენტი პირველი:

ცნობილია (ჯერ კიდევ ვიკტორ ნოზაძემ
უთუმცაოდ დაამტკიცა და საამრიგო მაგალითიც
უამრავი მოიყვანა), რომ პოემა განიცდის ბიბლიის
(ძველი და ახალი აღთქმის წიგნების) რემინისცენ-
ციებს, იყენებს მის ცალკეულ სახე-ფრაზებს (პირ-
დაპირ ან პერიფრაზის სახით).

აღნიშნული სტროფიც ამჟღავნებს ამგვარ
ტენდენციას. საქმე ეხება აქ ნახსენებ ცხოველთა
სამყაროს წარმომადგენლებს. „ბიბლიესკაია ენ-
ციკლოპედიაში“ ვკითხულობთ: ბიბლიაში ცხოვე-
ლები განიყოფება ოთხ კლასად: 1. ხმელეთზე
მცხოვრებნი; 2. ზღვის თევზები; 3. ცის ფრინველნი;
4. წყალხმელეთანი (იხ. „ბიბლიესკაია ენციკლოპე-
დია“, მ., 1891, გვ. 261). ეს გახლდათ მყარად ჩამო-
ყალიბებული კლასიფიკაცია.

საგულისხმოა, რომ ეს კლასიფიკაცია გამოუ-
ყენებია რუსთველს, ოღონდ გამოუყენებია თავისე-
ბურად, მისი ერთი პოეტიკური ხერხის საჭიროე-
ბისდა მიხედვით. სტროფში ვკითხულობთ:

**მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
კლდით ნადირნი (1), წყალშიგ თევზნი (2), ზღვით
ნიანგნი (4), ცით მფრინველნი (3).**

როგორცა ვხედავთ, თუმცა კლასიფიკაცია ზუსტადაა დაცული, შეინიშნება მცირეოდენი მანიპულაცია, გადანაცვლება: ჯერ მეოთხე კლასია წარმოდგენილი, მერე – მესამე და აი, სწორედ ეს ცვლილება გვიმჟღავნებს რუსთველის ერთ პოეტიკურ საიდუმლოს და იმავდროულად იმასაც, რომ სტროფი მისეულია: აქ ავტორი იყენებს მისთვის ჩვეულ ე.წ. „არეალის გაფართოების“ ხერხს.

რუსთველს მიუგნია მისთვის და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ორი ერთობ სპეციფიკური პოეტიკური ხერხისათვის – ეს არის „არეალის შევიწროება“ და „არეალის გაფართოება“.

როდესაც ავტორს სწადია გვიჩვენოს ვითარება, რომ გმირი ფართო სივრციდან უფრო ვიწრო, შეზღუდული ადგილისაკენ მოძრაობს, იყენებს „არეალის შევიწროების“ ხერხს. ტარიელი ნადირობიდან ბრუნდება, შემოდის ქალაქში, შემდეგ – შუკასა და სახლში. ამისდა მიხედვით ხდება არეალის შევიწროება-შეზღუდვა.

ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა **ქალაქი, შუკა და ბანი**.

ეჭვი არაა, ქალაქი უფრო ვრცელია, ვიდრე შუკა (ქუჩა), ხოლო შუკა უფრო ვრცეულია, ვიდრე სახლის ბანი.

ახლა ვნახოთ „არეალის გაფართოების“ სიტუაცია.

მეფის სანადიმო დარბაზში ტარიელს დახვდა ნესტან-დარეჯანი. ქალთამზეს ირგვლივ ყველაფერი გაენათებინა, მისი შუქი გარეთაც გამოდიოდა და უფრო ფართო სივრცეებს ედებოდა:

მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის-ფერნი ჯუბანი...
სრულად ნათლითა აევსო **სახლი, შუკა და უბანი**.

ეჭვი არაა, სახლი უფრო ვიწრო არეალს გულის-ხმობს, ვიდრე შუკა, ხოლო შუკაზე მეტ სივრცეს მოიცავს უბანი.

მაშასადამე, აქ არეალი ფართოვდება, უფრო ვრცეული ხდება: **სახლი-შუკა-უბანი**.

საძიებელ სტროფში სწორედ ეს მეორე პოეტიკური ხერხია მომარჯვებული. საქმე ისაა, რომ ავტორს იქაც სჭირდება გვიჩვენოს ერთგვარი სივრცისეული გრადაცია, გაფართოება; იგი ვიწრო და ახლობელი სივრციდან თანდათან გადადის უფრო შორეულ და ვრცეულ სივრცეზე:

კლდით ნადირნი, **წყალშიც** თევზნი, **ზღვით** ნიანგნი,
ცით მფრინველნი.

უდავოა, ადამიანისათვის უფრო მახლობელი და ვიწრო ცნებაა **კლდე** (ხმელეთი საერთოდ), ამაზე უფრო ფართო და შორეული ცნებაა **წყალი**, ანუ

მდინარე, კიდევ უფრო მეტი სივრცისეული ასოციაციის გამომწვევია **ზღვა** და ბოლოს, ყველაზე უფრო შორეული და ფართოა, მეტიც, უსასრულოა **ცა**.

მაშასადამე, ცხოველთა სამყაროს მკაცრი ბიბლიური კლასიფიკაცია და თანამიმდევრობა რუსთველს დაურღვევია ერთადერთი მიზნით – დაეცვა სივრცითი გრადაციის პოეტიკური კანონი, ე.წ. „არეალის გაფართოების“ ხერხი.

არგუმენტი მეორე:

მეორე არგუმენტი პირველის ბუნებრივი გაგრძელებაა. საქმე ისაა, რომ ძველად კოსმოსი და მისი ნაწილაკი ადამიანი ერთ სხეულად, განუყოფელ ორგანიზმად წარმოედგინათ და მათი ურთიერთობა ერთობ ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდათ. ვიკტორ ნოზაძის აზრით, რუსთველმა იცის: ძველი ჰოროსკოპით ადამიანი თუ ცას შესძახებს თავის წადილს და თხოვნას კეთილ წამს, მაშინ ამ წადილის აღსრულებაში კოსმიური ძალები თანაგრძნობას გამოუცხადებენ და დაეხმარებიან. ეს იმიტომ ხდება, რომ მსოფლიო წესრიგის („ზესთ მწყობრთა მწყობრის“) გამოისობით უმცირესი ნაწილაკიც ბიორიტმულ კავშირშია უსასრულობასთან. ამიტომაც უსასრულოსა (კოსმოსსა) და სასრულს (ადამიანს) შორის უწყვეტი კავშირია. ამ კავშირის ძალით ზესთას ესმის ადამიანისა და ადამიანზე ზემოქმედებს ზესთა.

ავთანდილი 7 მნათობს შეჰგალობს (სადავო სტროფი 7 მნათობისადმი აღვლენილი საგალობლის ბოლო, უკანასკნელი ნაწილია) და თინათინის სიყვარულში შემწეობას სთხოვს. ამ კავშირის მეოხებით „ავთანდილის სიყვარულის ამბავში მთელი ცა, უდიდესნი და ადამიანის ბედის წამყვანნი და ხელმძღვანელნი მნათობნი მონაწილეობას ღებულობენ და ამგვარად ავთანდილის კერძო პირადული სიყვარული ზოგადი მარადიული და მსოფლიური ბუნების მატარებელი ხდება, რადგან მნათობთა გარდა: მხეცნი, ქვანი, ყოველნი სულიერნი, ნადირნი, თევზნი, ნიანგნი, მფრინველნი, ინდო, არაბ, ბერძენნი, ეგვიპტელი, - მაშასადამე: მთელი კაცობრიობა და მთელი ბუნება თანაზიარობს –

**რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,
იმღერს ლექსთა საბრალთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.
მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
კლდით – ნადირნი, წყალშიგ – თევზნი, ზღვით –
ნიანგნი, ცით – მფრინველნი.**

ციური ბუნება, მიწიერი ბუნება, კაცობრიული ბუნება, მთლიანად მთელი მსოფლიო ავთანდილის სიყვარულს ამონმებს, ეტრფის მას და ამკობს. ეს არის სიყვარულის გამარადისება, უზენაეს კვარ-

ცხლბეკზე მისი აყვანა და დამკვიდრება, მისთვის მუდმივობის დამტკიცება...“ (ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“, გვ. 89).

აღნიშნულ კონტექსტში, როგორცა ვხედავთ, ზემომოყვანილი მეორე სტროფი აუცილებელი გამოდის და არაფრით არ ეთანხმება იმ მკვლევართა მოსაზრებას, თითქოსდა იგი ინტერპოლატორის ნახელავია. აღმავალი ხაზი მცირიდან (ადამიანიდან) უსასრულობამდე (კოსმოსამდე) ჰოროსკოპის რწმენას გამოხატავს და ის ამიტომაც ავთენტიკური სტროფი გამოდის.

ამ მეორე არგუმენტის საფუძველზე კიდევ უფრო ნათელი ხდება პირველი დებულების არსიც – ავტორმა სწორედ აღნიშნული მიზნით გამოხატა სივრცითი აღქმის გრადაცია: კლდით – ნადირნი, წყალშიც – თევზნი, ზღვით – ნიანგნი, ცით – მფრინველნი და ასე შეძლო სასრულის (ადამიანის) ამალღება უსასრულობამდე (კოსმოსამდე). სწორედ ამ მიზნითვე დაარღვია მკაცრი ბიბლიური კლასიფიკაცია და **ზღვა ცაზე** წინ დააყენა.

გარდა ამისა, აქ აღსანიშნავია რუსთველის ე.წ. „მედიუმის“ ფილოსოფიური კონცეფცია: პოეტს ადამიანი წარმოუდგენია მდაბალ და მაღალ არსებობას შორის მედიუმად, შუაკაცად, რომელი „არც მიწისაა, არც ცისა“ ან პირუკუ – მიწისაცაა და ცი-

საც. მიწიერი, მდაბალი თვისებების მატარებელია ცხოველები, მცენარეები, უსასაკო და უსულო საგნები, ხოლო უმაღლესი, ციური კატეგორისაა კოსმიური ძალები, ღვთაება. ამ უკიდურესად დაპირისპირებულ სფეროთა მაერთებელ-მაკავშირებელია ადამიანი. პოემის პროლოგში მოაზროვნე მსჯელობს სამი ტიპის სიყვარულზე. აქედან პირველი ცათა სფეროს განეკუთვნება; იგი უმაღლესი სიყვარულია, საღვთო ტრფობაა. მისი კარდინალურად საპირისპირო ცნებაა მიწიერი სიყვარული – ესაა გარყვნილება, სიძვა, მრუმობა, უგულო, უსულო სიყვარული, ხორციელი ნდომა. ეს დამახასიათებელია ცხოველთა, მცენარეთათვის. ამ „მიწიერ“ და „ციერ“ კარდინალურად საპირისპირო სიყვარულთა შორის ერთგვარ შუაკაცობასა სწევს მესამე ტიპის სიყვარული – ჭეშმარიტად ადამიანური, ცოლქმრული ტრფობა. იგი ხორციელიცაა (გულისხმობს შვილის გაჩენას), მაგრამ, ამავე დროს, არის სულიერიც (რაკი ბაძავს პირველ, მაღალ ღვთაებრივ ტრფიალს). ამგვარი ტრფიალება შეესატყვისება ადამიანის ბუნებას. ადამიანიც ხომ ორი სუბსტანციისაგან შედგება – სულისა და ხორცისაგან. მაშასადამე, ადამიანი ერთმანეთში არიგებს, აერთებს ხორციელ და სულიერ საწყისებს, მიწიერ (მდაბალ) და ციერ (მაღალ) კატეგორიებს.

ამ ასპექტით ზემოაღნიშნული სტროფიც საგულისხმოა. აქაც ავთანდილი-მომღერალი გამოდის ერთგვარ მედიუმად, შუაკაცად, რომლის სიმღერაც ერთმანეთს უკავშირებს წარმოშობით ერთიან, მაგრამ ბუნებით დაპირისპირებულ სანყისებს, მიწიერ და ციურ სამყაროებს. მიწიერი (კლდით – ნადირნი, წყალშიგ – თევზნი, ზღვით – ნიანგნი, ცით – მფრინველნი) ავთანდილის მეოხებითა და შემწეობით უკავშირდება ციურს (კოსმიურ ძალებს, ზოდიაქოებს, ანგელოზებსა და, ბოლოს, - ღვთაებებს).

არგუმენტი მესამე: რუსთველის დროს მდინარეს ეწოდებოდა არა **მდინარე**, არამედ – **წყალი**. მდინარე გვიანდელი შენატხზია. ავთანდილი ტარიელის ძებნისას თურქესტანის მიდამოებში ამუდარიას (ჯეიხუნს), უხიდო მდინარეს, მიადგა. პოემაში ვკითხულობთ:

მის მთისა ძირსა წყალი დის, არად სანდომი ხიდისა.

ტარიელი როსტევანმა და ავთანდილმა პირველად შენიშნეს მდინარის პირას მჯდარი და მტირალი. რუსთველის ენით აქაც მდინარეს სიტყვა **წყალი** გამოხატავს:

ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი **წყლისა** პირსა.

სხვა მაგალითები ნულარ გვინდა. პოემაში ვერსად ვერ ვნახავთ მდინარის აღსანიშნავად სიტყვა „მდინარეს“. მას ყოველთვის გამოხატავს წყალი.

სხვათა შორის, რომანტიკოსი ბარათაშვილი, როდესაც სწაღია საკუთარი პოეტური სტილი არქაიზებული გახადოს, საგანგებოდ ჰბაძავს რუსთველს და მდინარის ნაცვლად ხმარობს სიტყვა **წყალს**:

წარვედ **წყალის** პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად.

ეს „წყალის პირს“, ეჭვი არაა, მდინარე მტკვრის პირია.

ახლა აღნიშნული თვალთახედვით გავსინჯოთ რუსთველის სადავო სტროფის სტრიქონი –

კლდით ნადირნი, **წყალშიგ** თევზნი, ზღვით ნიანგნი,
ციოთ მფრინველნი.

როგორცა ვხედავთ, აქაც ზედმინწევით დაცულია რუსთველის ენა: მდინარეს ეწოდება **წყალი**: კლდიდან (ხმელეთიდან) „მოვიდიან“ ნადირნი, მდინარეებიდან (წყალშიგ) – თევზნი, ზღვიდან – ნიანგები, ციდან – ფრინველნი.

მაშასადამე, აშკარა და მკაფიო გრადაციანაა: ხმელეთი-მდინარე-ზღვა-ცა.

სტრიქონი რომ მოგვიანო ხანის ნახელავი იყოს, მაშინ, შესაძლოა, აქ ყოფილიყო არა „წყალი“, არამედ „მდინარე“.

არგუმენტი მეოთხე: მსოფლიო მეცნიერებაში დადგენილია, რომ XI-XII საუკუნეებში, განსაკუთრებით კი ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდის მწერლობასა და გამოყენებით ხელოვნებაში, საგანგებო ყურადღება ექცეოდა ეგზოტიკური (ევროპელთათვის უცხო, უცნაური) ცხოველების გამოსახვას, ხსენებას. სწორედ ამით ხსნიან იმას, რომ რუსთველის თანამედროვე ფრანგი მგოსნის კრეტიენ დე ტრუას პოემა „ერეკსა და ენიდაში“ (სტრიქონი 6728) ნახსენებია **ნიანგი** (კრეტიენ დე ტრუა, ერეკი და ენიდა, კლიჟესი, მ., 1980, გვ. 500).

უნდა ვიფიქროთ, რომ მსოფლიო მწერლობის ამ სულისკვეთებას ავლენს „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ქართველთათვის საკმაოდ უცხოფერი და საკვირველი, ეგზოტიკური ბევრი რამ არის წარმოსახული და აღწერილი (ვეფხები და ლომები, ვეფხისტყავიანი რაინდი, დევნი, ქაჯნი, გრძნეული ზანგები, ჯადოსნური მოლი (ნაბადი) და, ბოლოს, **ნიანგიც**.

მაშასადამე, სადავო სტროფშიც რომ ნიანგი იყოს ნახსენები, ეს რუსთველის ეპოქისა და იმ ხა-

ნის ხელოვნებისათვის სწორედ რომ მოსალოდნელი და ჩვეულებრივი ამბავია.

ამიტომაც არის, რომ რუსთველის წინამორბედ ფრანგ პოეტთან ერთად **ნიანგი** (თუმცა არაპირდაპირ) დასახელებული ჰყავს აბუ კასიმ ფირდოუსისა. საგულისხმოა, რომ „შაჰ-ნამეში“ არაერთხელ გვხვდება მითითება ამ **ზღვის ურჩხულზე** სწორედ იმგვარ კონტექსტში, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“, კერძოდ, ნადირთა, ფრინველთა, თევზთა ჩამოთვლისას.

Почию – и птица в горах ни одна,
И рыба речная не ведает сна,
И хищные звери хранят мой покой,
Главы всех народов признали главой.
(შაჰ-ნამე, ტ. 6, 6245-48)

ამ ჩამონათვალში ნიანგი ნახსენები არაა, ოღონდ იგი იგულისხმება, რამდენადაც სხვა მსგავს ვითარებაში იგი ნახსენებია, როგორც ზღვის ურჩხული:

Орлы, сокола, чей стремителен лет,
И тигры, и львы, и чудовища вод –
Все верность хранят властелину царей.

ამ ჩამონათვალშიც ის იქცევს ყურადღებას, რაც „ვეფხისტყაოსანში“. კერძოდ, ორივეგან ფრინველნი, თევზნი, მხეცნი, ნიანგები ეთანხმები-

ან, ემონმებიან, თანაზიარობას უცხადებენ დადებით პერსონაჟს (ქართულ პოემაში – ავთანდილს, სპარსულში – შაჰებს).

არგუმენტი მეხუთე: ერთ-ერთი წინააღმდეგობა, რომელსაც აღნიშნულ სტროფში ამჩნევენ მკვლევრები, ასეთია: აქ ერთმანეთში არეულიაო გამოსვლითი (მოქმედებითი) ბრუნვა და წარმომავლობის სუფიქსი – ელ.

მართლაც, მესამე ტაეპში ვკითხულობთ:

ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი.

დღევანდელი ქართულით ეს ნიშნავს: ინდოეთიდან, არაბეთიდან, საბერძნეთიდან, **მაშრიყიდან** და **მალრიბელნი**.

მაშასადამე, სტროფი გვიანდელი ჩანართია და არ შეიძლებოდა რუსთველის ეპოქაში შეთხზულიყო.

ახლა დგას საკითხი: აქ წარმოდგენილი „აღრევის“ მსგავსი აღწერილობანი თუ არის დაფიქსირებული რუსთველამდელ ლიტერატურაში?

დიახ, არის. შეიძლება ითქვას მეტიც: ძველ ქართულში ერთგვარი კანონიც კი ყოფილა „ით“ და „ელ“ აფიქსთა მონაცვლეობა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების I წიგნში (V-X საუკუნეები) ვკითხულობთ: „დილასა ადრე მო-

ვედ და ვკითხე ერთსა მათგანსა, თუ რომლისა სოფლისანი ხართ თქვენ. ხოლო მან მომიგო მე: ზოგნი **დაბით**, ზოგნი **საფურცლით**, ზოგნი **ქინჯარელნი** და **საბატელნი** დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“ (გვ. 116, 10-15).

ფიქრია მაკალათია მიუთითებს, რომ ამგვარი ვითარება „მიგვანიშნებს იმ ეტაპზე, როცა არც საკუთარ სახელს – ტოპონიმს, ეთნონიმსა და სხვა – არც წარმომავლობის სახელს ჯერ არ გააჩნდა საკუთარი მყარი მოდელი. აფიქსთა პოლისემიურობა კი გვაფიქრებინებს, რომ კონკრეტულ-ენობრივ სიტუაციათა მიხედვით ხდებოდა ფუნქციური დეტალიზაცია“ (ტოპონიმიკური კრებული, თსუ გამომცემლობა, 1993, გვ. 26).

ამრიგად, კიდევ ერთი არგუმენტი იძებნება ამ სტროფის სასარგებლოდ.

„და ან პირველსავე სიტყვასა აღვიდეთ“. როგორცა ვნახეთ, ხუთი ახალი არგუმენტი კიდევ ერთხელ მოითხოვს, რათა აღნიშნული გენიალური პოეტური აბზაცი თავის ბუნებრივ ადგილსამყოფელს დაბრუნდეს და შვიდთა მნათობთა მიმართ ავთანდილის მიერ აღვლენილი გალობა ბოლომდე (კოსმოსამდე) აიყვანოს“ (მ. თავდიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი, 2000, გვ. 46-53).

შემდეგ ამირხანაშვილი რატომღაც ისევ უბრუნდება იმას, რაც ზემორელე ბრძანა: ნიზამი და რუსთველი იყენებენო სხვადასხვა იზმის იდეებს, ამ იდეათა ფრაგმენტებს, ოღონდ ამ მიმართულებათა მკაცრი დამცველები არ არიანო; რუსთველი ნეოპლატონიზმს უფრო ხშირად ეყრდნობა, ოღონდ არ უნდა გვეგონოს, იგი მთლად ყელამდე ეფლობოდას ამ კონცეფციის ზეგავლენაშიო (198).

მომდევნო გვერდზე მკვლევარი უკრიტიკოდ ეთანხმება რეიფილდის აზრს: „რუსთაველის ღმერთი არის სრული სიკეთე, ხოლო წუთისოფელი მისი ანტიპოდი, როგორც ბოროტი, მაცდური და მუხანათი. ამ შეპირისპირებას დონალდ რეიფილდი ქრისტიანულ დიქტომიას უწოდებს“ (199).

ამ ყალბ იდეაზე ფეხი წაიტეხეს 1988 წლის აკადემიური გამოცემის მესვეურებმა ალ. ბარამიძემ, ც. კიკვიძემ, გ. კარტოზიამ და სხვებმა. მე მათ დაუნდობლად მკაცრი პასუხი გავეცი. და, ის ამბავი რომ ივ. ამირხანაშვილს სცოდნოდა, რეიფილდის ამ იდეას, რომელიც კოლექტივის ნარატივს ეყრდნობა, სათოფეზედაც აღარ გაეკარებოდა. მომყავს ან უკვე არაერთხელ დაბეჭდილი ჩემი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით:

„აკად. ალ. ბარამიძემ „ამბის“ წინააღმდეგ არგუმენტად მოიყვანა შემდეგი: „ნიშანდობლივია ინ-

დო-ხატაელთა ამბისა და პოემის ნამდვილი ნაწილის აზრობრივი შეუსაბამობა. მაგალითად, რუსთველის მიხედვით, სოფელი გამწირავია, სამაგიეროდ ადამიანს მზრუნველობს და მფარველობს კეთილი ღმერთი („ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია“, „ვაჰ, სოფელო... მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“), ინდო-ხატაელთა ამბით კი, „ნაღმავე ნაგრებს სოფელი კვლა მისგან უკუნაცარსა“ (წუთისოფელი ნაღმავე ნაგრებს სხვა დროს მისგან უკუღმა დაგრეხილს)“.

უნდა განვაცხადო: მცდარი და ზედაპირულია დებულება, თითქოსდა პოემით **სოფელი** (ბედი) ყოველთვის ავია, ცუდია, ხოლო **ღმერთი** – ყოველთვის კეთილი; პოემის მიხედვით, სრულიად ადვილად დასტურდება, რომ, როგორც ღმერთი, ისე ბედი – სოფელი შეიძლება იყოს როგორც მწყრალი და მრისხანე, ისე კეთილი და მოწყალე, ვინაიდან, როგორც ვ. ნოზაძემ დაამტკიცა, ბედს ღმერთი განაგებს. ღმერთსა და ადამიანს შორის არსებობს მედიუმი – ბედი. ოღონდ ერთი კია – ადამიანს შეუძლია შეედავოს ბედს, იჩივლოს მასზე, შეაგინოს კიდეც, ოღონდ ამას ვერ იზამს ღვთის მიმართ. აი, საამრიგო მაგალითები, სადაც პოემაშივეა ნათქვამი, რომ სოფელი, საწუთრო, იგივე ბედი, ხან მუხთალია, ხან კი – **კეთილი**:

მე გამიახლდა **სოფელი**, მქონდა სიმრავლე ლხინისა.

როგორცა ვხედავთ, საწინააღმდეგოდ ალ. ბარამიძის მოსაზრებისა, აქ სოფელი კეთილია, ლხინის მომანიჭებელია. ესე იგი, ის ყოველთვის როდია ავი და მრისხანე.

ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად?

აქ სოფელი უკვე ცუდია, ბოროტია, სისხლისმსმელია.

სანუთრომან დამაღრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს.

აქაც სოფელი მუხანათია, მატყუარა-მცქაფავია.

სანუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია.

სანუთროს, ანუ ბედს, რაც ადრე ლხენა-სიცილი ურგუნებია (ესაა მისი სიკეთე), ბოლოს ამის სანაცვლოდ გვატირებსო (ესაა მისი ბოროტება).

ან გა-ვე-აძლო სოფელმან ასმათ, ადრითგან მშიერი.

ბედმა-სოფელმა ასმათი ადრე აშიმშილა, დაამწუხრა (ესაა მისი უკეთურება), მაგრამ ახლა უკვე გააძლო, გაახარა ნესტანის ხილვითო (ესაა სოფლის სიკეთე).

სანუთრო და სოფელ-ბედი რომ „ორგემაგე“ (დ. გურამიშვილის ტერმინია) ბუნებისაა, ამის კლასიკური ნიმუშია შემდეგი ორი მაგალითი: პოემაში ვკითხულობთ ცნობილ ფრაზას –

ვჰგმობ მუხთალსა, სანუთროსა, **ზოგჯერ უხვსა,**
ზოგჯერ ძვირსა.

როგორცა ვხედავთ, წინააღმდეგ ალ. ბარამიძის მოსაზრებისა, რუსთველის კონცეფციით, სანუთრო-ბედი ზოგჯერ უხვია (კეთილია), ზოგჯერ ძვირია (უკეთურია); ასევე კლასიკური სიცხადითაა გამომჟღავნებული რუსთველის ორგემაგე დამოკიდებულება სანუთროსადმი ამ გენიალურ ტაეპებშიც:

სანუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების:
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.

ესე იგი, რუსთველისათვის სანუთრო (ბედი) ჩარხივით მოტრიალვა: ხან კარგს თესავს, ხან – ავს. ესაა ნამდვილი რუსთველური კონცეფცია და იგი ისევე მართალია, როგორც თვით წაღმა-უკულმა მბრუნავი ცხოვრება. რუსთველის კონცეფციას მყარი საფუძველი აქვს – ეს საფუძველი თვით ცხოვრებაა.

ახლა ამ შუქზე განვიხილოთ ალ. ბარამიძის მიერ ინტერპოლაციად მიჩნეული დებადი –

ნალმავე ნაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუნაცარსა.

„ამბის“ ამ სტრიქონსა და ზემორე პოემიდან მოხმობილ ორტაეპედს შორის მე ვერავითარ სხვაობას ვერ ვხედავ და ვერც დავინახავ: ორივეგან ერთი და იგივე აზრია – სოფელი ხან კარგია, ხან ცუდია. ისე როგორც ეს მართლაც არის ცხოვრებაში. „ნალმავე ნაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუნაცარსა“ – ესე იგი, წუთისოფელი (ბედი) ჩარხივით მოტრიალეაო. თუ ადრე უკულმა ტრიალებდა, ახლა, ანაზღადა, ნალმა ბრუნვა იწყოო. საქმე ისაა, რომ ცხოვრება ხან გვალხენს, ხან საზრუნავს მოგვგვრის. ტარიელმა და ნესტანმა ბედნიერება იზეიმეს, უბედურება სძლიეს, ტახტზე ავიდნენ, ყველაფერი ბედნიერად დამთავრდა. მართლაც რომ ხამდა, რუსთველს ორიოდე თბილი სიტყვა გამოემეტებინა წუთისოფლის (ბედის) სასარგებლოდ.

ამ დებულებას გვიმტკიცებს „ამბის“ სხვა ადგილებიც. „ამბავში“ ერთგან ღმერთზე წერია – აქამდე რისხვა გვანწნია, ახლა კი წყალობა გვიანდაზაო. ესე იგი, თურმე, არც ღმერთი ყოფილა ყოველთვის კეთილი:

ხმა-მაღლად ხმოზდეს, იძახდეს: „მოგეშორდეს სალმობანია, აქამდის რისხვა, მაღალმან ან მოგვცა წყალობანია“.

სხვათა შორის, „ამბის“ ამ დებადს ეხმაურება პოემის ცნობილი დებადი: „განგებაა, სწორად მოჰკლავს ერთი იყოს თუნდა ასი“. ესე იგი, განგება, ღმერთი ყოველთვის როდია კეთილი, იგი ხანდახან მწყრომარეცაა, მაგალითად, საკმარისია საყვარელ ინდოელ ადამიანებთან ავთანდილის განშორების ძნელი წუთები დადგეს, რომ სოფელი კვლავ მუხთალი გახდეს.

ავთანდილ შეჯდა, წავიდა, ტარიას გაესალამა;
იგი ორნივე გაყრისა დაწვა ცეცხლისა ალამა;
სრულად ინდონი მისტირან, ცრემლმან მინდორი დალამა,
ავთანდილ იტყვის: „**მომკლაო სოფლისა მე სამსალამა**“.

ამრიგად, ყველაფერი ნათელია: ავი ვითარების ჟამს პერსონაჟები ბედს (სოფელს) წყევლიან, გმობენ. ეს ბუნებრივი რეაქციაა სოფლის მუხთლობაზე, ხოლო სიკეთისა და ბედნიერებისას იმავე სოფელს (ბედს) ლოცავენ და აქებენ.

სხვათა შორის, აღნიშნული პრობლემა ზუსტად ასევეა გააზრებული ფირდოუსის „შაჰ-ნამეშიც“. ასეთია ეს სოფელი მატყუარა: ხან აგწევს იგი მაღლა, ხან დაგცემს ძირს... იგი ტრიალებს, ხან იძლევა თაფლს და გავსებს ალერსით, ხან გასმევს შხამსა

და სიძულვილს (იხ. ვ. ნოზაძის „ვარსკვლავთმეტყველება“, გვ. 180). როგორც ვიცით, რუსთველი შესანიშნავად იცნობდა ფირდოუსის შემოქმედებას.

აღნიშნული კონცეფციიდან ბუნებრივად გამომდინარეობს **ჭირისა და ლხინის** ურთიერთობის ფილოსოფიაც. ვ. ნოზაძის სამართლიანი და უთუმცაო დასკვნით, რაკილა ღვთით წარმართული და განგებული ბედი-სოფელი ჩარხივით მბრუნავია (გავიხსენოთ გამოთქმა „ბედის ჩარხი“), ხან კეთილს, ხანაც უკეთურს მოგვივლენს, გასაგებია, რომ, ამისდა მიხედვით, კაცს ულხინს, ხანაც უჭირს. ვისგან მოემართება ჭირი ან ლხინი? – ღვთისაგან! ვ. ნოზაძე წერს: „ავთანდილი ღმერთს საყვედურით მიმართავს – გულით ჩემით სიხარულნი აღჰფხვრენ, ჭირნი დააბუდენ. ღმერთია მომცემი ლხინისაც და ჭირისაც. მასვე შეუძლია ჭირი შესცვალოს ლხინზე, და არაოდეს შეგანუხოს, როგორც ამას ფრიდონი ტარიელს ეუბნება, იგი (ღმერთი) –

ჭირსა ლხინად შეგვიცვალებს, არაოდეს შეგვანუხებს.

და, ვინაიდან ჭირიცა და ლხინიც ღვთის ხელშიაო, - ამბობს ავთანდილი, - იმიტომ –

თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირნიცა შევინყნაროთ!

(ვარსკვლავთმეტყველება, 186).

მაგრამ ღმერთი არსებითად ჭირის ლხინად შემცვლელია. ამიტომ მას მადლობა ეკუთვნის –

**ღმერთსა ჰმადლობდეს შეცვლასა ლხინად ჭირისა
დღეთასა.**

აქედან გამომდინარეობს დებადი, რომ ბედი, სოფელი ჭირსაც მოგვეკერძავს და ლხინსაც –

**მაშინ ჭირი ჩნდა ჩემზედა, ან ესე ლხინად უხდების,
რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუნუხდების.**

როგორცა ვხედავთ, პოემის **უდავო** ნაწილში მკაფიოდაა შექებული სოფელი, რომელიც, თურმე, ყოველთვის როდია უშვებო და ულხინო, ავი და სისხლის მხვრეპელი.

პოემაში სხვაგან ვკითხულობთ:

**ჰკადრა: „რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,
ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასრულისა“.**

აქაც სოფელი ჭირის ნაცვლად ლხინს (გულის წადილის ახდენას) აძლევს ადამიანს. ესე იგი, ყოველთვის როდია იგი ავი და უსამართლო.

პოემაში საამრიგო მაგალითი ისე ბევრია, რომ ბოლოს ჩაძიებული კაცი გაკვირვებულიც კი დარ-

ჩება. ჩემი საბოლოო დასკვნა კი მომყავს ვ. ნოზაძის სიტყვების გამოყენებით:

„ჭირი ცვალებადია; იგი ღვინით შეიცვლება; და ღვინს გემო აქვს, ოდეს ჭირი გარდახდილია“ (ვარსკვლავთმეტყველება, 188).

ამრიგად, პოემაში გატარებულია კონცეფცია: ღვინით განგებულ სოფელი ხან ჭირს შეგვამთხვევს, ხან – ღვინს. საერთოდ კი ჭირი იცვლება ღვინით. არის ამგვარი ფილოსოფია „ამბავში“ თუ იგი ამ მხრივ პოემას არ ეთანხმება?

აღსანიშნავია: „ამბის“ ფილოსოფია ამ მხრივაც პოემის იდეური ხაზის ყველა მომენტის სიტყვასიტყვითი განმეორებაა, უზუსტესი გაგრძელებაა.

ტარიელმა ინდოეთში შემოსეული ხატაელთა ლაშქარი დაიმორჩილა, რამაზ ხანი ხელთ იგდო, ინდოეთი განადგურებისაგან იხსნა, დიდებულნი და დედოფალი სიკვდილს გადაარჩინა. გახარებული, აქამდე ჭირში ფლობილი ინდოელნი გაიძახიან: „მოგვმორდეს სალმობანია, აქამდის რისხვა, მაღალმან ან მოგვცა წყალობანია“. დედოფალი კი ასე გაიძახოდა: „ღმერთმან რისხვა მოაქცია წყალობისა გამოსახვად“. იქვე ვკითხულობთ: დედოფალმაო „გლოვა ცვალა სიხარულად“; სწორედ ამავ ე ნაწილშია პოემაში ბევრგზის გამეორებული

იდეა, აფორიზმად ჩამოყალიბებული: „ყოლა **ლხინთა** ვერ იამებს კაცი, **ჭირთა** გარდუხდელი”.

ამრიგად, ჭირისა და ლხინის დიალექტიკური ურთიერთობის თვალსაზრისითაც, პოემა და „ამბავი“ ერთიანია, დაურღვეველი არმატურითაა შეკრული.

მაგრამ, როგორც **სოფლის**, ისე **ჭირ-ლხინის** შემთხვევაშიც, საკმარისია გმირების განშორების ნამი დადგეს, რომ საქმეში კვლავ ჩაერიოს **ჭირი, სამსალა** და ისინი **ლხინს** შეავინროებენ, გააძევენ. აი, ავთანდილი ძმობილს გამოემშვიდობა, შინ უნდა დაბრუნდეს. ამის გამო ტარიელი ამბობს:

ან ვაგლახ მე, **ჭირი** შენი გონებამან შვიდი თუ რვა,
მოგშორდები, **სანუთრომან ლხინი ასრე დამიშურვა**.

სპასპეტიც ამასვე იმეორებს:

ავთანდილ იტყვის: „**მომკლაო სოფლისა მე სამსალამა**”.

ამრიგად, ყველაფერი ნათელია: „ამბავი“ ზუსტად ისე, როგორც მთელი პოემა, **ბედის ჩარხს** ნაღმა-უკუღმა ატრიალებს, რის გამოც კაცს ხან **ლხენას** მოუვლენს, ხანაც – **ჭირს**. სწორედ ისე, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაშია. ამ მხრივ პოემისა და „ამბის“ ავტორი რუსთველი ზედმინევენით

რეალისტია, მეტიც, „რეალისტისაგან უფრო რეალისტია“.

აი, რა გამონვლილვით, ზედმინწევნით მეცნიერულად და დამაჯერებლად მაქვს სინამდვილე გადმოცემული ნიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ (1991, 362-366), ოლონდ უნდა განვაცხადო: ამ საკითხზე საგანგებო წერილი დავბეჭდე ჯერ კიდევ 1989 წ. (იხ. ჟურნალი „ისტორია სკოლაში“, 1989, 1, 55).

ივ. ამირხანაშვილის მომდევნო ზოგადი დებულება ასეთია: „ვეფხისტყაოსნის ესთეტიკური კონცეფცია, როგორც სისტემა, კონცენტრირდება სათაურშივე, რომელიც ერთდროულად მეტაფორაც არის, სიმბოლოც და მისტიკური გამოცანაც“ (199).

ყველაფერი ეგ სწორია, მართებულია, ოლონდ – ზოგადი. არადა აქ ნათქვამი გამონვლილვითაა დასაბუთებული ჩემი მონოგრაფიის დასაწყისშივე და სათაურიც ამას მოწმობს - „ქართული პოემის სათაურის გენეზისისათვის“ (მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, გვ. 5), ოლონდ, რაც განსაცვიფრებლად საინტერესოა ლიტინსტიტუტის მკვლევართა ბრიგადისათვის, ჩემი გამოკვლევის მიხედვით, **რუსთველის პოემის სათაურის პრობლემას თურმე ნიზამისთან მივყავართ.** მაშასადამე, ზემოდასახელებული სტატია „ქართული პოემის სა-

თაურის გენეზისისათვის“ სწორედ რომ უპრიანი იყო, წინ წასძლოლოდა ბრიგადის მიერ მომზადებულ კრებულს.

აქვე დავსძენ:

ბ-ნი ივანე ამირხანაშვილის ერთ აბზაცად მონოდებული იდეა ჩემს ნარკვევში გაშლილია 11 გვერდზე.

ბ-ნი ივანეს ნარკვევის მომდევნო აბზაცი ასე გამოიყურება:

„ვეფხვის ტყავის – ამ ტროპული სახის საფუძველი წინარე ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებშია საძიებელი. „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ყველა კულტურულ სამყაროსთან ამყარებს კავშირს, ამდენად, „ვეფხვის“, „ვეფხისტყაოსნობის“ კონოტაციური არე საკმაოდ ფართოა“ (199).

თუ რა მიმართებაა **ვეფხსა** და **ვეფხვს** შორის, რომელია სწორი და რატომ – ყველაფერი ეს მისხის მისხამდეა გამორკვეული თავდიშვილის ზემოაღნიშნულ გამოკვლევაში და ისიც ნაჩვენებია, რომ ყოველივე ამას გვიხსნის მხოლოდ ნიზამი, ყოველივე ამის ახსნა-განმარტებას ვნახავთ გიანჯევის პოეზიაში. მომყავს ამონარიდი მონოგრაფიიდან „ნიზამი და რუსთველი“ (150-151):

„შვიდი მთიები და ვეფხისტყაოსანი

ამ პოემაში სასწაულებრივი ცხენია ბურაკი („შვიდი მთიები”, მოსკოვი, 1986, 15). როგორც ვიცით, ასევე სასწაულებრივი ცხენია ქართული ძეგლის მერანი.

ახლა „ვეფხის“ თაობაზე.

დიდი პაექრობა და აზრთა შეხლა-შემოხლა გაიმართა იმის დასადგენად, რუსთველი ზოლებიან ცხოველს („ტიგერი“) გულისხმობს თავის ქმნილებაში თუ ხალებიანს (პანტერა, ავაზა, ჯიქი). ბოლოს, როგორც იქნა, მკვლევართა უმრავლესობა შეთანხმდა, რომ ნაგულისხმევია არა „ტიგრი“, არამედ – ლეოპარდი, ჯიქი, ავაზა; ხალებიანი არსება.

სინამდვილეში ამ ამოცანას იოლად გვიხსნის ფირდოუსი. იქ „ვეფხად“ მუდამ ხალიანი ცხოველია ნარმოსახული (იხ. „ფირდოუსი და რუსთველი“). იგივე ვითარებაა ნიზამის შემოქმედებაშიც. ვეფხი აქ ისეთი ეპითეტებითაა შემკული, რომ ადვილად ხვდები – ეს არის წინწკლებიანი, ხალებიანი არსება.

ამ პოემაში ვეფხი ნახსენებია 25-ე გვერდზე, მაგრამ უფრო საინტერესოა სხვა ეპიზოდი, სადაც მითითებულია: ბაჰრამი „ვეფხის ტყავის შიგ წინწკალში ახვედრებს ისარსო“ (121).

„წინწკალმა“ ყველაფერი გადაწყვიტა!

მაშ, ამ ცხოველს ჰქონია წინწკალი და არა ზოლი. სხვათა შორის, ზოლში ისრის მორტყმა გაცილებით ადვილია, ვიდრე – ნერტილოვან წინწკალში. ავტორის სათქმელიც ეგაა – ისე ძლიერი და ზუსტი მოისარი იყო ბაჰრამ-გური, რომ ისარს ნერტილშიც კი ახვედრებდაო!

მაშასადამე, ნიზამიც იმასვე გვიმონმებს, რაც ადრე დაგვიმონმა ფირდოუსიმ: რუსთველისეული ვეფხიც ხალიანია, წინწკლიანია.“

მაშასადამე, არა ვეფხვი, არამედ ერთი და იმავე ცხოველის (პანტერა) სამნაირი დასახელება: **ვეფხი, ავაზა, ჯიქი**. სწორედ ამიტომაც, რომ სამივე ეგ ფორმა დასტურდება ქართულ ტექსტში.

აი, რა გამონვლილვით არის საკითხი განხილული ჩემს ნარკვევში.

შემდგომ პატიოსნად და თანამიმდევრულად არის გადმოცემული სულავას, ნადირაძის, ნოზაძის, ნათაძის, ცაიშვილის, გოგიბერიძის, სირაძის, ზვ. გამსახურდიას ცნობილი დებულებები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ამ იდეების გადმოცემისას ივ. ამირხანაშვილი იქცევა ეშმაკურად: თუ რომელიმე ავტორი გამართულად წერს, მაშინ მოჰყავს ზუსტი ციტატა, ოღონდ, როცა ცუდმოქართულე მკვლევარს მიადგება, ვთქვათ, რევაზ სირაძეს, მაშინ იყენებს პერიფრაზს, ანუ ენობრივ-სტილისტურად

ხვენს და აშალაშინებს ტექსტს. ეს ხერხი იმიტომ მომწონს, რომ მას დიდი ხანია ვიყენებ.

მკვლევარ ამირხანაშვილსაც ახასიათებს ის სისუსტე, რაც – ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიურ გუნდს. ამ გუნდის ნებისმიერი წევრი ჰგავს გლახა ფეხბურთელს – მხოლოდ ბურთსა და საკუთარ ფეხებსა ხედავს, მთელ მოედანს – ვერა. ჩვენი მკვლევარიც მხოლოდ ინსტიტუტის რუსთველოლოგთა ნაშრომებს იმონმებს (სირაძე, გონჯილაშვილი, ხინთიბიძე, კარიჭაშვილი, ელბაქიძე. ალბათ ამათ თავიანთი წიგნები აჩუქეს). მას რატომღაც ეჩვენება, რომ რუსთველოლოგიური პრობლემები მხოლოდ ამ ინსტიტუტში წყდება. როგორ არ მომაგონოს ამან ზოგიერთი ცალმხრივად მოაზროვნე დასავლელი პოლიტიკოსი, რომელსაც გულწრფელად სჯერა, რომ მსოფლიო პოლიტიკას წარმართავს მხოლოდ ამერიკა, ხოლო რუსეთი საერთოდ არ არსებობს ამ ქვეყანაზე!

ირმა რატიანი, რუსთაველის სამი რეალობა

ცნობილი ფაქტია: ქ-ნმა რატიანმა თავისი ქრონოტოპული მეთოდი ილია ჭავჭავაძეს მიუყენა, ამ წესით დააბნელა მისი ნათელი შემოქმედება და თავი სახალხოდ მოიჭრა. მკვლევრის ჩადენილი სისაძაგლეები მაშინ მკაცრად ამხილეს რუსთაველის

პრემიის ლაურეატმა რევაზ მიშველაძემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა სოსო სიგუამ და დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატმა მურმან თავდიშვილმა. ამჟამად მე ისევ მინევს მისი მხილება, მაგრამ სხვა რა ჩარაა? განსახილველ კრებულში ხომ ყველაზე ვრცელი მისი სტატიაა!

მეგობარო მკითხველო, მოდით, ჯერ მოთელვა ვცადოთ, საკითხების სიღრმეში შესასვლელად ცოტადრე გავხურდეთ.

კალმოსანმა არც ადრე იცოდა და არც დღეს იცის, რომ არცერთი (207) მცდარი დაწერილობაა; უნდა გაფორმდეს ორ სიტყვად; „მიმეზისის ანუ მიბაძვის პრინციპს განმარტავდა“ (207). აქ ორი მძიმეა დასასმელი. სად? არ ვასწავლი! „გამართული მუშაობა, განპირობებულია“ (208). არც ახლა ვასწავლი, სადაა მძიმე მეცამეტე გოჭივით გამოკვეხებული! არც ერთმა მისმა თანაგუნდელმა არ იცის და ირმას საიდან ეცოდინება, როგორ იწერება **შუა საუკუნეები**. ამიტომაც მხოლოდ ასე წერს – **შუა-საუკუნეები** (208); ოღონდ ერთი უბედურება მართო არ მოდის, მას მეორეც მოჰყვება: ქრონოტოპოსანმა არ იცის, **ეპოქა** რასა ნიშნავს. ამიტომაც გვიწერს: „გვიანი შუასაუკუნეების **ეპოქის**“. არადა ამ გამოთქმას ისე სჭირდება **ეპოქა**, როგორც კურდღელს – სტოპსიგნალი! „ინტერპრეტაციაში

მდგომარეობს“ (209) – ეს ლიტინსტიტუტის კოლექტივის მტკივანი ქუსლია. ეს ავადმყოფობა უნიჭიერესმა მ. კარბელაშვილმაც კი ვერ მოიხრჩინა და ირმა რატიანი რომელი ხვითოა?! მაშ, ქართულად როგორ იქნება? – აი, ასე: **ინტერპრეტაციაა**.

და ისევ **ბენაშვილური** უნიგნურობა – ყოველ ამოსუნთქვაზე მძიმე: „ევროპული პოეტიკა, უპირისპირდება... პოეტიკურ ტრადიციას“ (209); და ისევ რუსულის კალკი: „დამკვიდრებაში გამოიხატება“ (209). ბავშვმაც კი იცის, სწორია „დამკვიდრებით გამოიხატება“; და ისევ **ბენაშვილიზმი**: „თუმცაღა, შუასაუკუნეების...“ (209). ავტორს წარმოდგენა არ აქვს ყოვნის მნიშვნელობაზე და არ იცის: **თუმცაღა** საკავშირო სიტყვაა, ის იწყებს დამოკიდებულ წინადადებას და მძიმე წინიდან ეკუთვნის! ახლა კი რა გამოდის? – გამოდის სიტყვისათვის ტაკუნებზე ხელის მოთათუნება! იმავე წინადადებაშია სხვა ხიფათიც: „დიდი ხნის **მანძილზე**“. „მანძილი“ არაბულია და ნიშნავს დისტანციას. აქ კი საჭირო იყო **განმავლობაში**; და ისევ ისე ჩვეული ნელკავი: „**თუმცა**, ისტორიოგრაფიაშიც...“ (209). აქაც ტაკუნაზე ხელის მოთათუნება!

აბა, გასინჯე, მეგობარო მკითხველო, განა რითი არ არის ეს ბჟუტური უნიგნური ქალის ახირება? „პოეზია და სიმართლე ჯერ კიდევ არ დაცილე-

ბულან, ისევე როგორც სასულიერო მწერლობა არ **დაცილებულა** საეროს“ (209). აქ მწერალ-მეცნიერ-მა გურული დიალექტი მოიმარჯვა – ლიტერატურულ ფორმას **დასცილება** ანაცვალა ოფშკვითის ჭინკასავით სასაცილო **დაცილებულა**, ანუ **ცილად გადაქცეულაო!** ხომ გვაქვს სიტყვათა წყება: დამარილება, დამჟავება, **დაცილება**, დამარქაფება...

და ისევ და ისევ და ისევ ბენაშვილიზმი: „სასულიერო მწერლობა არ დაცილებულა (გითარგმნით, **დასცილებიაო** – მ.თ.) **საეროს**, არც ფუნქციურად“ (209). აქაც ყოვლად არადსაღირალია ყოვნის ნიშანი; ხოლო, თუ რა შეცოდებაა იმ ნილადობილაში, ახლა რომ შემოგთავაზებთ, უჩემოდ ქალბატონ-მკვლევარი ვერასოდეს გაიგებს: „თხზულებები, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ, რომ მოეთხროთ ნამდვილი...“ (209).

ჯერ ერთი, არა „მოწოდებულნი იყვნენ“, არამედ **მოწოდებული იყვნენ**, მაგრამ მთავარი ხოხმა სხვაა: „მეცნიერმა“ არ იცის, რომ სინტაგმა **მოწოდებული იყვნენ** არის „გრივერიზმი“, ანუ გაუკუღმართებული ქართული. აზრი ასე უნდა ჩამოყალიბებულიყო: „თხზულებები, რომელთა მოწოდებაც იყო...“ რა თქმა უნდა, ორი დღის მწყრის ლაპივით უმწეოა სიტყვა „მსაზღვრელად“ ამ კონტექსტში: „ტექსტის მხატვრულობის **მსაზღვრელად** ვერ მი-

ვიჩნევთ ოდენ ოპოზიციას...“ (209). ყველა მიხვდება, რომ უნდა მოემარჯვებინა ფორმა **განმსაზღვრელად**.

მკითხველი ხედავს: ავტორს ამდენი ვაგინე და ერთსა და იმავე 109-ე გვერდს მაინც ვერ გავცდი, აღარ მეღირსა 210-ე გვერდზე გადასვლა და იქაურ სამკალში „ჰოპოუნას“ ძახილი. არადა მე და ჩემს მკითხველს ამ გვერდის „გაფარჩაკების“ სიამოვნებაც წინა გვაქვს! აქ უხვადაა უაზრო, ანგარიშმიუცემელი წამოყვირებები, მაგალითად: „გვიანი შუასაუკუნეების ეპოქა... მნიშვნელოვანი ცვლილებებით იწყება“ (210). კი, მაგრამ კონკრეტულად რითი გამოიხატება ეგ ცვლილებები? – ადრე უნიფხვო პერსონაჟებსა ხატავდნენ და ახლა საცურაო კოსტიუმებიანს?!

„აგრეთვე“ იგივეა, რაც ნაწილაკი „ც“. ამიტომ ის მძიმით არასოდეს გამოიყოფა, არადა გვინერენ: „**აგრეთვე**, ახალი ლიტერატურული ჟანრებისა და ტენდენციების დამკვიდრება“ (210); მწერალ-ქალბატონს ახალიზმიც შემოაქვს. აბა, რა! სტანდარტულად გამართულ ქართულს ხომ კარგადა ფლობს და ახლა ნეოლოგიზმითაც ამდიდრებს მშობლიურ ენას: „ლიტერატურაც **გამოემიჯნა** უტყუარობის პრინციპს“ (210).

ბარემ კიდევ ერთ **ბენაშვილიზმს** გავუფ-
ცქვენათ გემო: „**შედგად**, იქმნება...“ (211); აგერ კი-
დევ სამი ბენაშვილიზმი ზედიზედ: „გვანდის ა. **გუ-
რევიჩი**, თავის საეტაპო ნაშრომში - „შუასაუკუნეე-
ბის კულტურის კატეგორიები“, **საიდანაც, ჩვენი
ამოცანებისათვის**, განსაკუთრებით საგულისხმოა
შემდეგი...“ (211).

აქ გავანვალთ ჩვენი დაბდური მოქართულე
და არ ავუხსნათ, რომელი სამი მძიმეა არადსალი-
რალი და მიუღებელი.

და იქვეა ამის მომდევნო მაგალითიც: „**თუმცა,
ცხადია**“ (211); ამას არც მორიგი გვერდი ჩამორჩა:
„თუმცა, მთლიანობა არ გულისხმობს...“ (212); კი-
დევ უმაგალითო მაგალითები: „არამედ, ის არსე-
ბობს ყველგან“ (113); „**თუმცაღა**, ეს განცდა ემორ-
ჩილება“ (213); „**თუმცა**, შეკრული სისტემა“ (213)...

დიდი ხანია შემჩნეული მაქვს: როცა კალმოსან-
მა არ იცის პუნქტუაციის ანაბანა, მაშინ არა მარტო
ზედმეტ ნიშნებს იყენებს, არამედ ზოგჯერ – უაზ-
როდ მომჭირნედაც. სხვაგვარად: სადაც უნდა, არ
ხმარობს, სადაც არადსალირალია, იქ ლურსმანი-
ვით ჩაარჭობს ხოლმე. აი, საპირისპირო ნიმუშიც:
„რომლებიც, გარკვეული ისტორიული გარეფაქტო-
რებისადა გამო, აქტიურად იჭრება...“ (211). აქ არც
ერთი მძიმე საჭირო არაა!

ირმა მეცნიერი ნაშრომის მოცულობას არა ოდენ გრივერიზმებით, არამედ პარაზიტი სიტყვების მეშვეობითაც ზრდის: „ქართულ მოდელს **წარმოადგენს**“ (211). უპარაზიტო ფრაზა ასეთ სახეს მიიღებდა: „ქართული მოდელია“; მე განსაკუთრებით მენიაზა ავტორისეული ნაფტალინის სუნიანი ზმნა **მნიშვნელობს**: „სადაც ყველა შესაბამისი კომპონენტი **მნიშვნელობს**“.

ყველა ენობრივი შეცოდება რომ ჩამოვთვალოთ, ირმა მეცნიერს ციხე-კარცერში უკრავენ თავს და, რაკილა მე მისი ოჯახში მშვიდობიანად გაშვება უფრო მესულგულება, ზოგი მათგანი უკომენტაროდ წარმოვადგინოთ: **მოსჩანს, ძალზედ, კეთილგანწყობას რეალიზმთან, აღინიშნება მრავალი სახეობა (214); დინამიზმი კი წარმოადგენს, როლს თამაშობს (215).**

დადგა დრო, ქ-ნი მეცნიერის აზროვნების მდინარეშიც შევცუროთ: აი, რას გვაუნწყებს იგი:

„გვიანი შუასაუკუნეები, როგორც ცნობილია, შუასაუკუნეების ეპოქის ბოლო, დასკვნითი პერიოდი, რომელიც მოსდევს ადრეული შუასაუკუნეების ეპოქას...“ (208).

ეს რომ გლევ მამაჩემს წაეკითხა, გურულ-მადვალაკურად იტყოდა: აი, **რქუა რუქამ არაკიო!**

ნახეთ, რა სიბრძნეს გვატყობინებს ქრონოტოპოსანი: გვიანი შუა საუკუნეები ყოფილა შუა საუკუნეების ბოლო, დასკვნითი პერიოდი და ჩვენ კი ვერ მივმხდარვართ. მაშ, ვილაცამ ხომ უნდა აგვიხსნას, რომ შვიდს მოსდევს რვა, რომელიც წინამორბედია ცხრისა? ამავე დროს, თუ ირმა მეცნიერმა არ აგვიხსნა, ისე რანაირად მივხვდებით, რომ „გვიანი შუასაუკუნეები... მოსდევს ადრეული შუასაუკუნეების ეპოქას“?

აი, მეგობარო მკითხველო, როგორ აგრძელებს ლიტინსტიტუტის თანამშრომელი ქალი მახათთან სახიფათო თამაშს და ამას მეცნიერებას ეძახის; აი, ასეთ „სიბრძნეს“ ტაშს უკრავენ სამეცნიერო კრებულის რედაქტორები ქ-ნი მაკა ელბაქიძე და ბ-ნი ივანე ამირხანაშვილი.

ახლა მე, კრებულის კანონიერი რეცენზენტი, ამათ ვეკითხები: ასეთი სისულელე, ამგვარი ბოდვა რატომ არ ამოუშალებთ წერილიდან ისედაც ყოველმხრივ გასაცოდავებულ „მკვლევარს“? ამით ხომ თქვენ მას თავი მოსჭერთ, სოფელ-ქვეყანაში გამოაჭენეთ, უვიც, უაზრო თხაპეტელად აქციეთ? მე კი გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაყენეთ: თუ აქამომდე ირმა რატიანს წერა-კითხვის **მცირემცოდნეს** ვეძახდი, ამის შემდეგ რაღა ვუნოდო? სად ნა-

ვიდე, **მცირემცოდნეზე** უფრო სავაგლახო ზედნოდება რალა მოვნახო?

სხვაც რამე უნდა გითხრათ, ბატონებო:

რად აქეზებთ, რად აგულიანებთ ამგვარ ხეპრე პირებს და სამეცნიერო მუშაობაში დიდ პერსპექტივებს უსახავთ?

არა სჯობს, ასეთ ქალბატონ-მეცნიერებს „შვაბრა“ და ცოცხი მივცეთ ხელში? რას ვანვალვებთ, რასა ვრჯით, რას ვატყუებთ და თავსაც ვიტყუებთ? ვუთხრათ სიმართლე და გავუშვათ სახლში!

შინ გასაშვები მკვლევრის ნაცოდვილარის პირველივე აბზაცში მეორე საშინელი უაზრობაც იხილვის. მოვიყვანოთ ეგ მონაკვეთი მთლიანად და შემდეგ ვიმსჯელოთ:

„გვიანი შუასაუკუნეები, როგორც ცნობილია, შუასაუკუნეების ეპოქის ბოლო, დასკვნითი პერიოდი, რომელიც მოსდევს ადრეული შუასაუკუნეების ეპოქას და წინ უსწრებს რენესანსს. როგორც ერთი, ისე მეორე კულტურული მოდელი მნიშვნელოვნად განაპირობებს გვიანი შუასაუკუნეების მხატვრულ-ლიტერატურულ და ესთეტიკურ პრინციპებსა და გემოვნებას“ (208-209).

ყურადღება მიაქციეთ ხაზგასმულ ფრაზას – **როგორც ერთი, ისე მეორე კულტურული მოდე-**

ლი. როგორ გავიგოთ ეს რეზუსი?! რომელია პირველი და რომელი – მეორე კულტურული მოდელი?! სადაა ამ აბზაცში მათი ახსნა-განმარტება? სადაა ამის წინ იმის განმარტება, თუ რა თავისებურებით გამოირჩევა პირველი და მეორე?!

მაშასადამე, ამის დამწერი კენგურუს ნახტომებს აკეთებს მეცნიერებაში და მკითხველს ავალღებს, მან წარმოიდგინოს რაა **პირველი** და რა – **მეორე** კულტმოდელი.

კალმოსანს ახსოვს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ კაცი ღვთის ხატია, მეფე იგივე მინიერი ღმერთია. ამიტომაც თამამად აცხადებს: „მე-12 საუკუნიდან ბუნება აქტიურდება როგორც ღმერთის მიერ შექმნილი, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს, შეიმეცნოს მასში საკუთარი თავი და მიუახლოვდეს ღმერთს: ადამიანი ხატი ღვთისა“ (213).

მაგრამ ავტორს, როგორცა ჩანს, არ ნაუკითხავს 951 წელს დაწერილი რომანი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელშიც უკვე მოცემულია ეს გაგება. აქ უკვე არის კაცი ღვთის ხატი. გრიგოლი მეტაფორულად ასეა წარმოდგენილი: „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“, ხოლო თავად ხანძთელი ჯერ კიდევ მე-8 საუკუნეში აშოტ კურაპალატს ღვთით ცხებულად აცხადებს...

არაფრისმთქმელი „ზოგადმეცნიერული ლაყაბი“ გაშლილია 211-213 გვერდებზე. ამავე დროს, ავტორს მოჰყავს სხვათა დებულებები, ოღონდ მათ კრიტიკულად შეფასებას არც კი ესწრაფვის, რადგან ამისი თავი არა აქვს. ასე, მაგალითად, უთუმცაო და შეურყეველი ჰგონია ნ. ნათაძის ერთი დებადი: „ღვთის და სოფლის დუალიზმი – ქრისტიანობის ამ ერთი უძირითადესი დაპირისპირების არსებობა „ვეფხისტყაოსანში“ ფაქტია“ (ნათაძე 1974:122), „რუსთაველთან „საწუთრო“ უპირისპირდება „უჟამოს“, „სოფელი“ - „ღმერთს“ (ნათაძე 1974:123)”. იხ. კრებულის 214.

აღნიშნული მცდარი დებულება, როგორც ივ. ამირხანაშვილის სტატიის ანალიზისას დავინახეთ, მე უკვე გავაკრიტიკე და მოვხსენი ჯერ კიდევ 1991 წელს. ახლა კი ზოგადად ვიტყვი, უკეთ, გავიმეორებ ვ. ნოზაძის აზრს: რაკი სოფელიცა და საწუთროც ღმერთმა შექმნა, როგორც ამას ნიზამი და რუსთველი ერთნაირად ფიქრობენ, მაშინ შეუძლებელია **შემქმნელი** და **შექმნილი** ურთიერთს უპირისპირდებოდნენ. ქართულ პოემაში ასეცაა. თუ ზედაპირულად და ნაივურად არ შევხედავთ საქმეს, მივხვდებით: რუსთველისთვის როგორც ზენაარი, ისე საწუთრო ხან კეთილია, ხან – ავი და ანჩხლი. ამის მოდასტურე თქმებსა და აფორიზმებს „ვეფ-

ხისტყაოსნიდან“ ყოველთვის დავახვავებ. ამას კი ვერ იქმს ის, ვინც პოემის ტექსტი ზედმინვენით არ იცის.

გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: მე თანამიმდევრულად მაქვს შესწავლილი ერთი მიმართულების სამი მწერალი: ფირდოუსი, ნიზამი, რუსთველი და დიდი ხანია დადგენილი მაქვს ის, რაც სხვისთვის მიუწვდომელია: სამივე ეს პოეტი ერთნაირად წყვეტს ღვთისა და წუთისოფლის პრობლემას და აქ ორ მაჰმადიან და ერთ ქრისტიან ავტორს შორის არავითარი სხვაობა არ არის. **არავითარი დუალიზმი ღვთისა და სოფლის გაგებისა ამ სამი ავტორის ტექსტებში არსად არ ფიქსირდება.** იმ ათობით მაგალითიდან, რომლებიც ფირდოუსის პოემაში მაქვს ამონიშნული, ამჯერად ერთს „მოგახსენებ“:

1. სანუთროს (სოფლის) „ორგემაგე“ ბუნების თაობაზე:

**ნუ მიენდობით ცრუ სანუთროს... იცოდეთ ასე, -
დღეს ნექტარს გინვდის, ხვალ – შხამიან ფიალას, სავსეს.
ხან უნაზესი, მოალერსე და ხანაც – მკაცრი –
აი, სანუთრო... ვერაფერს რომ გაუგებს კაცი.
(შაჰ-ნამე, 5, თარგმნა ბელა შალვაშვილმა, გვ. 103)**

ვხედავთ: სანუთრო „ორგემაგე“ ბუნებისაა – ხან კარგია, ხან – ცუდი.

2. ღმერთის (იეზდანის) „ორგემაგე“ ბუნების თაობაზე:

**იეზდანისგან მოგენიჭა სიკეთე თუკი,
იჩქითად დასჯაც ეხერხება, - ნურავის უკვირს!**

ამრიგად, ღმერთიც ხან კარგია, ხან – ცუდი.

ვფიქრობ, დადგა დრო, მავანთ მოულოდნელად ყინტარო წყალივით დავაქივლო თავზე სიმართლე.

ალ. ბარამიძის, ნ. ნათაძის, დ. რეიფილდისა და მათ მიმდევარ-ეპიგონთა გასაგონად მე, როგორც ფირდოუსის საუკეთესო მცოდნე მთელს კავკასიაში, ვაცხადებ:

ფირდოუსი, ნიზამი, რუსთველი ერთნაირად უყურებენ სანუთროს უცნაურობას, მის ჩარხისებრ წაღმა-უკულმა ბრუნვას. სამივეს სწამს, რომ არავითარი დიქტომია და წინააღმდეგობა არ არის განგებასა და სანუთროს (ბედს) შორის, რამეთუ წუთისოფლის ბრუნვას განგება წარმართავს. ამიტომაც არის, ფირდოუსი ერთგან პირდაპირ მიუთითებს ამაზე და მეტიც, კიდევაც **კრძალავს სანუთროს გმობას, რაკილა მის უკან განგება დგას.** „შაჰ-ნამეს“ უზარმაზარ ტექსტში (9 ტომი) ეს აკრძალვაც აღმოვაჩინე:

ამასთანავე, იწერები, ამ ომში ბედი
არ გვიმართლებსო, გარნა ბედსაც ნურასდროს
ჰყვედრი!

ეგეც ნებაა შემოქმედის, ტრიალებს ჩარხი,
ხან სიკეთე აქვს, ემეტება ხან კიდევ თალხი.

(„შაჰ-ნამე“, 5, თარგმნა ბელა შალვაშვილმა, გვ. 198)

გამოკვლევების 214-216 გვერდები გატენილია ფორმალისტურ-სქოლასტიკური მსჯელობებით. მოვიყვან ერთ დამახასიათებელ პასაჟს:

„თავს უფლებას ვაძლევთ ვივარაუდოთ, რომ რაინდული რომანის დრო, არსობრივად ავანტიურული, თავგადასავლებითა და მოვლენებით დატვირთული, რომელიც, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, დროის ყოფით მოდელსაც კი უახლოვდებოდეს, მაინც დროის აბსტრაქტულ-პირობით მოდელად რჩება. ამას ადასტურებს დროის ორპლანიანობაც, რაც ადრეული შუასაუკუნეებიდან იღებს სათავეს და შენარჩუნებულია გვიანი შუასაუკუნეების ეპოქაშიც – გმირი შეიმეცნებს საკუთარი არსებობის ორპლანიანობას, რაც მინიერი ცხოვრების ემპირიული მოვლენების გვერდით აუცილებლად გულისხმობს ცხოვრების გაშლას საღმრთო დანიშნულების განხორციელების ქრილში, ნებისმიერი ცვლილება და მოვლენათა დინამიზმი კი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ყოფითიდან მარადი-

სობისაკენ! აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს დროის სპეციალიზაცია...“ (215).

მეგობარო მკითხველო, ამ წილადობილადან რაიმე გაიგეთ? მე კი, თუმცა ფრიად გამოცდილი სტილისტი და ტექსტოლოგი გახლავართ, ვერაფერი გავიგე, გარდა იმ ენობრივი შეცდომებისა და სინტაგმური შეუსაბამობისა, რითაც ეგ მონაკვეთი „მდიდარია“, ოღონდ ახლა იმ „ლაფსუსების“ გარჩევას აღარ შევუდგები. მაინც უპრიანია, ვთქვა: ჩემს პირველ რომანში, რომელსაც „კეისარი“ ჰქვია, გამოყვანილი მყავს გიჟპოეტა. ის ერთხანს ფსიქიატრიულის პაციენტი გახდა და იმ პერიოდში სწორედ ისე მეტყველებდა, როგორც ზემორელე წარმოდგენილ ამონარიდში მეტყველებენ.

გარდა აღნიშნულისა, სათქმელია ესეც: სტატიის 80 პროცენტი სხვა ავტორების დამოწმებაა, თანაც სხვათა ნააზრევი ცუდადაა გადმოენებული. ეს კი მაშინ ხდება, როცა ორი ენიდან არც ერთი არ იცი! მაშ, რაღა ავტორისა?

ახლა კი ისა ვნახოთ, სხვისი აზრები როგორ გადმოაქვს ავტორს:

„როგორც მოდელს, განიხილავს მას **მხოლოდ გმირთან მთლიანობაში**: „საბოლოოდ, გმირი და ის ზღაპრული სამყარო **ერთი ქსოვილისგანაა ნაკერი**, მათ შორის არ არსებობს შეუსაბამობანი (გან-

სხვაელები – ი.რ.)”. „გმირი, როგორც სუბიექტი, **გარე – სამყაროს** ორგანული ნაწილია და ისინი ერთად ქმნიან ურღვევ მთლიანობას; გმირი მიკროკოსმოსის მოდელია, რომელიც თავის თავს მხოლოდ ღმერთის მიერ მართული მაკროკოსმოსის ფარგლებში შეიმეცნებს. შესაბამისად, რაინდული რომანის სივრცე **ვერტიკალზე განფენილი თეოცენტრისტული სივრცეა, რომლის ცენტრსაც ღმერთი წარმოადგენს**“ (216).

ამ ცუდად თარგმნილ და უაზროდ დალაგებულ სიტყვებს აზრი ხომ აღარ შერჩათ და აღარ, ოღონდ ახლა ცალკეულ ფრაზებსა და გამოთქმებს მივხედოთ!

„მხოლოდ გმირთან მთლიანობაში“ რუსული ყაიდის გამოთქმაა. ირმა ქალბატონმა იმდენი რუსული არ იცის, ამას რომ მიხვდეს; ასევე სახობმარიკოა გამოთქმა „ერთი ქსოვილისგანაა ნაკერი“; **გარესამყარო** კომპოზიტია და ერთად იწერება; რაიმე **განფენილი** შეიძლება იყოს ჰორიზონტზე, „ვერტიკალზე განფენილი“ კი ირმა მთარგმნელის გამოგონებაა! და ბოლოს ყველაზე დიდი სახარხარ-სასაცილო რეტის მომგვრელი „რატიანული“: **„თეოცენტრისტული სივრცეა, რომლის ცენტრსაც ღმერთი წარმოადგენს“**.

ეგ ახსნა-განმარტება განა რითი ჩამოუვარდება ზემორელე ნათქვამს, რომ ჯერ შვიდია, მერე რვა და ცხრის წინამორბედია რვა? – არაფრით: ირმა მეცნიერი ჩვენ, ბლაცუჩებს, გვიხსნის, რომ თურმე **თეოცენტრისტული სივრცის ცენტრი ღმერთია.**

ღიახ, ქ-ნ ირმას ჩვენ მეორეკლასელი ცუგრუმელები ვგონივართ, თავისი თავი კი – ბრძენი დამრიგებელი, რომელიც ვალდებულია, ნორჩებს ყოველი უცხო ტერმინი აუხსნას და გააგებინოს. ახლა როგორ გინდა, ასე კეთილი დამრიგებლის მოგონებისას ცრემლი არ მოგერიოს?!

ამიტომაც თუ იყო, სამეცნიერო კრებულის მონაწილეთა ნუსხას რომ გადავხედე, გასახტავებული დავრჩი: ფრიად და ფრიად გამაკვირვა ამ პროექტში ირმა რატიანის მონაწილეობამ, რადგან მისი წინა ნაშრომები გამოწვლილვით მაქვს შესწავლილ-განხილული და იქიდან კიდევაც გამოვიტანე სახელმძღვანელო დასკვნა:

არ უნდა ჩახედო რატიანს, თორემ, თუ ბერი ხარ, დარჩები **გაპარსული**, თუ საერო – **გაბასრული.**

არც ეგ ჩემი აფორიზმი გაუთვალისწინებიათ პატ. რედაქტორებს და არც რუსული „პაგავორკა“:

**დაჟე ვ ჟიზნი პალავოი,
ნადა დუმათ გალავოი!**

სწორედ ამიტომაც მივიღეთ უაზრო სიტყვათა და სინტაგმათა ასეთი კორიანტელი და რახარუხი:

„სივრცის მითოლოგიზება/გაზღაპრულება, ცხადია, ანიჭებს მას ტოპოგრაფიულ განუსაზღვრელობას. თუმცა, გვიანი შუასაუკუნეების რაინდულ რომანებში ტოპოგრაფიული განუსაზღვრელობა არცთუ იშვიათად განზავებულია ტოპოგრაფიულად განსაზღვრულ მოდელებთან, რაც, სავარაუდოდ, უკვე პრერენესანსული განწყობილებებითაა განპირობებული. ამ თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი სანიმუშოა: „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-სივრცული ქარგა აღარ ემყარება ტოპოგრაფიული განუსაზღვრელობის სრული დომინირების კანონს. ამგვარი განუსაზღვრელობა, ცხადია, ფიქსირდება და – არაერთგზის (მულღაზანზარი, ხატაეთი, გულანშარო, ქაჯეთის ციხე და ა.შ.), მაგრამ სახეზეა ტოპოგრაფიული განსაზღვრელობის მყარი სისტემებიც (შვიდი სამეფო, ზღვა და ა.შ.). გარდა ამისა, სივრცის ტოპოგრაფიული განუსაზღვრელობა „ვეფხისტყაოსანში“ არ გულისხმობს გმირის მოძრაობას ზეცასა და მიწისქვეშეთს, ან – ზღვის ფსკერსა და ცის კიდეს, ან ადამიანებსა და ღმერთებს შორის, როგორც ეს ხდება იმავე პერიოდის სკანდინავიურ საგებსა და თქმუ-

ლებებში, არამედ – გაედინება გეოგრაფიულად დამაჯერებელ სიბრტყეზე“ (216-217).

ხედავთ! ისე თამამი მანერით მსჯელობს, გეგონება ეგ მსჯელობა ჯანმრთელიაო, ოღონდ ეს მანერა ისე მატყუარაა, როგორც მოხუცის ჯანმრთელობა.

ამჟამად ქ-ნ მკვლევარს ხელთ ერთბაშად ორი ორომი უპყრია:

1. ტოპოგრაფიული განუსაზღვრელობა; 2. ტოპოგრაფიული განსაზღვრულობა; ცირკის ჟანგლიორივით ატრიალებს მათ და იქმნება დიდი ორომტრიალი, თუმცა არავითარი კოხტად გამომცხვარდაბრანული შოთისა და ლავაშის იმედი არ უნდა ვიქონიოთ. ენობრივი, სტილური, პუნქტუაციური შეცდომებით გატენილ ამ ფსევდომეცნიერულ ბჟუტურს გროშის ფასიც არ ადევს, რადგან აქედან რაიმე აზრის გამოტანა შეუძლებელია. ამის წამკითხველს უნებლიეთ აღმოგხდება ოხვრით ეგ გრძნობა:

უცოდინრობავ, დედაკაცი გერქვას სახელად!

1934 წ. მალაქია ტოროშელიძემ „ვეფხისტყაოსანზე“ წერილი დასტამბა. მასში იყო ასეთი სიტყვები: რუსთველის მსოფლმხედველობა ხასიათდე-

ბა სოლარიზმით... მზე აქ არის ღვთაების ემანაცი-
აო.

ვ. ნოზაძემ დაუწერა: განა ეს სიტყვები მისი
ნათქვამია?! განა კი ესმოდა მას, რა არის სოლა-
რიზმი და ემანაცია?! და, ბოლოს, მალაქიას ცემა-
ტყეპა და ბერტყვა ასე დაასრულა: „**საწყალი მალა-
ქია, საწყალი ვეფხისტყაოსანი!**“ უნდა წავბაძო
ღვთაებრივ მკვლევარს და ზუსტად 90 წლის შემ-
დეგ განვაცხადო: „**საწყალი რატიანი, საწყალი
ვეფხისტყაოსანი!**“

სულაც არა მნადია, მეგობარი მკითხველი
ბჟუტურმეცნიერებით გადავღალო, ოღონდ ისე
უხვადაა საყვარელი ნიმუშები, ველარ ველევი
მათ. ერთი მაინც უნდა შემოგთავაზოთ. უაზრო-
ბასთან ერთად იმასაც მიაქციეთ ყურადღება, პა-
ნია აბზაცში რამდენჯერ მეორდება „გმირის მი-
ერ“: „**ჟანრის კანონის თანახმად, შუასაუკუნეების
რომანში სივრცე დაიძლევა გმირის მიერ** და ის
ზუსტად იმდენადაა მისაწვდომი მკითხველისათ-
ვის, რამდენადაც დაიძლევა **გმირის მიერ**. მაგ-
რამ, სივრცე არა მარტო დაიძლევა, არამედ – გა-
ნიცდება კიდევ **გმირის მიერ**“ (217).

ეს რომ ჩემი დაწერილი იყოს, სირცხვილისაგან
დავინვებოდი. ირმა რატიანი არც დაინვება და არც
დანვება, და არა იმის გამო, რომ ცეცხლგამძლე სე-

იფია, არამედ იმიტომ, რომ ვერც კი მიხვდება, რა სისულელეც წამორომა!

ეს გვერდი (ისე, როგორც ნებისმიერი) გატენილია რუსული კალკებით, პუნქტუაციური წუნით: „გმირი სპეციფიკურ, ინდივიდუალურ დამოკიდებულებაში იმყოფება გარემოსთან, ბუნებასთან...“ ეს არის ორმაგი შეცდომა. ჯერ ერთი, „დამოკიდებულებაში იმყოფება“ რუსიციზმია; მეორეც, „დამოკიდებულება გარემოსთან“ ქართულის უცოდინარობაა. უნდა „დამოკიდებულება გარემოსადმი“. „თან“ თანდებულის შესაბამისი სიტყვაა არა „დამოკიდებულება“, არამედ „კავშირი“.

აი, როგორ გაიმართება ეს ორმაგად დაავადებული ფრაზა ირმა რატიანისა, თუ მას სტილისტურად გაასწორებს მ. თავდიშვილი: „გმირი სპეციფიკურ ინდივიდუალურ კავშირს ამყარებს გარემოსა და ბუნებასთან“.

მეგობარი მკითხველი დამეთანხმება: ფსიქიატრიული დაწესებულების პაციენტს თუ მოუვა გონებაში ასეთი გამოთქმა: **გმირის სიუჟეტური მიზნები**. რა თქმა უნდა, გმირს არ აქვს არავითარი **სიუჟეტური მიზანი**. სიუჟეტური მიზანი აქვს მწერალს, როცა მოთხრობას, რომანს ან ეპიკურ პოემასა წერს! ახლა მე ამოვწერ ამ „მადლიანი“ და „დალოცვილი“ სტატიიდან სინტაგმებს, რომლებიც ნე-

ბისმიერ ფსიქიატრს დააინტერესებს: „ტექსტის სივრცული ქარგა“, „გეოგრაფიულად დამაჯერებელი სიბრტყე“, „სივრცული პლანი“, „გეოგრაფიული დისტანციები“, „სამყაროს ორკომპონენტური სტრუქტურა“ (ყველა 107-ე გვერდის პაციენტია!).

ახლა კიდევ ერთ (219-ე) გვერდს გავუსინჯოთ ფსიქიატრიული ფხა: „ლოკალურად გამდინარე ცხოვრების პლანი“ (აქ გაურკვეველია, რომელ პლანზეა საუბარი?); „სამყაროს შექმნა, ქრისტე შობა და ვნებანი“; „ლოკალური მოდელი“; „სტრუქტურულად დეტერმინირებული“ (არც ის იცის ირმამ, „ირ“ უცხოური ფორმანტია!); „გმირის შინაგანი ტრანსფორმაციის პარადიგმა“; „სივრცის ერთი მოდელიდან მეორეში გმირის გადანაცვლების პროექცია“... „გმირის გასვლა მხატვრულ-გეოგრაფიული განსაზღვრულობიდან მითოლოგიზებულ განუსაზღვრელობაში“; „ტრანსფორმაცია, შინაგანი ცვლილება სწორედ ის პროცესია, საითკენაც მიემართება რუსთაველის ტექსტი“...

აი, მეგობარო მკითხველო, როგორ „აზროვნებს“ ჩვენი „მეცნიერი“. მე, რუსთველოლოგი, გამოცდილი სტილისტი და ტექსტოლოგი, ამ ფრაზებში აზრის ნასახსაც კი ვერ ვხედავ, სიტყვათა

რახარუხს – დიახაც! მაშასადამე, „ჭკვიანნი მის სიბრძნეს ვერ მიხვდებიან“, ხოლო გიჟნი? ეგების ჩემი რომანის, „კეისრის“, პერსონაჟმა, ფსიქიატრიული დაწესებულების კლიენტმა გიჟპოეტამ გაუგოს რაიმე ამ წილადობილას?

ამ წილადობილას შემდეგ ირმა მეცნიერი აცხადებს: „თავს უფლებას ვაძლევთ დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფინალი წარმოადგენს მინიშნებას ქრისტიანულ სამოთხეზე“ (221).

ამჯერად გვერდი ავუაროთ ენობრივ, სტილურ, პუნქტუაციურ სიმახინჯეებს, რაც ესდენ „ამკობს“ ჩვენი პაციენტის მეტყველებას, და სულ სხვა ვთქვათ: მკვლევარი წარმოგვიდგენს როყო დასკვნას და არც კი იცის, რომ ამგვარი დასკვნის მისაღებად ვ. ნოზაძემ შვიდი უზარმაზარი ტომი დაწერა, ხოლო ირმა მეცნიერის კანტორის თანამშრომელმა რიმა ფირცხალაიშვილმა – ბრწყინვალე სტატია „ვეფხისტყაოსნის იდეური არსის შესახებ“. ამ მშვენიერ წერილს მე ფართოდ გამოვეხმაურე (იხ. მ. თავდიშვილი, რუსთველოლოგიური კრიტიკა, I, 2023, გვ. 616-623), დასკვნაში კი მივუთითებდი: „რუსთველოლოგიის აღნიშნული კრებულის ცენტრალური სტატია რ. ფირცხალაიშვილის ნააზრევია და თავისი მნიშვნელობით იგი ბევრად აღემა-

ტება კრებულის დანარჩენ მასალებს, ერთად აღე-
ბულს“ (623).

ირმა მკვლევრისადმი ერთი პირადი თხოვნაცა
მაქვს. ერთგან (221) ის წერს: **„ეს არის ადამიანის
ძალისხმევა წარმოსახვის ფოლიანტებში, ანუ
ადამიანის მცდელობა გაერკვეს, თუ რა მოხდება
მაშინ, როდესაც მითი რეალობის საზღვრებს და-
არღვევს?“**

ქ-ნო ირმა, მღვივედ მაინტერესებს, ხაზგასმუ-
ლი წინადადება, დიდი დიღმის IV მიკრორაიონში
მიმავალ ხოხილანგრა „გარმოშკა“ ავტობუსს რომ
ნააგავს, რას გულისხმობს? გთხოვთ, ცალკე წერი-
ლი მომწეროთ და გამაგებინოთ!

ზემოაღნიშნულ სამეცნიერო ლლიცინებზე უა-
რესს ქვემორელე შემოგთავაზებთ. მეგობარი
მკითხველი ალბათ გასახტავდა: ზემორე თქმულზე
უფრო სალლიცინო და სახობმარიკო რალა იქნე-
ბაო?! იქნება, იქნება, ძვირფასო მკითხველო! ირმა
მეცნიერი ჯანმრთელად გვყავდეს და ამგვარ გა-
სართობს განა დაგვამადლის?

აბა, შეემზადეთ და „მასპინძელ ექმნენით სიტ-
ყვათა ამათ ჩემთა!“

კრებულის 225-ე გვერდზე ირმა მეცნიერი
ბრძანებს:

„დაბეჯითებით მიგვაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მხატვრული ტრანსფორმაციის გზა ლიბინალურ მოდელებზე გადის. დავიმონმებთ ჩვენსავე ნაშრომს - „ტექსტი და ქრონოტოპი“ (2010):

ყურადღება მიაქციეთ გამოთქმას – **ჩემს ნაშრომს დავიმონმებო**. მართლაც იმონმებს და მოჰყავს მკვლევარ გენების ნაშრომის იმხელა კოლბოხი, რომელსაც ამერიკული ტრაქტორი „მუსტანგი“ კი ვერ დაძრავს. აი, მთელი მისი იდეები და მეცნიერება! ახლა თავი დავანებოთ არნოლდ ვან გენების ტექსტის გაუპატიურებას, საშინელ თარგმანს (ქ-ნმა ირმამ ხომ არც ერთი ენა არ იცის! ქართული ვერ შეუსწავლია და უცხოურს რა ჯანდაბა შეასწავლიდა?!), ამჟამად ის გამოვარკვიოთ, დამონმებულ **მისსავე ნაშრომში რამდენია მისი, რამდენი – სხვისი!**

გახსნილია ბრჭყალი და მოყვანილია ტექსტი – დიდი ფორმატის წიგნის ორ-ნახევარი გვერდი, სულ 550 სიტყვა, და აქედან ქალბატონს ეკუთვნის 25, ისიც ძირითადად ჩართულები (ერთი მხრივ, რასაკვირველია...), კავშირები (ანუ, რათა, თუმცა... ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, ტაკუნაზე ხელის მოთათუნებით, ანუ უკნიდან მიდევნებული მძიმით). სხვა დანარჩენი კი, ანუ ის, რაც ქმნის აზრობრივ-

შინაარსობრივ ველს, სხვისია. როგორც ითქვა, გენეპისა და ასევე ვიკტორ თერნერის თეორიაა.

მკითხველი აღნიშნულის სიმართლეში მყისვე დარწმუნდება, როგორც კი კრებულს გადაშლის და სქოლიოში მითითებულ ავტორებს დაინახავს.

აი, რითი გამოიხატება **(რატიანულად – რაში გამოიხატება)** ქ-ნი მეცნიერის მთელი „მეცნიერება“.

ახლა ქართული პოემის შინაარსის სრულ უმეცრებაში გამოვიჭიროთ ავტორი. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ორგვარი ხასიათია წარმოსახული: დინამიკური და სტატიკური. პირველს განასახიერებს ავთანდილი, მეორეს – ტარიელი. „ტრანსფორმაციული კოდი ტექსტში მხოლოდ ტარიელის, ავთანდილისა და ნესტან-დარეჯანის გმირებთან მიმართებით ინერგება“, „შესაძლოა იმ მიზეზით, რომ თინათინი და ფრიდონი იმთავითვე „მეფის“ სტატუსში არიან წარმოდგენილნი და რუსთაველი, როგორც შუასაუკუნეების ავტორი, „მეფეებს“ შეგნებულად არ გაატარებს ტრანსფორმაციის ფაზებს“ (228).

აქ ორი უცოდინარობა ვლინდება. ჯერ ერთი, ტექსტის არცოდნიდან გამომდინარეობს დებადი: ავთანდილი დინამიკური, ტარიელი სტატიკური გმირია! აქ არაა გათვალისწინებული მოცემული

რეალობა: ასახულია ავთანდილის ყოფიერების, ცხოვრების ერთი ეტაპი – ის მოქმედი, მოძრავი, დინამიკური ტიპია. ტარიელის ყოფაში კი გამოირჩევა სამი ეტაპი: I და III ეტაპებზე ის მოძრავია, დინამიკურია, ოპტიმისტია; II ეტაპზე დროებით გამოთიშულია მისთვის ჩვეულ ყოფა-ცხოვრებას და უმოქმედოა. ეს II პერიოდი კი მთელი ტექსტის უმეტეს ნაწილს მოიცავს. ამიტომაც გვეჩვენება, რომ ტარიელი სტატიკური პერსონაა. პირიქით, I და III ეტაპებზე ის ამ მხრივ დიდად აჭარბებს ავთანდილ-ფრიდონს. I და III ეტაპებზე მას ამ მხრივ ავთანდილი მუხლამდეც ვერ მისწვდება. ამგვარი მცდარი თვალსაზრისი განავითარა აკაკი ბაქრაძემ და ეგ თვალსაზრისი სასტიკად გავაკრიტიკე (იხ. რუს-თველოლოგიური კრიტიკა, II, 351).

ვიმეორებ, ტექსტის ღრმად მცოდნეს ასეთი „იალლიში“ არ მოუვა, თუმცა ეს ბარიერი აკაკი ბაქრაძემ ვერ გადალახა და წერა-კითხვის მცირემცოდნე პროფესორი მას რანაირად დაძლევდა?!

მეორე ბლუფი ასეთია: თინათინი და ფრიდონი მეფენი არიან და ავტორი მეფეებს შეგნებულად არ გაატარებსო ტრანსფორმაციის ფაზებს. საქმე თუ მაგაზე მიდგება, მაშინ ნესტანმა ეს ფაზები არაფრით უნდა გაიაროს, რამეთუ ის ნამდვილად არის მეფე და უფლისწული. ის გაერთიანებული ინდოე-

თის მეფის მემკვიდრეა! ამავე დროს, ჯერ კიდევ შუა პოემაში ფრიდონი შეიტყობს, ვინც არის ტარელი, და მას უკვე ინდოთა მეფედ მოიხსენიებს; იქვე, მაშინვე, გამოუცხადა ამირბარს მონობა და ყმობა; თვით ავთანდილიცა და ბოლოს როსტევა-ნიც ამირბარს ინდოთა დიდ მეფედ ასახელებენ.

ასე რომ, ტექსტის ღრმა ცოდნა ამ ზედაპირულ მოსაზრებას უარყოფს, არ ეთანხმება.

ქ-ნი მეცნიერი აზრზეც არ არის, თუ რა განსხვავებაა პოეტურ ცეზურასა და გრამატიკულ ყოვნს შორის, არ იცის, რომ პოემაში მათი დიქტომია ჩვეულებრივი ამბავია. სწორედ ამან გამოიწვია, რომ მცდარად ამოიწერა ძალიან მარტივი ციტატა: **„ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“** (230). არადა ჩემმა ნებისმიერმა აბიტურიენტმა იცის, რომ ყოვნის ნიშანი (მძიმე) უნდა დაემორჩილოს არა რიტმულ-ინტონაციურ პაუზას (პოეტურ ცეზურას), არამედ გრამატიკულ-სინტაქსურ კანონზომიერებას. ახლა ვნახოთ, როგორ აფორმებენ ამ ფრაზას ჩემი აბიტურიენტები. აი, ასე:

ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა.

ქ-ნ რატიანს უნდა ავუხსნა: აქ მთავარი წინადადება ერთსიტყვიანია – **ნახეს**; მას მძიმის მეოხებით

გამოეყოფა დამოკიდებული, არამთავარი წინადადება: **რომ უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა.**

დარწმუნებული ვარ: ქალბატონმა არ იცის ის, რომ წყალი აქ იმას როდი ნიშნავს, რაც მას ჰგონია!

აღნიშნულის უცოდინარობისათვის სასტიკად გავაკრიტიკე ლიტკანტორის სხვა მუშაკი პროფ. ხვ. ზარიძე, ოღონდ ლიტინსტიტუტში თანამშრომლების შესახებ გამოქვეყნებულ კრიტიკას არ კითხულობენ.

ერთგან პროფესორი რატიანი იძლევა სინტაგმას „**ადამიანთა საზოგადოება**“ (231). მას ჰგონია, რომ არსებობს „**პინგვინთა საზოგადოებაც**“ და მათ შორის განსხვავებას გახაზავს ეპითეტით „ადამიანთა“. რა თქმა უნდა, **საზოგადოება** მხოლოდ ადამიანთა შეიძლება იყოს და მას ეპითეტი **ადამიანთა** არ ესაჭიროება.

თუმცა 232-ე და 233-ე გვერდებზე ძალიან ბევრი საინტერესო შეცდომა, გადაცდომა, „იალლიში“, სქოლასტიკა ფეხისწვერებზე იწევს და მომძახის, მომხედე, მე ვისზე რა ნაკლები ვარო, ოღონდ ყოველ მათგანს ვერაფრით მივხედავ, ოდენ მთლად საღადაოსა და სახობმარიკოს ამოვიწერ. გვ. 232: **გადაჩრდილულია, თვითგვემას არის მიცემული, კაეშანის, ცხადჰყოფს;** „ტექსტის მომდევნო პასა-

ყებში **გამონვეული** სინანულის განცდა”. დამწერს სულ არ გააჩნია სტილის განცდა, ვერ გრძნობს, რომ **გამონვეული** კი არ უნდა ეხმარა, არამედ **ასახული**.

დაასრულებ რა რატიანის სტატიის კითხვას, შეუძლებელია არ მოგაგონდეს ცნობილი თქმა: „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა!“ დიახ, დაასრულებ ვეებერთელა ნარკვევის კითხვას და თავში არაფერი ახალი არა გრჩება. სამუქფოდ გვარიანად იღლები ფსევდომეცნიერული ტერმინების რახარუხითა და ჟღრიალით. მართალია, ეს ჟანგისფერი ხმაა, მაგრამ მაინც ხმაა, სწორედ იმგვარი მეტყველება, რომელსაც გიორგი მერჩულე დუმილს ამჯობინებდა; რაც მთავარია, **მასალა სრულიად აცდენილია კრებულის საძიებელ მიმართულებას – მასში ნიზამის ხსენებაც კი არსადაა!**

ივანე ამირხანაშვილი, რუსთაველისა და ნიზამის კოსმოლოგიური შეხედულებები

სათაური ორი მიზეზით არ მომწონს. უწინარეს ყოვლისა, დარღვეულია ქრონოლოგია – ჯერ ნიზამი მოღვაწეობდა, მას უკან – რუსთველი; მეორეც, სათაური ასტრონომიულია და არა ფილოლოგიური. ნიზამი და რუსთველი არ იყვნენ ასტროლოგ-ასტრონომები, რაიმე საკუთარი ორიგინალური შე-

ხედულებები შეემუშავებინათ. არადა მსოფლიომ იცის ასეთი კალმოსნებიც. მაგალითად, პოეტი და ასტრონომი, თემურლენგის შვილიშვილი ულუღბეგი; თუმცა ისიცა ვთქვათ: ავტორი არ ეთანხმება ამ მცდარ დასათაურებას და ჯერ განჯევიზე მსჯელობს, მერე – რუსთველზე, თანაც სწორად მსჯელობს, არაერთხელ და ხაზგასმით რომ აცხადებს: „ასტროლოგიური ფორმა ემსახურება პოეტური იდეის გადმოცემას“ (240); „პოეტი, ასტრონომიის ცოდნის რაოდენ ღრმა შრეებშიც უნდა შეიჭრას, საბოლოოდ მაინც შემოქმედებითი მიზნებისთვის იყენებს ვარსკვლავთა რეალურ ბუნებას“ (246); „ასტროლოგიურ მოტივებს ორივე პოეტი ესთეტიკურ ფუნქციას აკისრებს და იყენებს მათ მხატვრული მოდელირების საშუალებად“.

სამივე ეს ზოგადი განაცხადი ჯანსაღია, ოღონდ კონკრეტულად როგორაა რეალიზებული ნიზამ-რუსთველის შემოქმედებაში – ეს არსადაა ნაჩვენები. საამისოდ ალბათ ნაგულისხმევია ჩემი ნიგნი „ნიზამი და რუსთველი“.

ერთგან მითითებულია: „კოსმოლოგიური მეტაფორა – ეს არის ყველაზე თვალსაჩინო და გასაგები ტროპი, რომელიც იშვიათად საჭიროებს ინტერპრეტირებას“ (239).

არ არის ასე.

ახლა მე მოვიყვან ერთ კოსმოლოგიურ გამოცანას. იგი ასე უღერს:

ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი.

უჩვენოს ივ. ამირხანაშვილმა ეგ ტაეპი „მუშგლებინის“ პროფესორებს გ.ბენაშვილსა და ი. რატიანს. თუ რომელიმე მათგანი ამ მეტაფორას გახსნის, მოვიდეს და შემაფურთხოს!

ახლა სხვა მასალაზე გადავიდეთ.

კრებულის 248-304 გვერდებზე მცოდნის თვალი იოლად შენიშნავს შეცდომებს (ზოგს სახარხაროსაც კი!):

ბენაშვილიზმები: „უკავშირდება, თუმცა, რუსთველი, ჩვეულებისამებრ, მას, ახლებური თვალთახედვით აღბეჭდავს (248); რუსთაველი, ჩვეული ოსტატობით, ფაქიზად არჩევს... (250); ზოგჯერ, ერთმანეთისათვის წინააღმდეგობრივი (283); ...წარმოჩენის მიზნით, ჩვენ ნაშრომში გამოყავით... (283); ...ლიტერატურაზე დაყრდნობით, შევეცდებით... (283); სიმბოლოს, გამოყენებაში (284); თუმცა, სპასპეტიისათვის (285); აღწერილობაში, სხვა ატრიბუტებთან ერთად, დასახელებულია... (289); ბოძება, გულისხმობს (290).

სხვა შეცდომები: აახლოვებს (251); სტროფებიდან (255); მომასწავლებელია (262); წერია

„უბედო ბედი“ (263). სრულიად სხვა რამ უნდა ენეროს – ესაა „უბადო“ (გლახა, ცუდი, უვარგისი); ისევ სრული უბადრუეობა ავტორისა: მომასწავლებელია (265); ყოველგვარი შესწორების გარეშე (265); ისევ სრული გაუგებრობა რუსთველის ტერმინოლოგიისა: „უბედო ბედისა“ (265); უშლინ (275), უნდა უშლიან; იხილვება (275), უნდა – იხილვის: **მხოლოდ** აქ მთვარეს მზე ენაცვლება (275), უნდა – ოლონდ; ამასთანავე აღსანიშნია ისიც (276). აქ სამი სიტყვაა და სამი შეცდომაა! ა) **ამასთანავე** ჩართულია, მას მოსდევს ყოვნი, ანუ მძიმე; ბ) **აღსანიშნია** კი არა, აღსანიშნავია. ამ ზმნას აქვს „ავ“ თემის ნიშანი; გ) თუ იმარჯვებ სიტყვას **ამასთანავე**, მაშინ „ც“ ნაწილაკი არადსაღირალია. ამასთანავე იმასვე ნიშნავს, რასაც „ც“; მასთან მიმართებაში (278); რომლის გარეშეც (290); კრებულში გაპარულია ასეთი სასაცილო-სახოხმარიკო თქმა: „თინათინის „ობოლმა მარგალიტმა“ **ავთანდილს, როგორც ქრისტიან მხედარს**, სულიერი მღვიძარება უნდა დაუმკვიდროს“ (295).

ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, ლიტბრიგადას **არაბი მუსლიმი ავთანდილი ქრისტიან მხედრად** გამოჰყავს.

აფერუმ ბრიგადას!

აფერუმ ბრიგადის წინამძღოლებს!

სწორედ ამაზეა თქმული: „ბრმა ბრმასა წინა უძღვინ, ორნივე მთხრებელსა შინა შთაცვივიანო.“

ოქტაი ქაზუმოვი, ვეფხისტყაოსნის მუსლიმური ნაკადის კრიტიკისათვის

შესანიშნავი ქართულით შესრულებული ეს ნაშრომი იმით მომეწონა, რომ ეხმიანება ჩემს ეჭვებს იმის გამო, თითქოსდა ქართულ პოემაში ღვთისადმი, მზე-ვარსკვლავებისადმი, სამყაროსადმი მიმართება განსხვავებული იყოს, ვიდრეს ეს არის მუსლიმ ავტორთა შემოქმედებაში. ამასთან დაკავშირებით არაერთი მკვლევარი გამიკრიტიკებია, განსაკუთრებით კი პროფ. გრ. ფარულავა (იხ. „ნიზამი და რუსთველი“, გვ. 141); აგრეთვე რაზმი მოშაირე-მკვლევართა (იხ. „დიდი მალიხიზმი“ წიგნში „ნიზამი და რუსთველი“, გვ. 170; ასევე „ლახუდრები რუსთველოლოგიაში“, იხ. წიგნში „რუსთველოლოგიური კრიტიკა“, I, 724).

მართალია მკვლევარი: რუსთველის მიერ დახატული მაჰმადიანური ღვთაება ზუსტად ისეთივეა, როგორც ქრისტიანული და არც ერთი მათგანი არაა ეჭვიანი და შურისმაძიებელი. როგორც მაჰმადიანური, ისე ქრისტიანული ღმერთი „სასჯელით ემუქრება მხოლოდ იმათ, ვინც უკეთურებას ამრავ-

ლებს ქვეყანაზე, ხოლო, ვინც მოინანიებს, მისთვის ღმობიერი და გულმონყალეა. აღსანიშნავია, რომ ღვთის ამგვარი გააზრება სულაც არ არის უცხო არც იუდაიზმისა და არც ქრისტიანობისათვის, რადგან აქაც ღმერთი ამბობს - „მე მივაგო სასჯელი თქვენსა წილ“ (315); „ამის საფუძველზე „ვეფხისტყაოსანში“ მოაზრებულ ღმერთსა და ისლამის მიერ ნაქადაგებ ღმერთს შორის რაიმე სხვაობაზე მითითება ყოველგვარ აზრს არის მოკლებული“ (315).

ამ მიმართულებით ავტორისეული ყველა კვლევა (319) საყურადღებოა და მნიშვნელოვანი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსთველი სიყვარულით ხატავს თავის მთავარ გმირებს (ნესტანი, ტარიელი) და შეუძლებელია მათი სალოცავ-საფიცარი წიგნები ირონიით მოეხსენებინოს (320). დავსძენ: რუსთველი „შარლი-ებდოს“ თანამშრომელი არვის ეგონოს, რომ შეურაცხყოფას აყენებდეს რომელიმე სხვა რელიგიის სათაყვანებელ პირებსა და წიგნებს. პირიქით დიახაც არის: მაჰმადიანმა უსენმა რომ ფიცი გატეხა, იგი გაკიცხულია ასეგვარად:

დაავიწყდა იგი ფიცი; რა მუსაფი, რა მაქანი!
მართლად თქმულა: „არა ჰმართებს ყვავსა ვარდი,
ვირსა რქანი“.

აქ უსენი გამოყვანილია **ყვავად** და **ვირად**, ხოლო მუსაფი და მაქანი – **ვარდად!**

აი, შემოქმედის ჭეშმარიტი დამოკიდებულება მუსაფ-მაქანისადმი.

აღნიშნული მასალა ზუსტად იცავს საკვლევადიებო ხაზს: აქ ჯეროვნად არის შეპირისპირებულ-შენამებული აღმოსავლური და ქართული კულტურების ელემენტები, იდეები და მიმართულებები.

ჩემი შენიშვნები ეკუთვნის არა მშვენიერ ენასა და სტილს, რომელიც ერთობ მიუწვდომელია პროფ. ირმა რატიანისათვის, არამედ ტექნიკურ მხარეს. **ნიზამი, ფირდოუსი, ნომადი** „ი“ ხმოვან-ფუძიანი სახელებია. ამიტომ მცდარია ასეთი დანერვილობა – **„ნიზამთან, ფირდოუსთან“** (309). უნდა ყოფილიყო ასე: **ნიზამისთან, ფირდოუსისთან**; პროფესორის გვარი დაბეჭდილია ასე: **ხინთბიძე** (331). თუ ასე გამოვაკელით მას ხმოვნები, მართლა მივალთ ამ გვარის აფხაზურ პირველსაწყისთან **ხინთბა**. მართალია, ნარკვევში **გრივერიზმები** ვერ დავადასტურეთ, ოღონდ აქა-იქ გამოტყვრა **ბენაშვილიზმი**: „ახლა გადავიდეთ, უშუალოდ „ვეფხისტყაოსანზე“; „აგრეთვე, „ხოსროვსა და შირინში“... (332); „ვინაიდან, მუსლიმური წესი“... (335).

აქედანაც დგინდება: „ბენაშვილიზმი“ უფრო დიდი უბედურებაა, ვიდრე „გრივერიზმი“, ხოლო უფრო ნაკლები, ვიდრე - „რატიანიზმი“.

**ივანე ამირხანაშვილი, შოთა რუსთველისა და
ნიზამი განჯელის შემოქმედების
ანტიკური წყაროები**

აქ გაშლილია ზოგადი მსჯელობა პოეტის მიერ გამოყენებულ ანტიკურ წყაროებზე. ესე იგი, ფიქსირებულია არსებული სამეცნიერო თვალსაზრისები. იქვე დიდის ამბითაა მოყვანილი მცდარი მოსაზრება: „ამავე „საშუალის“ თემას უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ ოქსიმორონული ტაეპი: „უბოროტოვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო?“ აქ ავთანდილი სიყვარულით გონებადაბინდულ ტარიელს უხსნის, რომ სიყვარულში ბოროტება არსებობს“ (349).

როგორც უკვე ზემორელე ითქვა, აქ მკვლევარი ამირხანაშვილი თვალდახუჭული ენდო სხვა მეცნიერებს და, რაკილა მე უკვე თვალი ავუხილე მას, ეჭვი აღარაა, ამ იდეას სამარადისოდ გამოემშვიდობება.

ოქტაი ქაზუმოვი, ოთხი ელემენტის საკითხი

მკვლევარი სათანადო ლიტერატურის მომარჯვებით ადგენს: ოთხივე ელემენტი (მინა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი) ორივე შემოქმედთან მსგავსია და მხატვრული სახის შესაქმნელად ოსტატურად გამოიყენება (375). აქ მკვლევრის ძირითადი საყრდენია ვ. ნოზაძე.

მაკა ელბაქიძე, სიყვარულის რუსთველური კონცეფცია და შუასაუკუნეების ლიტერატურა

თავის ამ სტატიას მკვლევარი იწყებს დიდი გაუგებრობის გამომწვევებით: „ვეფხისტყაოსნის პროლოგში გამოკვეთილი პრინციპი სიყვარულისა და პოეზიის ურთიერთმიმართებისა („ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს, ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს, ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს, მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“) დიდ მსგავსებას ამუღავნებს ადრეულ ტრუბადურთა და ტრუვერთა შეხედულებასთან, რომლის მიხედვითაც, შეყვარებული მამაკაცი ვალდებულია დახვეწილი პოეტური სტრიქონებით შეასხას ხოტბა თავის სატრფოს“ (395-396). იქვე მაგა-

ლითად მოყვანილია ის, რომ მაჯნუნს არა მარტო უყვარს ლეილი, არამედ მას ლექსებიც მიუძღვნა.

საქმე ისაა, რომ ამ ხაზს რუსთველი აღარ გაჰყოლია: არც ავთანდილი (რომელიც კარგი მეჩანგეა), არც ტარიელი სატრფოებს ლექსებს არ უწერენ მაჯნუნით, ხოლო სტროფი, რომელიც აქ არის მოყვანილი, სულ არ ეხება მაშიკს, ქალს; ის გულისხმობს პოეტის ერთი თემისადმი ერთგულებას, მთავარი გმირისადმი (ტარიელისადმი) ტრფიანობას. ამის თაობაზე ჯერ კიდევ 1989 წელს ვწერდი (იხ. მართალი სიტყვა ვეფხისტყაოსნის პროლოგზე, ნიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, 1991).

რაც შეეხება მაჯნუნის სიყვარულის არსის ანალიზს, ეს კვლევა გაშლილია 402-408 გვერდებზე, მომარჯვებულია გარდავადის, თოდუას, რუსთამოვას, ბერტელსის, ჯაველიძის სათანადო ნარკვევები. ზედმინევნით ზუსტად არის გადმოცემული ის ეპიზოდი, როდესაც „მაჯნუნი კედელზე დაკიდებულ ქალაღდს ნახავს, რომელზეც მისი და ლეილის სახელები წერია და ფურცლის იმ მხარეს მოხევს, რომელსაც „ლეილი“ აწერია“ (407), ოღონდ ეგ ეპიზოდი უფრო ადრე (2011 წ.) მე განვიხილე და უფრო შორსმიმავალი იდეა განვაავითარე. კერძოდ, დავაყენე პრობლემა: ამ ეპიზოდით ნიზამი მივიდა იდე-

ასთან, რომ ორი ქემმარიტი მიჯნური, რომლებიც ერთ არსებად ჩაუფიქრებია ღმერთს, პოემის სახელწოდებაში ცალ-ცალკე („რომეო და ჯულიეტა“, „ტრისტან და იზოლდა“, „ლეილი და მაჯნუნი“...) კი არ უნდა იხსენიებოდნენ, როგორც ნიზამიმდე ხდებოდა, არამედ ერთი სახელით, ოღონდ ეგ იდეა თავად განჯევიმ ვერ განახორციელა, სამუქფოდ განახორციელა რუსთველმა-მეთქი (იხ. „ნიზამი და რუსთველი“, 2011, ქვესათაური „ქართული პოემის სათაურის გენეზისისათვის“).

ასე რომ, რაც ამ სტატიაში კარგი და უმნიშვნელოვანესია, უკვე წარმოდგენილი იყო 2011 წელს, ლიტბრიგადის კრებულის გამოცემამდე 10 წლით ადრე!

ამით იმის თქმა მსურს, რომ 2011 წელს დაწერილი წიგნის სიმაღლეზე 2021 წ. დაწერილი წიგნი ვერც ამ საკითხში ამაღლდა.

კიდევ მეტი:

ორის ერთად შერწყმის იდეა დავინახე ნესტანის ტარიელისადმი მიწერილ ტაეპშიც (ეს კი ბრიგადას აზრადაც არ მოსვლია!):

მე გული შენი ქალაღად გულსავე ჩემსა ვაწები.

აქ მე ვუჩვენე ქალაღდის დამზადების აღმოსავლური წესი, როცა ქალაღდის ერთი პირი („ვერ-

სო”) ენებება მეორეს („რექტო”) და ქმნის ერთ მთლიან ფურცელს. წერილს ასე ეწოდება „შენებებული გულების საიდუმლო ვეფხისტყაოსანში”. იხ. „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი”, 2000.

ამ დონეს კი ლიტინსტიტუტის ბრიგადა, როგორცა ჩანს, მომდევნო კრებულის გამოცემის დროსაც კი (2031 წ.) ვერ მიაღწევს!

ამ სტატიის დასასრული სწორია, მართებულია, შეფასებები სააფთიაქო სასწორზე ანონილი, ოლონდ ყველაფერი ეს, მთელი 416-ე გვერდი, ვ. ნოზაძის მოსაზრებებია, რომელსაც მე ლიტბრიგადაზე გაცილებით ადრე (1991 წ.) ვეთაყვანე (იხ. მ. თავდიშვილი, ვიკტორ ნოზაძის „მეტყველებანი”, გვ. 377-387).

ქ-ნ ავტორს აქვე უნდა მივუთითო: ციტირებისას მას XII საუკუნის ენობრივი ფორმების ნაცვლად უფრო მეტად მოჰყავს თანამედროვე ფორმები. ასე, მაგალითად: „სდევს მიჯნურსა ფათერაკი, სანუთროსა **დაანავლებს**“ (413). უნდა იყოს – **დაანავლებს**; წერია: „სჯობს, საყვარელსა **უჩვენო** საქმენი საგმირონია!“ (414). „უჩვენო“ დღევანდელი კავშირებითი კილოა, ძველად ასე იტყოდნენ: „სჯობს, საყვარელსა **უჩვენნე**”.

ამგვარ შეცდომებს ავტორი უნდა ერიდოს, თორემ ისედაც საკმაოდ სუსტი ქართულით შესრულებული ნარკვევი კიდევ უფრო მძიმე და ძნელი საკითხავი ხდება.

აღნიშნული შეცდომები მოსდის მომდევნო წერილის ავტორ გონჯილაშვილსაც. აი, გაურკვეველი ფორმა: „მკითხელისგან“ (435). ციტატაში გამოყენებულია სიტყვის ასეთი დღევანდელი ფორმა **მკვლელია**. იგივეა იქვე, იმავე გვერდზე (435) „კაცისა **მკვლელია**“. ორივეგან უნდა იყოს XIII საუკუნის ფორმა **მკლველია**, რამეთუ XII-XIII საუკუნეებში ჯერ კიდევ არ მოქმედებს გიორგი ახვლედიანის ფონეტიკური კანონი (**კლვა** → **კვლა**); მიუხედავად ამისა, ავტორი ისევ ისე ჯიუტად იმეორებს „მკვლელს“ (436). იმავე გვერდზეა გაუგებარი სიტყვა „გამზრდეთა“, ალბათ „გამზრდელთა“; ასევე სხვაგან ციტირებისას გამოყენებულია დღევანდელი ფორმა: „მათ სამთა გმირთა მნათობთა **სჭირთ** ერთმანერთის მონება“ (443). უნდა XII ს-ის სიტყვა **სჭირს**; ერთგან წერია: „**მშვენიერნი** ამხანაგნი“ (452). უნდა XII საუკუნის ფორმა **შვენიერნი**; იქვეა გაურკვეველი ფორმა, რომელსაც ვერც XII და ვერც XXII საუკუნეს ვერ მივანერ: **გამოხსნსა** (452); საერთოდ, ციტირების წესის დაცვა ნ.გონჯილაშვილს მეტად უჭირს, წერს: „**კაცი ცრუ და ცრუ** და მოლა-

ლატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“ (454). ერთი „ცრუ და“ ზედმეტია!

ნანა გონჯილაშვილი, მეგობრობის კონცეფცია „ვეფხისტყაოსანში“

უნინარეს ყოვლისა, ისა ვთქვათ, რომ სათაური სრულიად არ შეეფერება კრებულის სამეცნიერო მიმართულებას. მასში უნდა გამოხატულიყო ორი გენიოსის შეპირაპირებული დამოკიდებულება აღნიშნული გრძნობისადმი.

ავტორი ძირითადად სწორად იმეორებს ცნობილ მკვლევარ-პროფესორთა მოსაზრებებს რუსთველის მეგობრობაზე, ოღონდ ეგ საქმეს ვერ შევლის, რამეთუ მას არც არსებული თვალსაზრისები განუვითარებია, არც მათი სიმცდარე დაუდგენია და უკუუგდია, არც ორი მგოსნის ტექსტთა შეპირისპირებისას რაიმე ახალი თვალსაზრისი შეუმუშავებია. მაშასადამე, ნარკვევი რეფერატული ხასიათისაა.

იმაზედაც გმადლობ, უფალო, რომ არ შეიმჩნევა „რატიანიზმი“ – უაზრო სქოლასტიკურ-ფორმალისტური ბუფუტური! მართალია, წერილი საქმეში ჩახედულ მკვლევარს ვერაფერს შესძენს, ოღონდ

აბიტურიენტს, სტუდენტს, დაინტერესებულ მკითხველს ერთგვარად მაინც გამოადგებათ.

რუსთველის მიჯნურს ახასიათებს ათი აუცილებელი თვისება, მეგობარს კი – სამი, ოღონდ ეგ სამი კატეგორიული მოთხოვნა მკვლევარს კატეგორიული სიმკაცრით არ გაურჩევია. ეს კი ყოვლად წარმოუდგენელია, რადგან მთელი მეგობრობა ამ სამ საფუძველზეა აგებული. მაშასადამე, საფუძველი ჩაუყრელია. არადა მე-19 ასწლეულიდან მოგვიძახის ცნობილი აფორიზმი გიორგი ჭალადიდელისა:

**თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია!**

ასე რომ, „სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა“ არად არის ჩაგდებული და ამ სამი მოთხოვნისდა კვალობაზე არაა გაანალიზებული ორი გენიოსის ტექსტები. მაშ, ავტორი მთლიანად ასცდა დასახულ სამეცნიერო მიზანს. ამიტომ ისლა დაგვრჩენია, იმაზე ვილაპარაკოთ, რაც ხელმოსაკიდებელია; ხელჩასაჭიდი კიდევ ისაა, რომ შეინიშნება რამდენიმე აშკარად მცდარი ან უკმარი და გულსათანადრო მოსაზრება. მაგალითად, ერთგან მკვლევარი აცხადებს: „პოემაში „მეგობარი“, „მე-

გობრობა“ და „დამეგობრება“ საერთოდ არაა ნახსენები, რაც ერთობ საკვირველია“ (425).

ამით ნათელი ხდება:

ა) ავტორს არ გამოურკვევია საკითხის ისტორია;

ბ) მკვლევარი არ იცნობს ვ. ნოზაძის შემოქმედებას, თორემ ღვთაებრივ მეცნიერს ნათლად აქვს ახსნილი, რამ გამოიწვია ეს გარემოება. და, რაკი ესდენ მღვივე წადილი გასჩენია ჩვენს ნორჩ მკვლევარს საკითხის გამოძიებისა, მივუთითებ ჩემს წიგნს „ვიკტორ ნოზაძის „მეტყველებანი“, გვ. 199-200.

ერთგან შენიშნულია: პოემის შიგნიტექსტში გმირები შეხვედრა-განშორებისას დიდ ემოციებს ამჟღავნებენ. „ინდო-ხატაელთა ამბავში“ კი არა. ეს, შესაძლოა, იმას მიანიშნებდეს, რომ „ამბავი“ რუსთველის არააო (436-437).

ამ ეჭვს დაუნდობლად აუპატიურებს ჩემი ორი მოსაზრება:

პირველი, აღნიშნულ შეკითხვას პასუხს ვერ გასცემს ის, ვისაც ვრცელი მხატვრული ნაწარმოების, ვთქვათ, რომანის, შეთხზვის გამოცდილება არა აქვს. არადა პასუხი მარტივია: გენიოსი რომანისტი ერიდება გაჰყვეს გათელილ გზას. ამიტომაც გამარჯვებულ და გამხიარულებულ პერსონაჟებს

ამჟამინდელი ვითარებისათვის შეუსაბამო ტკივილიანი განცდებით არ აღავსებს.

ეს არის და ეს!

მეორეც, ყველა რუსთველოლოგი, ვინც კი „ამბავს“ უარყოფს, იხლართება წინააღმდეგობების ბადეში. ასე მოუვიდა ქ-ნ გონჯილაშვილსაც. მართალია, ამას თვითონ ვერ გრძნობს, ოღონდ მე ხომ ეს არ გამომეპარება?!

აქ მკვლევარი ეჭვის თვალით უცქერის „ამბავს“, ოღონდ, როცა საქმეს დასჭირდა, ეგ ეჭვი სრულიად გადაავიწყდა და „ამბის“ მონაცემი თავისი იდეის „სამშენებლო მასალად“ დიახაც გამოიყენა. მომდევნო გვერდებზე ერთგან კალმოსანი ბრძანებს:

„მოყვასის სიყვარულის ქრისტიანული სწავლება თვალნათლადაა წარმოჩენილი პოემის კიდევ ერთ (და არაერთ) ეპიზოდში, კერძოდ, ტარიელთან მეორედ მიმავალი ავთანდილი თავის დამოკიდებულებას, სწრაფვას ტარიელის მიმართ ფსალმუნის პერიფრაზით გამოხატავს - „გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“ (856,3). „ინდო-ხატაელთა ამბის“ დასასრულსაც, ფრიდონის ტარიელთან დამშვიდობებისას, კვლავაც ეს ფრაზა ისმის - „შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“ (1649, 3-4). ღვთის სიყვა-

რულისკენ სწრაფვის გმირთა ურთიერთსიყვარულის წყურვილად გააზრება ახალი ეპოქის ადამიანის ხატვის რუსთველური გზაა, რენესანსული სულის გამომხატველი“ (კრებული, 445).

ვხედავთ: „ამბის“ აღნიშნული სცენა კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ ის რუსთველის ნაკალმარია. მაშასადამე, ადრე გამოხატული ეჭვი გამოდის ყალბი და რიოში!

ანუ ის, რისი დამტკიცებაც გვეწადა: „ამბის“ მონინააღმდეგენი საკუთარი მოსაზრებების წინააღმდეგობრივ ქსელში ღლაპუტა თევზივით იხლართებიან.

უფრო ადრე სწორედ ასე დაემართა პროფ. ელგუჯა ხინთიბიძესაც. მომყავს ამონარიდი ჩემი წიგნიდან „რუსთველოლოგიური კრიტიკა“, II, 2023, გვ. 143-144:

„ახლა კი ვნახოთ, თუ როგორ გაიხლართა მეცნიერი დაუძლეველ წინააღმდეგობაში.

ზემორელე ხომ განაცხადა, პოემა არაბეთში უნდა შეწყდესო, იქვე ბრძანებს: სტროფი „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი“ რუსთველისააო (85).

ყველა, ვინც კი ამას წაიკითხავს, გაცბუნდება, გასახტავდება, რადგან გამოკვლევამ აქ ისე შავი

ბოლი ამოუშვა, გეგონება, რომის პაპი ვერ აურჩევიათ და ყომრალი კვამლიც ამას მოასწავებსო.

ისმის კითხვა: კი, მაგრამ, ეს ხომ „ინდო-ხატაელთა ამბის“ სტროფია?! ეგ ხომ ინდოეთში გადახდილი ტარიელ-ნესტანის ქორწილის ამსახველი მონაკვეთის (თავის) შემაღგენელი ნაწილია, ხოლო იმ ქორწილს ხომ ავთანდილიცა და ფრიდონიც ესწრებოდნენ?! რა მეცნიერული ფარდა უნდა ჩამოაფარო ამ ამბავს, რომ ეს პერსონაჟები გადამალო?!

ასეთი გაუმჭვირვალე ფარდა არ არსებობს.

მაშასადამე, ან „ამბის“ მიღება, ანდა ასეთი მიკიბ-მოკიბვა!

ამგვარი მეთოდოლოგიურ-სტრატეგიული შეცდომა ბატონ ელგუჯას სხვაგანაც მოსდის. მართალია, „ინდო-ხატაელთა ამბავი“ არა ჰგონია რუსთველის ქმნილება, ოღონდ, როცა საკუთარი თეორიის დასასაბუთებლად დასჭირდა, სწორედ ამ დაწუნებული მონაკვეთიდან ამოღებული ტაეპი კეკლუცად მოიმარჯვა: „ცნა ამირბარმან, ნავიდა ლომი მის მზისა მძებნელად“ (გვ. 132 გამოკვლევისა, სტროფი 1586 პოემისა).“

ნ. გონჯილაშვილი ფართოდ მსჯელობს ფრაზაზე: „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. მას ვერ გაურკვევია, **ჩინს** ქვეყანასა ნიშნავს თუ

ჩინებულს. ამიტომ საკითხს ღიად ტოვებს (იხ. გვ. 446-447).

ქ-ნი მკვლევარი არ იცნობს ჩემს ნაშრომს, რომელშიც ეგ საკითხი ერთი ხელის დარტყმით გადაწყვიტე: ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“ იმეორებს მის წინამორბედ თხზულება „ვისრამიანს“. იქ კი გარკვევით წერია, რომ **ჩინეთის ქვეყანაში ქვის სტელაზე სიბრძნე წერიაო.**

მაშ, სულ არ იყო საჭირო ამდენი მსჯელობა და ქარის წისქვილების მსხვრევა მაშინ, როცა საკითხი გარკვეულია და თანაც ერთობ იოლად – ბევრი სისხლის დაუღვრელად!

ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები არაერთხელ დამიტუქსავს და დამიმუნათებია იმის გამო, რომ ქართული პოემის ტექსტი არ იციან. ტექსტის უცოდინარობას ამჟღავნებს ჩვენი ნორჩი მკვლევარიც. ის წერს ასეთ რასმე:

„არაბეთს დაბრუნებული ავთანდილი სატრფოს ნახვის შემდეგ მალევე ტოვებს არაბეთს, როსტევიანისგან მალულად მიდის ძმადფიცთან და „დასნეულებულ აქიმს“... მხსნელად ევლინება“ (451).

აქ ჩვენს მეცნიერს ერთმანეთში არევია არაბეთიდან ავთანდილის **პირველად წასვლა და მეორედ წასვლა.**

როსტევიანისაგან დაფარულად რაინდი არაბეთიდან პირველად წავიდა, ხოლო მეორედ არათუ „მალულად“ არ მიდის, პირიქით, მთელი ხმაურითა და აურზაურით გაემართა: ჯერ ვაზირთუფროსი მიუგზავნა ხელმწიფეს და გაშვება სთხოვა; თანაც შეატყობინა, თუ ნებით არ გამიშვებ, თქვენი ნების წინააღმდეგ ვიმოქმედებო. სკიპტროსანმა მოციქული გალახა, შეურაცხყო; რაინდმა იმავე დროს სოგრატიც გააფრთხილა: ერთხელ კიდევ ვთხოვ ჩვენს პატრონს, ნებით გამიშვას, და, თუ ისევ გაჯიუტდება, უნებართვოდ გავეშურები ძმობილის დასახმარებლადო!

ასე რომ, მეორედ რომ გადიოდა ქვეყნიდან, ეს მთელმა სახელმწიფომ იცოდა, უწინარეს ყოვლისა კი – თვითმპყრობელმა.

ჩემი ძვირფასი მასწავლებლის ალექსანდრე ბარამიძის დროიდან დაწყებული ლიტერატურის ინსტიტუტში დღემდე სჯერათ ის სიყალბე, რასაც მორჩილი ნორჩივით იმეორებს გონჯილაშვილი:

„ხოსროვშირინიანში“, განსხვავებით „ვეფხისტყაოსნისაგან“ (სადაც ბედი ცრუ და მუხთალ ნუთისოფელს უკავშირდება), ერთგან ბედი მოყვარედაა დასახელებული (ნიზამი განჯელი 2014:307) („ვეფხისტყაოსანში“ ბედი არასდროს მეგობრად არ

ინოდება, აქ მხოლოდ „კარგი ბედი“ ითქმის)”. იხ. კრებული, 455.

აღნიშნული შეცდომის შესახებ ბ-ნ ალექსანდრეს სიცოცხლეშივე ვუსაყვედურე, მკაცრად დავუნგრეე ეს მცდარი წარმოდგენა და მას ჩემთვის პასუხი არ გაუცია. ამის სამი მიზეზი უნდა არსებულებოდა: ა) უკვე საკმაოდ მოხუცებული გახლდათ და კამათის თავი აღარა ჰქონდა; ბ) საპასუხოდ ვერ მოიცალა; გ) კრიტიკა სამართლიანად მიიჩნია.

მე კი საქვეყნოდ განმიცხადებია:

ამ თვალსაზრისით ზედმინწევნით ერთნაირად ფიქრობენ და მსჯელობენ ფირდოუსი, ნიზამი, რუსთველი. და რასა ბრძანებენ ეს გენიოსები? იმას, რომ **ბედი ხან ავია, ხან კარგი და კეთილი; ხან ავი დედინაცვალა, ხან კეთილი დედა; ასევე ღმერთი ხან კეთილი და შემწყალეა, ხანაც მრისხანე და შურისმაძიებელი.**

აღნიშნულის დამადასტურებელ მაგალითებს, თუ საჭირო გახდა, დავახვავებ. ამჯერად რამდენიმე მაგალითს მოვიყვან ფირდოუსის პოემიდან და შემდეგ შემოგთავაზებთ იმ კრიტიკას, რაც ბ-ნ ალექსანდრე ბარამიძეს შევკადრე.

ბედისადმი ფირდოუსის დამოკიდებულება დაცულია ბელა შალვაშვილის თარგმანშიც:

ეს ცრუ სოფელი ასეთია: სიკეთეს გარგებს,
უკვენ სიავეს მოაყოლებს – სჩვევია აგრე!
დღეს თუ ილხენ და გიხარია, ხვალ მწუხარებას
მოგაგებს და არც გაღირსებს გამოდარებას;
ხან აღაზივებს, ცამდე აგწევს, ხან კიდევ დაგცემს,
მოულოდნელად და იჩქითად მიწაზე დაგდებს.
(იხ. შაჰ-ნამე, IV ტომი, ბ. შალვაშვილის თარგმანი, 2022, 230).

იგივე იდეა სხვაგან ასეა გამოხატული:

აი, ის, ჩვენი ბედის გამგე რომ დაგვცქერს მაღლით,
ხან ბოროტება მოაქვს, იცი, ხან – ყოფა ლალი;
აი, შეხედავ, აღზევდება ცათამდე ერთი,
ხოლო მეორეს აწამებს და აცრემლებს ღმერთი.
(იქვე, 104)

ვნახოთ, კიდევ ერთ ეპიზოდში რასა სჩადის ზე-
ნაარი:

ერთს რომ მიწაზე დაანარცხებს, ზეობს მეორე,
სიკეთეს, პატიყს ნებისაებრ კვლავ იმეორებს.
(იქვე, 100)

ბანუ – ლაჰუთის რუსულ თარგმანშია:

ვერაგია მარადმბრუნავი თალი:
დაცემას კვალში მისდევს აღზევება.
(25 657-58)

ფირდოუსის პოემის კომენტარებში ვკითხულობთ: „ბედი – ეს არის ის, რაც იმთავითვე დაეკვებება ადამიანს... საკითხავია: რომელი უფრო ძლიერია – ბედი თუ ადამიანის მოქმედება, მისი გულმოდგინება?“ პასუხი ასეთია: „ის, რაც იმთავითვე არ დაგკვებებია, რაც უნდა გულმოდგინედ ეცადო, არ მოგეცემა, ოღონდ ის, რაც დაგკვებებია, ენერგიული მცდელობის გზით შეგიძლია მიიღო ადრე თუ გვიან“ (ფირდოუსი, შაჰ-ნამე, VI ტომი, მოსკოვი, 1989, 617).

ზუსტად ამ იდეას იზიარებს რუსთველი. ამიტომაც ამბობს: **ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გვხვდების.**

ეს რომ არ ესმოდათ, ბ-ნმა ალექსანდრემ და მისმა გუნდმა 1988 წლის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის წინასიტყვაობაში ბრძანეს ასეთი რამ:

„აკად. აღ. ბარამიძემ „ამბის“ წინააღმდეგ არგუმენტად მოიყვანა შემდეგი: „ნიშანდობლივია ინდო-ხატაელთა ამბისა და პოემის ნამდვილი ნაწილის აზრობრივი შეუსაბამობა. მაგალითად, რუსთველის მიხედვით, სოფელი გამწირავია, სამაგიეროდ ადამიანს მზრუნველობს და მფარველობს კეთილი ღმერთი („ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია“, „ვაჰ, სოფელო... მაგრა ღმერთი

არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა”), ინდო-ხატაელთა ამბით კი, „ნალმავე წაგრებს სოფელი კვლა მისგან უკუნაცარსა“ (წუთისოფელი ნალმავე წაგრებს სხვა დროს მისგან უკულმა დაგრეხილს)“.

უნდა განვაცხადო: მცდარი და ზედაპირულია დებულება, თითქოსდა პოემით **სოფელი** (ბედი) ყოველთვის ავია, ცუდია, ხოლო **ღმერთი** – ყოველთვის კეთილი; პოემის მიხედვით, სრულიად ადვილად დასტურდება, რომ, როგორც ღმერთი, ისე ბედი – სოფელი – შეიძლება იყოს როგორც მწყრალი და მრისხანე, ისე კეთილი და მოწყალე, ვინაიდან, როგორც ვ. ნოზაძემ დაამტკიცა, ბედს ღმერთი განაგებს. ღმერთსა და ადამიანს შორის არსებობს მედიუმი – ბედი. ოღონდ ერთი კია – ადამიანს შეძლია შეედავოს ბედს, იჩივლოს მასზე, შეაგინოს კიდეც, ოღონდ ამას ვერ იზამს ღვთის მიმართ. აი, საამრიგო მაგალითები, სადაც პოემაშივეა ნათქვამი, რომ სოფელი, საწუთრო, იგივე ბედი, ხან მუხთალია, ხან კი – **კეთილი**:

მე გამიახლდა **სოფელი**, მქონდა სიმრავლე ლხინისა.

როგორცა ვხედავთ, საწინააღმდეგოდ ალ. ბარამიძის მოსაზრებისა, აქ სოფელი კეთილია, ლხინის მომანიჭებელია. ესე იგი, ის ყოველთვის როდია ავი და მრისხანე.

ვა, სოფელი უხანო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად?

აქ სოფელი უკვე ცუდია, ბოროტია, სისხლის-
მსმელია.

სანუთრომან დამალრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს.

აქაც სოფელი მუხანათია, მატყუარა-მცქაფა-
ვია.

სანუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია.

სანუთროს, ანუ ბედს, რაც ადრე ლხენა-სიცი-
ლი ურგუნებია (ესაა მისი სიკეთე), ბოლოს ამის სა-
ნაცვლოდ გვატირებსო (ესაა მისი ბოროტება).

ან გა-ვე-აძლო სოფელმან ასმათ, ადრითგან მშიერი.

ბედმა-სოფელმა ასმათი ადრე აშიმშილა, დაამ-
ნუხრა (ესაა მისი უკეთურება), მაგრამ ახლა უკვე
გააძლო, გაახარა ნესტანის ხილვითო (ესაა სოფლის
სიკეთე).

სანუთრო და სოფელ-ბედი რომ „ორგემაგე“ (დ.
გურამიშვილის ტერმინია) ბუნებისაა, ამის კლასი-
კური ნიმუშია შემდეგი ორი მაგალითი: პოემაში
ვკითხულობთ ცნობილ ფრაზას –

ვჰგმობ მუხთალსა, სანუთროსა, **ზოგჯერ უხვსა,**
ზოგჯერ ძვირსა.

როგორცა ვხედავთ, წინააღმდეგ აღ. ბარამიძის მოსაზრებისა, რუსთველის კონცეფციით, საწუთრო-ბედი ზოგჯერ უხვია (კეთილია), ზოგჯერ ძვირია (უკეთურია); ასევე კლასიკური სიცხადითაა გამომჟღავნებული რუსთველის ორგემაგე დამოკიდებულება საწუთროსადმი ამ გენიალურ ტაეპებშიც:

**საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების:
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.**

ესე იგი, რუსთველისათვის საწუთრო (ბედი) ჩარხივით მოტრიალვია: ხან კარგს თესავს, ხან – ავს. ესაა ნამდვილი რუსთველური კონცეფცია და იგი ისევე მართალია, როგორც თვით წაღმა-უკუღმა მბრუნავი ცხოვრება. რუსთველის კონცეფციას მყარი საფუძველი აქვს – ეს საფუძველი თვით ცხოვრებაა.

ახლა ამ შუქზე განვიხილოთ აღ. ბარამიძის მიერ ინტერპოლაციად მიჩნეული დებადი –

წაღმავე წაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუნაცარსა.

„ამბის“ ამ სტრიქონსა და ზემორე პოემიდან მოხმობილ ორტაეპედს შორის მე ვერავითარ სხვაობას ვერ ვხედავ და ვერც დავინახავ: ორივეგან ერთი და იგივე აზრია – **სოფელი ხან კარგია, ხან**

ცუდია. ისე, როგორც ეს მართლაც არის ცხოვრებაში. „ნაღმავე წაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუნაცარსა“ – ესე იგი, წუთისოფელი (ბედი) ჩარხივით მოტრიალეთ. თუ ადრე უკუღმა ტრიალებდა, ახლა, ანაზღად, წაღმა ბრუნვა იწყოს. საქმე ისაა, რომ ცხოვრება ხან გვალხენს, ხან საზრუნავს მოგვგვრის. ტარიელმა და ნესტანმა ბედნიერება იზეიმეს, უბედურება სძლიეს, ტახტზე ავიდნენ, ყველაფერი ბედნიერად დამთავრდა. მართლაც რომ ხამდა, რუსთველს ორიოდე თბილი სიტყვა გაემეტებინა წუთისოფლის (ბედის) სასარგებლოდ.

ამ დებულებას გვიმტკიცებს „ამბის“ სხვა ადგილებიც. „ამბავში“ ერთგან ღმერთზე წერია – აქამდე რისხვა გვანვინა, ახლა კი წყალობა გვიანდაზაო. ესე იგი, თურმე არც ღმერთი ყოფილა ყოველთვის კეთილი:

ხმა-მაღლად ხმოზდეს, იძახდეს: „მოგვმორდეს საღმობანია, აქამდის რისხვა, მაღალმან ან მოგვცა წყალობანია“.

სხვათა შორის, „ამბის“ ამ დებადს ეხმაურება პოემის ცნობილი დებადი: „განგებაა, სწორად მოჰკლავს ერთი იყოს თუნდა ასი“. ესე იგი, განგება, ღმერთი ყოველთვის როდია კეთილი, იგი ხანდახან მწყრომარეცაა, მაგალითად, საკმარისია საყვარელ ინდოელ ადამიანებთან ავთანდილის განშორების

ძნელი წუთები დადგეს, რომ სოფელი კვლავ მუხ-
თალი გახდეს.

ავთანდილ შეჯდა, წავიდა, ტარიას გაესალამა;
იგი ორნივე გაყრისა დაწვა ცეცხლისა აღამა;
სრულად ინდონი მისტირან, ცრემლმან მინდორი დალამა,
ავთანდილ იტყვის: „**მომკლავ სოფლისა მე სამსალამა**“.

ამრიგად, ყველაფერი ნათელია: ავი ვითარების
ჟამს პერსონაჟები ბედს (სოფელს) წყევლიან, გმო-
ბენ. ეს ბუნებრივი რეაქციაა სოფლის მუხთლობა-
ზე, ხოლო სიკეთისა და ბედნიერებისას იმავე სო-
ფელს (ბედს) ლოცავენ და აქებენ.

სხვათა შორის, აღნიშნული პრობლემა ზუსტად
ასევეა გააზრებული ფირდოუსის „შაჰ-ნამეშიც“. ასეთია ეს სოფელი მატყუარა: ხან აგწევს იგი მალ-
ლა, ხან დაგცემს ძირს... იგი ტრიალებს, ხან იძლევა
თაფლს და გავსებს ალერსით. ხან გასმევს შხამსა
და სიძულვილს (იხ. ვ. ნოზაძის „ვარსკვლავთმეტ-
ყველება“, გვ. 180). როგორც ვიცით, რუსთველი შე-
სანიშნავად იცნობდა ფირდოუსის შემოქმედებას.

აღნიშნული კონცეფციიდან ბუნებრივად გა-
მომდინარეობს **ჭირისა** და **ლხინის** ურთიერთობის
ფილოსოფიაც. ვ. ნოზაძის სამართლიანი და უთუმ-
ცაო დასკვნით, რაკილა ღვთით წარმართული და
განგებული ბედი-სოფელი ჩარხივით მბრუნავია

(გავიხსნოთ გამოთქმა „ბედის ჩარხი“), ხან კეთილს, ხანაც უკეთურს მოგვივლენს, გასაგებია, რომ, ამისდა მიხედვით, კაცს ულხინს, ხანაც უჭირს. ვისგან მოემართება ჭირი ან ლხინი? – ღვთისაგან! ვ. ნოზაძე წერს: „ავთანდილი ღმერთს საყვედურით მიმართავს – გულით ჩემით სიხარულნი აღ-ჰფხვრენ, ჭირნი დააბუდენ. ღმერთია მომცემი ლხინისაც და ჭირისაც. მასვე შეუძლია ჭირი შეს-ცვალოს ლხინზე, და არაოდეს შეგანუხოს, რო-გორც ამას ფრიდონი ტარიელს ეუბნება, იგი (ღმერთი) –

ჭირსა ლხინად შეგვიცვალებს, არაოდეს შეგვანუხებს.

და, ვინაიდან ჭირიცა და ლხინიც ღვთის ხელში-აო, - ამბობს ავთანდილი, - იმიტომ –

თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირნიცა შევიწყნაროთა!

(ვარსკვლავთმეტყველება, 186).

მაგრამ ღმერთი არსებითად ჭირის ლხინად შემცვლელია. იმიტომ მას მადლობა ეკუთვნის –

ღმერთსა ჰმადლობდეს შეცვლასა ლხინად ჭირისა დღეთასა.

აქედან გამომდინარეობს დებადი, რომ ბედი, სოფელი ჭირსაც მოგვკერძავს და ლხინსაც –

მაშინ ჭირი ჩნდა ჩემზედა, ან ესე ლხინად უხდების,
რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ
შეუნუხდების.

როგორცა ვხედავთ, პოემის **უდავო** ნაწილში მკაფიოდაა შექებული სოფელი, რომელიც თურმე ყოველთვის როდია უშვებო და ულხინო, ავი და სისხლის მხვრეპელი.

პოემაში სხვაგან ვკითხულობთ:

ჰკადრა: „რა კაცსა სოფელმან მისცეს ნადილი გულისა,
ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დლისა გარდასრულისა“.

აქაც სოფელი ჭირის ნაცვლად ლხინს (გულის ნადილის ახდენას) აძლევს ადამიანს. ესე იგი, ყოვეთვის როდია იგი ავი და უსამართლო.

პოემაში საამრიგო მაგალითი ისე ბევრია, რომ ბოლოს ჩაძიებული კაცი გაკვირვებულიც კი დარჩება. ჩემი საბოლოო დასკვნა კი მომყავს ვ. ნოზაძის სიტყვების გამოყენებით:

„ჭირი ცვალებადია; იგი ლხინით შეიცვლება; და ლხინს გემო აქვს, ოდეს ჭირი გარდახდელია“ (ვარსკვლავთმეტყველება, 188).

ამრიგად, პოემაში გატარებულია კონცეფცია: ღვთით განგებული სოფელი ხან ჭირს შეგვამთხვევს, ხან – ლხინს. საერთოდ კი ჭირი იცვლება

ლხინით. არის ამგვარი ფილოსოფია „ამბავში“ თუ იგი ამ მხრივ პოემას არ ეთანხმება?

აღსანიშნავია: „ამბის“ ფილოსოფია ამ მხრივაც პოემის იდეური ხაზის ყველა მომენტის სიტყვასიტყვითი განმეორებაა, უზუსტესი გაგრძელებაა.

ტარიელმა ინდოეთში შემოსეული ხატაელთა ლაშქარი დაიმორჩილა, რამაზ ხანი ხელთ იგდო, ინდოეთი განადგურებისაგან იხსნა, დიდებულნი და დედოფალი სიკვდილს გადაარჩინა. გახარებული, აქამდე ჭირში ფლობილი ინდოელები გაიძახიან: „მოგვმორდეს სალმობანია, აქამდის რისხვა, მაღალმან ან მოგვცა წყალობანია“. დედოფალი კი ასე გაიძახოდა: „ღმერთმან რისხვა მოაქცია წყალობისა გამოსახვად“. იქვე ვკითხულობთ: დედოფალმაო „გლოვა ცვალა სიხარულად“; სწორედ ამავე ნაწილშია პოემაში ბევრგზის გამეორებული იდეა, აფორიზმად ჩამოყალიბებული: „ყოლა **ლხინთა** ვერ იამებს კაცი, **ჭირთა** გარდუხდელი“.

ამრიგად, ჭირისა და ლხინის დიალექტიკური ურთიერთობის თვალსაზრისითაც, პოემა და „ამბავი“ ერთიანია, დაურღვეველი არმატურითაა შეკრული.

მაგრამ, როგორც **სოფლის**, ისე **ჭირ-ლხინის** შემთხვევაშიც, საკმარისია გმირების განშორების წამი დადგეს, რომ საქმეში კვლავ ჩაეიოს **ჭირი**, **სამსალა** და ისინი **ლხინს** შეავინროებენ, გააძევე-

ბენ. აი, ავთანდილი ძმობილს გამოემშვიდობა, შინ უნდა დაბრუნდეს. ამის გამო ტარიელი ამბობს:

ან ვაგლას მე, **ჭირი** შენი გონებამან შვიდი თუ რვა,
მოგშორდები, **სანუთრომან ლხინი ასრე დამიშურვა.**

სპასპეტიც ამასვე იმეორებს:

ავთანდილ იტყვის: „**მომკლავ სოფლისა მე სამსალამა**“.

ამრიგად, ყველაფერი ნათელია: „ამბავი“ ზუსტად ისე, როგორც მთელი პოემა, **ბედის ჩარხს** ნალმა-უკულმა ატრიალებს, რის გამოც კაცს ხან **ლხენას** მოუფლენს, ხანაც – **ჭირს**. სწორედ ისე, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაშია. ამ მხრივ პოემისა და „ამბის“ ავტორი რუსთველი ზედმინევნით რეალისტია, მეტიც, „რეალისტისაგან უფრო რეალისტია“.

(იხ. მ. თავდიშვილი, ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები, 1991, 362-366).

სრულიად ახალი საამრიგო მაგალითები „შაჰ-ნამედან“:

**ნუ მიენდობით ცრუ სანუთროს, იცოდეთ ასე:
დღეს ნექტარს გინვდის, ხვალ – შხამიან ფიალას სავსეს.
ხან უნაზესი, მოალერსე და ხანაც მკაცრი –
აი, სანუთრო... ვერაფერს რომ გაუგებს კაცი!
(შაჰ-ნამე, V, თარგმნა ბელა შალვაშვილმა, 103)**

მაშ, სანუთრო (ბედი) ხან კარგია, ხან – ცუდი!
და იქვეა წარმოდგენილი ამ მოვლენის საფუძველი,
მექანიზმი. ეს ყოფილა ღმერთი, შემოქმედი:

ამასთანავე, ინერები, ამ ომში ბედი
არ გვიმართლებსო, **გარნა ბედსაც ნურასდროს ჰყვედრი!**
ეგეც ნებაა შემოქმედის. ტრიალებს ჩარხი:
სიკეთე მოაქვს, ემეტება ხან კიდევ თალხი...
მუხანათია ბედი, იცი, ხან ცაში აგწევს
უბედნიერესს, ხანაც კიდევ მიწაზე დაგცემს.
(იქვე, V, 198)

ფირდოუსის ეგ იდეა, რომელიც სრულად ეთანადება რუსთველის კონცეფციას, ყოველ ტომში ათჯერ მაინც მეორდება. მაშასადამე, „შაჰ-ნამეს“ სრულ გამოცემაში, ანუ ცხრა ტომში, იგი ჟღერს 90-ჯერ და მე ოთხმოცდაათივე საგანგებოდ მაქვს ამოწერილი.

ამრიგად, დასაბუთებულად დამტკიცდა, რომ ქ-ნ გონჯილაშვილის მოსაზრება, თითქოსდა რუსთველი სხვაგვარად იგებს ბედისა და ღვთის საკითხს, ვიდრე მისი წინამორბედი მუსლიმი ავტორები, „ზღაპარია და ჩმახია“. მე კი ვიმედოვნებ: შესანიშნავი ლექცია წავუკითხე ქ-ნ მკვლევარსა და მის ბრიგადას აღნიშნულ თემაზე.

ახლა ავტორის ენობრივ უმწეობასა და საცოდაობასაც ნაველენოთ თავზე, ანუ მაღლი ვქნათ და მარილიც ზედ მოვაყაროთ – ბარემ ენობრივ-სტილისტური გაკვეთილიც ჩავუტაროთ.

სტატიის დასაწყისშივე ვკითხულობთ: „პოემაში სამი გმირის მეგობრობა და **მათი შესხმა იქნება აღწერილი**“ (419). კი, ბატონო, მეგობრობა აღიწერება, ოღონდ **შესხმა იქნება აღწერილი** რა ქართულია? შესხმა იგივეა, რაც აღწერა, წარმოჩენა, ასახვა... იქვეა, ქვემოთ, რუსული კალკი – „სიტყვებშია გაცხადებული“. ქართულია – **სიტყვითაა გაცხადებული, სიტყვითაა გამოხატული, სიტყვითაა გადმოცემული...**

მომდევნო გვერდზე გვხვდება ეს რებუსი: „პოეტი მოყვრობის განმსაზღვრელ ამ უპირველეს თვისებას **ხორცს ასხამს პოემის გმირთა სიტყვასა და საქმეში**“. „სიტყვასა და საქმეში“ რუსულის კალკია, უნდა ყოფილიყო „სიტყვითა და საქმით“, ოღონდ წინადადება მკვედრადმობილია და ვერც ეგ მანიპულაცია გადაარჩენს. ფრაზა სრულიად სხვაგვარად უნდა აიგოს. „ჭემმარტი ფასეულობებით **ცხოვრებისათვის** გზებს დაუსახავს“ (420). ეს არის ბავშვური კროჭინი. „თვის“ სრულიად ზედმეტია. უნდა იყოს **ცხოვრების გზებს დაუსახავს**; ნობადის წიგნი ასეა მითითებული: „ვეფხისტყაოსნის

მიჯნურთმეტყველებაში“ (420). მკვლევარი არ დაჰკვირვებია, რომ ემიგრანტი მეცნიერი პოემის სათაურს არ კუმშავს; ისევ რუსულის კალკი: „**აღწერაში წარმოაჩენს**“ (421). უნდა **აღწერით წარმოაჩენს**; ერთგან მეტისმეტი ხოხმაცა გვხვდება: „გმირთა შეხვედრის **აღწერა** ერთგვარად აგრძელებს მოცმეთა შინაგანი მშვენების **ჩვენებას**“ (421). თურმე **აღწერა... აგრძელებს... ჩვენებას!**

იმავე გვერდზე იმდენი შეცდომაა, ყველას რა აუვა! ერთი მაინც დავითრიოთ: „გმირები ერთურთს მეგობრებივით ეგებებიან, რაც შემდგომ მათი „**შემეცნებით**“ გვირგვინდება“ (421). უნდა ყოფილიყო „ურთიერთშემეცნებით“, თორემ ისე გამოდის, თითქოს ავთანდილსა და ტარიელს ვილაც სხვა, მესამე, „შეიმეცნებს“, მაგრამ, ეს რომ მიხვდე, ფაქიზი და მგრძნობიარე კანი უნდა გქონდეს და არა ქიზიყური „კამბეჩის“ უხეში ტყავი!

ავტორი ისეა მონამლული რუსული კალკირებით, რომ ვერა და ვერ მოუშორებია იგი: „**კავშირში რომ ვლინდება**“ (422); „ამ შეჭირვება-**ნუხილში** მეტად გულწრფელია“ (437); „ავთანდილის **სიტყვებში** ჩანს“ (441)...

ჩვენს მკვლევარს განსაკუთრებით ენიაზება **გრივერიზმები და ბენაშვილიზმები.**

დავინყოთ **ბენაშვილიზმებით**: „**თუმცა**, ამ შემთხვევაშიც...“ (422); „**შემდეგ**, ავთანდილი ფრიდონის სამეფოსკენ გაეშურა“ (423); „**თუმცა**, მათი დამოყვრების უმთავრესი წინაპირობაა...“ (424); „**თუმცა**, ფრიდონი...“ (437); „**თუმც კი**, წმინდა ადამიანური თვალსაწიერიდანაც შესაძლებელია მათი განხილვა“ (447); „**თუმც**, იმედი აქვს...“ (449); „**თუმცა**, მაინც შესაძლებელია“ (450); „**მის გამო**, არავის მიადგეს ზიანი“ (451); „**თუმცა**, მეგობრობის შესახებ გააზრებანი იძებნება“ (452); „ამის **ნიმუშია**, ფრიდონი, **თუმცა**, რუსთაველი შეწყვეტილ მეგობრობას არ ცნობს“ (453); „ის უმთავრესი, პერსონაჟია“ (454).

როგორცა ვხედავთ, წერა-კითხვის მცირემცოდნე პროფესორ ბენაშვილს თავისი ქვეშევრდომისათვის კარგად უსწავლებია ყოვნის ნიშნის „უპრაგონოდ“ ფანტვა და მოხმარება. ამ მხრივ ყველაზე კარგი მაგალითი აქვე გვაქვს, ახლორე: „ამის **ნიმუშია**, ფრიდონი, **თუმცა**, რუსთველი შეწყვეტილ მეგობრობას არ ცნობს”.

არც ერთი მესამეკლასელი ამ ფრაზაში არათუ ორ, ერთ მძიმესაც არ დასვამს, ინსტიტუტის პროფესორი – თვალის დაუხამხამებლადაც კი!

ახლა **გრივერიზმები** შევათვალთ: „რაინდული ეთიკის საფუძველს **წარმოადგენს**“ (429).

ასე გაფუყული და გაბერილი საუბარი ნეტარხსენებულ გრ. ფარულავას მეცნიერება ეგონა. არადა რა საჭიროა ოთხი, როცა სამი სიტყვაც საკმარისია: „რანდული ეთიკის საფუძველია“; სხვაგან წერია: „ყოველგვარი საშუალებით **უნდა მოხდეს დარღვეული კავშირის აღდგენა**“ (437). ვხედავთ: მომარჯვებულია ფუყე, ფსევდომეცნიერული სტილის შემქმნელი **შვიდი** სიტყვა. სინამდვილეში ეს გაბერილი გრივერიზმი დაიჩუტება და რეალურ გრივერ ფარულავამდე დავა, თუ ფრაზას მართებულად ავანცობთ: **ყოველგვარი საშუალებით უნდა აღდგეს დარღვეული კავშირი**. პარაზიტი სიტყვა **მოხდეს** ამოვარდა; „მეფეს ძმურ დახმარებას უწევს“ (443). აქაც „პარაზიტი“ სიტყვა! ქართულად ასე იქნებოდა: „მეფეს ძმურად ეხმარება“, ოღონდ მაშინ ხომ პომპეზურ-კლასიციისტური სტილი გაქრება?

ახლა თავი მივანებოთ **გრივერიზმებისა და ბენაშვილიზმების** ახალ-ახალი ნიმუშების გამოვლენას, ამის დრო ვისა აქვს? და გადავიდეთ სხვა არანაკლებ საინტერესო შეცდომებზე, ლაფსუსებზე, უყურადღებობებზე, ერთი სიტყვით, ენობრივი პატრიოტიზმის უქონლობაზე. ლიტმუზეუმის მუშაკებს ენობრივი პატრიოტიზმის უქონლობას მე მუდამ ვუკიჟინებდი, მაგრამ უნდა ვაღიარო: ამოდ

დავშვერ, რადგან მაინც „ვერ ისწავლა მესხიმ წერა!“

გონჯილაშვილი ამბობს: „ფრიდონის ვაჟკაცობას **ბიძაშვილებთან ბრძოლაში** ტარიელი ასე აფასებს“ (423). ავუხსნათ ნორჩ მკვლევარს: ფრიდონი ბიძაშვილებთან ერთად კი არ იბრძოდა, ბიძაშვილებს ებრძოდა. მაშ, როგორ უნდა დაწერილიყო? აი, ასე: **ბიძაშვილების წინააღმდეგ ბრძოლაში**; „ამასთანავე“ (424) არის ჩართული და უნდა გამოყოფილიყო მძიმეებით. სინამდვილეში არსად არაა გამოცალკევებული; მკვლევარს არა სცოდნია: როცა განსაზღვრებად რიცხვითი სახელია, საგანი მხოლოობითში უნდა ჩავაყენოთ. ჩვენი ავტორი მუდამ უხეშად არღვევს ამ წესს, უწერია: „**სამ მნათობ გმირთა**“ (425). უნდა „**სამი მნათობი გმირის**“; სხვაგან ასეა: „**სამ ძმადნაფიცთა**“ (430). უნდა იყოს „**სამი ძმადნაფიცის**“; „სხვაგნით სხვათა“ ასე ბრძანებენ: „**სამთა გმირთა** სიყვარულით“ (451); ყველა წერილშია: „სხვადასხვა მოძღვრებების“ (456). უნდა ეწეროს ასე: სხვადასხვა მოძღვრების. ამგვარ სხვა მაგალითებს ვერ გამოვეყიდეებით, მაშინ ნახევარი სტატია უნდა ამოვწეროთ; წერია „წესჩვეულებები“ (426). კომპოზიტი უნდა გაიკვეთოს დეფიზიტით: წეს-ჩვეულებები; აი, „ციხე-სიმაგრე“ (442) კი იწერება ერთად! არის „მოვალეობად

თვლიან“ (428), უნდა იყოს **რაცხვენ** ანდა **მიიჩნევენ**; უხერხულია ასე წერაც: „პოემაში გმირებისგან სიუხვისა და უშურველობის არაერთი ეპიზოდია წარმოჩენილი“ (438). ამ უგერგილობას განამქრევს მცირე სტილისტური ოპერაცია: „გმირებისგან“ უნდა შეიცვალოს სიტყვით **„გმირთა“**; არსებობს მყარი, ანუ სტერეოტიპული, გამოთქმები. მათ იდიომებსაც ეძახიან. ამ ტიპის გამონათქვამის ოდნავი შერხევაც კი არ ეგების. გვაქვს ხატოვანი თქმა „ნარბიც არ შეუხრია“ და ნიშნავს მედგრად ყოფნას, გამონწვევის წინაშე მტკიცედ დგომას. ჩვენი კალმოსანი გვინერს: **„არც ნარბი შეუხრევია“**. უმჯობესი იყო ასე ეთქვა: **„არც ნარბი შეუხრია“**.

პირდაპირ კურიოზის დონეზე ადის ავტორის ზოგი გამოთქმა და მსჯელობა. აი, „საუკეთესო“ ნიმუში:

„სხვადასხვა მოძღვრებების გავლენათა ძიება პოეტის მსოფლმხედვის მასშტაბურობის, აზრთწყობის ტოლერანტობის მაჩვენებელია“ (456).

მეგობარო მკითხველო, როგორ მოგწონთ სინტაგმა **მსოფლმხედვის მასშტაბურობა?**

პირდაპირ გაოცებული დავრჩი, ეს „ბედნიერი“ სინტაქსური წყვილი რომ დავინახე. კრებულის მანკიერებათა აღმოჩენით დაინტერესებული კაცი, აბა და, მითხარით, განა არ აღფრთოვანდება, ასე „სა-

ინტერესო ბმას“ რომ დაჰკრავს თვალს? ერთი წამით მომეჩვენა, რომ ეს შესანიშნავი წყვილი – **მსოფლმხედვის მასშტაბურობა** – ქორწინების სასახლიდან ამაყად გამოდიოდა და მენდელსონის საქორწინო მარშიც თან მოაცილებდა!

მაგრამ იქვე ამაზე აღმაფრთოვანებული სხვა წყვილიცაა.

ამაზე აღმაფრთოვანებული და გულის ამაჩქროლებელი განა სხვა რაღა უნდა იყოსო?! – გაიოცებს მკითხველი.

აი, როგორ ჟღერს იმავე ფრაზის მეორე წყვილი: **აზრთნყობის ტოლერანტობა**.

განა ეს პირველზე უკეთესი არაა?

მე, გულუბრყვილო, მხოლოდ მიხეილ ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონს“ დავეყრდენი და მეგონა, ტოლერანტობა სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობას ნიშნავდა, ოღონდ აღმოჩნდა, მას სხვა მნიშვნელობაცა ჰქონია და მე არა მცოდნია. „უცოდინრობავ, დედაკაცი გერქვას სახელად!“ როგორ წარმოვიდგენდი, თუ **აზრთნყობის ტოლერანტობაც** იარსებებდა?!

ამ აღმაფრთოვანებულ ფონზე, მეგობარო მკითხველო, მეტისმეტად ძირს დაშვება იქნებოდა, ფრაზის პირველ მანკზე მესაუბრა – ეს არის „**სხვა-**

დასხვა მოძღვრებები”, თანაც ამაზე ზემორეღე უკვე ვისაუბრე კიდეც.

მაშ, წინადადება ერთია, შეცდომა – სამი.

მთლად გასაგიჟებელია სულ ბოლო ფრაზა: რუსთველის **პოეტიკა ძმობა-მოყვრობის განსახოვნებითაა გამსჭვალული** (456).

თავი გავანებოთ ღვლარჭნია ბენაშვილურ სტილს, სხვა რამე ვთქვათ: რანაირად გამოხატავს და განასახიერებს **პოეტიკა** ძმობას, მოყვრობას, სიყვარულს? როგორ გამოხატავს, მაგალითად, რიტმი, რითმა, ინტონაცია, შედარება ან ჰიპერბოლა სიყვარულს, სიძულვილს?!

აი, ამგვარი ჭკუანალრძობი იდეებითაა გატენილი ლიტინსტიტუტის ნარუდუნალი კრებული, აი, რა ღირებულებისა და ღირსების მქონე ტუტუცური მასალებითაა გაძეძგილი რუსთაველის ფონდის ხელდასხმით მომზადებული, დაფინანსებული და გამოცემული ფოლიანტი. ვივა – რუსთაველის ფონდს, ვავა – ქართულ მეცნიერებას!

მაგრამ ჯერ ყველაფერი არ მითქვამს. ამავე ნერილშია ასეთი მარგალიტები: ერთგან (458) დაბეჭდილია **ჭერილები**, უნდა „ნერილები“; სხვაგან ოდნავ შექანჯალეებული ფრაზებია: „ამგვარი გააზრება **სრულიად სხვაობს ქრისტიანულ სწავლებას**“ (452); „ნიზამის თხზულებაში „ხოსროვშირინი-

ანი“ მართალია, უმუალოდ გმირთა მეგობრობა არაა ასახული, თუმცა, **მეგობრობის შესახებ გა-აზრებანი იძებნება**“ (452). აქ, ამ უკანასკნელ წინადადებაში, 4 მამალი შეცდომაა. მე არ მივუთითებ. დაე, კრებულის რედაქტორმა ქალბატონმა მიუთითოს! ჰოკეის მეკარესავით უმწეოა ეს ფრაზაც: „გარკვეულწილად **მსგავსობს** ავთანდილისა და ნავფალის დამოკიდებულება...“ (448); იმავე გვერდზეა ვერვისგან ახსნილი რეზუსი: „გავიხსენოთ, **როგორ ცდილობს ათანდილი დაბნედილი ტარიელი გონს მოყვანას**“ (448); სხვებს არ ჩამორჩება ეს ფრაზაც: „ამის შედეგად არაბეთის ტახტზე „მორჭმული“ წყვილი **იხილვება**“ (443).

იხილვება ნანა გონჯილაშვილის კოჭლი ნეოლოგიზმია. უნდა ან **იხილვის**, ანდა **იხილება**. სხვა ვარიანტი არ არსებობს! **იხილვება** გახლავთ ამ ორი ფორმის უხეირო კონტამინაცია.

უკუღმართულია წინადადების ასე აგება: „ავთანდილის საფიცარი – ანდერძი... ამქვეყნად ღირსეული ყოფის დამკვიდრებისათვის **მოწოდებული სწავლებაა**“ (442).

გავანაღმართოთ ფრაზა:

„ავთანდილის **ანდერძის მოწოდებაა** ამქვეყნად ღირსეული ყოფის დამკვიდრება“.

არის დამბლადაცემული წინადადებებიც, ანუ უზმნო, ესე იგი უშინაარსო, გამოთქმები. აბა, გასინჯეთ:

„რუსთველური მოყვრობის გამოჩენის მესამე აუცილებელი წესი – „გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“ (439).

აი, ესაა მთელი აბზაცი.

რისი თქმა უნდოდა ავტორს?

ამის გასაგებად მარჩიელთან უნდა წავიდეთ.

ყველაფერი დამში მოვიდოდა, ნაცვლად არსებითი სახელისა **წესი**, რომ მოემარჯვებინათ ზმნა **წესია**, ოღონდ ამის მოფიქრებას ელემენტარული გრამატიკული ცოდნა სჭირდება. როგორ არ მომაგონდეს აქ ჩემივე აფორიზმი: **როცა ადამიანმა რაიმე არ იცის, არ იცის საფუძვლიანად**.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს „მეცნიერს“ ფეხებზე ჰკიდია მკითხველიცა და ენობრივი პატრიოტიზმიც. ამის მოდასტურე სხვაც რამ გახლავთ. აი, ფეხებზემკიდია მკვლევრის საამრიგო ნამუდრეგალი: „**ჩუქნის**“, „**რაც არსერთვის** იხსენება“, „**არჩევანის**“ (ყველა 438-ე გვერდზე); „**ტარიელის გარეშე**“; „**ტარიელის გარდა** მისთვის სხვა მოყვარე „**გაკიცხულია**“; „**თავად გმირი სხვათა წინაში** სიტყვით გააცხადებს...“ (ყველა 437-ე გვერდზე); „**აღსანიშნად**“ (431), უნდა თემის ნიშანი

ავ: აღსანიშნავად; სრული უყურადღებობისა და ფეხზემკიდიაობის კლასიკური ნიმუშია ეს ნათქვამი: „ძმაზე უმტკიცესი **ძმობი**“ კავშირით **არიან შეკრულნი**“ (428). აქ ორი მამალი შეცდომაა. აქედან ერთს უსათუოდ შენიშნავენ ჩვენი მკვლევარი ქალბატონები, მეორეზე კი რა მოგახსენოთ.

ეს მომაკვდინებელი შენიშვნები რომ მოისმინა, ჩემმა აბიტურიენტმა **ნიკა ჩაჩხუნაშვილმა** გულწრფელად წამოიძახა: – პატივცემულო, სად შოულობთ ასე ადვილად გასაკრიტიკებელ ხალხსო?!

გურჯი გონჯილაშვილის გონჯი ნასარჯი გახლავთ კლასიკური ნიმუში იმისა, თუ როგორი წერილები არ უნდა იწერებოდეს და იბეჭდებოდეს.

ლია კარიჭაშვილი, სიბრძნე, გონება, ჭკუა

სტატიის ავტორი ღობე-ყორეს არ ედება, ფრაზაც ჯეროვნად ემორჩილება. საქმისადმი ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არ ახასიათებს. მე რომ ამ ფოლიანტის რედაქტორი ვყოფილიყავი, იოლად გავასწორებინებდი იმ რამდენიმე გაუგებრობასა და ნაკლს, რომლებიც თვალსა ხვდება.

1. მოყვანილია ტაეპი: „გული, ცნობა და გონება **ერთმანეთზედა** ჰკიდია“ (459). ხაზგასმული სიტყვა თანამედროვე დაწერილობითაა წარმოდგენილი,

არადა რუსთველის დროს წარმოითქმებოდა ასე – **ერთმან+ერთი**;

2. ერთგან ნათქვამია: „ნოდარ ნათაძის მართებული განმარტებით, „გონებამან დაფარულმან“ ნიშნავს – ყველაზე შინაგანმა ღრმა ფიქრმა“... ფაქტობრივად, ესაა სულის სიღრმიდან გაცხადებული სათქმელი“ (464).

ეტყობა, ქ-ნი ღია არ იცნობს ვ. ნოზაძის „ღმრთისმეტყველებას“, თორემ ნათაძის ამ ცრუ მოსაზრებას სათოფეზედაც არ გაეკარებოდა. ნოზაძემ **„დაფარული გონების“** არამართებული გაგებისათვის სასაცილოდ აიგდო მოსე გოგიბერიძე, მას ტყავი გააძრო და მით ქალამანი შეიკერა („ღმრთისმეტყველება“, 158-159). ეს მომენტი ფართოდ აისახა ჩემს წიგნშიც: „ვ. ნოზაძე იკვლევს გამოთქმას – „გონებამან დაფარული“... და საინტერესო მაგალითების მოყვანით გვარწმუნებს, რომ იგია **ღმერთი**, რომელიც დაფარულს, ჩვენგან მიუწვდომელს, გვიცხადებს. ღმერთი რომ დაფარულის მცოდნე გონებაა – ეს გამოხატულია სტერეოტიპულ თქმაში – **ღმერთმანი** (ღმერთმან იცის)“. აღნიშნულის შესახებ უფრო ფართოდ იხ. მ. თავდიშვილი, ვიკტორ ნოზაძის „მეტყველებანი“, თბ., 2024, გვ. 266-270.

3. მკვლევარს კარგად შეუძინევია, რომ ავთან-

დილს ახასიათებს **მოხუცებულობა გონებისაი** (466) და იქვე მარჯვედ არის გახსენებული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გამოთქმა „მოხუცებულობა გონებისაი“.

მე რომ ამ კრებულის რედაქტორი ვყოფილიყავი, ავტორს მივუთითებდი: ეს საკითხი ასე მარტივი არაა. იგი მრავალ რამესთანაა დაკავშირებული და იმ მრავალზე კიდევაც მაქვს გაშლილი მსჯელობა როლანდ ბერიძეზე დაწერილ ესეში (იხ. მ. თავდიშვილი, ექვსი ესე, 2001, გვ. 83-85).

კერძოდ, რ. ბერიძემ ბრწყინვალედ გადაწყვიტა პრობლემა ტაეპისა:

**„მითხრეს, თუ: „ხარო ყმანვილი, ბერნი მით
გკადრებთ, გლახ, ენით“.**

აღმოჩნდა, რომ ბერნის ნაცვლად აქ უნდა იჯდეს ბრძენი.

ტექსტოლოგიურად საკითხი საბოლოოდ და უთუმცაოდ გადაწყდა, ოღონდ რ. ბერიძეს თეორიულად აღარ გაუაზრებია ეს მომენტი. მისი ტექსტოლოგიური შესწორება უსიტყვოდ ვაღიარე და ჩემი რედაქციით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ **ყმანვილი** გახდა **ბრძენი** (იხ „ვეფხისტყაოსანი“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 94). მე კი ფრიად და ფრიად დამაინტერესა ამ გარემოებამ და ძიებამ ეს გამოავლინა:

უძველესი დროდანვე ფიქრობდნენ, რომ გონიერ კაცს, ასაკში შესულს, ცხოვრება ისედაც აბრძენებდა, ოღონდ საქმეც ის არის, იგი ახალგაზრდობიდანვე ყოფილიყო **ბრძენი**. ამ ძიებისას დავადგინე: ჯერ კიდევ ვერგილიუსი აქცევს ამას ყურადღებას, როცა „ენეიდაში“ ენეასის ძეს, ახალგაზრდა ჭაბუკ ასკანიას, ვისი სახელობის სოფელი ასკანაც გურიში მდებარეობს, უწოდებს **ჭაბუკ ბრძენს**; მეორე ძველი ავტორი, რომელსაც ყურადღება მიუქცევია აღნიშნული მომენტისათვის, არის გ. მერჩულე, როცა გრიგოლის **გონების მოხუცებულობაზე** წერს. ამ თხზულებაში ამ მხრივ სხვა პასაჟებიც იქცევს ყურადღებას; ჩემი დაკვირვებით, **არაერთგზის იყენებს ამ გამოთქმას რუსთველის წინამორბედი და მასწავლებელი, გიორგი მერჩულის თანამედროვე პოეტი ფირდოუსი. „შაჰ-ნამე“ გატენილია ასეთი გამოთქმებით: ახალგაზრდა ბრძენი, გონით მოხუცი და ა.შ.** აღნიშნულის შესახებ უფრო ფართოდ იხ. მ. თავდიშვილი, „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, 2000, 38-39; ასევე „ფირდოუსი და რუსთველი“, 2009, 103-105.

მითითებულ წიგნებში მე ფართოდ მომყავს „შაჰ-ნამეს“ ის ადგილები, სადაც პედალირებულია სწორედ ახალგაზრდის **გონების მოხუცებულობა, ჭაბუკის სიბრძნე**. ამჯერად კი მოვიყვან სრულიად

ახალ მაგალითს, სადაც პირდაპირ არის ნახსენები
ახალგაზრდა ბრძენი:

გაჭალარავდა მამაჩვენი, შენი დრო დადგა,
ტახტი გეკუთვნის, **ახალგაზრდა ბრძენი** ხარ რადგან!
(შაჰ-ნამე, VI, თარგმნა ბელა შალვაშვილმა, გვ, 71).

ლეგენდარულ მეფე ნუშინრავანს ჰყავდა ასევე
ლეგენდარული ვაზირი ბუზურჯმეხრი. მასზე პოე-
მაში ნათქვამია: „**ახალგაზრდა ბრძენი** ბუზურ-
ჯმეხრი“ (3879); იგივეა სხვაგანაც: „**ახალგაზრდა**
ბრძენი ბუზურჯმეხრი“ (4356); ქვემორეულე ასეთი
ფრაზაც გვხვდება: „**ბედნიერებით ახალგაზრდა,**
გონიერებით კი მოხუცი“ (4712); „სხვაგნით სხვა-
თა“ წერია: „**იყო წლებით ჭაბუკი, ხოლო ცოდნით**
– მოხუცი“ (10032). აღნიშნულის საპირისპირო კი
არის „**უგუნური ყმაწვილი**“ (23367).

მაშასადამე, ქ-ნ ლია კარიჭაშვილს რომ ჩემი
მითითებები მოესმინა, წამოჭრილ საინტერესო სა-
კითხს უფრო ღრმად განიხილავდა, მსგავს გამოთ-
ქმებს ნიზამის ტექსტებშიც აღმოაჩენდა და საბო-
ლოოდ კრებულიც მოიგებდა.

4. მკვლევარს ერთგან ციტირებისას მოსვლია
შეცდომა: „რათგან თავია სიცრუე ყოვლისა **უბე-
დობისა**“ (482).

მგოსანს რომ მართლა ასე ეწეროს, ეს იქნებოდა

დიდი სისულელე, რადგან ცრუ კაცი ზოგჯერ შესანიშნავი ბედისაა! მაგალითად, უსენი. მაშ, რა უნდა ეწეროს ხაზგასმული სიტყვის ადგილას? – **უბადობა**. ახლა კი ყველაფერი ნათელი გახდა: სიცრუე არისო თავნყარო ყოველგვარი სიგლახისა. „უბადო“ აღნიშნავს ცუდს, ავს, გლახას, მიუღებელს.

ქ-ნ ლიას რომ ეგ წერილი დაბეჭდვამდე ჩემთვის ეჩვენებინა, კიდევ ერთ საინტერესო რასმე მივუთითებდი. რუსთველის აღნიშნული გამოთქმის თავნყაროა „შაჰ-ნამე“. ქვეთავში „გოშთასპი აჰ-რანს ეხმარება“ ვკითხულობთ:

რადგან სიცრუე მომტანია ურიცხვი წყენის.
(შაჰ-ნამე, 6, თარგმნა ბელა შალვაშვილმა, გვ. 47)

ამით ვამთავრებ სამეცნიერო კრებულის მიმოხილვას.

**სხვათ მკვლევართა არ ვახსენებ,
არც მალვინა ცაბაძესა,
არც დათუნა ქვარიანსა,
მურმანს რად ვერ ნაბაძესა?!**

ჩემი საბოლოო საბრალდებო დასკვნა ასეთია:
კრებულში ძირითადად მაინც ბატონობს თეორიულ-ფორმალისტური მსჯელობა, რაც მთავარია, არათუ გადაჭრილი, წამოჭრილიც კი არ არის ნიზა-

მისა და რუსთველის ლიტერატურული ურთიერთმიმართების არც ერთი კარდინალური პრობლემა!

რჩევა დაინტერესებულ მკითხველს: ჯერ ნაიკითხოს ლიტბრიგადის ერთობლივი ნაშრომი, მას უკან – ჩემი გამოკვლევა „ნიზამი და რუსთველი“ და იგი თვალნათლივ დაინახავს: მშრალ, გახევებულ, მძიმე ქართულით შეურვებულ თეორიულ-ფორმალისტურ მსჯელობებს როგორ ჩაენაცვლება დინამიკური, საინტერესო მსჯელობებით, სენსაციური მიგნებებით დაყურსული ლალი და გამართული ქართულით შესრულებული ნარკვევები.

რა ეშველება გაფუჭებულ საქმეს, როგორ გამოვასწოროთ იგი?

მაქვს სწორუპოვარი წინადადება:

ლიტერატურის ინსტიტუტის გრიფით ხელმეორედ გამოიცეს მურმან თავდიშვილის „ნიზამი და რუსთველი“.

ამრიგად, ცხადი ხდება: რუსთველოლოგიაში მე გახლავართ რუსეთი, აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე – ამერიკა, ხოლო ლიტერატურის ინსტიტუტის კოლექტივი – სხვისი ხელის შემყურე და უმწეო „პეტუხი“ ევროპა.

ასეთია ამჟამინდელი ვითარება რუსთველოლოგიურ ფრონტზე.

2004 წ.

ართი ვარბი, ათი ურბი

ეგ სტატია ასეთი საგულისხმო ლიდით მინდა დავიწყო:

ოდესღაც, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, პროფესორმა ვენორ ქვაჩახიამ, არარუსთველოლოგმა, არაფილოლოგმა, იმხანად საკმაოდ მხცოვანმა, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში „ვეფხისტყაოსანზე“ დიდის ამბით წაიკითხა „აღმოჩენებით“ გაძეპგილი ვრცელი მოხსენება; მთელი „ზეპურნი მამანი და დედანი სოფლისა ქართლისანი“ იქ შეყრილიყვნენ – სარეკლამო მანქანას კარგად ემუშავა! იქვე ბრძანდებოდა აკაკი განწერელიაც. მას იქით-აქედან ორი მურმანი ეჯდა: მე, მურმან თავდიშვილი, და ის, უნიჭიერესი პოეტი მურმან ჯგუბურია.

„სერობა“ როცა დასრულდა და ვესტიბიულში გამოვედით, პოეტმა ჰკითხა ესთეტს:

– ბატონო აკაკი, ყოველივე ეს როგორ მოგეწონათ?

– გადასარეგია, გასაგიჟებელია! – იყო პასუხი.

მერმედ, როდესაც ჩვენს გასახტავებულ და შეცბუნებულ სახეებს დაჰკრა თვალი, მალვალაკურად გაიღიმა და სასწრაფოდ დაუმატა:

– ჰო, ასე იცის, როცა „ვეფხისტყაოსანს“ პირველად წაიკითხავ!

პოემის პირველად წაკითხვის სიგიჟე და აქედან წამოსული ზედაპირული მოსაზრებანი ბევრს უფრქვევია. მათი სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მე მხოლოდ ორ პიროვნებას დავასახელებ. ესენია უნიჭიერესი აკაკი ბაქრაძე და უნიჭო ზურაბ კიკნაძე. ვფიქრობ, ორივე მათგანს დაემართა გენიალური თხზულების პირველად წაკითხვის სინდრომი, რამაც კიდევაც გამოჟონა მათ „სენსაციურ აღმომჩინებას“ და დაკვირვებებში. ამჟამად ორ ასეთ „აღმომჩინას“ დავურიאלოთ.

ორივე დასახელებული კალმოსანი ამტკიცებდა ორ რასმე: 1. ტარიელი სტატიკური პერსონაა, ხოლო ავთანდილი – დინამიკური; 2. ავთანდილი ბრძენკაცია, ხოლო ტარიელი არაო. პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ კიდევაც დაბეჭდა და სატელევიზიო ლექციაშიც განაცხადა: ავთანდილი ბრძენია, ხოლო ტარიელი სიბრძნით არასოდეს გამოირჩეოდაო.

საკითხისადმი აღნიშნულმა უმეცრულმა, ზედაპირულმა და არამეცნიერულმა მიდგომამ კიდევაც განაპირობა ის, რომ ორივე ძალად მაცხონე რუსთველოლოგს სასტიკი სტატიებით გამოვეხმარე (იხ. 2006 წელს დაბეჭდილი „ახლა ვხედავ, საყ-

ვარელო, და...”; „ერთი ტელეგადაცემის ცხრა შეცდომა”; „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ-კულტუროლოგიური პორტრეტების დაზუსტებისათვის”. სამივე სტატია შესულია „რუსთველოლოგიური კრიტიკის“ I და II ტომებში).

იმ სამეცნიერო წერილებში დასაბუთებულია: არც ერთი ზემომითითებული მახასიათებლის მიხედვით ტარიელი არ ჩამორჩება ავთანდილს, ზოგჯერ კი უსწრებს კიდეც. ამავე დროს, ნაჩვენებია აღნიშნულ ნაიჭურ მოსაზრებათა საფუძველი.

აღნიშნული მცდარი (ყალბი) მოსაზრებების პარალელურად იბეჭდებოდა ნიგნები, რომლებშიც საკითხი სწორად იყო გადაწყვეტილი. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ მაკა ელბაქიძის „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში“ (2007).

დიდად მენიაზა, რომ ავტორს მართებულად გაუგია ვითარება, სწორად შეუფასებია ტექსტობრივი მონაცემები და გამოუტანია მართებული დასკვნა. საგულისხმოა, რომ ეგ სწორი მოსაზრება გამოკვლევაში გამოერებულია ბევრჯერ. მომყავს სათანადო მსჯელობები:

„განსაზღვრება **ბრძენი, სიტყვა-ბრძენი, ბრძნად მოუბარი** თანაბრად მიემართება როგორც

ავთანდილს, ისე ტარიელს, რაც თავისთავად გამო-
რიცხავს „გონების“ (ინტელექტის) ნიშნით პერსონა-
ნაჟთა გამიჯვნას“ (146).

„სხვაგნით სხვათა“ წერია:

„მტკიცება იმისა, რომ ავთანდილი „გონების“,
ხოლო ტარიელი კი „გრძნობის“ ადამიანია, მცდარი
და საფუძველმოკლებულია“ (148).

და საბოლოო სამართლიანი ვერდიქტი:

„ვეფხისტყაოსნის ტექსტი არ გვაძლევს სა-
ფუძველს ვიფიქროთ, რომ ტარიელსა და ავთან-
დილს შორის სიბრძნისა და გონიერების მხრივ რაი-
მე განსხვავება არსებობს“ (150).

ჩვენი მკვლევარი არ ხსნის იმის მექანიზმს, თუ
რად ეჩვენებათ კალმოსნებს, თითქოსდა ავთანდი-
ლი უფრო ბრძენი და მოძრავი პერსონაჟი იყოს,
ვიდრე ტარიელი. ვისაც ეგ საკითხი მღვივედ აინ-
ტერესებს, მან უნდა ნაიკითხოს აკაკი ბაქრაძის ნი-
ნაალმდეგ დაწერილი ჩემი სტატია „ვეფხისტყაოს-
ნის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ-კულტუროლოგი-
ური პორტრეტების დაზუსტებისათვის“.

მაკა ელბაქიძის აღნიშნულ მიღწევას ნარკვე-
ვის მრავალი ნაკლი დია აფერმკრთალებს. გან-
ვჩხრიკოთ ეგ ნაკლი დადმავალი ხაზით, ანუ ჯერ
განვიხილოთ მსხვილმანი, მას უკან - „წვრილმანი“
ხარვეზები.

მკვლევარი იზიარებს ბებერივით მიხრწნილ და სააკაშვილივით ყალბ თვალსაზრისს „ინდო-ხატა-ელთა ამბის“ შესახებ:

„ინდო-ხატაელთა ამბავი“, ისე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ სხვა გაგრძელებანი, მხოლოდ ამძიმებს რომანის სიუჟეტს, ხელოვნურად „აჭიანურებს“ მის დასასრულს და აშკარად ინტერპოლატორის კალამს ეკუთვნის“ (26).

ჯერ ერთი, აქ გავლებულია ყოვლად მიუღებელი პარალელი „ამბავსა“ და „სხვა გაგრძელებებს“ შორის. ავტორი თუ ერთ ხაზზე აყენებს „ამბავსა“ და „სხვა გაგრძელებებს“, მაშინ დადგება მისი ლიტერატურულ-მხატვრული გემოვნების პრობლემა. საქმე ისაა, რომ „ამბავსა“ და „სხვა გაგრძელებებს“ შორის განოლილია ესთეტიკური უფსკრული: პირველი გენიალური აფორიზმებით, საოცარი მეტაფორებით, სხვა რუსთველური ხერხებითაა გამორჩეული, ხოლო მეორე ამ მხრივ არაფრისმთქმელია. ამ სხვაობას თუ მკვლევარი ვერ გრძნობს, მე რითი ვუშველი, ოღონდ ერთს მაინც გავურკვევ: ქ-ნო მაკა, სწორედ „ამბავშია“ ის ბრწყინვალე აფორიზმი, რომლის მსგავსი თვით შიგნიტექსტშიც კი არ მოიპოვება და რომელსაც ქართველი კაცი ყველა სხვა აფორიზმზე ხშირად იყენებს. კიდევ მეტი, ის ხალ-

ხმა თავის გემოზე გადააკეთა და ანდაზად აქცია.
აი, ისიც:

შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნილა დაღრეჯანია.

გახალხურებული ანდაზა კი ასე ჟღერს:

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა.

გახალხურების „საფრთხე“ კი ემუქრება მხოლოდ გენიალურ ინდივიდუალურ ნათქვამს.

„ინდო-ხატაელთა ამბის“ სასარგებლოდ ათასი არგუმენტი მაქვს მოყვანილი ჩემს წიგნებში. ამჟამად კიდევ ერთ **პოეტიკურ არგუმენტს** მოგართმევთ, როგორც პოემის პოეტიკის მკვლევარს.

არაერთხელ დამიბეჭდავს, ახლაც ვიტყვი: პოემის პირველმკითხველს უნინარესი, რაც თვალსა სჭრის – ესაა საოცარი აფორიზმები. აფორიზმი კი **ავტორის სიბრძნის** გამომხატველია; მეორე, რაც თვალს უბრმავეებს – ესაა მეტაფორა. **მეტაფორა** კი ავტორის მხატვრული ოსტატობის მაცნეა. მთელი პოემის ყველაზე კარგი მეტაფორაც სწორედ „ამბავში“ იხილვის:

გიშრისა ტევრსა მოჰფოცხდა ბროლისა საფოცხელია.

ტარიელი სიმწრისაგან კუნაპეტ შავ თმას (გიშრის ტევრს) ბროლივით თითებით (ბროლის საფოც-

ხელით) იგლეჯდა, როცა გამზრდელი მეფე-პატრონის ფარსადანის სიკვდილის ამბავი შეიტყო.

ამრიგად, ყოვლად მიუღებელია „ინდო-ხატა-ელთა ამბის“ შეპირაპირება „სხვა გაგრძელებებთან“. მეტიც, „ვეფხისტყაოსნის დაფანტულ სტროფებში“ (1991) ესთეტიკურ-მხატვრული თვალსაზრისით შევისწავლე „ამბავი“ და დავადგინე: მთელ ქართულ ლიტერატურაში XIX საუკუნემდე „ამბავი“ სჯობს ყველა პოეტის ნაღვანს (თეიმურაზ I, არჩილი, ი. შემოქმედელი, სულხან ორბელიანი, გურამიშვილი...), გარდა „ვეფხისტყაოსნის“ შიგნიტექსტისა, ხოლო, ამ ორი მონაკვეთიდან თუ რომელია უმჯობესი – ეს ძნელი გასარკვევია.

ასე, რომ მხატვრულად „ამბავი“ უფრო ახლოს დგას „ვეფხისტყაოსანთან“, ვიდრე ძველი დროის ყველაზე ძლიერ „დავითთან“. ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს.

მ. ელბაქიძეს მოჰყავს ფრიად საინტერესო მოსაზრება პოემის სიუჟეტის „წრიულობის“ თაობაზე და დაასკვნის: „უნდა გავითვალისწინოთ სიუჟეტის „წრიულობის“ პრინციპიც... ნაწარმოები იწყება არაბეთის სამეფო კარზე და იქვე უნდა დასრულდეს“ (26).

„სიუჟეტის წრიულობის“ პრობლემა დააყენა ხვთისო ზარიძემ. ეგ მიგნება, როგორც მახსოვს,

პირველმა მე შევაფასე და დავაფასე, ოღონდ იქვე შევნიშნე: ხვთისო ზარიძემ შესანიშნავ იარაღს მიაგნო, ოღონდ ის ჯარში არაა ნამყოფი და სროლა არ იცის. მე კი, როგორც საბჭოთა არმიის კაპიტანი, ყოველ წელიწადს რომ ათობით თავგასიებულს თოფის სროლას ვასწავლიდი, მიზანში საგნის ამოღებას მაგასაც ვასწავლი-მეთქი და მართლაც ვასწავლე. ჩემს სწავლებას ისევ გავიმეორებ, ოღონდ ახლა ორი მონაფის გასაგონად:

თანახმა ვარ, „სიუჟეტის წრიულობა“ ვაღიარო, ოღონდ ეგ ხელს ოდნავადაც არ მიშლის, „წრიულ სიუჟეტში“ ინდო-ხატაელთა ამბავიც მოვაყოლო და აი, რად: ინდოეთში „ძმადფიცთან“ ერთად მიდიან ფრიდონი და ავთანდილი. ისინი შეასრულებენ თავიანთ მიზანს: სამშობლოს გაათავისუფლებინებენ ტარიელს, გადაუხდიან ქორწილს, დასვამენ ტახტზე და ამის შემდეგ ბრუნდებიან შინ: ფრიდონი – მულაზანზარს, ავთანდილი – არაბეთში.

ასე რომ, ამბავი მართლაც მთავრდება არაბეთით, ანუ ავთანდილის დაბრუნებით არაბეთში. ამ სცენას კი ეძღვნება ორი სრული სტროფი:

**ერთგან ფრიდონ და ავთანდილ იარნეს დღენი მცირენი;
გზამან გაყარნა, წავიდეს თვის-თავ ანატირენი;**

კარგად მოუხდეს მათ მათნი საქმენი დანაპირენი;
ავთანდილ მიხდა არაბეთს, ნახნა არ ცუდნი ჭირენი.
გამოეგებნეს არაბნი, სამეფო დააშვენა მან;
ნახა მზე მისი, მირიდა მისთა სურვილთა წყენამან;
მის თანა ტახტსა და-ვე-ჯდა, აღხინა მჭვრეტთა
ლხენამან,
გაახელმნიფა გვირგვინი ზეცით მოსრულმან
ზენამან.

(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, 2016, მურმან
თავდიშვილის რედაქცია, გვ. 331)

ამრიგად, ჩემი „ინდო-ხატაელთა ამბავი“ მშვე-
ნივრად გრძნობს თავს „ნრიულ“ სიუჟეტშიც!

ანუ ის, რისი დამტკიცებაც გვენადა!

მაკა ელბაქიდის ზემო (მცდარ) იდეას ლანალუ-
ნით ამსხვრევს მისი მეორე (სწორი) მოსაზრება:

„ტარიელის თავგადასავალი ძირითადი სიუჟე-
ტური ხაზია „ვეფხისტყაოსნისა“ და ამ სიუჟეტურ
ძაფზე უდიდესი ოსტატობითაა „ასხმული“ ე.წ. შე-
ნაკადური ეპიზოდები“ (29).

აგაშენა ღმერთმა!

აი, სწორედ მანდა ვარ მეც, მუდამ რომ ვიმეო-
რებდი: ტარიელ-ნესტანის ხაზია მთავარი. სწორედ
აქაა ავტორის მთავარი სათქმელი (**დაკარგვა-ძიე-
ბა-მიგნება**) დაუნჯებული-მეთქი! ამიტომაც მუ-

დამ მივესალმებოდი იდეას: ტარიელის სიუჟეტური ხაზი დედოხაზია, სხვა ყველა – მისი წვრილი თუ მსხვილი შენაკადები-მეთქი. კიდევ მეტი. ისეთი რამ მაქვს დაფიქსირებული, თავშიც რომ არავის მოსვლია: ავთანდილი რომ ჩაერევა საქმეში, ამ დროს ინდოეთის ამბავი უკვე 3-6 წლის დაწყებულია-მეთქი!

აღნიშნულის გამო აუცილებელია: ინდოეთის ამბავი გასრულდეს, ანუ ვიხილოთ ტარიელ-ნესტანის ქორწილი სამშობლოში და მათი ტახტზე ასვლა. ისიც არაერთხელ გამიცხადებია: რუსთველი მისდევს ხალხურობის პრინციპს, კერძოდ, ქართული ზღაპრის ყალიბს, სადაც ჩვეულებრივი ამბავია ასეთი რამ: **გამარჯვებული გმირი ჯვარს იწერს მეფის ასულზე და იმავდროულად ადის სამეფო ტახტზე.** სწორედ ასე ხდება ინდოეთში: გამარჯვებული ტარიელი ჯვარს იწერს ნესტანზე და ორივე მყისიერად ადის ტახტზე.

მაშასადამე, ავთანდილის სიუჟეტური ხაზი შენაკადური ხაზია მთავარისა. მთავარი კი ტარიელ-ნესტანის სიუჟეტური ხაზია.

ამრიგად, მაკა ელბაქიდის პირველ დებულებას („ამბავი“ ინტერპოლატორისაა) ამსხვრევს მეორე, მართალი დებადი.

ქ-ნ მაკას უნდა ვუსაყვედურო პოემის ტექსტის ფერმკრთალი ცოდნის გამოც. მას არა სცოდნია სიტყვა „უცხო“ შინაარსი, ამიტომაც გვინერს:

„განრისხებული მეფე **უცნობის** შესაპყრობად თორმეტ მონას გაგზავნის“ (27).

არა, ქ-ნო მაკა, „ნახეს, **უცხო** მოყმე ვინმე“ ისე არ უნდა გავიგოთ, თქვენ რომ გაგიგიათ: უცხო ნიშნავს არა **უცნობს**, არამედ **სასწაულებრივს, სა-უცხოოს, უცნაურს, მანამდე უნახავს**. სხვა ადგილას ეგ სიტყვა კიდევაც არის განმარტებული. როსტევეანი თინათინს ეუბნება: „**უცხოსა და საკვირველსა** ყმასა რასმე გარდვეკიდეო“. მაშ, უცხო ყოფილა **საკვირველი, საოცარი, უცნაური**. რაც შეეხება **უცნობს**, ნადირობისას როსტევეანისათვის უცნობი ალბათ ნახევარზე მეტი „მოლაშქრე“ იყო. განა პრემიერ-მინისტრი კობახიძე მე და თქვენ პირადად გვიცნობს? მეორეც, უცნობისთვის გაგიჟდებოდა როსტანი?

ტექსტის გაუგებრობა სხვაგანაც მჭვირვალეებს. ერთგან ნერია: მიგზავნილი 12 კაცის „აბჯრის ჩხრიალი გამოაფხიზლებს რაინდს – იგი ზეწამოიჭრება, დახოცავს მის დასატყვევებლად „ხელ-გამართულ“ მონებს“ (28).

მსგავსიც არაფერი!

რუსთველსა სწადია, ტარიელი ჰუმანურ და კაცთმოყვარე გმირად წარმოაჩინოს. ამიტომაც აკეთებს ასეთ „სვლას“: ტარიელი კი არ წამოხტება და ამირან დარეჯანის ძის მსგავსად მკლავს გამართავს, არამედ **გაეცლება 12 კაცს, სხვა მხარეს გაუტევს, რა არის, კაცის სისხლი არ დაღვაროს.** ტექსტში პირდაპირ წერია:

ცხენსა შეჯდა, - მონათამცა საუბარნი რად იყურნა! –
სხვასა მხარსა გაემართა, მათი ჭირი არ განკურნა.

ქ-ნ მაკას უჭირს ტექსტის ზუსტად ციტირება. ამის მიზეზი ორია: ან არ ახსოვს ტექსტი, ან კიდევ ტექსტოლოგიურად კარგად დადგენილი პოემა არ აქვს ხელთ. აი, მიუღებელი „იაღლიშები“: „ნასვლა მინდა“... (59). „ნასვლა“ დღევანდელი ფორმაა. XIII საუკუნეში ჯერ კიდევ არ მოქმედებდა გიორგი ახვლედიანის ფონეტიკური კანონი (ნასლვა → ნასვლა). მაშ, უნდა ყოფილიყო ძველი ფორმა **ნასლვა**; წერია: „ბროლ-ბალახშსა **ამშვენებდა**“ (59). უნდა ძველი სიტყვა **ამშვენებდა**; წერია: „რასცა ოდენ იგი სჯერა (61). აქ ერთბაშად ორი შეცდომაა: ა) სჯერა სულ სხვასა ნიშნავს, ეგაა დაჯერება; სინამდვილეში უნდა იყოს **ჯერა**, ანუ **დაჯერებულობა, შეჯერებულობა**. ბ) ფორმა **ჯერა** კომპოზიტიკა. ეს გახლავთ ორგანყოფილებიანი სიტყვა, სადაც „ა“ **არს**

ელიზირებული ზმნის ნაშთია. მაშ, ინერება ასე: **ჯერ – ა.** ამრიგად, ფრაზა ასე გაიმართება: „რასცა ოდენ იგი ჯერ – ა“; დაბეჭდილია ასე: „ხამს მეფეთა **ერთგულება**“ (67). უნდა ყოფილიყო „ერთგულობა“; დაბეჭდილია: „ხმალნი ჩვენნი ვინინამძღვრეთ, მათნი **ზურგი** დავიყარნეთ“ (109). უნდა ყოფილიყო **ზურგით**; დასტამბულია: „გზანი **დაგხვდეს** შეკაზმულნი“ (139). უნდა იყოს **დახვდეს**; იქვეა ასეთი თანამედროვე ფორმა: „შვენის **აკვრა** თმასა ლელსა“ (139). XIII საუკუნის ფორმა ასეთია: **აკრვა**.

ბევრი შეცდომა გაპირობებულია იმით, რომ მკვლევარს ხელთ არ აქვს ტექსტოლოგიურად გამართული პოემა. ამიტომ მე მას ასე ვასწავლიდი:

ქ-ნო მაკა, რაკილა თქვენ, მთელს ინსტიტუტს, არ შეგწევთ ძალა, გამოსცეთ ტექსტოლოგიურად ზედმინევნით დადგენილი პოემა, შეგიძლიათ ისარგებლოთ მურმან თავდიშვილის რედაქციით გამოცემული ტექსტით. იხ. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პოემის სრული ტექსტი მურმან თავდიშვილის რედაქციით. გამოდის პირველად, გამომცემლობა „ტიქნიკური უნივერსიტეტი“, 2016.

მსხვილმანი შეცოდებებიდან გადავინაცვლოთ „წვრილმან“ შეცოდებებზე.

მართალია, წიგნს „თბილისი-ოზურგეთის“ მატარებელივით გრძელი სათაური აქვს და ძნელი ნა-

საკითხავი და აღსაქმელია, ოღონდ ამ ნაკლს კიდევ აიტანდა კაცი, ორი საშინელი შეცდომაც რომ არ ასდევნებოდა მას. არადა რა საწყენია: იმხელა ინსტიტუტში არავინ აღმოჩნდა, მეგობარი მკვლევარი ამ შეცდომათაგან მაინც დაეზღვია. ჩემთვის რომ ავტორს ეგ სათაური ეჩვენებინა, მივუთითებდი: ა) **შუასაუკუნეების** არის ორთოგრაფიულად უსწორო სინტაგმა. ინერება ორ სიტყვად: **შუა საუკუნეების**. იხ. ორთოგრაფიული ლექსიკონი, გვ. 858; ბ) **ტიპოლოგიურ მიმართებაში** გახლავთ რუსულის კალკი. ქართულია **ტიპოლოგიური მიმართებით**. საერთოდ კი ამ ხოხილანგრა სათაურს ასე შევამსუბუქებდი: ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი (**შუა საუკუნეების ფრანგული რაინდული რომანისა და ვეფხისტყაოსნის ტიპოლოგიური მიმართებანი**).

ეგ ორუცნობიანი განტოლება, ანუ ორშეცდომიანი სათაური, თითქოს გასხმარტალებული ქართულით იყოს შედგენილი, გამეორებულია მე-3 გვერდზეც.

ავტორს ახასიათებს ტავტოლოგიური სიყრუე. მის სმენას არასოდეს აწუხებს თანდებულთა რახარუხი. ამიტომაც ყველგან ასე წერს: **აზროვნებასთან და მწერლობასთან (6); რუსთველთან და პრო-**

ვანსელ **პოეტებთან** (10); **კაცებისადმი და ქალები-სადმი ...**

ორთოგრაფიული წუნის ნიმუშებია: ტიპიური (12); გაუჟღენთავს (107); ტრადიცია გააჩნია (8). ამ შეცდომათა ახსნა-განმარტებას ახლა არ შევუდგები.

გაუმართავ წინადადებათა ტევრში დილის მამალივით ყივის ეგ ნიმუში: „აღნიშნული მეთოდის მისადაგება განსაკუთრებით აქტუალურია რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ“ (8).

მაშასადამე, იძულებული ვხდები, გავიმეორო რუსთველის ნათქვამი:

რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!

2024 წ.

ერთი მკვლევრის მარტვილობა

გურჯი გონჯილაშვილის გონჯი ნარკვევები-სათვის, რომლებიც ჟურნალ-კრებულებში იბეჭდებოდა, არაერთხელ გამიკრავს კბილი, ოღონდ ცალკე გამოცემული ნიგნების განსახილველად დრო ვერ ვიპოვე. არადა აქ კრიტიკოსის „სამკალი ფრიად არს“ და ამ მოსავლის უყურადღებოდ დატოვება არ ეგების. ამიტომაც დროა, მკვლევრის ნაშრომები განვიხილო, ვუჩვენო მათი ავ-კარგი. საზოგადოებრივი უნდა მოგახსენოთ – მისი შემოქმედება მიქმნის ასეთ საერთო შთაბეჭდილებას: კალმოსანს სწადია რაიმე თქვას და დაწეროს „ვეფხისტყაოსანზე“, ოღონდ მეცნიერულს ვერაფერს აგნებს, ვერაფერს ხსნის და ამიტომ იძულებულია, თითიდან გამოწვივოს თემებს, საკითხებს, ცალკეულ საგნებსა თუ სახელებს ჩააფრინდეს, „შეისწავლოს“ პოემისადმი მათი მიმართება და ამ გზით რაღაც გააკეთოს. ამიტომაც თუა: კითხულობ კალმოსნის შენიშვნას, ნერილს, სტატიას, ნიგნს, ოღონდ ნაკითხვის შემდეგ თავში ახალი არაფერი გრჩება, არავითარი მიგნება, აქამდე დაფარული საიდუმლოსთვის ფარდის ახდა არ ხდება; მაშ, შედიხარ სამეცნიერო ტევრში იმიედით, რომ რაიმე ფაქტს, მოვლენას აგისხნიან, რაც არ იცოდი; ისეთ რასმე შეიტყობ, აქამდე რომ

არ გსმენია; იმგვარ რასმე გაიგონებ, რაც გაგაოცებს, მაგრამ იმედი გიცრუვდება, როდესაც ნერილის კითხვას დაასრულებ ან წიგნს მთლიანად გაეცნობი. ერთადერთი, რაც ხელში შეგრჩება – ეს არის ამაოდ დახარჯული დრო; მაგრამ ჩვენი ადრესატის ნაშრომებს სხვა ჭირიც ასდევნებია. ერთი მხრივ, ეს არის აზრობრივი გადაცდომები (ტექსტის არცოდნიდან გამომდინარე) და, მეორე მხრივ, ენობრივი ხარვეზები, ელემენტარული გრამატიკული წესების უგულვებლყოფა. ისინი ერთმანეთზე ისეა გადახლართული, მათი განცალკევების დრო და თავი არა მაქვს. ამიტომ უფრო ხშირად ერთუროთისაგან განუშორებლად განვიხილავ.

მკვლევარმა 2017 წელს გამოუშვა სტატიების კრებული. მას ეწოდება ასე: „ვეფხისტყაოსნის პარადიგმული **სახისმეტყველება** და **განსახოვნების** თავისებურებანი”.

ჯერ ერთი, უკვე სათაურია უგერგილო და უნირო. საქმე ისაა, რომ **სახისმეტყველება** და **განსახოვნება** ერთი და იგივეა და ამას ვერც ავტორი და ვერც რედაქტორ-რეცენზენტები ვერ მიმხვდარან. მაშ, **განსახოვნების** ნაცვლად უნდა ყოფილიყო სიტყვა **მისი**.

ამრიგად, ავტორი სათაურის გამოძებნასაც ვერ ახერხებს და იოლი წარმოსადგენია, რა იქნება შიგნიტექსტში!

ყოველგვარი თავმდაბლობის თვინიერ ვიტყვი: გახლავართ ფრიად გამოცდილი სტილისტი და ტექსტოლოგი, ოღონდ ვერაფრით მივმხვდარვარ, რა აზრია ამ უაზრობაში:

„წარმოდგენილი პრობლემატიკა, ძირითადად, „ვეფხისტყაოსნის“ პარადიგმული სახისმეტყველების კვლევა-ძიებას მიემართება“ (გვ. 3).

აქ კარგად ჩანს: ავტორს არ აქვს სათქმელი და სწადია რაღაცა თქვას. ამას მოწმობს ერთგვარი უნიჭო სქოლასტიკური „ბმა“: **წარმოდგენილი პრობლემატიკა... კვლევა-ძიებას მიემართება**”. შეუძლებელია ამ დომხალმა ვინმეს რაიმე აზრი, იდეა, განცდა გაუჩინოს.

აქ მკვლევარი იქცევა გლახა ჟურნალისტივით: წერს იმას, რაც მას უნდა, და ვერ ითვალისწინებს იმას, რა სწადია მკითხველს.

ახლა ვნახოთ ზუსტად ამგვარი მეორე არასამაგალითო მაგალითი:

„წინამდებარე წიგნში შესულ ნაშრომებს, რომლებიც ირაციონალური სამყაროსა და ყოფითი ცხოვრების ამა თუ იმ სახე-სიმბოლოსა და მოვლენის წვდომას მიემართება...“ (7).

აქაც იგივე ბუუტურმეტყველება. გავსინჯოთ „ბმა“:

„ნაშრომებს, რომლებიც ... მოვლენის წვდომას მიემართება“.

ვხედავთ: ორივეგან მოხმობილია ბახმაროს ნისლივით ბუნდოვან-დამაბნეველი უაზრო სიტყვა – **მიემართება**.

არაფრისმთქმელი ბუუტურმეტყველება ასე გრძელდება:

„ვეფხისტყაოსანი მხატვრული განსახოვნების მრავალფეროვნებით, სახეემნადობათა შინა-არსით (სხვა რიგის საკითხთა მსგავსად) გამორჩეულია მსოფლიო მწერლობაში“ (7).

აი, რქუა რუქამ არაკი!

ასე ხომ ყველა დიდ ოსტატზე ითქმის?

განა „ვეფხისტყაოსნის“ ალაგას რომ „დავითიანი“ ჩავსვათ, რამე შეიცვლება? ეჭვი არაა, იქვე შეიძლება ჩავწეროთ ბიბლიის ცნობილი ნიგნი „დავითნი“. კიდევ მეტი, **გალაკტიონი** რომ ჩავწეროთ, არ ივარგებს? გალაკტიონიც ხომ ამით არის გამორჩეული მსოფლიო მწერლობაში?!

მაშ, ნ. გონჯილაშვილი ამზადებს პრეზერვატივს, რომელიც ყველას მოერგება. აი, მთელი მისი მეცნიერება!

აქვე შევნიშნოთ: ავტორს თურმე აღარ მოსწონს ილია ჭავჭავაძის შემოტანილი ტერმინი **შინა-არსი** და ასე ასხვაფერებს მას: **შინა-არსი**. აბა, რა: მკვლევარმა გამართული ქართულით წერა-მეტყველების იმ დონეს მიაღწია, რომ ახლა თავად ქმნის ახალ ტერმინოლოგიას. არადა სინამდვილეში წერა-კითხვის მცირემცოდნე პროფესორ ირმა რატიანს დიდად როდი ჩამორჩება. ამის დამტკიცებაზე იოლი არაფერია და მეც საამისოდ ჯეროვნად გავირჯები.

წერია: „რუსთველურ სახექმნადობათა თავისებურებების შესწავლა ახალ ინტერპრეტაციათა გააზრებისათვის ერთობ მნიშვნელოვანია“ (8).

აქ რა აზრია გადმოცემული, ის რომ გავიგოთ, დელფოს მისნებს უნდა დავეკითხოთ.

ქალბატონმა ისიც კი არ იცის, როგორ გადმოგვცეს უბრალო აზრი. უწერია: „ერთიანი თვალთახედვის შექმნისათვისაა მონოდებული“ (8). ამ შეცდომას ყველგან იმეორებს.

რა თქმა უნდა, ასე უნდა დაეწერა: **მისი მონოდებაა, ერთიანი თვალთახედვის შემუშავება, ჩამოყალიბება...**

ოღონდ, ეგ რომ გააკეთო, ქართული ენა სამიანზე მაინც უნდა იცოდეს!

არის: „**მრავალრიცხოვან მოსაზრებათა შორის**“ (8).

მკვლევარს არა სცოდნია მესამე კლასის პროგრამა. სწორია არა **ბევრი კაცები**, არამედ **ბევრი კაცი**; არა **მრავალი შენობები**, არამედ **მრავალი შენობა**; არა **მრავალრიცხოვანი მოსაზრებები**, არამედ **მრავალრიცხოვანი მოსაზრება**.

ასეა: როცა ელემენტარული რამ უნდა აუხსნა პროფესორს, გინევს ოლიმპოდან ძირს ჩამოსვლა.

ერთი სიტყვით, ნიგნის წინათქმა მთლიანად აბსურდია და ლაურა გრიგოლაშვილს, ნესტან სულავას, ხვთისო ზარიძეს (რედაქტორ-რეცენზენტებს) ეს ვერ შეუნიშნავთ.

ყოჩაღ რეცენზენტს!

ყოჩაღ რედაქტორს!

ჩვენს მკვლევარს არ ესმის ის დიდი განსხვავება, რაც არის **ვეფხვსა** (ტიგრი) და **ვეფხს** (ავაზა, პანტერა...) შორის. ამიტომ მუდამ იყენებს მცდარ ფორმას **ვეფხვი** (იხ. 48-54 გვ.). ასევე ყოველთვის არასწორადაა (არამეცნიერულადაა) გაფორმებული პოეტის ზედწოდებაც – **რუსთაველი** (იხ. მთელი ნიგნი).

ავტორი მსჯელობს რუსთაველისა და გალაკტიონის ლიტერატურულ ურთიერთმიმართებებზე. მსჯელობა ზედაპირულია: არც მეცნიერულია, არც

ესეისტური, არც მხატვრულ-ემოციური. ერთი სიტყვით, არაფრისმომცემი „ლაყაბია“ (54-59).

აი, ერთი კლასიკური ლაყაფი:

„სამშობლოს მიმართ რუსთაველის ერთგვარ მონოლოგ-აღსარებას გალაკტიონი საკუთარ სათქმელად იხდის“ (55).

ქ-ნმა გონჯილაშვილმა რუსთაველის ცალკეული ტაქეებიც კი არ იცის ზეპირად (მათ სწორადაც ვერ გვინერს); მე მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად ვიცი და „**სამშობლოს მიმართ რუსთაველის ერთგვარი მონოლოგ-აღსარება**“ ვერსად დავლანდე. ეს რომ სადმე ყოფილიყო დაფიქსირებული, პოემის ჩემეულ გამოცემაში (ყველაზე ვრცელი გამოცემა რომაა) არ შევიტანდი?!

მაშ, მეცნიერმა არ იცის: არსად არ ჩანს რუსთაველის პატრიოტიზმი, მისი „**სამშობლოს მიმართ... აღსარება**“.

სრულიად უმეცრულია გონჯილაძისეული ტერმინი, ანუ ახალიზმი: **ქვეყნის შეუპოვარი ბუნება** (55). შეუპოვარი არის ხალხი, პიროვნება (მაგ., ალუდა ქეთელაური, ზვიადაური, მერაბ კოსტავა), ოლონდ ბუნება – არა. ის შეიძლება იყოს მწყაზარი, კეკლუცი (ვთქვათ, გურიისა), მშვენიერი, ჯადოსნური, ზღაპრული („ველთა ზღაპარს მეუბნება“), ოლონდ არა შეუპოვარი.

უკუღმა უნდა გქონდეს კაცს ტვინი მოწყობილი, რომ ასეთი რამ წამოგცდეს. ეს სისულელე მაინც ამოეშალათ რეცენზენტ-რედაქტორებს! ვერა, ლ. გრიგოლაშვილი და ხვ. ზარიძე ამ ფაქიზ ნიუანსს ვერ ჩასწვდებოდნენ, მათ ამდენი ქართული არ იციან, ოღონდ ნესტან სულავასი ვერაფერი გამიგია! იმან ხომ მშვენივრად უნყის, რა ხვითოცაა ხსენებული სინტაგმა-ნეოლოგიზმი?!

ქ-ნ ნესტანს მაინც უნდა დაენახა მწყრის ორი დღის ლაპივით უმწეო და უდღეური ეს თქმაც: „გალაკტიონი რუსთველური სიტყვით **სახელდება** ამ კუთხეს...“ (55).

56-ე გვერდზე გაშლილია ფუჭი (უშინაარსო) ლაყბობა **ქართული ყანებისა და ვეფხის ტყავის** შედარებაზე. გურჯმა გონჯილაშვილმა რომ „შაჰ-ნამე“ იცოდეს, შესანიშნავ იდეას განავითარებდა ამ თემაზე, ოღონდ არ იცის და რა ქნას! ქ-ნო მკვლევარო: „შაჰ-ნამე“ გატენილია ვეფხის ტყავთან ირანის მინდორ-ხოდაბუნების პარალელითა და შედარებით!

სწორედ ამის უცოდინარობა ინვეეს მკვლევრის კატასტროფულ შეცდომას, როცა ამტკიცებს: „ვეფხვის ქვეყნის სახე-სიმბოლოდ აღქმა“ ქართველ პოეტთა სპეციფიკა და ჩვენი ბუნებით გაპირობებული ფენომენიაო.

თუ ეგ აგრეა, მაშინ რა ვქნათ, ფირდოუსი ყველა ფეხის ნაბიჯზე რომ ამბობს: ირანის ველები, ნამეტნავად დამუშავებული, ვეფხის ზურგსა ჰგავსო?!

ახლა კი როგორ მოვიქცეთ, სად წავილოთ, სად შევჩერთოთ ამ პარალელის **ქართულ-სპეციფიკური თავისებურება?!**

ერთგან ასეთი რამე წერია:

„როგორც რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“ თამარის დავალებით წერს“ (59).

ჩვენი მკვლევარი არ ერიდება ხალხურ წარმოდგენებს, ლეგენდებს და მათ სარწმუნო წყაროდ წარმოისახავს. არადა კარგა ხანია, ცნობილია: ხალხური ლეგენდა ან ეტიმოლოგია ყოველთვის ყალბი და რიოშია, მისი სათოფეზე მოშვებაც კი არ შეიძლება.

ახლა კი ავუხსნათ ჩვენს „ნორჩ“ მკვლევარს: შემოქმედს შეიძლება დაავალო სახოტბო ლექსის, ლირიკული პოემის (ვთქვათ, „ქებანის“) შეთხზვა, ოლონდ რომანის (მეტადრე მხატვრულ გამონაგონზე აწყობილი რომანის) დანერას ვერ დაუკვეთ. ასეთი რამ არასდროს მომხდარა. პროლოგში რუსთველი მკაფიოდ აცხადებს: როგორც სხვებმა, ისე მეც შევთხზე თამარის ხოტბა, ანუ **ქებანი**, და ის, სხვისაზე უკეთესი თუ არა, არც ნაკლები გამოვიდაო.

რაც შეეხება პოემას – ეს დიდი შემოქმედებითი ნვის შედეგია და არანაირი კავშირი არ აქვს პატრონების – თამარისა და დავითის – თხოვნასთან, დაკვეთასთან.

მეორეც, რომელ წყაროში ნაიკითხა გონჯილაშვილმა, რომ რუსთველმა პოემა ვისიმე შეკვეთით დაწერა?

ასეთი ისტორიული დოკუმენტი არ არსებობს.

მკვლევარმა არ იცის, რაა **ნატი** და ეს ნივთი საგანგებოდ შეკერილი ჰგონია. ამიტომაც წერს: „ასმათის შეკერილი ვეფხვის ტყავის ნატებიო“ (77).

ავუხსნათ, თუ რასა კერავდა ნესტანის შიმუნვარი.

ასმათი კერავდა არა ნატს, რომელსაც არავითარი **შეკერვა** არა სჭირდება, არამედ **ვეფხისა ტყავის კაბას**. ტარიელი ავთანდილს უხსნის, თუ რად აცვია ამგვარი სამოსელი:

რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს;
ესე ქალი შემიკერავს, ზოგჯერ სულთქვამს,
ზოგჯერ ახავს...

ამრიგად, **იკერება** ვეფხის ტყავის **ტყავკაბა** და არა ნატი. ქვეშ დასაფენ ტყავს, ანუ ნატს, რომელიც იყო თხისა, ოდესღაც დედა ჩვენ, ყმანვილებს,

ყოველთვის გვიფენდა სანოლის ახლორე, რათა ლოგინში შენოლის წინ შიშველი ფეხისგულებით ცივ იატაკზე არ ვმდგარიყავით. ტყავის ნაჭერი ან მრგვალი იყო, ან ოთკუთხედი და მას არავითარი კერვა არა სჭირდებოდა!

მთლად კურიოზულია მომდევნო „სიბრძნე“:

„თინათინის „ობოლმა მარგალიტმა“ ავთანდილს, **როგორც ქრისტიან მხედარს**, სულიერი მღვიძარება უნდა დაუმკვიდროს“ (189).

ქ-ნო ნესტან, ნუთუ ეს სისულელეც ვერ შენიშნეთ?! ხედავთ, მეგობრებო, არაბი ავთანდილი, რომელიც სალოცავად მეჩეთში შედის (და ეგ აღწერილია პოემაში), ახლა **ქრისტიანი მხედარიც** გახდა.

მკრეხელობა ამაზე შორს ველარ წავა!

აი, ვინ უფუჭებს სახელს რუსთველოლოგიას;

აი, ვინ უფუჭებს სახელს ლიტერატურის ინსტიტუტს!

მე, როგორც რუსთველის შემოქმედების მცველი და პროპაგანდისტი, ამ მომაკვდინებელი შეკითხვის პასუხს ნესტან სულავასაგან ველოდები. პასუხს ნორმალური ენით მაინც გამცემს.

ჩვენი მკვლევარი ოდესღაც გულუბრყვილოს მთელი სითამამით გვაუწყებდა, რომ „ყაბაჩა და ერთი რიდე“, რომელიც ნესტანმა ინდოეთიდან თინათინს გაუგზავნა, არის ის „ყაბაჩა და ერთი რი-

დე”, ოდესღაც ტარიელმა რომ აჩუქა შეყვარებულსო.

ეგ ყოვლად მიუღებელი ბავშვური აზრი ასე გააკრიტიკე ჯერ კიდევ 2001 წელს: „გაუგებარია, თუ საიდან დაადგინა მკვლევარმა, რომ ეგ „ყაბაჩა და ერთი რიდე“ მაინცდამაინც ის ყაბაჩა და რიდეა, ნესტანს რომ ტყვეობაში ეცვა და არა ახალი და სხვა? როგორც ვიცით, ამის თაობაზე არც პოემაშია რაიმე მინიშნება და არც საგანგებო რამ ახსნა-განმარტებითი ბარათი დარჩენია რუსთველს. სახელდობრ ამ ყაბაჩასა და რიდეს არ გაუგზავნიდა ნესტანი თინათინს. ჯერ ერთი, 10-11 წლის განმავლობაში ნახმარი ყაბაჩა-რიდე, ისიც კუთხეჩამოჭრილი, თინათინს არად გამოადგებოდა; მეორეც, თუ ყაბაჩა-რიდის ჩუქება უნდოდა, იქვე, არაბეთში ყოფნისას, ვერ უძღვნიდა? მესამეც, თუ ეს იმ რიტუალის აღსრულებაა, „ფატას“ რომ მომავალ გასათხოვარ ასულებს ესტაფეტად გადაუგდებენ უკვე ჯვარდანერილი ქალები, მაშინ ეს ნესტანს თინათინის გათხოვებამდე უნდა გაეკეთებინა და არა მას შემდეგ, როცა თინათინი კარგა ხნის გათხოვილია და ინდოეთიდან შინდაბრუნებულ ავთანდილს, ვინ იცის, ეგების ხელში ჩვილი ბავშვითაც კი მიეგება... არა! ნესტანმა თინათინს სხვა, ახალი სასაჩუქრო „ყაბაჩა და რიდე“ გაუგზავნა. ამ საჩუქარს არა-

ვითარი სხვა დანიშნულება არა აქვს, გარდა ყურადღების გამოჩენისა და ხსოვნის დადასტურებისა. იგი ეტიკეტის ელემენტია“ (იხ. მ. თავდიშვილი, რუსთველოლოგიური კრიტიკა, I, გვ. 309-310).

ამ „შემოლანუნების“ შემდეგ ჩვენი ავტორი მოჭკვიანდა. ახლა აცხადებს (შემომლანუნებლის დაუსახელებლად): „შეხედულებას, რომ ნესტან-დარეჯანმა თინათინს თავისი ყაბაჩა და რიდე გაუგზავნა, ჩვენც ვიზიარებდით, კერძოდ, სტატიაში – „ყაბაჩა და ერთი რიდე“... თუმცა ახლა ვფიქრობთ, რომ ეს სხვა ყაბაჩა და რიდეა“ (254).

ერთი კარგი აზრი კი გამოთქვა ჩვენმა მკვლევარმა, ოღონდ მიზანს ვერ მოარტყა, შეეძლო კარგად გამოეყენებინა, ოღონდ ვერ გამოიყენა. აქედან ჩანს: კალმოსანი არაა მკვლევრად დაბადებული! იგი წერს:

„რუსთველმა „ყაბაჩა და ერთი რიდის“ ამბავი პოემის ბოლოს დაასრულა, ინდო-ხატაელთა ამბისა და ინდოეთში ტარიელ-ნესტანის ქორწილის შემდეგ, რაც „ვეფხისტყაოსნის“ წრიული კომპოზიციის პრინციპს მიჰყვება“ (255).

ამის იქით ჩვენი „მკვლევარი“ არ იყურება, მისი სამეცნიერო მზერის რადიუსი ერთობ მოკლეა. არადა ეგ დებულება სწორია, ოღონდ მას მეცნიე-

რული გამოყენება სჭირდება. აი, როგორ ვიყენებ ამ მტკიცებას მე:

დასტურ ასეა: **„ყაბაჩა და ერთი რიდე“**, როგორც ნივთები და როგორც მყარი გამოთქმა, პოემის შიგნიტექსტში არაერთხელ მეორდება და ბოლოს იგი ამ თემას ასრულებს და ხურავს „ინდო-ხატაელთა ამბავში“. ამგვარი **დახურვა** „ამბავში“ სხვაც შეინიშნება, მაგალითად, ასეთია **ნათლის სვეტი**, არაერთი სხვაც. ეგ კი დადასტურებით მონიშნავს: **„ამბავი“ პოემის ორგანული ნაწილია**.

აი, კიდევ ერთი არგუმენტი „ამბის“ სასარგებლოდ, ანუ ის, რასაც მთელი სიცოცხლე ვამტკიცებდი (ამ მხრივ იხ. „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, ჯერ კიდევ 1991 წელს გამოცემული).

მონოგრაფიაში ერთგან ასეთი აზრია გატარებული:

როცა ტარიელის მიმართ კეთილგანწყობილია სატრფო, მაშინ ის არისო მზე და მთვარე, ოღონდ, როცა გა-ცა-მწყრალია ვაჟზე, მაშინ (ტარიელის თვალთამბერით) აღარც მზეა და აღარც მთვარეო. მერე მოყვანილია სცენა, როცა ნესტანმა მის გათხოვებასთან დაკავშირებული თათბირის ამბავი გამონვლილვით შეიტყო და ტარიელის უდანაშაულობა დაიდასტურა, როგორ მოღბა და დატკბა.

მკვლევარი დასძენს: „აქ უკვე მყარდება ჰარმონია – **ნესტანი მზეც გახდა და მთვარეც**“ (22).

ამ თავის მცდარ და საყვარელ „მიგნებას“ ავტორი სხვა გვერდზეც იმეორებს. გათხოვების თათბირის შემდეგო „ტარიელისაგან ნესტანის სახების აღქმა სრულიად განსხვავებულია მანამდე არსებული მისი ხედვისაგან: „არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე“, – ამბობს გმირი“ (311). იქვე, ახლო-რე, ეს აზრი კიდევ უფრო გაუკიდურესებულია: „ტარიელის აღქმაში ნესტანის პიროვნული, ბუნებრივი იდილია სადღაც გამქრალიყო; გარეგნობას, სიტყვას, ბგერასა და ჟესტს უწინდელი ჰარმონია დაჰკარგოდა, ამოვარდნილიყო ჩვეული კალაპოტიდან“ და ა.შ. და ა.შ. (311).

დროა, ლაგამი ამოვდოთ მკვლევრის დაუდევარ მერანსა და მის ქროლვას, დროა, ავუხსნათ ცხენზე ამხედრებულ ქალბატონს, რომ **აქ არაფერია კალაპოტიდან ამოვარდნილი, რომ აქ უკან არ იხევს ასტრალური შედარება, რომ ნესტანი არ კარგავს არცა მზეობას, არცა მთვარეობას.**

მაშ, აქ მჭვირვალეებს სრული არცოდნა რუსთველის „უარყოფითი შედარებისა“, ანუ პოეტიკისა.

ტარიელი გამწყრალ სატრფოსთან მივიდა. თვითვე გვიყვება:

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრაღსა ვეფხი
პირგამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე...

აქ ნათქვამი „**არცა მზე ჰგვანდა**“ ნესტანს და „**არც მთვარე**“ ბევრს (და, რა თქმა უნდა, ჩვენს „ნორჩ“ რუსთველოლოგსაც) უკუღმა ესმის. უკუღმა იმიტომ ესმით, რომ სხვათა („გარეგანთა“) ნაწერებს არ კითხულობენ. არადა ამ პოეტიკურ „ხიმანკლობაზე“ არაერთგან მივუთითებ (იხ. რუსთველოლოგიური კრიტიკა, I და II ტომები). აქ კი მოკლედ ვიტყვი: რუსთველი იყენებს როგორც დადებით, ისე **უარყოფით შედარებას**. ნესტანი იმავე თავში ჯერ მთვარეა. აბა, ნახეთ: „შევე, ვნახე **იგი მთვარე**“. ხედავთ, ნესტანი მთვარეა. იმავე თავში ავტორს სწადია ისევ მზესა და მთვარეს შეადაროს ქალიშვილი და აქ უკვე გატკეპნილ გზას აღარ ადგება: იყენებს ე.წ. „უარყოფითი შედარების“ ხერხს, როცა წერს: „**არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე**“. ეს კი ნიშნავს: ისე ლამაზი იყო, არც მზე და არც მთვარე არა ჰგავდა, რაკილა მათზე უფრო ლამაზი იყო. ამგვარი შედარებებით გატენილია პოემა, ოღონდ საამისოდ საჭიროა ტექსტის ჯეროვნად ცოდნა. აქ მოკლედ ვიტყვი, რომ მსგავსი შედარებებია: ტარიელი ისე ცუდად გახდა, რომ არ ჰგავდაო მას არცა

მკვდარი, დასვენებული სამარის პირას; სხვაგან ასეთი შედარებაა: ჩემი გული არა ჰგავს სიპის კლდეს, იმაზე მაგარია და იმიტომო; ისეთი ზეიმი და ზარი იდგა, ის დღე აღდგომის დღესაც არა ჰგავდაო. ესე იგი, არ ჰგავდა, რამდენადაც აღდგომის დღეზე უკეთესი იყო! მე ისიც კი დავადგინე, რომ ეგ ხერხი არაა რუსთველის ორიგინალობა. ამ უცნაურ და საინტერესო ხერხს იყენებდნენ მისი წინამორბედი და მასწავლებლები: ონსორი, ფირდოუსი, ნიზამი... ერთგან „ხამსეში“ წერია: ჩვენი ესა და ეს მტერი ისე საშინელია, არ ჰგავს არცა დრაკონსო. ესე იგი, დრაკონზე უფრო მაგარი დრაკონია და ამიტომ არა ჰგავს ჩვეულებრივ ურჩხულსო.

ასე რომ, მითითებული პოეტური სახე რომ გახსნა, უნდა იცნობდე აღმოსავლურ პოეტიკასაც.

ვტრაბახობ იმითაც, რომ ქართულ ფოლკლორში აღმოვაჩინე შედარების მსგავსი კონსტრუქცია, ანუ შევნიშნე ის, რასაც მავანი ვერასოდეს შენიშნავდა. ერთი ფრიად პოპულარული გამოთქმა გვაქვს, რომელსაც წამდაუნუმ ვიყენებთ. რომელიმე თავხედზე ვიტყვით ხოლმე: „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამინა – ქალამნად“.

ესაა „უარყოფითი შედარების“ კლასიკური ნიმუში, ნიშნავს: იმ თავხედს ცა ქუდად მიაჩნია და

მინა – ქალამნად, ოღონდ ესეც ეცოტავება და ამჟამად ცასაც აღარ სჯერდება ქუდად და დედამინას – ქალამნადაო.

ვფიქრობ, გამგები გამიგებდა, ხოლო დაბდურებისა და იმბეცილებისათვის (იმბეცილი – რალაც საშუალო იდიოტსა და დებილს შორის) მე არა ვწერ!

ნიგნში გაშლილია ფართო ზოგადი მსჯელობა **ვეფხვის** ტყავსა და ვეფხისტყაოსნობაზე. ეს ისედაც კარგად ცნობილია და მასში ახალი არაფერია (22-46).

ერთობ „საინტერესოა“ დასკვნა: „რუსთაველია ვეფხვის ამგვარი სახისმეტყველების საფუძველდამდები, დამამკვიდრებელი და აღნიშნული სახეყმნადობის **შემდგომი პერსპექტივების გზის დამსახავი**“ (53).

თავი დავანებოთ აქ გაჟღერებულ საშინელ ქართულს. რა აზრი გამოდის აქედან?

გამოდის, რომ ამის დამწერს საერთოდ არ ესმის მხატვრული აზროვნების სპეციფიკა, მხატვრული ტექსტის არსი, პოეტური სახის ორიგინალობის ამბავი. ამის მაცნეა საგანგებოდ ხაზგასმული სიტყვები: „**შემდგომი პერსპექტივების გზის დამსახავი**“. თუ ამგვარი სახისმეტყველების მესაძირკვლე რუსთველია, ამ სახეს, ვეფხისტყაოსნობის

მეტაფორას, პერსპექტივა არ შეიძლება ჰქონდეს. მისი პერსპექტივა იქნება **ეპიგონობა**.

მართალია, შეცდომის არსი ავუხსენი ქ-ნ მკვლევარს, ოღონდ მეეჭვება, აქედან რაიმე გაიგოს.

ზოგჯერ ისეთ კალამბურს გვთავაზობს ავტორი, ძნელდება იმის დადგენა, ეს უბადრუკობა აზრობრივ შეცდომად შევრაცხო თუ ენობრივ ხარვეზად. სწორედ ასეთია სიტყვათა ეგ გროვა: **„ეს ეხება არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ პოეტურ სიტყვაქმნადობებს, არამედ სხვა თემატიკის ლექსებსაც“** (54).

ამ მხრივ არც ეს ფრაზაა მისაყურისძირებელი: „რუსთაველი თავის სახე-ფერად ტარიელს ან ავთანდილს სახავს“ (58).

ქ-ნო ნესტან, ამ წიგნის დიდებულო და სახელოვანო რედაქტორო, როგორ გავიგოთ ეგ რეზუსი; ეგების შემატყობინოთ ამ ფრაზის შიფრი?

როგორც გონჯილაშვილის ყველა წერილსა და წიგნში, ისე აქაც „უამარია“ ენობრივი ღლიცინი, არაფრისმომცემი ტლიკინი, გაურკვეველი სინტაგმები, უგერგილო სინტაქსური ბმები და ა.შ. აი, მკაფიო ნიმუშები: **„სამ დიდებულთა თათბირი“** (65). ამას ნებისმიერი მესამეკლასელი დაწერს სწორად: **„სამი დიდებულის თათბირი“**; „სხვადასხვა მოძ-

ღვრებათა“ (67). მესამეკლასელი ამას ასე გააფორმებდა: „სხვადასხვა მოძღვრება“; პირდაპირ გულის შემანუხებლად ბევრია **ბენაშვილიზმი**: „ვფიქრობთ, ძნები, სიმბოლურად, ერთად თავმოყრილი, იმ კულტურის საგანძურია...“ (69).

აქ ორი მძიმე არადსაღირალია. რომლები? ამას არ ვეტყვი არც ავტორს, არც მის რედაქტორს. ვნახოთ, რომელი უფრო ადრე მიხვდება!

ხშირად არის გამოყენებული კონტამინირებული „იხილვება“ (71 და ყველგან).

რა თქმა უნდა, ავტორს იმისი ფაქიზი შეგრძნება არ აქვს, რომ **ადამიანს** აქვს **თავისი**, ხოლო **ადამიანებს თავიანთი** სადარდელი. ამადაც გვინერს: „მათ **თავისი** არქეტეიპული ძირები აქვთ“ (177); ახლა რომ ციტატას მოვიყვან, იმაში ოსტატურადაა შეწნულ-შეხლართული **ბენაშვილიზმი** და **რატიანიზმი**: „ტაეპი ჯვარსახოვნებით წასაკითხია. ჰორიზონტალური შინაარსით, ავთანდილის ამ თხოვნაში თინათინის ასტრალურ მნათობთან გატოლება წარმოისახება“ (178).

არც ეგ ადგილი წაგიკითხავთ, ე-ნო ნესტან?

ეს რომ ნეტარხსენებულ დედაჩემს წაეკითხა, იტყოდა: „შენ კი დეილუპე საცხა!“

„სხვაგნით სხვათა“ წერია:

„თავსა და ტანსა ემოსა გარე თმა ვეფხის ტყავია“ (201, 3) – ეუბნებიან ძმები ტარიელის საძებრად წასულ ავთანდილს“ (9).

აქ ხელთა შეგვრჩია ორი მამალი შეცდომა და უაზრობა. ჯერ ერთი, ვინაა ეგ ძმები? ეს არსადაა ახსნილი. მკითხველს ეგ მაინც არ უნდა უთხრა? ალბათ იგულისხმება ძმები გარაყანიძეები, არა?

მეორეც, ამ დროს რა ვიცით, რომ „უცხო მოყმეს“ ტარიელი ჰქვია?!

ყოველივე ეს „მკვლევარს“ ფეხებზე ჰკიდია!

ვეფხისტყაოსანი – როგორც სათაური – რომ გაარკვიოს, მოჰყავს ყველას თვალსაზრისი და არ ეყო მეცნიერული განჭვრეტა, გამოერჩია მთავარი და სწორი მინიშნება მიხეილ ქურდიანისა. ეგ მოსაზრება მას სხვა მოსაზრებებზეთ შორეული და არაფრისმთქმელი ეჩვენა და ამიტომაც ვერ მივიდა სიმართლესთან. აი, რა სწორი ორიენტაცია და გეზი დასახა მიხეილ ქურდიანმა: „მეცნიერი მოიხმობს ნიზამი განჯელის „ლეილი და მაჯნუნის“ ერთ ეპიზოდს, როდესაც მაჯნუნი შლის ლეილის სახელს, ტოვებს მხოლოდ საკუთარს და თავადვე განმარტავს ამგვარი ქცევის მიზეზს – რომ სატრფო მას-შივეა ჩაბუდებული და სჯობს, ის სატრფოს ნილაბი იყოს ან „ტვინის ირგვლივ კანი“. მ. ქურდიანი განმარტავს, რომ ორი პიროვნების შეერთების აღსა-

ნიშნავად ერთი ნიშანია საჭიროო და დასძენს: „ნესტან-დარეჯანისადმი სიყვარულმა აქცია ტარიელი ვეფხისტყაოსნად, ისევე როგორც ლეილისადმი სიყვარულმა აქცია ყაისი („კაისი“) მაჯნუნად. ამიტომ მაჯნუნი გულისხმობს ლეილის (და, ცხადია, ყაისსაც), მაგრამ არა პირიქით, და ვეფხისტყაოსანი გულისხმობს ნესტან-დარეჯანს და, ცხადია, ტარიელსაც“ (ქურდიანი, 1998, 20).

აი, ეს ხაზი უნდა განევითარებინა ჩვენს ავტორს, მაგრამ მკვლევრის გეშისა და ნიჭის ნაკლებობის გამო ვერ განავითარა. მან არც კი იცის, რომ სწორედ ეს ნაყოფიერი ხაზი წარმატებით იყო განვითარებული და ბოლომდე მიყვანილი ჯერ კიდევ 2000-2011 წლებში. ესე იგი, ავტორი საკითხის ისტორიასაც არ იცნობს.

ჯერ მივუთითოთ ჩვენს „ნორჩ“ მკვლევარს ზოგიერთი საამრიგო ნარკვევი და მერე წარმოვადგინოთ ზოგიერთი საამრიგო თეზისი:

ა) „შენებებული გულების საიდუმლო ვეფხისტყაოსანში“ (იხ. მ.თავდიშვილის „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, 2000);

ბ) „ქართული პოემის სათაურის გენეზისისათვის“ (იხ. მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, 2011).

ამ ორ სტატიაში ნაჩვენებია ის, რაც ჩვენს მკვლევარს სიზმრადაც არ დაესიზმრება. კერძოდ, აქ დადგენილია: „ლეილი და მაჯნუნში“ ნიზამი ავითარებს იდეას: ღვთისაგან „ერთ სულ და ერთ ხორც“ ჩაფიქრებული ორი ნახევრის ცალ-ცალკე არსებობა არასწორია. ისინი უნდა წარმოვიდგინოთ ერთ ერთიანობად, შეერთებულ წრეებად, ნუშის ორ გულად, რომლებიც ერთ ნაჭუჭშია მოქცეული. აქედან გამომდინარეობს ორი ცალკე დაწერილი სახელიდან „ლეილი“ და „მაჯნუნი“ ერთის (ლეილის) გადაშლა და მხოლოდ მაჯნუნის დატოვება, რაიც იმთავითვე გულისხმობს ლეილისაც, რაკიდა, პლატონის იდეის მიხედვით, ღვთის მიერ ერთარსებად ჩაფიქრებული ორი „პალავინკა“, ორი ნახევარი საბოლოოდ ღვთის ნებისაებრ უნდა შეერთდეს და შექმნას ერთი ჭეშმარიტი და ნამდვილი მთლიანობა. მაშასადამე, ნიზამი მივიდა იქამდე, რომ წამოაყენა ორი ერთმანეთისათვის გაჩენილი მიჯნურის ერთიანობის იდეა და თითქმის მივიდა იქამდე, რომ არასწორად ეცნო მანამდე არსებული წესი, როცა ღვთის მიერ ერთურთისათვის გამიზნულ მიჯნურებს აცალკევებდნენ ავტორები და თავიანთ პოემებში ორი სახელით მოიხსენიებდნენ: „ტრისტანი და იზოლდა“, „ფარჰადი და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“... ფაქტობრივად ამ წესის წინააღმდეგ გა-

ილაშქრა განჯევიმ, ოლონდ ეგ პრინციპი თავად ველარ განახორციელა-მეთქი. სამუქფოდ, ეგ იდეა აიტაცა და უკიდურესად განავითარა რუსთველმა, როცა ნიზამისეული იდეა პრაქტიკულად განახორციელა და შექმნა არა ორსახელიანი, არამედ ერთსახელიანი პოემა, სადაც შეყვარებული წყვილი „და“ კავშირით კი არ დააშორა ერთურთს, კი არ აცალკევა, არამედ პლატონისა და ნიზამის კვალობაზე ერთ არსებად შეაერთა, შეკრა, შეანება და პოემის სათაურიც ახლებურად წარმოადგინა – **ვეფხისტყაოსანი**. ეგ სიტყვა კი გულისხმობს აშიკსაც და მაშიკსაც, მეტრფესაც და სატრფოსაც. კიდევ მეტი, წინამორბედი მგოსნის გიანჯევის „ქალაღი“ გამოიყენა, როცა ნესტან-დარეჯანს ასეთი რამ ათქმევინა ტარიელისათვის.

მე გული შენი ქალაღად გულსავე ჩემსა ვანები.

აი, სად ამოყო თავი ნიზამის **ქალაღმა**, რომელზეც ორი სახელი ცალ-ცალკე ეწერა – „ლეილი“ და „მაჯნუნი“. აღნიშნულ ანდერძში ნესტანი სატრფოს არწმუნებს, რომ მისი გული ცალკე ერთეული კი არაა, არამედ მეორე ნახევარია, მეორე „პალავინკაა“, ხოლო რაინდის გული პირველი ნახევარია, პირველი „პალავინკაა“. ნახევარ-ნახევარი გულებით არსებობა კი სრული, ნამდვილი არსებობა

არაა. ამიტომ უნდა აღსრულდეს ღვთის ნება და ერთ ერთიანობად ჩაფიქრებული ნახევარ-ნახევარი გულები შეერთდნენ. ამიტომაცაა, რომ მ. თავდიშვილის წერილებში ახსნილია, თუ როგორ მზადდებოდა ძველად სამარყანდსა და დანარჩენ აღმოსავლეთში ერთი ფურცელი ორი ნახევრის, ორი „პალავინკისაგან“ და მათი შენებებით როგორ იღებდნენ ერთ ერთიანსა და მთლიან (ვერსო+რექტო) ფურცელს; ამიტომაცაა მითითებულ წერილებში ნახსენები პლატონის სათანადო ნაშრომი, ვასილ ბარნოვის „ტკბილი დუდუკი“ და არაერთი სხვა.

მაშასადამე, საკითხი ახსნილია, პრობლემა ბოლომდე და სრულად არის გადაწყვეტილი ჯერ კიდევ 2000-2011 წლებში და ჩვენი ნორჩი მკვლევარი (ასევე ბარეორი სხვაც) ღია კარებს ამტვრევს, ამოდებრძვის ქარის წისქვილებს, რომლებიც საქართველოში არც არსებობს.

მაშ, ქ-ნ მკვლევარს ვურჩევ: ამ საკითხზე არაფრის დანერა არაა საჭირო, საჭიროა წაიკითხოთ ზემოდასახელებული წერილები!

ახლა მთლად გასაოგნებელ რასმე მოგახსენებთ.

მთლად გასაოგნებელი კიდევ ისაა, რომ მკვლევარი 2017 წელსაც კი იმ ბნელ დეპოში ზის, რომელშიც ქართული ფილოლოგიური მეცნიერება 27-30

წლის წინათ იჯდა. მას შესაშური სითამამით მოჰყავს „აბდულმესიანის“ ციტატა (315 გვ.) და აზრზეც კი არ არის, რომ მის მიერ ციტირებული სიტყვები გახლავთ იაკობ შემოქმედელისა და ამოღებულია ლირიკული პოემიდან „ქება მეფისა არჩილისა“. ავტორმა გულწრფელად არ იცის, რომ „აბდულმესიადამ“ დიდი ხანია ჩაიღუპის წყალი დალია! დიახ, ასეა: **უცოდინარობა გულწრფელობით გამოირჩევა.**

აღნიშნულით სხვაც რამ დადასტურდა: მარინე გონჯილაშვილს წაკითხულიც არა ჰქონია გამოჩენილი მეცნიერის, სენსაციური აღმოჩენის ავტორის დოქტორ ბორის დარჩიას გახმაურებული მონოგრაფია „იაკობ შემოქმედელი“ (2017) და მურმან თავდიშვილის „დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში“ (პირველი გამოცემა 2010, მეორე – 2022).

სხვათა შორის, მითითებული ნიგნები ქ-მ მკვლევარს შეეძლო წაეკითხა თავისი ინსტიტუტის ბიბლიოთეკაშიც, ოღონდ საქმე ისაა, რომ ნატალია გონჯილაშვილი მკვლევარია, მწერალია და არა – მკითხველი.

პირდაპირ მოსაბეზრებელია ამდენი **ბენაშვილიზმი**: „მათი გუმანი, მართლაც, გამართლდა“ (258); „მთვარის სიმბოლიკა, თითქოს, არაა საკმარისი...“ (259).

ავტორი ვერა გრძნობს, რომ მძიმეები აქ წერაკითხვის მცირემცოდნე პროფესორ ბენაშვილის მოგონილია. ამავე დროს, მას არა სცოდნია არცა ქართული, არცა – რუსული. ამიტომაც წერს ასე – **პ. ანტაკოლსკი (258)**. უნდა დაენერა **ანტოკოლსკი**; ასევე არასწორია **ჰაიზინგა**, უნდა – **ჰოიზინგა**; რუსულის კალკია ნამდაუნუმ ხმარებული „პირველ რიგში“ (260 და ყველგან). უნდა ყოფილიყო „უწინარეს ყოვლისა“.

იგივე სურათია ჩვენი მოაზროვნის მეორე ნიგნშიც. მას ასე ეწოდება – „ვეფხისტყაოსნის მხატვრული სამყაროს გააზრებისათვის“ (2017).

მოყვანილია ნ. ნათაძის მცდარი აზრი, რომელსაც ემხრობა გონჯილაშვილი: „შენ, ავთანდილი, იმდენად სრულყოფილი და კარგი ხარ, რომ მარტო შენი თავის ყოლითაც **მდიდრად** ჩაითვლები“ (63).

აქ ბატონ ნათაძეს და მის მიმთითებელ დარეჯან გონჯილაშვილს არა სცოდნიათ, თუ რასა ნიშნავს XII საუკუნის სემანტიკური ერთეული „ღარიბი“. ფრაზა, რომელსაც „მამა-შვილი“ გვითარგმნის, ესეგვარია:

თუ თავი შენი შენ გახლავს, **ღარიბად არ იხსენები**.

მაშ, აქ ნათქვამია სრულიად სხვა რამ: „შენ, ავთანდილი, იმდენად სრულყოფილი და კარგი ხარ,

რომ მარტო შენი თავის ყოლითაც **ეულად**, ანუ **მარტოკაცად, მარტოსულად** არ მიიჩნევი”.

მაშასადამე, ნათაძე-გონჯილაშვილს პოემის **ღარიბი** სიმდიდრის ანტონიმი ჰგონია.

ამრიგად, თანამედროვე მკვლევარს არ აქვს იმის უნარი, შეამჩნიოს წინა თაობის მეცნიერის შეცდომა, გამოასწოროს ის და წინ წავიდეს.

წავიკითხე „გზის სიმბოლოს გააზრებისათვის „ვეფხისტყაოსანში“. მასალა 70 გვერდზეა გაშლილი. ეს მტანჯველი გზა ყურადღებით გავიარე და ბოლოში ისე გავედი, როგორც მასზე შევდექი: არ დამრჩენია არც რაიმე ცოდნა, არც რაიმე ემოცია, არც სინდის-ნამუსი მომმატებია. ძვირფასი დრო კი დავკარგე!

რატომ?

იმიტომ, რომ ეს გახლავთ ნაძალადევი, თითიდან გამონოვილი, ძალად მაცხოვრე მეცნიერება, ზოგადი და უსაგნო საუბარი. ასე ხომ ყველაფერზე შეიძლება ლაყბობა, ოღონდ ამ შემთხვევაში ხომ ხელთ ნაქურჩალით გატენილი გოდორი შეგვრჩება?!

მკვლევარს ვუჩვენებ იმის ნიმუშს, თუ როგორია ჭეშმარიტი მეცნიერება და როგორ ეტევა იგი მცირე მოცულობის ტექსტში. თუ ზემომითითებულ

70-გვერდიან ნარკვევში არავითარი აღმოჩენა არაა, ახლა ვნახოთ, როგორ მოვახერხე მე სიტყვა **ვენახის** საიდუმლოს გახსნა 1-გვერდიან წერილში: „**ვენახი** ყოფილა კომპოზიტი. შედგება ორი კომპონენტისაგან – **ვენა** და **ხი**. უძველეს დროში პარალელურად იხმარებოდა სიტყვები **ვენა** და **ვინო**. ორივე ნიშნავდა მათრობელა სითხეს. არსებობს როგორც იტალიური ქალაქი **ვენე**+ცია, ისე უკრაინული ქალაქი **ვინი**-ცა. მაშასადამე, კომპოზიტის პირველი ნაწილი იგივეა, რაც **ლვინო**; რთული სიტყვის მეორე ნაწილი **ხი** იგივეა, რაც **ხე**. სემანტიკური ერთეულის (კომპოზიტის) ბოლოში ხე იოლად გადაიქცევა **ხი** ან **ხა** ბგერათკომპლექსად. მაგალითად, ხე-**ხი**-ლი; ჯი-**ხა** (ჯი-ხე) ...

ამრიგად, გამოირკვა, რომ **ვენახი** ყოფილა **ლვინის ხე**.

მართლაც, ძველად ასე იტყოდნენ: **ნაძვის ხე**, **ალვის ხე**, **ნატვრის ხე**. ამგვარადვე აუგიათ ფორმა **ვენახე**.

სხვათა შორის, სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად **ვენახის** გამომხატველ სიტყვებს თითქმის ყველა ევროპულ ენაში. გერმანულია **ვაინ**-შტოკ; რუსულია **ვინო-გრად**...”

აი, ქ-ნო მკვლევარო, რაც მე თქვენ ამ მცირე საქალაქადე ფართობზე მოგახსენეთ, ნამდვილი აღმორჩენა და მეცნიერებაა და 70-ჯერ სჯობს თქვენს 70-გვერდიან წილადობილას.

მეცნიერებას ლაყბობა არ უყვარს!

ნიგნის ავტორი ფართოდ მსჯელობს პოემისეულ „ნათლის სვეტზე“ (81) და არც კი ახსენებს მისივე ინსტიტუტის თანამშრომლის რიმა ფირცხალაიშვილის საოცრად მახვილ სტატიას ამ თემაზე. ეგების იმიტომაც, რომ ნელი გონჯილაშვილის 2017 წლის გალა ნარკვევი მუხლამდეც ვერ მისწვდება 2005 წელს შექმნილ ჭემმარიტ გამოკვლევას? აი, რას ვწერდი მე, ერთობ ძუნნი მეხოტბე ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებისა, მითითებულ ნაშრომზე 2007 წელს:

„ამ ფონზე დიდმნიშვნელოვანია მკვლევრის მსჯელობა ნათლის სვეტზე: „ნათლის სვეტი“, როგორც ღვთის სიმბოლური სახე, ორჯერ იხსენიება „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ მისი „ჩამოდგომის“, ანუ სამუდამოდ დაკარგების, შესახებ აღნიშნულია მხოლოდ და მხოლოდ ინდო-ხატაელთა ამბავში. ვინაიდან ღვთის ჩამოდგომის, ანუ ღვთის გამოცხადების, სასწაულის ხილვის გარეშე „ვეფხისტყაოსნის“ არსებითი იდეა აღსრულებულად ვერ ჩაით-

ვლება, დასკვნა სრულიად ერთმნიშვნელოვანია: ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც გვამცნობს ღვთის გამოცხადების, ანუ „ნათლის სვეტის“ ჩამოდგომის, შესახებ, შეთხზულია სწორედ იმ პირის მიერ, ვინც მთლიანად „ვეფხისტყაოსნის“ იდეა და მისი სიმბოლურ-ალეგორიული არსი მოიაზრა“ (49).

ჩვენი ფიქრით, ასევე დიდმნიშვნელოვანია სხვა მითითებაც: „რუსთველს საჭიროდ არ ჩაუთვლია ინდოელთა მიერ ხატაელებზე პირველი გამარჯვების შემდეგ ეუწყებინა ნათლის სვეტის ჩამოდგომის, ანუ ღვთის გამოცხადების, შესახებ ინდოეთში; ცხადია, იმიტომ, რომ ეს ღვთიური სასწაული – ნათლის სვეტის ჩამოდგომა – „ვეფხისტყაოსნის“ იდეის საბოლოო აღსრულების ნიშანია, ხოლო ინდოთა და ხატაელთა პირველი ომის დასასრულს „ვეფხისტყაოსნის“ არსებითი იდეის საბოლოო აღსრულებამდე ჯერ კიდევ შორს იყო“ (49).

მაშასადამე, კიდევ ერთხელ, უკვე „არსებითი იდეის“ თვალსაზრისითაც, დამაჯერებლად დადასტურდა კ. ჭიჭინაძის, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, ა. განწერელიას, შ. ონიანის, მ. თავდიშვილის, ნ. კოტინოვის პოზიციის სისწორე პოემის კომპოზიციის საკითხში. ამ ხაზის სიმტკიცეს ამ

ბოლოს თანამიმდევრულად აძლიერებს ქ-ნი რიმა ფირცხალაიშვილი.

შესაძლებელია, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო: რუსთველოლოგიის აღნიშნული კრებულის ცენტრალური სტატია რ.ფირცხალაიშვილის ნააზრევია და თავისი მნიშვნელობით იგი ბევრად აღემატება კრებულის დანარჩენ მასალებს, ერთად აღებულს“ (იხ. მ.თავდიშვილი, რუსთველოლოგიური კრიტიკა I, გვ. 622-623).

ჩვენი „ნორჩი“ და კოპნია ავტორი კი ურჩად არ მიუთითებს ამ სტატიას, რომელშიც „ნათლის სვეტის“ პრობლემა სრულად და ამომწურავადაა გადანყვეტილი.

საკითხის ისტორიაში გაუცნობიერებელ ავტორს ამ წიგნშიც აუმღერებია ძველი „პლასტინკა“ – ისევ და ისევ ჰგონია, ხელთ უჭირავს „აბდულმესიანი“ და მისი ციტატი მოჰყავს (196). იხილეთ აგრეთვე 247-ე გვერდი.

დეპოში, დეპოში, ოფელია!

ვეკითხები ამ წიგნის რედაქტორ-რცენზენტებს: ელგუჯა ხინთიბიძეს, მაკა ელბაქიძეს, დარეჯან მენაბდეს, ლია კარიჭაშვილს.

ბატონებო, ნუთუ არ წაგიკითხავთ ეგ წიგნი თუ თქვენც დეპოში ჩარჩით?!

ამ სტატიის ერთი პასაჟი ასეთ მსჯელობას ეთ-
მობა:

„ქართულ ენაში ვლინდება სიტყვათა სემანტი-
კური ბინარულობა – ერთი და იმავე სიტყვით გა-
მოიხატება, ერთის მხრივ, ყოფითი ცხოვრების მოვ-
ლენები და, მეორეს მხრივ, სულიერი სფეროს ფე-
ნომენები (აქამდე ყველაფერი ნორმალურია. ამის
მერე იწყება დომხალი და სალტო-მორტალე – მ.თ.),
რაც ეროვნული მსოფლხედვის გამომხატველია“
(180).

საყვალელო მკვლევარო, ასე ლომაა რუსთა-
ნაც, ფრანგთანაც, მეგვიპტელთანაც?! რა ვქნათ
ახლა?

აი, ასეთ სიმტერეს ხელს აწერენ და ადასტუ-
რებენ ზემოჩამოთვლილი დასტურები: ე. ხინთიბი-
ძე, მ. ელბაქიძე, დ. მენაბდე, ლ. კარიჭაშვილი.

მათ, რა თქმა უნდა, უფრო ადრე სტატიაში ვერ
შენიშნეს და დაინახეს ასეთი სიბრძნეც: „**ზოგადსა-
კაცობრიო იქნება ის, თუ ყოფითი**“ (179). კარგი,
თავი დავანებოთ აქ უაზროდ მომარჯვებულ ყოვ-
ნის ნიშანს, რომელიც ყოვლად უადგილოა, სუფთა
ბენაშვილიზმია, მაგრამ ის როგორ ავხსნათ, რომ
ერთმანეთთან შეპირისპირებულია **ზოგადსაკა-
ცობრიო და ყოფითი**? ეგ იგივეა, მე რომ ახლა ავ-

**დგე და ერთმანეთს შეეუპირისპირო ყელის გამომ-
ჭრელი სამართებელი და ჯენიფერ ლოპესის ბი-
კინი!**

ასევე ერთობ ვრცელია (60 გვერდი) გამოკვლე-
ვა რუსთველურ გულზე, ოღონდ აქაც იგივეა: ამ
ტევრში რა თავითაც შეხვალ, იმავეთი გამოხვალ –
ვერაფერ ღირებულს, მეცნიერულს ან ესეისტურს
აქ ვერ იპოვი (179).

მაშასადამე, ჩემი დასკვნაც შესაბამისია: ოფე-
ლია გონჯილაშვილის ნიგნები არაფრისმომცემი
და არაფრისმაქნისი ნაშრომებია, რომელთა გამო-
ცემას არავითარი გამართლება არ აქვს.

2024 წ.

პირთა საძიებელი

- ა**
- აბულაძე იუსტინე 14
ალიგიერი დანტე 364
ალიევა დილარა 376
ამირხანაშვილი ივანე 300,
315-317, 326, 349-423,
391, 394, 409, 419-423,
430, 433, 452-459
ანტოკოლსკი 544
ანდლულაძე 284
არაბული გიორგი 13, 27, 39,
43, 98, 189, 221-224,
229, 234, 237-239, 242-
243, 249-257
არისტოტელე 311-315
არჩილ მეფე (ბაგრატიონი)
509
ასათიანი გურამ 391
აშოტ კურაპალატი 432
ახვლედიანი გიორგი 514
- ბ**
- ბაგრატიონი ანტონ 326
ბარათაშვილი ნიკოლოზ 404
ბარამიძე ალექსანდრე 47-
271, 326, 390, 409, 411-
413, 435, 472-478
ბარბაქაძე თამარ 127
ბართაია ნომადი 25, 320, 325
ბარნოვი ვასილ 542
ბაურა მორის 338
ბაქრაძე აკაკი 449, 504, 506
ბახტინი მ. 287
ბენაშვილი გურამ 300, 302,
328, 425, 454, 488, 493,
544
ბერიძე ვუკოლ 40, 152, 186,
277, 357
ბერიძე როლანდ 82-83, 151-
155, 188-189, 252-253,
262, 300, 498
ბერტელსი ევგენი 268, 384-
387, 391, 461
ბიგანიშვილი თინათინ 311-
317
ბრეგაძე ლევან 300
ბრეგვაძე ბაჩანა 28-29, 31-
32, 35, 37-38, 246

ბუზანდაცი ფავსტუს 255,
378-379

ბ

გამსახურდია ზვიად 10-11,
297, 313-314, 422

გამსახურდია კონსტანტინე
548

გარდავაძე 461

განერელია აკაკი 503, 548

გენეპი 447-448

გვახარია ალექსანდრე 28-
271

გიგინეიშვილი ივანე 14-271,
274, 339

გიგინეიშვილი ლევან 273,
354-355

გიორგი რუსი (თამარ მეფის
ქმარი) 312

გოგიბერიძე მოსე 422, 497

გონჯილაშვილი ნანა 284,
336, 423, 464-468, 470-
472, 485, 490, 494-496,
518-551

გრიგოლაშვილი ლაურა 523,
525

გურამიშვილი დავით 412,
477, 509

დ

დავით წინასწარმეტყველი
296-297, 299

დარიოსი 388

დარჩია ბორის 543

დიონისე არეოპაგელი 277-
279, 358

დრაგე რენე 169

ე

ებრალიძე მამია 127

ევგენიძე იუზა 314, 318, 394

ელბაქიძე მაკა 333-349, 351,
423, 430, 460, 505-517,
549-550

ემპედოკლე 366

ვ

ვაჟა-ფშაველა 10

ვახტანგ VI (ბაგრატიონი) 5,
51

ვერგილიუსი 83, 499

ზ

ზარიძე ხვთისო 291, 300,
303-310, 451, 509-510,
523, 525

ზვიადაური 524

თ

თავდიშვილი მურმან 2, 3-12,
13-271, 281, 297, 318,
320, 321, 322, 324, 326,
352, 359, 360, 392, 408,
419, 420, 424, 443, 445,
484, 497, 498, 499, 502,
503, 511, 515, 530, 539,
542, 543, 548-549

თამარ მეფე (ბაგრატიონი)
298, 312, 334, 527

თეიმურაზ I (ბაგრატიონი)
309, 509

თერნერი ვიკტორ 448

თვარაძე რეზი 305

თოდუა მაგალი 391, 461

თოფურია ვარლამ 339

თუმიანი (პოეტი ქალი) 46

ი

ინგოროყვა პავლე 152

იოანე დამასკელი 4

კ

კალაძე ინგა 373, 375, 391

კარბელაშვილი მარიამ 18,
272, 279, 284-289, 313,
424

კარიჭაშვილი ლია 423, 496-
501, 549-550

კარტოზია გურამ 13-271,
409

კაფარლი 395

კეკელიძე კორნელი 154,
157-158, 306

კენჭოშვილი ი. 207

კიკვიძე ცოტნე 28-270, 409

კიკნაძე ზურაბ 9, 504

კობახიძე ირაკლი 513

კოსტავა მერაბ 524

კოტეტიშვილი ვ. 371

კოტინოვი ნორა 548

კრეტიენ დე ტრუა 218-220,
244, 340-341, 405

კურცვაილი ფელიქს 9

ლ

ლამინი მაჰმუდ იბნ ოსმან
372

ლაჭუთი ბანუ 264, 474

ლოპესი ჯენიფერ 551

მ

მაკალათია ფიქრია 408

მაკედონელი ალექსანდრე
265-268, 370, 375-377,
380-384, 387-391

მამიკონიანი ვარდან 318

მამიკონიანი ვასაკ 255

მამიკონიანი შუშანიკ 318

მარგველაშვილი პარმენ 8, 9	364, 366, 373, 377, 379,
მარი იური 370	380, 382, 384, 391, 392-
მაქსიმე დამასკელი 4	393, 409, 419, 420, 421,
მახათაძე 8, 113	422, 434, 435, 452, 453,
მენაბდე დარეჯან 549-550	459, 461-462, 472, 473,
მენდელეევი დიმიტრი 51, 99,	493, 534, 540, 541
191, 207, 216	ნოზაძე ვიკტორ 34, 82, 86,
მენდელსონი 492	103, 169, 219, 274, 275,
მერჩულე გიორგი 84, 499	276, 285, 296, 317, 321,
მეტრეველი ელენე 47, 50-52,	350, 355, 356, 357, 360,
127, 133, 155, 158, 176,	396, 399, 401, 410, 415,
262	417, 422, 433, 442, 445,
მიშველაძე რევაზ 2, 12, 281,	460, 463, 467, 480, 482,
424	486, 497
მუსტაფაევი ჯამალ 365-366,	ნუცუბიძე შალვა 40
388, 392	

ნ

ნადირაძე გ. 422	ოვიდიუსი 371
ნათაძე ნოდარ 215, 219, 232,	ონიანი შერმადინ 548
261, 422, 433, 435, 497,	ონსორი 206, 217, 244, 324,
544, 545	370, 372, 373-374, 380,
ნერსესი (სომეხთა კათალი-	534
კოსი) 378	ორბელიანი სულხან 103, 509
ნიზამი განჯევი 4, 26, 27, 81,	
123, 126, 141, 149, 162,	
199, 200, 203, 210, 217,	
244, 312, 316, 317, 321,	
324-502, 349, 351, 352,	
353, 359, 360, 362, 363,	

პ

პეტრინონელი იოანე 273
პლატონი 315, 364-367, 369,
393, 541, 542
პროპი ვ. 287, 288

რ

რატინი ირმა 300, 301, 328,
335, 423-452, 454, 458,
522

რეიფილდი დონალდ 409, 435
რუსთამოვა 461
რუსთველი შოთა 1-555

ს

სარაჯიშვილი ალექსანდრე
237, 239

სერაფიტა (მცხეთელი დიდე-
ბული) 379

სიგუა სოსო 424

სირაძე რევაზ 422-423

სოსლანი დავით 260-261,
266, 297, 299, 527

სულავა ნესტან 289, 291-294,
422, 523-528, 536-537

სულაკაური ზალიკო 39, 112,
129, 150, 178, 182, 221,
230, 255, 270

ტ

ტაბიძე გალაკტიონ 521, 523-
524

ტიანდერი 288

ტოროშელიძე მალაქია 441-
442

უ

ულიანოვი ვლადიმერ (ლენინ-
ნი) 340-341

ფ

ფარულავა გრივერ 8, 288,
330, 339, 456, 489

ფირდოუსი აბულ ყასემი 4,
27, 29, 31, 38, 44, 81,
107, 123, 141, 149, 199,
200, 203, 217, 244, 250,
251, 253, 324, 352, 382,
406, 422, 434, 435, 473,
475, 480, 485, 499, 526,
534

ფირცხალაიშვილი რიმა 123,
445, 547, 549

ფოცხიშვილი ალექსანდრე
40, 41-42

ქ

ქაზუმოვი ოქტაი 456, 460

ქეთელაური ალუდა 524

ქვარიანი დათუნა 501

ქვარახია ვენორ 503

ქუმსიშვილი დიმიტრი 230,
231

ქურდიანი მიხეილ 538-539

ყ

ყული-ზადე ზ. ა. 393

შ

შალვაშვილი ბელა 434, 436,
473-474, 484, 500-501

შანიძე აკაკი 91, 105, 152,
293, 326, 331, 352

შემოქმედელი იაკობ (მი-
ტროპოლიტი დუმბაძე)
46, 509, 543

შილერი 371

შოთა რუსთაველის ეროვნუ-
ლი სამეცნიერო ფონ-
დი 323, 327, 493

ჩ

ჩაიკინი კ. 370-371

ჩაჩხუნაშვილი ნიკა 496

ჩახრუხაძე გრიგოლ 44, 45,
91, 206

ჩუბინაშვილი დავით 40, 321,
359

ც

ცაბაძე მალვინა 501

ცაიშვილი სარგის 51-271,
422

ცერცვაძე მაია 319

ცქიტიშვილი თ. 246

ძ

ძიდიგური შოთა 15, 121, 127,
133, 176, 183, 262

წ

წერეთელი გიორგი 151, 152,
199

წერეთელი ლია 295, 300,
327, 331-332

წერეთელი მიხეილ 152, 189,
277, 357

ჭ

ჭაბაშვილი მიხეილ 492

ჭავჭავაძე ილია 423, 522

ჭალადიდელი გიორგი 466

ჭანტურიშვილი თეიმურაზ
318

ჭილაძე თამაზ 280, 295

ჭინჭარაული ალექსი 9, 28,
29, 30, 243, 244-246,
256, 257, 295

ჭიჭინაძე კონსტანტინე 154,
215, 219, 548

ხ

ხანძთელი გრიგოლ 306

ხვედელიანი თ. 294

ხინთიბიძე ელგუჯა 55, 127,
272-280, 313, 314, 316,

318, 327, 350, 353, 354,
355, 358, 394, 423, 469-
470, 502, 549-550

ხონელი მოსე 142

ჯ

ჯავახიშვილი მიხეილ 548

ჯაველიძე ელიზბარ 461

ჯგუბურია მურმან 503

კ

ჭაჯიევი 391

ჭეგელი 288, 340, 341

ჭეკელი ე. 288

ჭოიზინგა 544

ჭომეროსი 167

სარჩევნი

რუსთველოლოგიური კრიტიკის ეპოპეა	3
გ ა ბ ა ა ს ე ბ ა	
„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიისა და გურამან თავღიშვილისა	13
წერილები არაფერზე და არაფრის გამომ	272
უმისოდ რად იმღერეთა?!.....	320
ფორმალისმის ქარნაღებულნი	323
ართი ვარგი, ათი ურგი	503
ერთი მკვლევრის მარტვილობა.....	518
პირთა საძიებელი.....	552

Тавдишвили Мурман Мелитонович
РУСТВЕЛОЛОГИЧЕСКАЯ КРИТИКА
III
(на грузинском языке)

Тбилиси
2024

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე



გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

